გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№11

2016

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა–846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2015 წლის 5 ივნისს ჩატარებული წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) დაბადებიდან 190-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

მთავარი რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
ტომის რედაქტორი: ზურაბ ოქროპირიძე
სარედაქციო კოლეგია:
ქეთევან ბარბაქაძე
მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა)
გიორგი სოსიაშვილი
იოსებ ალიმბარაშვილი
ოთარ ჯანელიძე
სერგო ვარდოსანიძე
გოჩა საითიძე
თამარ გოგოლაძე

კორექტურა: თამარ გოგოლაძე, მარიამ კობერიძე, ზურაბ ოქროპირიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

On June 5, 2015 the Gori State Teaching University held a scientific conference, which was dedicated to the 190th anniversary of St. Priest Aleksandre (Okropiridze). The scientific conference papers are published in the present conference proceedings.

Editor in Chief: Eldar Mamistvalishvili
Editor of the Volume: Zurab Okropiridze
Editorial Board:
Ketevan Barbakadze
Metropolitan Andrea (Gvazava)
Giorgi Sosiashvili
Ioseb Alimbarashvili
Otar Janelidze
Sergo Vardosanidze
Gocha Saitidze
Tamar Gogoladze

Reviewer: Tamar Gogoladze, Mariam Koberidze, Zurab Okropiridze
Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657
გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“
თბილისი 2016 წელი

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

(1824-1907)

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი - ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწერის შესახებ *10*
Ioseb (Soso) Alimbarashvili - ABOUT ONE LAPIDARY INSCRIPTION OF THE OKROPIRIDZE

სოფიო ანდღულაძე - წმიდა აღმსარებელი ფილიმონის (კარბელაშვილი) ცხოვრებისა და მოქალაქეობის საღვთისმეტყველო გააზრებისათვის“ (წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლის (ფერაძე) „მამაო ჩვენოს“ განმარტების მიხედვით) *27*
Sopio Andghuladze - FOR REALIZING THEOLOGY OF LIFE AND CIVIC DUTY OF HOLY.PHILIMON CONFESSOR (ACCORDING TO HOLY PRIEST GRIGOLI'S "OUR FATHER'S" DEFINITION)

ეთერ ბოკელავაძე - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების პოლიტიკური საფუძვლები *36*
Eter Bokelavadze - THE POLITICAL FOUNDATIONS OF JOINING OF GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN THE WORLD COUNCIL OF CHURCHES

დეკანოზი მიქაელი (მახარე) ბუკია - „მწყემსი კეთილი“ - წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) *49*
Archpriest Mikheil (Makhare) Bukia - „A KIND HERDSMAN“ - SAINT BISHOP ALEXANDER OKROPIRIDZE

ჯემალ გამახარია - წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთში“ (1851-1861 წლები) *70*
Jemal Gamakharia - MISSIONARY AND PEDAGOGIC ACTIVITIES OF SAINT ALEXANDRE (OKROPIRIDZE) IN ABKHAZIA (1851-1861)

ელენე გეგეშიძე - რელიგიური პოლიტიკა და ქართველი ებრაელები (XX საუკუნის 20-იანი წლები) *96*
Elene Gegeshidze - RELIGIOUS POLICY AND GEORGIAN JEWS (the 1920s OF THE 20th CENTURY)

რაულ გვეტაძე, დავით გვეტაძე, სოფიო კანაშვილი – მეცნიერება და რელიგია ძველქართული დამწერლობის ძეგლების მიხედვით *104*
Raul Gvetadze, Davit Gvetadze, Sophio Kanashvili – SCIENCE AND RELIGION ACCORDING TO THE MONUMENTS OF ANCIENT GEORGIAN WRITINGS

დეკანოზი გიორგი (გუგუშვილი) - წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის საქველმოქმედო მოღვაწეობა *124*
Archpriest Giorgi (Gugushvili) - ST. ALEXANDER OKROPIRIDZE CHARITY ACTIVITIES

დეკანოზი ბიძინა (გუნია) - ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლის თეოლოგიური ასპექტები *132*
Archpriest Bidzina (Gunia) - THEOLOGICAL ASPECTS OF TIME COUNT FROM THE BEGINNING OF THE UNIVERSE

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ - მამა ანტონ კეკელიას ცხოვრება და ღვაწ-
ლი (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო) *152*
Igor Kekelia - LIFE AND ACTIVITIES OF FATHER ANTON KEKELIA (DEDICATED TO 160TH ANNIVERSARY FROM HIS BIRTH)

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ, ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲥᲔᲑᲣᲚᲐᲫᲔ - მასალები XIX საუკუ-
ნის 50-იანი წლების სამეგრელოს სასულიერო მოღვაწეთა
პერსონოლოგიისათვის *164*
Igor Kekelia, Kakhaber Kebuladze - MATERIALS FOR MEGRELIAN CLERGYMEN OF XIX CENTURY 50-IES

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ - წმინდა ალექსანდრე (ოქროპირიძე)
ეპისკოპოსი და ქართული ენა *177*
Mariam Koberidze - SAINT BISHOP ALEXANDER (OKROPIRIDZE) AND GEORGIAN LANGUAGE

ᲜᲐᲘᲚᲔ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ - ტოპონიმ „ამაღლების“ ეტიმოლოგია
აჭარის ფოლკლორში *190*
Naile Mikeladze - ETYMOLOGY OF THE TOPONYM “AMAGHLEBA” (ASCENSION) IN THE ADJARIAN FOLKLORE

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ - წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპი-
რიძე) და აფხაზეთი *198*
Merab Nachkebia - ST. BISHOP ALEKSANDRE (OKROPIRIDZE) AND ABKHAZIA

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲝᲗᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ - რამდენიმე საკულტო ძეგლი ლია-
ხვისა და ქსნის ხეობიდან *212*

Nikoloz Otinashvili - SOME RELIGIOUS MONUMENTS FROM LIAKHVI AND KSANI GORGES

ზურაბ ოქროპირიძე - ოქროპირიძეების სასულიერო დასი
Zurab Okropiridze - THE CLERICAL ORDER OF OKROPIRIDZES *223*

უჩა ოქროპირიძე - ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა
Ucha Okropiridze - GEORGIAN BISHOPS AND ADJARA *288*

ქეთევან პავლიაშვილი - კატაკომბური ეკლესია და მეუდაბნოების ინსტიტუტი აფხაზეთში“ (XIX საუკუნის II ნახევარი - XX საუკუნის 80-იანი წლები)
Ketevan Pavliashvili - CATACOMB CHURCH AND ASCETIC INSTITUTE IN ABKHAZIA (XIX C. II PART-80-TH YEARS OF XX C.) *297*

საბა სალუაშვილი - წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გასული დროითი მიჯნები
Saba Saluashvili - BOUNDARIES OF TIME WITHIN THE PERIOD FROM ST. NINO’S ARRIVAL TO DECLARING CHRISTIANITY AS A STATE RELIGION *311*

გიორგი სოსიაშვილი - საკათალიკოსო მამულები პატარა ლიახვის ხეობაში
Giorgi Sosiashvili - CATHOLICATE ESTATE IN THE SMALL LIAKHVI GORGE *320*

მაგდა სუხიაშვილი - წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და ქართული საეკლესიო გალობა *394*

Magda Sukhiashvili - HOLLY BISHOP ALEKSANDER (OKROPIRIDZE) AND GEORGIAN CHANTS

ეკატერინე ფავლენიშვილი - წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის ქართლში მოღვაწეობის ისტორიიდან
Ekaterine Pavlenishvili - FROM THE HISTORY OF ALEKSANDRE OKROPIRIDZE'S ACTIVITIES IN KARTLI *405*

ტარიელ ფუტკარაძე - თანამედროვე ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები /საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის კონტექსტი/
Tariel Putkaradze - ACTUAL PROBLEMS OF CONTEMPORARY KARTVELOLOGY /WITHIN THE CONTEXT OF THE CURRENT INFORMATION WAR AGAINST GEORGIA/ *425*

თეა ქართველიშვილი, თამარ ქორიძე - ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ეპოქაში
Tea Kartvelishvili, ***Tamar Koridze*** - ON MUTUAL RELATIONS BETWEEN KARTLI (EASTERN GEORGIA) AND ABKHAZIAN (WESTERN GEORGIA) CATHOLICATES IN THE PERIOD OF REIGN OF BAGRAT III, KING OF IMERETI (1510-1565) *469*

მიხეილ ქართველიშვილი - ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხის ერთიანობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ქადაგებებში (საბჭოთა პერიოდი)
Mikheil Kartvelishvili - UNITY OF NATIONAL AND RELIGIOUS ISSUES IN SERMONS OF CATHOLICOS-PAT- *490*

RIARCH OF ALL GEORGIA AMBROSI KHELAIA (THE SOVIET PERIOD)

ნიკო ჯავახიშვილი - კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი ფურცელი *500*
Niko Javakhishvili - LESS KNOWN PAGES OF THE BIOGRAPHY OF THE CATHOLICOS-PATRIARCH ANTON I

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - წმიდა ილია მართლის მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის შესახებ *507*
Metropolitan Anania (Japaridze) - ST. ILIA'S VIEWS ON THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწერის შესახებ

წარწერა, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი, აღმოაჩინა და გადმოიწერა ისტორიკოსმა, ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ - დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა ქვემო ქართლში მოგზაურობის დროს, 1850 წლის 3 ოქტომბერს[1]. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი წარწერის დედანი ამჟამად დაცულია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ჩანაწერებს, არცთუ იშვიათად, უნიკალური მნიშვნელობა აქვთ, რადგან მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტრებისა თუ ლაპიდარული და ფრესკული წარწერების საკმაო ნაწილმა დღემდე ვერ მოაღწია. მსგავსი ვითარება გვაქვს ზემოთ ნახსენები წარწერის შემთხვევაშიც.

ქვემო ქართლში მოგზაურობა დიმიტრის დაუწყია თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მისულა სოფ. სა...ორს (არ იკითხება - ი. ა.)[2]. აქედან მეგზურებს

---

[1] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვერდი 125-V, შემდეგ: ИВР РАН.

[2] თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით მსგავსი დასახელების სოფლის ლოკალიზაცია დღეისათვის ვერ ხერხდება. დიმ. მეღვინეთხუცესიშვილის სავარაუდო მარშრუტით, თბილისიდან მანგლისისაკენ მიმავალ გზაზე, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით (შინაგან საქმეთა კომისარიატის

წაუყვანიათ და სამი ვერსის მოშორებით ერთ „ღრმა ყრუ“ ხევში უჩვენებიათ „დიდი და დაქცეული მონასტერი, თლილი ქვის, აგურ ნარევი“. სამხრეთის კედელში კარების თავზე ყოფილა მხედრული წარწერა მონასტრის წინამძღვრის „გიორგის“ მოსახსენიებლით.

აღწერილობიდან გამომდინარე, თბილისიდან მანგლისისაკენ მიმავალ გზაზე, მეღვინეთხუცესიშვილი ბეთანიის მონასტერს უნდა გულისხმობდეს. ცნობილია, რომ ეს ტაძარი 1851 წელს აღმოაჩინეს, მას შემდეგ, რაც ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიმ (იმ დროისათვის კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორმა) თავად დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილის მამულის ახლოს მიწა შეიძინა და იმავე წლის ზაფხულში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ გრიმსა და ცნობილ მხატვარ გრიგოლ გაგარინთან ერთად ტაძრის ნანგრევები მოინახულა[1]. მისი ჩამორღვეული გუმბათის აღდგენა მოგვიანებით, 1894-1896 წლებში განხორციელდა დავით ბარათაშვილისა და მღვდელმონაზონ სპირიდონ კეთილაძის მიერ[2].

გამოცემა, ტოპოგრაფი ევ. ბარამიძე) 1923 წელს გამოქვეყნებულ რუკაზე, კოჯორის სიახლოვეს დატანილია „საღურისი“, რომელიც ეტიმოლოგიურად ყველაზე ახლოა „სა..ორისთან“.

[1] ბეთანიის აღწერილობა გრიგოლ გაგარინმა იმავე წლის სექტემბერში გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა. გაგარინისავე ცნობით, ტაძრის ფრესკული წარწერები მისთვის წაუკითხავს და განუმარტავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს. თუმცა, გაგარინი მხოლოდ ტაძრის ფრესკებსა და ხუროთმოძღვრებას ეხება და წარწერების შესახებ არაფერს ამბობს. იხ: **Григол Гагарин**. Бетания, «Кавказ», # 72, 21.09.1851 г. გვ. 2-3.

[2] იხ: გაზ. „ივერია“, 12. 05. 1898, № 98, გვ. 3; 24. 10. 1898, №227, გვ. 3; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 22. 12. 1896, № 64, გვ. 3; 26. 01. 1897, № 98, გვ. 3; www. orthodoxy.ge/eklesiebi/betania.htm და სხვ.

შესაძლოა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ამიტომაც აღწერს მონასტერს დასახელების გარეშე. რაც შეეხება წარწერას, ბეთანიაში ორი ტაძარია, ღვთისმშობლის ჯვარგუმბათოვანი და წმ. გიორგის დარბაზული ტიპის. სამწუხაროდ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი არ აზუსტებს, რომელ ტაძარში ნახა ზემოთ მოტანილი წარწერა („ქ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი გიორგი“)[1].

იმავე დღეს, ბეთანიის მეორე მხარეს, ხევის დასავლეთით, დიმიტრის უნახავს თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის უგუმბათო ეკლესია, აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის თავზე დაზიანებული ასომთავრული ორი წარწერით, რის გამოც, მხოლოდ ფრაგმენტები ამოუწერია. აქედან მეღვინეთხუცესიშვილი, მთებისა და რთული გზის გავლის შემდეგ იმავე საღამოს მისულა სოფელ მანგლისში. ჩვენი ინტერესის საგანს სწორედ მეღვინეთხუცესიშვილის ქვემო ქართლში მოგზაურობის პირველ დღეს ჩაწერილი ლაპიდარული წარწერები წარმოადგენს, ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ მისი მოგზაურობის დღიურების ამ მცირე ფრაგმენტს მოვიყვანთ:

„3 ოქტომბერს 1850 წელსა ვიწყე ტბილისიდამ დასავლეთით სამხრეთისავე მაღლა კლდეებზე სიარული, შემდგომ მიველ სოფელს სა..ორის, აქედამ წამიყვანეს სამს ვერსზედ ღრმა ყრუ ხევში, სადაცა ვნახე მონასტერი დიდი, ცა დაქცეული, თლილის ქვისა, აგურ ნარევი და სხუა გარემო მისსა

---

[1] ბეთანიის წარწერები შეისწავლა და გამოსცა ვალერი სილოგავამ. იგი სუმბატ ორბელის, მისი ძის - ივანეს, ამ უკანასკნელის მეუღლის „პატრონი“ რუსუდანის და ვინმე ეჯიბი წურილაÎსძის წარწერებს მიმოიხილავს (**ვ. სილოგავა**, ბეთანიის წარწერები, თბ., 1994, გვ. 42), მაგრამ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ ზემოთ მოტანილ წარწერას („ქ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი გიორგი“) არ ახსენებს.

შენობაები სრულიად დაქცეული და გატყეებული, ერთგან კედელში სამხრეთისაკენ ძირს ეკკლესიის კარებთან კლდის ქვაზედ წერია მხედრულის ასოებით:

ქ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი გიორგი.

მეორე ქვაზე აქავ: ქ. ღმერთო შეიწყალე იო᾿ბ წინამძღუარი.

აქავე დასავლეთის მხრით არის ხევზედ გადამდგარი ეკკლესია პატარა უგუმბათო თლილის ქვისა, რომელზედა აღმოსავლეთის მხრით ფანჯრის თავზე კლდის ქვაზედ სწერია ამოჭრილის ასოებით (იხ. დანართი 1):

...ᲘᲗ~Ⲥ...

...ⲤⲨⲦⲔⲤ ⲪⲤ ⲃ~ⲦⲚⲨ ⲦⲦⲤ:

ⲐⲨⲪⲨⲚⲤ ⲔⲤⲐⲐⲚⲤⲦⲚⲤ ⲤⲞⲨⲪⲪⲨⲤⲨ

Ⲧ~ⲦⲚ ⲪⲨⲦⲨⲦⲔⲤ ⲧ~Ⲩ ⲞⲤ ⲤⲦ~Ⲧ ⲨⲤⲚⲨⲦⲨ

Ⲕ+ⲐⲔⲨⲔⲨⲤ ⲞⲤ ⲨⲦⲔ ⲨⲔ ⲪⲨⲤ ⲨⲤ.

...Ⲥ ⲤⲨ ⲐⲔⲨ ⲨⲤ ⲤⲐⲚ Ⲧ~Ⲥ ⲤⲤ.

მეორე ქვაზედ ესრეთისავე ასოებით სწერია:

.....

.....

ⲦⲨⲚⲤ ⲚⲈ~Ⲑ

ⲤⲔⲨⲚⲤ ⲪⲤ

სხვა ღირსი შესანიშნავი აქა არა მინახამს რა. აქედამ გადავიარე ბალახოვანი მთები და ცუდი გზა საღამოს ბინდზედ მიველ მანგლის[1].

სამწუხაროდ, დიმიტრის მიერ გადმოწერილი ლაპიდარული წარწერა დღეისათვის აღარ არსებობს და მისი ჩანაწერის სხვა პირებთან შედარება შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით მარი ბროსეს, რომელსაც იგივე წარწერის ფრაგმენტი განსხვავებულად მოჰყავს (იხ. დანართი 2):

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 125-V.

მარი ბროსეს ქარაგმები წარწერაშივე აქვს გახსნილი და შემდეგნაირად იკითხება:

...ღთ[ის]ასა სა[მ]გ[ვამოვან]თა
მმობა ...მ[ო]ნაწილე
...წ[მიდ]ადა ესე ეკლესია
მეფ[ო]ბ[ა]სა თ[ა]მ[ა]რისასა აღვ[ა]შენეთ
გი[ორ]გის შვილთა კ[ოსტანტინ]ე და ნ[ი]კ[ო]ლ[აო]ზ ბასილი
თრთმრი და გ[რიგო]ლ თ ღთ შე[უნდვე]ნ ვ[ი]ნ
ცრაი მოიჭირვა ამას ზ[ედ]ა ა[მი]ნ[1].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი წარწერის ტექსტიც შვიდ სტრიქონიანია (ზემო წარწერა), თავნაკლული და ადგილებში დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნები გამოყენებული არ არის. მხოლოდ მეორე სტრიქონის ბოლოს უზის ორი წერტილი, ხოლო მეხუთე და მეექვსე სტრიქონების ბოლოს – წერტილი.

თავსა და ბოლონაკლულ პირველ სტრიქონში მხოლოდ სამი ასო (ღთა) გაირჩევა და ვკითხულობთ, როგორც **„ღ[თისა]თა“**.

---

[1] **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848. SPB 1850,II, გვ. 17, იხ: http://books.google.ge/books?id=4ZuBhpTCme4C&pg=PAPP9&redir_esc=y#v=onepage&q&f=false.

მეორე სტრიქონის თავნაკლული წარწერა შინაარსით ყველაზე ძნელად გასარჩევია: **„...აბლთა შნ წ~ი სე იკა“,** რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული: **„...აბ[ე]ლ[ი]თა შ[ე]ნ წ[მ]ი[ნდი]ს ეიკა“** (? შესაძლებელია, „ეკ[ლესიის]ა“.

შინაარსობლივად ყველაზე მეტად დატვირთული მესამე, მეოთხე და მეხუთე სტრიქონია: **„მეფბსა თამრსასა აღვშენეთ გ~ისშვილთა კ~ე და ნ~კლ ბასილი ოქროპძე და გლ ო ღო შენვნ“.** ამ სტრიქონებს ქარაგმების გახსნით შემდეგნაირად ვკითხულობთ: **„მეფ[ო]ბ[ა]სა თამ[ა]რ[ი]სასა აღვ[ა]შენეთ გ[იორგ]ის შვილთა კ[ონსტანტინ]ე და ნ[ი]კ[ო]ლ[ოზ] ბასილი ოქროპ[ირი]ძე და გლ ო (?) ღ[მერთ]ო შე[უ]ნ[დ]ვ[ე]ნ“.**

რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, როგორც ვხედავთ, ისიც თავნაკლულია (**„...ცაი მთი ვა ამს ზ~ა ან“**) და შეიძლება შემდეგი შინაარსის იყოს: **„[შე]ც[ოდებ]ა[ნ]ი მ[ა]თ[ნ]ი ვ[ინც]ა ამ[ა]ს[ა] ზ[ედ]ა ა[რია]ნ“ (ა[მი]ნ?)**.

კიდევ უფრო ბუნდოვანია მეორე (ქვედა) წარწერა, რომელსაც თავში დიდი ნაწილი ჰკლებია და შინაარსიც იკარგება: **„...ლისა** (სულისა?) **სხრ** (სახსრად?) **ნობსა შა“**, ალბათ „შ[ინ]ა“[1].

ორივე წარწერა ქორონიკონის გარეშეა მოცემული, რაც აძნელებს მათ ზუსტ დათარიღებას. ასევე არ უთითებენ ბროსე და მელვინეთხუცესიშვილი ლაპიდარული წარწერის ადგილმდებარეობას, ანუ რომელ ტაძარს ეკუთვნის იგი.

როგორც ვხედავთ, მარი ბროსესა და დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს ერთი და იგივე წარწერა მოჰყავთ და მის პირველ ნაწილში, თუ არ ჩავთვლით მეორე სტრიქონს, დი-

---

[1] ბროსეს ზემოხსენებული წარწერა მოტანილი აქვს, როგორც „ᲠᲐᲠᲡᲠ. ᲠᲠ... ᲗᲚᲡᲠ ᲡᲔᲫ Ჩ. ᲥᲦᲐᲡᲠ ᲛᲘᲜᲠ“, (ამასა. აა... ლესა სტრ ნ. ობ[ა]სა შ[ინ]ა), იხ: დასახ. ნაშრ. გვ. 17.

დი სხვაობა არ არის. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტრიქონში მათი წაკითხული თითქმის ერთმანეთის იდენტურია. რაც შეეხება ბროსეს ვარიანტის მეექვსე სტრიქონის პირველ სიტყვას „თრთმრი“, მას ფრანგი ქართველოლოგი უკავშირებს ქალაქ თორთომს „ჭოროხის ქვემოთ“, მაგრამ მასაც ეჭვი ეპარება ტერიტორიული შეუსაბამობის გამო და სიტყვის ბოლოს კითხვის ნიშანს სვამს. იმავე სტრიქონში „გრიგოლის“ მომდევნო „თ“-ს, ბროსე კითხულობს, როგორც „თეოდორეს“[1].

მართლაც, თორთომი ტაოში მდებარეობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წარწერა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს თბილისიდან გამოსვლის დღესვე უნახავს, ნაკლებად სავარაუდოა, ქტიტორულ წარწერაში ტაო-კლარჯეთის ძეგლზე იყოს საუბარი.

მაინც რატომ კითხულობს ბროსე მეღვინეთხუცესიშვილისაგან განსხვავებით წარწერას, მით უფრო, რომ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გაგზავნილი მასალები დღესაც მარი ბროსეს ფონდშია დაცული პეტერბურგში და ფრანგი მეცნიერისათვის ხელმისაწვდომი იყო? საქმე ისაა, რომ ბროსემ „რაპორტების“ II ტომი, რომელშიც ზემოთ მოტანილი წარწერაა, 1850 წელს გამოსცა, მეღვინეთხუცესიშვილმა კი წარწერა იმავე წლის 3 ოქტომბერს ნახა, ხოლო ქვემო ქართლსა და სომხითში მოგზაურობიდან თბილისში ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდა. ბუნებრივია, იგი კიდევ უფრო გვიან გაგზავნიდა მასალებს პეტერბურგში. დიდი ალბათობით, ბროსემ წარწერა მანამ გამოაქვეყნა, სანამ დიმიტრის ჩანაწერებს ნახავდა. თვით ძეგლი და წარწერა ბროსეს საქართველოში

---

[1] **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I’ Armenie, II, გვ. 17.

მოგზაურობისას არ უნახავს და ერთ-ერთი მისი კორესპონ-დენტის ინფორმაციას ეყრდნობა[1].

გამორიცხული არ არის მეღვინეთხუცესიშვილისა და ბროსეს მიერ ზემოხსენებული წარწერის ერთი და იმავე ად-გილის („ოქროპირი“ - „თრთმრი“) განსხვავებულად წაკითხ-ვა, ასომთავრული „Ⴓ“-სა და „Ⴕ“-ს გრაფიკული მსგავსებით იყოს გამოწვეული. თუ ბროსეს წაკითხულში („თრთმრი“) „თ“-ს ნაცვლად „ო“-ს ვიგულისხმებთ (როგორც დ. მეღ-ვინეთხუცესიშვილი საკუთარი თვალით ნანახ წარწერაში კითხულობს ბროსესაგან განსხვავებით), წარწერების იდენ-ტურობა აქაც ცხადი ხდება.

მართალია, ზემოხსენებულ წარწერებიან ეკლესიას მეღ-ვინეთხუცესიშვილიც დასახელების გარეშე გადმოგვცემს, მაგ-რამ მისი ლოკალიზაცია, მწირი ფრაგმენტული მონაცემის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია.

---

[1] სხვათა შორის, ბროსეს არც ბეთანიის ტაძარი უნახავს, რადგან იგი 1851 წელს აღმოაჩინეს და ტაძრის წარწერებს იგი იმ დროის ცნო-ბილი ნუმიზმატისა და სიძველეთა მკვლევარ-მოყვარულის, პოლკოვნიკ ი. ბართოლომეის მიერ მისთვის გადაცემული ასლების მიხედვით განიხი-ლავს (**ვალერი სილოგავა**, ბეთანიის წარწერები, თბ., 1994, გვ. 10).

საგულისხმოა, რომ ასევე არ ემთხვევა ბროსესა და მეღვინეთხუ-ცესიშვილის წაკითხული მანგლისის წარწერების შინაარსი, რომელსაც დიმიტრი წყლულეთის შემდეგ აღწერს და მის ჩანაწერებს შედარებით მეტი საერთო აქვს მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილისა და აკაკი შანიძის მიერ წაკითხულ მანგლისის წარწერებთან.

ამ შემთხვევაშიც ბროსეს გამოქვეყნებული მანგლისის წარწერები წინ უსწრებს დიმ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ პეტერბურგში გამოქვეყ-ნებულ მასალებს და, როგორც ფრანგი ქართველოლოგი უთითებს, მისი კორესპონდენტები თავადი ბარათოვი, გ. სლივიცკი და ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი არიან (იხ: **М. Броссе**, Опить разбора надписей Манглисского Храма, გაზ. „Кавказ,” 09. 09. 1850, №71, გვ. 4).

ჩვენის აზრით, „ხევზეგადამდგარ“, „პატარა უგუმბათო თლილის ქვის“ ეკლესიაში დიმ. მელვინეთხუცესიშვილი უნდა გულისხმობდეს ქვემო წყლულეთის ივერიის ღვთისმშობლის დარბაზულ ეკლესიას, რომელიც ბეთანიიდან დასავლეთით, დაახლოებით 5 კილომეტრზე მდებარეობს. სტილისტურად და მხატვრულად იგი განეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს და მსგავსი არქიტექტურითა და კომპოზიციებით გამოირჩევა, როგორიც აღნიშნული პერიოდისა და რეგიონის სხვა ეკლესიებისთვისაა (მაღალაანთ ეკლესია, ბეთანიის მცირე ეკლესია, ახტალის ტაძარზე მიშენებული ეკვდერი და სხვ.) დამახასიათებელი[1]. იგი ძალზე დაზიანებული სახით შემოგვრჩა (იხ: დანართი 3-4), ჩამოშლილი იყო კამარა, სამხრეთის კედელი თითქმის აღარ არსებობდა და მხოლოდ გეგმაში იკითხებოდა. 2005 წელს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის აღდგენა[2].

ქვემო წყლულეთის ეკლესია შესწავლილი აქვთ გიორგი გაგოშიძესა[3] და დავით ბერიკაშვილს[4], მაგრამ ორივე მათგანს ძეგლი არქეოლოგიურ-არქიტექტურული კუთხით აქვთ განხილული და წარწერებზე საუბარი არ არის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი აღარ შემორჩა. ნაკლებად დამაჯე-

---

[1] **გიორგი გაგოშიძე**, ქვემო წყლულეთის დარბაზული ეკლესია, საქართველოს სიძველენი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, საქართველოს კულტურული მემკვიდეობის საინფორმაციო ცენტრი, თბ., 2008, № 12, გვ. 215-216.

[2] იხ: http://www.orthodoxy.ge/restavratsia/tskluleti/tskluleti.htm.

[3] **გიორგი გაგოშიძე**, ქვემო წყლულეთის დარბაზული ეკლესია, გვ. 213-229.

[4] **დავით ბერიკაშვილი**, ქვემო წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, არქეოლოგიური ჟურნალი, IV, თბ., 2006, გვ. 107-114.

რებელია, რომ დახვეწილი ორნამენტებითა და ჩუქურთმებით ასე მდიდარ ეკლესიას თავის დროზე წარწერები არ ჰქონოდა.

სამწუხაროდ, ვერც ზემოთ მოტანილ წარწერაში მოხსენიებული პირების ზუსტი იდენტიფიკაცია ხერხდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე გვირგვინოსანი თამარი ვიცით. ცნობილი თამარ მეფე, ასევე თამარი ერქვა ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) მეორე მეუღლეს[1], ერთიანი საქართველოს ბოლო მეფის - გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) პირველ მეუღლეს[2], ქართლის მეფეების: კონსტანტინე II-ის (1479-1505 წწ.)[3], დავით X-ის (1505-1525 წწ.)[4], ლუარსაბ I-ისა (1527-1556 წწ.)[5] და თეიმურაზ II-ის (1744-1762 წწ.)[6] მეუღლეებს. თუმცა, წარწერაში უპირობოდ დიდი თამარი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს ისტორიაში „მეფის“ ტიტულით გვირგვინოსანი მანდილოსანი მხოლოდ ის არის, და, მეორეც, სხვა თამართაგან, მეუღლეების გარეშე წარწერაში მათ არავინ მოიხსენიებდა.

რაც შეეხება ოქროპირიძეებს, ქართული ისტორიოგრაფიიდან XI საუკუნის შუა ხანებში ვიცნობთ კათალიკოს-პატრიარქ ოქროპირს. იგი სვეტიცხოვლის ამშენებელ მელქისედეკ I-საგან (1010-1033 წწ.) „შვილად გაზრდილია“. „მა-

---

[1] **სარგის კაკაბაძე**, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913, გვ. 20.

[2] **ივანე ჯავახიშვილი**, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 272-273.

[3] **ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება,” IV, თბ., 1973, გვ. 391.

[4] **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 399.

[5] „ქართლის ცხოვრება,” ტ. II, *ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით* ***ს. ყაუხჩიშვილის*** *მიერ*, თბ., 1959, გვ. 497.

[6] **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 491.

ტიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, სვეტიცხოვლის გარდა, ოქროპირმა სხვაც „მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განა[ა]ხლნა“[1]. იმავე წყაროს მიხედვით, ოქროპირი გარდაცვალებული ჩანს ბაგრატ IV-ის მეფობის ბოლო წლებში[2].

ასევე ცნობილია „მეფეთა-მეფე აფხაზეთისა და აღმოსავლით-დასავლამდე მპყრობელ პატრონ ხელმწიფის“ დავითისა და მისი ძის, დიმიტრის მიერ გაცემული სოფელ დისევის წყალობის სიგელი „კეთილგვაროვან ოქროპირიძეების“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სიგელი თარიღიანია („ქკ~ი სდ“=204, ანუ 1312+2014=1516 წ.), მკვლევარებს მაინც ეჭვი ეპარებათ, „მწყალობელ“ მეფეთ-მეფეში დავით აღმაშენებელი იგულისხმებოდა თუ ქართლის მეფე დავით X[3], თუმცა, ოქროპირიძეები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ წყალობა დიდი დავითისაგან მოდიოდა[4].

პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ახტალის მახლობლად უნახავს და გადმოუწერია XIII საუკუნის წარწერა, რომელშიც დეკანოზი ოქროპირია მოხსენიებული[5].

---

[1] „მატიანე ქართლისაჲ”, ქართლის ცხოვრება, ტ. I, *ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით* ***ს. ყაუხჩიშვილის*** *მიერ*, თბ., 1955, გვ. 296.

[2] „მატიანე ქართლისაჲ”, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 313.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე), *გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და სამიებლები დაურთო* ***თ. ჟორდანიამ***, ტფ., 1897, გვ. 334; **ი. მეგრელიძე**, სიძველეები ლიახვის ხეობაში, წ. II, თბ., 1997, გვ. 30-31.

[4] იხ: **ზურაბ ოქროპირიძე**, დავით აღმაშენებელი და შიდა ქართლი (ოქროპირიძეებისადმი გაცემული წყალობის წიგნის გამო), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომათა კრებული №7, თბ., 2014, გვ. 92-115.

[5] **ლეონ მელიქსეთ-ბეგი,** ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ-ს შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 313.

ოქროპირიძე ბასილა, ოქროპირსა და შერმაზანთან ერთად, ისტორიულ საბუთებში მოხსენიებულია შედარებით გვიან, XVIII ს-ის 80-იან წლებში[1], რასაც ზემოხსენებული წარწერის „ბასილთან“ ვერ გავაიგივებთ.

ყველაზე ადრეული საბუთი გიორგისშვილების შესახებ, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, ასევე გვიანდელია და 1624 თარიღდება[2], ამდენად, ვერც მათ შორის ვპოულობთ საერთოს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვფიქრობთ, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილ წარწერაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დიდი ქალი მეფის აღმშენებლობით საქმიანობას.

დამოწმებანი:

1. **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

2. **ბერიკაშვილი დავით**, ქვემო წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, არქეოლოგიური ჟურნალი, IV, თბ., 2006.

3. **გაგოშიძე გიორგი**, ქვემო წყლულეთის დარბაზული ეკლესია, საქართველოს სიძველენი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის

---

[1] იხ: განჩინება ამილბარ მაღალაშვილის ყმის შერმაზან ოქროპირიძის საქმეზე (22. 04. 1787 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ისიდორე დოლიძემ***., თბ., 1974, გვ. 366-368, დოკ. 220

[2] იხ: შეყრილობის წიგნი ზაქარია და იესე ჯავახიშვილისა გიორგი მოურავისადმი, სადაც დასახელებულნი არიან გიორგისშვილები „სასახლითა და ხუთის კომლის კაცითა“. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ისიდორე დოლიძემ***., თბ., 1985, გვ. 837-838, დოკ. 847

ეროვნული ცენტრი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი, თბ., 2008, № 12.
4. გაზ. „ივერია“, 12. 05. 1898, № 98.
5. გაზ. „ივერია“, 24. 10. 1898, №227.
6. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 22. 12. 1896, № 64.
7. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 26. 01. 1897, № 98.
8. **კაკაბაძე სარგის**, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913.
9. **„მატიანე ქართლისაჲ“,** ქართლის ცხოვრება, ტ. I, *ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით* ***ს. ყაუხჩიშვილის*** *მიერ*, თბ., 1955.
10. **მეგრელიძე იოსებ**. სიძველეები ლიახვის ხეობაში, წ. II, თბ., 1997.
11. **მელიქსეთ-ბეგი ლეონ,** ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ-ს შრომები, ტ. 108, თბ., 1964.
12. **ოქროპირიძე ზურაბ**, დავით აღმაშენებელი და შიდა ქართლი (ოქროპირიძეებისადმი გაცემული წყალობის წიგნის გამო), გორის სს უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომათა კრებული, № 7, თბ., 2014.
13. **სილოგავა ვალერი**, ბეთანიის წარწერები, თბ., 1994.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. II, *ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით* ***ს. ყაუხჩიშვილის*** *მიერ*, თბ., 1959.
15. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ისიდორე დოლიძემ***, თბ., 1974.
16. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ისიდორე დოლიძემ***., თბ., 1985.
17. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე), *გამოსაცემად მო-*

ამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ***თ. ჟორდანიამ,*** ტფ., 1897.
18. **ჯავახიშვილი ივანე**, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982.
19. Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 125.
20. **Brosset M.**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848, SPB 1850, II.
21. **Гагарин Гр**. Бетания, «Кавказ», 21.09.1851, # 72.
22. ***ელ. რესურსები:***
http://www. orthodoxy.ge/eklesiebi/betania.htm.

http://www.orthodoxy.ge/restavratsia/tskluleti/tskluleti.htm.
http://books.google.ge/books?id=4ZuBhpTCme4C&pg=PAPP9&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Ioseb (Soso) Alimbarashvili
Gori State Teaching University

ABOUT ONE LAPIDARY INSCRIPTION OF THE OKROPIRIDZE

RESUME

The article analyzes the Ktitor Inscription, which was found on October 3, 1850 in Kvemo Kartli by Georgian historian, ethnographer and public figure Dimitri Meghvinetkhutsesishvili. Nowadays these materials protected

in the manuscript department at the Institute of Oriental Studies of St. Petersburg Academy of Science, in Marie-Brosset collections.

This inscription tells about Constantine, Nikoloz and Basil Okropiridze, who built a temple during the reign of King Tamara.

Unfortunately, this lapidary inscription is no longer available, if we don't mean the same inscription, which was read differently by Marie-Brosset in 1850.

It should be mentioned, that Brosset had not seen the inscription. He relies on one of the correspondent information.

Dimitri Meghvinetkhutsesishvili also did not specify the place of the temple, where the inscription was read, but of his journey description it's possible to identify the location of the monastery.

დანართი 1



დანართი 2


. . . . ՈՐՀԵՐ ԵԷՀ ԿՈՐԷ
ՀԱՕԿԷ . . . . . ՀՈՒՐԷԲՆԿՊ
, ... ԲՀՈՔԷԵ ՊԵՊ ՊԿԿՊԵՆԷ
ՀՊՈՈԿՆԵԷ ՈՀԱՀՆԵՐԵԷ ԷԳԷՅՊՔՊՈ
ՊՆՈՐԿՆ ՅԳՆԿՈՒԷ ԿՈԵՏՆԳՈՆՊ ՇԷ ԲՀԿՈԵՀՈՆ
ԿԷԵՆԿՆ
ՈՀՈՒՀՀՈՆ ՇԷ ԿՐՈՁՈԿ Ո ՈՐ ՅՊՁՆՔՁՆՔ ԳՈՔ-
ԵՀԷՆ ՀՕՆՆՇՆՀԳԷ ԷՀԷԵ ԿՁՔԷ. ԷՀՀԲ

დანართი 3

დანართი 4

სოფიო ანდღულაძე
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის
რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი

წმიდა აღმსარებელი ფილიმონის (კარბელაშვილი) ცხოვრებისა და მოქალაქეობის საღვთისმეტყველო გააზრებისათვის (წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლის (ფერაძე) „მამაო ჩვენოს“ განმარტების მიხედვით)

წმიდანთა კანონიზირება, როგორც წესი, მათთვის სათანადო პატივის მიგების გარდა, მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისითაც, რამეთუ წმიდა ადამიანების ცხოვრება მასსების ცხოვრებაზე ამაღლებულია, განწმენდილია და სამაგალითოა. ამიტომ საუკეთესო ორიენტირს წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების ურთულეს რეალიებში გზის გასაკვლევად. ჩვენი მიზანია XIX საუკუნის თვალსაჩინო სასულიერო პირის, წმიდა აღმსარებელი ფილიმონის (კარბელაშვილი, 1836-1879) ცხოვრებისა და მოქალაქეობის წარმოჩენა გამოჩენილი სასულიერო პირისა და მეცნიერის, წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლის (ფერაძე, 1899-1942) „მამაო ჩვენოს“ საღვთისმეტყველო განმარტების მიხედვით გავაანალიზოთ, რას ნიშნავს პიროვნების როლი და მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში, რომელსაც ქართველი ერი მადლმოსილებს უწოდებს[1].

გრიგოლ ფერაძე „მამაო ჩვენოს“ განმარტების დასაწყისშივე მიუთითებს ადამიანის დამოკიდებულებას ღმერთისა

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 44.

და სამშობლოს მიმართ: „როდესაც ეკლესია ლოცულობს ან ლაპარაკობს სამშობლოზე, ის არ გულისხმობს პირველ რიგში ტაძრებს ან საქართველოს მთებს და ველებს, არამედ იმ ადამიანს და მის კეთილდღეობას, რომელიც ამ ყველაფერს ქმნის, დარაჯობს, სულს უდგამს, ინახავს და იცავს“ - აღნიშნავს იგი და მორწმუნე ადამიანის უმთავრეს მიზანს აყალიბებს: პირველ რიგში ღვთისა და სასუფევლის ძიებას და შემდგომ ამისა ღვთის სიმართლის ძიებას ამ ქვეყანაზე, რაც გამოიხატება ქვეყნის თავისუფლება-განვითარებისათვის ბრძოლაში[1]. ყოველივე აღნიშნული სრულიად მიესადაგება ფილიმონ კარბელაშვილის ცხოვრების ხანმოკლე, თუმცა მტკიცე და შეუვალ გზას ღვთისა და სასუფევლის ძიებისა და სამშობლო ქვეყნის განვითარებისათვის ბრძოლაში. გრიგოლ ფერაძის განმარტებით, ასეთი ადამიანი წარმოადგენს პიროვნებას, რომლის ცხოვრების ორიენტაციას წარმოადგენს მადლის მოპოვება და იწოდება ღვთისაგან მადლმოპოვებულად. ასეთი საკრალური მნიშვნელობთ იხმარებოდა ეს სიტყვა ყოველთვის და იხმარება დღესაც.

ფილიმონ კარბელაშვილმა, რომელიც მგალობელ კარბელაშვილთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნებისა და სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა მთლიანად გამოხატავს მასსებზე ამაღლებული პიროვნების ყველა იმ თვისებასა და მისწრაფებას, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ყოველივე ნათლად ჩანს ასევე ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სტა-

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 44.

ტიებშიც მისი ზოგიერთი ქადაგების შესახებ[1], რომლებიც ღრმა საღვთისმეტყველო ხასიათისაა და ამასთანავე იმ ეპოქის სულს გამოხატავს, რა რეალობაშიც უხდებოდა მას ცხოვრება და მოქალაქეობა. ამ უკანასკნელი სიტყვის – „მოქალაქეობის“ განმარტებას საუკეთესოდ გვაწვდის გრიგოლ ფერაძე ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ „მამაო ჩვენოს“ განმარტებაში, რომელიც მოქალაქედ მიიჩნევს მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობას. სწორედ ასეთი კაცის ცხოვრებას უწოდებს იგი მოქალაქეობას. გრიგოლ ფერაძე მიანიშნებს ამ სიტყვის შინაარსობრივ დატვირთვაზე და განმარტავს, რომ მოქალაქეობის შესატყვისი ტერმინი სხვა ენებში ისე სრულად და ამომწურავად ვერ აღნიშნავს ამ სიტყვის მნიშვნელობას, როგორც ქართულში. ოდითგანვე, ამა თუ იმ წმინდანის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოები ქართულ საისტორიო-სასულიერო მწერლობაში, ყოველთვის იწოდებოდა როგორც „ცხოვრება და მოქალაქეობა“. გრიგოლ ფერაძე განმარტავს, რომ – „...სიტყვა „მოქალაქეობა“ გულისხმობს წმიდანის სულიერ ცხოვრებას, მის ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან იმ აზრების და პრინციპების განხორციელებისათვის, რომელნიც მას აღელვებენ და

[1] ანდღულაძე ს., ღვთის შემეცნების საკითხისათვის (დეკანოზ ფილიმონ კარბელაშვილის ქადაგების - „ცნობა ღმრთისა ბუნებითგან“ მიხედვით), **ქრისტიანობის კვლევები [VI]**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი, თბ., 2011, გვ. 10-19; ანდღულაძე ს., წმიდა აღმსარებელი მღვდელი ფილიმონი (კარბელაშვილი) - „სამოციანელთა“ პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელი, **ჩვენი სულიერების ბალავარი,** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII, ბათ., 17-18 აპრილი, 2015, თბ., 2015, გვ. 23-28.

რომელთა განხორციელება მას თავის ცხოვრების მიზნად დაუსახავს“[1]. აქვე მიუთითებს სიტყვა „ ღვაწლის“ მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ იგი შედეგია მოქალაქეობისა და უფრო ხმამაღლა ნათქვამი და რიხიანია. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას, წინდახედულობას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არა ადამიანის მონობის, არამედ განათლებულობის მაჩვენებელია. მოითხოვს ასევე სხვისი აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნასა და დაფასებას. მოქალაქეობა ასევე არის მსხვერპლის გაღება, ცხოვრება აწმყოში. იესო ქრისტეს განკაცებაც ამ ქვეყნად იმიტომ განხორციელდა, რომ ადამიანისათვის ეს ცხოვრება აწმყოთი ესწავლებინა და ის ეთქვა ადამიანისათვის: „ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ვარგა, იგი არც იმ ქვეყნის მოქალაქედ გამოდგება“.

გრიგოლ ფერაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ იესო ქრისტეს სიტყვა, ჩავარდნილი მასსებში, არ ეძებს მასსებს, არამედ მადლის მიმღებ ადამიანებს, პიროვნებებს, რომლებიც გაცილებით მეტს გრძნობენ, ვიდრე სხვები და რომელთა სული გამთბარია ჭეშმარიტებით. ასეთი პიროვნებები ქმნიან ეკლესიას და სწორედ აქედან ირჩევს იესო ქრისტე თავისი სიტყვის მქადაგებლებს. ამიტომ, გრიგოლ ფერაძე გვირჩევს ამ მაგალითის გათვალისწინებას. მისი შეხედულებით, ეკლესიის დაღუპვის დღე იქიდან დაიწყო, როდესაც მისმა მსახურებმა ამ სიტყვას უღალატეს და ეკლესიის კარები გაუღეს მასსებს. „... ეკლესიას ისეთ ბილიკებზე უხდება სიარული, სადაც მას მასსა ვეღარ მიყვება, არამედ მხოლოდ რჩე-

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 53

ულნი, ვინც გრძნობენ თავისში ქრისტეს ცეცხლს“[1]. სწორედ ეს ცეცხლია ის ცოცხალი სარწმუნოება, რომლითაც გაჯერებულია ჭეშმარიტი მორწმუნის გული. სარწმუნოების ამგვარი შინაარსით მატარებელი ფილიმონ კარბელაშვილი, შიშითა და ძრწოლით მიმართავდა ტაძარში შეკრებილ მრევლს მისი მღვდლად კურთხევის პირველსავე დღეს – 1859 წლის 25 ნოემბერს: „...გევედრებით საყვარელნო ქრისტიანენო! სახელითა იესო ქრისტესითა, მწე მეყვენით მე ამა ძნელსა მსახურებასა შინა განკეთილებითა ცხოვრებისა თქუენისათა და მარად ზრუნვითა ცხოვნებისათვის თქუენისა ...“[2].

გრიგოლ ფერაძე „მამაო ჩვენოს“ განმარტებაში ასევე აღნიშნავს ღვთის მიერ „ცოდვის კითხვის“ შესახებ, რომ ყოველი სასჯელი წარსულში ჩვენი ისტორიიდან თუ სხვა ქვეყნის ისტორიიდან, ან რომელიმე ადამიანის ცხოვრებიდან, ნიშნავს მისთვის თვალის ახელვას. ე.ი. საკუთარ თავში ჩახედვას და სინანულს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა სინანულს ხშირად ვერ ვხვდებით ცხოვრებაში. როდესაც ჩვენ, სარკეში ჩვენი საკუთარი სახე, ჩვენი მოყვასის სახედ მიგვაჩნია და თვითოეული ჩვენთაგანი დანაშაულს სხვებს თავზე ახვევს და თავი უდანაშაულო მსხვერპლად მიაჩნია. გრიგოლ ფერაძე ამხელს ქართული ეროვნული ეკლესიის წარმომადგენელთა საქმიანობას XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოს სამეფო სამთავროების დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ეროვნული ეკლესიაც დამონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის მიერ, მაგრამ ეს ფაქტი სრულიად არ ამართლებდა მას, რომელმაც ალღო ვერ აუღო ერის სურვი-

---

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 44

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, ფონდი № 621, გვ. 15-20.

ლებსა და მისწრაფებებს. ერს, რომელსაც სიცოცხლე სურდა და სიმართლეს ეძებდა, რომელსაც ეკლესია უყვარდა და ეკლესიის მსახურს პატივს სცემდა[1]. ამ შემთხვევაში, გრიგოლ ფერაძე ქართველი სამღვდელოების იმ ნაწილს საყვედურობს, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და მისი რეორგანიზაციის შემდეგ, იმპერიის სამსახურში ჩადგა და ხელი შეუწყო ქართველ ერში სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის ჩამოყალიბებას. „...ცნობილი ქართული სიბრძნე – „როგორიც ბერი, ისეთი ერიც," არ უნდა დაგვავიწყდეს, - აღნიშნავს ის. „...ქართველი ერის აზროვნება არაა მატერიალისტური, არამედ იდეალისტური. ე.ი. რა სიმაღლეზეც იდგება სამღვდელოება, თვით მატარებელნი მორალურ-ზნეობრივი-რელიგიური პრინციპების, მისი ყოველგვარი მნიშვნელობით, ამ სიმაღლეზე იქნება თვით ერიც"[2]. მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ იმავე XIX საუკუნეში, ეროვნული ეკლესიის სამსახურში იყვნენ სანიმუშო ღვთისმსახურებიც, პიროვნებები, რომელთა შორის ფილიმონ კარბელაშვილიც მოიაზრება. იმის მიუხედავად, რომ ფილიმონ კარბელაშვილის ცხოვრებამ რუსული იმპერიული მმართველობის წნეხის ქვეშ გაიარა, მაინც არ დაუკარგავს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების შინაარსი და თავისი ეპოქის სანიმუშო მოძღვრის სახელი დაიმკვიდრა. (ვფიქრობთ ყოველივეს დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ ჩვენი ერის სულიერმა მამამ, წმიდა ილია მართალმა (ჭავჭავაძე) თავის უკვდავ ნაწარმოებში - „გლახის ნაამბობში" იგი მოძღვრის სახეში გამოხატა – ს.ა). მას შეეძლო ერის ნაკლოვანი მხარეების სრულად ჩამო-

---

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს" განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 57

[2] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს" განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001 გვ. 58

ყალიბება და დამოძღვრა, რაც ესოდენ საშური საქმე იყო მაშინდელი ეკლესიური ცხოვრების რეალობაში. გრიგოლ ფერაძეც სწორედ ქართველი ერის ნაკლოვანებების დანახვის შესახებ მიუთითებს, რომ ყველაფერი „ბოროტს“ არ უნდა დაბრალდეს, ისე როგორც ეს მოხდა XIX საუკუნეში, როდესაც ბევრ სისაძაგლეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან მხოლოდ რუსებს აბრალებდნენ. ასეთი აზროვნებით ადამიანი და მით უმეტეს ერი, თავის სულიერ ცხოვრებაში ნაბიჯს წინ ვერ წარსდგამს[1]. „...სენი, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და კეთრივით მოსდებია ერს, უსპობს გზას წარმატებისკენ. ეს სენი დღესაც, როგორც არასდროს, აგლეჯს ერის სხეულს ჯანსაღ ნაწილებს, წამლავს და ალპობს მის ერთეულს და ამსგავსებს მას, როგორც რაიმე ჩონჩხს, ლანდს, უღონო რაიმე არსებას. ესაა ჩვენი ერის ქიშპობა, პარტიებად დაყოფა, რაღაცა პრინციპების წინაშე კულტი, აუცილებლობა „ჩემი შენსა სჯობს“ – ეშმაკს, ბოროტ სულს ამ სენით ჰეგემონია უჭირავს ჩვენ ერზედ და აფერხებს ყოველ მის წინსვლას და ცხოვრებას. ჩვენი ერი, ე.ი ჩვენი წინაპრები, გრძნობდნენ ამ საშინელ სენს – მათ კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ ჯანსაღ ადამიანს, ერთეულს და განუყოფელს შეუძლია მხოლოდ გამარჯვება და დაგვიტოვეს მათ ანდერძად სისრულე, რომელიცაა უმაღლესი წერტილი ქრისტიანული ეთიკის – იყავით ისე სრულნი, ვითარცა მამა თქვენი ზეციური სრულ არს“[2]. გრიგოლ ფერაძის მიერ გაჟღერებული სიტყვები, რომელიც ჩვენი ერის ნაკლოვან მხარეებს შეეხება, საოცარი სიზუსტით მიესადაგება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ

---

[1] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001 გვ. 71

[2] წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001 გვ. 72

პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ყოფას და ერს დაფიქრებისაკენ და სულიერი ცხოვრების გაჯანსაღებისაკენ მოუწოდებს.

ამრიგად, XIX საუკუნის თვალსაჩინო წარმომადგნლის, წმიდა აღმსარებელ ფილიმონის (კარბელაშვილი) ცხოვრება და მოქალაქეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, პიროვნებამ და ღვთისმსახურმა. მისი ღირსეული მოქალაქეობის შედეგს წარმოადგენს უმცროსი ძმების, აგრეთვე წმიდანებად შერაცხული წმიდა აღმსარებლების ეპისკოპოსი სტეფანეს, დეკანოზი პოლიევქტოსის, მღვდელმოწამეთა ანდრია და პეტრეს ღვაწლი და დამსახურება ღვთისა და ერის წინაშე. ფილიმონ კარბელაშილის ხანმოკლე, მაგრამ მადლმოსილი ცხოვრება მაგალითი აღმოჩნდა ძმებისათვის. წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) „მამაო ჩვენოს“ განმარტებაში სწორედ ასეთი პიროვნებების შესახებ მიანიშნებდა, სადაც მის მიერ მკვეთრად იქნა გამოკვეთილი მხურვალე ქრისტიანისა და პიროვნების ფუნქცია-დანიშნულება ღვთისა და ერის სამსახურში.

დამოწმებანი:

1. ანდღულაძე ს., ღვთის შემეცნების საკითხისათვის (დეკანოზ ფილიმონ კარბელაშვილის ქადაგების - „ცნობა ღმრთისა ბუნებითგან“ მიხედვით), **ქრისტიანობის კვლევები [VI]**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი, თბ., 2011.

2. ანდღულაძე ს., წმიდა აღმსარებელი მღვდელი ფილიმონი (კარბელაშვილი) - „სამოციანელთა“ პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელი, **ჩვენი სულიერების ბალავარი,** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII, ბათუმი, 17-18 აპრილი, 2015, თბ., 2015.
3. წმიდა მღდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბ., 2001.
4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, ფონდი № 621.

Sophio Andguladze
Institute of Religion Studies of Sukhumi and Abkhazia Diocese

FOR REALIZING THEOLOGY OF LIFE AND CIVIC DUTY OF HOLY.PHILIMON CONFESSOR (ACCORDING TO HOLY PRIEST GRIGOLI'S "OUR FATHER'S" DEFINITION)

RESUME

The life and citizenship of Philimon (Karbelashvili) who was a conspicuous representative of 19th century is the great example how a true Christian, person and priest should live. The results of his excellent civic duty is his younger brothers'- also Holy. confessors-bishop Stefani, archpriest Polievqto's - The merit of Andria and Peter to the God and nation. His short but charitable way of life was an example for his brothers. In the definition of "Our Father's" the Holy priest Grigoli (Peradze) suggested such person , where he clearly mentioned a function and designation of a person and a flaming Christian to the God and nation's job.

ეთერ ბოკელავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების პოლიტიკური საფუძვლები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი მწყემსმთავრების წინამძღოლობით, უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ერის, როგორც საზოგადოებრივ-კულტურულ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდია ქართველი მწყემსმთავრების ღვაწლი საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ეკლესიის, როგორც უძველესი სამოციქულო ეკლესიისა და მისი სამწყსოს – ქართველი ერის მდიდარი ქრისტიანული კულტურის წარმოჩენის და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის კუთხითაც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო პერიოდს წარმოადგენს ცივი ომის ეპოქა და საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა საერთაშორისო რელიგიურ და დიპლომატიურ პროცესებში. ამ თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქართული ეკლესიის მოღვაწეობა აღნიშნული პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური მოძრაობის (ეკუმენიზმი) და მისი მთავარი ორგანოს – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ცივი ომის პერიოდის ქრისტიანულ ეკლესიათა როლის გაშუქებას დაპირისპირებულ (დასავლურ და აღმოსავლურ) ბანაკებს შორის ურთიერთობებში და ქართული ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს

საქმიანობაში ჩართვის პოლიტიკური საფუძვლების განხილვას.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებულ დასავლურ (კაპიტალისტურ) და აღმოსავლურ (სოციალისტურ) ბანაკებს შორის იდეოლოგიური ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს შეეხო. საერთაშორისო პოლიტიკის მესვეურებმა, რომელთაც ღრმაც ჰქონდათ გაცნობიერებული რელიგიის ისტორიული როლი მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაში, საკუთარი ინტერესების განხორციელება ქრისტიანული ეკლესიის დახმარებით სცადეს. ამ მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა დასავლური ბანაკის მთავარი იდეოლოგის – აშშ-ის ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ–ის ხელისუფლებამ ყურადღება ქრისტიანული ეკლესიისაკენ (უმთავრესად, პროტესტანტული და კათოლიკური) მიმართა. ღრმად იაზრებდა რა მის შესაძლებლობებს საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სფეროში, მისი გამოყენება საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის სცადა. აღნიშნულს თან ერთვოდა ის გარემოებაც, რომ იგი ზედმიწევნით იყო ინფორმირებული მოწინააღმდეგე – ბოლშევიკურ იმპერიაში ეკლესიის საერთო მდგომარეობის შესახებ და იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირის წიმააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში გამარჯვებას სწორედ ეკლესიის მეშვეობით მოიპოვებდა. ამ მიზნით, აშშ–ში იწყება რელიგიასთან და განსაკუთრებით ქრისტიანულ ეკლესიასთან დაახლოება. ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს საზოგადოების რელიგიური გრძნობების დაცვისა და ქრისტიანული დემოკრატიის პრინციპების პროპაგანდა, რაც იმთავითვე ანტიკომუნისტური მოძრაობის იდეურ საფუძვლად ჩამოყალიბდა. თანამედროვე დასავლურ ისტორიოგრაფიაში

მიჩნეულია, რომ აღნიშნული კუთხით რელიგიის ფაქტორის ჩართვამ საერთაშორისო ურთიერთობებში ხელი შეუწყო და მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა სისტემის ლიბერალიზაციისკენ, გარდაქმნებისკენ სწრაფვა. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი დენიელ შაბინი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „რუსეთის ეკლესიის ისტორია", მიუთითებდა, რომ საერთაშორისო დიპლომატიურ პროცესში ეკლესიის ჩართვამ საბჭოთა სისტემას უბიძგა უფრო მეტად გახსნილი ყოფილიყო. მართალია, ეკლესია რჩებოდა ანტისაბჭოთა ინსტიტუტად, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ის გადაიქცა ძალიან მძლავრ იარაღად, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი როლის შესრულება შეძლო.

ნიშანდობლივია ის, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის რელიგიურ საფუძვლებს აქტიურად დაუჭირა მხარი ვატიკანმა, რომელმაც მსოფლიო ეკლესიებს ათეისტური კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. მკვლევარ დაიან ქირბის შეფასებით, ვატიკანის პოზიციას საკუთრივ რომის საეკლესიო-პოლიტიკური ამბიციები განსაზღვრავდა. კერძოდ, იგი შიშობდა, რომ ომის მძიმე გამოცდილების შედეგად, შესაძლოა მესიანისტური რუსეთის მართლმადიდებლური კონცეფცია შერწყმოდა „მესიანისტური პროლეტარიატის" მარქსისტულ კონცეფციას, რაც მის პოზიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

რომთან კავშირს და მისი საერთაშორისო სასულიერო ძალაუფლების საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებას აშშ-ის ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. თუმცა არსებობდა პროტესტანტული მხარე, რომელსაც შეეძლო მისი მიზნების განხორციელებისთვის საფრთხე შეექმნა. საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, 1947 წელს ტრუმენი ხვდება ამერიკის პროტესტანტობის ლიდერებს და, მათი

მხარდაჭერის მოპოვების იმედით, არწმუნებს აშშ-ის ვატიკანთან პოლიტიკური კავშირის მნიშვნელობაში[1]. აშშ-ის ხელისუფლების მჭიდრო კავშირი მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებთან აღნიშნულ პერიოდში, დასავლურ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც „ჯვაროსნული მოძრაობა ათეისტური კომუნიზმის“ წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაახლოება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, როგორც მსოფლიოს ეკლესიათა თანამეგობრობა, 1948 წელს შეიქმნა. მას საფუძვლად დაედო პროტესტანტულ სამყაროში ჩამოყალიბებული ორი მისიონერული მოძრაობის: „რწმენა და წყობა“ და „პრაქტიკული ქრისტიანობა“ გაერთიანება, რომელთა მიზანს ქრისტიანულ ეკლესიებს შორის გამყოფი ბარიერების მოხსნა და მათი დაახლოება წარმოადგენდა, როგორც საეკლესიო-საღვთისმეტყველო სფეროში, ისე მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ–მორალური პრობლემების გადაჭრის საქმეში. 1948 წელს ოფიციალურად დაარსებულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ქრისტიანულ ეკლესიათა შორის მედიატორის როლის შესრულება დაეკისრა.

ცივი ომის პერიოდში ეკლესიათა მსოფლიო საბჭო აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში, მსოფლიო სამშვიდობო მისიებში და აშშ-ის ხელისუფლების გავლენით, კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1954 წლის აგვისტოში, ევანსტონში

[1] Raymond L. Garthoff, The Great Transition: American-Soviet Relations and the End of the Cold War, Brookings Institution Press 2003, pp. 23.

გამართული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეორე ასამბლეა, რომელსაც უშუალოდ აშშ-ის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერიც ესწრებოდა. ასამბლეაზე მსოფლიოს რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საჯაროდ დაგმეს კომუნიზმი და კომუნისტური სისტემის გავლენა ქრისტიანულ ეკლესიაზე. ეს ფაქტი დასავლეთის მხრიდან საბჭოთა კავშირის ღია გამოწვევას წარმოადგენდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ქმედით ნაბიჯებს მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირში შემავალი ქრისტიანული ეკლესიების პოზიცია პროტესტანტულ წიაღში აღმოცენებული ეკუმენური მოძრაობისა და მისი ცენტრალური ორგანოს – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობისადმი, XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგამდე ცალსახად უარყოფითი იყო. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორი: საბჭოთა ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვნად შეზღუდა რუსეთისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიების საერთაშორისო კონტაქტები. 40–იანი წლებიდან კი „წითელი ეკლესიის“ ფორმირების შემდგომ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერ ძალად იქცა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო–დიპლომატიურ ასპარეზზე. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ვითარებისა და იოსებ სტალინის საგარეო პოლიტიკური კურსის გავლენით (რაც დასავლურ სამყაროსთან საბჭოთა იმპერიის სრულ გამიჯვნასა და გარკვეულ იზოლაციონიზმს გულისხმობდა), რუსეთის ეკლესია ემიჯნებოდა დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებს ეკუმენური მოძრაობის სახით, რომელიც, თავის მხრივ, ამერიკულ და ევროპულ წრეებთან იყო კავშირში.

ჯერ კიდევ 1948 წლის ივლისში მოსკოვში შემდგარმა საეკლესიო კრებამ, რომელსაც რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის კათოლიკოს-პატრიარქების გარდა, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და სხვა ქრისტიანულ ეკლესიათა მწყემსმთავრები ესწრებოდნენ, მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით „ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“. მასში აღნიშნული იყო, რომ მართლმადიდებელი ეკლესია იდგა გამოწვევის წინაშე, ერთი მხრივ, რომის კათოლიკური ეკლესიის, მეორე – პროტესტანტობის მხრიდან. ისინი ურთიერთდაპირისპირების ფონზე, მართლმადიდებელ ეკლესიაში ცდილობდნენ მოკავშირის პოვნას, რაც ხელს შეუწყობდა მათი, როგორც გავლენიანი საერთაშორისო ძალის მნიშვნელობის შენარჩუნებას[1]. კრება გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ეკუმენიზმმა XX საუკუნის 30–40–იანი წლებიდან განიცადა ტრანსფორმაცია: დაშორდა პირვანდელ რელიგიურ საფუძვლებს (რაც დოგმატურ–სამოძღვრო საფუძველზე ეკლესიათა დაახლოება-გაერთიანებას გულისხმობდა), მთელი ძალისხმევა სოციალურ–პოლიტიკური ცხოვრებისაკენ მიმართა და „ეკუმენური ეკლესიის“ სახით საერთაშორისო გავლენიანი ძალის შექმნა დაისახა მიზნად. ამის გამო, კრების მონაწილე ეკლესიები უარს ამბობდნენ ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე[2].

რუსეთისგან გაგზავნილი ნოტის საპასუხოდ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო იწყებს ისეთი დეკლარაციების მიღებას, რომელთა მეშვეობით ცდილობს გააბათილოს ყველა ის წინა-

---

[1] რეზოლუცია საკითხზე „ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“, მოსკოვი, 1948, კრ. ეკლესიის საზღვრები, თბ., 2000, გვ. 203.

[2] რეზოლუცია საკითხზე „ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“, მოსკოვი, 1948, კრ. ეკლესიის საზღვრები, გვ. 205.

პირობა, რასაც რუსეთის ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბ-ჭოში გაწევრიანების დამაბრკოლებელ ფაქტორად აცხადებდა. თუმცა, საბჭოთა კავშირში შემავალი ეკლესიების პოზიცია ეკუმენური მოძრაობისადმი, 60-იანი წლების დამდეგამდე უცვლელი დარჩა.

ვითარება იცვლება მხოლოდ ნ. ხრუშჩოვის ხელისუფ-ლებაში მოსვლისა და ე.წ. „დესტალინიზაციის" პროცესის პარალელურად. „დესტალიზინაცია" საბჭოთა კავშირის საგა-რეო პოლიტიკასა და მასში შემავალ ქრისტიანულ ეკლესია-თა საერთაშორისო როლსაც შეეხო. საბჭოთა კავშირი იწ-ყებს დასავლურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაახლო-ება–თანამშრომლობას[1]. აგრეთვე, იწყება საბჭოთა იმპერიაში არსებული ქრისტიანული ეკლესიების საერთაშორისო ასპა-რეზზე გასვლა და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე საეკლე-სიო მოვლენებში ჩართვა.

1954 წლის ევანსტონის ასამბლეის ღია გამოწვევის საპასუხოდ კი საბჭოთა ხელისუფლება იწყებს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში სსრკ-ის ეკლესიების გაწევრიანების სა-კითხის განხილვას. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში აღიქმებოდა, როგორც დასავლუ-რი პოლიტიკური დაჯგუფების ინსტრუმენტი, რომელიც რე-ლიგიურ სფეროში ხელოვნურად ქმნიდა ანტისოციალისტურ ატმოსფეროს. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას მართებდა, სწორედ ეკლესიითა და რელიგიური ორგანიზაციებით დაპი-რისპირებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოლიტიკურ

[1] J. A. Hebly. The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches, 1948-1985 წიგნში Religious Policy in the Soviet Union Edited by Sabrina Petra Ramet, Cambridge University Press, 1993, pp. 108-110.

ტენდენციებს. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლით რუსეთისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ეკლესიები უნდა ჩაბმულიყვნენ დასავლურ რელიგიურ წრეებთან დისკუსიაში, შეესუსტებინათ დასავლური პროპაგანდა სოციალისტურ ქვეყნებში ეკლესიის დევნის შესახებ და დაეთრგუნათ ანტიკომუნისტური ტენდენციები[1].

1961 წლის 31 მარტს რუსეთის ეკლესიის სინოდი იღებს გადაწყვეტილებას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. 1961 წლის ნოემბერში ნიუ–დელიში გამართულ ემს–ს მესამე გენერალურ ასამბლეას უერთდებიან რუსეთისა და მასთან ერთად, რუმინეთის, ბულგარეთის და პოლონეთის ეკლესიები[2]. 1962 წლის 4 მაისს კი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II აცხადებს თანხმობას, საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ[3]. მკვლევარ ნ. ბარდაველიძის შეფასებით, „ემს–ში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სჭირდებოდა მხარდაჭერა, ერთგული პარტნიორობა და თან ავტორიტეტული, ისეთი, ვისაც ვერ დასწამებდნენ საბჭოურ რეჟიმთან თანამშრომლობას და არც იმდენად ძლიერი, რომ წინ აღდგომოდა მოსკოვის საპატრიარქოს ინტერესებს... ამგვარი თვისებებით შემკული აღმოჩნდა საქარ-

---

[1] J. A. Hebly. The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches, 1948-1985 წიგნში Religious Policy in the Soviet Union Edited by Sabrina Petra Ramet, Cambridge University Press, 1993, pp. 114-116.

[2] Протоиерей Максим Козлов, Русская Православная Церковь и экуменическое движение (ინტერნეტ ვერსია) http://www.pravoslavie.ru/jurnal/475.htm

[3] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II, თბ., 2007, გვ. 39.

თველოს სამოციქულო ეკლესია“[1]. უფლებაშეზღუდულ ქართულ სამოციქულო ეკლესიას არ შესწევდა ძალა რადიკალურად დაპირისპირებოდა სსრკ–ის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს, თუმცა, ეკუმენურ მოძრაობასთან იძულებითი შეერთების ფაქტი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა. XX საუკუნის 60–70–იან წლებში საქართველოს ეკლესია გავიდა ფართო საეკლესიო–დიპლომატიურ ასპარეზზე. განახლდა ურთიერთობები მსოფლიოს უძველეს ქრისტიანულ საპატრიარქოებთან. საქართველოს ეკლესიას საშუალება მიეცა მსოფლიო საზოგადოების წინაშე წარმოეჩინა ქართული ეკლესიის ისტორიული წარსული და მდიდარი ტრადიციები, დაერღვია სტერეოტიპი, რომელიც მას ისტორიულად რუსეთის საპატრიარქოს ორგანულ ნაწილად და 1917 წლიდან მისგან გამოყოფილ ავტონომიურ ეკლესიად მოიაზრებდა. აღნიშნულს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხში. სწორედ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნის მეშვეობით შეძლო საქართველოს საპატრიარქომ ბერძნულ-მართლმადიდებლური საეკლესიო წრეების (მხედველობაში გვაქვს უმთავრესად, კონსტანტინეპოლისა და ელადის ეკლესიები) იძულება კომპრომისზე, რის საბოლოო შედეგსაც წარმოადგენდა 1990 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების აღიარება. საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის ზრდამ მსოფლიოს რელიგიურ წრეებში, რასაც ემს-ის ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მისმა აქტიურმა მონაწი-

[1] ნ. ბარდაველიძე, ეკუმენიზმის საზღვრები, აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი „დიალოგი“, №3 (4), თბ., 2006, გვ. 124.

ლეობამაც შეუწყო ხელი, კიდევ ერთი დადებითი შედეგი გამოიღო, კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს შეექმნა ერთგვარი იმუნიტეტი საბჭოთა ბიუროკრატიის წინააღმდეგაც.[1]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკუმენურ საბჭოში გაწევრიანება იმთავითვე საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი, რაც ე.წ. „დასავლეთის ჯვაროსნულ მოძრაობაზე" საბჭოთა კავშირის პასუხს წარმოადგენდა და არა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელ სურვილს. თუმცა, ქართველმა მწყემსმთავრებმა (ეფრემ II, დავით V, ილია II) აღნიშნული გარემოება წარმატებულად გამოიყენეს. საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

დამოწმებანი:

1. ბარდაველიძე ნ. ეკუმენიზმის საზღვრები, აღმოსავლურ–დასავლური ქრისტიანული ჟურნალი „დიალოგი", №3 (4), თბილისი, 2006.

2. ბოკელავაძე ე. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ ასპარეზზე (XX ს-ის 70-80-იანი წწ), კრ. „XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბილისი, 2008.

3. ბრაგანტინი გაბრიელე, „გზა ერთიანობისკენ", ჟურნ. „დიალოგი", 3 (4), თბილისი, 2006.

---

[1] ნ. ბარდაველიძე, ეკუმენიზმის საზღვრები, აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი „დიალოგი", №3 (4), თბ., 2006, გვ. 130.

4. ეკლესია, ეკლესიები და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო („ტორონტოს დეკლარაცია“), კრ. ეკლესიის საზღვრები, თბილისი, 2006.
5. ვარდოსანიძე ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II, თბილისი, 2007.
6. მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი, მართლმადიდებლების თვითშეგნება – მათი მოძრაობა ეკუმენურ მოძრაობაში, კრ. ეკლესიის საზღვრები, თბილისი, 2000.
7. რეზოლუცია საკითხზე „ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია“, მოსკოვი, 1948, კრ. ეკლესიის საზღვრები, თბილისი, 2000.
8. ჩემპილი ე. ო. მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში: საერთ. სისტემა აღმ.-დას. კონფლიქტის დასრულების შემდეგ / (გერმანულიდან თარგმნა ნინო კიღურაძემ), თბილისი, 2003.
9. Государственно-церковные отношения советского периода (ინტერნეტ ვერსია); http://www.pravoslavie.ru/archiv/sovietstate-church.htm#6.
10. Карев А, Сомов К, История Христианство (ინტერნეტ ვერსია).
11. Протоиерей Максим Козлов, Русская Православная Церковь и экуменическое движение (ინტერნეტ ვერსია) http://www.pravoslavie.ru/jurnal/475.htm.
12. Штриккер Г. Русская Православная Церковь в советское время (1917-1991). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью (ინტერნეტ ვერსია); http://www.krotov.info/acts/20/1920/shtric_00.htm.
13. J. A. Hebly. The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches,

1948-1985 წიგნში Religious Policy in the Soviet Union Edited by Sabrina Petra Ramet, Cambridge University Press, 1993.
14. Raymond L. Garthoff, The Great Transition: American-Soviet Relations and the End of the Cold War Brookings Institution Press 2003.

Eter Bokelavadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE POLITICAL FOUNDATIONS OF JOINING OF GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN THE WORLD COUNCIL OF CHURCHES

RESUME

The Period of the Cold War and participation of Georgian Church in the international religious and diplomatic processes is one of the interesting issues in the history of Georgian Orthodox Church. In regard to this viewpoint, our attention is driven to the dealing and activity of Georgian Church at the most significant religious movement (ecumenism) and its main body - the World Council of Churches (WCC).

The thesis is aimed at highlighting the role of the Christian churches in formation relationship between opposing camps (Western and Eastern) during the Cold War and discussing political foundations of Georgian Church's involvement in the WCC.

Joining the ecumenical council was initially dictated by Soviet government's political motives for Georgian Church.

This was rather Soviet attitude towards Cold War's so-called "Western crusade movement", than independent will of Georgian Church. However, the case was successfully used by the leaders of Georgian Church - Ephrem II, David V, Ilia II - in favor of Georgian Church's national and religious interests.

დეკანოზი მიქაელ (მახარე) ბუკია
წმ. ნინოს ტაძარი

„მწყემსი კეთილი“ - წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე იყო ის ბრწყინვალე ნათელი, რომელიც ერს უჩვენებდა „მამულის ჩვეულებისამებრ სვლის გზას.“ იგი სწორედ რომ საჭირო დროს მოევლინა ქართველ ერს. როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებდა: „ნამეტნაობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმიდით ვიტყვი, რომ სჩანს, ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანას-ო... ერის შემნახველი და განმადიდებელი, ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა, მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, სადაც ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“.[1] კაცი, რომელიც ქმნიდა „ამ წუთისოფელს ტაძრად“, – ასე უწოდა წმიდა ილია მართალმა ალექსანდრე ეპისკოპოსს. წყალობა ღვთისა, სხვა რა უნდა ეწოდოს მის ამგვარ განგებას.

ალექსანდრე ოქროპირიძე დაიბადა 1824 წელს გორის რაიონის სოფელ დისევში, მღვდლის ოჯახში. საწყისი სასულიერო განათლება გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მიიღო. 1845 წელს ბერად აღიკვეცა თბილისის ფერისცვალების მონასტერში. იმავე წელს მთავარ-დიაკვნად აკურთხეს და სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასუ-

[1] „ცნობის ფურცელი“ – 1898, 20 მაისი, №3.

ლიერო აკადემიაში შევიდა, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა და სამშობლოში დაბრუნებულმა სასულიერო მოღვაწეობა აფხაზეთიდან დაიწყო.

იქ ჩასვლისთანავე დიდი გულმოდგინება გამოიჩინა ილორში აფხაზთათვის სასწავლებლის დაარსებისა და მისი წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მოძღვრის მოღვაწეობა სრულიად დამსახურებულად დააფასა როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე მთელმა საქართველომ და მას „აფხაზეთის მეორე მოციქული“ უწოდა. ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ თქვა: „არ ზოგავდა საკუთარ საშუალებას სკოლათა დაარსებისთვის“... ის თავისი ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ, მედგრად იცავდა სამღვდელოების და სამწყსოს ინტერესებს, ეხმარებოდა ქვრივ-ობოლებს. 1854 წლიდან ქუთაისში გადავიდა და 1855 წლის 3 მარტამდე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და უფროს მასწავლებლად მუშაობდა. სამხედრო გარემოებათა გამო, 1855 წლის ოქტომბერში აფხაზთა სასულიერო სასწავლებელი გაუქმდა. იმავე ხანებში დაინიშნა გელათის პირველხარისხოვანი მონასტრის წინამძღვრად და მიენიჭა აფხაზეთის საეკლესიო კათედრის იღუმენობა.

1856 წელს უწმიდესი სინოდის ბრძანებით ალექსანდრე ხელდასხმულ იქნა აფხაზეთის არქიმანდრიტად და გაგზავნილ იქნა ისევ აფხაზეთში. 1862 წელს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ეგზარქოს ევსევისა და სხვა საეკლესიო იერარქთა თანამწირველობით ხელდასხმულ იქნა მღვდელმთავრად და ჩაბარდა აფხაზეთის კათედრა. მეტად მძიმე იყო ჯვარი, რომელიც ჭეშმარიტ მწყემსს უფალმა არგუნა, მაგრამ მან უფლისავე შეწევნით მუხლჩაუხრელად იტვირთა იგი და შეუდგა გზას გოლგოთისაკენ.

საქართველო და მით უმეტეს მისი ძირძველი კუთხე, აფხაზეთი, სადაც წმინდა მღვდელმთავარმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო, მხოლოდ წარსული დიდების აჩრდილსღა წარმოადგენდა.

1869 წელს ალექსანდრე გადმოყვანილ იქნა გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსის პირველ ქორეპისკოპოსად. იგი 25 წელი წინამძღვრობდა ქართლ-კახეთის (შემდგომში ქართლის) აპარქიას (1869-1882 და 1886-1898 წლები). ძნელია, სულის შეუძვრელად უყურო წმინდა მღვდელმთავრის მიერ განვლილი ცხოვრების გზას. ქართველობა გადაგვარების გზაზე იდგა, ეროვნულობა წაშლის ზღვრამდე იყო მისული თავისი ყველა ნიშნით. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თქმით: „ყველგან და ყველაფერში ჩამოერთვა ჩვენს ერს ინიციატივა, შეწყდა მისი შემოქმედებითი ნიჭის თავისუფალი ვარჯიშობა. ჩვენმა ერმა ისტორიულად მიიძინა“. ამავე აზრს აგრძელებს დეკანოზი კ. კეკელიძე: „სარწმუნოებრივი შემოქმედებითი გრძნობა და ნიჭი, რომლითაც ცხოველ იყო და ძლიერ იგი ძველად, შესამჩნევად შესუსტდა რიცხვი იმ განათლებულ სამღვდელო პირთა, რომელნიც სათავეში უდგნენ ძველად ქართულ განათლებას და ქმნიდნენ ქართულ კულტურას, მონასტერი აღარავის იზიდავდა, რის გამოც ის დაცარიელდა და შესანიშნავ ეკლესიებთან ერთად ნანგრევებად იქცა“.[1]

მან, როგორც მღვდელმთავარმა, მრავალმხრივი მოღვაწეობა გაშალა ერის სულიერი გამოფხიზლებისა და განათლებისთვის. სხვა თუ არაფერი, ერის წინაშე დიდ ღვაწლად მარტო წმინდა ილია მართლის მოძღვრობა და საკუთარი ძმისშვილის, შემდგომში საქართველოს პატრიარქის, ლეონიდეს გამოზრდაც ეყოფოდა. წმინდა მღვდელმთავარი მშობლი-

[1] „საპატრიარქოს უწყებანი“, №45, თბ., 2002, გვ. 8.

ური ქვეყნის დაცემა-დაკნინების მთავარ მიზეზად ეროვნული სწავლა-განათლების დაბალ დონეს მიიჩნევდა. ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ქართველთა ახალი თაობა ქვეყნის სასწავლებლებში სწავლა-აღზრდას არა მშობლიურ, მისთვის გაუგებარ ენაზე იღებდა. ამ მდგომარეობით აღშფოთებული მღვდელმთავარი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ნეტავი როდის ეღირსებათ ქართველებს ქართული სკოლა“[1]. სწორედ მშობლიურ ენაზე მიღებული განათლება მიაჩნდა მას ქვეყნის აღდგენის ერთადერთ გზად. „თავის უმთავრეს საქმედ, მის ირგვლივ მყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას მიიჩნევდა“.[2]

როდესაც საკითხი დაისვა, გახსნილიყო ქალთათვის სპეციალური სასულიერო სასწავლებელი, მან პირველმა დიდი როლი ითამაშა ამ კეთილშობილურ საქმეში, – მისი ფინანსური დახმარებითა და მეცადინეობით თბილისში დაარსდა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელმაც ჩვენს ერს აღუზარდა რამდენიმე ათასი განათლებული ქალი.

1889 წელს 24 სექტემბერს ალექსანდრე ეპისკოპოსმა აკურთხა გორის სასულიერო სასწავლებლის ეკლესია, რაც გორის მოსახლეობის დიდი სურვილი ყოფილა. სასწავლებლის კურთხევასთან ერთად წმინდა ალექსანდრეს უკურთხებია წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ეკლესია.

კურთხევის ბოლოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წარმოთქვა სიტყვა: „მიმართა მასწავლებელთა და მოსწავლეთ, რომ ერთგულად და ერთსულად მოჰკიდონ საქმეს ხელი; ამ

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, თბ., 1907, გვ. 57.

[2] „მოამბე“, საქ-ს საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ყოველთვიური ბიულეტენი, მეორე გამოშვება, 1995 წ., ნოემბერი, გვ. 3.

ახალს სახლში სარწმუნოება და მეცნიერება ერთად მოთავსებულნი და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა იყვნენ".[1] ქველმოქმედ მღვდელმთავარს ეს დღე იმითაც აღუნიშნავს, რომ დაუწესებია ყოველწლიური სტიპენდია წარჩინებულთათვის. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვედრია ამ ქველმოქმედებას. „ივერიის" 1898 წლის №103-ში გამოქვეყნებულ წერილში, სამეგრელოს ეპარქიაში გადაყვანასთან დაკავშირებით, იგი დახასიათებულია როგორც დიდი მამულიშვილი, სათნო ადამიანი, სამშობლის უერთგულესი მოძღვარი, ხალხის გულში სინათლისა და სიყვარულის მთესველი. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს დიდებული ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვა, რომელიც მას ფოთში წარმოუთქვამს. იგი ალექსანდრე ეპისკოპოსის დახასიათებისას დასძენს: „იმ დროს, როდესაც ქართველ წარჩინებულთა უმრავლესობა თავის ყვავილოვან ხანას მხოლოდ ჩვენს დაღუპვის მოქმედებაში ატარებს, როდესაც მათ ერთი გროშის გამეტებაც კი ეძნელებათ ჩვენის დაქვეითებულის ტომის საქმეთა სასარგებლოდ. აი, სწორედ ამ დროს, თქვენი მეუფება სდგას წმინდა მამულისშვილობით აღვსილი, ერის სიყვარულით და დახმარებით მიუბაძავი მაგალითით ყველასი, უშურველი ყველაფრის და ყველგან ოღონდ-კი ამით ჩვენი ტომის ძეთა განკაცებას, განვითარებას რამე შეემატოს... ქართველი ერის წინაშე თქვენი სამსახური განათლების სასარგებლოდ ცხად იქმნა, ამიტომ ქართველებმა საერთოდ თქვენ „ქართველთა მამა" გიწოდეს. ამ საუკუნეში, ქართველთ ერის წინაშე არც ერთს ქართველთ მთვდელ-მთავარს არ დაუმსახურებია ასეთი სახელწოდება, თქვენ პირველი ბრძანდებით..."[2]

---

[1] „ივერია", 1889, №204.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე", თბ., 1907, გვ. 51

იმ დროს საქართველო ქველმოქმედების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. 1891 წლის 27 აპრილის გაზეთ „ივერიის“ სტატიაში „ქველმოქმედების საიმედო ნიშნები“, ვკითხულობთ: „ჩვენი ქვეყანა რაღაც განუსაზღვრელს უქმობას მიეცა, ხელმხარ მოსხლეტილად იჯდა სახლში და სმა-ჭამის და გართობის მეტს კი აღარას დასდევდა...“[1] ამგვარი ყოფის შემხედვარე წმინდა მღვდელმთავარი დღენიადაგ იწვოდა სამშობლოსთვის გულანთებული, მისი ქველმოქმედება ძირითადად მიმართული იყო მწიგნობრობისა და სკოლების გავრცელებაწარმატებისათვის. ყოველივე ამის შემძლებელი თვითონ ისე ღარიბად ცხოვრობდა, რომ უგუნურნი სიძუნწესაც კი მიაწერდნენ. 1907 წელს ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი აღნიშნავდა: „ბევრნი უგუნურნი შენ უბრალო ცხოვრებას აწერდნენ შენს ვითომდა სიძუნწესა – საწყლები რა რიგ სცდებოდნენ! განა ძუნწი ეწოდა იმ კაცს, რომელმაც თავისი შეძლება მოახმარა ქვრივ-ობლებსა, მონასტრებსა და მწიგნობრობას?“[2]

საქმენი დიადნი აურაცხელი იყო წმინდა მღვდელმთავრის ცხოვრებაში, მაგრამ არ შეიძლება მათ შორის არ აღინიშნოს ერთი ეპიზოდი, თუ რამდენად მზრუნველი გული ჰქონდა წმიდა მამას და რამდენად ენდობოდნენ მას თვით მაჰმადიანი აფხაზები. 1866 წელს მათი უმრავლესობა იძულებული გახდა გადასახლებულიყო ოსმალეთში. ამ ხანებში მწყემსმთავართან შემოდის ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თორმეტი წლის შვილით. როდესაც ყოვლად სამღვდელომ სიყვარულით ჰკითხა მას მოსვლის მიზეზი, უკანასკნელმა მოახსენა: „შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო

[1] „ივერია, 1891, №88.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, თბ., 1907, გვ. 8

და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავტოვო შენთან. მეტი არა გამაჩნია რა. არ ვიცი, რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს, არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი, მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი-ო". თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს, რომელიც მღვდელმთავრის მეოხებითა და საფასით აღიზარდა და მღვდლობის ხარისხში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში. ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია", – დასძენს წმიდა მღვდელმთავარი ამბროსი, – ამნაირ განწყობილებას სამწყსოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა, იწყეს აფხაზებმა ქრისტიანობის მიღება, რომელიც კიდეც დამთავრდა თითქმის 80-იან წლებში ნეტარხსენებული აფხაზეთის მეორე მოციქულის დროს.[1] წმინდა მღვდელმთავრის მოღვაწეობის შემდგომ აფხაზეთი ჟამთა სიავის გამო, კვლავ სიბნელემ მოიცვა.

ტანჯვა-ტკივილთან იყო წილნაყარი წმიდა მოღვაწის ცხოვრება. მას თავისი თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე მიჰყავდა. ის იყო პიროვნება, რომელსაც ყველაფერი პირადული განზე ჰქონდა გადადებული – „შიოდა და არ ჭამდა, სწყუროდა და არ სვამდა, ციოდა და არ თბებოდა"...[2]

წმიდა მღვდელმთავარი თავის მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა რუსეთში სასწავლებლად მყოფ ახალგაზრდობას, მათ შორის თავის ძმისწულს, კიევის სასულიერო აკადემიის მაშინდელ სტუდენტს ლონგინოზ (ბერობაში – ლეონიდე) ოქროპირიძეს, რეგულარულად უგზავნიდა განათლება-

[1] იქვე, გვ. 12-13
[2] იქვე, გვ. 16.

მოწყურებულ ქართველებს თავის გამოცემულ წიგნებს. წმიდა მღვდელმთავარს სთხოვდნენ რეკომენდაციებს უცხოეთში სწავლის მიღების მსურველი ახალგაზრდები. მასშტაბურია წმიდა ალექსანდრეს მიერ გაწეული ქველმოქმედება. გაზეთი „მწყემსი“ იუწყებოდა: „ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე წევრი იყო მრავალ საქველმოქმედო საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელნიც კი რუსეთის სახელმწიფოში არსებობდნენ. რუსეთ-ოსმალეთის, ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის გმირთა და მათ დაობლებულ სახლობათა სასარგებლოდ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე სწირავდა ყოველ წლობით 200 მანეთს. მანვე განაახლა ქალაქ სოხუმის ახლოს ძველი ეკლესია. 25 მაისს, 1867 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიას შესწირა 2000 მანეთი.... ამ თანხით იზრდება სემინარიაში ერთი სტიპენდიანტი, რომელსაც თვით ყოვლადსამღვდელო ირჩევს. ყაზანის სასულიერო აკადემიის ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ 300 მანეთი შესწირა; ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელს კი 3000 მანეთი, მასში სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის დიდებულს თორმეტის მოციქულის საკრებულოს ტაძარს შესწირა განსაახლებლად 1500 მანეთი... მან 2000 მანეთი ქართული გალობის ნოტებზე გადასაღებად გადასდო... ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ განაახლა დიდებული მონასტრები წმიდა შიოსი და იოანე ზედაზნელისა, – პირველს 21.000 და მეორეს 11.700 მანეთი შესწირა“...[1] ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ასახავს ამ ღვთისკაცის მოწყალებას. ამ კეთილ საქმეთა მცირედად აღმნუსხველი გაზეთი „ივერია“ (1897, №180) იუწყებოდა: „დღეგრძელი იყოს დღენი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი, რომ მისის მაგალითით აღ-

[1] ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, თბ., 1907, გვ. 50.

ფრთოვანებულს ყველა ქართველს ასეთი ღრმა ნაყოფიერი კვალი დაემჩნიოს თავის შემდეგ.“[1]

წმიდა მოღვაწეს დიდად ახარებდა მწიგნობრობისა და განათლების გზაზე წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი. მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი იხსენებს, რომ თვითონ იყო მოწმე, როგორ ყოველდღიურად ზოგავდა თავის ქონებრივ შეძლებას და ნაშრომ-ნაღვაწს: „ყოველ ცისმარე დღე პურსა და წყალზე აღამებდა, რომ თავისი მშობელი ერის საქმისთვის მიეხმარებინა ეს დაზოგილი წვლილი“.[2] მის მიერ გაღებული საფასით, ინიციატივითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და საერო წიგნი. მათ შორის: „ქადაგებანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ“ 1881 წელს. 1884 წელს გამოიცა გიორგი ავალიანის „ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“ (პოემა), 1885 წელს - „ქართული ღრამატიკა“, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. 1892 წელს - „მზამეტყველება, ქმნილი ანტონი I საქართველოს კათოლიკოსისაგან“, 1896 წელს - თ. ჟორდანიას „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰხანის ქვაბთა“, 1900 წელს - იპოლიტ-ივანოვის „ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი)“ და პოლიევქტოს კარბელაშვილის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“, 1903 წელს - თედო ჟორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“. „ყოვლად სამღვდელომ დიდი სამსახური გაუწია ქართული „დაბადების“ შესწორებისა და მისი დაბეჭდვის საქმეს“[3]. წმიდა მამის ლოცვა-კურთხევით გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართუ-

---

[1] „ივერია“, 1897, №180.

[2] ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, თბ., 1907, გვ. 54.

[3] იქვე, გვ. 50.

ლი ლექსიკონი“ რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით.

1882 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოზურგეთიდან ზაქარია ჭიჭინაძეს იმასაც წერდა, რომ მას გადაუწყვეტია პეტრიწის ლექსიკონის გამოცემა, მაგრამ არ ვიცი, ვინ იქნება ისეთი კაცი, რომელსაც მივანდობთ ამ საქმესო... „კაცი უნდა იყოს სწავლული და პატრიოტიო“. ასევე აპირებდა პლატონ იოსელიანის თხზულებათა გამოცემას. ზაქარია ჭიჭინაძისადმი გამოგზავნილ წერილშივე ალექსანდრე ეპისკოპოსი წერდა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ დიდ ღირსებას აძლევთ იმ საქმეთა, რომელთაც მე შედგომილი ვარ. ე. ი. ქართულ ძველ და ახალი მწერლობის აღდგენასა, ეგრეთვე, გალობისა და სხვათა. ერთი სიტყვით, მე შევუდექი ქართული ენისა და ლიტერატურის აღდგენას, და თქვენც ძლიერ კარგად მიმხვდარხართ და აგიწონიათ, რომ მე ჩვენის სამშობლო ქართულის ენის აღდგომის, დაფუძნების და განვითარების სარბიელზედ გამოვსულვარ. ასპარეზი ესე, ჩემი აზრით და თქვენითაც, ფრიად მშვენიერ და სასარგებლო არს“.[1]

ალექსანდრე ეპისკოპოსის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე. ალექსანდრე ეპისკოპოსი ითვლებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“, „წითელი ჯვრის, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა“, „უსინათლოთა სამზრუნველოს“, „რუსეთში წყალში დარჩომილთაგან გადამრჩენელი საზოგადოების“, „პირუტყვთა მფარველი საზოგადოების“, „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების“, „წმიდა ანდრიას და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძმობის“, „ფილარმონიული საზოგადო-

[1] იქვე, გვ. 105.

ების“, ძეგლთა განმაახლებელი კომიტეტის, მცხეთის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის, ქართლ-კახეთის სამღვდელოების სიძველეთა დაცვის, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფი საზოგადოების“ აქტიურ წევრად.[1] იგი მოსარჩლეობას უწევდა „ღვთაებრივ საუნჯეს“ - ქართულ ენას, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში ყოველ პატივს იყო მოკლებული.

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ დარჩენილა ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის“ საფუძველზე, სინამდვილეში კი საკუთარი ქვეყნის სიყვარულისა და მისი სიწმიდის დაცვის გამო, იგი ეპარქიიდან გაათავისუფლეს. თუმცა, ოფიციალურ საბაბად მოხუცებულობა დასახელდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1896 წლის 12 მაისს საერთო კრებაზე იაკობ გოგებაშვილისა და დავით კარიჭაშვილის მოხსენებათა საფუძველზე ალექსანდრე ეპისკოპოსი, ილიასთან და აკაკისთან ერთად, აირჩია საზოგადოების პირველ საპატიო წევრად „ნიშნად პატივისცემისა იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ჰბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათა, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და სცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰღონობს, ისე იმითი, რომ ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისის ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს სხვადასხვა სასწავლებლებში“.[2] დიდი მღვდელმთავარი, რომელსაც ქართველმა

---

[1] ვ. გურგენიძე, „წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში“, წიგნი II, თბ., 1997, გვ. 82.

[2] იქვე, გვ. 82.

ერმა „აღმაშენებელი“ უწოდა, მართლაც შეუდარებელი იყო ეკლესია-მონასტრების აგება-განახლებაში. შიომღვიმისა და ზედაზნის მონასტრების ისტორიის ფურცლებზე აღიბეჭდა მისი ღვაწლი, როგორც ამ მონასტრების აღმდგენელისა და გამამშვენებლისა. შიომღვიმე იმ დროს უკაცრიელ და უდაბურ ადგილად იყო ქცეული. წმიდა ალექსადრემ შექმნა მონასტრის აღგენის ფონდი, რომელსაც თავადვე შესწირა 21000 მანეთი. იგი მიმართავდა „ღვთისმოყვარე ქრისტიანებს“, გაეღოთ შეწირულობები, სამაგიეროდ აღუთქვამდა, რომ მონასტრის საძმო ილოცებდა მათი ჯანმრთელობისა და განსვენებული მშობლების სულისათვის.[1] შეწირულობები ყველა მხრიდან იგზავნებოდა თბილისში, ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელზე. მღვდელმთავარი რამდენიმე ფონდს განაგებდა. ფონდის მოქმედება უკანასკნელ კაპიკამდე გამჭვირვალე იყო, რათა არავის ეჭვი არ შეპარვოდა ალექსანდრე ეპისკოპოსის პატიოსნებაში. 1887 წლამდე შიომღვიმის მონასტერი თბილისის ფერიცვალების მონასტერს ეკუთვნოდა. ამ დროიდან კი სინოდმა დამოუკიდებელ მონასტრად განაწესა. სინოდის ბრძანებით მღვდელმთავარი ალექსანდრე დაინიშნა ამ მონასტრის წინამძღვრად. ივანე რატიშვილი გამოსათხოვარ სიტყვაში წერდა: „ყველაზე მეტი ღვაწლი მიგიძღვის შენ იმ ძველის-ძველ და სახელგანთქმულ სავანეს წინაშე... შენ აღადგინე მკვდრეთით ეს მონასტერი და აღმოიყვანე სიკვდილისაგან ცხოვრებას, მიანიჭე სიცოცხლე ახალთ: გამოცოცხლდნენ ძველი ტაძრები, სენაკები, გამოცოცხლდა უდაბნო მოოხრებული და მოიფინა ვენახებითა, — უნაყოფო კლდემ გამოსცა ნაყოფი კეთილი... ესრეთ გამოჩნდი შენ მეცხრამეტე

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, საქმე №316.

საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის მეორე „შიო ახლად“[1].

გარდა საკუთრივ მონასტრისა, წმიდა მღვდელმთავარი ზრუნავდა რკინიგზის ბაქანის გამართვისათვის, რომ მლოცველებს მისვლა არ გასჭირვებოდათ. 1888 წელს ეს ბაქანი გაიმართა, რასაც დიდი მოწონებით შეხვდა საზოგადოება. განსაკუთრებით სამადლო საქმე იყო ეს ახლომახლო სოფლების მცხოვრებთათვის. 1889 წელს, მღვდელმთავრის მეცადინეობით მტკვარზე გაიმართა ბორანი, რომელიც თვითონვე აკურთხა.[2]

ალექსანდრე ოქროპირიძემ ხელი მოჰკიდა მონასტერში სამეურნეო საქმიანობის აღდგენასაც. სულ რამდენიმე ხანში მან გაუდაბურებული მონასტერი წალკოტად აქცია. წმინდა მღვდელმთავარს მრავალი ცილისწამების ატანაც უწევდა, მაგრამ დიდბუნებოვნად იტანდა ყველაფერს. მან კარგად უწყოდა, რომ ყოველ კეთილ საქმეს თან ახლდა ბოროტიც, რომლის განდევნაც „ოდენ ლოცვითა და მარხვით იყო შესაძლებელი“ ამგვარი იყო მისი ცხოვრებაც. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ განვლო ცხოვრების მღელვარე ზღვა, განიცადა ამა სოფლის სიმუხთლენი: ორგულობა, ღალატი, ცილისწამება, დასმენა... მტრებს ეკლესიისა და სამღვდელოების დაცემა სურდათ ხალხის თვალში. ბოროტმოქმედთა მტარვალი ხელი შიოს მონასტერსაც მიწვდა. მათ გაძარცვეს იგი, მოკლეს მაქსიმე „კელენიკი“ - მღვდელმთავრის საყვარელი მოწაფე და მორჩილი. მან შეიტყო ბოროტმოქმედთა სავარაუდო ადგილსამყოფელი, მაგრამ ხალხის სიბრალულმა და სიყვარულმა დასძლია... და სწორედ იმისთვის, რომ ეგზე-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, თბ., 1907, გვ. 31.

[2] „ივერია“, 1889, №46.

კუცია არ ჩაეყენებინათ სოფლებისათვის, სადაც დამნაშავეებთან ერთად უდანაშაულონიც დაისჯებოდნენ, გაჩუმდა და გულში ჩაიკლა ეს ვარამიც...“[1]

დიდი მღვდელმთავრის წყალობით გამოცოცხლდა სავანე დიდებულის იოანე ზედაზნელისა. 11700 მანეთი შესწირა ზედაზნის ფონდს, რომლის მონაგები მონასტრის განკარგულებაში იყო. ალექსანდრე ეპისკოპოსს აღთქმა ჰქონია დადებული იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს: „კვლავ ვაღიარებ, რომ უკუეთუ ღმერთმა სიცოცხლე მომცა, ეს მონასტერი აღვადგინო და შეწირვითა უზრუნველვყო...“[2] აღასრულა კიდეც ეს აღთქმა. 1890 წელს ალექსანდრე ოქროპირიძემ თხოვნით მიმართა ეგზარქოს პალადის (1887-1892) ჯვრის მონასტრის უკეთ დაცვის მიზნით მისი ზედაზნის მონასტრისთვის გადაცემის შესახებ.[3] ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. მღვდელმთავარმა ამ გადაწყვეტილების მიღების აღსანიშნავად სამადლობელი წირვა აღავლინა ჯვრის მონასტერში, რომლის დასასრულს მრევლს სიამოვნებით განუცხადა ეს ამბავი.

„აღმაშენებელმა“ დაიწყო კიდევ ერთი დიდი და მძიმე საქმე ჯვრის მონასტრის რესტავრირებისა. 1500 მანეთი შესწირა წმიდა ალექსანდრემ სვეტიცხოვლის აღდგენის ფონდს. იგი განაგებდა იკორთის ტაძრის აღმდგენელ კომიტეტს, არც თავის სოფელს აკლებდა ყურადღებას ალექსანდრე, – განაახლა მშობლიური დისევის ეკლესია.

აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნისას ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის ტაძრის შესაკეთებელ სამუშაოებს. ტაძარს შესწირა ქართული ხუცური წიგნები მთელი წლის

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №41.

[2] იქვე, №104.

[3] იქვე, №135.

სახმარი. მან აღადგინა და განაახლა ორი ეკლესია ქალაქ სოხუმთან ახლოს.

„სხვა მრავალ ძველის ტაძრისა და მონასტრის განახლების საქმესაც ყოვლადსამღვდელომ უხვი ნივთიერი დახმარება თვისთა საშუალებათაგან აღმოუჩინა, როგორც ამერეთისა, ისე იმერეთში“.[1] კიდევ ერთი დიდი და საშვილთაშვილო საქმე, რომელშიც მართლაც „უხვი წვლილი ურევია“ ალექსანდრე ოქროპირიძისა, იყო ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა.

1860 წელს შეიქმნა ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი. 1879 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი ალექსანდრე და დაიწყო მეტად აქტიური საქმიანობა. კომიტეტის წევრები მის ბინაზე იკრიბებოდნენ გალობის საკითხებზე სამსჯელოდ. შეიქმნა ფონდი, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა და სოლიდური თანხაც შესწირა. კომიტეტის თავმჯდომარეობამდე მან სემინარიას შესწირა 1500 მანეთი, რომელიც ასე გაანაწილა: 500 მანეთი – ძველი ქართული გალობის აღდგენა-გამოცემის საქმეს, 300 მანეთი – სამოსწავლო ბიბლიოთეკას, 200 მანეთი – ზნეობრივი შინაარსის წიგნების რუსულიდან ქართულად თარგმნისა და დაბეჭდვის საქმეს, 500 მანეთი დააწესა პრემიად ან ჯილდოდ მათთვის, ვინც წარმატებით და სწორად გადაიტანდა ნოტებზე ძველ ქართულ გალობას.

1898 წლიდან წმინდა ალექსანდრე გურია-სამეგრელოს ეპარქიაში აგრძელებს მოღვაწეობას. მან ოზურგეთში დაარსა გალობის კაბინეტი. შეიქმნა გურული გალობის აღდგენის ფონდი, რომელსაც ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელი ეწოდა. თავისი ხარჯით მოიწვია ორი მგალობელი: თ. ნაკაშიძე და ს. მოლარიშვილი და დაავალა მათ, უფასოდ ესწავლები-

[1] „ივერია“, 1902, №48.

ნათ ხალხისთვის გალობა. ის, რომ ქართველმა ხალხმა თავისი უდიდესი განძი – ძველი საეკლესიო გალობა არ დაკარგა, „ახალ შიოდ“ მოვლენილი მწყემსმთავრისა და მისი თანამოაზრეების დამსახურებაა.

ეპისკოპოსი ალექსანდრე სიძველეთა დიდი ქომაგი იყო. მას მტკიცედ დაუცავს მარტვილის ტაძრის სიძველენი, რომელთა მოსკოვში გატანა ნდომებია გრაფინია უვაროვას, თითქოსდა, იქ უკეთ დასაცავად. მღვდელმთავრის პასუხი შემდეგი ყოფილა: „1500-მდე მანეთი გადავდე მარტვილის სამკაულთათვის, მტკიცე თავსაფარის ასაგებად და დასაცავად და აქედან წმინდა ნივთების წაღება შეუძლებლად მიმაჩნია და სარწმუნოების მხრივ უხერხულადო“.[1]

2000 მანეთამდის შესწირა ალექსანდრე ოქროპირიძემ ქართლ-კახეთის ეპარქიის სიძველეთსაცავს ქართული ხელნაწერის დასაბეჭდად.

წმიდა მღვდელმთავარი ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ ნიშანსვეტად მიიჩნევდა ბერ-მონაზვნობას. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენში ჭეშმარიტი ბერული ცხოვრების აღსადგენად. ის თვითონ იყო „ცხოველი სურათი ძველი ბერმონაზონობისა“. მისმა თავდადებულმა მოღვაწეობამ არაერთი ქართველი შეუერთა ბერ-მონაზონთა დასს, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრები.

ქართულმა საზოგადოებამ სამშობლოსათვის დამაშვრალ მღვდელმთავარს 35 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა. ამაგდარი მღვდელმთავრის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სამღვდელოებამ პარაკლისები გადაიხადა და იუბილარს „მშვენივრად შემკული მიტრა“ მიართვა. თავად იუბილარმა კი ეს დღე კიდევ ერთი საქველმოქმედო საქმით დაგვირგვინა - თბილისის სასულიერო სასწავლებელში 2500

[1] „ივერია", 1903, №38.

მანეთი შეიტანა და დაარსა სტიპენდია „საუკეთესო და ღარიბ ქართველ მოსწავლეთა გამოსაზრდელად“.[1] წმიდა მღვდელმთავარს, საზოგადოების გულთბილი შეხვედრით გახარებულს, დაუდია აღთქმა, „თუ ღმერთი ხელს მომიმართავსო: 1. დაეხმაროს ქართულ გალობას და მგალობელთა გუნდის დაარსებას; 2. შეაგროვოს ძველი ხელთნაწერები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულის შესასწავლად, და დაარსოს წიგნთსაცავი ან შიო მღვიმის მონასტერში ან ტფილისს... 3) განაახლოს არჩილის და ლუარსაბის ეკლესია თიანეთის მაზრაში, თუმცა ეს საქმე მის მეუფებას სათქმელადაც კი მეტად ეძნელება.“[2].

ზემოთ რამდენადმე შევეხეთ ალექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. მას მეტად მძიმე პირობებში უწევდა ყოფნა. ირგვლივ სუფევდა „სიბნელე და ზნედაცემულობა. ღვთისმოსავ სამწყსოს ნათლის იმედი ჩაესახა. გურია-სამეგრელოს მოსახლეობა აღფრთოვანებული მიეგება ალექსანდრე ეპისკოპოსის იქ ჩასვლას. მთელი სამეგრელო გამოსული იყო მღვდელმთავართან შესახვედრად. მიუხედავად სიბერისა, ალექსანდრე ეპისკოპოსმა თითქმის მთელი ეპარქია მოიარა. ამას ისე მხნედ აკეთებდა, რომ თურმე ყველაზე ადრე თვითონ დგებოდა და თავის მხლებლებს თვითონვე აღვიძებდა.

1900 წელს მღვდელმთავარმა აკურთხა ახლად აშენებული ვანისა და ჯუმათის ეკლესიები, 1901 წელს - ფოთის ტაძარი ალექსანდრე ნეველის სახელზე. უფრო ადრე (1898 წ.) აკურთხა ქობულეთის ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზე.

---

[1] „ივერია“, 1897, №180.

[2] „ივერია“, 1897, №91.

ფოთში მოღვაწეობის დროს მან თავის სახლში გადაიტანა და აამოქმედა სანთლის ქარხანა. მისი მონაგებით სურდა სამეგრელოს სასულიერო სკოლის, დედათა საეპარქიო სასწავლებლის, სამრევლო სკოლების მოწყობა და მრავალ სხვა სიკეთეთა ქმნა.

წმიდა მღვდელმთავრის მზრუნველი თვალი და ხელი საქართველოს ყოველ კუთხე- კუნჭულს სწვდებოდა – მესხეთსაც, ახალციხე-ახალქალაქის საბლაღოჩინოს. მან მამობრივი სიყვარულით ჩაიხუტა დედა სამშობლოს 1878 წელს შემოერთებული აჭარა. თბილისში ჩამოსულ აჭარის დელეგაციას მღვდელმთავარმა მრავლისმთქმელი სიტყვებით მიმართა: „ხმები, რომლებიც დადის აჭარის ძალით გაქრისტიანებაზე, მცდარია. ამაში ძალას არავინ დაგატანთ, ხოლო თუ სურვილი გექნებათ, კარებს არავინ დაგიკეტავთ. ვადიდოთ ღმერთი თქვენ თქვენს რჯულზე, ჩვენ ჩვენს რჯულზე. გისურვებთ შინ მშვიდობით დაბრუნებას“ – ბრძანა მღვდელმთავარმა.[1]

ალექსანდრე ეპისკოპოსის ასეთი ტაქტიკა გონივრულად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. აჭარა ბოლომდე დარჩა მისი ზრუნვის საგნად. 1899 წელს მღვდელმთავარი ბათუმს ეწვია. ბათუმში ჩატარებული წირვის მერე სიტყვით მიმართა მოსახლეობას: „ღმერთმა მოგვასწრო ამ საქართველოს კუთხის შემოერთება, და სწორედ სირცხვილი იქნება, რომ ერთი პატარა ეკლესიაც ვერ ავაშენოთ იქ, სადაც ჩვენ წინაპართ უხვად უშენებიათ ტაძარ-მონასტერნი“ – ბრძანა მან.[2] 500 მანეთი შესწირა ტაძრის ფონდს და იქვე ჩააბარა კომიტეტს.

---

[1]. „ივერია“, 1899, №234

[2] „ივერია“, 1899, №234.

წმიდა მღვდელმთავარი „მოსასვენებლად“ თავისსავე აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერში გაგზავნეს. გაერიდა ყოველგვარ ამაოებას და ადიდებდა უფალს.

სიცოცხლის ბოლო ჟამი მოხუცს 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის ტრაგედიამ – ილიას მკვლელობამ მოუშხამა. გულმოკლულმა მოძღვარმა მხოლოდ ერთხელ დატოვა მონასტერი, გამოიგლოვა სულიერი შვილი და დაბრუნდა შიოს სავანეში. „გაიარა ორმა თვემ და კიდეც აღესრულა სასოებით, უჭირველად, ურცხვენელად – განუტევა წმიდა სული მშვიდობით, მისი საყვარელი მამა შიოს გვერდით.[1] 83 წლის მღვდელმთავარი გარდაიცვალა 1907 წლის 9 ნოემბერს. მან დაუტოვა საქაო ნავსაყუდელიც და შევიდა საუკუნო სამშვიდობო ნავსაყუდელსა. 16 ნოემბერს დაკრძალვას მრავალი ადამიანი დაესწრო, ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები თბილი და მადლიერებით აღსავსე სიტყვებით ემშვიდობებოდნენ „ქართველთა მამას“, „ალექსანდრე აღმაშენებელს“, „აფხაზეთის მეორე მოციქულს“, „ახალ შიოს...“ გამოგვეთხოვა და დაგვიტოვა ჭეშმარიტი სახე ნამდვილი მღვდელმთავრისა.

დამოწმებანი:

1. ვახტანგ გურგენიძე, წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, წიგნი II, თბ., 1997.
2. ზ.ჭიჭინაძე, სიტყვები დაწერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, თბ., 1907.
3. ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001.
4. ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2002.

[1] იქვე, გვ. 33.

5. ჟურნალი „რანი ვართ ქართველნი“, №3, 1997.
6. ჟურნალი „მწყემსი“, 1883, №14-15, 1886, №28, 1896, №2,42, 1905 წ., №7, 8, 11, 13, 14; 1906 წ., №5, 7, 10, 19, 20.
7. „ივერია“, 1889, №204; 1893, №214; 1890, №149; 1898, №103; 1899; №234; 1902, №48; 1903, №38, 256; 1905, №3; 1906, №17.
8. საპატრიარქოს უწყებანი, 2002, №45,50; 2003, №4,5.
9. ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, თბ., 2001 წ., №1/15.
10. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტ-რი, ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, №93, 316.
11. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №3, 1898-1905.

Archpriest Mikheil (Makhare) Bukia
St. Nino Church

„A KIND HERDSMAN“ - SAINT BISHOP ALEXANDER OKROPIRIDZE

RESUME

The past pages of the history of Georgia always sas written with blood.The goal of this work is perception and aknoledge the historical truth once more.

In the article is described the life of saint bishop Alexander Okropiridze, the soly father of the Georgian nation. He lived in1824-1907 years. His activity includes one of the difficult periods of Georgia – annulment of autocephahy of church of Georgia by Russia.

Alexander Okropiridze started his activity from Abkhazia and he could work and care for almost every parts of Georgia.

It’s very important his working in many spheres: training young generation; renewal churches and monasteris; fighting against Russification policy; development and regeneration Georgian language, Georgian church song and etc.

The soly father of the Georgian people and saint Ilia Chavchavadze dedicated his life for his country and parish well-being.

He quite young, because of his deeds in church, was called as : „the second apostle“; „Georgians‘ father“; „eandr builder“. He kept and served the ideas of saint thrue Ilia’s words: „country, language, belief“.

ჯემალ გამახარია
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთში (1851-1861 წლები)

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მამულიშვილის ეპისკოპოს ალექსანდრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი, უაღრესად მნიშვნელოვანი 18 წლიანი პერიოდი, აფხაზეთთან არის დაკავშირებული. განუზომელია მისი როგორც მისიონერისა და პედაგოგის ღვაწლი. ეს ორი ასპექტი ალექსანდრე ოქროპირიძის საქმიანობაში განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მისიონერობა თავის თავში მოიცავდა განათლებასაც, რომლის გავრცელება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მისიონერული საქმიანობის წარმატებას. სამწუხაროდ, აფხაზეთში ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობის ათწლიანი მონაკვეთი XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე, ანუ ეპისკოპოსად დანიშვნამდე, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუმცა გარკვეული წყაროთმცოდნეობითი ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურა ამ თემაზე უკვე არსებობს.[1]

---

[1] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან, ტფილისი, 1903; სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, შევსებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან (თბ., 1908); გ. როგავა. ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, – „აფხაზე-

ახალგაზრდა მღვდელმონაზვნის, ღვთისმეტყველების კანდიდატის ალექსანდრეს აფხაზეთში მივლინება დაკავშირებული იყო ეპარქიის დაფუძნებასთან, აფხაზთა მოქცევის დაჩქარების, ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მიურიდიზმის გავლენისაგან რეგიონის დაცვის სამთავრობო გეგმებთან. ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული (1850წ.) მღვდელმონაზონი ალექსანდრე 1851 წლის 15 თებერვალს თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგად ინიშნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას იმთავითვე აფხაზეთში სამოღვაწეოდ ამზადებდნენ. ზუსტად ორ თვეში – 1851 წლის 15 აპრილს – ანუ იმპერატორის ბრძანებულების საფუძველზე აფხაზეთის ეპარქიის დაფუძნების დღეს, მღვდელმონაზონი ალექსანდრე ახალ ეპარქიასთან ერთად დაარსებული აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და ეპისკოპოსის ამალის წევრად ინიშნება. საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხებზე უწმინდესი სინოდის მიერ იმავე წლის 30 მაისს იქნა მიღებული[1]. სასწავლებლის მართვის გამოცდილების შესაძენად, აფხაზეთში ჩამოსვლამდე, მღვდელმონაზონი ალექსანდრე დროებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად ინიშნება. ის ამ თანამდებობაზე 1851 წლის 28 ივლისიდან 28 სექტემბრამდე იმყოფებოდა, რის შემდეგაც აფხაზეთში ჩამოვიდა და მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

თის მოამბე“, 2000, №4, გვ. 35-37; წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006; დინარა დარსალია, „მოვასწარი აფხაზების სიყვარულის დამსახურება,“ – „საპატრიარქოს უწყებანი”, 2010, 4-10 ნოემბერი, № 36, გვ. 11-14.

[1] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 121, 156.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი რეალურად 1852 წლის 25 სექტემბრიდან სოფელ ლიხნში ამოქმედდა. ამის შესახებ აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე (გოგელაშვილი) იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს აცნობებდა[1]. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობაზე დანიშვნიდან გასული ერთი წლის განმავლობაში მღვდელმონაზონი ალექსანდრე დაკავებული იყო ლიხნში სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით, აგრეთვე დროებით (სასულიერო სასწავლებლის ამოქმედებამდე) ილორში სკოლის მოწყობითა და იქ სასწავლო პროცესის წარმართვით. ილორის სკოლის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებებია გამუტქმული. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწერა, რომ ილორში თითქოს სასულიერო სასწავლებელი ფუნქციონირებდა. მსგავსი მოსაზრება დღესაც არსებობს[2], თუმცა იგი წყაროთა მონაცემებით არ დასტურდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მღვდელმონაზონმა ალექსანდრემ ილორში გახსნა არა სასულიერო სასწავლებელი, არამედ სკოლა აფხაზთა ბავშვებისთვის, რომელსაც საკუთარი სახსრებით ინახავდა. მოგვიანებით შედგენილ ფორმულიარში (ნამსახურობის ნუსხა) ეპისკოპოსი ალექსანდრე წერდა, რომ 1852 წლის 8 მაისს დაჯილდოვდა სამხარეულით „ილორში აფხაზთა ბავშვებისთვის სკოლის მოწყობის პირველი მცდელობისას გამოჩენილი გულმოდგინებისთვის“[3]. როგორც ამ ოფიციალური დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, მღვდელმონაზონი ალექსანდრე არის აფხაზეთში და, თანაც აფხაზებისთვის

---

[1] იქვე, გვ. 67.

[2] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, გვ. 12; გ. როგავა, დასახ ნაშრომი, გვ. 35.

[3] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 121.

მთელი მათი ეთნიკური ისტორიის მანძილზე პირველი სკოლის დამაარსებელი, აფხაზთათვის პირველი პედაგოგი, რეგიონში სასკოლო განათლების ფუძემდებელი. სხვა რაიმე ცნობა უფრო ადრე აფხაზეთში აფხაზებისთვის სკოლის გახსნისა და იქ მოღვაწე პედაგოგების შესახებ არ არსებობს.

ილორის სკოლაში განათლების მაღალ დონეზე მიუთითებს ეპისკოპოს გერმანეს ზემოხსენებული წერილი (1852 წლის 27 სექტემბერი) ეგზარქოს ისიდორესადმი. მასში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში, გარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პირველი კლასისა, შესაძლებელი იყო კიდევ მეორე კლასის დაკომპლექტებაც. აფხაზეთის ეპისკოპოსის აზრით, ეს გაკეთდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ,,სათანადოდ მომზადებული ილორელი ბავშვები, რომელთაც შარშან ასწავლიდნენ და რომელთა მეორე კლასში გადაყვანა უკვე შეიძლება, საკუთარი ხარჯებით სოუკ-სუში (ლიხნში – ჯ.გ.) ჩამოვლენ...“[1] უნდა ვივარაუდოთ, რომ მღვდელმონაზონი ალექსანდრე ილორელ ბავშვებს შემდგომში სასულიერო სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მიზნით, იმავე სასწავლებლის პროგრამით წინასწარ ამზადებდა.

ლიხნში გახსნილი სასულიერო სასწავლებელი პირველი ოფიციალური სასწავლო დაწესებულებაა ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე. მისი პირველი და ერთადერთი ხელმძღვანელიც ალექსანდრე ოქროპირიძე იყო. აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის შესახებ საკმაოდ მდიდარი საარქივო მასალა შემორჩა, საიდანაც ირკვევა, რომ სასწავლებელში თავიდან 11 ბავშვი ირიცხებოდა. მალე მათი რაოდენობა ოცამდე გაიზარდა. მოსწავლეთა შორის ხუთი მაჰმადია-

[1] იქვე, გვ. 67.

ნიც იყო[1]. უწმინდესი სინოდის მიერ 1853 წლის 21 მაისს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი სამღვდელოებისა და ყველა სოციალური ფენის ადგილობრივ მკვიდრთა შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს მოემსახურებოდა. პროგრამის მიხედვით, ბავშვებს ასწავლიდნენ სჯულის კანონს, რუსულ და ქართულ ენებს, ორივე ენაზე სუფთა წერას, ორივე ენის გრამატიკას, გალობას, გეოგრაფიას. გათვალისწინებული იყო პრაქტიკული მეცადინეობა აფხაზურ ენაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა მომარაგებას ალექსანდრე ოქროპირიძე დიდწილად საკუთარი სახსრებით ახდენდა, გამოთავისუფლებულ სახელმწიფო სახსრებს კი ბანკში ინახავდა[2].

ყირიმის ომის წლებში (1853 - 1856 წწ.) აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ, ეპარქიამ, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა, ადმინისტრაციამ აფხაზეთი დატოვეს და საქართველოს სხვა რეგიონებში, ძირითადად სამეგრელოში გადაინაცვლეს. ევაკუირებულთა შორის იყო აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელიც. საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს რეკომენდაციით, მღვდელმონაზონი ალექსანდრე 1854 წლის 13 მაისიდან 1855 წლის 26 იანვრამდე დროებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის, უმაღლესი განყოფილების მასწავლებლის, აგრეთვე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა[3].

---

[1] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (სსცა), ფ. 488, აღწ. 1, ს. 26485, ფ. 2ა.

[2] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 75 - 77.

[3] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25933, ფ. 9-12; გურია – სამეგრელოს ეპისკოპოსი, გვ. 13.

სამეგრელოში ევაკუირებული აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენა მხოლოდ 1855 წლის პირველ ნახევარში მოხერხდა. სასწავლებლის ადგილსამყოფელად სოფელი ჭკადუაში შეირჩა, სადაც აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე თავის სიმამრთან დროებით თავს აფარებდა. სასწავლებელს კვლავ ალექსანდრე ოქროპირიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც 1855 წლის 12 თებერვალს იღუმენის ხარისხში იქნა აყვანილი. სწავლას 6 მოსწავლე აგრძელებდა, რომელთა შორის, თავად ალექსანდრე ოქროპირიძის შეფასებით, სამთავრო ტახტის მემკვიდრე ცხრა წლის გიორგი შარვაშიძე გამოირჩეოდა[1]. სასწავლებელი მალე სენაკში (სოფ. ქვაშხორში), ელიზბარ დადიანის სახლში, გადავიდა. 1855 წლის ოქტომბერში თურქების მიერ სამეგრელოს დაკავების შემდეგ სასულიერო სასწავლებელი ისევ დაიხურა, ამჯერად უკვე საბოლოოდ. საერო მთავრობა უარს ამბობდა მის აღდგენაზე და დაფინანსებაზე. რაც შეეხება დროებით აღდგენილი სასწავლებლის დაფინანსებას, ომის დასრულებამდე იღუმენმა ალექსანდრემ იგი მთლიანად თავის თავზე აიღო.

ყირიმის ომმა და ოსმალეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამ საგრძნობლად დაასუსტა ქრისტიანობა. აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი ოკუპანტებს მიემხრო, ბევრმა კი ქრისტიანული სარწმუნოება უარყო. ააცის, შქაწყარისა და კვიტოულის ეკლესიების მღვდლების გარდა, ყველა სასულიერო პირმა აფხაზეთი დატოვა[2]. სარწმუნოებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით აფხაზეთში შექმნილი ვითარების რამდენადმე მაინც გამოსწორების მიზნით, ეპისკოპოსმა გერმანემ

---

[1] ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 421.

[2] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს.259 33, ფ. 15-16.

საეპარქიო კათედრის თარჯიმანი სიმონ ეშბა, აგრეთვე აფ-ხაზი ეროვნების დიაკონი იოანე გეგია (1855 წლის 1 მაისს იგი მღვდლად აკურთხეს) 1854 - 1855 წლებში ოკუპირე-ბულ აფხაზეთში მიავლინა. მათ გაამხნევეს ქრისტიანები და ასობით ადამიანი ქრისტეს რჯულზე მოაქციეს. ქრისტიანთა პოზიციების განმტკიცებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1855 წლის მაისში მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნებამ და ლიხნის კარის ეკლესიაში ღმრთისმსახურების აღდგენამ[1].

აფხაზეთის თავადების მხრიდან უსაფრთხოების გარან-ტიების მიღების შემდეგ, ეპისკოპოსმა გერმანემ 1854 წლის მიწურულს ალექსანდრე ოქროპირიძის აფხაზეთში მივლინება გადაწყვიტა. სასულიერო სასწავლებლის აღდგენამ ხელი შე-უშალა ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. 1856 წლის 17 აპრილს ეპისკოპოსმა გერმანემ ეგზარქოსს შეატყობინა, რომ მან უკვე მისცა მითითება არქიმანდრიტ ალექსანდრეს (უწ-მინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, საქველმოქმედო საქმია-ნობისთვის არქიმანდრიტის ხარისხში იგი 1856 წლის 26 თებერვალს აიყვანეს) ეკლესიების მდგომარეობის შესწავლი-სა და მისიონერული მიზნებისთვის აფხაზეთში გამგზავრების შესახებ[2]. სათანადო განკარგულებას ხელი მოეწერა 8 აპ-რილს.

ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთს გაემგზავრა. იმ დროისთვის ოსმალური ოკუპაცია დასრულებული იყო (1856 წლის თებერვალი), თუმცა შეიარაღებულ ჩერქეზთა და აფ-ხაზთა თარეშის გამო, რეგიონში საკმაოდ რთული და სასუ-ლიერო პირებისთვის მეტად სახიფათო ვითარება რჩებოდა. მიუხედავად არსებული საფრთხეებისა, მან თითქმის მთელი

---

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს.16878, ფ. 1-5; იქვე, ს. 25933, ფ. 13-13ა, 24-25

[2] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25933, ფ. 22,37.

ეპარქია მოიარა. აფხაზეთიდან დაბრუნებულმა არქიმანდრიტმა ალექსანდრემ 1856 წლის 22 ივლისს ეპისკოპოს გერმანეს მოხსენება წარუდგინა. მასში ნათქვამია, რომ დაათვალიერა ეკლესიები, რომლებსაც აფხაზეთიდან 1853 წელს გამოტანილი ნივთები, გარკვეული თანხა, აგრეთვე ჯვრები გადასცა; აფხაზეთში მხოლოდ ლიხნის, ააცისა და ილორის ეკლესიები ფუნქციონირებდნენ. ბიჭვინთის, ათარის, ეშქეთის, შქაწყარის, კვიტოულისა და ოჩამჩირის ეკლესიები კი შეკეთებას საჭიროებდა. მოხსენებაში აგრეთვე ვკითხულობთ: „მისიონერის მოვალეობისამებრ, ვცდილობდი აფხაზების დარიგებას, რათა თავიანთი შვილები მოენათლათ, რომლებიც შფოთიანი გარემოებების გამო, მოუნათლავნი დარჩნენ. იმავდროულად ვცდილობდი, მოზრდილებიც დამერწმუნებინა, რომ მიეღოთ წმინდა ნათლობა. რა თქმა უნდა, ქადაგებამ ნაყოფი გამოიღო, ბევრი დარწმუნდა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდეში და ნათელიღო“[1]. ალექსანდრე ოქროპირიძის მოხსენების შინაარსი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეპისკოპოსმა გერმანემ 1856 წლის 26 ივლისს საქართველოს ეგზარქოსს აცნობა.

იმპერატორისა და უწმინდესი სინოდის, შესაბამისად, 1856 წლის 20 და 26 სექტემბრის ბრძანებულებებით, აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე იმერეთის მღვდელმთავრად დაინიშნა. იმავე წლის 20 ოქტომბერს ეგზარქოსმა ისიდორემ არქიმანდრიტ ალექსანდრეს „აფხაზეთის ეპარქიის მთელი საქმეების მართვა“, აგრეთვე ეპარქიის ყველა ეკლესიის, ბიჭვინთის მღვდელმთავრის სახლის ომის შემდგომი მდგომარეო-

[1] იქვე, ფ. 41-41ა.

ბის დეტალური აღწერისა და სამღვდელოების შესახებ ინ-ფორმაციის დაუყოვნებლივ წარმოდგენა დაავალა[1].

იმპერატორის 1856 წლის 20 სექტემბრის ზემოხსენე-ბული ბრძანებულება იმერეთის ეპისკოპოსად გერმანეს და-ნიშვნის შესახებ, უწმინდეს სინოდს აფხაზეთის კათედრაზე დასანიშნად კანდიდატების წარმოდგენას ავალებდა. 1856 წლის 26 სექტემბრის შესაბამისი ბრძანებულებით, უწმინ-დესმა სინოდმა ეს დავალება საქართველო-იმერეთის სინოდა-ლურ კანტორას გადაუმისამართა. კანდიდატების შერჩევისას კანტორას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ „აფხაზეთის კა-თედრა დაფუძნებულია აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნო-ების გავრცელების განსაკუთრებული მიზნით; ამიტომ მკაც-რად ზნეობრივი ცხოვრების წესის გარდა, ეპისკოპოსს მოეთ-ხოვება თავმდაბლობისა და სიყვარულის სულისკვეთებით ღმრთის სიტყვის ქადაგების უნარი, განსაკუთრებით კი ხალ-ხის ველური და უხეში ზნე – ჩვეულებების მიმართ კეთილ-გონიერების, დიდი შემწყნარებლური მოთმინების გამოჩენა“[2]. გარდა ამისა, ეპისკოპოსობის კანდიდატი არ უნდა ყოფილი-ყო აფხაზეთის მთავრის სულიერი მოძღვარი, როგორც ეს იქნა დაშვებული 1851 წლის 30 მაისს აფხაზეთის კათედრა-ზე გერმანეს დანიშვნისას. შესაბამის ბრძანებულებაში მაშინვე ჩაიწერა, რომ „მომავალში ამ თანამდებობაზე არ დაინიშნოს პირი, რომელიც ადრე მთავრის მოძღვარი იყო“[3].

1857 წლის 18 თებერვალს საქართველო-იმერეთის სი-ნოდალურმა კანტორამ, მეფისნაცვალ ა.ი. ბარიატინსკისთან შეთანხმებით, აფხაზეთის ეპისკოპოსობის კანდიდატებად კან-

---

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 17088, ფ. 1; იქვე, ფ. 489, აღწ. 1, ს. 62766, ფ. 1-8.

[2] სსცა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 62766, ფ. 21.

[3] იქვე, ფ. 4-5.

ტორის წევრი არქიმანდრიტი გერონტი (პაპიტაშვილი), აფ-ხაზეთის ეპარქიის დროებითი მმართველი არქიმანდრიტი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და თბილისის სასულიერო სემი-ნარიის პროფესორი, მღვდელმონაზონი გაბრიელი (ქიქოძე) დაასახელა. მონაცემები მათ შესახებ უწმინდეს სინოდს 1857 წლის 22 თებერვალს წარედგინა[1].

ამასობაში არქიმანდრიტი ალექსანდრე დაუღალავად იღვწოდა მისიონერულ ასპარეზზე. უპირველეს ყოვლისა, ეგ-ზარქოსის 1856 წლის 20 ოქტომბრის განკარგულების თა-ნახმად, აფხაზეთის ეპარქიის მმართველს დაუყოვნებლივ უნ-და წარედგინა ომის შემდგომ პერიოდში სამთავროს ეკლესი-ების მდგომარეობის ანალიზი. ასეთი ანალიზი მოცემულია ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ ეგზარქოსისთვის დაგვიანე-ბით წარდგენილ ორ მოხსენებაში. პირველი მოხსენება, რომელიც 1857 წლის 2 სექტემბრით თარიღდება, ბიჭვინთის სამღვდელმთავრო სახლის მდგომარეობას ეხება. მასში ჯერ განმარტებულია დავალების შესრულების დაგვიანების მიზე-ზები. აღნიშნულია, „რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, დღემდე არ იყო ბიჭვინთის დათვალიერების შესაძლებლობა მთიელთა სიახლოვისა და ბიჭვინთაზე მათი ხშირი თავდასხ-მების, აგრეთვე თავად ბიჭვინთის მოსახლეობაში შიდა მღე-ლვარებებისა და არეულობების გამო. ამიტომ შეუძლებელი იყო ბიჭვინთაში აშენებული სამღვდელმთავრო სახლის დაზი-ანებების აღწერა და მისი აღდგენის თაობაზე მოსაზრებების წარმოდგენა ხარჯთაღრიცხვის მითითებით“. აფხაზთა მტკი-ცებით, - აგრძელებს არქიმანდრიტი ალექსანდრე, - სახლს არ გააჩნია იატაკი და ჭერი, დარჩენილია მხოლოდ ცარიელი კედლები; სამხედროები კი მისი აღდგენისაგან თავს იკავებენ,

[1] იქვე, ფ. 4-5, 20-25.

სანამ არ აღდგება ადრე არსებული გამაგრებული პუნქტი და რუსები ბიჭვინთას არ დაიკავებენ. ამჟამად კი, - ნაქვამია მოხსენებაში, - „იქ სრულებითაც არ არის თავისუფალი ფართი აფხაზეთის ბიჭვინთის ტაძრის კრებულისთვის“, ვინაიდან ბიჭვინთაში რუსები ჯერ არ არიან, ხოლო აფხაზებმა არც მუშაობა იციან და არც არსებული საბაზრო ფასები. როგორც არქიმანდრიტი ალექსანდრე წერს, ხარჯთაღრიცხვის შედგენა შეუძლებელი იყო[1]. ასეთია ეგზარქოსისთვის წარდგენილი პირველი მოხსენების შინაარსი.

1857 წლის 15 სექტემბერს, არქიმანდრიტმა ალქსანდრემ ეგზარქოს ისიდორეს მეორე მოხსენებითი ბარათი მიართვა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთში არსებული ყველა ეკლესია, გარდა მაზუხისა (ბიჭვინთის) და ათარის ტაძრებისა, უკვე იყო აღდგენილი და ალექსანდრეს მიერ ნაკურთხიც. ათარის ეკლესიის შეკეთებაც დასრულებული იყო. მისი კურთხევის გარდა, რჩებოდა კიდევ მაზუხის ტაძარი, რომლის შეკეთება რუსი სამხედროების მიერ ბიჭვინთის გამაგრებული პუნქტის დაკავების, მთიელთა თავდასხმების აღკვეთისა და გარკვეული თანხების (დაახლოებით, 100 ვერცხლის მანეთი) მოძიების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი.

იმავე მოხსენებაში აფხაზეთის ეპარქიის მმართველი მონათლულ აფხაზთა სიებზეც ამახვილებდა ყურადღებას და წერდა, რომ წმინდა ნათლისღების საიდუმლო მისი უშუალო ხელშეწყობითა და მონაწილეობით სრულდებოდა. „მე ვიყავი მოქმედი პირი როგორც მისიონერი, მღვდლები კი საიდუმლოს აღასრულებდნენ, - ნათქვამია მოხსენებაში. – ხშირად მე თვითონ ვახდენდი ამ მხრივ ზემოქმედებას აფხაზთა გონებაზე და გულებზე, ხშირად – მღვდლების მეშვეობით. ვარი-

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25933, ფ. 46-46ა.

გებდი მათ, როგორ უნდა მოეხდინათ ზემოქმედება აფხაზებ-ზე; ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისას, როგორ უნდა გამოეყენებინათ მათ მიმართ სულიერი იარაღი, ღმრთის სიტ-ყვა. უფრო მეტიც, ქადაგებებით მოვახერხე ბევრი აფხაზის წმინდა ნათლისღებაზე დაყოლიება, მაგრამ გარკვეული პე-რიოდი ისინი კათაკმევლებად დავტოვე.

ასევე მაქვს პატივი მოკრძალებით მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებული მონდომებით ვცდილობ საგანგებო სიფრთ-ხილისა და ყურადღების გამოჩენას სხვა სარწმუნოების მიმ-დევართა მართლმადიდებლობაზე მოქცევის წმინდა საქმეში. საერთოდ, მე ვცდილობდი, რომ მართლმადიდებლური დოგმა-ტების შემეცნებისთვის შემზადებამდე არ დამეშვა წმ. ნათ-ლისღება, რათა მონათვლის შემდეგ უმძიმეს ცოდვებში არ ჩავარდნილიყვნენ, ან სრულიადაც ხელი არ აეღოთ ქრისტია-ნობაზე, რისი მაგალითებიც თურქთა შემოსევების შემდეგ აფხაზეთში ბევრი გვინახავს. მის გამო ვცდილობ აფხაზურ სამრევლოთა მღვდლები დავარიგო, რათა ურწმუნოებს მო-ნათვლამდე უქადაგონ მოძღვრება ქრისტიანობის ძირითადი ჭეშმარიტებების შესახებ, რომლებიც სარწმუნოების სიმბო-ლოში არის მოცემული“[1].

ასეთია ეგზარქოსისთვის გაგზავნილი მოხსენებების ძი-რითადი შინაარსი, რომელიც ალექსანდრე ოქროპირიძის მი-ერ აფხაზეთში გაწეულ მრავლმხრივ, პირველ რიგში, ნაყო-ფიერ მისიონერულ საქმიანობაზე მიუთითებს.

1857 წლის სექტემბერში აფხაზეთის ეპარქიის მმართ-ველი კიდევ ერთხელ მიმართავს ეგზარქოს ისიდორეს. ამჯე-რად იგი ითხოვდა ხელშეწყობას „რატომღაც აფხაზეთიდან

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25933, ფ. 47-48ა; დინარა დარსალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13.

გელათში გადატანილი“ სიწმინდის – „ბიჭვინთის განძის“, აფხაზეთის „წმინდა ძვირფასეულობის“ აფხაზეთშივე დაბრუნების საქმეში. მას მხედველობაში ჰქონდა „მოოქროვილი ვერცხლით მოჭედილი, ძვირფასი ქვებით შემკული წმინდა ნაწილებიანი ღმრთისმშობლის ხატი“. საუბარი იყო 1858 წელს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის ბრძანებით დამზადებულ ბიჭვინთის ღმრთისმშობელზე – საკათალიკოსოს მთავარ სიწმინდეზე, რომელიც აფხაზეთში მთიელთა ჩამოწოლისა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსების ბიჭვინთიდან განდევნის შემდეგ გელათში იყო დასვენებული[1]. ბიჭვინთაში მისი დაბრუნების იდეა აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს მკვლევარ ა. ნ. მურავიოვთან ერთად XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში გელათში ყოფნის დროს ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის ნახვისას გაუჩნდა. ამის შესახებ თავად ა. ნ. მურავიოვი წერდა[2]. მიხეილ შარვაშიძემ აღნიშნული იდეის განხორციელება, ანუ ხატის გელათიდან ბიჭვინთაში გადმობრძანება, შემდგომში ალექსანდრე ოქროპირიძეს დაავალა. სამწუხაროდ, არქიმანდრიტ ალექსანდრესთვის იმჟამად ცნობილი არ იყო ღმრთისმშობლის ხატის თავის დროზე ბიჭვინთიდან გელათში გადატანის ნამდვილი მიზეზები. მისთვის უცნობი იყო აგრეთვე აღნიშნული სიწმინდის კუთვნილების სამართლებრივი ასპექტებიც. ამიტომაც არქიმანდრიტ ალექსანდრეს აზრით, ბიჭვინთის ღმრთისმშობლის მესაკუთრე არა გელათის მონასტერი, არამედ ბიჭვინთა უნდა ყოფილიყო. იგი წერდა: „გელათის მონასტრის წინამძღვარ-

---

[1] ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 173-175.

[2] А.Н Муравьев. Грузия и Армения. Ч. III. СПБ., 1848, с. 210-211.

თან თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ნებართვის გარეშე არ ვიდავებ, მაგრამ აფხაზეთის საკუთრების დათმობა არ მსურს. კეთილი ინებეთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, და გაეცით ბრძანება, რათა ეს ხატი ახლავე, ან ბიჭვინთის ტაძარში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ გადმოვაბრძანო. აფხაზეთი მოწიწებით მიიღებს თავის სასწაულმოქმედ მფარველს. ეს კი დაეხმარება მას გაიცნოს მისი ძე და ღმერთი ჩვენი"[1]. არქიმანდრიტი ალექსანდრე საკითხს უდგებოდა როგორც მისიონერი. მას მიაჩნდა და სავსებით სწორადაც მიაჩნდა, რომ ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ბიჭვინთაში გადაბრძანება ხელს შეუწყობდა მისიონერული მიზნების განხორციელებას. რაც შეეხება საკუთრების საკითხს, აღნიშნული სიწმინდე ეკუთვნოდა არა აფხაზეთის საერისმთავროს, არამედ აფხაზეთის საკათალიკოსოს, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოიცავდა.

ბიჭვინთის ღმრთისმშობლის გელათიდან ბიჭვინთაში გადატანის თაობაზე ეგზარქოს ისიდორეს განკარგულება არ გაუცია. ეს საკითხი ბევრად უფრო მწვავედ მოგვიანებით - 1910 წელს დაისვა, მაგრამ ამჯერად უკვე არა მისიონერული, არამედ სუფთა კომერციული მიზნებისთვის – რუსეთიდან მომლოცველებისა და ტურისტების ბიჭვინთაში მოსაზიდად. 1910 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს სინოდალურმა კანტორამ ამ თემაზე სპეციალურად იმსჯელა და თავისი დადგენილებით ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის ბიჭვინთის ტაძარში გადატანის „კანონიერი საფუძვლების არქონე" მოთხოვნა უარყო[2].

---

[1] სსცა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 62779, ფ. 4.

[2] ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 688 - 690.

აფხაზეთში ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობის ერთგვარ წინასწარ შეჯამებას წარმოადგენს მისი 1857 წლის 20 დეკემბრის წერილი ოსური სასულიერო კომისიის კანცელარიისადმი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არქიმანდრიტი ალექსანდრე აფხაზეთის ეპისკოპოსობის ერთ-ერთ კანდიდატად იყო დასახელებული. 1857 წლის 17 აგვისტოს უწმინდესმა სინოდმა არჩევანი გერონტი პაპიტაშვილზე გააკეთა. ახალ მღვდელმთავართან შესახვედრად და აფხაზეთში გასაცილებლად 1857 წლის დეკემბერში არქიმანდრიტი ალექსანდრე ქუთაისში ჩავიდა. 13 დეკემბერს მას აფხაზეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილი აფხაზი ეახლა და ეშქეთის აფხაზური სამრევლოს დეკანოზის, მიხეილ შარვაშიძისა და მისი ოჯახის სულიერი მოძღვრის, ვასილ მიქაბერიძის წერილი გადასცა. მთავრისა და მთელი აფხაზეთის სახელით არქიმანდრიტ ალექსანდრეს სთხოვდნენ ეპარქიაში დაბრუნებას და საშობაო დღესასწაულების აფხაზეთში გატარებას. ამ ფაქტმა ალექსანდრე ოქროპირიძეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მაღალი დონის ამგვარ საგანგებო მიწვევაში მან აფხაზთა წინაშე საკუთარი დამსახურებების დაფასება დაინახა. ცხადია, ალექსანდრე ოქროპირიძე ქუთაისში სასულიერო მთავრობის ნებართვით ჩავიდა. ქუთაისიდან უკან გაბრუნების მიზეზების შესახებაც იგი ვალდებული იყო იმავე მთავრობისთვის ეცნობებინა. ასე დაიწერა 1857 წლის 20 დეკემბრის წერილი ოსური სასულიერო კომისიის კანცელარიის სახელზე. ,,სანაქებო, სასიხარულო და სანუგეშოა ჩემთვის ამგვარი მიწვევა, - წერდა არქიმანდრიტი ალექსანდრე, – სანაქებოა იმიტომ, რომ მოვასწარი აფახაზების სიყვარულის დამსახურება და მათი მხრიდან საყოველთაო ყურადღების მიპყრობა. სასიხარულოა იმიტომ, რომ აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები არ ივიწყებენ ჩემს გულითად თანაგრძნობას, რომელიც

ყოველთვის გამაჩნდა მათ მიმართ; მისიონერული შრომაც სრული წარმატებით დაგვირგვინდა. სანუგეშოა იმიტომ, რომ საქმიანობის წარმართვა მთავრობის გეგმის შესაბამისად შევძელი და ძვირფასი მთავრობის ნდობა გავამართლე, ანუ მოვახერხე ჩემდამი აფხაზების კეთილგანწყობის მოპოვება, მთიელთა გონებაზე თავისუფალი ზემოქმედება. ამასთანავე მხედველობაში მქონდა მხოლოდ ის, რომ მომეხდინა შეხედულებებითა და გრძნობებით აფხაზთა შერწყმა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიისა და სამშობლოს შვილებთან...

მე არ ვიკადრებ საკუთარი წარმეტებებითა და ღირსებებით თავის მოწონებას, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ვიცი ის, რომ აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები ჩემით, მათდამი ჩემი დამოკიდებულებითა და საქმიანობით, როგორც ამას თავად საქმეები ადასტურებენ, კმაყოფილნი არიან; ვიცი ის, რომ სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე, აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები მე დამლოცავენ". თავის წერილში არქიმანდრიტი ალექსანდრე გამოხატავს მზადყოფნას კვლავაც იმსახუროს აფხაზეთში, გააგრძელოს იქ მისიონერული მოღვაწეობა „აფხაზთა სასიკეთოდ და გადასარჩენად". წერს, რომ აფხაზების მიმართ მას ექნება „ქრისტიანული სიყვარულით გამთბარი თანგრძნობა და სიბრალული"[1] .

ეპისკოპოსი გერონტი (პაპიტაშვილი) აფხაზეთში 1858 წლის 29 იანვარს ჩავიდა. 1859 წლის 16 ნოემბერს ის სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა და საცხოვრებლად მარტვილში გადავიდა. იმავდროულად, ახალი ეპისკოპოსის დანიშვნამდე იგი აფხაზეთის კათედრასაც ინარჩუნებდა. აფხაზე-

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25273, ფ. 7-7ა, 11; დინარა დარსალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14.

თის ეპარქიის ფაქტობრივი გამგებლობა და მისიონერული მოვალეობა კვლავ ალექსანდრე ოქროპირიძეს ეკისრებოდა.

აფხაზეთში მისიონერულ საქმიანობაზე გავლენას ახდენდა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება და ხელისუფლების უხეში იმპერიალისტურ - ანექსიონისტური პოლიტიკა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 50 - 60-იანი წლების მიჯნაზე რუსეთი დაკავებული იყო ჩრდილო – დასავლეთ კავკასიის დაპყრობით, აფხაზთა მონათესავე ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მიმართ არნახული ძალადობით, მისი გენოციდით, ცოცხლად გადარჩენილთა იძულებით თურქეთში გასახლებით. შესაბამისად, სარწმუნოებრივი საკითხებისთვის მას ნაკლებად ეცალა. ამავე დროს, კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის შეშფოთებას იწვევდა აფხაზური მოსახლეობის თანაგრძნობა ჩრდილოკავკასიელ თანამოძმეთა მიმართ, ყირიმის ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში მაჰმადიანობის გააქტიურება და ქრისტიანობის რამდენადმე დასუსტება. შექმნილ ვითარებაში ალექსანდრე ოქროპირიძემ სასულიერო და სამხედრო ხელისუფლებას რამდენიმე ანალიტიკური ხასიათის მოხსენება წარუდგინა სათანადო რეკომენდაციებითა და წინადადებებით. ვინაიდან ამ დოკუმენტების უმეტესი ნაწილი თანდართული კომენტარებით გამოქვეყნებულია, შემოვიფარგლებით მათი მოკლე მიმოხილვით. პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ეგზარქოს ევსევისთვის 1860 წლის 18 მაისს გაგზავნილი „ მოსაზრებები აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“[1]. დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში საუბარი არის აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცე-

[1] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 83-96.

ლების ხელშემწყობ მთელ რიგ ფაქტორებზე. ასეთ ფაქტორებად ალექსანდრე ოქროპირიძეს მიაჩნდა: აფხაზეთის მთავართან მღვდელმთავრის კარგი დამოკიდებულება; მისიონერისთვის ქართული და აფხაზური ენების ცოდნა (რაზეც ქვემოთაც შევჩერდებით); მღვდელმთავრის მოციქულებრივი ღმრთისმსახურება, ამ მიზნით სათანადო საეპარქიო ამალის ჩამოყალიბება, მგალობელთა გუნდის შექმნა, ეპარქიის მატერიალური ბაზის უზრუნველყოფა; სასულიერო საწავლებლის აღდგენა; სამრევლოების რაოდენობის გაზრდა, ახალი ეკლესიების მშენებლობა; ანაკოფიის (ფსირცხის), დრანდისა და მოქვის ისტორიული ტაძრების აღდგენა; სამღვდელოების ეკონომიური პირობების გაუმჯობესება; მისიონერულ საქმიანობაში თავადაზნაურობის ჩართვა.

1860 წლის 18 მაისის დოკუმენტის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებულია ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, ალექსანდრე ოქროპირიძის აზრით, აფხაზეთში არსებული რამდენიმე ხელის შემშლელი ფაქტორი, მათ შორის: აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის არარსებობა; აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მეზობელი წარმართი და მაჰმადიანი ხალხების მეტ გავლენას უზრუნველყოფდა; სასულიერო პირთა სიმცირე; გუდავაში, ოჩამჩირეში, კელასურსა და გუდაუთაში არსებული თურქული დასახლებების აქტიურობა მაჰმადიანობის გავრცელების მიზნით; აფხაზი თავადების მიერ მოლების მომრავლების წესი და ტრადიცია; ყირიმის ომის პერიოდში აფხაზ თავადთა დიდი ნაწილის მიერ ქრისტიანობის უარყოფა; მაჰმადიანი მამაკაცების ქრისტიან ქალებზე დაქორწინებისა და ასეთ შემთხვევებში ქალების მაჰმადიანობაზე გადასვლის ტრადიცია; თავადაზნაურობის მასობრივი გამაჰმადიანება (გარდა შარვაშიძეებისა), რომლებსაც გლეხებიც ხშირად ბაძავდნენ.

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ 1860 წლის 18 მაისის დოკუმენტში ოფიციალურ დონეზე პირველად არის დასმული აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნის საკითხი. ასეთი ლიტერატურის არარსებობა, როგორც ალექსანდრე ოქროპირიძე წერდა, აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ერთ – ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო[1].

ქრისტიანობის განმტკიცებასთან დაკავშირებული იგივე თემები, ცალკეული რეგიონების მიხედვით, უფრო გაღრმავებულია აფხაზეთში განლაგებული რუსული ჯარების უფროსისთვის, გენერალ ყორღანოვისთვის, ამ უკანასკნელის თხოვნით 1860 წლის 2 და 25 ივლისს წარდგენილ მოსაზრებებში: „რეგიონში ქრისტიანობის გავრცელებისთვის საჭირო ზომების შესახებ“. ორივე მოხსენებაში მოტანილია კონკრეტული გვარ-სახელები აფხაზი წარჩინებულებისა, რომლებმაც ქრისტიანობა დატოვეს და გამაჰმადიანდნენ. დასახელებული არიან აგრეთვე მაჰმადიანობის აქტიური პროპაგანდისტები, საუბარი არის მათ მიერ აფხაზი ბავშვებისთვის შექმნილ სკოლებზე. ვრცლად არის მიმოხილული აფხაზთა ის მავნე ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქრისტიანობის გავრცელებას. დასასრულს, ალექსანდრე ოქროპირიძე აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აფხაზეთის მოქცევა მოითხოვს მთავრობისაგან დამატებითი სახსრების გამოყოფას ეკლესიების ასაშენებლად და ახალი სამრევლოების გასახსნელად, აფხაზეთის მთავრისაგან კი – ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ხელშეწყობას[2].

---

[1] იქვე, გვ. 90

[2] წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007, გვ. 569-579.

1860 წლის 27 დეკემბრის მოხსენებაში ეგზარქოს ევსევისადმი არქიმანდრიტი ალექსანდრე თავად აძლევს შეფასებას აფხაზეთში საკუთარ მოღვაწეობას, აგრეთვე მის მიერვე შედგენილ ზემოხსენებულ დოკუმენტებს. იგი აღნიშნავს, რომ მთავრობისთვის კავკასია გამოწვევად იქცა და მთელი სიგრძე - სიგანით აყენებს მის წინაშე მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მთიელთა მოქცევის საკითხს. „განგებამ წილად მარგუნა იმ მისიონერთა შორის სამსახური, რომელთა სამოღვაწეო ასპარეზია კავკასია. უკვე ცხრა წელიწადია, რაც აფხაზეთში – კავკასიის ამ ნაწილში ვმსახურობ. ჩემს მიერ გაწეული შრომისთვის თავის ქება არ შემიძლია, მაგრამ ვცდილობ აფხაზეთისთვის სიკეთის კეთებას, - წერდა ალექსანდრე ოქროპირიძე. - რეგიონის ცოდნა მანიჭებს გამბედაობას, რათა აფხაზეთში ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების თაობაზე საკუთარი მოსაზრებები წერილობით გამოვხატო“. ალექსანდრე ოქროპირიძის აზრით, რომელსაც შეუძლებელია არ დაეთანხმო, მის მიერ შედგენილ მოხსენებებს მეტ-ნაკლებად სწორი შეხედულება უნდა შეექმნა ეგზარქოსისთვის, ხელისუფლებისთვის, როგორც „აფხაზეთში ქრისტიანობის ამჟამინდელ უბადრუკ მდგომარეობაზე, ისე... იმის შესახებაც, თუ როგორ შემოვიტანოთ და განვამტკიცოთ ქრისტიანობა აფხაზეთში“ [1]. სავსებით სწორი შეფასებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში სარწმუნოებრივი პოლიტიკის განსაზღვრისას, ხელისუფლება უმთავრესად ალექსანდრე ოქროპირიძის რეკომენდაციებს ეყრდნობოდა, რაზეც ცალკეული სამთავრობო დოკუმენტების შინაარსი მიუთითებს[2].

---

[1] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 96-98.
[2] იქვე, გვ. 98-103; 109-117.

არქიმანდრიტი ალექსანდრე, გარდა ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტების მომზადებისა, იმავდროულად პრაქტიკული საკითხებითაც იყო დაკავებული. ეგზარქოს ევსევისადმი წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც 1860 წლის 22 ივნისით არის დათარიღებული, იგი ითხოვს აფხაზეთის ეკლესიების სათანადო წიგნებითა და ნივთებით უზრუნველყოფას. მოხსენების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ მის შედგენას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო. დოკუმენტში კონკრეტულად არის მითითებული რომელ ეკლესიას რომელი წიგნები და ნივთები ესაჭიროებოდა[1]. აღნიშნული მოხსენების საფუძველზე, ეგზარქოსმა 1860 წლის 31 აგვისტოს უწმინდეს სინოდს აფხაზეთის ტაძრების საეკლესიო წიგნებითა და სხვადასხვა ნივთებით მომარაგების მიზნით 1600 მანეთის გამოყოფა სთხოვა. 1861 წლის 2 იანვარს უწმინდესმა სინოდმა ეგზარქოსის თხოვნა დააკმაყოფილა. შემდგომი თვეების განმავლობაში ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ მოთხოვნილი წიგნები და ნივთები თბილისიდან აფხაზეთში პერიოდულად იგზავნებოდა[2].

აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთ წინაპირობად ალექსანდრე ოქროპირიძე, როგორც ზემოთ ითქვა, ღმრთისმსახურების ენას მიიჩნევდა. თავის მოხსენებებში ის ასაბუთებდა აფხაზეთში ქართული და აფხაზური ენების სწავლების, ამ ენებზე ღმრთისმსახურების ჩატარების აუცილებლობას[3]. 1860 წლის 18 მაისს ალექსანდრე ოქროპირიძე ეგზარქოს ევსევის მოახსენებდა, რომ ,,აფხაზეთის ყველა ეკლესიაში ღმრთისმსახურება ქართულ ენაზე

---

[1] სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 19187, ფ. 1-3.

[2] იქვე, ფ. 6 - 20.

[3] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 85, 90; სსცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 19187, ფ. 2-3.

მიმდინარეობს“. მისი აზრით, ამის აუცილებლობა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში ღმრთისმსახურება მხოლოდ ქართულად წარმოებდა; ეკლესიის მწყემსნი კათოლიკოსების ჩათვლით აქ ქართველები იყვნენ; უძველესი ტაძრების ეპიგრაფიკა ქართულ ენაზეა შესრულებული; ქართული – სადამწერლობო ენაა, რომელიც ტრაპიზონიდან ანაპამდე და ნოვოროსიისკამდე გამოიყენება; ქართული ენა გამოიყენება თვით აფხაზთა შორისაც, აფხაზეთის მთავრის ოჯახისთვის კი ის მშობლიური ენაა; „ქართული ენა იგივეა აფხაზეთში, რაც არის ფრანგული ევროპაში, ანუ კაბინეტური, მოდური, სამეცნიერო – ლიტერატურული ენაა.... ბევრი რომ არ გავაგრძელო, აფხაზეთში ქართული ენა გამოიყენება და მას პატივს სცემენ. ამიტომ არის აუცილებელი, რომ მისიონერმა იცოდეს და ისწავლოს ქართული ენა: გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება აფხაზეთში არ გაქრება“. ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენის მოთხოვნა. როგორც ალექსანდრე ოქროპირიძე წერდა, სასულიერო სასწავლებელში აფხაზი ბავშვები ქართულ და აფხაზურ ენებს შეისწავლიდნენ და ამ ენებზე არსებულ ლიტერატურასაც დაეუფლებოდნენ. იგი აღნიშნავდა, რომ სასწავლებელს „სასიკეთო გავლენა ექნება აფხაზთა ბავშვებზე გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით; საწავლებელში მიღებული კარგი აღზრდისა და მიმართულების პირობებში ბავშვები ფრიად სასარგებლონი იქნებიან საკუთარი სამშობლოსათვის“[1]. ასეთი იყო ალექსანდრე ოქროპირიძის მოსაზრება აფხაზეთში ქართული ენის ადგილისა და როლის თაობაზე.

---

[1] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 85-86, 87.

ამავე დროს, ის კარგად ხედავდა, რომ ქართული ენა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სრულიად საქართველოშიც იყო დაკნინებული. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ 1861 წლის 29 ივლისს ტყვარჩელში (სადაც ის იმჟამად ისვენებდა)ქართულ ენაზე გაკეთებული ჩანაწერები. სხვათა შორის, ეს არის ავტორის მიერ აფხაზეთში ქართულ ენაზე შექმნილი ერთადერთი არაოფიციალური, მაგრამ მნიშვნელოვანი დოკუმენტი. სხვა საკითხებთან ერთად, ალექსანდრე ოქროპირიძე ეხება ქართული ენის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. აღნიშნავს, რომ თავადაც ქართულ ენაზე ვერ მეტყველებს, ,,ვითარცა რიგია, რადგან 1. ახალ რუსულ სასწავლებელშიც მომისმენიეს ყოველნივე საგანი რუსულის ენით და ფრაზით და არა ქართულით და რადგან 2. ქართული ენა დაკნინებით არის ამ ჩვენს საუკუნოში, მეტადრე საღმრთო წერილისა მიზეზისა გამო მიხედულობისა სხვათა ენათა“. ჩანაწერი შეიცავს მოწოდებას ქართველებისადმი, იზრუნონ მშობლიური ენის გადასარჩენად. ,,მე მხოლოდ იმას ვინატრი, - წერდა ალექსანდრე ოქროპირიძე, - რომ ქართველთა სწავლულთა პირთა ერთმანეთის სიყვარული იქონიონ და ერთმანეთის შემწეობით განავრცონ და განამტკიცონ ენა ქართული“[1].

ამრიგად, აფხაზეთში მოღვაწეობის პირველი 10 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ოქროპირიძე თავისი შეხედულებებითა და პრაქტიკული საქმეებით ზოგადქართული მასშტაბის სასულიერო და ეროვნულ მოღვაწედ ყალიბდება, რომელსაც თამამად შეგვიძლია სამოციანელთა ერთ – ერთი იდეური წინამორბედი ვუწოდოთ[2]. უპირველეს ყოვლისა, მან ღრმა კვალი დატოვა აფ-

[1] იქვე, გვ. 107-108.
[2] იქვე, გვ. 6.

ხაზეთის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. მთელს ამ რეგიონში ის იყო აკადემიური განათლების მქონე ერთადერთი პიროვნება. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი აფხაზთა სწავლა-აღზრდის საქმეს, შეიმუშავა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მათი მოქცევის ძირითადი პრინციპები, ფორმები და მეთოდები, რომელთა პრაქტიკაში გამოყენებამ ქართულ ენაზე ღმრთისმსახურებამ განაპირობეს ალექსანდრე ოქროპირიძის შემდგომი წარმატებები მისიონერულ სარბიელზეც. ალექსანდრე ოქროპირიძე იყო ის მისიონერი, რომელმაც პირველმა ოფიციალურად დასვა საკითხი აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნის თაობაზე.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებსა და 60-იანი წლების დასაწყისში ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ გაწეული მისიონერულ - პედაგოგიური მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1861 წლის 21 ნოემბერს სავსებით კანონზომიერად ის აფხაზეთის ეპისკოპოსად დაინიშნა, რის შემდეგაც წარმატებით აგრძელებდა მოღვაწეობას მისადმი რწმუნებულ ეპარქიაში.

დამოწმებანი:

1. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი: ფონდი 488, აღწ. 1, ს. 16878, 17088, 19187, 25273, 25933, 26485; ფონდი 489, აღწ. 1, ს. 62766, 62779.

2. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან, თფილისი, 1903.

3. ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005.

4. დინარა დარსალია, „მოვასწარი აფხაზების სიყვარულის დამსახურება“, - „საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, 4-10 ნოემბერი, № 36, გვ. 11-14.
5. გივი როგავა, – ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, – „აფხაზეთის მოამბე“, 2000, №4, გვ. 35-37.
6. სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, შევსებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან [თბ., 1908].
7. წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006.
8. წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007.
9. А. Н. Муравьев. Грузия и Армения.Ч.III. СПБ, 1848.

Jemal Gamakharia
Higher Council of the Autonomous Republic of Abkhazia

MISSIONARY AND PEDAGOGIC ACTIVITIES OF SAINT ALEXANDRE (OKROPIRIDZE) IN ABKHAZIA (1851-1861)

REZUME

The initial and one of the most important stages of activities of Saint of the Georgian Apostolic Orthodox church is connected with Abkhazia. After finishing of the Khazan Ecclesiastical Seminary (1850) a young monk - priest was appointed the supervisor of the Theological School of Abkhazia being founded on the 15th of April of 1851. The

seminary started to function from September of 1852, but before it the monk-priest Alexandre at his own expense opened a school for Abkhazian children in the village Ilori. It was the first school in history of Abkhazia and Alexandre Oqropiridze was the first pedagogue and founder of the school education in Abkhazia.

During the period of the Russo-Turkish war of 1853-1856 Abkhazia was occupied by the Turks. Christian clergy and among them Alexandre Oqropiridze temporarily left Abkhazia, but at the same time he never stopped his pedagogic activities and in Zugdidi, to be more exact in the village Chkadua he continued the process of teaching and rearing of Abkhazian children. After the end of the war Alexandre returns to Abkhazia in the rank of Archimandrite. In conditions of the Turkish occupation the majority of churches were ruined or significantly damaged and many of the Abkhazians left Christianity. In the given circumstances the activities of Archimandrite Alexandre were directed towards the restoration of the cathedrals and activation of the missionary work. In 1856-1857 and also 1856-1861 he had been fulfilling the duties of the temporary ruler of the Abkhazian eparchy. Archimandrite Alexandre was the only person in Abkhazia having the academic education, who fully used his knowledge and energy for educating and converting the Abkhazians into Christianity and keeping Georgian and Abkhazian languages alive.

At the beginning of the 50-ies and 60-ies of the 19th century Abkhazia obtained the prominent spiritual and public figure of all Georgia in person of Archimandrite Alexandre. On the 21st of November of 1861 quite logically he was appointed Bishop of Abkhazia and successfully continued his missionary and pedagogic activities.

ელენე გეგეშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ებრაული კულტურის კვლევის ცენტრი

რელიგიური პოლიტიკა და ქართველი ებრაელები (XX საუკუნის 20-იანი წლები)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანტირელიგიური მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაძლიერდა. 1923 წლის აპრილისათვის თბილისის მაზრაში დახურეს 48 ეკლესია; ქუთაისში – 166; სენაკში – 148, ოზურგეთში – 130; დახურულ ნაგებობებში ზოგან აბანო, ზოგან პურის საცხობი, ზოგან კი თავლებიც მოაწყვეს[1]. დაიხურა რამდენიმე სინაგოგაც. 1923 წლის 10 იანვარს თბილისის მილიციის უფროსის ბრძანებით დალუქული იქნა ებრაელთა პირველი სამლოცველო სახლი, რომელიც აკიმოვის ქუჩაზე №10 მდებარეობდა. შენობა ითვლებოდა რუსი ებრაელების (ყოფილ ჯარისკაცთა) სამხედრო ტიპის სამლოცველოდ. შინსახკომი მიიჩნევდა, რომ დასახელებული სინაგოგა ძირითადად ემსახურებოდა თბილისის გარნიზონს, რის გამოც მემკვიდრეობით უნდა გადასცემოდა თბილისის გარნიზონის წითელ არმიას. წითელი არმიის მებრძოლებს კი სურვილი ჰქონდათ სამლოცველო სახლი კულტურის კლუბად გადაეკეთებინათ. ბათუმის სინაგოგის დახურვის შემდეგ კი,

[1] თორაძე გ., თორაძე ნ., „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში“, თბ., 1995, გვ. 224.

იქ წლების მანძილზე სპორტული ორგანიზაციები „შევარდენი“ და „სპარტაკი“ არსებობდა[1].

მთავრობის დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ ნათლად წარმოაჩენს 1923 წლის 15 აპრილით დათარიღებული წერილი გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილებაში, სადაც აღმასკომის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ებრაელთა სინაგოგებიდან არავითარი ნივთი წაღებული არ ყოფილა, ხოლო მათი დახურვა მოხდა ეკლესიებთან ერთად, რომლის გადაწყვეტილებაც მიღებულ იქნა საერთო საზოგადო კრების მიერ. ის თავის წერილს ამ კრების რეზოლუციასაც ახლებს, სადაც რელიგია, ეკლესია და სამღვდელოება ბოროტებასთანაა გაიგივებული, რომ ის ფეოდალური წყობილების მიერ არის გამოგონილი მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად და ამიტომ კრების მონაწილეები მოითხოვენ ეკლესიებისა და სინაგოგის შენობები გამოყენებულ იქნას კულტურული მიზნებისათვის, როგორიც არის სკოლები, სამკითხველოები, თეატრები. რეზოლუცია მთავრდება შემდეგი ფრაზით: „გაუმარჯოს რელიგიის, სამღვდელოების, ეკლესიების მოსპობას, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ებრძვის ყოველივე ცრუმორწმუნეობის და ბოროტმოქმედების მოსპობას. ძირს რელიგია, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“[2]. რელიგიური შენობა-ნაგებობების დახურვამ მოსახლეობაში დიდი გულისწყრომა გამოიწვია. პროფ. აბონ ციციაშვილი მიიჩნევდა, რომ სინაგოგების დახურვა მთავრობის მხრიდან ორმაგი შეცდომა იყო, რადგანაც ეკლესიების დახურვა შეიძ-

---

[1] სონღულაშვილი ა., ქართველი ებრაელების რელიგია და ყოფა-ცხოვრება, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I (5), თბ., 2009, გვ. 284, 288.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 67, 68.

ლებოდა შეეფასებინათ როგორც რელიგიისა და სამღვდელოების დევნა, სინაგოგის დახურვა კი (მაშინ საქართველოში იყო 72 სინაგოგა, 25 რაბინითა და ხახმით) შეიძლება მიეღოთ როგორც ეროვნული ჩაგვრა-შევიწროვება[1]. ყველაფერთან ერთად სინაგოგას განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა ებრაელებისათვის. ის იყო ცენტრი, ადგილი, სადაც ებრაელების ერთ მთელად შეკრება ხდებოდა. სინაგოგის ირგვლივ კონცენტრირებული იყო მთელი ებრაული საზოგადოება. ის არ იყო მხოლოდ კულტის აღსრულების ადგილი. იქ მიდიოდნენ არა მარტო სალოცავად, სინაგოგა ასრულებდა ურთიერთდახმარების ორგანიზატორის როლსაც.

როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლების ამ ნაბიჯმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში. ქვეყნის პროვინციულ ქალაქებში მცხოვრები ებრაელები თხოვნით მიმართავდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას (ამ საქმეში მათ თბილისელი თანამოძმეები და პირველ რიგში დავით ბააზოვი ედგათ გვერდში) აღეკვეცა პროვინციებში მიმდინარე ანტირელიგიური კამპანია და დაერთო მათთვის ნება, აღესრულებინათ საკუთარი რელიგიური წეს-ჩვეულებები. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში დაცული საბუთები (ყოფილი პარტიული არქივი) საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად დავინახოთ ეს პროცესი.

1923 წლის 9 მაისს ქალაქ ონში მცხოვრებმა ებრაელებმა თავიანთ რწმუნებულს, დავით ბააზოვს თბილისში რესპუბლიკის პროკურორთან წერილი გამოატანეს, სადაც დაწვრილებით აღწერდნენ ონის სინაგოგის დაკეტვისა და ადგილობრივი ხელისუფლების „საბჭოთა მოსამსახურეთათვის“ არასაკადრის საქციელს. სინაგოგის დაკეტვას თან ახლდა

[1] ციციაშვილი ა., ებრაელები და საქართველო, თბ., 2003, გვ. 654.

ხალხის დარბევა და დაპატიმრება. ადგილობრივი ხელისუფ-ლება სინაგოგის მხოლოდ დაკეტვით არ დაკმაყოფილებულა. გადაწყდა ლოცვისათვის განკუთვნილი ნივთების აღწერა და კონფისკაციაც, რასაც ებრაელების კიდევ უფრო დიდი პრო-ტესტი მოყვა: „...როდესაც გაიგო ხალხმა, რომ სალოცავი-დან ნივთები მიაქვთ, არ დაერიდა მილიციელებს და სცადა სალოცავის ეზოში შესვლა, მაგრამ მილიციელების უსინდი-სობა იქამდე მივიდა, რომ ქალებს, რომელიც გაბედავდა ახ-ლოს მისვლას, თოფებს სცემდა, თმით ათრევდა და იქვე წყალში ჰყრიდნენ...“[1] ონელმა ებრაელებმა დახმარებისათვის მიმართეს ასევე ალექსანდრე გეგეჭკორსაც და ითხოვეს, რომ თუ სალოცავის შენობის დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა, იმის ნება მაინც დაერთოთ, რომ ცალკე სახლში შეკრებილი-ყვნენ და იქ ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება[2]. ასევე ცალკე წერილი მისწერეს ონელმა ებრაელმა ქალებმა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს. წერილს დაახ-ლოებით 270 ქალი აწერდა ხელს. სამივე ამ წერილისთვის, ისევე როგორც სხვა დანარჩენებისთვის, ერთი რამ არის და-მახასიათებელი: მათ ავტორებს სჯერათ ან უნდოდათ დაეჯე-რებინათ, რომ ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავ-ლით ხდებოდა ეს ყველაფერი, რომ მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი და ამიტომ მოითხოვდნენ დამნაშავეების სამაგალითოდ დას-ჯას. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ საბჭოთა ხელისუფლები-სათვის არაფერს წარმოადგენდა მისივე ნაქადაგები თანასწო-რობა და აღმსარებლობის თავისუფლება.

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტა-მენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 3.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტა-მენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 84.

იმავე 1923 წლის მაისში დაკეტილ იქნა 4 სინაგოგა დაბა საჩხერეში, ასევე ხალხის დარბევითა და კონკრეტულ შემთხვევაში სალოცავი ნივთების მოპარვით[1]. ამ არეულობის დროს აქტიურობდა მილიციის უფროსი, რომელიც იმის მაგივრად, რომ წესრიგი დაემყარებინა, პირიქით, მოუწოდებდა ხალხს უწესრიგობისაკენ[2]. ხოლო ახალციხეში სინაგოგის დაკეტვასა და ნივთების წაღებას ადგილობრივი მთავრობა არ დაჯერდა და ეს სარიტუალო ნივთები სამასხარაოდ გახადა. მათ თეატრებსა და კინოებში აჩვენებდნენ, რაც ებრაული თემისათვის დიდი შეურაცყოფა იყო[3]. ასევე დაიკეტა რამდენიმე სალოცავი ქუთაისში, რომლებიც წარმოადგენდნენ პატარა შენობებს და როგორც ქუთაისელი ებრაელების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, კულტურული დაწესებულებებისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარნი იყვნენ[4].

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს დასავლეთ საქართველოს პროკურორის ამბერკი ურუშაძის წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი, სადაც აღნიშნავს, რომ ანტირელიგიურ კამპანიას რაჭის მაზრის სოფელ ბუგეულში მკვლელობა მოჰყვა და ნაცემი იქნა ბევრი ებრაელი. ურუშაძემ გადაამოწმა ებრაელების მონაყოლი, რადგანაც მათ გადამეტება იციან ხოლმე, მაგრამ ყველაფერი მართალი აღმოჩნდა. ურუშაძე ითხოვდა ყველაფერ ამას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჯეროვანი

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 10, 11.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 106

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 104, 105.

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 44.

ყურადღება მიქცეოდა, რადგანაც ანტირელიგიური კამპანიის ასეთი აგრესიული ფორმით წარმართვა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ურუშაძის მონაყოლს ადასტურებდა ონის რაიონის საავადმყოფოს უფროსი ექიმი, ვინმე ჯაფარიძე, რომელთანაც მიყვანილ იქნა ებრაელი ქალი, რომელიც შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა[1]. ასევე ყურადღებას იმსახურებს 1924 წელს საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ, სადაც გამომსვლელმა ნათლად წარმოაჩინა რომ, საჭიროა არა ეკლესიებისა თუ სინაგოგების მექანიკური დახურვა, რითაც ხელისუფლება შეურაცყოფს მორწმუნეთა გრძნობებს, არამედ ღრმა, შინაარსიანი ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარება[2]. არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური წერილების საფუძველზე და მოსახლეობის სავსებით დამსახურებული აღშფოთების გამო მთავრობამ შეწყვიტა ეს უხეში პოლიტიკა და გამოუშვა დადგენილება ეკლესიებისა და სასულიერო ნაგებობების დახურვისა და მათი აღდგენის შესახებ. ეკლესიები გაიხსნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნ მორწმუნეთა რაოდენობა 300 კაცზე ნაკლები არ იქნებოდა. ამ პერიოდში დაშინებული ხალხი ხშირ შემთხვევაში თავს იკავებდა ოფიციალური დოკუმენტის შედგენისაგან, მაგრამ ზოგჯერ ხელმოწერების ეს რაოდენობა მაინც გროვდებოდა. ამის დამადასტურებელია ქართველი ებრაელების წერილები მთავრობისადმი. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ტა-

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 5, 6.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 2, საქმე 35, ფურც. 52, 53.

ლახაძის მიერ მიწერილი წერილი, სადაც ის ითხოვს სახელმძღვანელო განკარგულებასა და სათანადო დირექტივებს, როგორიცაა სალოცავებისა და ეკლესიების გაღება და ნივთების დაბრუნება, რადგანაც, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მსგავსი დირექტივები არ მოეპოვებოდა[1]. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ 1923 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება საეკლესიო ქონების გამოყენების წესის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, დახურული ეკლესიების ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, დაცული უნდა ყოფილიყო სამუზეუმო დაწესებულებებში. დანარჩენი კი - გადაეცემოდა ადგილობრივ ხელისუფლებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მოსაგვარებლად[2]. ებრაელთა არც სინაგოგები და არც ლოცვისათვის საჭირო ნივთები არ წარმოადგენდნენ რაიმე დიდ ფასეულობას. ისინი აღნიშნავდნენ თავიანთ წერილებში, რომ ეს ნივთები მხოლოდ მათთვის არის მნიშვნელოვანი და ფასეული, სხვებისათვის კი არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს.

ამრიგად, ბოლშევიკების ანტირელიგიური პოლიტიკა საქართველოში, რომელიც ყველა კონფესიას შეეხო, პირველ ეტაპზე გამოირჩეოდა თავისი აგრესიული ფორმით. ჩვენს მიერ გამოვლენილმა საარქივო მასალებმა საშუალება მოგვცა ამ პროცესის ზოგიერთი დეტალი, რომელიც ქართველ ებრაელებს ეხებოდა, კიდევ უფრო ნათელი გაგვეხადა.

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830, ფურც. 84.

[2] თორაძე გ., თორაძე ნ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, თბ., 1995, გვ. 225.

დამოწმებანი:
1. თორაძე გ., თორაძე ნ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, თბ., 1995.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 830.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტი, ფონდი 14, აღწ. 2, საქმე 35.
4. სონღულაშვილი ა., ქართველი ებრაელების რელიგია და ყოფა-ცხოვრება, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I (5), თბ., 2009.
5. ციციაშვილი ა., ებრაელები და საქართველო, თბ., 2003.

Elene Gegeshidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Centre of Research of Jewish Culture

RELIGIOUS POLICY AND GEORGIAN JEWS
(the 1920s OF THE 20th CENTURY)
RESUME

After establishment of the soviet regime in Georgia, anti-religious movement increased throughout the whole country. A lot of churches and synagogues were closed down. In the closed buildings cultural institutions and often baths and warehouses were opened. Georgian Jews who live in different corners of the country applied to the central power with a request to stop closing down of synagogues and confiscation of religious objects. Soon it was understood in the government that this form of the religious policy is unproductive and it was decided to make an accent on antireligious propaganda.

რაულ გვეტაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით გვეტაძე
ეთნოკულტურის სამეცნიერო ცენტრი „აია კოლხეთი“
სოფიო კანაშვილი
ეთნოკულტურის სამეცნიერო ცენტრი „აია კოლხეთი“

მეცნიერება და რელიგია ძველქართული დამწერლობის ძეგლების მიხედვით

ეძღვნება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“**
გამოჩენილი მოღვაწეების დიმიტრი ყიფიანისა
და წმინდა მღვდელმთავარ
ალექსანდრე ოქროპირიძის ხსოვნას.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ცნობა ქართული მეცნიერების შესახებ ასახულია ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული და მოკვდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“[1].

[1] ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 26.

თავად ეს ცნობა დაშიფრული ტექსტია, რომლის 36-ასოიან ფრაგმენტში 6-ჯერ მეორდება ქართლ-ფუძიანი სიტყვები, რაც აღმოაჩინა თამაზ ჩხენკელმა[1]. საყურადღებოა, რომ ქართული ანბანური სისტემა განთავსებულია მატრიცაში 6x6.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა, რომ ქართულ ანბანს გარდა ფონეტიკურისა, კალენდარული ფუნქციაც გააჩნია, არის დამწერლობათმცოდნე რამაზ პატარიძე[2], რომელმაც ქართულ ასომთავრულ ანბანში ამოიცნო მთვარისა და მზის კალენდარული სისტემები და ძველი სამყაროს ქრონოლოგიური 19 წლიანი ციკლი.

ქართველმა მეცნიერებმა, ნოდარ კანდელაკმა და გურამ ცერცვაძემ საინტერესო მონოგრაფიაში - „ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი“, აღნიშნეს, რომ თითოეულ ასონიშანს ოთხი ფაქტორი ახასიათებს: გრაფიკა, ფონეტიკა, სახელდება, რიცხვითი მნიშვნელობა[3].

იბერიული სახელმწიფოს სწავლულებმა ელინისტურ ხანაში შექმნეს ძველქართული ასომთავრული ანბანური სისტემა, რომელშიც აკუმულირებულია ძველი ცივილიზაციის მეცნიერული მიღწევები.

დამწერლობის ძეგლების მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ კაცობრიობამ ანბანური დამწერლობის სულ სამი ნაირსახეობა შექმნა: პირველი – ფინიკიური კონსონანტური, მეორე - ბერძნული ვოკალიზებული და

---

[1] თ. ჩხენკელი, მეფეთა ცხოვრება და თვლის შვიდობითი სისტემა. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №1, 1991.

[2] რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული, თბილისი, „ნაკადული“, 1980.

[3] ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი, თბილისი, 2005.

მესამე - ძველქართული ასომთავრული ანბანურ-ასტრონომიული სისტემა, რომელიც ანბანური დამწერლობის განვითარების უმაღლესი საფეხურია.

ასომთავრული ანბანური წყობა არსებითად ინფორმაციული ველია, რომელშიც თავმოყრილი, შემონახული და განთავსებულია ძველი აღმოსავლეთის მიღწევები ასტრონომიის, არქაული მათემატიკისა და ქრონოლოგიის დარგებში. ინფორმაციის ენის ფუნქციას ასრულებს ერთსახელა ასოთა დაჯგუფებები. რიცხვნიშანთა და იდიოგრამების მაგიურ კვადრატულ და წრიულ მატრიცებში განთავსების შემთხვევაში, მჟღავნდება ანბანში კოდირებული კალენდარული პარამეტრები და ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ციკლები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ასომთავრული ანბანი მხოლოდ დამწერლობის ძეგლი არ არის, იგი ამავდროულად წარმოადგენს უნიკალური ისტორიული მნიშვნელობის ინფორმაციული ხასიათის ძეგლსაც, ძვ.წ 284 წლით დათარიღებულ ინფორმატიკულ არქეტიპს.

ქართული ანბანი ელინისტური ეპოქის იბერიული ცივილიზაციის საკაცობრიო მნიშვნელობის შედეგრია. მასში მოიპოვება ენციკლოპედიური ხასიათის ცნობები. ძველქართული ანბანურ-ასტრონომიული ინფორმაციული სისტემა ისეთივე მნიშვნელობის ძეგლია, როგორც ბიბლია. მრავალფუნქციური ძველქართული ანბანური სისტემა ნუმეროლოგიისა და ჰემატრიის გამოყენებასთან ერთად ძველი სამყაროს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის ეფექტური იარაღია.

ქვემოთ მოყვანილია ანბანის ტაბულა, რომლზეც გამოყოფილია ერთსახელა ასოების ჯგუფები.

ცხრილი

ანბანის რიცხვული სისტემის თანრიგები				
ერთეულები	ათეულები	ასეულები	ათასეულები	ათიათასეულები
1.Ꞿ ან an ა=1	10.ᒥ ინ in ი=10	19. ᓯ რაე Rae რ=100	28. ᒣ ჩინ čin ჩ=1000	37. ᑊ ჰოე hoe ᑊ=10000
2.ᒪ ბან ban ბ=2	11. ᖃ კან ḳan კ=20	20. ᓴ სან san ს=200	29. Ꞿ ცან can ც=2000	
3.ᒪ გან gan გ=3	12. ᖇ ლას las ლ=30	21. ᑭ ტარ ṭar ტ=300	30. ᓚ ძილ ǰil ძ=3000	
4.Ꞓ დონ don დ=4	13. ᗮ მან man მ=40	22. ᕊ ვე we ვ=400	31. ᑉ წილ Çil წ=4000	
5.ᒥ ენ en ე=5	14. ᖇ ნარ nar ნ=50	23.ᕈ ფარ par ფ=500	32. ᕐ ჭარ čar ჭ=5000	
6.ᒣ ვინ vin ვ=6	15. ᑐ იე je ჲ=60	24. ᐸ ქან K’an ქ=600	33. ᒉ ხან xan ხ=6000	

7. ზ ზენ zen ზ=7	16. ო ონ on ო=70	25. ღ ღან ɣ an ღ=700	34. ყ ყარ qar ყ=7000	
8. ᲰᲔ he ᲰᲔ=8	17. პ პარ par პ=80	26. ᲧᲐᲠ qar ᲧᲐᲠ=800	35. ᲯᲐᲜ ǰan ᲯᲐᲜ=8000	
9. ᲗᲐᲜ tan ᲗᲐᲜ=9	18. ᲟᲐᲜ Žan ᲟᲐᲜ=90	27. ᲨᲘᲜ Šin ᲨᲘᲜ=900	36. ᲰᲐᲔ Hae ᲰᲐᲔ=9000	

თითოეულ ამ ჯგუფს გააჩნია ასტრონომიულ ინფორმაციული ქრონოლოგიური დატვირთვა, მაგალითად: ისეთი ასოები, რომლიც დასახელება მთავრდება „ან“-ით, ქართულ ანბანში არის 13: ᲒᲐᲜ (ან), ᲓᲐᲜ (ბან), ᲔᲐᲜ (გან), ᲗᲐᲜ (თან) და ა.შ., - რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ადგილას და, შესაბამისად, მინიჭებული აქვთ სხვადასხვა რიგითი ნომერი. „ან“-ის ჯგუფის ერთსახელა ასოთა რიგითი მნიშვნელობების ჯამი აფიქსირებს მზის დაბნელების ციკლში, ე.წ. „საროსი“-ში მთვარის სინოდურ თვეთა რაოდენობას:

$$1+2+3+9+11+13+18+20+24+25+29+33+35=223$$

$$Sr=223l,$$

სადაც Sr – საროსი - არის პერიოდი მზის დაბნელებიდან მზის დაბნელებამდე, ანუ წარმოადგენს მზის დაბნელების პერიოდს და მოიცავს მთვარის თვეთა რაოდენობას.

ხოლო 1 აღნიშნავს მთვარის თვის ხანგრძლივობას და უდ-
რის 29,53 დღეს. ამრიგად საროსის ხანგრძლივობა ეთანადე-
ბა 18 წელიწადს, 10 დღესა და 8 საათს.

ასომთავრულ ანბანში დაშიფრულმა ასტრონომიულ-კა-
ლენდარულმა ინფორმაციამ დახვეწილი, თვალსაჩინო ფორმა
მას შემდეგ მიიღო, რაც 36 ასოიანი ანბანი განთავსდა კვად-
რატულ მატრიცაში 6x6 (სურ.1)[1]. ასეთნაირად დალაგებულ
ანბანს ჩვენ ვუწოდეთ „იბერიულ-ქართული ანბანური კვადრა-
ტი.“ ამ მაგიური კვადრატის ერთ დიაგონალურ მიმართულე-
ბას ეწოდა მთვარის დიაგონალი, რადგან მასზე აისახა მთვა-
რის ფაზათა ცვლა, ხოლო მეორეს – მზის დიაგონალი.
მზის დიაგონალზე ორ სიმბოლოს – $Ϩ_{6}$ და $β_{31}$ იდეოგრაფუ-
ლი მნიშვნელობა აქვს. მე-6 ასოს რიცხვ-ნიშნის გრაფიკული
არსი უტოლობის და მეტნაკლებობის გამომხატველი იდეოგ-
რამაა. დიაგონალის ბოლოებში განთავსებული „ვინ“ და
„წილ“ ასოების რიგითი ნომრების ნამრავლით დაფიქსირებუ-
ლია ასტრონომიული სეზონების პარამეტრები – გაზაფხულის
ბუნიობიდან შემოდგომის ბუნიობამდე 186-დღიანი ინტერვალი
($Ϩ_{6}xβ_{31}$=6x31=186).

[1] Raul Gvetadze, David Gvetadze. Paradigmatic analysis of Asomtavruli alphabet. Transactions, Technical University of Georgia №4, (478) 2010.



სურათი 1. ასომთავრული კვადრატული ანბანწყობა მთვარის და მზის კალენდარული დიაგონალებით

ანბანის მე-11 ასო „კან“, ასევე, მზის დიაგონალზე მდებარეობს. ამ გრაფემის -11 მარჯვენა და მარცხენა ვერტიკალური შტრიხები იმას მიგვანიშნებს, რომ ანბანურ მწკრივში მეზობელ მე-10 და მე-12 ასოებთან ერთად იგი წარმოქმნის გარკვეული ინფორმაციის მატარებელ სამასოიან ბლოკს. შევაჯამოთ ამ ასოების რიგითი მნიშვნელობების კვადრატული მნიშვნელობები და მივიღებთ მზის კალენდარული წელიწადის ხანგრძლივობას:

$$10^2+11^2+12^2=365$$

ძველთაგან დროის შუალედის საანგარიშოდ გამოიყენებოდა დღე-ღამე, თვე და წელიწადი. ათასწლეულის მანძილზე თვე განისაზღვრებოდა მთვარის ფაზათა მიხედვით ახალმთვარეობიდან ახალმთვარეობამდე, ან სავსემთვარეობიდან სავსემთვარეობამდე. ამით აიხსნება, რომ დღემდე მრავალ ენაში თვის და მთვარის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება. მეგრულში და ჭანურში მთვარეს და მზეს ეწო-

დება თუთა, მთვარის ფაზათა ცვლის ინტერვალს-სინოდური თვე და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 29,53 დღე-ღამეს.

მთვარის კალენდარული სისტემით, რომელიც დღემდე გამოიყენებოდა ისლამურ სახელმწიფოებში, თვის საშუალო ხანგრძლივობა განისაზღვრება 29,5 დღით, ამიტომ მთვარის წელიწადის 12 თვე ხან 29, ხან 30 დღეს ითვლის და მთვარის არანაკიანი წელიწადი უდრის 354 დღე-ღამეს (6X29+6X30=354). სეზონის ბუნებრივი ცვალებადობა აისახება მზის წელიწადით, რომელიც 11 დღით აღემატება მთვარის წელიწადს. იმისთვის, რომ მთვარის წელიწადის დასაწყისი დაეახლოვებინათ მზის წელიწადის დასაწყისთან, შემოიღეს მთვარის 13 თვიანი, 384 დღიანი ნაკიანი წელიწადი, რომლის საშუალებით ხდებოდა და ხდება მზის და მთვარის კალენდარული სისტემების სინქრონიზაცია.

ბაბილონელი ასტრონომები მთვარე-მზის კალენდარული სისტემის სინქრონიზაციისათვის იყენებდნენ უფრო ზუსტ 19 წლიან ციკლს, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩინა ბერძენმა ასტრონომმა მეტონმა და ატარებს მის სახელს.

მეტონის ციკლის თანახმად, მზის 19 წლიანი წელიწადი მოიცავს 235 მთვარის სინოდურ თვეს ხანგრძლივობით 29,530.

მათემატიკოსმა და ასტრონომიის ისტორიის მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტმა ბ. ვან-დერ-ვარდენმა[1] პაპირუსის და თიხის ფირფიტებზე სოლისებრი დამწერლობით შემონახული ტექსტების საფუძველზე შეადგინა ელინისტური მეცნიერების წარმოშობის და განვითარების სურათი, რომელიც აღმოცენდა ძველაღმოსავლური ცივილიზაციის ფესვებზე.

---

[1] Б. Ван-дер-Варден, Пробуждающаяся наука II, Рождение астрономии, Москва „Наука“, 1991.

ახალბაბილონური ეპოქის ასტროლოგიური ტექსტების ანალიზისას ის აღნიშნავს, რომ რამდენიმე ადგილზე მოხსენიებულია იდუმალი 684 წლიანი „მთვარის გრძელი პერიოდი“.

ქართულ ანბანში ბაბილონური მთვარის გრძელი პერიოდი ერთსახელა ასოების საშუალებით არის ასახული. ანბანის მე-19 ასო სახელდებით ”რაე” შეწყვილებულია 36-ე ასოსთან „ჰაე“- ორივე სახელი მთავრდება მარცვლით „აე“. მათი რიგითი ნომრების ნამრვალი უდრის 684[1].

ბაბილონური 684-წლიანი დიაპაზონის გრაფიკული გამოსახულება მიიღება ასო „რაე“-ს ცენტრში ჩასმით და მის გარშემო დიაგონალებზე ასოების ისეთი განთავსებით, რომელთა რიგითი მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული უდრის 19-ს. ხოლო, თუ ამ ასოებს დავაწყვილებთ წრეზე სამ რგოლად ასო „რაე“-ს გარშემო თანაბარდაშორებულად, მივიღებთ სამრგოლიან მაგიურ წრეს (სურ.2).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარე რგოლის ერთ დიამეტრზე განთავსებული მზის ორი Ō4 და ᑉ19 და მთვარის ტოტენიმის ᑊ34 იდეოგრამები. Ō4 და ᑊ34 გრაფემებს ვერტიკალური სიმეტრია ახასიათებს. შევაწყვილოთ Ō4 და ᑊ34 ასო ნიშნები და ანალოგიურად მე-4 და 34-ე შუალედში მოქცეული ანბანის დანარჩენი ასოები. შეწყვილებულ ასოთა რიგითი სათვალავის საშუალო არითმეტიკული უდრის 19-ს.

[1] ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი, თბილისი, 2005.



$\sum_1^{37} 703 - 19 = 684$-
19რაე x 36ჰაე = 684
მაგიური წრე:
დიამეტრზე რიცხვთა ჯამი- 114
წრეხაზებზე რიცხვთა ჯამი – 228

სურათი 2. მაგიურ წრეზე მზის იდეოგრამის ირგვლივ ასახული ბაბილონური 684-წლიანი ციკლი

ამ მწკრივში ცენტრალურ პოზიციაზე მზის იდეოგრამა ᑉ19 მოექცა. ნატურალურ რიცხვთა ჯამი 4 დან 34-ის ჩათვლით ტოლია 589, 589:19=31. არითმეტიკული და გეომეტრიული სიმეტრიით დაფიქსირდა მთვარე-მზის კალენდარული ტოლობის მეტონის ციკლი და, რაც მთავარია, საკრალური რიცხვი 31. აღნიშნული დიაგონალის პერპენდიკულარულ დიაგონალზე თავში განთავსებულია მთვარის ☾1=1 იდეოგრამა, ხოლო ბოლოში 37-ე ასო „ჰოე“. 37 ასოიანი მწკრივის ასოთა რიგითი მნიშვნელობების ჯამი უდრის 703 და ითვლის 19-წლიანი მეტონის ციკლის 37 მოქცევას. ამავე დროს ქართული ოცობითი თვლის სისტემის 37-ე ასოს სათვალავი უდრის 360 და სემანტიკურად წრიულ მოძრაობას უკავშირდება.

ამრიგად, მაგიურ წრეზე გამოვლინდა ორი საყურადღებო რიცხვი 31 და 37.

ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია, რა მახასიათებლის რიცხვს იძლევა 37-ის „ჰოე“ და 31-ის ნამრავლი 31x37=1147. ეს ინტერესი განაპირობა იმანაც, რომ „ქებაᲘ

და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მიგვანიშნებს, რომ ქართული ენის საიდუმლოება ასო „წილ“-ს უკავშირდება, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 4000, ხოლო რიგითი - 31.

რას ნიშნავს 1147 და რის „წილ“-ია ის ანბანში. გავყოთ საკრალური ციფრი 1147 მზის წელიწადის კალენდარულ ხანგრძლივობაზე (S_k):

$$1147 : 365,25=3,1403.$$

მიღებული სიდიდე π=3.1403 მესამე რიცხვის ფარგლებში ზუსტად ემთხვევა თანამედროვე მეთოდებით განსაზღვრულ π-ის მნიშვნელობას.

ამრიგად, ქართულ ანბანთწყობაში დადასტურდა ზოდიაქოს წრეზე მზის ხილული გარემოქცევის მათემატიკური დამოკიდებულება πS_K=1147. სწორედ ამ დამოკიდებულებით უნდა აიხსნას, რომ ასომთავრულ ანბანს ეწოდება მრგვლოვანი. ამ ტერმინშია შემორჩენილი ჩვენი წინაპრების ცოდნა ქართული ასომთავრული ანბანის ასტრონომიულ-კალენდარული არსის შესახებ.

ყვარლის რაიონში, ნეკრესის ნაქალაქარში აღმოჩენილია იბერიული ცივილიზაციის ამსახველი არქეოლოგიური ძეგლები[1]. ეპოქალური მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლად იქნა აღიარებული ნეკრესის წარმართული ქვა №1 (სურ. 3).

[1] ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2004.



მთვარის კალენდარული ფრთა

361-1=360
361-7=354
361=19² 19

$$\frac{10+28}{2}=19$$

1 2
7 1
3 10 6

28

მზის კალენდარული ფრთა

2²=4 361+4=365
1²=1 361+4+1=366
6²=36 36x19=684

სურათი 3. ნეკრესის მთვარე-მზის კალენდარული სტელა

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძეგლის მესამე სტრიქონში წარმოდგენილ სამ რიცხვ-ნიშანთა არითმეტიკული ჯამი უდრის 19-ს, რაც მეტონის მთვარე-მზის კალენდრის სინქრონიზაციის ციკლის რიცხვია[1].

სტელაზე მეტონის ციკლის რიცხვის ათვლის მეორე ხერხიც არის ასახული. ერთსახელა „ინ“ და „ჩინ“ ასოთა წყვილის რიგითი ნომრების ჯამი უდრის 38-ს (10+28=38), ხოლო საშუალო არითმეტიკული 19-ის ტოლია. რადგან ძეგლზე 19 წლიანი ციკლი ორჯერ არის გამოსახული, განვსაზღვროთ მისი კვადრატული მნიშვნელობა 19^2=361. ეს დაშიფრული ინფორმაციის ამოსახსნელი საბაზისო ციფრზე უნდა მიგვანიშნდებდეს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მეორე ფაქტიც. ერთსახელა „ინ“ და „ჩინ“ ასოთა ანბანური ნუმერაციაა 10 და 28. ნატურალურ რიცხვთა ჯამი 10-დან 28-ის ჩათვლით ასევე უდრის 361. ეს იმის დასტუ-

[1] ნ. გაფრინდაშვილი, ნეკრესის წარმართული კალენდარი. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2002.

რია, რომ ნეკრესის წარმართული კალენდრის დაშიფრული ინფორმაციის ამოხსნის გასაღები რიცხვ 361-თან არის დაკავშირებული[1]. საბაზისო რიცხვს თუ დავაკლებთ მარცხენა სვეტის პირველ რიცხვს – 1, მივიღებთ მნათობის საკუთარი ღერძის ირგვლივ ბრუნვის გამოსახულებას გრადუსებში: $361\text{-}1=360^0$.

სვეტის მეორე რიცხვის – 7-ის გამოკლებით განისაზღვრება მთვარის უნაკო წელიწადის ხანგრძლივობა: 361–7= 354 დღე-ღამე. მზის კალენდარული პარამეტრების გამოსაანგარიშებლად, თუ ისევ მივმართავთ კვადრატულ პრინციპს, წარწერის მარჯვენა სვეტში განთავსებული რიცხვების პარალელურად მივაწერთ მათ კვადრატულ მნიშვნელობებს გამოვლინდება ახალი რიცხვები:

$$Ō_4=4,\ Ȟ_1=1 \text{ და } Ʊ=36.$$

საბაზისო კალენდარულ რიცხვზე, 361-ზე, 4-ის დამატებით მიიღება მზის კალენდარული წელიწადის ხანგრძლივობა.

ვინაიდან ნეკრესის მთვარე-მზის კალენდარულ სტელაზე ქრონოლოგიურ ერთეულად მითითებულია მეტონის 19-წლიანი ციკლი, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ წარწერის ბოლოში დასმული სიმბოლო „ჩ“ -ს რიგითი მნიშვნელობა - 28, კავშირში უნდა იყოს სტელის შექმნის თარიღთან. მასზე გამოსახულია 28 19=532 ქრონოლოგიური პერიოდი, ეს თარიღი, საფუძვლად დაედო ფარნავაზის ეპონიმურ წელთაღრიცხვას, რომელიც ქართული ქრონოლოგიის ქვაკუთხედია. ძველი წ.აღ-ით 284 წელს (ასტრონომიულად - 283წ.) ოქტომბრის პირველ დეკადაში მოხდა იშვიათი მოვლენა - პლა-

[1] რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის არქეოასტრონომიული ანალიზი, “ქართველოლოგია”, №2, 2013.

ნეტათა დიდი აღლუმი, როცა მარსის გარდა ყველა ხილული პლანეტა: ვენერა, იუპიტერი, მერკური, სატურნი მოთავსებული იყო 15 გრადუსიან ზოლში.

19-წლიანი ციკლით დათარიღებული არის შარაგასის სტელა და ნეკრესის მზის ტაძრის არქიტექტურული კომპოზიცია. ქრონოლოგიური ანალიზიდან ირკვევა, რომ იბერიის ტახტზე მეფე მითრიდატე გამეფებულა II ს. ახ.წ. 65 წელს და გარდაიცვალა ახ.წ. 97 წელს. წინამორბედი ხელისუფალი, მითრიდატე II-ის მამა, დიდი ფარსმან I, მეფობდა ახ. წ. 40 წლიდან ახ.წ.65 წლამდე[1].

ამრიგად, წარმართული ეპოქის წერილობითი ძეგლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ მათზე ასახულია ძველი სამყაროს მეცნიერული ცოდნა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული ინფორმაცია ასევე დაფიქსირებულია ქრისტიანული ეპოქის კულტურულ მემკვიდრეობაში. იგი განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება სატაძრო ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, როგორიც არის: ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, შუამთისა და მარტვილის ეკლესიები და სხვა.

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს მცხეთის ჯვრის არქიტეკტონიკა და მისი ეპიგრაფიკული წარწერები[2].

მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურულ-მხატვრული კონცეფცია ქართული ასომთავრული ანბანური სისტემის 24-ე ასო „ქან“-ის სიმბოლიკას ეფუძნება. ამ ასოს ჯვრისებრი მოხაზულობა ქართულ ანბანში ქრისტეს ინიციალს გამოსა-

---

[1] რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე, იბერიის მეფეთა სახელები და ზეობის წლები, ასახული ნეკრესის მზის ტაძარზე და შარაგასის სტელაზე, „ქართველოლოგია“, №3, 2011.

[2] Г.Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тбилиси, 1948, стр. 130.

ხავს, გარდა ამისა, მისი რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 600. ამრიგად, თავად ტაძრის ჯვრის ფორმის გეგმა და ტაძრის ყველაზე მაღალ ადგილას, გუმბათის ფასადზე განთავსებული, წითელ ქვაზე ამოკვეთილი, ჩარჩოში ჩასმული ასო „+“ („ქან“), რ. პატარიძის აზრით, ტაძრის აგების თარიღს 600 წლით აფიქსირებს.

ქართველმა ხუროთმოძღვარმა, გაითვალისწინა რა ეროვნული ასომთავრული ანბანის თვითმყოფადობა, ჯვრის სიმბოლიკის ბაზაზე შექმნა ისეთი ძეგლი, რომლის მეშვეობით სამუდამოდ დაასაბუთა ქრისტიანულ არქიტექტურაში ჯვრის გუმბათოვანი ეკლესიების აგების ფენომენში ქართული ხუროთმოძღვრული აზროვნების პრიორიტეტი[1]. აღსანიშნავია, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარის არქიტექტონიკა წარმოადგენს ხუთჯვრიან სიმბოლოს (სურ. 4), რაც ამტკიცებს ჩვენი ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობის ღრმა ისტორიულ ფესვებს.



ა ბ გ

საურათი 4. მცხეთის ჯვრის ტაძრის: ა) ხუთჯვრიანი ინტერიერი; ბ) ოთახების იატაკის და კამარის ჯვრული კონფიგურაციების გამოსახულების სქემა; გ) ტაძრის გუმბათის ფასადზე წითელ ქვაზე ამოკვეთილი სიმბოლო „+“ (ქან).

[1] რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე, ბოლნისის სიონის და მცხეთის ჯვრის ტაძრის ჯვრული სიმბოლიკა და წარწერათა დათარიღების სისტემები, „ქართველოლოგია“, №6, 2012.

1955 წელს პალესტინაში ბირ ელ-ქუტის რაიონში პეტრე იბერის მიერ დაარსებული ქართული მონასტრის ნანგრევების გათხრის დროს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 4 ძველქართული ეპიგრაფიული წარწერა აღმოაჩინა, რომლთაგან განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს აბა ანტონის 5 სტრიქონიანი ტექსტი იმსახურებს (სურ. 5).

ა



ბ

სურათი 5. პალესტინის აბა ანტონის მოზაიკური წარწერის ასლი (ა) და ქრონოლოგიური პარამეტრების განთავსების სქემა (ბ)

არქეოასტრონომიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პალესტინის აბა ანტონის მოზაიკური წარწერა ასტრონომიულ-კალენდარული ციკლების საფუძველზე შედგენი-

ლი ქრონოლოგიური კრიპტოგრამაა და არსებითად, ისტორიულად პირველი ეპიგრაფიული ძეგლია, დათარიღებული ქრისტიანული ერით, „ქრისტესითა“ 532 წლით.

აბა ანტონის წარწერაში ერთმანეთში ჩასმული ასოები და ქრონოლოგიური კრიპტოგრამებია. ამ სიმბოლოების რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი უდრის 252-ს:

1(Ⴓ)+50(Ⴖ)+200(ს)+1(Ⴓ)=252

თუ 252-ს ჩავთვლით მეტონის 19-წლიანი ციკლის მოქცევათა რაოდენობად, მივიღებთ შემდეგ ქრონოლოგიურ დიაპაზონს: 252x19=4788.

თავად ძეგლი 4788 წლიანი დიაპაზონის გათვალისწინებით დასაბამიდან 5320 წლით თარიღდება: 532+4788=5320. დასაბამის ათვლის წერტილად მიღებულია ძვ. წ. 4792, როდესაც მოხდა პლანეტათა გრანდიოზული აღლუმი. ეს ქრისტიანული ქრონოლოგიისთვის მეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან ქრისტეშობის თარიღი უიშვიათეს ასტრონომიულ მოვლენას უკავშირებს[1].

ამნაირი იშვიათი და ხანგრძლივი სამთვიანი ასტრონომიული მოვლენა, რომლის დროსაც მზებუდობასაც ჰქონდა ადგილი ნეოპლატონიზმის მიმდევარ ფილოსოფოსებს, როგორც ჩანს, ძველი სამყაროს დასაბამის საწყის თარიღად ჰქონდათ მიჩნეული, რადგან 4788 წლიანი ქრონოლოგიური დიაპაზონი ბაბილონურ 684 წლიან და დიდი ინდიქტიონის 532 წლიან ციკლებს შემდეგი თანაფარდობებით აკავშირებს: 4788 = 7x684= 9x532.

---

[1] რ. გვეტაძე, გ. რამიშვილი, დ. გვეტაძე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის არქეოასტრონომიული ანალიზი, „ქართველოლოგია“, №2, 2013.

სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაშუქებული ძველი საქართველოს მეცნიერული წარმოდგენები. უძველესი დროიდან ქართველებს არამარტო საკუთარი დამწერლობა, არამედ წელთაღრიცხვის ორიგინალური სისტემა ჰქონდათ, რომელიც მოიცავდა როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ ეპოქას. „ჟამიდან ჟამამდე“ საქართველოს ისტორია არა მარტო მატიანეში, ქვასა და მოზაიკაში აისახებოდა, არამედ ასტრონომიული მოვლენების, ციურ მნათობთა აღლუმის საფუძველზეც თარიღდებოდა.

დამოწმებანი:

1) ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955.

2) თ. ჩხენკელი, მეფეთა ცხოვრება და თვლის შვიდობითი სისტემა, "ლიტერატურა და ხელოვნება", №1, 1991.

3) რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, „ნაკადული”, 1980.

4) ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი, თბილისი, 2005.

5) Raul Gvetadze, David Gvetadze, Paradigmatic analysis of Asomtavruli alphabet, Transactions, Technical University of Georgia №4, (478) 2010.

6) Б. Ван-дер-Варден, Пробуждающаяся наука II, Рождение астрономии, Москва, „Наука“, 1991.

7) ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2004.

8) ნ. გაფრინდაშვილი, ნეკრესის წარმართული კალენდარი, ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2002.

9) რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე, იბერიის მეფეთა სახელები და ზეობის წლები, ასახული ნეკრესის მზის ტაძარზე და შარაგასის სტელაზე, „ქართველოლოგია“, №3, 2011.
10) Г.Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тбилиси, 1948, стр. 130.
11) რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე, ბოლნისის სიონის და მცხეთის ჯვრის ტაძრის ჯვრული სიმბოლიკა და წარწერათა დატარიღების სისტემები, „ქართველოლოგია“, №6, 2012.
12) რ. გვეტაძე, გ. რამიშვილი, დ. გვეტაძე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის არქეოასტრონომიული ანალიზი, „ქართველოლოგია“, №2, 2013.

Raul Gvetadze
Georgian Technical University
Davit Gvetadze
Ethnic-cultural Science Centre ‘Aia Kolkheti’
Sophio Kanashvili
Ethnic-cultural Science Centre ‘Aia Kolkheti’

SCIENCE AND RELIGION ACCORDING TO THE MONUMENTS OF ANCIENT GEORGIAN WRITINGS

RESUME

The ancient Georgian alphabet Asomtavruli is systemized astonomic calendar containing chronological ancient oriental information.

In Nekresi, there was found a pagan lunar-solar calendar based on the chrnological metonic cycle. This proves that from the pagan epoch Georgians had not only own alphabet but also

own chronology. This chronological system was used in the Christian epoch.

The Georgian early Christian lapidary monuments were written and dated with the numerical system of the Asomtavruli alphabet. On the basis of archaeoastronomical analysis it was defined that Palestinian mosaic script by Aba Anthony is chronological cryptogram formed on the base of astronomic-calendar cycles and by essence it is first Epigraphic monument dated back to 532 A.D..

From time to time, the History of Georgia was reflected not only in annals of History, stone and mosaic, but it was dated based on astronomical phenomena, the Parade of the celestial stars.

+დეკანოზი გიორგი (გუგუშვილი)
თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია

წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის საქველმოქმედო მოღვაწეობა

წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობა ჩვენი სამშობლოს ისტორიის მეტად რთულ პერიოდს უკავშირდება (მე-19 საუკუნის შუა წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, 1907 წ.). ქვეყანა ყოფნა-არყოფნის პირას იყო მისული, საქართველოში ქართული წირვა-ლოცვა აღარ აღევლინებოდა, რის გამოც ისედაც უმძიმეს ყოფით პირობებში ჩაყენებულ ქართველ ერს ეკლესიისთვისაც ზურგი ჰქონდა შექცეული. ძველთაგანვე მეცნიერებისა და კულტურის ცენტრებად მიჩნეული ქართული ეკლესია-მონასტრები გაუკაცრიელებულიყვნენ, სკოლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, ეკონომიურად გაჭირვებულ მოსახლეობას თავიანთი შვილებისთვის სწავლა-განათლების მისაცემი სახსარი არ გააჩნდა, აუცილებელი იყო სულისათვის სასარგებლო და გონების გასანათლებელი ქართულენოვანი წიგნების გამოცემათა გამრავლება, მუხლჩაუხრელი და შეუსვენებელი გარჯა ესაჭიროებოდა ქვეყანას ჩამკვდარი ეროვნული ცნობიერების აღსადგენად. წმინდა მღვდელმთავარმა ალექსანდრემ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მსგავსად, რომელთაც ღვთის ნების შეცნობისა და განცხადების მადლი ზეგარდამო ჰქონდათ მინიჭებული, ზედმიწევნით განჭვრიტა ჩვენი ქვეყნის ყველა საჭირბოროტო პრობლემა და მტკივნეულის სანუგეშებელ სალბუნთშემომკრებლობა იტვირთა.

მისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძლება რამოდენიმე ეტაპად დაიყოს: – სიჭაბუკის წლები და უმაღლესი სასულიერო-სამეცნიერო განათლებისთვის საფუძვლის მომზადება ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამავე პერიოდს უკავშირდება მისი ბერად აღკვეცა თბილისის ფერისცვალების მონასტერში (1845 წელს) და იმავე წლის 18 აგვისტოს მისი მთავარდიაკვნად კურთხევა; ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდი, მღვდელმონაზვნის ხარისხში ამაღლება და სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამშობლოში ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხით დაბრუნება. ამის შემდეგ მეტად სერიოზული მოღვაწეობის დაწყება საქართველოს სხვადასხვა კუთხის პირველხარისხოვან მონასტრებსა თუ სამეცნიერო ასპარეზზე და ბოლოს, მისი დიდი სამღვდელმთავრო საქმიანობა. ქვეყნად არსებული უმწვავესი პრობლემების მიუხედავად, თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე იგი მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდა, რომელთაგან განსაკუთრებული სიმკვეთრით რამოდენიმე ასპექტი წარმოჩინდება:

ა) ღვთისმსახური - საქართველოში მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, ჯერ როგორც მღვდელმონოზონი, 1856 წლის 26 თებერვლიდან კი - არქიმანდრიტი, გამორჩეული წინამძღვარია საქართველოს პირველხარისხოვანი მონასტრების – თბილისის ფერისცვალების, გელათის, დავით-გარეჯის, შიომღვიმის. მოგვიანებით, 1862 წლის 4 მარტიდან დიდი მღვდელმთავარი – მზრუნველი და მოამაგე, მართალი, უფლის ჭეშმარიტი მოძღვრების მქადაგებელი და სამართლიანი მსაჯული მასზე მინდობილი სამწყსოსი აფხაზეთში 1862 –1869 წ.წ., 1869–1882 და 1886–1898 წლებში გორის სამღვდელმთავროსა და ქართლ-კახეთის საქორეპისკოპოსოში, 1882-

1886 წლებში გურიის, ხოლო 1903 წლამდე - გურია-სამეგ-რელოს ეპარქიაში;

ბ) მოციქულებრივი ღვაწლის მტვირთველი, რომელიც დიდი სამისიონერო საქმიანობით იყო განთქმული და ქრის-ტეს მოძღვრებით ღმერთს განშორებული მრავალი ადამიანი ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ მოაქცია (აფხაზეთში მოღვაწე-ობისას ათასობით ადამიანი მონათლა, რის გამოც მას წმინდა ანდრია პირველწოდებულის სულიერ მემკვიდრეს და აფხაზე-თის მეორე მოციქულს უწოდებდნენ);

გ) წმინდა მღვდელმთავარი დიდი პედაგოგიური მოღვა-წეობითაც გამოირჩეოდა. ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი სრული-ად ახალგაზრდა მღვდელ-მონოზონი 1851 წლის თებერვლი-დან თბილისის სასულიერო სემინარიის დაბალ განყოფილება-ზე ბიბლიას, ლათინურ ენას, მართმადიდებული სარწმუნოე-ბის საფუძვლებს ასწავლიდა, ხოლო უმაღლეს განყოფილება-ზე - ზნეობრივ ღვთისმეტყველებასა და არქეოლოგიას. მალე-ვე, 1851 წლის აპრილიდან იგი ითვლებოდა ჯერ არგახსნი-ლი აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (დირექტორი), ის ასევე ქუთაისის სასულიერო სასწავლებ-ლის ინსპექტორი და უმაღლესი განყოფილების მასწავლებე-ლიც გახლდათ. მან ილორში საკუთარი სახსრებით მოაწყო მოსამზადებელი, საცდელი სკოლა და თვითონვე ასწავლიდა ბავშვებს მომავალი სასწავლებლის პროგრამით, რომელიც ცოტა მოგვიანებით გაიხსნა და ამოქმედდა ლიხნში;

დ) იგი მრავალ „ქვეყნიურ საქმეთა“ წამომწყები, დამხ-მარე და აქტიური მონაწილე გახლდათ, რის გამოც ჰქონდა მინიჭებული „დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მზრუნველი საზოგადოების“ მთავარი სამართველოსგან წითელი ჯვრის ნიშანი, ითვლებოდა „წყლისგან დამრჩვალთა საზოგადოების“

წევრად, „უსინათლოთა სამზრუნველო საბჭოს“ დამხმარედ, საიდანაც ოქროს ნიშანი ჰქონდა მიღებული სიკვდილამდე სატარებლად, იყო: „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების“, „წმინდა ანდრიას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმობათა“, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გულშემატკივარი, „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და სხვათა მრავალთა ნამდვილი წევრი.

ე) და ბოლოს, მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი გახლავთ დიდი ქველმოქმედება. თითქოსდა წარმოუდგენელია ერთმა ადამიანმა თავისი არცთუ დიდი მატერიალური რესურსებით, შეიძლება ითქვას, მწირი საშუალებებით, ამდენი კეთილი და ეროვნული საქმე აღასრულოს ისეთ მტრულ გარემოში, რომელიც იმდროინდელ საქართველოში სუფევდა. მიუხედავად ყველაფრისა, წმინდა მღვდელმთავარმა შეძლო საქართველოს პირველხარისხოვან ეკლესია-მონასტერთა აღდგენა-განახლება და ახალ ეკლესიათა აშენება. მის სახელს უკავშირდება: თითქმის უდაბნოდ ქცეული შიო მღვიმის და მისი შემოგარენის – მონასტრის ორი ეკლესიის და კელიების, ზედაზნის მონასტრის, დავით-გარეჯის, მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის – სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის, მცხეთის ჯვრის მონასტრის, გურიაში შემოქმედის მონასტრის, უამრავი ეკლესიის გურია-სამეგრელოში, აჭარასა და იმერეთში, თავის მშობლიურ სოფელ დისევში ადრე ლეკთაგან აოხრებული ეკლესიის აღდგენა. აფხაზეთში მოღვაწეობისას, სოხუმში ორი ეკლესიის აშენება. ძველი საღვთისმსახურო წიგნების, სამგალობლო ნოტების და საერო ლიტერატურის გამართვა, დაბეჭვდა და გამოცემა (იგულისხმება: „დაბადების“ ძველი ქართული რედაქცია, უამრავი ქართული საგალობელი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკო-

ნი, ანტონ კათოლიკოსის „მზა-მეტყველება“, ავალიშვილის „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“, ამბროსი ნეკრესელის „სიტ-ყვანი და მოძღვრებანი“, რაფიელ ერისთავის „ლექსიკონი სამთა სამეფოთა“, „შიო მღვიმის მონასტრის ისტორიული საბუთები” და უამრავი სხვა რამ); ასევე ქართულ სხვადას-ხვა კილოზე ძველ საგალობელთა გადარჩენა-შენარჩუნებისა-თვის ქართული სამგალობლო სკოლის დაფუძნება, საქართვე-ლოს სხვადასხვა კუთხიდან პრაქტიკოს მგალობელთა მოწვე-ვა და მათ მიერ სამგალობლო გუნდების შექმნა; „სოფლიურ“ საქმეთა არდავიწყებაც: მცხეთისა და ძეგვის მიდამოებში მტკვარზე ბორნის გამართვა, ძეგვში რკინიგზის ბაქანის მოწ-ყობა მატარებლის გასაჩერებლად – სოფლის მოსახლეობას მატარებლის სადგურამდე დიდი მანძილი რომ არ ჰქონოდა გასავლელი, შიო-მღვიმის მონასტრამდე გზის გაყვანა, მონას-ტრის შემოგარენსა და მცხეთაში, მტკვრის გასწვრივ მონას-ტრისთვის ბაღ-ვენახის შეძენა, ძველი სამონასტრო ტრადი-ციული მეურნეობის (მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეო-ბა...) აღდგენა. მისი პირადი მაგალითი სხვა ეპისკოპოსებმა და მონასტრებმაც გადაიღეს და დაიწყეს მეურნეობის მოწ-ყობა. აფხაზეთში მოღვაწეობისას სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებით საკუთარი სახსრებით ამარაგებდა. მისი ფინანსური დახმარებით 1878 წელს თბი-ლისში დაარსდა ეპარქიალური ქალთა სასწავლებელი, რომე-ლმაც ჩვენს ერს აღუზარდა მრავალი განათლებული ქალი და შესანიშნავი დედა. იგი ყოველწლიურად ყირიმის ომის დროს მარჩენალდაკარგულთა ოჯახებს ფინანსურად ეხმარე-ბოდა, ხოლო ხელმოკლე სტუდენტებს თბილისის სასულიე-რო სემინარიასა და ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავ-ლისა და არსებობისათვის ფინანსურად უზრუნველყოფდა. სა-ბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ალექსანდრეს ხან-

გრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი სარწმუნოებრივ-ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე.

სწორედ ამ დიდ საქმეთა გამო ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა „ალექსანდრე აღმაშენებელი“ უწოდეს, რაც შემთხვევითობას არ უნდა მიეწერებოდეს. სწორედ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის თანადგომით მოწვეული რუის-ურბნისის კრების განჩინებით „ეპისკოპოსნი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩიოდეს ... რომელთაც საქმეთაგანაც აქვნდათ წამება და კეთილად გაწვრთნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა.“ წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრეც თავისი ცხოვრებით იმ დიდ მამულიშვილთა სულიერ მემკვიდრედ და დედასამშობლოსთვის დამაშვრალ ღირსეულ მოღვაწედ წარმოჩნდება, რომელთა არსებობაც სახარებისეულ ამა სოფლის მარილს და ანთებულ სანთელს არიან შედარებულნი, რომელნი „ჰნათობნ იგი ყოველთა... ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათე 5.13-16).

წმინდა მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესაფასებლად მისი სულიერი შვილის და საქართველოს უგვირგვინო მეფედ სახელდებული წმინდა ილია მართლის სიტყვებიც საკმარისია: „თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი კაცი, რომელიც გწვრვთნის და გვასწავებს ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცა.“ ხოლო, საქართველოს წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის გაფართოებული კრების 1995 წლის 17 სექტემბრის განჩინება მისი წმინდანად შერაცხვის თაობაზე ალექსანდრე ოქროპირიძის ზე-

ციურ მამასთან მის საღმრთო წიაღში მარადიული მყოფობის დადასტურების გვირგვინია.

დამოწმებანი:

1. „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი (+1907), 26 (08, 11), ოქტომბერი. თბ., 2004.
2. სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1903.
3. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები. შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1907.
4. ზ. აბაშიძე, განუწყვეტელი სათნოება, ჟურნალი „ფუძე“, №3, თბ., 2005.
5. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ, თბ., 2006.
6. ახალი აღთქუმაი, წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქცია, თბ., 1995.

Archpriest Giorgi (Gugushvili)
Tbilisi Theological Academy and Seminary

ST. ALEXANDER OKROPIRIDZE CHARITY ACTIVITIES

RESUME

Holy priest Alexander Okropiridze is known as a versatile figure. He has completely exposed and expressed himself in such special aspects as:

1) High Priest – a devoted and trusted caretaker of samtsso (Parishioners),a preacher of God' teachings and a fair judge;

2) Bearer of apostolic merit;

3) Great philanthropist;

It seems unbelievable for one person with so little material sources that Alexander Okropiridze possessed to be able to achieve and accomplish so many kind and good things as he has done.

†დეკანოზი ბიძინა (გუნია)
წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი

ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლის თეოლოგიური ასპექტები

I. წინათქმა

ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლა, დროის გაზომვის საკითხი თავისთავად გულისხმობს **კონკრეტულ შეხედულებებს სამყაროს შესახებ**, გულისხმობს **მისი მზომელის მსოფლმხედველობას**, რაც განაპირობებს კიდეც დროზე განსხვავებულ შეხედულებებს, **დროის განსხვავებულ აღქმას**.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ დღესდღეობით, თანამედროვე მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, კალენდრის ისეთი მათემატიკური მოდელებია შემუშავებული, რომლებიც, მათი შემქმნელების აზრით, უფრო მოხერხებული იქნება **ეკონომიკური დაგეგმარებისა** თუ **საზოგადოებრივი შრომის ორგანიზებისათვის**.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სერიოზულად დგას საკითხი ისეთი კალენდარული სისტემის შემოღებისა, რომელშიც **შვიდდღიანი კვირაა** უგულებელყოფილი, როგორც ერთგვარი **„ასტროლოგიური ჰიპნოზი“**, რომლისგანაც განთავისუფლებაა საჭირო. ისინი იმედოვნებენ, რომ თუ **გაერო** ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს, მაშინ ეკლესიას ამ ფაქტთან შეგუება მოუწევს.[1] აღნიშნული „მოსაზრება“ კრიტიკას

[1] Н. Климишин, “Календарь и хронология”, Москва, 1985, стр. 225-226; А. Буткеви,. М.Зеликсон, “ВЕЧНЫЕ КАЛЕНДАРИ”, Москва, 1984, стр. 15.

ვერ უძლებს და სრულიად მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

II. დროის მოდელირების განსხვავებული ფაქტორები

დროის აღრიცხვის საკითხებზე მსჯელობისას, საერო მეცნიერთა შორის არც თუ იშვიათად დომინირებს აზრი, რომლის მიხედვითაც, *„დედამიწაზე მცხოვრებთათვის უმთავრესი პერიოდული მოვლენები დღე-ღამისა* ***და სეზონთა*** *მონაცვლეობაა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული მზესთან. პლანეტაზე,* ***წელიწადის დროთა*** *შესაბამისად,* ***ამინდი*** *ცვალებადობს, მათთან კი* ***სასოფლო-სამეურნეო*** *სამუშაოებია დაკავშირებული. ამიტომ* ***კალენდარი,*** *რომელიც აგებული იქნება ამ პერიოდულ მოვლენებზე, ყველაზე მოსახერხებელია ჩვენთვის“*[1]

ამგვარად, როგორც მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, კალენდარული სისტემის მოდელირებისათვის მავანთათვის, უმთავრესი ამოსავალი წერტილი **სეზონთა** მონაცვლეობა, **ამინდის** ცვალებადობა და **სასოფლო-სამეურნეო** სამუშაოები ყოფილა.

მაშინ რაღა ვთქვათ **„საპასექო წელიწადზე“,** მის ცვალებად „ამპლიტუდაზე“, მასთან დაკავშირებულ რიგით სახარებათა განაწესზე. როგორ შევუსაბამოთ კვირის შვიდეულების **კვირა**-დღითა და **ორშაბათით** დაწყების საღვთისმეტყველო სწავლება, ან საეკლესიო კალენდართან დაკავშირებული სხვა თეოლოგიური საკითხები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს? ან კი, რა საერთო აქვს **ამქვეყნიურ, მიწიერ საზრუ-**

---

[1] А. Бялко, “Наша планета – ЗЕМЛЯ”, Москва, издательство „Наука“, 1983, стр. 47.

ნავს სულიერ ცხოვრებასთან, მარადიულ ღირებულებებთან, რომელთა წარმოჩენასაც ემსახურება საეკლესიო კალენდარი?

ამავე საკითხზე განსხვავებული ხედვა უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი **წმ. იოანე ოქროპირის** სწავლებაში: *„საოცარია მართლმადიდებელთა დღესასწაულები, საზეიმოა მოწამეთა ხსენება, კეთილსახიერია (მორწმუნეთა - დკ. ბ.ვ.) განკრძალული სიხარული! არა თუ **ცვალებად ჟამს** ვზეიმობთ, არც **წელიწადს** ვეთაყვანებით, ...არ ვმსახურებთ **დროს**, რადგან იგი წარმავალია, არც **დღეს** ვცემთ თაყვანს, როგორც კანონზომიერებას დაქვემდებარებულს. ყველაფერი ძველდება ჟამთა მსვლელობით და **დროც** მათთან ერთად; ...ჩვენ კი ღვთაებრივ, დიად მოვლენებს J მოწამეთა ღვაწლს, დაფლულთა გამარჯვებას ვზეიმობთ, ...უპირატესად იესო ქრისტეს სასწაულებს, ...შემდეგ კი მის რჩეულთა ღვაწლს“*[1] *„...თანავმკვიდრობთ **ზეციურ სამყაროში**, სადაც არც **თვეთა** სათვალავია, არც **მზე** და არც **მთვარე**, და არც **წლიური** წრებრუნვა“*[2]

განვავრცობთ რა ზემოთქმულს, აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის არსებულ ურთიერთობებს და მათ მდგომარეობას **ადამის ცოდვით დაცემამდე და დაცემის შემდგომ**, რაც უცილობლად, სამყაროში ***დროის თვისებებისა და მისი მიმდინარეობის თავისებურებებსაც*** ეხება.

---

[1] Св. Иоанн Златоуст, “Творения”, т. 8, книга 2-я, Москва, 2002, стр 857-858.

[2] Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 1, книга 2-я, Москва, 1991, стр 675.

III. ქვეყნის დასაბამი

ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ქრონოლოგიური თარიღი - **ერა** იქნა შემოღებული. ასე, მაგალითად:

- **„ებრაული ერა“** - **3761** წელი;
- **„რომაული ერა“** - **4713** წელი;
- **„ალექსანდრიული ერა“** - **5492** წელი;
- **„ბიზანტიური ერა“** - **5508** წელი;
- **„ქართული დასაბამი“ – 5604 წელი** და მრავალი სხვა.

ქრისტიანულ ქვეყნებში **ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეშობამდე** დროის ინტერვალი სწორედ ზემომოხმობილი შესაბამისი ქრონოლოგიური თარიღების გათვალისწინებით გამოითვლება.

მოკლედ რომაულ და ოლიმპიადებით დროის ათვლის სისტემებსაც შევეხებით **(იხ. სქემატური გამოსახულება)**.

რომაული ერა, ანუ ერა რომის დაარსებიდან, ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის დათარიღებისათვის. მისი შემოღება მიეწერება ცნობილ რომაელ სწავლულს მარკ ტერენციო ვარონს **(ძვ. წ. 116-27 წ.წ.)**. ამ ერას დასაწყისად მიჩნეულია **ძვ. წ-ის 753 წლის 21 აპრილი**, ანუ რაც იგივეა – **მე-6 ოლიმპიადის III წლის** გაზაფხული.[1]

ოლიმპიადებით დროის ათვლის საფუძველი იყო ოთხ წელიწადში ერთხელ გამართული სპორტული თამაშები[2].

---

[1] ვ. კოპალეიშვილი, „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ., 1991, გვ 37; Н, Климишин, “Календарь и хронология”, Москва, 1985, стр 229; ქ.ს.ე. **ტ.4,** თბ., 1979, გვ. 305, ქ.ს.ე. **ტ.8,** თბ., 1984, გვ. 440.

[2] ვ. კოპალეიშვილი, „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ., 1991, გვ. 44; Н, Климишин, “Календарь и хронология”, Москва, 1985, стр 227.

გამოთვლებით დადგენილია, რომ **ქრისტეშობიდან I წელი 195-ე ოლიმპიადის პირველ წელს** შეესაბამება[1]. აქ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი **ევსევი კესარიელი (ჩვ. წ. 263-338წ.წ.)** თავის **„ქრონიკაში“** მეფეთა მმართველობის წლებს ოლიმპიადების ჩატარების თარიღებს უთანადებს[2].

გამომდინარე იქიდან, რომ **ქვეყნის დასაბამს** უშუალო კავშირი აქვს ***საპასექო გამოთვლებთან***, საკითხის განხილვას ამ კუთხით გავაგრძელებთ.

IV. საპასექო მოქცევის პერიოდები

პასქალიონში დიდი ინდიქტიონის – **532 წლიანი** ციკლის შემოღებამდე საპასექო მოქცევის სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლი გამოიყენებოდა. მაგალითად: **იპოლიტე რომაელის 16**-წლიანი, ან მისი შესწორებული ვარიანტი – **84** და **95** წლიანი ციკლები[3], რომლებიც ხუთ მეტონის ციკლს მოიცავდა (5×19=95) და სხვა.

დიოკლეტიანეს ერას 153-247 წლებისათვის, ანუ ქრისტეშობიდან 531 წლის ჩათვლით, 95 წლიანი მოქცევის საპასექო ცხრილები **წმიდა კირილე ალექსანდრიელმა** შეადგინა.[4] **95 წლიანი** ციკლიდან **532 წლიან** ციკლზე გადასვლის განმაპირობებელ გარემოებათაგან უპირველესი თვით 95 წლიანი ციკლის ერთგვარი „ნაკლოვანება“ გახლდათ. საქმე ისაა, რომ **95** კენტი რიცხვია და უნაშთოდ არ იყოფა 4-ზე. ამდენად, ერთი 95-წლიანი ციკლიდან მომდევნოზე გადასვლისას,

---

[1] იქვე, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 228.

[3] V. Grumel, Traite d`etudes bizantines i la CHRONOLI, Paris, 1958, 16-19; В. Болотов, Лекции по истории древней Церкви, т. II. Москва, 1994, стр. 447.

[4] ვ. კოპალეიშვილი, „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ., 1991, გვ. 106.

ირღვეოდა რა უბრალო და ნაკიანი წლების მონაცვლეობა, საჭირო იყო ყოველი ახალი 95 წლიანი საპასექო პერიოდისათვის სპეციალური შესწორებების შეტანა, რაც ერთობ ართულებდა გამოთვლებს.[1] გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა **პასქალიონის** დიოკლეტიანეს ერასთან დაკავშირებაც.

ამგვარად, იმ დროს, როცა **95 წლიანი** ციკლის დასრულებამდე **6 წელი** იყო დარჩენილი, ანუ დიოკლეტიანეს **ერით 242** წელს, ახალი საპასექო ცხრილების შედგენა დაიწყო რომაელმა ბერმა **დიონისე მცირემ**, რომელმაც ნაცვლად **95 წლიანი** ციკლისა შემოიღო **532 წლიანი** ციკლი, ხოლო (დიოკლეტიანეს ერას ნაცვლად) ჟამთაღრიცხვაში ადგილი **ქრისტეშობამ** დაიკავა **(იხ. სქემატური გამოსახულება)**. აღსანიშნავია, რომ **95 წლიანი** ციკლიდან **532 წლიან** ციკლზე გადასვლა მათემატიკური თვალსაზრისით სავსებით შესაძლებელი გახლდათ, რაც იძლეოდა საშუალებას საპასექო გამოთვლათა ორ სისტემას შორის კავშირის შენარჩუნებისა, რათა არ დაკარგულიყო **ალექსანდრიული პასქალიონის** მემკვიდრეობა (ამ ორ ციკლს შორის მათემატიკური კავშირი შემდეგი მარტივი თანაფარდობით შეიძლება გამოისახოს: **N=532x+95y+z**, სადაც **N**-ი ნებისმიერი კალენდარული წლის რიგითი ნომერია, ხოლო **X**-ი, **Y**-ი და **Z**-ი კი ის უცნობებია, რომელთა დადგენაც, მათემატიკური თვალსაზრისით, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს).[2]

---

[1] Н. Климишин, “Календарь и хронология”, Москва, 1985, стр. 241.

[2] ბ. გუნია, ლიტურგიკული შტუდიები, III, „ჟამთაღრიცხვა და საეკლესიო კალენდარი“. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის შრომები, თბ., 2011, გვ. 8-13; ნ., გორჯოლაძე, ი. გორჯოლაძე, „მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №10-12, თბ., 2004, გვ. 36-39.

დიოკლეტიანეს ერას თარიღიდან ქრისტეშობის თარიღ-ზე გადასვლისა და ქვეყნის დასაბამიდან განვლილი პერიოდის დადგენისათვის დიონისეს, უპირველეს ყოვლისა, **ქრისტეშობიდან დიოკლეტიანეს ერას დასაწყისამდე** დროის ინტერვალი უნდა განესაზღვრა. დასმული ამოცანის გადაწყვეტა მას შეეძლო რომის იმპერატორთა მმართველობის წლების ანალიზითაც - **ავგუსტუს** კეისრიდან **დიოკლეტიანეს** ჩათვლით. **ავგუსტუს** კეისრიდან იმიტომ, რომ, წმინდა წერილის უწყებით, მისი მმართველობის პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერა **მაცხოვრის შობას** დაემთხვა **(შდრ. ლკ. 2, 1)**.

ზემოთქმულს დავძენთ, რომ დიონისესათვის რომის იმპერატორთა მმართველობის ამსახველი დოკუმენტების მოძიება სრულებით არ წარმოადგენდა სირთულეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი თვით იყო რომის პაპის არქივარიუსი და ხელთ ჰქონდა იმ დროისათვის არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი თუ ქრონოლოგიური მონაცემი.[1]

ამდენად, დიონისემ დაადგინა რა ქრისტეშობიდან დიოკლეტიანეს ერას დასაწყისამდე დროის ინტერვალი - **284** წელი, იცოდა, რომ **წმიდა კირილეს** მიერ შედგენილი 95 წლიანი საპასექო ცხრილები დიოკლეტიანეს ერას **153-247** წლებს, ანუ ქრისტეშობიდან **437-531** წლებს მოიცავდა.[2] ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, არ დარღვეულიყო **მეტონის ციკლის** უწყვეტი მიმდევრობა. დიონისემ დაიცადა **წმიდა კირილეს** მიერ შედგენილი **95** წლიანი საპასექო ციკლის (ცხრი-

---

[1] Н. Климишин, “Календарь и хронология”, Москва, 1985, стр 240, ვ. კოპალეიშვილი, „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ., 1991, გვ. 106.

[2] В. Болотов, Лекции по истории древней Церкви, т. II. Москва, 1994, стр. 450; Н. Милаш, епископ Далматинско-Истрииского, „Правила Православной Церкви“, т. .II, издание Свято Троицкой Сергиевой Лавры, 1996, стр. 450; ვ. კოპალეიშვილი, „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ., 1991, გვ. 106.

ლის) დასრულებამდე, რომელიც დიოკლეტიანეს ერას **247**-ე წელს, ანუ ქრისტეშობიდან **531** წელს უნდა დამთავრებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ, მისი წინადადებით, დიოკლეტიანეს ერას **248**-ე წელი ქრისტეშობიდან **532**-ე წლად გამოცხადდა **(იხ. სქემატური გამოსახულება)**.



V. ქრისტიანული პასექი

წმ. იოანე ოქროპირი „...წმიდა პასექის შესახებ“ შემაჯამებელ სიტყვაში ბრძანებს: მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე *„...არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე შემთხვევით დღეს, არამედ მისი აღნიშვნა ემთხვევა სწორედ იმ დროს, რომელიც რამდენიმე* ***წინასწარ განსაზღვრულ ვადას*** *აკმაყოფილებს...“ „ეწადა რა (ცოდვით დაცემული - დკ. ბ.ვ.)* ***ადამიანის აღდგენა და მისი ხსნა...*** *(ღმერთმა ამისათვის - დკ. ბ.ვ.) სათანადო* ***ხერხი*** *და შესაბამისი* ***დრო*** *გამოარჩია.* ***დრო*** *იმისათვის, რომ დროულად შედგომოდა კურნებას,* ***ხერხი*** *კი ისეთი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა განწმენდისა და აღდგენისათვის“.* [1]

სწორედ ამიტომ, ***„...ისურვა და ზუსტად ისევე, როგორც პირველი ადამიანის შექმნისას (თავდაპირველი) წმინდა დრო გამოიყენა, ...რომელიც შემდგომად ცოდვით დაცემისა შეიბღალა პირველ ადამიანებთან ერთად“.***[2] *ყოველივე ამას უფალი გვიჩვენებს დროთა სხვადასხვა ნიშნით, რისთვისაც ახდენს კიდეც მათ გაერთიანებას და საღმრთო განგებულებით, როცა* ***„...მოცემული შვიდეული*** *(ვნების შვიდეული - დკ. ბ.ვ.)* ***დროთა ნიშნებით*** *სრულ თანხმობაში აღმოჩნდა* ***ბიბლიურ შვიდეულთან,*** *ანუ ერთ შვიდეულში კვლავ მოიყარა თავი* ***დღელამტოლობამ, სავსემთვარობამ და მეექვსე დღემ – პარასკევმა...*** *მხოლოდ მაშინ (იუდეველთა პასექის დროს - დკ. ბ.ვ.)* ***ევნება ჯვარზე...*** *და აღასრულებს ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენასა და განახლებას“.*[3]

ამგვარად, *„...მაცხოვარმა აღასრულა რა ჭეშმარიტი პასექი,* ***ვნების კვირიაკეში*** *თავი მოუყარა ყველა ნიშანს და ვა-*

---

[1] Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 8, книга 2-я, Москва, 2002. стр. 958, 962.
[2] Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 8, книга 2-я. Москва, 2002. стр. 963.
[3] იქვე, 964.

*დას, რომელიც ახასიათებდა **ბიბლიურ შვიდ დღეს,** რათა ზუსტად აღედგინა ყველა გარემოება შესაქმისა. ჩვენ კი იმის გამო, რომ დროთა გაერთიანება ამგვარი სიზუსტით ყოველთვის არ ხდება, **მხოლოდ ჭეშმარიტი პასექის მიბაძვით, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში** აღვასრულებთ ხოლმე აღდგომის დღესასწაულს, რათა მივაღწიოთ გარკვეულ მსგავსებას მის პირველსახესთან - უფლის პასექთან“*[1]

VI. ქვეყნის დასაბამის პირველი დღე - პარასკევი

ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეშობამდე დროის ინტერვალის დადგენისათვის, პასქალიონისტების მიერ **4,28, 19, 532 და 15** წლიანი საპასექო ციკლების **საწყისი მომენტების** ერთი წერტილიდან - **ქვეყნის დასაბამიდან** ათვლის იდეა იქნა მიღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის დასაბამიდან **I კალენდარული წლის პირველი შვიდეული <u>პარასკევი</u> დღით** იწყება, რაც <u>საპასექო გამოთვლათა თეორიის</u> ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. [2] საკითხში გარკვევისათვის წმიდა **იოანე ოქროპირის** სწავლებას მოვუხმობთ, რომლის მიხედვითაც *ჯვარზე **ვნების** (მაცხოვრის] დკ. ბ.ვ.) „... დღე იმიტომაც იყო **პარასკევი,** რომ ამ დღეს (ბიბლიურ მე-6 დღეს, პარასკევს] დკ. ბ.ვ.) **შეიქმნა** ადამიანი და აუცილებელი იყო, რომელ დღესაც **დაეცა** ივი, იმ დღეს მომხდარიყო მისი **აღდგენა.“** [3] იგივე აზრია გატარებული **წმ. ეფრემ ასურის** სწავლებაშიც, რომელიც მიიჩნევს, რომ: „...ადამის ცოდვით*

---

[1] იქვე, 965.

[2] Настольная книга Священнослужителя, т. .IV, Москва, 1983, стр. 602; С. Булгаков, „Настольная книга Священно-Церковно-служителя“, т. I. Москва, 1993, стр. 704; К. Никольский, „Пособие к изучению Устава Богослужения Православной Церкви“, Москва, 1995, стр. 120.

[3] Св. Иоанн Златоуст. Творения, т. 8, книга 2-я, Москва, 2002. стр. 964-965.

დაცემის თვეც ნიშანი გახლდათ, რადგან, როგორც მაცხოვრის (ჯვარზე - დკ. ბ.გ.) ***აღსრულების*** *დღე შეესაბამება ადამის* ***დაცემის*** *დღეს, მართებულად, თვენიც ეთანადებიან ერთმანეთს“*[1]

წმიდა მამათა ამ სწავლებასთან სავსებით თანხმიერია **წმ. აბუსერიძე ტბელიც**, რომელიც საუბრობს რა მაცხოვრის ცხოველსმყოფელ ვნებაზე, ბრძანებს: *„...და რომელსა დღესა* ***ექსორია*** *ვიქმნენით,* ***მასვე დღესა*** *(იგულისხმება ვნების კვირიაკის პარასკევი - დკ. ბ.გ.) ჯერ იჩინა* ***ხსნაი*** *ჩუენი.“* [2]

ამგვარად, ხსენებულ **წმიდა მამათა** განმარტებით, ადამის ცოდვით **დაცემის** დღედ **პარასკევია** მიჩნეული და ეს დღე, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, უშუალო კავშირშია როგორც მაცხოვრის ჯვარზე **ვნების,** ასევე ბიბლიურ **მეექვსე** დღესთანაც.

წმიდა იოანე ოქროპირი ამქვეყნიური დროის ათვლას **ადამიდან** იწყებს და მას ხუთ პერიოდად ყოფს. ესენია: დრო - ადამიდან ნოემდე, ნოედან აბრაამამდე, აბრაამიდან მოსემდე, მოსედან ქრისტეს მოსვლამდე და მაცხოვრის მოსვლის შემდგომი პერიოდი. დროის წარმოდგენილ დაყოფასთან სავსებით თანხმიერია **წმ. ეფრემ ასურიც.**[3]

ხსენებული პერიოდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას პირველის დასაწყისსა და **ადამიდან დროის ათვლის** მნიშვნელობაზე გავამახვილებთ.

წმ. იოანე ოქროპირის სწავლების მიხედვით: *„...შემდგომ, მე-7 დღეს ღმერთმა განისვენა ყოველთა საქმეთაგან,*

---

[1] Св. Ефрем Сирин, Творения, т. 3, Калуга, 2003 a, стр. 103.

[2] ნ. გოგუაძე, მ. ქავთარია, რ. ჩაგუნავა, აბუსერიძე ტბელი, თხზულებანი, ბათუმი, 1998. გვ. 52.

[3] Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 8, книга 2-я, Москва, 2002, стр. 926, 941. Св. Ефрем Сирин. Творения“ т. 4. Калуга, 2003 b, стр. 310.

ხოლო შემდეგი დღიდან (კვირიდან - დკ. ბ.გ.), რომელიც კვლავ პირველი იყო, ღვთის განგებით ყველა ქმნილებამ დადგენილი წესით იწყო სვლა.“ აღნიშნული, გარკვეულწილად, **ადამსაც** ეხებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაეხვია „დადგენილი წესისათვის“. შემდეგ წმიდა მამა ბრძანებს: *„...შემდგომად ცოდვით დაცემისა* ***შეიბღალა*** *(осквернено)* ***თავდაპირველი-ყველაზე წმიდა დრო*** *(первоевремя ...самоечистоевремя).“* [1]

ამდენად, **„თავდაპირველი ...ყველაზე წმიდა დრო“,** ანუ დრო სამყაროს შექმნის საწყისი მომენტიდან J პირველი დღეღამტოლობიდან ვიდრე ექსორიამდე, პირველკაცთა დაცემის შედეგად „შეიცვალა“, **„შეიბღალა“**.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **სამყაროში დროის** თვისებებისა და მისი მიმდინარეობის თავისებურებების წარმოჩენის მიზნით, პირობითად, სამი პერიოდი შეიძლება გამოვყოთ:

1. სამყაროს შექმნის საწყისი მომენტიდან ბიბლიურ მეოთხე დღემდე;
2. მეოთხე დღიდან ადამის ცოდვით დაცემამდე;
3. ცოდვით დაცემიდან მეორედ მოსვლამდე.

პირველი პერიოდის დროის თავისებურებათა შესახებ **წმ. იოანე დამასკელი** (VIII ს.) გვამცნობს, რომ *„...საღვთო ბრძანებით, პირველი სამი დღის განმავლობაში სინათლე გაიშლებოდა და შემჭიდროვდებოდა. ასე დგებოდა დღე და ღამე.“* **მეორე პერიოდის** თაობაზე **წმ. მამა** გვაუწყებს, რომ *„...მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა ...* ***მზე... მთვარე*** *და* ***ვარსკვლავები...“*** [2] ანუ დროის მდინარება, ერთგვარად, ხსენებული მნათობების მსვლელობას უკავშირდება. ამასთან, ბიბლიური

---

[1] Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 8, книга 2-я. Москва, 2002. стр. 962-963.

[2] წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (თარგმანი და შენიშვნები **ედიშერ ჭელიძისა**), თბ., 2000, გვ. 349.

მეექვსე დღის შემდგომ, ადამის სამოთხისეულ ყოფაზე წმიდა მამა ბრძანებს: *„...ადამიანი, ...სხეულით უსაღვთოეს და ზემშვენიერ მხარეში მკვიდრობდა, სულით კი უაღმატებულეს და შეუდარებლად უფრო გარემშვენიერ ადგილას იმყოფებოდა, სახლად ჰქონდა რა მასში თანამოსახლე ღმერთი და ღმერთივე ჰქონდა რა დიდებულ შესამოსელად, რადგან შემოსილი იყო მისი მადლით, მარტოდენ მისი ჭვრეტის უტკბილესი ნაყოფით ილხენდა (როგორც სხვა ვინმე ანგელოზი) და ამ ჭვრეტითვე საზრდოობდა.“* [1]

რაც შეეხება **მესამე პერიოდს**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ - „შემდგომად ცოდვით დაცემისა (ანუ ბიბლიური VII დღის შემდგომი პერიოდის პარასკევიდან – დკ. ბ.გ.) **შეიბღალა თავდაპირველი... ყველაზე წმიდა დრო“**. ამასთან, მეორედ მოსვლის შემდგომ დრო აღარ აღირაცხება დღეებითა და ღამეებით.[2]

აქ კი გამოვკვეთთ მთავარ საკითხს **პარასკევთან** დაკავშირებით: **ქვეყნის დასაბამიდან ამქვეყნიური დროის ათვლა,** ანუ **ზეჟამეული დროის** შემდგომი დღეების ათვლა, არათუ სამყაროს შექმნის საწყის მომენტს - პირველ კვირა დღეს უკავშირდება, ან თუნდაც ბიბლიურ მე-4 დღეს, არამედ **პარასკევს**.

მეტი სიცხადისათვის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია დასაზუსტებელი, კერძოდ ის, რომ **ქვეყნის დასაბამიდან** I კალენდარული წლის პირველი დღე **პარასკევი:**

– ადამის შექმნის დღე - ბიბლიური პარასკევია, თუ

---

[1] იქვე, გვ. 358

[2] წმიდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (თარგმანი და შენიშვნები **ედიშერ ჭელიძისა**), თბ., 2000, გვ. 343.

Настольная книга Священнослужителя, т.IV. Москва, 1983, . стр. 602; С. Булгаков, „Настольная книга Священно-Церковно-служителя“, т. I, Москва, 1993, стр. 704.

— მისი დაცემის დღე - პარასკევი (რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით).

პირველ შემთხვევაზე პასქალიონისტების არაერთი მინიშნება არსებობს,[1] მაგრამ ჩვენ მეორე მოსაზრებას ვემხრობით და აი, რატომ: შესაქმეს ყველა დღე და პირველ ადამიანთა სამოთხეში ცხოვრების პერიოდი, მკვეთრად განსხვავდება ცოდვით დაცემის შემდგომი პერიოდისაგან.

ასე განვსაჯოთ, ადამის ცოდვით დაცემის შედეგად სამყაროში არსებული ჰარმონია და კოსმოსის თავდაპირველი წესრიგი დაირღვა. ადამიანი ღვთის მადლს მოაკლდა და ცოდვის სასჯელად **სიკვდილი** ერგო. ანუ ადამი და მის მიერ მთელი კაცობრიობა სიკვდილს დაექვემდებარა, თუმცა არა გარემოებათა გარდაუვალი აუცილებლობის გამო, რაზეც ცხადად მიუთითებს **კართაგენის კრების 109-ე კანონი.**[2]

ამგვარად, **ცოდვით დაცემამდელი დრო**, რომელიც სამოთხეში საღვთო მიზნის მისაღწევად იყო განკუთვნილი, **ცოდვით დაცემის შემდგომ** ხრწნადობის, დაშლისა და სიკვდილის თანამდევად გადაიქცა. მაგრამ, ეწადა რა ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოხსნა, უფალმა **განაღმრთო ადამიანური ბუნება** და მასზე სიკვდილის ბატონობა განაქარვა, რითაც ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს საშუალება მისცა, **ეკლესიური** ცხოვრების გზით, ცათა სასუფეველის დამკვიდრებისა.

ამდენად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით **დრო განახლების, ფერისცვალების, განღმრთობის** საქმეს ემსახურება. ასეც ვიტყვით: **ეკლესიის წიაღში დრო და სივრცე**

---

[1] Настольная книга Священнослужителя, т. IV. Москва, 1983, стр. 602; С. Булгаков, „Настольная книга Священно-Церковно-служителя“, т. I. Москва, 1993, стр. 704.

[2] ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, ე. დოლაქიძე, გ. ნინუა, „დიდი სჯულის კანონი,“ თბ., 1975, გვ. 342.

ლიტურგიკულ, ევქარისტიულ ხასიათს იძენენ, რითაც მათ ის თვისებები ენიჭებათ, რაც ცოდვით დაცემამდე ჰქონდათ.

მოკლედ **ფერისცვალებასაც** შევეხებით, რომელიც ძირეულად ცვლის ადამიანს გარეგანი კაციდან შინაგანისკენ და რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხონება. 6 (19) აგვისტოს, ფერისცვალების საზეიმო წირვის ბოლოს, შემდგომად ამბიონის ლოცვისა, **ხილი იკურთხება**, რომელსაც, საეკლესიო თვალთახედვით, შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

– „თაბორის მთაზე ფერისცვალებით მაცხოვარს სათნო უჩნდა (წინდაწინ, ჯვარცმამდე 40 დღით ადრე - დკ. ბ.გ.) ეჩვენებინა ის ახალი მდგომარეობა, რომელიც ადამიანურ ბუნებას მაცხოვრის აღდგომით მიენიჭა, და ასევე მიენიჭება ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს საყოველთაო აღდგომისას. მაგრამ, რადგან **მთელი სამყარო** გახდა ღვთის წინაშე დამნაშავე (повинна) პირველ კაცთან ერთად, ამ უკანასკნელის ცოდვის გამო, უფლის კურთხევით, მასთან ერთადვე **მოელის განახლებას.** ამდენად, **ხილის კურთხევის** საეკლესიო რიტუალი, ადამიანთათვის, ზემოთქმულის რწმუნების გამოხატულება გახლავთ.“[1]

ამგვარად, „მთელი სამყაროს **განახლების** მოლოდინი“ არათუ ცოდვით დაცემამდელ დროს უკავშირდება, არამედ **ადამის ცოდვით დაცემის დღესა და მის შემდგომ პერიოდს.**

კვლავ დავძენთ: **ადამი** სამოთხეში ყოფნისას, ვიდრე ცოდვით დაცემამდე, არ ექვემდებარებოდა **დროის მდინარებას** იმ თვალსაზრისით, რომ არ ბერდებოდა, ანუ არ უთეთრდებოდა თმა, არ უნაოჭდებოდა კანი, არ „უცვდებოდა“ შინაგანი ორგანოები, არ ავადდებოდა და სხვა.

---

[1] С. Булгаков, „Настольная книга Священно-Церковно-служителя“, т. I. Москва, 1993, стр. 299, 302.

წმიდა ბასილი დიდი ერთგან შენიშნავს: „...ცხოველებისა და მცენარეების სხეულები... **დროის მეუფებას ექვემდებარებიან,** რომლის თვისებებიც ხილული სამყაროს თავისებურებების ანალოგიურია.“ [1]

ზემორეთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის **კითხვა**: როდის „ჩაირთო“ **ადამისათვის დროის ის მდინარეობა**, რომელიც მისთვის პიროვნული ცხოვრების 930 წლით განისაზღვრა და რომელსაც ზრდასრულ კაცად შექმნილი ადამის **დაბერება** და **გარდაცვალება** მოჰყვა? ვფიქრობთ, პასუხი ერთადერთია: - **შემდგომად ცოდვით დაცემისა** (რამაც ადამის მთელი მოდგმა დროის მეუფებას დაუქვემდებარა).

ამდენად, ზემოთ შევეცადეთ წარმოგვედგინა განმარტება იმისა, თუ რატომ მივიჩნევთ **ქვეყნის დასაბამიდან <u>ამქვეყნიური</u> დროის ათვლის საწყისსა და ადამის ცოდვით დაცემის დღეს – <u>პარასკევს</u>** და არა:

ა) სამყაროს შექმნის საწყის მომენტს, ბიბლიური I დღის დასაწყისს;

ბ) ბიბლიურ მე-4 დღეს (როცა ღმერთმა მზე, მთვარე და ვარსკვლავები შექმნა);

გ) ადამის შექმნას J ბიბლიურ მე-6 დღეს.

დამოწმებანი:

1. **ასური, 2003 ა:** Св. Ефрем Сирин, Творения, т. 3, Калуга, ОАО „Калужская типография стандартов“, 2003.

[1] Св. Василий Великий. Творения в 2-х томах, т. I. Полное собрание творений Святых отцов церкви и церковных писателей в русском переводе, т.3. Москва, 2008, стр. 326.

2. **ასური, 2003 ბ:** Св. Ефрем Сирин, Творения, т. 4, Калуга, ОАО „Калужская типография стандартов“, 2003.
3. **ბასილი დიდი, 2008:** Св. Василий Великий, Творения в 2-х томах, т. I, Полное собрание творений Святых отцов церкви и церковных писателей в русском переводе, т.3, Москва, Сибирская благозвонница, 2008.
4. **ბიალკო, 1983:** Бялко А. Наша планета – ЗЕМЛЯ, Библиотечка КВАНТ, выпуск 29, Москва, издательство „Наука“, 1983.
5. **ბოლოტოვი, 1994:** Болотов В. Лекции по истории древней Церкви, т. II, Москва, Издание Спасо-Преображенского Валаамского ставропигиального монастыря, 1994.
6. **ბულგაკოვი, 1993:** Булгаков С. Настольная книга Священно-Церковно-служителя, т. I, Москва, Издательский отдел Московского Патриархата, 1993.
7. **ბუტკევიჩი... 1984:** Буткевич А.В. Зеликсон М.С. ВЕЧНЫЕ КАЛЕНДАРИ, Москва, издательство „Наука“, издание 2-ое, 1984.
8. **გაბიძაშვილი... 1975:** გაბიძაშვილი ე., გიუნაშვილი ე., დოლაქიძე ე., ნინუა გ., დიდი სჯულის კანონი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.
9. **გოგუაძე... 1998:** გოგუაძე ნ., ქავთარია მ., ჩაგუნავა რ. აბუსერიძე ტბელი თხზულებანი, ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 1998.
10. **გორჯოლაძე.... 2004:** გორჯოლაძე ნ., გორჯოლაძე ი. მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №10-12, თბილისი, 2004.

11. **გრიუმელი, 1958:** Grumel V; Traite d`etudes bizantines i la CHRONOLOGIE, Paris, 1958.
12. **გუნია, 2012:** გუნია ბ. ლიტურგიკული შტუდიები, III, „ჟამთაღრიცხვა და საეკლესიო კალენდარი“, თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის შრომები, 2011.
13. **დამასკელი, 2000:** წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (თარგმანი და შენიშვნები **ედიშერ ჭელიძისა**), თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2000.
14. **კლიმიშინი, 1985:** Климишин Н. Календарь и хронология, Москва, издательство „Наука“, изд. 2-ое, 1985.
15. **კოპალეიშვილი, 1991:** კოპალეიშვილი ვ. მითებიდან კალენდრებამდე, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1991.
16. **მილაში, 1996:** Правила Православной Церкви с толкованиями Никодима Милаша епископа Далматинско-Истрииского, т. II, издание Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996.
17. **ნიკოლსკი, 1995:** Никольский К. Пособие к изучению Устава Богослужения Православной Церкви, Москва, Паломник - правило веры, 1995.
18. **ოქროპირი, 1991:** Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 1, книга 2-я, Москва, издательство „Радонеж“, Православное братство, 1991.
19. **ოქროპირი, 2002:** Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 8, книга 2-я, Москва, издательство „Радонеж“, Православное братство, 2002.

20. **ოქროპირი, 2004:** Св. Иоанн Златоуст, Творения, т. 11, книга 2-я, Москва, издательство „Радонеж“, Православное братство, 2004.
21. **საგანძური...2001:** Сокровищница духовной мудрости (составитель М. Нейгум),
Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2001.
22. **სამაგიდო....1983:** Настольная книга Священнослужителя, т. IV, Москва, издание Московской Патриархии, 1983.
23. **ქსე 1979:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია **ტ. 4**. თბილისი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1979; **ტ. 8,** 1984.

† Archpriest Bidzina (Gunia)
Temple of St. Alexander Nesvky

THEOLOGICAL ASPECTS OF TIME COUNT FROM THE BEGINNING OF THE UNIVERSE

RESUME

TIME serves the purpose of **renewal, transfiguratoion and diviznizationby means of churching.** Let it be said: **time and space obtain liturgic eucharistic character in obedience, which grants them properties they used to have before falling in sin.** The liturgical time and space form a certain type of bridge between the visible and invisible worlds,which is based onthe church andpraying experience of eternal communion.

Thus, consideringthe foundation of the world we preferably mean **liturgical, eucharistic time and space, and less physical, or even biological time and space**. It is also noteworthy that the scientific opinion does not consider or even

totallyignores the existence of invisible world,creation of the world by the God, whichfinally contributesto incomplete perception of a matter, essence of life andworld's destiny; It refers to the **beginning of the world**to some extent.

It is of utmost importance to consider the scientific opinion and its methods inthe process of perceiving the world, but ignoring the faith factor and church doctrine will lead us to inappropriate conclusionsthatisquite clearly discussed bythe Holy Fathers:

St. John Chrysostom (IV c.): '... **See, that ransackof DIVINE WORK** (only - Archpriest B.G.) **with mindis profanity**?'**(Chrysostom, 2004: 655);**

St. Isidore of Pelusium (V c.): **'We shouldn't be seeking evidences of what is supernatural'(Treasury of Spiritual Wisdom, 2001: 78);**

Saint Maximus the Confessor (VII c.):'Studywhat and what for God has made - because it can be understandable, **but do not investigate how and why, and how long ago,** because your mind is not able to understand it'**. ...**'If you do not restrainintellectual sophistication, you can plungeinto the abyss'**(Treasury of Spiritual Wisdom, 2001: 38);**

We could cite more similar quotes, but by stating questionsthis way we do not confront scientific opinion and the church doctrineto each other but weindicate to the nesseccerity of the unity of**faith and knowledge**, whichis one of the cornerstones of the God-inspiredteaching of the Church Fathers.

ივორ კეკელია
მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მამა ანტონ კეკელიას ცხოვრება და ღვაწლი (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)

ამ ოცდაათიოდე წლის წინ პედაგოგ ვასილ აბდუშელი-შვილისადმი მიძღვნილ სტატიაში სარგის ცაიშვილი წერდა: „თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეულ წარსულს, ერთი შეხედვით უცნაურ რასმე შევამჩნევთ: როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში, განსაკუთრებით კი მისი ბოლო მეოთხედიდან, რუსეთსა და მთელს ცივილიზებულ ევროპას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოედვნენ“ სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. სად არ ნახავთ მათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში? ხოლო ასეთ ადგილებში რამდენიმე ქართველი მაინც თუ მოიყრიდა ერთად თავს, მყისვე იქმნებოდა პატარა საქართველოები, ე. წ. „ქართველთა სათვისტომოების“ სახით... მაგრამ ნიშანდობლივი აქ უფრო სხვა რამ იყო. განათლების ასეთი მაღალი საფეხურის დაუფლების შემდგომ, როგორც წესი, მათში არ იღვიძებდა რაიმე განსაკუთრებული პატივმოყვარეობა. ისინი არ თაკილობდნენ სულ უბრალო თანამდებობასაც კი, როგორც ქალაქად, ისე საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, ოღონდ თავისი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში. სხვათა შორის, ასე გრძელდებოდა შემდეგაც, როცა ჩვენში უკვე არსებობდა მაღალი რანგის კულტურული თუ სამეცნიერო ცენტრები... ბევრი მათგანის სახელი ჩვენ არც კი ვიცით, თუმცა ცხადია, რომ

სწორედ მათ მხრებზე გადაიარა იმ მძიმე ტვირთმა, რომლის ზიდვაც აუცილებელი იყო მშობლიური ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის"[1].

ერთ ასეთ პიროვნებად შემორჩა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიას მამა **ანტონ იოანეს ძე კეკელიას** (1855-1920 წწ.) სახელი. ის იყო მთელს სამეგრელოში ცნობილი სასულიერო პირი, დიდი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; ოღონდ ერთი განსხვავებით - სარგის ცაიშვილის მიერ დახასიათებული, სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდების მსგავსად, უმაღლესი განათლება მას ევროპის ქალაქებში არ მიუღია. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და გააჩაღა ენერგიული მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ჯანდაცვის კერის დასაარსებლად.

მამა ანტონმა 65 წელი იცხოვრა და ამ ხნის მანძილზე მისმა მოუღლელმა მარჯვენამ ბევრი კეთილი, საშვილიშვილო, დასაფასებელი საქმის გაკეთება მოასწრო. მარტო ის ფაქტი, რომ ეს პიროვნება იყო სამეგრელოში 15-მდე სკოლის დაარსების ინიციატორი, უდავოდ ბევრის მთქმელია. „თუ გავითვალისწინებთ სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სიძნელეებს თვით ახლაც კი - განათლების სისტემის დღევანდელ საფეხურზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლებები უნდა შეხვედროდა არათუ ათეულზე მეტის, არამედ თუნდაც ერთი სკოლის გახსნას იმ დროს, როცა სოფლად სწავლა-განათლების საჭიროება ხშირად სადავოდაც კი იყო მიჩნეული. საზოგადოებაში, რომელიც დრომოჭმულ წარმოდგენათაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, არც მოწი-

[1] ცაიშვილი ს., წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1989, გვ. 274.

ნავე პიროვნების საქმიანობით აღძრულ-ნასაზრდოები შური გამოირიცხებოდა. დავუმატოთ ამას მატერიალური სახსრების პრობლემა და გავიხსენოთ სამოქმედო ასპარეზიც - რუსეთის ვრცელი იმპერიის პერიფერია ადგილობრივ აყვავებული ბიუროკრატიული სისტემით“[1] - წერს ვახტანგ როდონაია. მიუხედავად ამისა, არაფერს არ შეუშინდა იგი, არაფრის წინაშე უკან არ დაუხევია.

მამა ანტონმა თავისი შეგნებული სიცოცხლე მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს შეალია. მისი საგანმანათლებლო საქმიანობა ფართოდ შუქდებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაშიც.

1875 წელს სოფ. ბანძაში, დღევანდელ ვედიდკარის ტერიტორიაზე, გაიხსნა სასოფლო-სამინისტრო უწყების ერთადერთი სკოლა, რაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მოსწავლეთა მიღება შეზღუდული იყო, მეორეც, სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მშობლიური ქართული ენა იდევნებოდა. XIX ს-ის 80-90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო სამრევლო სკოლების გახსნა ეკლესიებთან, მღვდლის გამგებლობის ქვეშ. 1891 წელს ბანძაში, შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიასთან, სასულიერო უწყების სახით დაარსდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც მთავარი საგანი ქართული ენა იყო. სკოლას დეკანოზი ანტონ კეკელია განაგებდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც ვკითხულობთ: ბანძა დიდი სოფელია, სადაც ბევრი თავად-აზნაური ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, სოფელში სკოლის დაარსებისათვის არავინ ფიქრობს. ამ საქმის მოგვარებისთვის ზრუნვა დაიწყო ბლაღოჩინმა ანტონ კეკელიამ, რომელმაც საკუთარი ხარჯით სოფლის ცენტრში ააგო შენობა სკო-

[1] როდონაია ვ., მადლის გზით მავალი, „ლიტერატურული საქართველო”, 1990, 5 ოქტომბერი, X, გვ. 15.

ლისათვის, რომელიც აკურთხა კიდეც და სწავლა საახალწლოდ დაიწყებაო[1].

მამა ანტონის შვილიშვილმა ოიდიპოს (ბოჩია) კეკელიამ გვიამბო: „ბაბუაჩემს სკოლის გახსნის საქმეში ბევრი მოქიშპე ჰყოლია. სამღვდელოების ერთ ნაწილს სკოლის მარტვილში გახსნა უნდოდა. მართალია, მარტვილში სასულიერო სასწავლებელი 1830 წლიდან არსებობდა, მაგრამ 1873 წლის 12 ოქტომბერს სკოლის შენობას ხანძარი გაუჩინეს და დაწვეს. 1876 წელს ახალი, რვაოთახიანი ხის ყაზარმული შენობა აუგიათ, რომელიც გარედან გაჯით ყოფილა შელესილი. 1882 წელს მომავალ დიაკვნებს (ასე უწოდებდნენ მოსწავლეებს) ეს შენობაც დაუწვავთ. ამის მიზეზი სასწავლებლის სიშორე და სწავლების აუტანელი პირობები იყო. შემდეგ მღეროდნენ კიდეც: „ნიორი და ხახვის ფოჩი, მადლობა ღმერთს, მარტვილს მოვრჩი". მარტვილის სასწავლებლის ისტორია დაწვრილებით აქვს აღწერილი მამა ანტონის სიძეს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - თედო სახოკიას, წიგნში - **„როგორ ვიზრდებოდით ძველად".** დიდი ხნის მანძილზე დღის წესრიგში იდგა მარტვილში სასწავლებლის არსებობის საჭიროება, მარტვილელელბი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ სკოლის შენობა, ბანძის ნაცვლად, მარტვილში გახსნილიყო, მაგრამ დეკანოზმა ანტონმა იმდენი ირბინა თბილისში, რომ განათლების სახელმწიფო მესვეურებს, საბოლოოდ, საქმე ბანძის სასარგებლოდ გადააწყვეტინა. ერთხელ, თურმე, თბილისში უნდა წასულიყო. მოძღვარი სკოლის საქმეებით იმდენად ყოფილა დაკავებული, რომ დილით, სიჩქარის გამო, შარვლის ჩაცმა დავიწყებია და ასე, უშარვლოდ, მხოლოდ ანაფორით, ჩასულა თბილისში. იქ ბანძიდან დიდი ხნის წინ დედაქალაქში საცხოვრებლად გადასულ ნაცნობთან - ალექსანდრე (საშა) კეკელიასთან მისულა

[1] „ივერია", 17 დეკემბერი, 1892.

და კარებიდანვე შეუძახნია: არიქა, შვილო, როგორმე ჩემი ზომის ძიქვა (შარვალი) მომიძებნე, თორემ მომეჭრა თავიო“.

მაინც არ ისვენებდნენ მოქიშპეები - დეკანოზი სკოლის მშენებლობის დაწყებას არ აპირებსო, და რევიზია გამოგზავნეს. „ინფორმირებულმა ანტონმა ერთ ღამეში მოაზიდვინა თანასოფლელებს საბალავრო ქვა მდ. აბაშის პირიდან, რისთვისაც მთელი ხარჯი (900 მან.) თვითონ გაიღო. ამასთანავე, მოსულ სტუმრებს გალობით შეაგება მოსწავლეთა გუნდი, თვითონაც სიტყვით მიმართა. რევიზორი დარწმუნდა, რომ ბავშვებმა იცოდნენ ლოცვა, პირჯვრის წერა, რუსულადაც ლაპარაკობდნენ. ბლაღოჩინის დიპლომატიურმა სვლამ გაჭრა და რევიზორს საბოლოოდ გადაწყვეტინა საკითხი ბანძის სკოლის სასარგებლოდ“[1].

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მამა ანტონმა თავის მეუღლეს - ეპრაქსია ოქროპირის ასულ რურუას მზითვიც კი გაუყიდა და შეგროვილი თანხა ბანძის სამრევლო სკოლისთვის შენობის დადგმას მოახმარა.

ცნობილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ებრაელები დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ, საქართველოში კი მსგავს მოვლენებს ადგილი არასდროს ჰქონია. პირიქით, ძნელბედობის ჟამს ქართველები მუდამ დახმარების ხელს უწვდიდნენ მათ. ჩვენ ხელთ არსებული უამრავი ფაქტიდან ამჟამად ბანძელ ებრაელთა ისტორიის ორ ეპიზოდზე გავამახვილებთ ყურადღებას, რითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ებრაელებისადმი სოფლის ქრისტიანი მოსახლეობის დამოკიდებულება.

XX ს-ის დასაწყისში, განსაკუთრებით რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში, ებრაელთა აკლებას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა რუსეთში. ასე მაგალითად, რუსეთის ქალაქ ბელოსტოკ-

---

[1] როდონაია ვ., მადლის გზით მავალი, 1990, 5 ოქტომბერი, X, გვ. 15.

ში მძარცველები ოთხი დღის განმავლობაში ანადგურებდნენ მათს ქონებას.

ებრაელთა მოსალოდნელი დარბევის შესახებ ხმა გავრცელდა საქართველოშიც. ბანძელ ებრაელებს დეკანოზ ანტონ კეკელიასთვის მიუმართავთ. მამა ანტონი უაღრესად კეთილი და გაჭირვებულთა გამკითხავი იყო. მან დახმარება აღუთქვა ებრაელებს. ეფრემ და დავით აჯიაშვილებს ფართლეული მოაზიდვინა და საკუთარი სახლის პირველ სართულზე, დიდ დარბაზში, საგულდაგულოდ შეანახვინა. თანაც, ქონებას დამცველად ებრაელთა თემიდან ერთი კაცი მიუჩინა, ბანძელ სამსონ დანელიასთან ერთად. მიუხედავად მოარული ხმებისა, ქართველი ებრაელები მაშინ ძარცვასა და რბევა-აწიოკებას გადარჩენილან.

მეორე ეპიზოდი 1911-1912 წლების ზამთრის დიდთოვლობასთანაა დაკავშირებული. თოვლის საფარს თურმე 3 მეტრისთვის მიუღწევია. ბანძელი ებრაელები თავს ვაჭრობით ირჩენდნენ. დიდთოვლობის გამო გზები ჩაკეტილა. ამიტომ კვირაობით ბაზარში დგომა კი არა, გარეთ გამოსვლაც კი ჭირდა. ებრაელები მიწას არ ამუშავებდნენ. თითქმის ვერც ერთი ებრაელის ოჯახში სასიმინდეს ვერ ნახავდით. საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ისინი ბანძელი ქრისტიანებისგან ყიდულობდნენ. დიდთოვლობისას ორი თუ სამი კვირის მარაგი შემოლევიათ, ვაჭრობა შეუძლებელი იყო და გზების ჩაკეტვის გამო ვერც ქუთაისში მოუხერხებიათ წასვლა, რომ იქ მაინც შეეძინათ პროდუქტები. უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი ბანძელ ებრაელთა ასობით ოჯახს ბანძელი ქრისტიანებისთვის მიუმართავს დახმარებისთვის. დავით აჯიაშვილი ებრაელთა სახელით მამა ანტონთან მისულა და დახმარების გაწევა უთხოვია. იმანაც, როგორც სჩვეოდა, დახმარების ხელი გაუწოდა ბანძელ ებრაელებს - სამი ბეღელი სიმინდი დაუთმო და ისინი შიმშილით დახოცვას გადაარჩინა.

ეს პატივისცემა არ დაუვიწყეს დეკანოზს ებრაელებმა. მათ მთელი გულით შეიყვარეს მამა ანტონი და მისი ოჯახი. როცა იგი გარდაიცვალა, დავით აჯიაშვილმა ბანძელ ებრაელთა სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იმ დახმარებაზეც ისაუბრა, დეკანოზს რომ არაერთხელ აღმოუჩენია გაჭირვებაში ჩავარდნილი ებრაელობისთვის.

ასეთი იყო დეკანოზი ანტონ კეკელია: ამაღლებული, უბრალოებით გამორჩეული, უზადო და უზაკველი სულის პატრონი, სხვისი ჭირი რომ თავისად მიაჩნდა და ეროვნებითა და სარწმუნოებით სხვა თემის ხალხს მუდამ ხელს უმართავდა. ეს ორი ფაქტიც ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართველები და ებრაელები ერთმანეთთან. ასეთმა მხარდაჭერამ კიდევ უფრო განუმტკიცა ებრაელებს ქართველი ხალხის სიყვარული[1].

1896 წელს ბანძის ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლად გადაკეთდა. მის გახსნაზე სიტყვები წარმოუთქვამთ: სამრევლო სკოლების მეთვალყურეს, ცნობილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს - თედო ჟორდანიას, ცნობილ ვექილსა და საზოგადო მოღვაწეს, მელქისედექ (მექი) ფაღავას, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანს და სხვებს. სკოლასთან უფასო სამკითხველოს გახსნა უკისრია ცნობილ ქველმოქმედ მანდილოსანს დარია ფაღავას და ფონდიც, წიგნების შესაძენად, 300 მანეთამდე შეუდგენია[2].

---

[1] კეკელია ი., „ოდეს კაცსა დაეჭირვოს“ (ორი ეპიზოდი ბანძელ ებრაელთა ისტორიიდან). კრ. „მამა ანტონ კეკელია“, თბ., 2004, გვ.7-8.

[2] დანელია კ., გახსნა და კურთხევა ს. ბანძაში ორკლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლისა, ჟურნ. „მწყემსი“, 1896, №20; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896, №29.

ამ ფაქტს ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე გამოეხმაურა კ. დანელია. წერილში აღნიშნული იყო: „სექტემბრის თვის 19 მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის თანდასწრებით ბანძის წმ. გიორგის ეკკლესიაში საღმრთო ლიტურღია შეასრულა მცირე აიაზმის გარდახდით ზემოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელმა, ბლაღოჩინმა ან. კეკელიამ. იმავე და მახლობელ ეკლესიათა სამღვდელოების თანმწირველობით და თანდასწრებით ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა მეთვალყურის, უ. თ. დ. ჟორდანიას, სენაკის მაზრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილების წევრთა. შემდეგ საღმრთო ლიტურღიისა, რომელზედაც გალობდა ქართული გუნდი მგალობელთა და სადაც დაესწრო აღტაცებულის სიხარულით აუარებელი ხალხი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ყოვლის სამღვდელო გრიგორიმ შეასრულა ლიტანია სკოლის შენობაში „მეფის ლოცვის“ გალობით და გარდაიხადა დაწესებული სავედრებელი გალობა „წინეთ სწავლის დაწყებისა“, რომლის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერობა სამეფო სახლისა, უწმინდესის სინოდისა, მასთან დაარსებულის სამასაწავლებლო საბჭოისა, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის ბ. კონსტანტინე პეტრეს ძის პობედონოსცევისა, მმართველთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. შემდეგ ცერემონიისა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ შეკრებილი შაგირდები აკურთხა ჯვრითა და მაცხოვრის ხატითა და სკოლის დროებით შენობის, შაგირდების და დამსწრეთა სხურების შემდეგ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა, თუ რას გვასწავებს ჩვენ ღმერთ-მასწავლებელი და ურჩია შაგირდებს, რომ მაცხოვრის სახის შეხედვით იგონებდნენ ხოლმე ყოველთვის მის სწავლას და ნიადაგ შეუსუსტებლად ასრულებდნენ მას... შემდეგ ამისა ბლაღოჩინმა კეკელიამ მიიწვია ყველა სა-

პატიო პირები თავის ბინაზე სადილად... სადილზედაც წარმოსთქვეს შემთხვევის შესაფერი სიტყვები უ. თ. დ. ჟორდანიამ, თ. მელქისედექ ფაღავამ და სხვებმაც. როგორც დაგვარწმუნეს, თ. მელქისედექ ფაღავას მეუღლე დარიას უკისრნია დააარსოს ამ სკოლასთან უფასო სამკითხველო და ფონდიც, ჯერჯერობით, 300 მანეთამდის შეუდგენია. ღმერთმა ინებოს, რომ ამ ჭეშმარიტად ღვთისნიერის და სხვა საზოგადო საკეთილო საქმეშიაც გამოჩენილის პირისათვის წაებაძნოთ სხვებთაცა“[1].

აღნიშნულ სკოლას 1917 წლამდე მამა ანტონი განაგებდა. ასწავლიდა ფრანგულ ენასა და არითმეტიკას. ამ დროიდან კვლავ დაიწყო ბრძოლა მოძღვრის წინააღმდეგ, რაც ნათლად ჩანს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილიდან. დეკანოზი ანტონ კეკელია გაზეთის რედაქტორს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:

„ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესადა გთხოვთ, „საქართველოში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

მარტის 19 დ. ახალსენაკში გაიმართა სენაკის მაზრის მასწავლებელთა საზოგადო კრება. კრებაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, რომ სახალხო შკოლებს არასასურველი ელემენტი ჩამოაშორონ. არასასურველთა შორის მეც მოვყოლივარ, ადამიანი, რომელიც 43 წელიწადია სახალხო განათლებას ვემსახურები. ჩემს მოწინააღმდეგებად გამოსულან მასწავლებელი მ. კაჭარავა, ბ. კალანდარიშვილი და ი. ხუხუა. სამივე ერთს დროს ჩემს მიერ რწმუნებულ სასწავლებელში იყვნენ და სასწავლებლის ინტერესებმა იძულებულ მყო სასწავლებლისათვის სამივე მომეშორებინა. მასწავლებელთა კრების მიერ აღმასრულებელ კომისიის წევრებად მოჰყოლიან მასწავლებელნი კა-

[1] დანელია კ., გახსნა და კურთხევა ს. ბანძაში ორკლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლისა, №20.

ჭარავა და კალანდარიშვილი, ჩემნი ბრალმდებელნი და იმავე დროს გამსამართლებელნი.

უმორჩილესადა ვსთხოვ კომისიას, სანამ თავისს მსჯავრს რასმე გამოიტანდეს, საქმე გამოიძიოს; იმედი მაქვს კომისიის პირუთვნელობისა და მაშინ შეიძლება როლები იცვალოს, დღევანდელნი ბრალმდებელნი ჩემნი იძულებულნი იქმნენ პასუხისმგებლად იქცნენ და ძალზედაც გაუჭირდესთ ეს პასუხისგება"[1].

დეკანოზს შთამაგონებელი გარეგნობა და შესანიშნავი ხმა გამოარჩევდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მოძღვრის სიძის - თედო სახოკიას მოგონება: „პარიზში 1900 წლის მსოფლიო გამოფენაა. საქართველოდან ჩამოსულს საფრანგეთის დედაქალაქში დამხვდა ჩემი მეგობარი, მხატვარი ალ. მრევლიშვილი (ფერმწერი და გრაფიკოსი; 1898-1903 წლებში სწავლობდა პარიზში, ჟიულიენის აკადემიაში - **ი. კ.),** სამშობლოში უკვე ცნობილი და აქ ჩამოსული, აქაურ სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ და თავის ხელობაში უფრო განსავითარებლად...

იმ ხანებშივე ალ. მრევლიშვილმა ჩემთან სხვა ფოტოსურათებთან ერთად დაინახა სურათი ჩემი მეგობრის, დეკანოზ ანტონ კეკელიასი, რომელიც სამეგრელოში, როგორც სასულიერო, ისე სახორციელოთა შორის უმშვენიერესის, პირდაპირ კლასიკური სილამაზის ადამიანად ითვლებოდა. განსაკუთრებით ჰშვენოდა ანაფორაში და მაყურებელი ძალაუნებურად ქრისტეს სახეს ადარებდა... მხატვრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხსენებულმა სურათმა და საშამ, როგორც ჩვეულება ჰქონდა, ჯერ ფანქრით დახატა კედელზე. ზეთის წამლებით კი სამშობლოში დავხატავო, სულ კი იმას იძახდა: ქრისტეს დახატვა ვისაც უნდა, ტიპად ეს ადამიანი უნდა გამოიყენოსო. მართლაც, მისი ფრანგი ამხანაგები, ვინც კი ნახავდა კედელზე დახატულს სურათს, ყვე-

[1] „საქართველო", №83, 18 აპრილი, 1917, გვ. 4.

ლას თვალი ზედა რჩებოდა და ყველანი იძახდნენ თურმე – ქრისტე ასეთად უნდა დაიხატოსო“ [1].

მამა ანტონი გარდაიცვალა 1920 წლის 12 აგვისტოს, თბილისში, შუაყურის ანთებით. დაკრძალულია ბანძაში, შაურკარის სასაფლაოზე. 160 წელი გვაშორებს მამა ანტონის დაბადებას, ცხრა ათეულზე მეტი წელი გარდაცვალებას, მაგრამ ცოცხლობს მისი საქმენი, ცოცხლობს თვითონაც, როგორც მშობელი ქვეყნის უკვდავ-უბერებელი მეციხოვნე. ილია მართლის გზით მიმავალ დიდ მამულიშვილს, სრული უფლება ჰქონდა, სიცოცხლეშივე, ერისა და ქვეყნის გასაგონად ეთქვა: „მე უკვე შევსვი უკვდავების წყაროს წყალი. ქართველებო, ალავერდს თქვენთანა ვარო“[2].

დამოწმებანი:

1. **დანელია კ.,** გახსნა და კურთხევა ს. ბანძაში ორკლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლისა, ჟურნ. „მწყემსი“, 1896, №20.
2. გაზ. „ივერია“, 17 დეკემბერი, 1892 წ.
3. **კეკელია ა.,** წერილი რედაქტორის მიმართ, გაზ. „საქართველო“, №83, 18 აპრილი, 1917.
4. **კეკელია ი.,** ილია მართლის გზით, გაზეთი „მახარია“, №2 (7), 2001.
5. **კეკელია ი.,** მწყემსნი კეთილნი, გაზ. „მახარია“, 2001.
6. **კეკელია ი.,** „ოდეს კაცსა დაეჭირვოს“ (ორი ეპიზოდი ბანძელ ებრაელთა ისტორიიდან), კრ. „მამა ანტონ კეკელია“, თბ., 2004.
7. **როდონაია ვ.,** მადლის გზით მავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 5 ოქტომბერი/

---

[1] სახოკია თ., 1969, გვ. 190-192.

[2] კეკელია ი., ილია მართლის გზით, გაზ.„მახარია”, №2 (7), 2001, გვ. 6.

8. გაზეთი ,,საქართველო”, №83, 18 აპრილი, 1917.
9. **სახოკია თ.,** ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969.
10. **ცაიშვილი ს.**, წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1989.
11. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“, №29, 1896.

Igor Kekelia
Scientific Research Centre of History and Culture Studies of Martvili Region

LIFE AND ACTIVITIES OF FATHER ANTON KEKELIA (DEDICATED TO 160TH ANNIVERSARY FROM HIS BIRTH)

RESUME

The aim of this article is to learn the life and worn of Father Anton Kekelia (1855-1920). To the name of this well-known clergyman, eduqator and public Figure in Samegrelo, is connected doing a lot of kind, praiseworthy, commendable things. It’s important to say that he was an initiator of foundation about 15 shools in Samegrelo, and opening a post-office, in his native village, court, bank and hospital. Father Anton dediacated his Whole life to the affairs of eduqation of Young people. His educational work was described in Georgian printing press.

ივორ კეკელია
მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის
შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
კახაბერ ქებულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასალები XIX საუკუნის 50-იანი წლების სამეგრელოს სასულიერო მოღვაწეთა პერსონოლოგიისათვის

XIX ს-ის შუა წლებში, ოდიშის (სამეგრელოს) გამოჩენილი მთავრის, დავით დადიანის (1840-1853 წწ.) ხელმძღვანელობით, 1850 წელს მთავრის კანცელარიიდან მიღებული წერილობითი მითითების საფუძველზე, ოდიშ-ლეჩხუმის მაზრების მდივანბეგებმა განახორციელეს თავადთა და აზნაურთა ოჯახების დეტალური აღწერა. ეს მასალა საინტერესო ინფორმაციას შეიცავს XIX საუკუნის 50-იანი წლების სამეგრელოს სასულიერო მოღვაწეთა ვინაობისა და მათი წოდებრივი მდგომარეობის შესახებ. მაზრებში მცხოვრები სამთავრო, საეკლესიო და საბატონო თავად-აზნაურების სია 2013 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ქართველ თავადთა და აზნაურთა ოჯახების დეტალური აღწერა სამეგრელოს სამთავროში ჩატარდა 1850-1854 წლებში. ამ დროისათვის რუსეთმა უკვე გააუქმა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, ასევე გურიის სამთავრო და დღის წესრიგში იდგა სამეგრელოს გაუქმების საკითხიც. იმ დროს ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო 8 მაზრად იყო დაყოფილი... 1850 წლის სექტემბერში კავკასიის

მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა წერილობით მიმართა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, შეედგინათ მის სამთავროში მცხოვრებ თავად-აზნაურთა სია“[1].

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეხებით სამეგრელოს ეკლესიებში XIX ს-ის შუა წლებში მოღვაწე სასულიერო პირებს, სახელდებითი საოჯახო სიების მიხედვით. „სახელობითი სახლეულობის სია ყოველთა საზოგადოდ პირთა, შემადგენელთა თავადთა და აზნაურთა გვაროვნობათა სუჯუნის მაზრასა შინა“ 1853 წლის 15 მაისს შეუდგენია სუჯუნის მაზრის მდივანბეგს, თავად ტარიელ ჩიქოვანს. მასში დასახელებულია 315 კომლი, თითოეულ კომლში მცხოვრები სულთა და ორივე სქესის, აგრეთვე წლოვანებისა და იმის მითითებით, თუ რა დოკუმენტის საფუძველზე, რომელი ღირსებით (თავადი, აზნაური, მღვდელი...) სარგებლობდნენ. სიას თან ერთვის იმავე წლის 14 ივნისით დათარიღებული მოხსენება თავად ტარიელ დადიანისა, სამეგრელოს მთავრისადმი, რაშიც ვკითხულობთ: „შევადგინე სია თავადთა და აზნაურთა გვაროუნებისა თუ რამდენნი არიან სახლეულებანი, და რამდენი მათ შორის სულნი მამრობითისა და მდედრობითისა სქესისანი, და რამდენის წლისანი“[2].

აღნიშნულ სიაში აზნაურთა გვარიდან დასახელებულია მღვდელი პეტრე გაბუნია. ის ყოფილა შვილი ხახუ კოჩას ძე გაბუნიასი. დედას ანნა რქმევია და ჰყოლია და-ძმები: კოლეჯის რეგისტრატორი კონსტანტინე, ნიკო, რომანოზ და მზე-

[1] ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები (სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ღირსებების მქონედ აღიარებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სიები), ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა და ანზორ სიჭინავამ, ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 5-6.

[2] ჭუმბურიძემ ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 53.

ხა. პეტრეს შვილები არიან ლუკა და მარიამ. მღვდელ დავით გაბუნიას მეუღლედ დასახელებულია მატა; მათ ჰყოლიათ ოთხი ქალ-ვაჟი: ტასია, ბარბარე, თომა და სტეფანე. დავითის ბიძა ყოფილა ბეჟან, ხოლო ბიძაშვილები - იოანე, რუსუდან და სოფიო[1].

ანდრია გაბუნიას ორი ვაჟიდან (იოანე და საბა) ერთი - საბა, მღვდელი ყოფილა. დედას თამარი რქმევია. საბა ანდრიას ძის ცოლი ყოფილა სალომე. ჰყოლიათ შვილები: დიმიტრი, ეპიფანე, გაბრიელ, ბესარიონ, პელანგია, ნატალია, ეკატერინა. მღვდელ მარკოზ გაბუნიას მეუღლეა ევფემია. ჰყოლიათ ორი ქალიშვილი - ელისაბედი და ნინო. ამ მოძღვრის ძმა ყოფილა ბეჟან[2].

აზნაურ თოფურიების გვარიდან დასახელებულია ორი სასულიერო პირი: მღვდელი ბესარიონ ამირანის ძე, ცოლი მისი სოფიო და შვილები: ევსტატი, კოსტანტინე, მიხაილ, ლუკა, ნინო, პელანგია[3]; მიხაილ ათანასის ძე თოფურია, ცოლი მისი ასტანდარ და შვილები - სოფრომ, დიმიტრი და სუსანა. მღვდელი ყოფილა სოფრომ მიხაილის ძე თოფურიაც. მის ქალიშვილს კიკინა რქმევია[4]. 1846 წლით თარიღდება ერთი საარქივო დოკუმენტი (საქმე №629), სადაც სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლებად დასახელებული არიან სოფრომ და ათანასე თოფურიები, ხოლო სოფ. აბაშის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად - ბესარიონ თოფუ-

---

[1] ჭუმბურიძემ ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 73, 76.

[2] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 81, 82.

[3] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 89.

[4] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 93.

რია. მამა სოფრომი სეფიეთის ეკლესიის მღვდლად ნიკოლოზ მაკალათიასთან ერთად დასახელებულია აგრეთვე 1864 წლით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტში[1].

ჟვანიების საგვარეულოდან დასახელებულია მღვდელი იოანე კოჩას ძე. მის მეუღლეს რქმევია ტასია და ჰყოლია ქალ-ვაჟი - ეგნატი და კესარია[2]. იოანე ჟვანია, როგორც ჩანს, მოღვაწეობდა ხორგის წმ. გიორგის ეკლესიაში, რაც დასტურდება 1846 წლით დათარიღებული საარქივო დოკუ-მენტით[3].

ხოშტარიების საგვარეულოში სასულიერო მოღვაწე ყო-ფილა იოანე მარკოზის ძე ხოშტარია. მისი მეუღლე ყოფილა ციცინო და ჰყოლია ორი ვაჟი - ეფრემ და ბიჭი[4]. ხოშტა-რიები მღვდელთმსახურებას აღასრულებდნენ წალიკარსა და ეწერში. ორივე სოფელი ამჟამინდელ აბაშის მუნიციპალიტე-ტშია. წალიკარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი XIX ს-ის 80-იან წლებში ყოფილა თომა ხოშტარია[5].

1864 წლით დათარიღებულ ერთ საარქივო დოკუმენტ-ში ფოთის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდლად დასა-ხელებულია იოანე ხოშტარია, ხოლო „პრიჩეტნიკად“ - ეფ-

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №1717; იხ აგრეთვე ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდა-ცვითი ნაგებობანი სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 62, 67.

[2] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 96.

[3] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელო-ში, გვ. 64.

[4] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები გვ. 103.

[5] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელო-ში, გვ. 496, 513, 514.

რემ ხოშტარია[1]. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის კანცელარიის მდივნად ასახელებს იეროდიაკონ ივანე ხოშტარიას, ივა ბერს. მას ცუდი თვისება ჰქონია: იცოდა მოსამსახურეებისა და სახლთუხუცეს როსტომ გიორგის ძე ჩიქოვანის დასმენა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანთან. ივა-ბერს, - წერს იონა მეუნარგია, - „დიდად უჯეროდა მთავარი, მაგრამ სამეგრელოს დიდკაცობა ემდუროდა. თუ ამათ მთავართან თხოვნა არ გაუვიდოდა, ივა-ბერის ბრალი იყო და შემდეგ მთავრის გარდაცვალებისა, როცა საჭყონდიდლოში გლეხების ამბოხება ატყდა, დიდ-კაცობამ შური იძია ღირსეულ მდივანზე. ის დააბეზღეს უმაღლეს მთავრობასთან და ივა-ბერი ხელ-ფეხშეკრული სამეგრელოდან სადღაც გადაკარგეს. ივა-ბერის მწერლებად იყვნენ თევდორე ხოშტარია, შემდეგში სასახლის მოძღვარი და ორი სხვა ყმაწვილი კაცი“[2].

XIX ს-ის შუა წლებში მღვდლები იყვნენ აგრეთვე დავით კოჩას ძე გეგენავა და ძე დავითისა პავლე. პავლეს მეუღლე ყოფილა ქეთევან და ჰყოლიათ სამი შვილი - გრიგოლ, ოქროპირი და სოფიო[3]. დავით გეგენავა მოიხსენიება 1846 წლით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტში (საქმე №633)[4].

შალამბარიას გვარიდან დასახელებულია მღვდელი ლაზარე დავითის ძე, ცოლი მისი რუსუდან, შვილები - გიორგი,

---

[1] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 72.

[2] მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 32.

[3] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 105.

[4] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 63.

ხახუ და სასი. დასახელებულია ლაზარეს ძმისწულიც – ბახია კვირიკეს ძე[1]. სპირიდონ და ლაზარე შალამბერიძეები და „პრიჩეტნიკი“ მარკოზ შალამბერიძე 1864 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტის მიხედვით მოღვაწეობდნენ ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესიაში[2].

სვიმონ ქავთარიას ხუთი ვაჟიშვილიდან (დავითი, ვახტანგი, გიგო, მიხაილ, ტოტი) სასულიერო წოდებისა იყო დავითი. მას დეკანოზის წოდება ჰქონია. სვიმონის მეუღლედ სიაში დასახელებულია დოდო, ხოლო შვილებად - ბესარიონ, იულო და ფარნაოზ. მღვდელი ყოფილა აგრეთვე დავით ივანეს ძე ქავთარია, რომელსაც ჰყოლია ქალ-ვაჟი - ბესარიონ და მაკრინე[3].

სიიდან ირკვევა, რომ ოდიშის მთავარ ლევან გრიგოლის ძე დადიანის მიერ 1829 წლის 28 მარტს ბოძებული სიგელით აზნაურობის წოდებით სარგებლობდნენ ჯინორიები. ამ გვარის ორი წარმომადგენელი, მათე იოანეს ძე და გიორგი შუკოს ძე ჯინორიები, მღვდლები ყოფილან[4].

---

[1] ჭუმბურიძე ზ.,.. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 116.

[2] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 66.

[3] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები , გვ. 118.

[4]ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 68; ჯინორიები მღვდელთმსახურებას აღასრულებდნენ სოფელ სორტაში (ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი). ცნობილია მღვდლები - გიორგი მათეს ძე, მათეს ძმა ექვთიმე, აგრეთვე დავით ჯინორიები. ამ უკანასკნელს სემინარია დაუმთავრებია. ქვემო სორტის იოანე ნათლისმცემლის მუხის ხის ეკლესია აუგია მამა-შვილს - გიორგი და ექვთიმე ჯინორიებს, დაახლ. 1820-30-იან წლებში. დღეს ნაეკლესიარია (ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 430, 431).

ხოფერიებიდან მღვდლები არიან ივანე დიმიტრის ძე (ცოლი მისი თებრონია) და მაქსიმე იესეს ძენი (ცოლი მისი ელისაბედი და ძე თომა), აგრეთვე ნიკოლოზ სპირიდონის ძე (ცოლი მისი ნინო, შვილები - ბიჭია, ფილიპე და პეტრე)[1].

1853 წლის 29 ივნისს შედგენილი ასეთივე სია დავით დადიანისთვის წარუდგენია საჭილაოს მაზრის მეორე კლასის მდივანბეგს, პოდპორუჩიკის წოდების მქონე თავად გიგო ფაღავას. სახელობითი სია შედგენილია სოფ. მარანში, რასაც თან ერთვის შემდგენლის მიმართვა მთავრისადმი:

„მისს უგანათლებულესობას

მინგრელიის მთავარს უფალს ღენერალ-მაიორს და კავალერს

დავით ლეონის ძეს დადიანს

საჭილაოს მაზრის მდივანბეგის თავადის ფაღავასაგან

მოხსენება

წარმოწერილობისაებრ ჩემდამო თქუენის უგანათლებულესობისა 25ის აპრილიდგან ამა წლისა №583თა ამასთანავე უმორჩილესად წარმოვადგენ სახელობითსა სიასა თავადთ და აზნაურთ გვარევნობისასა ჩემდამო რწმუნებულის მაზრიდგან.

საჭილაოს მაზრის მდივანბეგი

თავადი **გიგო ფაღავა**“[2].

საჭილაოს მაზრაში მცხოვრებ თავადებს შორის დასახელებულია გვარი მიქაძისა და ქოჩაქიძისა, აზნაურთაგან - კორძაია, დიდია, გრიგოლია, ნანეიშვილი, ასათიანი, ლოლუა, ლორთქიფანიძე, გუგუნავა, ნიკოლეიშვილი, ჩხიკვიშვილი, ბერეჟიანი, თვათვაძე, მგალობლისშვილი, იოსელიანი, გაბუნია,

---

[1] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები ,გვ. 119, 120, 123, 124.

[2] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 173.

ჩიქოანი, ჩაჩავა, გუგუშვილი, ხოშტარია, ცომაია, ესაკია, შელია, ელიავა, ქორქია, ბერძენი, ღვამბარია, ღვამიჩავა.

აზნაურობის ღირსებით მოსარგებლე გრიგოლიების გვარიდან ბლაღოჩინი და დეკანოზი ყოფილა იოვანე გაბრიელის ძე გრიგოლია. მისი ორი ძიდან ერთი, სიმონი, აგრეთვე მღვდელი ყოფილა, რომელსაც ცოლად ჰყოლია ბარბარე. მღვდელი ყოფილა აგრეთვე გერმანე გიორგის ძე გრიგოლია, ხოლო ამ უკანასკნელის ცოლს მაია რქმევია. მღვდლები არიან გრიგოლიების გვარიდან ნიკოლოზ, ლუკა, ძმები - ევთიმე და მაქსიმე[1]. 1846 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტის მიხედვით იოანე გრიგოლია საჭილაოს ილორის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზია. იმავე დოკუმენტში დასახელებულია მღვდელი მაქსიმე ანანიას ძე გრიგოლია, დიაკვანი იესე ივანეს ძე ჯამბურია, ლუკა სიმონის ძე აბაშიძე და ანტონ ანანიას ძე გრიგოლია[2].

მგალობლისშვილთა გვარიდან სასულიერო წოდებისაა გიორგი მიქელის ძე, რომელსაც სამი ვაჟიშვილი ჰყოლია - ევთიმე, ოქროპირ და მელიტონ[3]. უთუოდ ამ გიორგის მემკვიდრეა დიაკვანი ოქროპირ მგალობლიშვილი, რომელიც 1846 წლისათვის საჭილაოს მთავარანგელოზის ეკლესიაში მოღვაწეობდა[4]. მღვდლად არის დასახელებული იესე სიმონის

---

[1] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 183, 184, 185, 186.

[2] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 63.

[3] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 194.

[4] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 63; გიორგი მგალობლიშვილი მარნის წმ გიორგის, თხმელარის მაცხოვრისა და ქვიშანჭალის წმ. გიორგის ეკლესიების მღვდლად არის

ძე ჩიქოანი, რომელიც დოკუმენტის შედგენის დროისას გარდაცვლილი ჩანს[1]. იესე ჩიქოვანი სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა ნაესაკაოს წმ. გიორგის ეკლესიაში[2].

ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა სია შედგენილია 1853 წლის 16 ივნისს, მაზრის მდივანბეგის თანაშემწის, თავად პეტრე მხეიძის მიერ, რაც იმავე წლის აგვისტოში წარუდგენია სამეგრელოს მთავარ დადიანისთვის. აზნაურთა შორის მღვდლებად დასახელებულია თომა გოშუა, მიხაილ გიორგის ძე ანთელავა, ნიკოლოზ ლომიკაცის ძე და დავით ანთელავები, ესაია დავითის ძე ფარულავა, ნიკოლოზ ავალიშვილი, დავით გიორგის ძე ჟორდანია, ივანე (იოანე) მამუკიას ძე კობახიძე, სვიმონ ნაჭყეპია, ზოსიმე ბეჟანის ძე ალშიბაია (სოფ. კურზუში), მარკოზ და დავით ივარდავები[3].

მარტვილის მაზრის მეორე კლასის მდივანბეგის, თავად მაქსიმე ქოჩაქიძის მიერ 1850 წლის 10 დეკემბერს არის შედგენილი მაზრაში მცხოვრები სამთავრო, საეკლესიო და საბატონო თავად-აზნაურების სია. მასში დასახელებულია აზნაური დეკანოზი რომანოზ პეტრეს ძე ბარისოვი, აზნაური მღვდელი იოანე სიმონის ძე კუხალაშვილი, საეკლესიო აზნაურებიდან მღვდლები: სტეფანე ვასილის ძე ჭალაგანიძე და ზაქარია მიქელის ძე გაწერელია; საბატონო აზნაურებიდან –

დასახელებული. იხ. კაჭარავა კ., ენციკლოპედია „აბაშა“, თბ., 2010, გვ. 81.

[1] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 198.

[2] კაჭარავა კ., ენციკლოპედია „აბაშა“, გვ. 82.

[3] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 214, 218, 219, 220, 222, 225, 229, 236, 237, 264.

მღვდელი იოანე გიორგის ძე ასათიანი[1]. დოკუმენტს ბოლოში ერთვის „სია საბუთის მექონთა“, რაშიც დასახელებულნი არიან მღვდლები - იესე ახალკოჩის ძე ჟორდანია, ნიკოლოზ იონისიმეს ძე ოსიძე და პეტრე საბას ძე მოწერელია[2]. *იოანეს მამა სიმონ კუხალაშვილი მოიხსენიება 1852 წელს შედგენილ ერთ საბუთშიც. კერძოდ, ესაა „უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა შ(ინ)ა ეკლესიებთა და სამღვდელო საეკლესიო მსახურთა და სამრევლოებთა, შედგენილი 1852 -სა წელსა“, თეოფანე არქიმანდრიტის მიერ (თეოფანე, გვარად გაბუნია, სამეგრელოს ეპისკოპოსი იყო 1854 წლის 8 სექტემბრიდან). ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეს საბუთი (№18634, დოკ. №7602) 1997 წელს გამოაქვეყნა ამავე მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა სვეტლანა მიქავამ. სიმონ კუხალაშვილის შესახებ მასში ვკითხულობთ: „4-ს (ივნისს- ავტ.) ვვლე 40-ის წამის (ალბათ წუთის - ავტ.) სავალი და სალხინოს სოფლის წ(მიდ)ის გიორგის ფიცარის ეკლესია განვიხილე. დაუწმენდელია შიგნით და გარეთ. ეზო გვიმრიანია, ჩალდაყში პირუტყვის ნამყოფებია. წვიმა ჩამოდის... მღუდელი სიმონ კუხალაშვილი მოხუცებულობაში ჩამდგარა; ქვრივია, წერა-კითხვა იცის ცუდად. მღვდელი მარკოზ ცაავა ყმაწვილია, წერა-კითხვა იცის ფრიად ცუდად... ნახევარი სახელოები არ ჰქონდა სიძველისა გამო მის კაბას და ცუდის ქალამნით, რომ ღარიბი არის“[3].*

---

[1] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, 371, 372, 373.

[2] ჭუმბურიძე ზ.,... ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 374.

[3] *მიქავა ს., „თეოფანე არქიმანდრიტი, უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა შ(ინ)ა ეკლესიებთა და სამღვდელო საეკლესიო მსახურთა და სამრევლოებთა, შედგენილი 1852-სა წელსა“, ჟურნ. „აია“, 1, თბ., 1997, გვ. 35).*

1864 და 1870 წლებით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტებში დასახელებულია სვიმონ კუხალაშვილის (კუხალეიშვილის) საბლაღოჩინო. 1870 წლისათვის სვიმონი მღვდელი ყოფილა ეწერის მთავარანგელოზის ეკლესიაში[1]. 1864 წლით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტში დასახელებულია ბობოთის ღვთისმშობლის ეკლესიის ბლაღოჩინი და კავალერი იოანე ასათიანი. იმავე ეკლესიაში მღვდელთმსახურებას აღასრულებდნენ ისიდორე და პავლე ასათიანები, ხოლო „პრიჩეტნიკი" ყოფილა სოფრომ ქობალავა[2].

ჩვენ შევეხეთ მხოლოდ სამეგრელოს ეკლესიებში XIX ს-ის შუა ხანებში მოღვაწე მღვდლებს (პერსონალიას), სახელდებითი საოჯახო სიების მიხედვით. სამწუხაროდ, ამ სასულიერო პირთა დიდი ნაწილის ვინაობა საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი იყო. სამეგრელოს ექვს მაზრაში დამოწმებულ აღწერის მასალებში დასახელებულია 45-მდე მღვდელი, აზნაურის წოდებით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ამ სიებით შეუძლებელია მათი მღვდლადმსახურების ქრონოლოგიის დადგენა. არქივებში დაცული ეკლესიების კრებულთა უწყებებისა და გარდაცვლილ სასულიერო პირთა სიების, ასევე ცალკეულ მღვდელთა კურთხევა-დანიშვნის შესახებ გარკვეული ინფორმაციის შემცველი პირადი საქმეების გამომზეურებითა და შესწავლით შესაძლებელი იქნება ქრონოლოგიური რიგის დაზუსტება-შევსება და მღვდლადმსახურების წლების განსაზღვრა, რაც მომავლის საქმეა.

---

[1] ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 70, 73

[2] ჭითანავა, დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 66

დამოწმებანი:
1. **კაჭარავა კ.,** ენციკლოპედია „აბაშა“, თბ., 2010.
2. ***მიქავა ს.,*** *„თეოფანე არქიმანდრიტი, უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა შ(ინ)ა ეკლესიებთა და სამღვდელო საეკლესიო მსახურთა და სამრევლოებთა, შედგენილი 1852-სა წელსა“. ჟურნ. „აია“, 1, თბ., 1997, გვ. 35).*
3. **მეუნარგია ი.,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939.
4. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები (სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ღირსებების მქონედ აღიარებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სიები). ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს **ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა** და **ანზორ სიჭინავამ.** ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2013.
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №1717.
6. **ჭითანავა დ.,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

Igor Kekelia
Scientific Research Centre of History and Culture Studies of Martvili Region
Kakhaber Kebuladze
Akaki Tsereteli State University

MATERIALS FOR MEGRELIAN CLERGYMEN OF XIX CENTURY 50-IES

RESUME

In the mid of XIX David Dadiani made the list including names of principality and church noblemen of Martivili, Sachilao and Zugdidi districts and the list contains interesting information about Churchmen of Samegrelo during Exarches period and their social status. The list was published as a book by Zurab Chumburidze, Iuri Chikovani and Anzor Sichinava in 2013. There are some additional archival documents to specify work time of some churchmen.

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

წმინდა ალექსანდრე (ოქროპირიძე) ეპისკოპოსი და ქართული ენა

წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც ერისათვის სამსახური გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შეწევნია თავის მამულსა და თანამემამულეებს.

ილია ჭავჭავაძემ ფოთისაკენ მიმავალ მღვდელმთავარს 1898 წლის 17 მაისს მიმართა: „მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს - არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება დიდებას საჭიროებდეთ. თქვენი ღვაწლ-მოსილი სიცოცხლე ჩემზედ უკეთესად ჰღაღადებს თქვენს ქებასა და დიდებას და ჩემი თქმა რას მიუმატებს თქვენს სათნოებით მოპოვებულ სახელს"[1]. ილიას ეს სიტყვები ანალიზია ერის ღვაწლმოსილი ადამიანის ცხოვრებისა, რომლისთვისაც ენა, მამული და სარწმუნოება ერთიანი ცნებაა და განუყოფელი. მისი ღვაწლი მაგალითის მიმცემია შტამომავლო-ბისათვის, იმედია, სასოებაა: „აქ მეტია თვითეულის თქვენის ღვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილდღეოდ საქმე რამ აჩენია, არ არის არც ერთი საერო საქველ-მოქმედო საქმე ქართველთა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი

[1] ილია ჭავჭავაძის სიტყვა, ზ. ჭიჭინაძე, გურია - სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ტფ., 1903, გვ. 60.

ლოცვა-კურთხევა წინა არ მიუძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს...“[1].

წმინდა მღვდელმთავრის დამსახურება ქართული ენის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა. ეს დამსახურება რამდენიმე მიმართულებით გამოვლინდა. წმინდა ალექსანდრე ქართველი ერის გამაძლიერებელ ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ეროვნულ განათლებას მიიჩნევდა. ის მეტად გულნატკენი იყო იმის გამო, რომ ქართველი ახალთაობა ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის უცხო, არამშობლიურ ენაზე წარმოების მეოხებით გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი. „ქართველმა ახალთაობამ სამშობლო ენა ან არ იცოდა და ან იცოდა სუსტად, მშობლიურს ნიადაგს მოშორებული იყო, გულ-გრილად უცქეროდა სვე ბედს თავისი ღვიძლი ერისას, რომლის აწმყო და წარსული არ გაეგებოდა“[2]. ქართული ენის მაშინდელ უუფლებობას ასე გამოხატავს იაკობ გოგებაშვილი: „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ ობიექტურად, თავის თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და დღენაკლულს არსებას მოგაგონებთ!“[3].

ალექსანდრე ოქროპირიძე კარგად ხედავდა ჩვენი მშობლიური ენის დაკნინებასა და უუფლებობას, რომელიც სკოლიდან და სახელმწიფო დაწესებულებიდან განდევნილი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით. ბევრჯელ თავისი აზრი გამოუთქვამს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინა-

---

[1] იქვე, გვ. 63.

[2] ზ. ჭიჭინაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ტფ., 1903, გვ. 57.

[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 208.

რიაში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ პირდაპირ, უშიშ-რად, სიტყვით და წერილობით რუსეთიდან გამოგზავნილი მოხელეების (რევიზორების) წინაშე. სანატრელად იყო მისთ-ვის გამხდარი ქართველებისათვის ქართული სკოლის გახსნა. ის არ თანაუგრძნობდა მაშინდელი სწავლა-განათლების წესს, მაგრამ დიდად აფასებდა საზოგადოდ ცოდნის შეძენას და სულ უსწავლელად დარჩენას ქართველთათვის უბედურებად თვლიდა. ის უხვ დახმარებას უწევდა ღარიბ მოსწავლეებს: სტიპენდიების დანიშვნით სწავლა-განათლების მიღების საშუ-ალებას აძლევდა მათ. ასეთი სტიპენდიები ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიას და საეპარქიო საქალებო სასწავლებ-ლებს. ის ცნობილი იყო კერძო ქველმოქმედებითაც, რომლის შესახებ ლაპარაკი არ უყვარდა... „ქრისტეს მცნების თანახ-მად, იმისმა მარცხენამ არ იცოდა, რას სჩადიოდა მისი მარ-ჯვენა...“ (ნებოძირელი).

წმინდა მღვდელმთავრის მოღვაწეობას თან სდევს ღა-რიბი მოწაფეების განათლებაზე ზრუნვა. იმ პერიოდის ქარ-თული პრესა არაერთგზის იტყობინებოდა ამის შესახებ. 1880 წელს თავადაზნაურთა სკოლის ხელმოკლე სტუდენტებისათ-ვის შეუწირავს 5 თუმანი[1]. ყაზანის ღარიბი სტუდენტებისა-თვის გაუღია 300 მანეთი[2]. გორის სასულიერო სასწავლებ-ლის ღარიბი მოსწავლეების სტიპენდიისათვის გაუღია 1200 მანეთი[3]. 1897 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელს გადაურიცხა 2500 მანეთი[4]. 1898 წელს თეკლათის მონას-ტერში გახსნილ ქალთა სკოლას 100 მანეთი შესწირა[5].

---

[1] „დროება“, 1880, №105.
[2] „ცნობის ფურცელი“, 1897, №129.
[3] „ივერია“, 1889, №204.
[4] „ ივერია“, 1897, №180.
[5] „ივერია“, 1897, № 180.

წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის, როგორც ერის, ენისა და ოჯახის ბურჯის სათანადოდ აღზრდას. ამ ღირებულებების გამოძახილია და მომავლის ღრმა რწმენაა თეკლათის დედათა მონასტერთან გახსნილ სკოლაში წარმოთქმული სიტყვა: „თუ ეს სკოლა მოსწავლეთა გულში შთაბერავს ძლიერ სულს ღვთისმოყვარებისას და განთქმულ მხნეობას ძველი ქართველი დედებისას, იგი დიდ სარგებლობას მოიტანსო“[1].

მღვდელმთავრისათვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის, რომ სასულიერო სემინარიაშიც კი, რომელიც სამღვდელოებას ამზადებდა, ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა სწავლა. მას ვერ წარმოედგინა სულიერების მსახურს არ სცოდნოდა ქართული ენა, საერო და სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ღვთისმეტყველება, „რადგან სარწმუნოება გულის სფეროა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მეხსიერებისა, უძლურია, როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა“ (იაკობ გოგებაშვილი). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ სამღვდელოების ერთ-ერთ კრებაზე მან განაცხადა, რომ სურს 20000 მანეთი შესწიროს თბილისის სასულიერო სემინარიას - ქართული ენის კათედრის გასახსნელად. სამწუხაროდ, ამ პატრიოტულ ინიციატივას განხორციელება არ ეწერა იმპერიული წნეხის მიზეზით[2].

1882 წელს გაზეთი „დროება“ იძლეოდა ცნობას წმინდა მღვდელმთავრის გურიაში ჩაბრძანების შესახებ, სადაც

---

[1] „ივერია“, 1889, №223.

[2] თ. მალაზონია, მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში, თბ., 2005, გვ. 22.

მისი „პირველიიბაასი საზოგადოებასთან“ ეხებოდა ქართულ ენასა და მისი სწავლების გაუმჯობესებას. იქვე ითქვა, რომ გურიის დედათა სასწავლებელში სწავლება ქართულად იქნებოდა[1].

წმინდა მღვდელმთავარი იცავდა ქართულ ენას, მაგრამ ისე, რომ სხვა ენების უფლებებს არ ზღუდავდა. აფხაზებს ხელს უწყობდა მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება.

ეპისკოპოსი ალექსანდრე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული გალობის აღდგენას, სწავლასა და ნოტებზე გადატანას. „ეს შეადგენს დიდ საქმეს და ამას დრო უნდა და მოთმინება და საზოგადოებისაგან წაქეზება და შემეცნება. ამასთანავე, წამკითხველთა ამას სთხოვს კომიტეტი, რომ ვინც მუზიკა და ნოტები კარგად იცოდეს, გამოვიდეს სარბიელზედ, მოვიდეს კომიტეტთან და მოელაპარაკოს ნოტის გადაღების თაობაზედ. ასპარეზი დიდია, გამომსვლელი ამ ასპარეზზედ და გადამღები ქართულის ეკლესიურის გალობისა ნოტზედ აღიმაღლებს ამ 19-ე საუკუნეშიდ ქართულს ნაზ გალობას და თავსა თვისსა აღუდგენს ძეგლს დიდებისა“[2]. აქ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, ქართული გალობის აღდგენა და შთამომავლობისათვის შემონახვა ენის უფლებების აღდგენასა და გაძლიერებას გულისხმობდა, ის ადამიანი კი ვინც ამ საქმეს გააკეთებდა, საკუთარ თავს ძეგლს დაუდგამდა.

შიო დავითაშვილი აღნიშნავს: „არ დავიწყებია მის მეუფებას საეკლესიო გალობა და ძველი მწერლობა. კარგა ხანია, რაც 2000 მანათი გადადებულია ქართული გალობის ნოტებზედ გადაღებისათვის. წირვა-ლოცვის გალობა გადაღე-

---

[1] „დროება“, 1882, №119.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, №114.

ბული არის ბ. იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ, რომელიც ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორი იყო და ამ შრომისათვის მიიღო 500 მანათი. ეს ნოტები მოწონებული არის სასულიერო მთავრობის მიერ და დღე-დღეზე შეუდგებიან ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს სურვილის განხორციელებას“[1].

საინტერესოა წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ჩანაწერი ქართული საეკლესიო გალობის ქართლურ და იმერულ კილოზე სწავლების შესახებ. „სასწავლებელში გალობისა უნდა იყოს ოსტატები, იმერელთაგანი და ქართლელთაგანი, სადაც უნდა ასწავლონ იმერული კილოცა და ქართლურიცა, რადგან ჩვენ ქვეყანაშიც, შავსა და კასპიის ზღვას შუა ორი კილოა ნახმარი: ქართლური და იმერული“. აქვე აღნიშნავს „ვინც ამ ოსტათთაგანი ნიჭს ამოაჩენს სწავლაში და შეგირდების მიზიდვაში, იმას ექნება პატივი და ყურადღება საზოგადოებისაგან და სასულიერო მთავრობისაგან და საბოლოოდ მხოლოდ ის გამაგრდება თბილისში თავის სარბიელზედ, ვითარცა ოსტატი“[2].

წმინდა მღვდელმთავრის ერთგული და სამაგალითო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია საკუთარი საფასით ქართული შესანიშნავი ხელნაწერების დაბეჭდვა, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ენათმეცნიერული კვლევისათვის და მომავალი თაობის სულიერების ჩამოყალიბებაში. მაგ.: იოანე ოქროპირის „წირვის ქართული საგალობელი“, ანტონ კათოლიკოსის „სწორმეტყველება“ (1885), „მზამეტყველება" (1892), სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული"

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ტფ., 1903, გვ. 16.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, №113.

(1884) - რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობით და რედაქტორობით, გ. ავალიშვილის „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“ (პოემა) (1884), „ქადაგებანი და მოძღვრებანი თქმნულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ“ (1881)...

თუ როგორ ზრუნავდა მღვდელმთავარი ქართველი ერის დაწინაურებისა და წარმატებისათვის, მეტყველებს 1882 წელს ოზურგეთიდან ზაქარია ჭიჭინაძისადმი მიწერილი წერილი: „მე შეუდექი ქართული ენისა და ლიტერატურის აღდგენას, და თქუენც ძრიელ კარგათ მიმხვთართ და აგიწონიათ, რომ მე ჩვენის სამშობლო ქართული ენის აღდგომის, დაფუძნების და განვითარების სარბიელზედ გამოვსულვარ. ასპარეზი ესე, ჩემი აზრით და თქვენითა ფრიად მშვენიერ და სასარგებლო არს. ქართულის ისტორიის გორიზონტსა ზედა წარწერილ არიან მათი სახელები, რომელნიცა ესეთ წრფელათ იხწოდდნენ ქართული ენისათვის, მაშასადამე, ისტორია შენიშნამს აწმყო დროშიდაც იმა პატრიოტთა, რომელთაცა არა დავიწყებიათ სამშობლო ენა და არიან მოღვაწენი მისთვის“. განსაკუთრებით სიხარულით შეხვდა სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტის მოძებნას ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. ამ წერილიდან ირკვევა, რომ ლექსიკონი იბეჭდება ორ წიგნად - 2400 ცალი. ის წუხს ლექსიკონის გამოცემის გაჭიანურებისთვის: „მე თავში ძრიელ მაიმედებდა ერისთავი და ახლა საქმით სულ სხვა გამოვიდა, თითო ასოს თითო და ოროლა თვე მოუნდა, აბა მაშ როდის დათავდება მაგ ლექსიკონის ბეჭვდა. ეტყობა რაოდენიმე წელიწადს გასტანს?“

ზაქარია ჭიჭინაძეს სთხოვს დავით გარეჯიდან იქნება სხვა დასაბეჭდი წიგნებიც იშოვოს. ვფიქრობთ, საუბარია სულხან-საბა ორბელიანის სხვა ნაწარმოებებზე. „დასაბეჭდათ ამოვარჩიე ლექსიკონი პეტრიწისა, მაგრამ არ ვიცი კაცი ვინ

იქნება წრფელი და მართალი, რომ მივანდო ამის ბეჭდვა. კაცი უნდა იყოს სწავლული და პატრიოტი“[1].

1884 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის ლექსიკონი „ბუნების სამთა სამეფოთაგან“ – „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ ქართულ - რუსული წინასიტყვაობით[2].

1900 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№135) იუწყებოდა: ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 2200 მანეთი გადასცა ეპისკოპოს ლეონიდეს სასულიერო ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების გამოსაცემად, როგორიც არის შატბერდის კრებული (მეთერთმეტე საუკუნე), მიქაელ მოდრეკილის საგალობლების ნოტებიანი წიგნი (მეათე საუკუნე), თარგმანი წმინდა ეფთვიმე მათარგმნელისა. იგივე გაზეთი იუწყებოდა წმინდა მღვდელმთავრის განზრახვას - გამოეცა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“.

წმინდა მღვდელმთავარს ექვთიმე თაყაიშვილისა და ალექსანდრე ქუთათელაძისათვის მიუნდვია პლატონ იოსელიანის თხზულებათა მოძიება და მათი სრული კრებულის მომზადება გამოსაცემად, რადგან ზოგიერთი მათგანი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულიყო[3].

იმ შრომას, რომელსაც წმინდა ალექსანდრე ეწეოდა, წინ ეღობებოდა მრავალი სიძნელე. ამის შესახებ შესანიშნავად მოგვითხრობს „ივერიის“ თანამშრომელი იაკობ მანსვეტაშვილი: „მაგრამ რას უზამ იმ სიძნელეს, იმ დაბრკოლებას, რომელიც შინაურად, ჩვენ ქართველი ფეხს გვიკრავდა. ამაზე

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, №113.

[2] თ. სახოკია, ჩვენი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 22, 231.

[3] „ივერია”, 1895, №214.

ნურაფერს იტყვი, იმაზე ხმის ამოღებას ნუ გაჰბედავ. ეს ამას ეწყინება, ის მეორეს არ იამება, ყველას ოხტში როგორ მოხვალ! ნათქვამის დასახასიათებლად მოვიყვან ერთს მაგალითს. გარდაიცვალა დიდი თავადი ლევან მელიქიშვილი. დასაფლავების წესი, რასაკვირველია, დიდის ზარითა და ზეიმით იყო გადახდილი, ქება-დიდებას უხვად უძღვნიდნენ, საკმეველს უკმევდნენ მის დიდსულოვნებას, მის დიდ ჭკუას. გამოვიდა ბოლოს ეპისკოპოზი ალექსანდრე, კაცი მართალი, პირში მთქმელი, მოურიდებელი და ასეთი სიტყვით მიჰმართა მიცვალებულს, რასაკვირველია ცოცხლების გასაგონად: „განსვენებული ყოვლისფრით სრული იყო, მღვთისაგან, კაცისაგან დაჯილდოებებული. იყო დიდი შეძლების პატრონი, დიდი ქონების, დიდი სახელიც ჰქონდა, მისი უბედურება ერთი ის იყო, რომ მას თავისი ქვეყნის და ერის წინაშე კი მცირედ ეჭირა თვალი. ქართველთ გაჭირვებას არ აქცევდა ყურადღებას. მაშ, ვინატრებ, რომ ღმერთმა ამას ცხონება დაუმკვიდროს, სასუფეველი მღვთისა და სხვა მის მსგავსთა კაცთა აშოროს ასეთი გულ-გრილობა საქართველოს და ქართველი ერის წინაშე“. ეს სიმართლე შეურაცხყოფად მიიღეს და ასტეხეს ერთი განგაში. სულ სხვანაირად შევხვდით ამ ამბავს „ივერიის“ ხელმძღვანელობა. ჩვენ მოვიწონეთ ეპისკოპოზის სიტყვა, სიტყვა მართალი, გაბედული, არა-ცბიერი და ამ სახით აღვნიშნეთ გაზეთში. ამის გამო გაზეთი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ გადავრჩით იმათ რისხვასა და მუქარას“[1].

სრულიად განსხვავებულია ალექსანდრე ეპისკოპოსის მისალოცი ბარათი რაფიელ ერისთავისადმი, მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გამო 1895 წლის 22 ოქტომბერს: „ღირსი ხარ მოლოცვისა, ღმერთმა მოგცა შენ სულიერი ტა-

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 105.

ლანტი, კეთილად განავრცე და კეთილად შეასმინე შენს სამშობლოსა. შენ კეთილად ამუშავე შენი კალამი სასარგებ-ლოდ ქართული ენისა და შენი ჭკუიდამ გამოღებული მრა-ვალი კეთილი საზრდო მოეც ქართველთა გულს დასატკბო-ბად და ჭკუის გასამდიდრებლად. ღმერთმა მრავალი შენისთა-ნა კეთილი, ნიჭიერი და ერთგული შვილი მისცეს საქართვე-ლოსა"[1].

ყურადღებას იპყრობს ივანე კერესელიძის დასაფლავება-ზედ წარმოთქმული სიტყვა: „ბატონებო! დროა გავახილოთ თვალები, შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა. ვუშველოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს საქმე ვუკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა და ლაპარაკი არ კმარა....წადით აქედამ, იქით აქეთ მიდექით, მო-დექით და ქართველთ შეძლებულებით დაავალეთ საწყალი ქართველი ხალხის პატრონობა, მფარველობა და ქომაგობა, თორემ ღმერთს გეფიცებით, დავიღუპებით, აღვიგვებით; ასე, ბატონებო, ვისაც რით შეგიძლიათ, იმით ემსახურეთ თქვენს ქვეყანას. მუხრან ბატონს დაატანეთ ძალა, რომ გახსნას თა-ვისი სკივრი და საწყლებს უშველოს. ღმერთმა გაცხონოს ძმავო ივანე და საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალ-მან ღმერთმან. შენ გაზარდე ი. ჭავჭავაძე, აკაკი, ან. ფურცე-ლაძე, მრავალიც სხვა. „ცისკარიც" შენ გამოეცი პირველად და სხვაც ბევრი საქმეები აკეთე".

წმინდა მღვდელმთავრის პირადი წერილები, ჩანაწერები, სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეთა იუბილეებსა და დაკრძალ-ვის დროს წარმოთქმული სიტყვები მდიდარია ფაქტობრივი მასალით. მიუხედავად მათი საქმიანი ხასიათისა, თითქმის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის შეფარული სინაზე, განუზო-მელი ერთგულება და სიყვარული თანამემამულეების მიმართ.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, №316.

მიმოწერის სტილი საქმიანი და ოდნავ მშრალია, ერთმანეთისაგან განსხვავდება საეკლესიო სტილით და ყოველდღიური სასაუბრო სტილით წარმოთქმული სიტყვები, ხშირად ზედმეტად ლაკონიური და სქემატურიცაა იმისდა მიხედვით, თუ რა თემას ეხება ესა თუ ის წერილი, სიტყვა, როგორც წესი ზუსტია, მოზომილი და აწონილი. მიმოწერა ეხება ხელნაწერთა შეგროვებას, მათ პუბლიკაციას, წერილები და მისი გამოსვლები მოგვითხრობს იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა ღვაწლზე. „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი როგორი პირუთვნელიც ლაპარაკში გახლდათ, ისეთივე იყო წერილების წერაშიც. როგორც საუბარში, ქებასა თუ მდურვაში“. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ამონარიდს წერილიდან „დარიგება“, რომელიც წმინდა მღვდელმთავარმა მისწერა მონაზონ ნინას 1869 წლის 12 მარტს: „აჰა, დღეს შენ მიგიღიეს სახე ანგელოსაებრივი, შეგიმოსიეს სქემა მონაზნობისა, მიგიტევებიეს წარმავალი სოფელი ესე და თვით სახელიცა ძველად სოფელში მიღებული და მიგიღიეს სახელი ქართველთ განმანათლებლისა წმინდა ნინოსი“[1].

არა ერთხელ აღნიშნულა ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს ქადაგების შესახებ: „მოკლე, მარტივი და მშვენივრად დახატული ესა თუ ის მოვლენა მშვენიერის ენით“[2].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის ხელწერა, რომელიც ფაქიზია, პიროვნების ინდივიდუალური ბუნების ხასიათის გამომჟღავნებელი. ასოთა ცალკეული მოხაზულობა სახასიათოა და ესთეტიკურად მშვენიერი.

---

[1] „დროება”, 1869, №13.

[2] ზ. ჭიჭინაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, თბ., 1903, გვ. 47.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წმინდა მღვდელმთავრის სასულიერო ღვაწლი ერის, ენისა და მამულის წინაშე დღეს-აც „ჩვენი მწვრთნელია“, რომელიც სულს გვიფაქიზებს, გვამაღლებს და გზას გვინათებს მომავლისაკენ.

დამოწმებანი:

1. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.
2. თ. მალაზონია, მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში, თბ., 2005.
3. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985.
4. „დროება“, 1869, №13.
5. „დროება“, 1880, №105.
6. „დროება“, 1882, №119.
7. „ივერია“, 1889, №204.
8. „ივერია“, 1895, №180.
9. „ივერია“, 1895, №214.
10. „ივერია“, 1897, №180.
11. „ივერია“, 1898, № 223.
12. ილია ჭავჭავაძის სიტყვა, ზ. ჭიჭინაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ტფ., 1903.
13. თ. სახოკია, ჩვენი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969.
14. ცნობის ფურცელი, 1897, № 129.
15. ცნობის ფურცელი, 1900, № 135.
16. ზ. ჭიჭინაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, თბ., 1903.
17. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, №113, №114, №316.

Mariam Koberidze
Gori State Teaching University

SAINT BISHOP ALEXANDER (OKROPIRIDZE) AND GEORGIAN LANGUAGE

RESUME

Holy Bishop Alexander (Okropiridze) was a lifelong Georgian language devotee and caring for opening national schools. His activities in educational institutions were based on the national principles and were promoting Georgian language protection and improvement its ecclesiastical-learning function in the institutions.

ნაილე მიქელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი;
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ტოპონიმ „ამაღლების“ ეტიმოლოგია აჭარის ფოლკლორში

აჭარული ზეპირსიტყვიერების თავისებურებანი ერთგვარი საზომია იმისა, თუ რა სიმტკიცით შეინარჩუნა აჭარის მოსახლეობამ ქართული კულტურა ოსმალოს პერიოდში არა მარტო მხატვრული, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. აქაური სიტყვიერება უამრავ მასალას გვაწვდის თურქობის პერიოდში ქართველობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლებზე. ამის დასტურია აქ წარმოდგენილი ტოპონიმები (საერთოდ, აჭარა გამოირჩევა ქრისტიანული ტოპონიმების სიუხვით), მაგალითად: წმინდისერი, ნაწირვალი (ნაჭარვალი), ნატაძრალი, თარანგელო, საჯვარებო, ჯვარი, ჯვართანი, ელიაწმინდა, მარიამწმინდა, მთავარანგელო, ქაშვეთი, ქილისა, საყდრიკარი, კუნტიჯვარი, რკინიჯვარი და ა. შ.

ქრისტიანობასთან უშუალოდაა დაკავშირებული შემდეგი ტოპონიმები: სოფლის სახელები ხულოში – **დიაკონიძეები**, **დიოკნისი**, **დეკანაშვილები,** ქობულეთში – ზედა და ქვედა **კვირიკე**; ქობულეთსა და ხელვაჩაურში – **სამება.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანულ სამლოცველოსთან დაკავშირებული ტოპონიმები. **ხუცუბანი** – სოფელი ქობულეთში; **ხუციშვილები** – უბანი დიდაჭარაში; **ხუციქედი** – უბანი

ყინჩაურში; **ხუციერი** – უბანი ლომანაურში; **ხუცივაკე** – სათესი დავლაძეებში; **ხურცაული** – სათესი ღურტაში; **ამაღლება** – სათესი ძმაგულაში; **გორაწმინდა** – სათესი ქედლებში; რამდენიმე გეოგრაფიული სახელის ამოსავალია მთავრანგელოზი: **მთავარანგელოზი** – სათესი და საძოვარი ჭვანაში, ტაკიძეებში, ტყე ნენიაში, სათიბი და საძოვარი წაბლანაში (ხულო), სათესი კვატიაში; საყდრიკარი – ადგილი ოლადაურში; **თავარანგელოზი** (სოფ. ხეთვისი), **თავრანგელო** – სოფ. მაღლაკონი, **მთავარანგელო** – სოფ. კირნათი – ყველა ხელვაჩაურის რაიონი; **თარანგელო** (სოფ. წაბლანა, ხულოს რ.)[1] და სხვა.

ამ ტოპონიმთაგან ერთობ ტრაგიკული ისტორია უკავშირდება გეოგრაფიულ ადგილს „ამაღლებას", რომელიც ქრისტიანი მოწამის (სახელი და გვარი უცნობია) ეროვნულ საქმეს უკავშირდება.

ზემო აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ სხალთიდან 7 კმ-ის დაშორებით არის პატარა სოფელი **„ძმაგულა"**, რომლის ერთ-ერთ უბანს **„ნამონასტრევი," „ამაღლება"** ეწოდება. ამ ტოპონიმის წარმომავლობას აქაურები შემდეგნაირად ხსნიან: „უძველეს დროს ჩვენს წინაპარს აქ აუშენებია ეკლესია, ამაღლების ეკლესიის ხუცესად აქაური მღვდელი განუწესებიათ, ხოლო ეს ეკლესია კი ამაღლების დღეს გახსნილა და ამიტომაც ამ ადგილს „ამაღლება" რქმევია. მტრის შემოსვლის მერე ეს ადგილები ძალით გაუმაჰმადიანებიათ, მაგრამ მღვდელი თურმე თავისას არ იშლიდა და წირვას მაინც ატარებდა. ერთ-ერთი წირვის დროს, როცა ზარი ირეკებოდა, მოსულან თურქები, ხუცესი შეუპყრიათ და სასტიკად უწამე-

[1] ფუტკარაძე თამაზ, „ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია,/სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007, გვ. 88-89

ბიათ – მიწაში ჩაუკირავთ. მასთან მისვლა აუკრძალავთ და ადგილზევე გარდაცვლილა. ამ მღვდელს ჰყოლია ძმა, სახელად გულა, რომელიც ტრაგედიის შემდეგ იმ მიდამოებში დასახლებულა, სადაც „ამაღლების“ ეკლესია იდგა და ცხოვრებაც იქ გაუგრძელებია. ამიტომაც ამ უბანს **„ძმაგულა“** დარქმევია (მთქ. ა. გორგილაძე, დაბ. 1950 წ. მცხ. სოფ. ჭერში. 2012 წ. პირადი არქივი).

ზ. ჭიჭინაძეს წიგნში „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში“, მოჰყავს მოხუცი აჭარელის ნაამბობი: „აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცი და ნამეტურ დედაკაცები ქრიტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს ხოჯა-მოლებსაც ეკამათებოდნენ... ასეთ მოხუცთა რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა... ბოლოს, მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთ, თუ არ გაამაჰმადიანდნენ, მერე დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულები შეუკრებიათ აქა-იქ, ციხეებში დაუმწყვდევიათ, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. ამ ხიდზე დაუდვიათ თავ-საკვეთი. მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ: თავსა და ტანს კი ჭოროხში ყრიდნენ.[1]

სამართლიანად აღნიშნავს ჯ. ნოღაიდელი: „ოსმალთა ბატონობის დროს, ოსმალეთიდან ყველა ჯურის ბოროტმოქმედს აჭარაში გზავნიდნენ. იმ დროს ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა და ხალხის აწიოკება გახშირებული ყოფილა აჭარაში.

---

[1] ჭიჭინაძე ზ, „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში“, ისტორიული და ზეპირი გადმოცემის ცნობებიდან, თბ., 1901, გვ 53.

ამას თან ერთვოდა მეფის მოხელეებისა და ადგილობრივ ბეგ-აღების აღვირახსნილობა, რაც ხალხს უნუგეშო მდგომარეობაში აყენებდა.“[1]

აჭარის საისტორიო გადმოცემებში რეალისტურად არის ასახული XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ამ ციკლის ხალხურ თქმულებათა თემა ოსმალთა წინააღმდეგ აჭარის მკვიდრთა ბრძოლებს ასახავს.

რაც შეეხება ტერმინს „ამაღლება“, მისი გენეზისი ბიბლიიდან მოდის. „ამაღლება“, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგანია, რომელზედაც მოიხსენიება ქრისტეს აღდგომის მეორმოცე დღე. როგორც ცნობილია, უფალი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ეცხადებოდა თავის მოწაფეებს. ამაღლებამდე უფალმა შეკრიბა ისინი და უთხრა: „ნუ განშორდებით იერუსალიმს, არამედ მოელოდეთ აღთქმას მამისას, რომელიც ისმინეთ ჩემგან”. ასევე ესაუბრებოდა ღვთის სასუფეველზე და მოუწოდებდა დარჩენილიყვნენ იერუსალიმში „სულიწმიდის მოფენამდე“. ბოლოს კი მაცხოვარმა უთხრა მათ: „თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სული წმიდა გადმოვა თქვენზე, და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარეაში, მიწის კიდემდე. ეს რომ თქვა, მათ თვალწინ ამაღლდა, და ღრუბლებმა აიტაცა იგი თვალთაგან.“[2]

---

[1] ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, წიგნი მეორე, მიერ შეკრებილი და დამუშავებული, მისსივე შესავალი წერილი, შენიშვნები, ავტორთა საძიებელი და ლექსიკონი. აჭარისს სახელგამი, 1941 წ. გვ. 230.

[2] ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო გამომცემლობა, მოციქულთა საქმე: თბ., 1989. გვ. 1071.

IV-V სს. ამაღლების დღესასწაული ქრისტიანული ეკლესიის საყოველთაო დღესასწაულად იქცა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ამაღლების დღის განსაკუთრებული ღვთისმსახურება.[1]

ამაღლების ეკლესია საქართველოში არაერთია. ერთ-ერთ მათგანს ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს: „ხორნაბუჯის ჩდილოეთით, მთაში არის ეკლესია ამაღლებისა, კეთილშვენიერ ნაგები, გუმბათიანი, შეუმუსრავი და დახატული“.[2]

ამაღლება – სოფელ ვანის რაიონში. მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ვანიდან 8კმ. სოფელში დგას მაცხოვრის ამაღლების სახელზე აგებული ეკლესია“.[3] ასევე ამაღლება და შუა ამაღლება ერქვა ჩოხატაურის რაიონის სოფელებს, რომლებსაც შემდგომში განახლება და შუა განახლება დაარქვეს. შესაბამისად, სოფლების ეტიმოლოგია ქრისტიანობას უკავშირდებოდა. ამჟამად, მათ ისევ დაუბრუნდათ ისტორიული სახელწოდება (მთქ. ლიანა შოთას ასული ზამბახიძე, დაბ. 1945 წ. სოფელ ამაღლებაში, მცხ. ქ. ბათუმში, ინფორმაცია მომაწოდა (2015) ო. ჯიბაშვილმა, დაბ. და მცხ ქ. ბათუმში 1961 წ.).

აჭარა ყოველთვის იყო გამორჩეული ფლაგმანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი. მისი ფესვები სწორედ ზო-

---

[1] საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბ., 2007, გვ. 52.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, სახელგამი, თბ., 1974, გვ. 541.

[3] საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბ., 2007, გვ. 52.

გად ქართულ რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს. ამ მხარეში დღესაც შემონახულია უძველესი ტოპონიმები, რომლებიც ისევ და ისევ აცოცხლებს ერის ისტორიას.

დამოწმებანი:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო გამომცემლობა, მოციქულთა საქმე, თბილისი, 1989.
2. ნოღაიდელი ჯ. აჭარის ხალხური სიტყვიერება, აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. წიგნი მეორე, მიერ შეკრებილი და დამუშავებული, მისსივე შესავალი წერილი, შენიშვნები, ავტორთა საძიებელი და ლექსიკონი, აჭარისს სახელგამი, 1941.
3. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი, 2007.
4. ფუტკარაძე თამაზ, „ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია“//სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათუმი, 2007.
5. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1974.
6. ჭიჭინაძე ზაქარია, „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში“, ისტორიული და ზეპირი გადმოცემის ცნობებიდან, ტიფლისი, 1901.

Naile Mikeladze
Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Niko Berdzenishvili; The Georgian Patriarchate Saint Tbel Abuserisdze Teaching University

ETYMOLOGY OF THE TOPONYM "AMAGHLEBA" (ASCENSION) IN THE ADJARIAN FOLKLORE

RESUME

The peculiarities of Adjarian folklore can be a measurement of the strength of local population in the deed of preserving Georgian culture under the Osman Rule not only from the artistic, but also the historical point of view. The samples of the folk poetry and sayings give enormous materials about the truly heroic battles against the Turkish invaders in order to keep the Georgian mentality and originality. Among other toponyms the etymology of little villages "Dzmagula" and "Namonastrevi"/'Amaghleba' (7 kilometers from Skhalta) attract particular attention. The locals have their version about the origin of this toponym: "Long ago our ancestors built a church here, where the local priest was appointed as a p0resbyter; the church opened at the Feast of Ascension; that is why the village was named "Amaghleba" (Ascension in Georgian). After the Turkish invasion the local population was forced to become Muslims, but the priest did not obey the new rules and carried on holding Liturgy. During one of the Liturgies, when the church bells were ringing, the Turks captured the presbyter and tortured him severely. No one was allowed to come up near him and he perished. After this incident the priest's brother Gula settled nearby the church of Ascension and lived there ever after. That is why this village was named "Dzmagula" – "Brother Gula" (according to A.

Gorgiladze, born in 1950, from the village Cheri. 2012 personal archive – see the Appendix №151)

So, similar histories about the toponyms, the origin of which is connected with legends, are common in the Adjarian folklore.

მერაბ ნაჭყებია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი

რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში კავკასია XVI საუკუნიდან მოექცა. ამ დროიდან მოყოლებული რუსეთი ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა კავკასიის გარუსებას. საქართველოში რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით იმძლავრა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანამ დაკარგა მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა და იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად გადაიქცა. იმავე საუკუნის 50-60-იან წლებში გაუქმდა ქართული სახელმწიფოს უკანასკნელი ნაშთებიც – სამეგრელოსა (1857 წ.) და აფხაზეთის (1864 წ.) სამთავროები. კავკასიის ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომის დამთავრებამ რუსეთს ფართო გასაქანი მისცა აშკარად, შეუნიღბავად შედგომოდა თავისი განზრახვის აღსრულებას. ეს პროცესი მოსალოდნელზე უფრო მძიმე აღმოჩნდა საქართველოს უძველეს მხარეში – აფხაზეთში, სადაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მიმდინარეობდა არაერთგვაროვანი პოლიტიკური და ეთნო-კულტურულ-ფსიქოლოგიური ცვლილებები. მიუხედავად ამ კუთხის დროებითი დაკარგვისა, უკანასკნელ პერიოდამდე ხელუხლებელი რჩებოდა ქართველთა სულიერი მემკვიდრეობა: ძველქართული ფრესკები, ქართული ეპიგრაფიკა, საეკლესიო სიწმინდეები და განძეულობა, ეკლესია-მონასტრების ომამდელი იერსახე და სხვ. ჩვენამდე აღწევს შემაშფოთებელი ცნობები ცალკეული ქართული ლაპიდარული,

ფრესკული თუ ჭედური ნიმუშების მოსპობა-განადგურებისა, ეკლესია-მონასტრების რუსულ ყაიდაზე გადაკეთებისა, მოხატულობების გადათეთრებისა და ა.შ. გასული საუკუნის 90-იანი წლების ომისშემდგომ აფხაზეთში ფაქტიურად ფუნქციონირება შეწყვიტა ქართულმა ენამ. ერთადერთი, გალის რაიონის ენგურისპირა სოფლების სკოლებში ბოლო დრომდე ისწავლებოდა ქართული ენა ფაკულტატიური საათების სახით; ქართული სახელმწიფოს დაკვეთით იგზავნებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, რომლითაც, დიდი რისკის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად სარგებლობდნენ ამ რეგიონის პედაგოგ-მასწავლებლები. თუმცა უკანასკნელ ხანს ე.წ. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ინიციატივით ამჟამინდელი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა ქართული ენის სწავლება და გალის რაიონის მოსახლეობა იძულებული ხდება სწავლა-განათლება აფხაზურ (!) ან მეგრულ ენაზე (!) მიიღონ (სინამდვილეში მიმდინარეობს გარუსების პოლიტიკა). აფხაზეთში მიმდინარე ეს პროცესები არა მარტო პოლიტიკოსებისაგან, არამედ სათანადო დარგის სპეციალისტებისგანაც სასწრაფოდ მოითხოვს რეალური ვითარების წარმოჩენა-გაანალიზებას, რათა სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით შენარჩუნებულ იქნას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მრავალსაუკუნოვანი ძირძველი ქართველური მემკვიდრეობა.

ესაა დღევანდელი რეალობა, რომლის მსგავსი XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი არ ყოფილა, როდესაც ამ რეგიონში მისიონერულმა საქმიანობამ მოუწია წმინდა მღვდელმთავარს ალექსანდრე ოქროპირიძეს.

საქმე ისაა, რომ იმპერიამ ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე კავკასიაში რუსიფიკატორული პოლიტიკის

განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენა (რუსული ვარიანტით) და მასობრივი გავრცელება დაგეგმა; ამ მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ 1744 წელს დააარსა "ოსეთის სასულიერო კომისია", რომელსაც დაევალა ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში. პირველ ეტაპზე (1744-1792 წ.წ.) მისი მუშაობა ოსეთითა და ინგუშეთით შემოიფარგლებოდა. მეორე ეტაპზე (1815-1860 წ.წ.) მისიონერული საქმიანობა ფართოდ გაიშალა აფხაზეთსა და საქართველოს ზოგ რეგიონშიც (ხევი, მთიულეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სამეგრელო-სამურზაყანო, სვანეთი), სადაც იმ დროისათვის ქრისტიანობა შედარებით შესუსტებული იყო. თუმცა იმთავითვე წამოიჭრა პრობლემა: რომელი ეროვნების მღვდელმსახურთ უნდა აღედგინათ ქრისტიანობა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ბუნებრივია, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, უპირატესობა ქართველ მღვდელმთავრებს მიენიჭათ, თუმცა მათთვის თავდაპირველ ეტაპზე რუსული იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის არსი და მიზნები უცნობი იყო. მიუხედავად ამისა, მათ უმალვე მოიპოვეს პატივისცემა და ავტორიტეტი მეზობელ ხალხებში თავიანთი ქრისტიანული ვალის პირნათლად შესრულებით[1]. მეტიც, ქართველ მისიონერთა ღვაწლით ათასობით ოსი, ინგუში და აფხაზი დაუბრუნდა ქრისტიანობას. სწორედ ქართველი მისიონერების დამსახურებაა ოსური და აფხაზური ენების ღვთისმსახურებაში დანერგვის მცდელობაც.

მეფის ხელისუფლება თავისი ემისრების საშუალებით

---

[1] თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 91.

მკაცრად აკონტროლებდა ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობას აფხაზეთში. მიუხედავად ამისა, ისინი შეძლებისდაგვარად მაინც ახერხებდნენ ადგილობრივი მოსახლეობისა და ქართველი ერის ერთიანობის დაცვას.

ასეთი მკაცრი რეალობის პირობებში მოუწია გურიასამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს მისიონერულმა საქმიანობამ აფხაზეთში, სადაც მან განვლო გზა ბერ-მონაზვნობიდან ეპისკოპოსამდე. მისმა პედაგოგიურმა და მისიონერულმა ღვაწლმა ღრმა კვალი დატოვა ამ რეგიონის სულიერ და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ალექსანდრე ოქროპირიძე დაიბადა 1824 წელს (სხვა მონაცემებით 1822 წ.) მღვდლის, დავით ოქროპირიძის ოჯახში. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1837 წ.) სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1845 წელს დაასრულა. იმავე წელს თბილისის ფერიცვალების მონასტერში ბერად აღიკვეცა. 1846-1850 წ.წ. ალექსანდრე ოქროპირიძე ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით საქართველოში დაბრუნებული ალექსანდრე დროებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და უმაღლესი განყოფილების მასწავლებლად ინიშნება. სულ მალე, 1851 წლის შემოდგომაზე კი გადადის აფხაზეთში და საეპარქიო კათედრის მღვდელმონაზონისა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

აფხაზეთში სასულიერო სასწავლებელი 1852 წლის 25 სექტემბრიდან ამოქმედდა (სოფ. ლიხნში). მანამდე ალექსანდრე საკუთარი ხარჯებით ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში აწყობს მოსამზადებელ სკოლას და მომავალი სასწავლებლის პროგრამით თვითონვე ასწავლის ბავშვებს. იგი ფხიზლად

ადევნებდა თვალს ამ რთული რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებას: დაუახლოვდა აფხაზეთის მთავარს, გაეცნო ადგილობრივ მოსახლეობასა და სამოქალაქო მოხელეებს. იგი მხარში ედგა ყოველ სასიკეთო წამოწყებას და სიფრთხილით, მაგრამ პრინციპულად იცავდა ზოგადქართული მენტალობის მახასიათებლებს: ქვეყნის ერთიანობასა და დედა-ეკლესიას. მაშინ, როცა საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემაში იკრძალებოდა ქართული ენა, ახლადგახსნილ ლიხნის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის პარალელურად ისწავლებოდა ქართული ენა (სამოქალაქო და საეკლესიო), სუფთა წერა ქართულად, ქართული გრამატიკა და პრაქტიკული მეცადინეობა აფხაზურ ენაშიც კი. აფხაზეთში დაწყებული მისიონერული საქმიანობა მკვეთრად შეცვალა ყირიმის ომმა (1853-1856 წ.წ.). ეგზარქოსისადმი მიწერილ წერილში ალექსანდრე აღნიშნავდა, რომ შეუძლებელი იყო სოუკსუში (ამჟ. ლიხნი – **მ.ნ**.) გაჩერება პოლიტიკური გადატრიალებისა და იმ საფრთხის გამო, რომელიც შეექმნა სოუკსუს ჩერქეზთა მხრიდან. ამას დაემატა აფსუათა მნიშვნელოვანი ნაწილის თურქეთისადმი მხარდაჭერა, რამაც რუსეთი იძულებული გახადა ჯარი გამოეყვანა აფხაზეთიდან. მღვდელმთავარმა დატოვა აფხაზეთი, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე დანარჩენ სამღვდელოებასთან ერთად კვლავ დაბრუნდა და ამ კუთხეში 1868 წლამდე იღვაწა. მის მიერ შექმნილი დოკუმენტებიდან „იკვეთება რუსეთის იმპერიის ბატონობის, ქართული სახელმწიფოსა და ავტოკეფალური ეკლესიის არარსებობის, 60 წლიანი წყვდიადის პირობებში მოვლენილი ახალი ტიპის განათლებული და გამოცდილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, სამშობლოსა და მშობლიური ენის ბედზე დაფიქრებული ერისკაცის ნათელი სახე, რომელსაც თავისი საქმიანობით, მრწამსით წარსულსა და თანამედ-

როვეობას შორის განუწყვეტელი კავშირის აღდგენა დაუსახავს მიზნად. ჩანს, რომ იგი მზად იყო ეკისრა მღვდელმთავრის მძიმე მისია საქართველოს ძირძველ კუთხეში – აწინდელ აფხაზეთში“ (გამახარია, 2006).[1]

XIX საუკუნის 60-იან წლებში კიდევ უფრო რთულდება პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში: სამთავროს გაუქმება, მთავრის დაღუპვა, რასაც 1866 წლის აფხაზთა ცნობილი აჯანყება მოჰყვა, მასობრივი მუჰაჯირობა... მიუხედავად იმპერიისადმი იძულებითი, „ლოიალური“ დამოკიდებულებისა, მღვდელმთავარი დიდად თანაუგრძნობდა დასაღუპავად განწირულ აფხაზებს, რასაც მოწმობს წმ. ამბროსი ხელაიას გამოსათხოვარი სიტყვა ეპისკოპოს ალექსანდრეს დასაფლავებაზე: „ამ უბედურ დროს, როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტიანის სახელის მატარებელი საზიზღარი იყო, მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდნენ“[2].

მრავალმხრივი იყო ეპისკოპოს ალექანდრეს მოღვაწეობა. იგი აქტიურობდა საზოგადოებრივ სფეროშიც. მიუხედავად იმისა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული და აფხაზური ენების შესწავლის საქმეს, არანაკლებ მზრუნველობას იჩენდა რუსული ენის მიმართაც. მაგრამ, რადგანაც არ არსებობდა აფხაზეთი, არც ეპარქიას სწყალობდა იმპერია, მით უმეტეს ქართული ღვთისმსახურებითა და ქართული ენის დამცველი ეპისკოპოსით, რომლის ნაწერებშიც აშკარად იკითხებოდა ქართული ენის პრიმატობის აუცილებლობა და

---

[1] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი, 2006. გვ. 15.

მიზანშეწონილობა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეფის მოხელეებს. აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია აფხაზეთიდან ალექსანდრე ოქროპირიძის გაწვევისა და ამის მიზეზიც მოიძებნა: 1867 წელს გაიმართა მიმოწერა ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხებზე, სადაც აფხაზეთის ეპისკოპოსი არაერთგზის მიუთითებს სამომავლო საგანმანათლებლო გეგმებზე, კერძოდ, ქართული და აფხაზური ენების შესწავლის მნიშვნელობაზე. ხელისუფლება თავს იკავებდა სასწავლებლის გახსნისაგან, რადგან „ეს გააძლიერებდა იქ ქართველების გავლენას“.[1] როცა პრაქტიკულად გადაწყდა სასწავლებლის გახსნის საკითხი, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი ვ. გეიმანი წერილს წარუდგენს მიხეილ რომანოვს (1867 წლის 14 ნოემბერი), სადაც ქრისტიანობის გავრცელების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად „გაუგებარ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, სკოლებში კი აფხაზი ბავშვებისათვის სრულიად უცხო ქართულ ენაზე სწავლება წარმოადგენდა“. გეიმანი არ სწყალობდა ეპარქიის უფროსსაც და მის მოსაცილებლად ეპარქიის გაუქმებასაც სთავაზობდა. თუკი მანამდე აფხაზეთის სკოლებში თანაბარ დონეზე ისწავლებოდა ქართული, აფხაზური და რუსული (სადაც აფხაზური რუს მოსწავლეებსაც უნდა ესწავლათ), დოკუმენტში აშკარად იკვეთება რუსული ენის ერთადერთობა.

გენერალ ვ. გეიმანის გეგმა მოიწონა ეგზარქოსმა ევსევიმ, რითაც პრაქტიკულად გადაწყდა ეპისკოპოს ალექსანდრეს აფხაზეთიდან გადაყვანა. მის წინააღმდეგ მოწყობილ ინ-

---

[1] სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შევსებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან: წიგნში; „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი“, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი, 2006, №75. გვ. 205.

ტრიგებსა და საჩივრებში ქართველი სამღვდელოებაც აღმოჩ-ნდა ჩათრეული (უმრავლესობა მოტყუებით). ყოველივე ეს გახდა საფუძველი 1868 წელს მღვდელმთავრის თბილისში გაწვევისა. თუმცა შემდგომში, გორის ეპისკოპოსად ყოფნი-სას, დავით გარეჯში წინამძღვრად თუ შიო-მღვიმის მონასტ-რის ხელმძღვანელობისას, აფხაზეთთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსობის პერიოდში (მისი ბოლო თანამდებობა) ეპისკოპოსი ალექსანდრე ღიად დაუპი-რისპირდა ქართველი ერის გათიშვისა და სამეგრელოდან ქა-რთული ენის გამოდევნის იმპერიულ პოლიტიკას, რომელსაც ი. ვოსტორგოვი ახორციელებდა. ბუნებრივია, ქვეყნის ერთია-ნობის, სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული ენის ჭი-რისუფალ მღვდელმთავარს არ აპატიეს და 1903 წელს სამ-სახურიდან დაითხოვეს. სიცოცხლის ბოლო წლები მან შიო-მღვიმის მონასტერში გაატარა, სადაც 1907 წელს გარდაი-ცვალა და იქვე დიდი პატივით დაკრძალეს.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესი-ის წმ. სინოდის კრებამ ეპისკოპოსი ალექსანდრე წმინდანად შერაცხა (შდრ.: 5 წლის შემდეგ, 2000 წელს, რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ი. ვოს-ტორგოვი...).

ამჯერად, ჩვენ შევეხებით ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ შედგენილ ერთ დოკუმენტს,* რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი და ასე სათაურდება: "მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარე-ბის შემაფერხებელი მიზეზების შესახებ". დათარიღებულია 1860 წლის 18 მაისით და შედგება ორი ნაწილისაგან. პირ-ველ ნაწილში საუბარია ქრისტიანობის გავრცელების ხელის-შემწყობ ფაქტორებზე, მეორეში კი – ხელისშემშლელ მიზე-

ზებზე.

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების, განვითარებისა და განმტკიცებისათვის ეპისკოპოს ალექსანდრეს დასახელებული აქვს:

1. ეპარქიის ხელმძღვანელის დამოკიდებულება მთავართან, რომლის მხარდაჭერის გარეშე სასულიერო ხელისუფლების ვერც ერთი წამოწყება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, რადგანაც "მოსაზრების" ავტორის აზრით, „რაც მზეა დედამიწისთვის, ისაა მთავარი აფხაზეთისთვის". ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა თავადაც და იმსახურებდა კიდეც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას მთავრებისგანაც, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტი: გენერალმა გრიგოლ შერვაშიძემ, შეიტყო რა ეპისკოპოსის გაწვევა აფხაზეთიდან, სთხოვა ნებართვა „გეახლოთ და თაყვანის ვსცე მეუფებასა თქვენსა, ვითარცა ითხოვს მოვალეობა ჩემი".

2. მისიონერისთვის აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების ცოდნა. ამასთან წმ. მღვდელმთავარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ ენას, როგორც დამწერლობის მქონესა და ისტორიულად ღვთისმსახურების ენას აფხაზეთში. აქვე საინტერესოა მინიშნება იმაზე, რომ აფხაზები მეტ-ნაკლებად ფლობენ ქართულ ენას, განსაკუთრებით მაღალია ქართულის ცოდნის ხარისხი თავადაზნაურობაში. მისიონერის აზრით, მაღალი წრე „სუფთად და თანდაყოლილად ფლობს ქართულ სამოქალაქო და საეკლესიო ენას და **რუსულს სრულებითაც არა"** (ხაზი ჩვენია – **მ.ნ**.). ე.ი. XIX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზ თავადაზნაურობაში რუსულის მცოდნე პრაქტიკულად არაა. ადვილი წარმოსადგენია, რა ვითარება იქნებოდა დაბალ ფენაში. აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გამოტანა, თუ რა ტემპით მიმდინარეობდა ამ მხარის რუსიფიკაცია, რასაც მოწმობს მცდელობა

რამდენიმე წელიწადში აფხაზური ანბანის რუსულ გრაფიკაზე შექმნისა. მღვდელმთავრის თქმით, „ქართული უფრო დიდ პატივშია აფხაზთა შორის. ქართული იგივეა აფხაზეთში, რაც ფრანგული ევროპაში“. მას სჯერა, რომ „გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება არ ჩაქრება აფხაზეთში“-ო. ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია.

სხვა პარაგრაფებში საუბარია აფხაზეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად მღვდელმთავრების როლზე, მათ გულმოდგინეობაზე, გარემოცვაზე, სასულიერო სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაზე, სადაც აფხაზი ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ და აფხაზურ ენებს და დაეუფლებოდნენ სასულიერო ლიტერატურას, ასაბუთებს ეკლესიებისა და სამრევლოების რაოდენობის გაზრდას და ა.შ.

რა აფერხებს სასურველი შედეგების მიღწევას აფხაზეთში?

„მოსაზრების“ ავტორი ჩამოთვლის:

1. აფხაზური დამწერლობისა და ამ ენაზე ლიტერატურის არარსებობა.

2. აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა: კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრებოდა მუსულმანური და წარმართული ტომები. ზღვიდან განიცდიდა თურქულ გავლენას. სამეგრელოდან ქრისტიანობის სუსტი პოზიციების გამო, ზემოქმედება ნაკლებად იგრძნობოდა; ამიტომ მისიონერული მუშაობის გააქტიურებისკენ მოუწოდებდა არა მარტო სამღვდელოებას, არამედ საერო პირებსაც.

3. სასულიერო პირთა მცირერიცხოვნობა; ამიტომაც აუცილებლად მიაჩნდა მისიონერთა რაოდენობის გაორმაგება.

4. გუდავაში, ოჩამჩირეში, კელასურსა და გუდაუთაში თურქული დასახლებების საქმიანობა მუსულმანობის გავრცელების მიზნით.

5. აფსუათა დიდი ნაწილის სწრაფი ტემპით გამუსულმანება, რასაც სხვადასხვა მიზეზებთან ერთად ხელს უწყობდა აფხაზთა შორის დამკვიდრებული წეს-ჩვეულება, რომლის თანახმად გავლენიანი თავადის გარდაცვალებისას რამდენიმე ყმაწვილს გლეხთა წრიდან ათავისუფლებდნენ ბატონყმური ვალდებულებებისაგან და აღსაზრდელად მიამაგრებდნენ თურქებს. შემდეგ მათი რიგებიდან გამოდიოდნენ მოლები, რომლებიც გარდაცვლილი ბატონის სულის მოსახსენიებლად მაჰმადიანური წესით ლოცვა ევალებოდათ. ამ გზით ხდებოდა მოლების მომრავლება და მუსულმანობის სულ უფრო ფართოდ გავრცელება. (შდრ.: აღნიშნული ფაქტი XX საუკუნეში, ბოლშევიკების ზეობის პერიოდში გააფხაზების სანაცვლოდ პრივილეგიების მინიჭების დოკუმენტურად დაფიქსირებული, ერთ-ერთი პირველი მინიშნებაა ლიტერატურაში).

ქართველთა საერთო ძალისხმევით ქართული ენის აღორძინებისა და განმტკიცების მოწოდება ალექსანდრე ოქროპირიძის არაერთ წერილობით დოკუმენტშია გამოთქმული. თუმცა ეს დოკუმენტები ნაკლებადაა შესწავლილი და მოელის საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას.

სამწუხაროდ ჩვენ, ქართველები, მთვლემარე ერების კატეგორიას მივეკუთვნებით, ანუ გამოღვიძებისთვის, გაერთიანებისთვის ძლიერი, თავზარდამცემი მოვლენა გვჭირდება. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსიფიკაციისა და გადაგვარების საფრთხემ შვა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდი ილიას ხელმძღვანელობით, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლად აფხაზეთში ალექსანდრე ოქროპირიძე გვევლინება. მისი მოსაზრებები ქართული ენის მნიშვნელობასა და აღორძინების აუცილებლობაზე, ქრისტიანობის განვრცობასა და განმტკიცებაზე, ქვეყნის ერთიანობაზე, გამოთქმული ჯერ კიდევ 1860-1861 წლებში, გარკვეული

მოსაზრებით მას ილიასეული ეროვნული მოძრაობის წინამორბედადაც წარმოგვიდგენს. ეს ფაქტი არც ილიასთვის უნდა ყოფილიყო უცხო, რასაც ადასტურებს მისი სიტყვები, თქმული სიონის საკათედრო ტაძარში 1898 წელს, სადაც თბილისის საზოგადოებამ გაცილება მოუწყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშნულ მღვდელმთავარს. ერის მამამ ასე მიმართა თავის სულიერ მოძღვარს: „თქვენის ცხოვრების წმიდათა წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისას და ორთავ ემსახურებოდით ერთმანეთის დაუსაკლისად გულმხურვალებით და სიყვარულით. ერთი წუთიც არ ვიცით თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველმყოფელი შუქი, ამ ორივეს სიყვარულისა არ მოჰფენდეს თვითოეულ თქვენს საქმეს, თვითოეულს თქვენს მოქმედებას, ქვეყანას ემსახურებოდით მღვთისათვის, ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგან ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“.[1]

დამოწმებანი:

1. **თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია**. *ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება,* ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001.

2. **წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი**. *კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ*, თბილისი, 2006.

---

[1] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1903. გვ. 60-61.

3. **სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შევსებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან. წიგნში: „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი“ დოკ.** №75.. *კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ,* თბილისი, 2006.
4. **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე,** *ბიოგრაფიული და სხვა წერილები, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან,* ტფილისი, 1903.

Merab Nachkebia
Sokhumi State University

ST. BISHOP ALEKSANDRE (OKROPIRIDZE) AND ABKHAZIA

RESUME

The article deals with the policy of Tsarist Russia in Abkhazia in the second half of XIX century. It is shown how the Tsarism used the Orthodox Christianity to conduct the Russificatory colonization and how it controlled the activities of the Georgian ecclesiastics in Abkhazia through their emissaries. Notwithstanding the pressure the Georgian ecclesiastical figures fought to defend the indigenous population and the Georgian people.

In such hard reality the Bishop of Guria-Mingrelia Alexandre had to carry on missionary work alongside with the pedagogical and public one which left deep traces in the ecclesiastical and educational activities of this region.

The article describes in detail the public and ecclesiastical activities of Bishop Alexandre, particularly in the

educational sphere. His ideas about the importance and the urgency of the revival of the Georgian language in this region, the spread and strengthening of Christianity, the unity of the country from some standpoint make him a herald of the national-liberation movement started in the 60-ies of XIX century.

ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რამდენიმე საკულტო ძეგლი ლიახვისა და ქსნის ხეობიდან

ათონის ივერთა მონასტერი მდებარეობს ქალკედონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი სიგრძე 50, ხოლო სიგანე 10 კილომეტრია. ბერძნულად აიონოროსი ანუ მთაწმინდა წმინდა მთას ნიშნავს და ამგვარი შებრუნებული წყობა დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. ჩვენში ამ სახელწოდებით რამდენიმე წმინდა ადგილია, რომლებიც დამშვენებულია სალოცავი ძეგლებით.

ისტორიულად ცნობილია, რომ ათონის მთაზე ქართველები უკვე მეექვსე საუკუნიდან ჩანან, შემდგომ საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ წმინდანები: იოანე, ექვთიმე, გაბრიელი, იოანე (თორნიკეყოფილი) და გიორგი მაშენებელი.

თორნიკემ, რომელმაც დავით კურაპალატის დავალებით თორმეტი ათასი მხედარი შეკრიბა, სასტიკად დაამარცხა ბიზანტიის წინაამღდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსი. გამარჯვებულმა ქართველებმა ჯილდოდ ათონის წმინდა მთა მოითხოვეს ქართული მონასტრის ასაშენებლად. მათ ათონზე ააგეს ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები.

საერთოდ, ათონის ტერიტორია მოფენილია მონასტრებით: ხილანდარი, ესგიფმენუ, ზიგრაფუ, პანტოკრატოსი, სტავრო, ივირონი, როსიკონი, ათანასეს ლავრა, ვატოპედი და სხვა. ვატოპედის მონასტერი იერარქიულად ათონის წმინ-

და მთის მონასტრებს შორის მეორე ადგილზეა. ამ მონასტერს აქვს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ორი ათასზე მეტი ხელნაწერი, მათ შორის ბევრი ქართულია, აქვე დაბრძანებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რვა სასწაულმოქმედი ხატი და სხვა სიწმინდეები.

ათონის ივერთა სავანეს ყოველთვის პატრონობდნენ ქართველი მეფეები: ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე, გიორგი მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე. კახეთის მეფეები: ლევანი, ალექსანდრე, ერეკლე მეორე, რომელთა სახელები მოხსენებულია ივერთა მონასტრის აღაპებში.

უთუოდ ქართველი წმინდანების, მეფეების დამსახურებაა, რომ ათონის ვატოპედიის მონასტრის მეტოქე ეკლესია ჩვენ წინაპრებს პატარა ლიახვის ხეობაში აუგიათ და ყოველივე ეს დოკუმენტურად არის დადასტურებული. პატარა ლიახვისა და მდინარე ფოტნისას წყლის შესართავში, სოფელ ბელოთის აღმოსავლეთით, ვაკეზე, დგას მოზრდილი ეკლესია სიგრძით ექვსი, სიგანით კი სამი მეტრი. ძეგლი ნახევრად დანგრეულია, მაგრამ კედლები ჯერ კიდევ მყარად დგას.

საქართველოს ცენტრალურ სამეცნიერო არქივში, პეტრე კარბელაშვილის პირად ფონდში დაცულია დოკუმენტი სათაურით, „განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტერიისა“, რომელიც შედგენილია 1779 წლის 30 აგვისტოს. ტექსტი საკმაოდ ვრცელია, წარმოვადგენთ მხოლოდ მის ძირითად ნაწილს[1].

„მეფე ირაკლის ებრძანებინა საქართველოს ეკლესიის მესვეურთათვის, რომ გაერკვიათ, თუ ვის ეკუთვნის მთაწმინ-

[1] დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1965, გვ. 128.

დის ვატოპედიის ხარების მონასტრის და ფოტოროს წმინდა გიორგის ეკლესიის მამულები...“ ამ საკითხის შესახებ გამოძიება ჩაუტარებია ანტონ კათალიკოსს, რომელმაც დაადასტურა, რომ ეკლესია ძველ დროშია აგებული, იგი დღევანდელის დაბლა მდგარა და ლიახვის მდინარეს დაუქცევია. შემდეგ კი საქართველოს ისტორიაში ცნობილ პიროვნებას, მარიამ დედოფალს მეჩვიდმეტე საუკუნის სამოციან წლებში დაქცეული ეკლესიის ჩრდილოეთის მხარეს ახალი აუგია და მთელი ქონებაც ახალში გადაუტანიათ. დეკანოზად კი ვანათელი მახნიაშვილი დაემტკიცებინათ, მამულებიც, რაც ძველად ამ ეკლესიას ჰქონებოდა, ისინიც მისთვის დაუბრუნებიათ.

როდესაც ქართველი მოღვაწეები იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათი დიდი სურვილი იყო ქართველებისათვის სავანე შეექმნათ და ბიზანტიურ კულტურას ზიარებოდნენ. ამიტომ, თავიდანვე დაიწყეს ზრუნვა მშობლიური კულტურის განვითარებისთვის. ამ მიმართულებით მუშაობდნენ ქართველი მწიგნობრები, რომლებმაც არაერთი ძვირფასი ხელნაწერი შექმნეს.

1005-1019 წლებში ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა, რომელიც მამის ავადმყოფობის დროსაც უძღვებოდა ქართულ სავანეს. მან კიდევ უფრო მეტი ელვარება შესძინა იქაურ ქართველთა ყოფას. აქ იგულისხმება ეკონომიური და სულიერი განვითარება, ადმინისტრაციული საქმიანობა, მამულების შესყიდვა და სხვა.

ექვთიმე ათონელის თანამებრძოლები იყვნენ იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ხელნაწერების, თარგმანთა გამრავლებაში და საერთოდ, ლიტერატურის განვითარებაში. ათონზე მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც აქ დამკვიდრდა

გამოჩენილი მოღვაწე გიორგი ათონელი (1009-1095), რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული მრავალმხრივი საქმიანობა. ამ დიდი მოღვაწის საქმიანობა, ცხოვრება საფუძვლიანად აღწერა გიორგი მცირემ დიდი მოღვაწის თავგადასავალი სათაურით: „ცხოვრება და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაᲘ“, სადაც სრულად არის წარმოდგენილი მისი დამსახურება მშობლიური ხალხის წინაშე. აღნიშნული ნაშრომი გვამცნობს არამარტო ათონელთა თავგადასავალს, არამედ მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებასაც ადასტურებს, რადგან იმ დროისათვის მტერთა მოძალებამ ქართულ სავანეში დააწერინა ეს წიგნი.

ასეთი დიდი წარსულისა და ტრადიციით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვატოპედიის მონასტრის მეტოქე ეკლესია პატარა ლიახვის ხეობაში აეგოთ ჩვენს წინაპრებს. როგორც ზემოხსენებულ განჩინებაშია აღნიშნული, დროთა განმავლობაში წმინდა გიორგის სახელობის ქაშუეთის ეკლესია ლიახვისა და ფოტნისის წყლის შესართავში საცილობელ გამხდარა. ამიტომ ათონის მთას ვატოპედიის მონასტრიდან ყოველივეს გასარკვევად გამოუგზავნიათ იღუმენი იოსააფი, რომელსაც მრავალმხრივი გამოძიება ჩაუტარებია და დაუდგენია, რომ მთელი ეკლესია და მისი ქონება, მათ შორის მარიამ დედოფლისაგან შეწირული ვენახი, ელისაშვილის ნახევარი ვენახი, მაისურაძის ვენახი საყდართან, გუჯარის შარილას ვენახი, გულის გერის ვენახი და ქონება მხოლოდ მთაწმინდის მონასტრის საკუთრება ყოფილა, წერილი შედგენილია 1779 წლის 30 აგვისტოს, რომელსაც ანტონ კათალიკოსი ამტკიცებს. აღნიშნული დოკუმენტის ზერელე განხილვითაც კი ნათელი ხდება, რომ ჩვენმა ხალხმა რელიგიის, ასევე ყოფა-ცხოვრების ყველა საფეხური წარმატებით გაიარა და თა-

ვისი რწმენა არასოდეს დაუკარგავს. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ პატარა ლიახვის ხეობაში, მდინარის ორივე ნაპირსა და მის შენაკადებზე, ქედებსა თუ მცირე მაღლობებზე ბევრი საკულტო ძეგლია, ძირითადად ბაზილიკები, რომლებიც ძველ დროშია აგებული და ჯერ კიდევ შეუსწავლელია. შეუსწავლელია წარმართული რელიგია და ქრისტიანობაც, საერთოდ, კულტმსახურებისა და მიწათმოქმედების, სარწყავი სისტემის როლი.

დოკუმენტში რეალიზებული იმდროინდელი ლექსიკური და ენობრივი მოვლენები ასევე საინტერესოა დღევანდელი თვალსაზრისითაც, რომ უკეთ შევიცნოთ ჩვენი იმდროინდელი ყოფა.

„განჩინებაში“ გვხვდება ტოპონიმიკური ლექსიკური ერთეული „მთაწმინდა“. ეს სახელი ეწოდება მდინარე ლიახვის სათავეში მარჯვენა მხარის ულამაზეს მთას, რომელიც საკულტო ნაგებობით არის დაგვირგვინებული. როგორც ინფორმატორები (სერგო და სარდიონ ელიაურები) მიგვითითებენ, ეს სახელი ასევე ეწოდებოდა მეჯუდის ხეობიდან სოფ. ვილდიდან ტორტლას აყოლებით წყალგამყოფ ქედს, რომელიც ორ მდინარეს, მეჯუდასა და ლეხურას მიჯნავს ერთმანეთისაგან. ისტორიიდან ცნობილია, რომ ასურელმა მამებმა, რომლებიც ჩვენში შუამდინარეთიდან მოვიდნენ, მეექვსე საუკუნეში დიდი სამონასტრო მშენებლობა გააჩაღეს. მათ მოღვაწეობას უკავშირდება „წმინდა მთაზე“ სალოცავ სისტემათა აგება.

„განჩინებაში“ რამდენჯერმეა მოხსენიებული ლექსიკური ერთეული ფოტორო, რომელიც იგივეა, რაც ფოტოროს წყალი, ჰიდრონიმი ან დღევანდელი სახელდებით ფოტნისას წყარო, რომელიც სოფელ ბელოთის სიახლოვეს, მარჯვნიდან ერთვის პატარა ლიახვს.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ხოლო ვანათსა, საცხენისასა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, კლდიანი და ძნიად განსავალ, გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთასა“[1].

აღნიშნული ლექსიკური ერთეულის სულხან-საბასეული განმარტება: „ფოტორო, დიდი, დიდი ფლატე,“[2]- სავსებით მიესადაგება ამ მდინარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ აგებულებას.

„განჩინებაში“ ნახსენები ლექსიკური ერთეული „დიკასტერია“ იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ მიხედვით არის „კოლეგიალური ხასიათის სასულიერო დაწესებულება ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებით, არის წარმოშობით ბერძნული სიტყვა“[3].

„განჩინებას“ საკუთარი ხელრთვით ამტკიცებს ანტონ კათალიკოსი, იგი აღნიშნავს: „განჩინებას მსაჯულთაგან ამას ვამტკიცებ ანტონ კათალიკოსი, აგვისტოს 31, 1779 წელსა.”

როცა ანტონის პიროვნებას ვეცნობით, თვალში გვხვდება წინააღმდეგობებით აღსავსე მისი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, რომ ის მრავალჯერ იყო შეურაცხყოფილი და პატივაყრილი. მას არაერთგზის დასწამეს ცილი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ენის საკითხშიც, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ მხრივაც კათალიკოსს პრინციპული გადაცდომა არ ჰქონია. აღნიშნულ დოკუმენტში (რომელსაც ხელს აწერს ანტონ პირველი), დაცულია როგორც ძველი, ისე ახალი ენობრივი ნორმები. ემფატიკური ა დაცულია რამდენიმე შემთხვევაში საკუთარ და საზოგადო სახელებთან: დედოფალსა მარი-

---

[1] ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 72-73.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, გვ. 197.

[3] ბაგრატიონი ი., სჯულდება, 1957, გვ. 25.

ამსა აეშენებინა, ხარებისა მონასტერსა, მონასტრისა არის და სხვა. გვხვდება როგორც ასიმილაციური დაემტკიცებინა, ისე დისიმილაციური ფორმები: შეენახა, დეემტკიცებინა. „განჩინებაში“ გვხვდება როგორც ებიანი, ისე ნარიანი მრავლობითის ფორმები: მამულები, შეწირულნი, ვენახნი.

გან თანდებული ქართულში ორ ბრუნვას – ნათესაობითსა და მოქმედებითს დაერთვის. „განჩინებაში” კი მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთან გვაქვს: დედოფლისაგან აშენებული, მდინარისაგან დაქცეულიყო და სხვა.

ლომისას ნიში მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობის სოფელ აწრისხევში. აგებულია კლდის ქვითა და დუღაბით, აგების თარიღი უცნობია. დღეობას იხდიდნენ 18 მაისს, იმ დროს, როცა ქსნის ხეობაში მთავარლომისობა იმართებოდა. გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ნიში აგებულია ასკილაშვილების წინაპრების მიერ, რომლებიც პავლიაშვილები ყოფილან. ლომისობაზე კაცი შემოკვდომიათ, გამოქცეულან და თავი აწრისხევში შეუფარებიათ. „რა ასკილივით გაწითლებულან-ო“ და ეს შერქმეული სახელი გვარად ექცათ. ასკილაშვილებმა დღესაც კარგად იციან, რომ პავლიაშვილების სახლიკაცები არიან, მათ შორის არის ნათესაობა.

აწრისხევში, ლომისის ნიში სასწაულიანია, იქ ბევრი შესაწირავი იყო: ხატები, ჯვრები, იარაღი, წიგნები, რომელთა უმეტესობა დაკარგულია, ზოგიერთი შემონახულია ოჯახებში.

ლომისის სიძლიერე იმაში გამოიხატა, რომ როცა თათრებმა საქართველო დაიპყრეს, ჯვარ-ხატები წაუღიათ და შვიდი ათასი ტყვე წაუსხამთ ხორასანში. ხორასანში შვიდ წელიწადს წვიმა და მოსავალი აღარ მოდიოდა. ბოლოს მოლამ უთხრა: ეს ლომისის ჯვარი და ხალხი თუ არ დააბრუნეთ, სულ ამოწყდებითო. ხალხს უთხრეს თათარებმა, თავი-

სუფლები ხართო, ხარი წამოუძღვათ, სადაც მოკვდა, იმ ადგილას, მთის წვერზე, ეკლესია ააშენეს ქართველებმა. ამიტომ ამბობენ, ლომისის წმინდა გიორგის გაუმარჯოს, შვიდი ათასი ტყვის დამხსნელსაო.

სოფლის ხევისბერი ვლადიმერ ასკილაშვილი თქმულების სხვადასხვა ვარიანტს იცნობს, სჯერა, რომ ქართველები კი არ დაატყვევეს, არამედ თვითონ ლაშქრობდნენ ხორასანში.

„ხორასანს ლაშქრად ვიყავით ჩვენ ლომნი ლომისისანი,
მანდ შამაგვესმა ჟღერანი ჟამურ-ბერციხის კლდისანი,
მუხლი გვქონდა და ვიხმარეთ მაგ ჩვენი ჭარმაგისანი,
სადილობითა სამხრამდე ჟამურ დავლახნეთ ქვიშანი“.

მეორე ვარიანტი:

„შვიდნი ჩვენ შვიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით
გაჭრა იმ შაბათის ძალმა, ბარ და ბარ გავიყარენით“.

ხსენებული ინფორმატორი თავს დასტრიალებდა ლომისის ნიშს, გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გამშვენიერება განახლება და მუდამ ილოცვიდა:

ღმერთო გაუმარჯვე დიდ ლომისასაო,
ხორასნიდან მობრძანებულსაო, შვიდი ათასი ტყვის დამხსნელსაო!
ქსნის და არაგვის დამყურებელს დიდ ლომისასაო!

ლომისას ნიშები ხეობაში სხვაგანაც ფიქსირდება.

გავაზის წმინდა გიორგი

მდებარეობს ქსნის ხეობის მარჯვენა შენაკადის, ჭურთის წყლის მარცხენა მხარეს, გორაზე. ეკლესია და კოშკი გვერდიგვერდ არის აგებული. იგი დიდებული ანსამბლია. აქედან ხელისგულზე ჩანს ჟამურისა და ყელის ტბის ქედები,

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქსნის ხეობა და არაგვის ხეობის წყალგამყოფი ქედები.

ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა და ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული. აგებულია დუღაბით, სახურავიც დუღაბით არის გადალესილი. ეკლესია სიგრძით ექვსი, სიგანით კი ოთხი მეტრია. ეკლესიასა და ციხეს შორის დაშორება მხოლოდ ორი მეტრია.

შიგნით ეკლესია მოხატულია და ჯერ კიდევ კარგად არის შემორჩენილი იესო ქრისტესა და წმინდა მარიამის ფრესკები. ღვთისმშობელს მარჯვენა ხელში უკავია ყრმა, მარცხენა ხელი კი გვერდზე აქვს გაწვდილი.

საკურთხევლის მარჯვნივ ასომთავრული წარწერებია:

ადიდენ ერისთავთ...

ქრისტე მეუფეო

მეორე მხარეს ფრესკაა, სადაც ქრისტეს თავისი მოწაფეები ჰყავს შემოკრებილი, უფრო დაბლა კი ოთხი წმინდანის გამოსახულებაა. აქ ბევრი ასომთავრული წარწერაა, ზოგი მათგანი გაფერმკრთალებულია და აღარ იკითხება ჟამთა ვითარების გამო. ჩანს, რომ ეკლესია უფრო ადრეა აგებული ქსნის ერისთავთა მიერ, ხოლო ციხე გვიანდელია, რადგან სათოფურები აქვს დატანებული.

მეწყერის ცეცხლისჯვარი

მდებარეობს მდინარე ჭურთულას მარჯვენა მხარეს, ნაპირიდან ხუთასი მეტრის მოშორებით, დასავლეთის მხარეს, დიდ ვაკეზე. ეკლესიას აქვს სამრეკლო ძველი ქართული აგურით ნაგები. თვით ეკლესია საკმაოდ დიდი შენობაა. შიგნით საკურთხეველი მოხატული ყოფილა. ჯერ კიდევ არის

შემორჩენილი მხატვრობისა და ასომთავრული წარწერების კვალი. შიგნით აწყვია ორ ათეულამდე დიდი და პატარა ზარები, შეწირული დროშები, ქვაბები, ზედადგრები, სხვადასხვა რკინისა და ხის ჭურჭელი. გარეთ, ჩრდილოეთის მხარეს, უამრავი აკლდამაა, რომელიც ჩანს, ხეობის დამცველთა განსასვენებელს წარმოადგენს. ამ ადგილებში, სახელდობრ, სოფელ მეწყერში, გვიანფეოდალურ ხანაში ცხოვრობდნენ ილურიძეები, რომლებიც შემდგომ ქვემოთ, სოფელ დორეთკარში (დორეულების სოფელი) ჩასახლდნენ, ნაწილი კი სოფელ მეჯვრისხევში ჩამოასახლეს ქსნის ერისთავებმა. ამ გვარის, ილურიძის განაყოფია ელიაური, რომლებიც ჩამოსახლდნენ მეჯუდის ხეობის სოფელ ვილდაში და რამდენიმე ოჯახი დღესაც იქ ცხოვრობს. მათ მთიდან ჩამოიტანეს სალოცავის რამდენიმე ფრაგმენტი და დღესაც ეწოდება ცეცხლისჯვარი.

დამოწმებანი:

1. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბილისი, 1965, ვანათის ვატოპედიის სიგელი, ცსსა.
2. პ. ვარძელაშვილის პირადი ფონდი.
3. ი. ბაგრატიონი, სჯულდება, თბილისი, 1957.
4. ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1997.
5. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, 1993.

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University

SOME RELIGIOUS MONUMENTS FROM LIAKHVI AND KSANI GORGES

RESUME

Athon Ivert Monastery is situated in the South-east part of Kalkedoni. Its length is 50 miles and its width is 10 miles. In Greek aionorisi means saint mountain and such form was characteristic for the old Georgian. There are some saint places in Georgia which are full of such monuments But as to the Athon area we can see there such monasteries as Khilandari, Esgipmenu, Zigrapu, Bantokratiso, Stavro, Ivironi, Atanases Lavra, vatobed and so on.

Lomisi Nishi is situated in the village of Antsiskhevi, in Patara Liakhvi Gorge. It was built by the Askilashvilis, who settled there from Ksani Gorge and their surname was Palvliashvili which as changed into Askilasshvili.

Gavazia St. George church is situated in Ksani Gorge, on the left side of the river of Churtula. It has all signs characteristic for Christians such as writings, frescoes.

Metskse church is in this gorge as well but is partly ruined. It belonged to the representetives of the Iluridzes.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოქროპირიძეების სასულიერო დასი

ოქროპირიძეების გვარი თავისი უძველესი საცხოვრისით – დისევით (პატარა ლიახვის ხეობა – ამჟამად ოკუპირებული) უფლისა და სამშობლოსათვის კეთილმსახურების გამო ძველთაგანვეა შეწირული სვეტიცხოველს. ამის დასტურია ქართულ მატიანეში დისევის, ოქროპირიძეებისადმი გაცემული სამეფო-საკათალიკოსო სიგელები. ერთ-ერთის მიხედვით, ეს მიდამო, დისევ-კულბითი, ჯერ კიდევ XI საუკუნიდან მცხეთის საყდრის კუთვნილებაა.[1] „მეფეთა მეფე დავითი-

[1] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ.295; თ. ჟორდანია „ქრონიკები“, I, თბ., 2004, გვ. 185; იგივე, II, ტფ., 1897, გვ. 197; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დოკ. დოკ. დ-8712, დ-1572; „ქართული სამართლის ძეგლები”, III, თბ., 1970, გვ. 22-23. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა საარქივო მასალებში ნახსენები კულბითი იმთავითვე ისე მჭიდროდ ეკვროდა დისევს (დროთა განმავლობაში შეერწყა მას), რომ ორივე ერთ ტერიტორიულ ორგანიზმს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ კულბითი ჯერ კიდევ „მეფეთა-მეფე დავითისაგან“ მცხეთას შეწირული დისევის ვრცელ, „სამართლიან სამზღვრებშია“ მოქცეული. XVIII საუკუნის დოკუმენტები (ქართლის სოფლების 1736-1744 და 1789 წლების საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთრები. „ქართული სამართლის ძეგლები”, III, თბ., 1970, გვ. 779,989-990) და ძველი ქართული პრესა („ივერია“. 1890, №210; „სახალხო გაზეთი“, 1912, №5) დისევ-კულბითს ერთმანეთთან აიგივებენ. ამ მიდამოს ხან დისევად, ხან კი კულბითად მოიხსენიებენ. სხვადასხვა მკვლევარ-მოღვაწენი, კერძოდ, ი. მეგრელიძე კულბითის ღვთისმშობელს დისევის ეკლესიას უწოდებს („სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 44). მეუფე

სა და მისი ძის, დიმიტრის მიერ ბოძებული დოკუმენტით (1516 წ.) „კეთილგვაროვან ოქროპირიძეებს“ ეწყალობათ სოფელი დისევი „თავის სამართლიანის სამზღვრებითა“ და შეწირეს იგი „ცათა სწორსა და სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა კვართსა საუფლოსა და მირონსა წმინდასა...“[1] მკვლვარებს, თ. ჟორდანიასა (1854-1916) და ი. მეგრელიძეს (1909-1996) აეჭვებთ სიგელის 1516 წლით დათარიღება და მწყალობელ მეფედ ქართლის მეფის - დავით X-ის (1505-1525) მიჩნევა.[2] ოქროპირიძეების ცნობილი მოღვაწეები ირწმუნებიან: „მეფეთა მეფე დავითი“ დიდი დავით აღმაშენებელია თავისი ძით – დიმიტრითი. მისგან ნაწყალობევი „სიგელის პირი ოქროპირიძეების ოჯახში ინახებოდა“.[3] „ივერიაც“ (1890, №210) წერს: „დისევი დიდმა ბაგრატოვანმა მეფემ უწყალობა ოქროპირიძეებსო...“ მკვლევართა ეჭვი რომ საფუძვლიანია, მოწმობს 1392 და 1398 წლების დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც დისევი მცხეთის საეკლესიო მამულია და მას თავისი „მონასტრითურთ განუახლდა შეწირულობა სვეტიცხოვლისადმი...“[4] ცხადი ხდება: და-

---

პიროსი (ოქროპირიძე) პირად წერილებში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.68, საქმე 1256-1260) დისევში კულბითს გულისხმობს და პირიქით. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული განპირობებული იყო ასწლეულების მანძილზე აქაურთა მჭიდრო თანაცხოვრებით, საერთო მისწრაფებებითა და საზღვრებით., რომელმაც, როგორც ვნახეთ, ასახვა ჰპოვა დისევისადმი ბოძებულ სამეფო სიგელში.

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დოკ. 1449-1659; თ. ჟორდანია, „ქრონიკები”, II, ტფ., 1897, გვ. 334.

[2] თ. ჟორდანია, „ქრონიკები”, II, ტფ., 1897, გვ. 334;

[3] ი. მეგრელიძე, „სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 30.

[4] თ. ჟორდანია, „ქრონიკები”, II, ტფ., 1897, გვ. 197-198; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დოკ. დ-8712.

ვით მეათისად მიჩნეული სიგელი არ არის პირველადი. ჩანს, იგიც, ზემოაღნიშნულის მსგავსად, არის განახლებული დოკუმენტი წინა ეპოქებში, მათ შორის დავით აღმაშენებლისაგან ოქროპირიძეებისადმი ბოძებული გუჯარისა. სადავოა დიმიტრის ვინაობაც: „ქართლის ცხოვრებაში“ დავით X ვაჟებად სახელდებიან ლუარსაბი, ადარზანი და რამაზი.[1] იმავეს ადასტურებენ თ. ჟორდანია (1854-1919) და ივ. ჯავახიშვილი (1876-1940).[2] მეტად სარწმუნოა, ჟამთა სიავისა და გადამწერთა დაუდევრობისაგან დოკუმენტი განიძარცვა საჭირო ცნობათაგან. თ.ჟორდანია არაერთხელ შენიშნავს: „ზოგიერთი მატიანე დიდად დამახინჯებულია გადამწერებისაგან და აზრიც იკარგება... თითქმის მოკლებულია ქრონოლოგიას... გუჯართა დიდი ნაწილი პეტერბურგში გაუტანიათ...“[3] ჩვენის აზრით, აღნიშნულ სიგელს აკლია ცნობები პირველშემწირველის შესახებ. მაგალითად, ისეთი, როგორიც შემორჩა იმავე ეპოქის იმერთა მეფის, ბაგრატ III (1495-1565)მიერ წმინდა გიორგის მონასტრისადმი გაცემულ წყალობის წიგნს: „ძველად იგი („სოფელნი და დაბანი“) დავით აღმაშენებლისაგან და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო...“[4]

ოქროპირიძეების წარსულის შესწავლაში უმნიშვნელოვანესია ცნობილი საეკლესიო მოღვაწის დეკანოზ ირომდიონ ოქროპირიძის (1859-1933) მემუარების ის ნაწილი, რომელიც გვარის წარმოშობასა და ოქროპირიძეების დღემდე ნაკ-

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, II, 1959, გვ.345, 368, 390: „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ (II, გვ. 492) დიმიტრის დავით X ძედ ასახელებს ბერი ეგნატაშვილი, რასაც არ ადასტურებენ თ. ჟორდანია და ივ. ჯავახიშვილი.

[2] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, ტფ.,1897, გვ. 344, 368-369, 390;

[3] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, I, თბ., 2004, გვ. 256.

[4] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, ტფ., 1897, გვ. 379.

ლებად ცნობილ სასულიერო პირებს ეხება. მამა ეროდიონიც დასძენს, რომ ჩვენი გვარის არსებობა იწყება დავით აღმაშენებლიდანო. დიდ მეფეს სამი ძმიდან ერთის, ივანესთვის საოცარი მჭევრმეტყველების გამო ოქროპირი დაურქმევია: „შენც იმ ოქროპირსავით კარგი მოლაპარაკე ხარო...“ მისგან „მიეცათ სასახლე ადგილად დისევის არემარე... იმის ჩამომავალნი ვართ დისეველი ოქროპირიძეები...“[1] როგორც ვხედავთ და ამას ქართული ეკლესიის ისტორიაც ადასტურებს, ამ სახელით უპირატესად კარგად მეტყველ-მქადაგებელ სასულიერო პირებს მოიხსენიებდნენ. თავდაპირველად, ჩანს, ოქროპირი უფრო აღნიშნული თვისების გამო ამა თუ იმ პიროვნებისათვის შერქმეული სახელი – თიკუნი იყო, რომელიც შემდგომში გვარად და ადამიანის ძირეულ (დაბადებით) სახელადაც იქცა. იგი ერთგვარად მისი წინაპრების დამოკიდებულების განმსაზღვრელიც იყო ეკლესიასთან, კეთილმეტყველებასთან. სახელის ოქროპირის და მისგან მომდინარე გვარის შექმნის პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ IV საუკუნეში მცხოვრები დიდი ღვთისმეტყველი იოანე ოქროპირი, რომელიც რამდენიმე წელი აფხაზეთშიც მოღვაწეობდა, ქრისტეს მოძულეთაგან 404 წელს გადმოსახლებული (აღესრულა 407 წელს). ქართული ეკლესიის ისტორია ამ და შემდგომი ეპოქების არაერთ ოქროპირს – მათ შორის ქართლის კათალიკოსებს, იოანე IV (980-1001) და იოანე V(1033-1048) იცნობს. ცნობილია ასევე ოქროპირ-მოძღვარი (XIIს.), იოანე XI ოქროპირი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი[2] (XVI ს.) და მრავალი სხვა. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი გაცემულ ანდერძებში მართლაც იხსე-

[1] დეკანოზი ეროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. IV, ინახება მოძღვრის შვილიშვილის, პროფ. ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში.

[2] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004, გვ.347-348.

ნიება იოანე „სულიერ ბერად და მეფის მოძღვრად," ასევე „ქართლის კათალიკოსად."[1] დეკანოზის ჩანაწერების გაანალიზებით ნათელი ხდება: დიდი მეფისაგან იოანეს ოქროპირად სახელდება მის ენამზეობასთან ერთად განსაზღვრულია მისი ჩამომავლობითაც. საფიქრებელია, იგი არის ღირსეული მემკვიდრე წინა დროის ცნობილი მოღვაწე ოქროპირებისა და დავით მეფემაც ამის გათვალისწინებით („შენც იმ ოქროპირსავით კარგი მოლაპარაკე ხარო") უწოდა მას ოქროპირი და „კეთილგვაროვანი." ე.ი. ივანე–იოანეს ოქროპირობა არა მხოლოდ მისი ენაწყლიანობის, არამედ უკვე მემკვიდრეობითობის აღმნიშვნელიცაა.

ცნობილია, რომ ქრისტეს აქეთ მეათე ასწლეულში შიდა ქართლის ამ ნაწილში (ცხინვალი და მისი შემოგარენი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) ტბელთა ძლიერი საფეოდალო სახლი ერისმთავრობს. მათ მმართველობას უკავშირდება რეგიონში გაცხოველებული აღმშენებლობითი საქმიანობა. დისევის ძელიცხოველთან ერთად ამ პერიოდში აიგო ერედვის წმინდა გიორგის, ვანათის მაცხოვრის, სათიხრის, ჭარებისა და დიცის ღვთისმშობლის, დმენისისა და ქსუისის მთავარანგელოზის, ხეითის საბაწმინდის, ტბეთის ბორცვისჯვრის, დოდოთის ცხრაკარას (ცხინვალის მახლობლად) და სხვა ეკლესიები. თავდაცვითი ნაგებობებით – ციხე-კოშკებით შემოზღუდეს საერისმთავროს საზღვრები. განსაკუთრებით გაამაგრეს ჩრდილოეთიდან ქართლში გადმოსასვლელი გზები. მათმა ძლიერებამ პიკს მიაღწია მეათე საუკუნის მეორე ნახევარში. ისინი, როგორც დამოუკიდებელი მმართველები, ვერ ეგუებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. 980-იან წლებში ბაგრატ III (975-1014) დიდი ძალისხმევის შედეგად დაამარცხა

[1] ნათელი ქრისტესი საქართველო, I, ანდერძი დავით მეფისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003, გვ 210-213.

ტბელები. ტაძრებზე (ერედვის, დოდოთის, ტბეთის) შემორჩენილი სამშენებლო წარწერები ნათელყოფენ, რომ ტბელთა „ბრძანებითა აღეშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სალოცველად მისთვის და ხუთთა ძეთა მისთათვის...“[1] უკანასკნელ ხანებში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი სოსიაშვილმა მშობლიურ სოფელ დიცში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე აღმოაჩინა სამშენებლო წარწერა. მისმა პირველადმა შესწავლამ მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებული პირებიც ტბელთა საგვარეულო სახლის წევრები არიან. ჩვენს საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ტბეთის ეკლესიის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადების სარკმელთა თავზე ამოტვიფრული წარწერები, რომლებშიც მოხსენიებულია პატრიკ ტბელის ძე ოქროპირი: „ქრისტე, ადიდე ოქროპირ ძე ტბელისაჲ“ და „ჯუარო ბორცვისაო, ადიდენ შვილნი მათნი: ოქროპირ და ქავთარ.“[2] როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ტაძრების სამშენებლო წარწერებიდან ჩანს, რომ ტბელ ერისთავთა მმართველობა ამ მხარის ყველა კუთხე-კუნჭულს მოიცავს. ბუნებრივია, მათი „ბრძანებით აღეშენა“ დისევის ძელიცხოველიც. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა დისევის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ორ ვერტიკალად, ნუსხურნარევი ასომთავრულით ჩამოწერილი 6-7 მცირე ზომის სტრიქონისაგან შემდგარი სამშენებლო წარწერის წაკითხვა (წარწერა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული: ქვა გაცვეთილია, ალაგ-ალაგ ატკეჩილი, ეტყობა კირით გადაღებვის კვალი). თუმცა, ი. მეგრელიძე (1909-1996) რამდენიმე ქარაგმის გარჩევას შეეცადა („სიძველეები ლიახვის ხეობაში”, წ.,2, 1997, გვ. 28),

---

[1] ლაპიდარული წარწერების კორპუსი I, V-X საუკუნეები, თბ., 1980, გვ. 176.

[2] იქვე, გვ. 181-183.

მათ შორის: გ˜ს (გიორგის), ს ˜ლს ა (სულსა), ნ˜ა (ან ე), ჩემ (მ ან ვ)˜ა, ს˜ა (სულსა)? ერთ-ერთი ქარაგმა მკვლევარმა წაიკითხა როგორც ო˜პს. ხელოვნებათმცოდნე სალომე მელაძე გრაფემის, ს˜ლს ა მომდევნო ქარაგმას კითხულობს როგორც ტ˜ა˜ა. ორივე ერთად, მისი აზრით, ნიშნავს „ს[უ]ლსა ტ[ატ]ა[Ას]ა“. ხანდახან ის, რასაც სიღრმეებში ვეძებთ, ზედაპირზე დევს ხოლმე. თუ ი. მეგრელიძის ვერსია სწორია, მაშინ ქარაგმული ო˜პს უნდა ნიშნავდეს ოქროპირს, რომელიც, როგორც ვთქვით, ტბეთის წარწერებში იხსენიება. ამავე ტაძრის სამხრეთ ფასადის წარწერა მოიხსენიებს „ს[უ]ლ[ს]ა ც[უა]ტ[ᲐᲐ]სა“,[1] ვახტანგის ძეს ტბელთა დიდი საოჯახოდან. სალომე მელაძის ვერსიით (რასაც გარკვეულწილად ჩვენც ვიზიარებთ) კი დისევის ქტიტორული ტექსტის მეოთხე სტრიქონში უფალსაა შევედრებული „სული ტატაისი“. სავარაუდოდ, დისევის ეკლესიის წარწერა არასრული სახითაა შემორჩენილი, მაგრამ რაც არის, საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. სამწუხაროდ, ოკუპირებულ დისევში შესვლა შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ბატონ გ. გაგოშიძის მიერ 2008 წლის ომამდე გადაღებული ფოტო, საიდანაც საკმაო დაზიანების მიუხედავად, შეიძლება ღირებული ინფორმაციის მიღება. მანამდე მკვლევართა ვარაუდები და ვერსიები, ტექსტის ზოგადი შინაარსი, მისი შედარება ტბეთისა და დოდოთის წარწერებთან საგულისხმო დასკვნის გაკეთებისკენ გვიბიძგებს: ტაძარი აიგო ტბეთის ბორცვისჯვრის წარწერებში მოხსენიებული პატრიკ ტბელის ძის ოქროპირის, ან მისი ძეების მეოხებით. იგიც, აღნიშნული ძეგლების წარწერათა მსგავსად, მის მაშენებელთა თუ მათ წინაპარ-მემკვიდრეთა სულის მოსახსენიებელს წარმოადგენს. იქაც

[1] ლაპიდარული წარწერების კორპუსი I, V-X საუკუნეები, თბ., 1980, გვ. 181.

და ჩვენს ტექსტშიც აშკარად ჩანს ასო-ნიშანთა განუსხურების კვალი. საინტერესოა, ხომ არ არის ერთი და იგივე პირი ტბეთის „ცვატაი“ და დისევის „ტატაი“ (თუ დავეყრდნობით სალომე მელაძის ვერსიას)? როგორც არ უნდა იყოს, ტბელთა უფლობა დისევ-კულბითში ეჭვსგარეშეა. სრულიად სარწმუნოა, რომ საერისმთავროში სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული ეს მიდამო ტბელთა მრავალრიცხოვანი საგვარეულო სახლიდან ერთ-ერთის, ოქროპირის წილხვდომილი სამკვიდრო მამული ყოფილიყო. ზემოთ ითქვა, რომ ამ სახელის მატარებელთა უმეტესობა ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები იყვნენ. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, ტბელი ოქროპირი და მისი ჩამომავლობა ღირსეული მსახურები არიან ქართული ეკლესიისა. ისინი უყრიან საფუძველს ოქროპირიძეების გვარს. ის ფაქტი, რომ X საუკუნეში დისევში ძელიცხოვლის (ძელი და სვეტი სინონიმური წყვილია. დისევის ეკლესიას სხვადასხვა ავტორები არაერთგზის მოიხსენიებენ სვეტიცხოვლადაც)[1] ტაძარი იგება, იმთავითვე მიგვანიშნებს რეგიონში მის მნიშვნელობასა და დამოკიდებულებაზე დედა სვეტიცხოველთან. „ქართლის ცხოვრების“ თხზულების „მატიანე ქართლისაის“ (XI ს) გვიანდელი ჩანართის (რომელიც თ. ჟორდანიას მტკიცებით თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846) ეკუთვნის) მიხედვით, „კურბითი (როგორც აღვნიშნეთ, მასში ერთად უნდა იგულისხმებოდეს დისევ-კულბითი ზ.ო.), ძუელადაც ჰქონდა წმინდასა სუეტიცხოველსა...“[2] საქართველოს კათოლიკოსმა მელქისედეკ I

---

[1] გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, თბ., 2011, გვ. 345.

[2] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ.295; თ. ჟორდანია „ქრონიკები“, I, თბ., 2004, გვ.185. „ქართული სამართლის ძეგლები“, III, 1970, გვ. 22-23.

(1010-1033) თავისი შედგენილი დოკუმენტით – „დაწერილი მელქისედეკისა მცხეთის საყდრისადმი“ (1984 წელს იგი გამოსცეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა), ეს მიდამო კვლავ „შეუვალად გაუხადნა სუეტიცხოველსა... მისცა სიმტკიცე შეუვალობისა... დადგნა ყოველგან სახლნი და ააგო ეკლესიანი...“[1] აქვე დავძენთ, რომ მომავალი პატრიარქის, „მელქისედეკისაგან შვილად გაზრდილი“ ოქროპირის და შიდა ქართლელი ოქროპირისა და მისი სახლეულის ცხოვრების ხანა საინტერესოდ ემთხვევა ერთმანეთს დროში. „დაჯდა კათოლიკოს პატრიარქად ოქროპირი და ამანცა მრავალი შემატა დიდსა და კათოლიკე ეკლესიასა...“[2] დეკანოზი ირეოდიონი უთუოდ ეყრდნობოდა ძველ დოკუმენტებს, როდესაც წერდა: „დისევის მამულები მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა... ჩვენც საეკლესიონი ვიყავით. დისევში ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა პატრიარქ –კათალიკოსის წარმომადგენელი არქიმანდრიტი...“[3] მცხეთის ტაძარს შეწირულ გვარს გარდა ქართული ეკლესიის სასულიერო კადრებით მომარაგებისა, ევალებოდა მისი უზრუნველყოფა პურღვინით. დისევ-კულბითის მხარე, საერთოდ გვერდისძირის სოფლები, უძველესი დროიდანვე გამოირჩეოდნენ ვაზისა და ღვინის კულტურით. ამ მიდამოს შესახებ დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) წერდა: „და არს ადგილი ესე ვენახოვანი... მოსავლიანი... ღვინო

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ.295; თ. ჟორდანია „ქრონიკები“, I, თბ., 2004, გვ.185. „ქართული სამართლის ძეგლები“, III, 1970, გვ. 22-23.

[2] თ. ჟორდანია „ქრონიკები“, I, თბ., 2004, გვ.188.

[3] დეკანოზი ირეოდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ინახება მოძღვრის შვილიშვილის, პროფ. ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში.

აქაური თხელ და მომჟავო, გარნა საამო არს სასმელად“.[1] ნიშანდობლივია, რომ X-XI საუკუნეების (და შემდგომაც) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში ხშირად ჩნდება ვაზის, ყურძნის მტევნების გამოსახულება. პურ-ღვინის სიუხვე თავისი სიწმინდის გამო ქართველი კაცის სულიერ-კულტურულ და მატერიალურ წინსვლას მოასწავებდა მუდამ. ვაზი უფლის, მარადიულობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა (ასეა დღესაც). ეს სიმბოლიკა საინტერესოდ აისახა დისევის ძელიცხოველზე. დიდ ღვინისფერ ქვაზე უზადოდ ნაკვეთ ჯვარს მარჯვნიდან მარცხნივ თავს ევლება ყურძნის ფოთლოვანი ლერწი მტევნებით. ჯვრიდან მარცხნივ, ლერწის ოდნავ ქვემოთ ირემია გამოსახული, მის ქვეშ კი – ლომი. წარწერა ჯვრის მარჯვნივ, ქვის კიდეზეა ამოკვეთილი. მათ შორის, წრეში, თითქოს ადამიანის თავია გამოსახული. ამ საინტერესო ბარელიეფის უმთავრეს სიმბოლოს მაინც ჯვარი და ვაზი წარმოადგენს.

ოქროპირიძეები თავისი წარმოშობის გარიჟრაჟზევე ბრწყინვალედ ასრულებდნენ მათდამი დაკისრებულ მისიას. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ოქროპირი თანდათან გვარის ფუნქციას იძენს. ამას გვაფიქრებინებს 1074 წელს დაწერილ ათონის ტყავის წიგნში წმინდანთა, ნიკოლოზისა და თეოდორეს ცხოვრებათა ბოლოს მინაწერი: „..მოიხსენეთ ბერი იოვანე გრძელისძე და იოვანე ოქროპირი და საბა და იოვანე გარერჩელი...“[2]

ოქროპირიძეთა გარდასული ყოფის გაშუქებისთვის მეტად ფასეულია ისტორიის დოქტორის, იოსებ ალიმბარაშვი-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოისა საქართველოისა”, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 370.

[2] თ. ჟორდანია, „ქრონიკები”, I, თბ., 2004, გვ. 166.

ლის მიერ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავ-ლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიკვლეული სამშენებლო წარ-წერა, რომელიც მისი აზრით, წყლულეთის ეკლესიას (XIIს. აგარაკ-წალკის ეპარქია) ეკუთვნის. წარწერა 1850 წლის 3 ოქტომბერს ქვემო ქართლში მოგზაურობის დროს აღმოუჩე-ნია და გადმოუწერია ცნობილ ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს. მეცნიერის აზრით, ამ ჩანა-წერის მნიშვნელობა დღეისათვის უნიკალურია, რადგან ტა-ძარმა ჩვენამდე ძველი სახით ვეღარ მოაღწია (იგი 2005-2008 წლებში აღადგინეს) - წარწერა დაიკარგა. მკვლევრის მიერ წაკითხულ „ჟამსა მეფობისასა თამარისისა“ აგებული ტაძრის დაქარაგმებული ასომთავრული წარწერის მიხედვით, ეკლესიის ქტიტორებად სახელდებიან „გიორგის შვილნი კო-ნსანტინე, გრიგოლ და ბასილა ოქროპ[ირი]ძე“.[1] აღსანიშნავია, რომ ეს მიდამო, როგორც მთლიანად ქვემო ქართლი, XII ს-ის 70-იანი წლებიდან სამეფო სახლის კუთვნილებაა. ცნობი-ლი სიძველეთმკვლევარი გიორგი გაგოშიძე გაკვირვებულია წყლულეთის ტაძრის იშვიათი და მრავალფეროვანი ორნამენ-ტებით. მისი თქმით, ძეგლის მდიდრული დეკორი გვიმტკი-ცებს, რომ „ქტიტორი უეჭველად დაკავშირებული უნდა ყო-ფილიყო სამეფო სახლთან და მათი ვასალი იქნებოდა... ტაძა-რი სამეფო კარის ეკლესია იყო...“[2] აღნიშნულის ირგვლივ საკვლევი ბევრია, თუმცა უდავოა: დოკუმენტური წყაროები, დეკანოზის მემუარები ახალმიკვლეულ ქტიტორულ წარწე-

---

[1] ი. ალიმბარაშვილი, ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწე-რის შესახებ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მა-სალები, გორი, 2015, გვ. 2.

[2] გ. გაგოშიძე, ქვემო წყლულეთის დარბაზული ეკლესია, „საქართ-ველოს სიძველენი“, 2008, №12, გვ. 213-229.

რასთან და სხვა გარემოებებთან ერთად ადასტურებენ ჩვენს თვალსაზრისს „აღმოსავალ დასავალამდე მპყრობელ პატრონ-ში“ და ოქროპირიძეებისადმი მიძღვნილი სიგელის ავტორში დიდგორის შემოქმედი დავინახოთ. ისინი მეცნიერულ ღირე-ბულებასა და მეტ დამაჯერებლობას სძენენ ლიტერატურულ და ფოლკლორულ მასალებს,[1] რომლებიც ოქროპირიძეების ფენომენალურ წარსულს ეხებიან. ცხადი ხდება, რომ გვარის ფორმირების პროცესი XII საუკუნის დამდეგისთვის დასრუ-ლებულია. მისი მესაძირკვლე წინა ეპოქის დისეველი ოქრო-პირია, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. ზემოთქმულით, მკვლევართა დასაბუთებული ვერსიებით იკვეთება: დავითისა და თამარის სამეფო კარზე ოქროპირიძეები ერთგვარი გავ-ლენით სარგებლობენ და სამეფო სახლეულის, ზოგადად, ქვეყნის სულიერ-ზნეობრივი აღმშენებლობის ავანგარდში დგანან. ოქროპირიძეთა შთამბეჭდავი წარსულის კიდევ ერთი მტკიცებაა მოძღვრის ცნობები დისევში ძველთაგანვე არსებუ-ლი საეკლესიო სკოლის შესახებ. მან „დააყენა ფეხზე ჩვენი სწავლა-განათლება... აქ იღებდნენ ბავშვები, ვაჟები, ქალები, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდასა და მწიგნობრობასა... ამ სკოლის საშუალებით გამოჩენილი და სასარგებლო შვი-ლები გამოვიდნენ საქართველოში...“[2] მემუარისტის თქმით, აქ სწავლობდა მისი პაპიდა, XIX საუკუნის 40-60-იან წლებში მოღვაწე ცნობილი მონაზონი ქრისტინე (ერში ხორეშან ბე-სარიონის ასული ოქროპირიძე, 1799-1872). იგი ქალწულო-

---

[1] კ. გამსახურდია, „დავით აღმაშენებელი“, II, თბ., 2011, გვ. 219-220; ი. მეგრელიძე, „სიძველეები ლიახვის ხეობაში”, თბ., 1997, გვ. 30-31; ზ. ოქროპირიძე, „დავით აღმაშენებელი და შიდა ქართლი”, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 2014, №7, გვ. 110-111.

[2] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. V.

ბითგანვე შეუდგა მონაზვნობის გზას. დისევის სკოლის შემდეგ საარქივო მასალების მიხედვით,[1] დედა ქრისტინეს მცხეთის წმინდა ნინოს დედათა მონასტერში გაუგრძელებია სწავლა. წლების მანძილზე იყო მორჩილებაში. 1846 წელს აღკვეცილა მონაზვნად. 50-იან წლებში წინამძღვრობდა მცხეთის სამთავროს მონასტერს. 1859 წლიდან იმერეთის ეპარქიაში სოხასტერის დედათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. შემდეგ მათხოჯის დედათა მონასტერს მართავდა. 1867 წელს დაინიშნა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ლოცვა-კურთხევით გახსნილი მღვიმევის დედათა მონასტრის პირველ წინამძღვრად. დეკანოზის მონათხრობით იგი იყო თავისი დროის ერთი უწარჩინებულესი მონაზონთაგანი. მოულოცია წმინდა მიწა, სინას მთა... სიცოცხლის ბოლო წლები კვლავ მისთვის საყვარელ სამთავროს მონასტერში გაუტარებია. დაკრძალულია იქვე, მონასტრის ეზოში. ბევრ ოქროპირიძეს, მათ შორის საკუთარ ძმისშვილს, ბესარიონს, მიაღებინა კარგი განათლება.

დისევის საეკლესიო სკოლაში უსწავლია და მიუღია მღვდლობა წმინდა ალექსანდრეს მამას, ირ0დიონის ცნობით, მღვდელ ალექსის (მკვლევართა მიხედვით, მღვდელი დავითი). დეკანოზი შენიშნავს, რომ ამ სკოლამ მისცა ბიძგი მღვდლის შთამომავლობას სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობისა.[2] მამა წმინდანისა XIX საუკუნის დასაწყისში ლიახვის ხეობის სათავეში, სოფელ ედისში ოსთა შორის ავრცელებდა ქრისტეს მოძღვრებას. მოძღვარი მისიონერთა იმ ჯგუფის წევრი იყო, ვინც 1820 წელს იმპერიის ხელისუფლების ბრძანებულებით კეთილსინდისიერი მუშაობისათვის სამკერდე

---

[1] სსცსა, ფონდი 489, საქმე N23721; „საპატრიარქოს უწყებანი“, 2016, №13, გვ. 18-19.

[2] დეკანოზი ირ0დიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. V.

ჯვრით დაჯილდოვდა.[1] დისევის სკოლაში მიუღიათ განათლება ლადო (ვლადიმერი) დიაკვნის (1881-1961) მამის პაპას, პეტრე მღვდელს, გაბრიელ დეკანოზის (1824-1905წ.) მამას, მღვდელ დავითს (XVIII ს-ის II ნახევარი და XIX ს-ის დასაწყისი, მათზე ქვემოთ ვისაუბრებთ). ჩანაწერების მიხედვით, სკოლაც და არქიმანდრიტის ადგილიც XIX საუკუნეში გააუქმეს რუსებმა.[2] დისევში სასულიერო სკოლის არსებობა და იქ ქართული ეკლესიის მაღალი იერარქის ყოფნა მოწმობს, რომ სოფელს სულიერი ღვაწლისა და დიდი ტრადიციების გამო ამ მხარეში ერთგვარი რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია ჰქონდა (წინაპართა გადმოცემით, რაიმე დოკუმენტის შესადგენად ან წასაკითხად, მეზობელი სოფლებიდან დისევს სტუმრობდნენ ხოლმე). ქართული ეკლესია თავისი წარმომადგენლის მეშვეობით დისევიდან უძღვებოდა რეგიონის სულიერ განვითარებასა და საეკლესიო მამულების მოვლა-პატრონობის საქმეს. „ჩვენთვის ეკლესია იყო დედაცა და აღმზრდელიც“[3] – წერდა დეკანოზი. მთავარხუცესის დასკვნით, ხსენებული სკოლა იყო ოქროპირიძეების საგვარეულოს განათლებისა და ქართული ეკლესიის ისტორიაში მათი სიჭარბის მიზეზი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს (1861-1921) თქმით, წარსულ საუკუნეებში ოქროპირიძეები უწყვეტად ემსახურებოდნენ ქრისტეს მოძღვრებას. ცნობილი მოღვაწე მოსე ჯანაშვილი (1855-1934) შენიშნავს: „..ოქროპირიძეების გვარმა არაერთი ოქროპირი მოგვცა..“ („საქართველო“, 1919,№42), „..აქ ოქროპირებს აუდგამთ

---

[1] ქ. პავლიაშვილი, „ბესარიონ ფავლენიშვილი’’, კულტურის ისტორიის საკითხები, III, თბ. 1997, გვ.90.

[2] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, „ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს“, ნაწ.V.

[3] იქვე.

ენა, გმირთა კურთხეულ კერას..“[1] წერს დისევის შესახებ ცნობილი პოეტი და საეკლესიო მოღვაწე მიტროპოლიტი თადეოზი† (მირიან იორამაშვილი). დისევი სამღვდელო კადრების ერთგვარი სამჭედლო იყო. XVIII-XX საუკუნეებში 60-ზე მეტი სასულიერო მოღვაწე აღიზარდა გვარში (XIX საუკუნის შუა წლებში დისევში დაახლოებოთ 65 ოჯახი ცხოვრობდა). მათ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ერის სულიერ წინსვლა-აღორძინებაში. ოქროპირიძეების სასულიერო დასს გვირგვინად ადგას წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (1824-1907)- „ოქროპირი არამარტო პირით, არამედ საქმითაც...” („საქართველო“, 1919,№42). იგი 190 წლის წინ ედისში მამის, მღვდელ დავითის (მემუარისტის ვერსიით - ალექსის) სახლის (მოძღვარი ქირით ცხოვრობდა ერთ-ერთი ოსის სახლში, მათი დაჟინებული მოთხოვნით მღვდლის მეუღლეს სახლში არ უნდა ემშობიარა) საჯინიბოში დაიბადა. არსთა გამრიგემ ინება იგი დაბადებითაც დამსგავსებოდა უფალ იესოს და მთელი ცხოვრება მოციქულთამებრ ექადაგა მისი მოძღვრება. მომავალი ეპისკოპოსი 21 წლის ასაკში (1845 წ.) აღიკვეცა ბერად, ეკურთხა მთავარდიაკვნად და ყაზანის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა სამშობლოში. ახალგაზრდა, განათლებული ბერ-მონაზონი მაშინ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარესზე, როცა ერს დაჰკარგვოდა გეზი „მამულის ჩვეულებისამებრ სლვისა“. იდგა ჟამი უღმერთობის, თათქარიძეობის, მონასტრებიდან გალობის ნაცვლად „ყვავ-ბუთა ჩხავილის“... (კ. კეკელიძე). ამ ვითარებაში წმინდა ბერის გამოჩენა დაუეჭვებელი ნიშანი იყო იმისა, რომ „ღმერთს ჯერ კიდევ არ დავვიწყებივართ“ (წმინდა ილია მართალი).

[1] მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი), „ოქროპირიძეთა სამოსახლო“, „აღთქმული გაზაფხული“, თბ., 2012, გვ.132-133.

დამოწმება იყო წმინდა მოციქულ პავლეს სიტყვებისა: **„სადა იგი გამრავლდა ცოდვა, მუნ უფროისად გარდაემატა მადლი“ (რომ. მუხ. 20).** მომავალმა მღვდელმთავარმა მიწიერი სიცოცხლის არსად და მიზნად იმთავითვე უფლის, სამშობლოსა და ადამიანებისადმი სიმდაბლითა და სიყვარულით მსახურება დაისახა. მან ერის გადარჩენის გასაღები სარწმუნოებრივ-ეროვნულ თვითშეგნებაზე დაფუძნებულ სწავლა-განათლებაში დაინახა: საჭირო იყო გავერანებული ტაძრების განახლება, მათში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენა, გალობის აღდგენა, სასწავლებლების დაარსება, ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა... მამა ალექსანდრეს თავგანწირული მოღვაწეობა აფხაზეთიდან დაიწყო (1851 წ). იგი დაინიშნა ახლადდაარსებული ეპარქიის მღვდელმონაზონთა და სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელად. იმავე წელს ილორშიც გახსნა სკოლა აფხაზთა ბავშვებისთვის. ორივეს - ილორის სკოლასაც და ლიხნის სასწავლებელსაც (გაუქმდა 1855 წელს) საკუთრი სახსრებით ინახავს. როდესაც საქართველოს სხვა სასწავლო კერებში იკრძალებოდა ქართული ენა, მისიონერმა იგი აფხაზურთან ერთად რუსულს გაუთანაბრა. ის ასაბუთებდა: ქართული უნდა იყოს ღვთის მსახურების ენა აფხაზეთში, რადგან „სადამწერლობო ენაა... გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება აფხაზეთში არ გაქრება...“[1] მღვდელმთავარი მოუწოდებს ქართველებს „ერთმანეთის სიყვარული იქონიონ და განამტკიცონ ენა ქართული...“[2] აფხაზეთში ეპისკოპოს ალექსანდრეს მოღვაწეობას ეძღვნება პროფესორ ჯ. გამახარიას მონოგრაფია – „წმიდა მღდელმთავა-

---

[1] ჯ. გამახარია, „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი“, თბ., 2006, გვ. 85-86.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №93.

რი ალექსანდრე და აფხაზეთი“, (2006წ.). მასში საინტერე-სოდაა წარმოჩენილი „ქართველთა მამის“ აფხაზური მოღვა-წეობის პერიოდი. ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ: რუსეთისთ-ვის მიუღებელი იყო აფხაზეთში ქართული პოზიციების გაძ-ლიერება. ამ მოტივით 1868 წელს მწყემსმთავარი ჩამოაცი-ლეს ეპარქიას. წმიდა მამის ოფიციალურ თუ კერძო წერი-ლებში იკვეთება სახე იმ ახალი მოძრაობის მეჩირაღდნე-წი-ნამორბედისა ილიამ და მისმა გუნდმა რომ წამოიწყეს 60-იან წლებში. „თერგდალეულთა“ ლიდერმა ბერულ სამოსში შეი-ცნო დიდი მამულიშვილი, ვისაც „ქვეყნის ტკივილით სტკი-ოდა გული“, სრული გამოხატულება იყო მისი ეროვნული იდეალებისა. „მადლით ცხებული განუწყვეტელი სათნოება“ უწოდა წმიდა ილია მართალმა მეუფის ცხოვრებას, ვისი მსგავსნიც „ერთ დროს ყოფილან ჩვენში და ეხლა აღარ არიან“ („ივერია“, 1898, №103). უდავოდ მოძღვრის ამ თვისებებმა განსაზღვრა ახალგაზრდა ილიას არჩევანი – ყოფილიყო მისი სულიერი შვილი. სადაც არ უნდა ემოღვაწევა მღვდელმთავარს (აფხაზეთის შემდეგ ქართლ-კა-ხეთის – 1869-1882; გურიის – 1882-1885, ქართლის – 1886-1898, გურია-სამეგრელოს ეპარქია – 1898-1903 წლე-ბი) მისთვის „წმიდათა წმიდა ორი დიდი საგანი: ერთი ღმერთი და მეორე სამშობლო იყო“ („ივერია“, 1898, №103). მღვდელმთავრის აღმშენებლობით – საგანმანათლებ-ლო მოღვაწეობამ თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. ათეულობით ტაძარი აღადგინა აფხაზეთში, გურიაში, სამეგ-რელოში, აჭარაში, ქართლ-კახეთში, ყურადღების მიღმა არ რჩება მცირე დეტალიც. მისი საზრუნავია მონასტრისთვის საჭირო წვრილმანებიც (ძაფი, მახათი, ვედრო, ცული, ლურ-

სმანი და სხვა). იწერს ყველა შემწირველის გვარ-სახელს.[1] აფხაზეთის გარდა თბილისსა (1878წ) და ოზურგეთში (1885 წ.) აარსებს ქალთა ეპარქიალურ სკოლებს, ფინანსურად ეხმარება თბილისის, ბათუმის, გორის სასწავლებლებს. აწესებს სტიპენდიებს და დახმარებებს საუკეთესო და ღარიბ მოსწავლეთათვის. მას სთხოვენ დაიფაროს გურიის ეპარქია უსამართლობისაგან, დაეხმაროს ეპარქიას ხაზინის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში. დაიცვას სხვადასხვა მონასტრის ბერები მოძალადეებისა და ქურდებისაგან. მიაწოდოს მათ შეშა, სურსათი და სხვა საჭირო საგნები.[2] მეუფის ქველმოქმედება გამაოგნებელ მასშტაბებს აღწევს. ასეულობით ადამიანი – ერი და ბერი, ნაცნობი და უცნობი, ქართველი და არაქართველი, ათეულობით საზოგადოებრივი ორგანზაცია სთხოვს ფინანსურ დახმარებას, სამსახურის შოვნას, მორჩილად მიღებას, მღვდლად კურთხევას, გზის გაყვანას... ხშირია უცნაური თხოვნებიც: დედისთვის პენსიის დანიშვნა, ოჯახური საქმეების მოგვარება, დაკარგული პირუტყვის მოძებნა[3] და ა. შ. მისი შემწეობის იმედი აქვთ ქართველ სტუდენტებს (დაეხმარა არაერთხელ), პატიმრებს: „...მზრუნველი და ნუგეში არავინა გვყავს, ვითარცა ხართ შემწე და ნუგეში მთელი საქართველოისი...“[4] წერდნენ შორეული ციმბირის ციხეებიდან. მოძღვარიც შეძლებისდაგვარად ეხმარება ყველას. ცხადია, არ ივიწყებს მშობლიურ დისევ-კულბითს, გაჰყავს გზები, აღადგენს ეკლესია-მონასტრებს... საყოველთაოდ ცნობილია მისი დამოკიდებულება სიძველეებისადმი. იგი არავის ჰპატიობდა

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №119, 218.

[2] იქვე, საქმე №163, 255, 317, 775, 907, 1391, 1458,1587.

[3] იქვე, საქმე №53, 58, 66, 119, 165, 166, 173, 238, 1441.

[4] იქვე, საქმე №79, 84, 482, 1672.

მათდამი უდიერ მოპყრობას. მან მტკიცე უარი უთხრა გრაფინია უვაროვას მარტვილის სიწმინდეების რუსეთში გატანაზე. მღვდელმთავარმა ლეონიდესთან ერთად დაარწმუნა მოსკოვში მცხოვრები ქართველ ბატონიშვილთა ჩამომავალი გრაფინია ტოლსტაია გადმოეცა ქართველთათვის ოქონის ხატი[1]. მცირე ხანში ხატი სამშობლოში დაბრუნდა. მის არქივში გვხვდება ჩვენი ერისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებისა და იშვიათობად ქცეული ძველი წიგნების ვრცელი ჩამონათვალი მოკლე აღწერილობებით. სიის ბოლოს მინაწერია – „на 1000 р.“[2] ირკვევა, ამ თანხით იგი თანმიმდევრულად აპირებდა მათ დაბეჭვდას, რასაც კიდევაც აფიქსირებდა ზ. ჭიჭინაძისადმი მიწერილ წერილში.[3] ჯერ კიდევ აფხაზეთიდან დაიწყო ქართული გალობისთვის ზრუნვა და საუკუნის მიწურულს დააგვირგვინა მნიშვნელოვანი ნაწილის ნოტებზე გადაღებით. ილია, იაკობი, დ. ყიფიანი, ზ. ჭიჭინაძე და სხვები მადლობას უხდიან მას დიდი მამულიშვილობისთვის. „თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ... არ არის არცერთი საქმე, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს...“[4] „ქართველებმა თქვენ ქართველთა მამა გიწოდეს... თქვენ პირველი ბრძანდებით...“ (ზ. ჭიჭინაძე). მისი თანამედროვეებისათვის იგი იყო „აფხაზეთის მეორე მოციქული“, „ალექსანდრე აღმაშენებელი...“, „ახალი შიო“.

წმინდა მღვდელმთავარმა თავისი ცხოვრებით გვიჩვენა, რომ ღვთისკენ სავალი გზა ყველასთვის ხსნილია, ოღონდ

---

[1] „ივერია“, 1903, №38, 1905, №19.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №1836.

[3] ზ. ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, თბ., 1907, გვ.105.

[4] „ივერია“, 1898, N103.

იგი ვიწროა და ეკლიანი. ადამიანის განღმრთობა, უფალთან თანაზიარობა შესაძლებელია მხოლოდ გრძნობად-მატერიალურის თანდათანობითი შეზღუდვით, სულიერი ნათელხილვის მოპოვებით ანუ განათლებით. იგი არა მხოლოდ წიგნით, არამედ უპირველესად ღვთის დაუცხრომელი ძიებით მიიღწევა. წმინდა მღვდელმთავარს ერთ-ერთი რუსულენოვანი წერილის სტრიქონებს შუა ფანქრით მიუწერია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.[1] მას სამართლიანად მიაჩნია, რომ ეს აფორიზმი და მთლიანად „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტეს მცნებებზეა დაფუძნებული. მწყემსმთავრისა და დიდი შოთასთვისაც „სახელის მოხვეჭა“ არა ადამიანის განდიდებას, არამედ სულიერებით გამდიდრებას, უფლის, მამულისა და მოყვასისათვის თავგანწირვას ნიშნავს. იგი ქრისტიანისათვის ერთადერთი საშუალებაა სასუფევლის დამკვიდრებისა. „ყოველი მოსახვეჭელი“ კი ბიწიერებაა, სულის ცხონების მტერია. მღდელმთავარმა თავისი მოღვაწეობით დათრგუნა საწუთისოფლო ვნებები, მიაღწია უვნებობას და სიწმინდეს. მოძღვარი მთელი ცხოვრება მოუწოდებდა ერსა და ბერს – მდიდარ ქართველობას, დაეძლიათ უსარგებლო სიმდიდრით ტკბობა, კაცის სულისა და გონების დამაბნელებელი სიძუნწე. მეუფის ქადაგებები ხშირად უსიამოვნო იყო მავანთათვის, მაგრამ სასარგებლო დაავადებული საზოგადოებისათვის. იგი მღვიძარე მწყემსი იყო „ცხოვართა თვისთათვის“. მოყვასისადმი სიყვარულმა ათქმევინა მწარე სიმართლე რუსული იმპერიის ქართველი მაღალჩინოსნის, ლევან მელიქიშვილის დაკრძალვაზე (1892). ჭირისუფლები ეპისკოპოსისაგან განსვენებულის მიმართ საქებარ სიტყვებს ელოდნენ, მაგრამ პირიქით, მღვდელმთავარმა საჯაროდ გააკრიტიკა მიცვალებული.

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №119.

ცნობილი მოღვაწის, იაკობ მანსვეტაშვილის (1855-1939) თქმით, გარდაცვლილ ლევან მელიქიშვილს ქება-დიდებას ასხამდა ყველა... გამოვიდა ალექსანდრე ეპისკოპოსი, კაცი მართალი, პირში მთქმელი, და თქვა: „დიდი შეძლების იყავ... მხოლოდ რა სიკეთე დასთესე ამ ქვეყნად... არაფერი შესწირე შენს სამშობლოს...“ ატყდა განგაში... ეს სიტყვები „ივერიაში“ დაიბეჭდა – გაზეთი კინაღამ დახურეს...“[1] ანალოგიურად დატუქსა ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმავე წელს სიღარიბეში გარდაცვლილი ცნობილი მოღვაწის ივანე კერესელიძის (1829-1892) დაკრძალვაზე: „ცოცხალს მშიერს ვკლავთ და როცა მოკვდება ვგლოვობთ... მარტო ლაპარაკი არ კმარა... ქართველ შეძლებულებს დაავალეთ საწყალი ქართველი ხალხის პატრონობა, თორემ დავიღუპებით...“[2] ამას მოძღვარი შეძლებულ გვამთა გასაგონად ამბობდა, ვინც მამულისა და მოყვასის ტკივილს არად აგდებდა. მისი სიმართლის მოყვარეობა, „სიბრძნის სათავე ღვთის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაჰყვებათ თან“ (სიბრძნე ზირაქისა, I. 14). რწმენის გაძლიერება პირდაპირ კავშირშია ადამიანური სისუსტეების მხილებასთან, სიმართლის დაცვასთან, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს იგი. სულის ცხონება სიმართლეზე გადის.

მრავალმხრივი მოღვაწეობის პარალელურად მწყემსმთავრის თვალი ათონის წმიდა მთისკენაა მიპყრობილი. იგი და ათონის ივერონის ბერები მუდმივად ეხმიანებიან, დღესასწაულებს ულოცავენ ერთმანეთს. მხცოვანი მოძღვარი აგროვებს

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 105; ზ. ჭიჭინაძე, „გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე“, ტფ., 1903, გვ. 44-45.

[2] ზ. ჭიჭინაძე, გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ტფ., 1903, გვ. 45.

მათთვის შესაწირს, უგზავნის თავის დაბეჭდილ წიგნებს, ეხმარება წმიდა მთაზე გამგზავრების მსურველთ.[1] მეუფეს საქართველოშიც სურდა ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის გაძლიერება, რომელიც იმ დროისათვის დაკნინებული იყო. მისმა პირადმა მაგალითმა არაერთი ღვთისმოსავი მოღვაწე შესძინა ღარიბ ქართულ საბერმონაზვნო დასს. მათ შორის საკუთარი ძმისშვილი და ძმისშვილისშვილი: ლეონიდი და პიროსი. (ერისკაცობაში ლონგინოზ და მათე ოქროპირიძეები. ლონგინოზი 1887 წელს კიევის სასულიერო აკადემიის მესამე კურსზე სწავლის დროს აღიკვეცა ბერად – ეწოდა ლეონიდი, მათე კი - იმავე აკადემიის დასრულებისთანავე - 1900 წელს – პიროსი). ისინი ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდნენ საქართველოში და აქტიურად ჩაებნენ ეროვნულ-საეკლესიო მოძრაობაში. ლონგინოზს და მათეს ადრევე ჰქონიათ ბერობის აღთქმა[2] დადებული გამზრდელ ბიძასთან. მზცოვან მოძღვარს ეიმედებოდა მათი და ხელს უწყობდა ფართო განათლების მიღებაში. სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ წმინდა ეპისკოპოსის, ლეონიდისა და პიროსის მამები, ძმები, ბიძაშვილები: ალავერდში მოღვაწე ბერმონაზონი სილვესტერი – უფროსი ძმა წმინდანისა, ცნობილი მკაცრი ასკეტური ცხოვრებით. მღვდლები: გიორგი, სოლომონი, (ლეონიდის მამა) და ანდრია, ზურაბი – მედავითნე და დიაკვანი. ლეონიდეს ძმები – მოძღვრები დავითი და ივანე (პიროსის მამა), დეკანოზი ილარიონი. ცნობილი მღვდელი იყო პიროსის ძმა – ლუკა. წმინდა ალექსანდრეს სულიერმა სისპეტაკემ დიდად განსაზღვრა მისი კიდევ ერთი ძმის შვილის – ახალგაზრდა ანას მონაზვნად აღკვეცა: „...აღიღე ჯვა-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №305, 1747, 869, 1492.

[2] იქვე, საქმე №386.

რი ქრისტესი და შეუდექი მოლოზნობასა... რათა უარჰყო ესე წუთისა სოფელი, ადიდო უფალი და აცხოვნო სული შენი“...[1] წერდა საყვარელ ძმისშვილს ბიძა.

ბერ-მონაზონ ლეონიდეს მოღვაწეობაში სარწმუნოებრივ-ეროვნული საკითხები წმინდა მოღვაწეთა – ილიასა და მისი მოძღვრის მსგავსად ერთ მთლიანობადაა ქცეული. ამის დასტურია ლეონიდეს მეტად საინტერესო მოგონება, რომელიც ეხება დავით ერისთავის (1847-1890წ) პიესა „სამშობლოს“. მისი თქმით, ბიძას, „ტიპიურ მატარებელს უძველეს ასკეტურის მსოფლხედვისა“ „სამშობლოს“ კითხვის გამო იგი სასტიკად გაუკიცხავს: „...რა შენი ხელობაა სათეატრო წიგნები. ფუ, შენს ბერობასაც და განათლებასაც... ბიძას შევევედრე: ხუთ წამს მიგდეთ ყური... მოხუცებული მძლავრად მოიცვა დრამის შინაარსმა... ზექვეყნიური სახე შეიმოსა, ცრემლები გადმოეკიდა... მეორე დღესვე დაიბარა სემინარიის მოწაფეები, უბოძა მათ ფული და დაავალა წასულიყვნენ თეატრში, როცა „სამშობლო“ დაიდგმებოდა...“[2] წმიდა ილია მართალს „კაცებით ღარიბ ქვეყანაში“ დიდ ღვაწლად მიაჩნია ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან იმისთანა შვილის გაზრდა, „როგორიც ახლად ნაკურთხი ლეონიდეა... იგი განძია და შევხარით სასოებით და იმედით...“ („ივერია“, 1898, №103). ბერ-მონაზონმა ლეონიდემ სრულიად გაამართლა ბიძისა და „თერგდალეულთა“ ლიდერის იმედები. დიდია მისი დამსახურება ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში. მან აკადემიაში სწავლის ბოლო წელს გაიგო ბიძისაგან, რომ სასულიერო უწყება მას სამისიონერო მოღვაწეობისთვის ამ-

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №1588.

[2] დ. ერისთავი, „სამშობლო”, ს. გერსამიას რედაქციით, თბ., 1947, გვ. XIV.

ზადებდა საინგილოსა და ქობულეთში (აჭარაში). ლეონიდემ უდიდეს პასუხისმგებლობად მიიჩნია მისიონერობა, თუმცა ღვთის ნებად ჩათვალა იგი. „თქვენი სიტყვა, მიმართავს ბიძას, აღმავსებს შიშით, კრძალვით, მაგრამ იდიდოს ღმერთი! ვერ აღვუდგები ღვთის განგებას“.[1] წმინდა ალექსანდრესაგან ქობულეთში მისი მომავალი მისიონერობის ცნობამ წარსული გაახსენა ახალგაზრდა ბერ-მონაზონს. ბავშვობაში იგი ეპისკოპოსს ქობულეთში წაუყვანია. იქ ნანახს, ძველი „თეთროსანი“ ეკლესიის ნანგრევებს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე. როგორც წერს, მისი სული და გული ქობულეთში დარჩა. ყმაწვილ ლონგინოზში ბერობის სურვილს მისიონერობაზე ფიქრიც დაემატა. ამიტომ მიიღო დიდი კრძალვითაც და სიხარულითაც ეს წინადადება. ახალკურსდამთავრებული მოძღვარი ასაბუთებდა, რომ მისიონერები აუცილებლად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. რუსებმა კავკასიელების არც ენა იციან და თავისი დამპყრობლური ქცევებით „აფრთხობენ ხალხს“, ქართველები კი შინაურები ვართ კავკასიელთათვის“.[2] სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1888 წელს, იგი დაინიშნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორად, მთავარ მისიონერად. ენერგიულმა და პატრიოტმა ბერ-მონაზონმა თავისი მოღვაწეობით სწავლის სურვილი აღუძრა ქართველ მთიელებს, ინგილოებს, აჭარის, ლიახვის ხეობის მოსახლეობას. იგი თითოეულ ხეობამდე, ოჯახამდე მიდიოდა. მისი მეცადინეობით გაიხსნა სკოლები ფშავ-ხევსურეთში, ქისტეთში, საინგილოში, ლიახვის ხეობის ქართულ და ოსურ სოფლებში, ჩრდილო კავკასიაში. „...პირველად მე წავაკითხე „დედაენა“ მთის შვი-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №1202.

[2] იქვე.

ლებს, მე ავამღერე ჰანგზე დაბეჩავებული ჩემი მოძმენი“[1] – წერდა იგი. მისიონერის ძალისხმევის შედეგად მთის სოფლების მღვდლებს ჯამაგირები დაეგზავნათ. საინტერესოა მამა ირადიონის ცხინვალში დაპატიმრების დროინდელი (1920) ერთი მოგონება. ვლადიკაკვკაზში გადაყვანილი ტყვე მოძღვარი უცვნია ერთ ოს მღვდელს, რომელსაც იქაურებისთვის ასე წარუდგენია დეკანოზი: „მისიონერი ლეონიდე ოქროპირიძე რომ იყო აქ და არდონში სემინარიის დაარსებაზე რომ მოგვეშველა, ეს იმისი ბიძაშვილიაო. ოსებმა დიდი მადლობით მოიხსენიეს ლეონიდე, იმან ჩვენ და ჩვენი შვილები ქრისტიანობაზე დაგვაყენაო.[2] ამ ფაქტმა დატყვევებული მოძღვრისადმი სიკეთით განაწყო ჩრდილოელი ოსები, რომელთაც სამხრეთელი თვისტომები ქართველებისადმი უმადურობაში დაადანაშაულეს. ბიძა-ძმისშვილი მთელი სიცოცხლე მფარველობდნენ აჭარას. აგებდნენ, აკურთხებდნენ ეკლესიებს, ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს,. ცნობილია, როგორი სითბოთი და სიყვარულით შეხვდა ალექსანდრე ეპისკოპოსი აჭარის შემოერთების აღსანიშნავად ბათუმიდან თბილისში ჩამოსულ დელეგაციას. ლეონიდე ყველას მოუწოდებდა ქობულეთში „აენთოთ ქრისტიანობისა და მწიგნობრობის ლამპარი“, მისი მეცადინეობით თბილისის ქართულ გიმნაზიაში ჩარიცხეს ქობულეთელი მაჰმადიანი ბავშვები სტიპენდიის უზრუნველყოფით. პედაგოგებს აფრთხილებდა სათუთად მოპყრობოდნენ მათ, რათა უცხოდ არ ეგრძნოთ თავი. 90-იანი წლები ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერია მის მოღვაწეობაში. მისიონერობის პარალელურად არის ქართლ-კახეთის სინოდალური კანტორის წევრი, ზედაზნის, ხირსის, დავით გარეჯის, იოანე

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921 წ.), თბ., 2000, გვ. 4.

[2] დეკანოზი ირადიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. II.

ნათლისმცემლის მონასტრების წინამძღვარი. 1898 წელს აკურთხეს გორის ეპისკოპოსად. (მანმადე, 1892 წელს ებოძა იღუმენის, 1893 წელს კი - არქიმანდრიტის ხარისხი). იმავე ხანებში ინიშნება საღვთო წიგნების გამსწორებელი და სვეტიცხოვლის განმაახლებელი კომიტეტების თავჯდომარედ. დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის საეკლესიო სიძველეთსაცავის მოწესრიგებასა და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებაში (1890 წ).

წმინდა ალექსანდრეს მსგავსად მართლმადიდებლობის მთავარ საყრდენად ლეონიდიც ბერ-მონაზვნობას მიიჩნევდა. აქტიურად ურთიერთობდა ათონის ქართველ ბერებთან, სთხოვდა სამშობლოში დაბრუნებას.[1] მეუფე ფიქრობდა მათი მეშვეობით ტრადიციული მონასტრული ცხოვრების აღდგენას. მისი აზრით, ქართულ მონასტრებში რუსულის ნაცვლად მოწესრიგებული ათონური ტიპიკონის შემოღება რამდენადმე გამოასწორებდა საქმეს. 1900 წელს რამდენიმე ათონელი ბერი მართლაც ჩამოვიდა საქართველოში. ისინი სამოღვაწეოდ დავით გარეჯის მონსატერში განმწესდნენ. 1900 წლიდან ეპისკოპოსი ლეონიდე იმერეთის ეპარქიას მართავს. ცნობილი მეცნიერი ალ. ხახანაშვილი (1864-1911) მოსკოვიდან ულოცავდა ეპისკოპოსობას და სთხოვდა ეპარქიაში მოგზაურობის დროს იგიც თან ხლებოდა.[2]

ეპისკოპოს ლეონიდეზე შემაძრწუნებლად იმოქმედა დიდი ილიას მკვლელობამ. უამრავ გვირგვინსა და წმინდა ხატს შორის ილიას ცხედარს ამკობდა მეუფის მიერ საგანგებოდ შექმნილი მაცხოვრის ვერცხლის ხატი წარწერით: „საქართველოს მშვენებას, თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს

---

[1] გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, N1-2, გვ. 24-31.

[2] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, არქიმანდრიტ ისე სუხიშვილის ფონდი, ხ. №3253.

ეპ. ლეონიდისაგან...“[1] მღვდელმთავარმა ბოლომდე უერთგულა ილიას კუბოსთან დადებულ ფიცს – არ ჩამოეხსნა „მძიმე ტვირთი ქართველობისა“. ილიას, ალექსანდრე ეპისკოპოსისა და სხვათა მიერ წარმოებული უზარმაზარი აღმშენებლობით-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მტკიცე საფუძვლად დაედო მისი და ეპისკოპოს კირიონის თაოსნობით 900-იან წლებში გაჩაღებულ ავტოკეფალურ მოძრაობას. ქართველმა მღვდელმთავრებმა რუსეთის უწმინდესი სინოდის კრების წინარე თათბირებზე (1906წ.) იმპერიის მესვეურებს მწვავე დებატებში დაუმტკიცეს ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობა - გაიმეორეს ათასწლეულის წინ გიორგი მთაწმინდელის გმირობა. 1907 წლის 30 იანვრის წერილში ეპისკოპოსი ლეონიდი კირიონს წერდა: „ჩვენ უნდა დავაბოლოვოთ ჩვენი ნამოქმედარი... დავარღვიოთ მთელი მაგათი მოსაზრება...”[2] წმინდა კირიონის შეფასებით, ძალზე მტკივნეული იყო რუსებისთვის „ლეონიდის მოხსენება, თუ როგორ დასცა საქართველოს ეკლესია ეგზარქოსების მართვამ...“[3] დევნა-შევიწროების მიუხედავად მეუფე აგრძელებდა ბრძოლას, მიყუჩებულ საზოგადოებას აქტიურობისა და გაერთიანებისკენ მოუწოდებდა: „დაეცა სარწმუნოება, ისპობა ეკლესია! აღარ გვარგია ცალცალკე ყოფნა და ხმის ამოუღებლობა...“[4] წერდა 1907 წლის 5 აპრილს მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს. სასულიერო

---

[1] ი. ჭავჭავაძე, საარქივო გამოცემა, „ლექსები, პოემები, თარგანები, ჩანაწერები“, შემდგენელ-გამომცემელი თეა თვალავაძე, თბ., 2000, გვ. 497.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ფონდი, საქმე №894.

[3] ეპისკოპოსი კირიონი, „მამაო წმიდაო”, ჯვარი ვაზისა”, 1990, №3, გვ. 57.

[4] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხ. №15863.

და საერო პირებს მიმართავდა გასაგებად აეხსნათ ხალხისთვის ავტოკეფალიის არსი. დიდ აკაკის სთხოვდა თავისი ლექსებით შეწეოდა ავტოკეფალურ მოძრაობას. ეგზარქოსები განსაკუთრებით მტრობდნენ ლეონიდსა და კირიონს. ნიკონმა (სოფიისკი, 1906-1908) უმაღლეს ხელისუფლებას საიდუმლოდ უპატაკა, რომ ლეონიდი იყო სულის ჩამდგემელი ავტოკეფალური მოძრაობისა, მოთავე 1905 წლის სამღვდელოების შეკრებისა. დეკანოზ ირ0დიონის ცნობით, ეპისკოპოსს შორეული სოლოვკის კუნძულებზე უპირებდნენ გაგზავნას. იმავეს ადასტურებს პეტერბურგიდან 1906 წლის მარტში მღვდელმთავრის მორჩილის, ვანო სუხიშვილის წერილი მოწამეთელი ბერებისადმი. საპასუხო წერილში ქართველი სასულიერო პირები სთხოვენ ვანოს „ბატონს არ მოშორდეს გვერდიდან, რამე ხიფათს არ გადაჰყარონო“. მოსალოდნელ საფრთხეზე ძმისშვილს აფრთხილებს ალექსანდრე ეპისკოპოსიც. სთხოვს, მალე დაბრუნდეს პეტერბურგიდან სამშობლოში, რადგან არასასიამოვნო ამბებს წერენ მასზე.[1] ჩანს, ხიფათი რეალური იყო. კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი მართლაც გადაასახლეს რუსეთში, ლეონიდე ძლიერ შეავიწროვეს, ჩამოაცილეს იმერეთის ეპარქიას და გურია-სამეგრელოში გადაიყვანეს, სადაც ნესტმა და ჭაობმა ჯანმრთელობა შეურყია. 1915 წლის ბოლოს ეპისკოპოს ლეონიდეს კვლავ აბარებენ წმინდა შიოს მონასტერს (რომელსაც ეგზარხოსმა ინოკენტიმ იძულებით ჩამოაშორა), სადაც ეგულებოდა „ქვეყანაზე უძვირფასესი ბიძის საფლავი“. აღსანიშნავია ამ მონასტრისადმი ოქროპირიძეების დამოკიდებულება. ეპისკოპოსი ალექსანდრე ათეული წლები ზრუნავდა მის აღსადგენად. მი-

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, **ხ.** №3254, 3262; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №349.

სი ძალისხმევით 1887 წლიდან იგი დამოუკიდებელ, მაგრამ უშტატო მონასტრად ჩამოყალიბდა, დაფინანსების გარეშე. ამ დროიდან წმიდა სავანეს ერთურთის მონაცვლეობით მართავენ და საკუთარი შემოსავლებით ინახავენ მღდელმთავრები ალექსანდრე, ლეონიდე და პიროსი, ლეონიდი სამეგრელოდან გზავნიდა საკუთარ ფინანსებს ბიძის საფლავისა და მონასტრის მეურნეობის მოსაწყობად, ბერების შესანახად. მოსწრებულად ბრძანა მკვლევარმა ლუარსაბ ტოგონიძემ – შიომღვიმე ბოლომდე, 1918 წლამდე დარჩა ოქროპირიძეების საკუთრებადო.

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია 1917 წლის გაზეთში „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ „მორწმუნეს“ ფსევდონიმით დაბეჭდილმა წერილმა, რომელშიც მკაცრად იყო მხილებული ეგზარქოსისა და მისი კეთილმოწესეების ვერცხლისმოყვარეობა. მოგვიანებით, პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ, უკვე არქიმანდრიტი ისე (ყოფილი მორჩილი ვანო სუხიშვილი) დაწერს: „მორწმუნე“ – ფსევდონიმით თავად ლეონიდი იყოვო“. ლეონიდისა და მისი თანამოაზრეების პრინციპულმა ბრძოლამ შვა მცხეთის 1917 წლის 12 მარტის ისტორიული აქტი. სიმბოლურია, რომ უფალმა სწორედ მას, დიდ ქართველ მეფე – კათოლიკოსთაგან სვეტიცხოველს შეწირული სოფლისა და გვარის შვილს, ქართველ მღვდელმთავართა შორის გამორჩეულს აკუთვნა წილად პატივი დედა ეკლესიის ამბიონიდან სრულიად საქართველოსთვის ემცნო საუკუნეზე მეტი ხნის მონობისაგან ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გათავისუფლება. ბევრზე მეტყველებს ისიც, რომ იმავე წლის სექტემბერში შემდგარ კათოლიკოს-პატრიარქის ისტორიულ არჩევნებში კენჭს იყრიდნენ მთავარი ავტოკეფალისტები, საოქროპირო მამულში აღზრდილი მამულიშვილები, მიტროპოლიტი ლეონიდი და ეპისკოპოსი კირიონი (1855-

1918). გვარის უხუცესთა გადმოცემით, ისინი ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს. პატარა გიორგის სიყმაწვილის გარკვეული წლები დისევში-დედულეთში აქვს გატარებული პაპასთან, მღვდელ დავითთან. დედამისი დარია დავითის ასული ფრიად განათლებული ქალბატონი იყო (კირიონის დედად დარია დავითის ასულს ასახელებს ცნობილი მკვლევარი, აწ გარდაცვლილი ვახტანგ გურგენიძე).[1] დარიას ძმის – გაბრიელ დეკანოზის შთამომავალთა საოჯახო არქივში წმ. კირიონისა და მისი მამის, მღვდელ იორონიმე საძაგლიშვილის არაერთი ფოტო ინახება. ერთ-ერთზე ეპისკოპოს კირიონს მიუწერია: „სახსოვრად ბიძას, მღვდელ გაბრიელს ეპისკოპოს კირიონისაგან.“ მამა გაბრიელის შვილიშვილი, მღვდელი ალექსანდრე (1879-1959) ამბობს: კირიონი პაპაჩემის დისშვილიაო.[2] გაურკვეველი მოსაზრების გამო მკვლევართა უმეტესობა ამ საკითხზე დუმს. სხვათაშორის, მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე მონაწილეობდა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში (არჩევნებში ხმის უფლებით მონაწილეობდნენ ასევე ეპისკოპოსი პიროსი და დეკანოზი ირ0დიონი). მას ხმა მიუცია თავისი პაპიდაშვილის, ეპისკოპოს კირიონისათვის, რასაც მცირედი წყენა გამოუწვევია ოქროპირიძეებში (არჩევნების დღეს გადაღებულ ცნობილ ფოტოზე ალექსანდრე მღვდელი კათოლიკოს კირიონის წინ ზის). არჩევნებში 11 ხმით გაიმარჯვა ეპისკოპოსმა კირიონმა (თუმცა დეკანოზ ირ0დონის თქმით, „კირიონს 3 კენჭით მეტი ამოუვიდა“).[3] მათ ერთად იღვაწეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობი-

---

[1] ვ. გურგენიძე, „წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში“, II, თბ., 1997, გვ. 87.

[2] ი. მეგრელიძე, „სიძველეები ლიახვის ხეობაში“, II, თბ., 1997, გვ. 30.

[3] დეკანოზი ირ0დიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. III.

სათვის. კირიონისათვის ლეონიდი მუდამ იყო ყველაზე „რიგიანი ბერი“ საქართველოში. ისევე, როგორც მისთვის კირიონი - „სასიქადულო მწყემსმთავარი“, „გიორგი მთაწმინდელსავით მაღალგონიერი მეცნიერ-მამულისშვილი.“[1] ისე მოაწყო განგებამ, ერთი უღლის გამწევნი ერთგვარ მოცილედ შეიქმნენ პატრიარქის ტიტულისა. სამწუხაროდ, მტრებმა შეძლეს მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა, რასაც ხელს უწყობდნენ ორივე მხრიდან ე.წ „კეთილისმყოფელი“ პირებიც. პატრიარქ კირიონის ვერაგული მკვლელობით ავისმქნელებმა ერთი – უდიდესი მოღვაწე მოიშორეს თავიდან და მეორე – მოახერხეს ქართული ეკლესიის, მისი ყველაზე ამაგდარი მღვდელმთავრის დისკრედიტაცია. შეგნებულად აგორებული ჭორ-მართლის გამო საუკუნეა გრძელდება იჭვნეული დამოკიდებულება (მკვლელობასთან ლეონიდის სახელის დაკავშირება) ქართული ეკლესიის „განძის“, „რიგიანი ბერის“ სახელის მიმართ. ეს თემა ძალიან ფაქიზია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა საშვილიშვილო ცოდვა არ ჩავიდინოთ. მტერი – შინაური თუ გარეული იმთავითვე არ აკლდა ლეონიდეს. სოფრომ მგალობლიშვილი უმადურობას უწუნებდა ქართულ საზოგადოებას და შეახსენებდა მეტი ყურადღება გამოეჩინათ ... „25 წლის ღვაწლით ეკლიან გზაზე მავალი უმოწყალოდ დევნილი“[2] მღვდელმთავრისთვის. წინასწარმეტყველურად ჟღერს დიდი ილიას სიტყვები ეპისკოპოს ლეონიდეზე, რომელსაც „დიდი და ეკლიანი გზა უდევს წინ... გზა თავის გა-

[1] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, “სიტყვანი და მოძღვრებანი“, I. ფოთი, 1914, გვ. 143.

[2] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხ. №3289.

წირვისა... წამებისა... ნამეტნავად ჩვენში, საცა უმადურობა და კილვა ისე ხშირია, როგორც არსად...“[1]

1919 წლის 23 თებერვალს მისი პატრიარქად კურთხევა ეროვნული ძალების ზეიმად იქცა. ყველა ერთხმად მიიჩნევდა, რომ პატრიარქი ლეონიდი გამოაცოცხლებდა „ჩვენი ეკლესიის მოდუნებულ მაჯისცემას“, „სახელოვნად გაუძღვებოდა მისდა მიბარებულ მშვენიერ საწმყსოს...“ („საქართველო“ 1919, №42). საოცარი ლექსი უძღვნა უწმინდეს პატრიარქს ერისთვის თავშეწირულმა მამულიშვილმა, უნიჭიერესმა პოეტმა მიხა ხელაშვილმა (1900-1925):

„ვიკადნიერეთ მოწერად გახარებულთა გულითა...
გავბედეთ, გავკადნიერდით სამშობლოს სიყვარულითა...
ვმადლობ ღმერთს, ყოველთ შემქნელთა – მოგვხედა
სიბრალულითა...
თქვენ - უწმინდესსა მოგმართეთ სასოებითა სრულითა...“[2]

ურთულეს ვითარებაში კათოლიკოსი ენერგიულად შეუდგა ეკლესიის მართვა-გამგეობას. 1919 წლის ოქტომბერში თითქმის საომარ მდგომარეობაში მყოფ აფხაზეთში ჩასვლით, მოახერხა სიტუაციის დამშვიდება და იმ ეტაპზე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დედაეკლესიის წიაღში დარჩენა. 1917 წელს რუსეთის პატრიარქ ტიხონის მიერ უწმინდესი კირიონისადმი მოწერილ საქართველოს ეკლესიისათვის მეტად შეურაცხმყოფელ წერილს (კირიონმა არ უპასუხა მას) პარტრიარქმა ლეონიდემ ეკლესიური კანონიკისა და სამართლის ღრმა ცოდნით გაჯერებული ეპისტოლე[3] შეაგება და გააცამტვერა

---

[1] „ივერია“, 1898, N103.

[2] მ. ხელაშვილი, „კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს“, „სიტყვა ლექსებად ნაქარგი”, თბ., 2013, გვ. 251.

[3] პატრიარქ ლეონიდეს ეპისტოლე რუსეთის პატრიარქ ტიხონის მიმართ, „ჯვარი ვაზისა”, 1990, №3, გვ. 64-77.

ტიხონის ბრალდებები. ქართული ეკლესიისა და მისი მეთაურის წინააღმდეგ ინტრიგები პატრიარქობის ჟამსაც გაგრძელდა. სიტუაცია თითქოს სასიკეთოდ უნდა შეცვლილიყო თავისუფალ საქართველოში, მაგრამ ხელისუფლებაში ბედის ირონიით მოსული მსოფლიოს მუშათა კლასის ბედზე მოვიშვიშე სოც-დემოკრატებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ეთანამშრომლა ისეთ ინსტიტუტთან, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა ქართველი ერის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ეპისკოპოსი ლეონიდი ჯერ კიდევ 900-იან წლებში შესთხოვდა უფალს დაეხსნა სამშობლო „ამგვარ მანკიერ შვილთაგან". მიუხედავად ამისა, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი ეცადა ჟორდანიას მთავრობასთან ურთიერთობის დალაგებას, მაგრამ ამაოდ. მათმა წინდაუხედავმა ნაბიჯებმა, ეკლესიისათვის მიწის, ყველანაირი ქონების ჩამორთმევამ, სკოლებიდან საღვთო სჯულის გამოდევნამ, ტაძრებიდან განძეულის ხაზინაში გადმოტანამ და სხვა ქმედებებმა უკიდურესად აღაშფოთა ქართული საზოგადოება და პატრიარქი ლეონიდი. მან პირადად ნოე ჟორდანიას „უღრმესი გულისწყრომა და უსასტიკესი გაკიცხვა" („საქართველო", 1920, 10 XII) გამოუცხადა. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე (1873-1933) თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ავტოკეფალიის გამოცხადებამდე იგი ხვდებოდა ნოე ჟორდანიას და იღებდა მისგან „პოლიტიკურ დირექტივებს".[1] ლეონიდე მიუღებელი იყო რ.ს.დ.მ.პ-სთვის და ეს „დირექტივები" ალბათ მის წინააღმდეგაც იქნებოდა მიმართული (მოგვიანებით მოქალაქე-მღვდელი პატრიარქ ლეონიდეს ჟორდანიასთან საუბრის „ტაქტსა და ფორმასაც" დაუწუნებს). დეკანოზ ნიკიტას უაღრესად ტენდეციური და წინააღმდეგობრივი დღიურები გვაეჭვებს მისი ქმედე-

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან", ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2013, გვ.73.

ბების სიწრფელეში: „12 ხმა მე დავუკარგე ლეონიდეს... თაღლითობა არ გამიწევია-ო.“[1] მემუარების მიხედვით, პატრიარქმა ლეონიდემ უპატრონოდ მიატოვა და გაანიავა ეროვნული განძი (არადა სწორედ ლეონიდის დამსახურებაა განძის დროული გადატანა ქუთაისში), ჩაიჯიბა ბევრი ფული, მთავარი – პირდაპირ თუ ირიბად კავშირშია კირიონ II-ს მკვლელობასთან და ა. შ. სხვა წერილში წერს, რომ ლეონიდი იყო „კარგი მქადაგებელი, მოყვარული თავისი ერისა და ეკლესიისა, მებრძოლი ავტოკეფალიისთვის...“[2] როგორ დავაკავშიროთ „ერისა და ეკლესიის მოყვარული“ მღვდელმთავარი მკვლელობასთან? ეკლესიის ძარცვასთან? დეკანოზის თქმით, 1920 წელს საკათალიკოსო საბჭოდან იმის გამო გააძევეს, რომ იგი და ეპისკოპოსი ანტონი ეკლესიაში გადატრიალებას აწყობდნენ. რამდენად მიზანშეწონილი იყო ეს ქმედება, ე.წ. „განახლების ჯგუფის“ შექმნა, რომელიც კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას, ან მიტროპოლიტ ლეონიდეს კათოლიკოსად არჩევაზე უარის თქმა, რასაც ეროვნული ძალების უდიდესი ნაწილი ოკუპაციის ზღვარზე მყოფი ქვეყნისათვის გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევდა? სინამდვილეში „ფულებით ჯიბეგამოტენილ“ პატრიარქს წმიდა ალექსანდრეს მსგავსად „სციოდა და არ თბებოდა, სწყუროდა და არ სვამდა, შიოდა და არ ჭამდა...“ 1919 წლის ზამთარში იგი მღვდელ ისე სუხიშვილს წერს: „აქ ისეთი სიძვირეა, რომ სულ აღარ შეიძლება ცხოვრება, რაც შენ წახვედი ჩემი სახლი აღარ გამთბარა...“ უწმინდესმა წყაროს წყლის მიღებაზეც უარი განაცხადა.[3] მეუფე ეფრემის (სიდამონიძე, 1896-1972, საქართვე-

---

[1] იქვე, გვ.51.

[2] იქვე, გვ.41, 62-63, 65, 69,77-78, 83-84, 89, 98...

[3] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ისე სუხიშვილის ფონდი, ხ. №3271.

ლოს კათოლიკოს-პატრიარქი 1960-1972 წლებში) თქმით, არ არსებობს მისი პატრიარქობის დროინდელი ფოტო. ერისა და ეკლესიის პრობლემებით გადატვირთულს, არც გახსენებია შთამომავლობისთვის დაეტოვებინა იგი. ის, რაც გვაქვს, 20-ნი წლების ბოლოს ეპისკოპოს ეფრემს შეუქმნია ნიშნად „უწმინდესისადმი უღრმესი პატივისცემისა“ (მეუფე ეფრემის მინაწერი სურათის უკანა მხარეს).

ცალკე აღნიშვნის ღირსია კათოლიკოსის ქადაგებები. ცნობილ ქართველ მოღვაწეთა აზრით (ი. ნებოძირელი, ზ. ჭიჭინაძე, ქრ. ციცქიშვილი, მ.ჯანაშვილი და სხვები), თავისი დროის ქართულ სამქადაგებლო სარბიელზე ერის სულიერ მესაჭეს ბადალი არ ჰყავდა. მისი ქადაგებების I ნაწილი („სიტყვანი და მოძღვრებანი“) 1914 წელს გამოქვეყნდა ფოთში, მეორე კი – პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთ სასულიერო პირს მიუთვისებია.[1] მღვდელმთავრის თავმდაბლობა, ჩემი შრომა დიდ ღირებულებას არ წარმოადგენსო, სწორედ მის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. იგი მუდამ წუხდა, რომ ქართველობა არ იცნობდა თავისი წმინდანების ღვაწლსა და ისტორიას, ამიტომ მქადაგებელი მათ ცხოვრებას არა მშრალად, სქემატურად, არამედ გრძნობიერად, სამშობლოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში გადმოსცემს. დეკანოზების, ქრისტეფორე ციცქიშვილისა (1873-1932, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი 1927-1932 წლებში) და ირეოდიონ ოქროპირიძის აზრით, ამ ქადაგებებით ავტორმა „შეავსო თვალსაჩინო ნაკლი ჩვენი სასულიერო მწიგნობრობისა...“ მასში „დიდი ხელოვნებით არის შეკავშირებული ღრმა სარწმუნოება და ღრმა პატრიოტული სიყვარულის

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ისე სუხიშვილის ფონდი, ხ. №3294.

გრძნობანი...“[1] მკითხველი ეცნობა წმინდა მოწამეთა – დედათა და მამათა, მეფე-დედოფალთა, უფლისა და მამულისათვის თავდადებულთა ცოცხალ, შთამბეჭდავ ისტორიებს. ავტორი წარსულიდან აწმყოში გადმოდის, ადარებს ძველსა და ახალს. სადაც საჭიროა მოძღვრული სიმკაცრით გვითითებს: ,,სრული სიცხადით გამოსჭვივის ჩვენი წინაპრების სათნოება და კრძალულება ღვთისადმი... ჩვენ კი მეტისმეტი კადნიერებით ვარისხებთ ღმერთს...“[2] მოციქულთა სწორის – ნინოს, წმინდა თამარისა და ქეთევანისადმი მიძღვნილი ქადაგებები პასუხია დღეს ჩვენს სამშობლოს შემოსეული ათასი ჯურის ,,ჭკუის მასწავლებლებისადმი“, საქართველოში ვითომ ქალთა უფლებებისა და ე.წ. უმცირესობების უფლებების დარღვევებზე რომ გოდებენ: ,,ეხლა თითქმის აუცილებელ მოთხოვნილებადაა ქცეული ქალის დაჩაგრულ მდგომარეობაზე მსჯელობა... ჯოჯოხეთად ეჩვენებათ ქალთა ცოლობა, დედობა, დიასახლისობა... მავნე აზრებით ამწვავებენ ადამიანებს შორის ურთიერთობას...“[3] ქადაგებების ავტორი მავანთ მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ წმინდა ნინომ ისეთი მადლით შემოსა ქართველი ქალი, რომ მათ ხშირად ეჭირათ სამეფო ტახტი. ქალთა საკითხს იგი გამოგონილად, მართლმადიდებლობასთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად მიიჩნევს. წმინდა თამარისადმი მიძღვნილ ქადაგებაში დასძენს, რომ ,,საქართველოს ბედი ქრისტეს მმოსავი თამარის მიმდევარ დედათა ხელშია და არა

---

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.) თბ., 2014, გვ. 155; დეკანოზ ირიდიონ ოქროპირიძის მოგონებები, ნაწ. IV.

[2] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, ,,სიტყვანი და მოძღვრებანი“, I. ფოთი, 1914, გვ. 208.

[3] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, ,,სიტყვანი და მოძღვრებანი“, I. ფოთი, 1914, გვ. 46-47.

ბებელის იდეალის ქალისაში...“[1] ეპისკოპოსი მკაცრად გმობს ქართველი სოციალ-დემოკრატების ანტიქართულ და ანტიეკ-ლესიურ პოლიტიკას.

ბოლშევიკების შემოჭრის ჟამს პატრიარქმა ერს მხურ-ვალე ქადაგებებით მიმართა. მწყემსმთავრის მოწოდებით აღფ-რთოვანებულმა ქართველობამ მტერი შეაჩერა თბილისის მი-სადგომებთან. ეკლესიის საჭეთმპყრობელმა უმოკლეს დროში შეძლო ეროვნული სიწმინდეებისა და საგანძურის ქუთაისში გადატანა. ქვეყანაში დამკვიდრებულმა ახალმა რეჟიმმა თავი-სი ერთ-ერთი პირველი დეკრეტით (15.04.1921) კანონგარეშე გამოაცხადა ქართული ეკლესია. განსაკუთრებით გააფთრებით შეუტიეს კათოლიკოს ლეონიდეს... 1921 წლის 11 ივლისს უწმინდესი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მიზეზად წყლის ეპიდემია დასახელდა, თუმცა, არავინ დაინტერესებუ-ლა, ბუნებრივად შეეყარა იგი თუ „შეჰყარეს“. მის გადარჩენ-ას დიდი თავგანწირვის ფასად ცდილობდა ცნობილი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე (დეკანოზ ირიდიონის ვაჟი). „იგი უწმინდესთან ერთად ჩაიკეტა ოთახში ... მედიკამენტებს გა-რედან აწვდიდნენ, მაგრამ მისი შველა ვერ მოხერხდა.“[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მგზნებარე მამულიშ-ვილი, „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი უდი-დესი შემოქმედი“ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე), ისე უხმაუროდ დაიკრძალა (17.07) სიონის ტაძარში, ვერავინ გა-

[1] იქვე, გვ. 104. ავგუსტ ბებელი (1840-1913) გერმანიის სოც. დე-მოკრატიისა და მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი.

[2] ნ. მოისწრაფიშვილი, „ავქსენტი მეგრელიძე”, თბ., 2008, გვ. 357; ქეთევან ოქროპირიძე-მეგრელიძისა, „ჩემი ცხოვრება, მოგონებები“, ინახება ავქსენტი მეგრელიძის საოჯახო არქივში.

ბედა სიტყვის თქმა.[1] დაკრძალვამდე საკათალიკოსო საჭოს თხოვნით მიმართეს პატრიარქის ოჯახის წევრებმა. მათ სურდათ უწმინდესი დაკრძალულიყო წმინდა შიო მღვიმელის მონასტერში, რაზეც უარი მიიღეს. ალბათ დროა, ამ ხანებში ხელოვნურად შექმნილი გაურკვევლობის ბურუსი მოსცილდეს მის სახელს და ერმაც და ბერმაც ჯეროვნად შეაფასოს მისი უდიდესი ღვაწლი.

უფლისა და სამშობლოსათვის მოწამეობრივად აღსრულებულნი – ალავერდის ეპისკოპოსი – პიროსი (1874-1922) და დეკანოზი ილარიონი (1876-1936) იმ კურთხეული ოჯახის წევრები არიან, რომელმაც საქართველოს სამი დიდი მღვდელმთავარი და არაერთი ღირსეული სამღვდელო პირი მისცა. მომავალი ამბა ალავერდელი შვიდი წლიდან ალავერდის მონასტერში პაპის – ბერ-მონაზონ სილვესტერის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. სრულიად ახალგაზრდა ოცნებობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე. სიყრმითვე სულიერად ზრდილმა ღირსეულად განვლო სასულიერო მოღვაწეობის ყველა საფეხური. ბერად კურთხევიდან (1900 წ. ღირსი ასურელი მამის, პიროს ბრეთელის პატივსაცემად პიროსი უწოდეს) ეპისკოპოსად კურთხევამდე წინამძღვრობდა მოწამეთას (1905-07), დავით გარეჯის (1909-1913), შიო მღვიმის (1911-1915) მონასტრებს. 1906 წელს მღვდელმონაზონი პიროსი გამამხნევებელ წერილს უგზავნის პეტერბურგში ავტოკეფალიის საკითხებზე მყოფ ეპისკოპოსებს - ლეონიდსა და კირიონს. იგი აღშფოთებულია ეგზარხოს ნიკოლოზის თავხედობით, რომელმაც ეჭვი გამოთქვა ქართველ წმინდანებზე. 1907 წელს ებოძა არქიმანდრიტის

[1] ზ. ჭიჭინაძეს სურდა გამოსათხოვარი სიტყვის თქმა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მისი აზრით, „ლეონიდი იყო საქართველოს ეკლესიის მამამთავარი, ღირსეული მამულიშვილი და გულშემატკივარი საქართველოსი“.

ხარისხი, ინიშნება იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარ-ხუცესად და სამღვდელო კადრების მოსამზადებელი კომისი-ის, სვეტიცხოვლის ტაძრის განახლების კომიტეტის თავმჯ-დომარედ, სინოდალური კანტორის წევრად (1909). 1910 წლიდან განაგებს საღვთისმსახურო წიგნების შესწორებისა და გამოცემის კომისიას. ცნობილია პიროსის სასულიერო ხა-სიათის შრომები: „ახალი აღთქმის წიგნთა განმარტებანი“, „ძველი აღთქმის საღვთო წიგნების შესწავლა“, „მართლმადი-დებლური ეკლესიის კატეხიზმოს შესწავლა“, „განმარტება პავლე მოციქულის ეპისტოლეთა“ და სხვა. იყო „საქართვე-ლოს საეგზარხოსოს მოამბის“ რედაქტორი. 1915 წლის დე-კემბერში გამოირჩიეს ალავერდის ეპარქიის მმართველად. მეორე წლის დასაწყისში (17.01.1916) პეტერბურგის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ეპისკოპოსად და-ასხეს ხელი, რამაც დიდად გაახარა მეუფე ლეონიდი: „ბიძა-ჩემი იგრძნობს ამას და დიდად გახარებული დარჩება... სამი ეპისკოპოსი ერთი სახლიდამ... სასიქადულოა ღვთის მადლი პაპიჩემის სახლზე...“[1] ზაქარია ჭიჭინაძე მას მიიჩნევდა „თა-ვისი წინაპრების, ალექსანდრესი და ლეონიდეს მსგავს მო-ღვაწედ“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, №11, გვ. 19-20).

ეპისკოპოსად კურთხევის პირველივე წელს მეუფე პი-როსმა თითქმის მთელი კახეთი შემოიარა, პირადად მოინახუ-ლა თავისი სამწყმსო. ატარებდა წირვებს, მარტივად განუმა-რტავდა მრევლს სარწმუნოებრივ საკითხებს, ავტოკეფალიის მნიშვნელობას. 1916 წლის ივნისში მღვდელმთავარმა იმოგ-ზაურა ფშავში, მოილოცა იქაური ეკლესიები. ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ (1916, №108) წერდა: „ლაშარში აუარებე-

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხ. №3281.

ლი ხალხი დაუხვდა... დაურიგა მლოცველთ „ლოცვები, წმინდა გიორგის ხატები და წმინდა თამარის ცხოვრება“, რომელიც გამოცემულია მისი მეუფების საფასით...“ 1917 წლის 12 (25) მარტს მეუფე პიროსი მონაწილეობდა სვეტიცხოველში ჩატარებულ საგანგებო წირვაში, სადაც ეპისკოპოსმა ლეონიდემ გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 13 მარტს მან ეპისკოპოსების, ლეონიდისა და ანტონის (გიორგაძე, 1866-1918) თანხლებით ეგზარქოს პლატონს გადასცა წერილობითი განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი გადაყენებული იყო ეგზარქოსობიდან. მღვდელმთავარი ავტოკეფალიააღდგენილი ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობისა და საკათალიკოსო საბჭოს აქტიური წევრი იყო. 1917 წლის სექტემბერში პირველმა საეკლესიო კრებამ იგი დაამტკიცა ალავერდის ეპარქიის მმართველად ალავერდელი ეპისკოპოსის სახელწოდებით.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკურმა რეჟიმმა უსასტიკესი მეთოდებით დაიწყო ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. გაძლიერდა ანტირელიგიური კამპანია. 1922 წლის დეკემბრის პლენუმზე ბოლშევიკებმა მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება „კომკავშირული აღდგომისა“ და „შობის“ ჩატარების შესახებ, რაც ნიშნავდა უძველეს ტაძართა ნგრევას, გაძარცვას, სიწმინდეთა და სასულიერო პირთა შეურაცყოფას. ძლიერ შეავიწროვეს ალავერდის ეპარქია და მისი მეთაური, ეპისკოპოსი პიროსი. 1922 წლის აპრილში ალავერდის მონასტერში დაბრძანებული ხატი გაიძარცვა. კომუნისტებმა დისკრედიტაციის მიზნით ბრალი სასულიერო პირებს დასდეს. მამა ზენონი (სუმბაძე) დაატუსაღეს. დააპატიმრეს მეუფე პიროსიც, მაგრამ მათგან საჭირო ინფორმაცია ვერ მიიღეს. ბოლშევიკები ტაძრის განძს ეძებდნენ. გამცემთა წყალობით მათ მიაგნეს განძეულს - გამოანგრიეს საგანძუ-

რის კედელი და მისი დახარისხება დაიწყეს. სიწმინდეები თელავში გადაიტანეს. ეპისკოპოსს მოსთხოვეს მონასტრის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის აქტზე ხელმოწერა, რაზეც მეუფემ კატეგორიული უარი განაცხადა. მღვდელ-მთავარი საჯაროდ დაამცირეს. ხალხის თვალწინ საწამებლად ულმერთოთა ბრბოს მისცეს. ვერავინ გაბედა მოძღვრის დასა-ცავად ხმის ამოღება. წინასწარმეტყველური გამოდგა ეპისკო-პოსად კურთხევის დროს მისი უფლისა და სამშობლოს წი-ნაშე დადებული აღთქმა: „..მე მთელი არსებით ვმადლობ უფალსა, რომ მან გადამიწყვიტა შევწირო ჩემნი დღენი დიდ-სა ამ კათედრასა“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, №11, გვ. 19-20). ეპისკოპოსმა ქედი არ მოიხარა მრისხანე ძალის წინაშე. უმძიმეს წუთებში მას თვალთა წინ ეხატებოდა მო-წამეობრივი გვირგვინით გასხივოსნებული სახე კახეთის კე-თილმორწმუნე დედოფლისა. დისევის ეკლესიის დიაკვნის, ვლადიმერ ოქროპირიძის გადმოცემით, ნაცემი ეპისკოპოსი ახალი იდეოლოგიით გზააბნეულმა კომკავშირელებმა ცხენის კუდზე გამობმული ათრიეს. უღვთოდ ნაწამები და დასახიჩ-რებული კიბის ქვეშ დაამწყვდიეს. რამდენიმე დღეში ნატანჯი მღვდელმთავარი გარდაიცვალა. დიაკვნის შეფასებით, პიროსი ქრისტეს ერთგული მსახური იყო – მოწამეობრივად აღსრუ-ლებული. მისი ნათლულის, ქეთევან ოქროპირიძის (დეკანოზ ირეოდიონის შვილი) თქმით, ხელისუფლების რისხვის მიუხე-დავად, დიდძალმა პროცესიამ მეუფის ცხედარი ხელით წაას-ვენა თელავიდან ალავერდში. 30 აპრილს იგი დაკრძალეს ალავერდის მონასტერში, საკურთხევლის მარჯვნივ. პატრია-რქის, ამბროსი ხელაიას კურთხევით წესი აუგო ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი). მეორე დღეს თელავში მოწყო-ბილ პირველმაისობას ხალხი პროტესტის ნიშნად არ დაესწ-რო. გაშმაგებულმა ოფიციოზმა კიდევ ერთხელ შეურაცხყო

მეუფე და მოსახლეობას დაემუქრა: „გუშინ უამრავი ხალხი დაესწრო მუქთახორა ეპისკოპოსის დასაფლავებას ...დღეს სად არის ეს ხალხი?! რას ნისნავს ეს?![1] დიდი პატრიოტი, უაღრესად განათლებული ამბა ალავერდელი პიროსი საქართველოს ეკლესიაში იყო პირველი მღვდელმთავარი, რომელიც კომუნისტების ხელით საჯაროდ შეეწირა ქრისტეს სარწმუნოებასა და მამულის ერთგულებას.

90-იან წლებში თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ერტისში მოღვაწეობდა პიროსის მამა, მღვდელი იოანე (კათოლიკოს ლეონიდეს ძმა). 1893 წელს იგი დაჯილდოვდა საგვერდულით. 1900 წელს – სკუფიით. ერთხანს ფშავ-ხევსურეთში მსახურობდა, ბოლოს დისევის ძელიცხოველში დამკვიდრდა და იქვეა დაკრძალული. იმავე ხანებში სოფლების, ჭვრივის წმინდა გიორგისა და ბელოთის (პატარა ლიახვის ხეობა) ამაღლების ეკლესიებში მოძღვრავდა მრევლს მამა იოანესა და ლეონიდის უფროსი ძმა – მღვდელი დავითი. იგიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ბიძას შიო მღვიმის მონასტრის გამშვენიერებაში. ცნობილი მღვდელი იყო მეუფე პიროსის უმცროსი ძმა - ლუკა (1887-1917). მღვდლად კურთხევამდე (1914 წ.) იგი მასწავლებლობდა გუჯარეთის სამრევლო სკოლაში. იყო გორის ღვთისმშობლის საკათედრო და თბილისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრების მედავითნე. 1915 წელს, როგორც სასულიერო პირი თან ახლდა სამხედრო ნაწილს I მსოფლიო ომში. მისი პატრიოტიზმის დამადასტურებელია ფრონტიდან სამშობლოში გამოგზავნილი წერილები. მამა ლუკამ საქართველოთი დააინტერესა უცხოელები. იგი ქართველ მოღვაწეებს სთხოვს მათთვის ჩვენი წარსულის

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“, ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2013, გვ. 239.

უკეთ გასაცნობად გაუგზავნონ „უსაჭიროესი წიგნები შესახებ ჩვენი წარსულისა.“ სამწუხაროდ, იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1917 წელს. დაკრძალულია თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

დეკანოზი ილარიონი 1894-97 წლებში სწავლობდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. 1895 წელს ბიძას, ალექსანდრე ეპისკოპოსს ატყობინებს იქ გამეფებულ ანტიქართულ განწყობებზე. სასწავლებლის დასრულებისთანავე ინიშნება გლდანის ეკლესიის მღვდლად, სახალხო სკოლის მასწავლებლად. 1902 წლიდან სამხედრო უწყების მღვდელია. ეგზარხოსი ინოკენტი (ბელიაევი, 1909-1913) ეპისკოპოს ლეონიდესთან მწვავე დაპირისპირების გამო სასტიკად დევნიდა მას. 1916 წელს ებოძა დეკანოზის ხარისხი. მეუფე პიროსის მსგავსად მრისხანე საბჭოურმა რეჟიმმა 30-იან წლებში მასაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ბევრს სცოდავს მოქალაქე-მღვდელი ეპისკოპოს პიროსისა და დეკანოზ ილარიონის მიმართაც. კომუნისტებზე მეტად იგი ლანძღავს რწმენისა და სამშობლოსათვის სიცოცხლემოსწრაფებულ მამულიშვილებს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი მათ შესახებ. დეკანოზი ნიკიტა მეუფე პიროსისადმი ტენდენციური დამოკიდებულების გამო ერთ სიტყვასაც არ სძრავს მღვდელმთავრის მოწამეობრივ სიკვდილზე. მისი გარდაცვალების მიზეზად იგი ბოლშევიკთაგან გავრცელებულ ყალბ ვერსიას – დამბლას ასახელებს, რომელიც თავისი „გაუმაძღრობითა და მუქთახორობით დაემართა“ თურმე (ერთი ლექსიკით „ამკობენ“ მეუფეს ხელისუფალნიც და დეკანოზი ნიკიტაც.).[1] „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (2007 წ.) ვერაფერს

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“, ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2013, გვ.229.

გვეუბნება მის ღვაწლზე. ეპისკოპოსის ნაშრომის – „ახალი აღთქმის წიგნთა განმარტებანი“ რედაქტორ-გამომცემელთათვის („მთაწმინდა“ 2010 წ.) მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი იყო ალავერდის ეპისკოპოსი. იმედია, ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდი ადრე თუ გვიან განიხილავს პატრიარქ ლეონიდის, მეუფე პიროსისა და დეკანოზ ილარიონის კანონიზაციის საკითხებს.

მოქალაქე-მღვდელი წმინდა ალექსანდრესაც სწვდება. ადრე იგი მისთვის ალექსანდრე „აღმაშენებელი“ იყო, ახლა გამჭრიახობას უწუნებს, მეტიც, მან თურმე „გურია-სამეგრელოს მთელი სიმდიდრე გამოზიდა... ბევრიც თავის ნათესავებს მოახმარეს...“[1] ნიშნის მოგებით წერს ლეონიდის და პიროსის გარდაცვალებაზე: ოქროპირიაანთ გვარი მოისპო საქართველოს ეკლესიიდანო... უკიდურესად უარყოფითად მოიხსენიებს სხვა ცნობილ მოღვაწეებსაც. მასზე დაყრდნობა ნიშნავს „უნიჭოებად“, „უზნეოებად“, „გაუმაძღრებად“, „მძარცველებად“, „პსიხოპატებად“ და ა.შ. გამოვაცხადოთ წმინდანნი: პატრიარქი ამბროსი (ხელაია, 1861-1927) და წამებული მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა, 1870-1924), დეკანოზები: კ. კეკელიძე (შემდგომში აკადემიკოსი, 1879-1962), ქ. ციცქიშვილი, კ. ცინცაძე (1866-1952, კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1952 წლებში), ანტ. თოთიბაძე (1865-1938), მ. ტყემალაძე (1859-1937), ეპისკოპოსები – დავითი (კაჭახიძე, 1872-1935) და ეფრემი (სიდამონიძე) და მრავალი სხვა. თურმე დიდი მეცნიერიც, წმინდა ექვთიმეც (თაყაიშვილი, 1863-1953), „სუსტი მოქალაქე ბრძანდებოდა“, რომელიც ეგზარქოსებს და მენშევიკებს ელოლიავებიდა. პავლე ინგოროყვამ კი თბილისის

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“, თბ., 2013, გვ.348.

სემინარიის ავეჯეულობა დაიტაცა. [1] იგი არც კათოლიკოს. კირიონს ინდობს. მისი აზრით, ის „ობერ-პროკურორისგან იყო საქართველოში გამოგზავნილი... „კირიონმა ბევრი უტა-ქტობა ჩაიდინა თბილისში...“ კირიონს და თავის მომხრეებს ლეონიდესთან ერთად ადანაშაულებდა ეკლესიის ძარცვაში[2] და ა.შ. ბევრ კითხვას ბადებს დეკანოზის ჩანაწერები. აკრი-ტიკებდა ბოლშევიკებს, იმავდროულად, მიწასთან ასწორებდა იმ მამულიშვილებს, რომელთაც ყველაზე მეტად დევნიდა და ანადგურებდა ახალი რეჟიმი. ოფიციოზის მსგავსად უკანონო ქუთათელად და პატრიარქად მიიჩნევდა ნაზარის და ამბრო-სის. უსაშველოდ შეურაცხყოფდა ორივეს. ნებსით თუ უნებ-ლიედ ასეთი ქმედებები ეკლესიის დისკრედიტაციას იწვევდა და სრულ თანხვედრაში მოდიოდა ბოლშევიკთა გეგმებთან. მათთვის ხომ ქართული ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელნი უპირველესი სამიზნეები იყვნენ.

ზემოთ მღვდელი დავითი ვახსენეთ, კირიონის პაპა დე-დის მხრიდან. იგი მე-19 ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა კუ-ლბითის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში. დარიას გარდა მამა დავითს ჰყავდა ვაჟები - ასე-ვე სასულიერო პირები - ქართლში კარგად ცნობილი დეკა-ნოზი გაბრიელი (1824-1905) და მღვდელი ზაქარია. გაბრი-ელ ოქროპირიძე 1839-45 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ დაოჯახდა და ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი, 1844-1858) მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელი გაბრიელი კულბითის ეკლესიის წინამძღვარად დაი-ნიშნა. იგი გამორჩეული სასულიერო მოღვაწე გახლდათ. ექ-ვსი ათეული წლის მანძილზე მრავალი ადამიანი მოაქცია

---

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“, თბ., 2013, გვ. 19, 23, 36-37, 52, 59, 101, 120, 145, 381-382...

[2] იქვე, გვ. 23-24, 42.

ქრისტეს სარწმუნოებაზე. ეკლესიაში ერთგული სამსახური-სათვის მრავალი ჯილდო და ორდენი ეწყალობა („საპატ-რიარქოს უწყებანი“, 2011, №2, გვ. 16-20). გაბრიელ დეკა-ნოზი თანატოლი იყო წმინდა ალექსანდრესი. მღვდელმთავა-რი დიდად აფასებდა თავისი თანასოფლელისა და ბიძაშვი-ლის ღვაწლს. 1899 წელს მან გულით მიულოცა ღვაწლმო-სილ მოძღვარს დეკანოზის ხარისხი. ამ დღის აღსანიშნავად თავისი საფასით გამოცემული სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ უსახსოვრა წარწერით. დეკანოზის მემკვიდრეები დღესაც სასოებით ინახავენ ამ რელიქვიას. მოძღვარს ხელთ ჰქონდა დავით მეფის მიერ ბოძებული სიგელის პირი და ამ-ტკიცებდა მის ნამდვილობას. იგი დისევის ძელიცხოველშია დაკრძალული. მამა გაბრიელის ვაჟებიდან სამივე ეკლესიის მსახური იყო. მღვდლები ბესარიონი და იოანე წლების მანძი-ლზე იღვწოდნენ ფშავ-ხევსურეთსა და ქართლში. ბესარიონმა გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლები დაამთავ-რა. 1877 წლის 27 მაისს აკურთხეს დიაკვნად. შემორჩენი-ლია საქართველოს ეგზარქოსის, იოანიკეს განჩინების ფურ-ცელი, რომლის ძალითაც იგი 1879 წლის 24 დეკემბერს სოფ. შატილის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარად დაადგინეს. მომდევნო წლიდან ბარისახოსა და დუშეთის მაზ-რის სოფელ ხაჩირაანთ კარის ეკლესიების წინამძღვარია. მი-სი ძმა, დავითი, აწრისხევის ეკლესიაში მედავითნეობდა. მამა ბესარიონი 1901 წლიდან 10-ნი წლების ბოლომდე ნაყოფიე-რად მოღვაწეობდა მშობლიური დისევ-კულბითისა და ჭარე-ბის ეკლესიებში. დაჯილდოებული იყო იმპერატორ ალექსან-დრე III-ის სამახსოვრო მედლით, საგვერდულით, სკუფიით, კამილავკით.

„შვიდი წლისა რომ შევიქენ, მამაჩემმა შემისვა ცხენს უკან და წამიყვანა ქ. გორში, სასულიერო სასწავლებელში

მისაბარებლად“ - წერს მოგონებებში (ინახება მოძღვრის მემკვიდრეთა საოჯახო არქივში) მღვდელ ბესარიონის უფროსი ძე ალექსანდრე (პაპას, გაბრიელ დეკანოზს შვილიშვილისათვის ეს სახელი ალექსანდრე ეპისკოპოსის დიდი სიყვარულის გამო დაურქმევია). პატარა ალექსანდრე ძირითადად მშობლების გარემოცვაში იზრდებოდა. ეს ოჯახი მტკიცედ იყო დაკავშირებული ეროვნულ ფესვებთან, მართლმადიდებლობასთან. ოქროპირიძეების ამ განაყოფს „მღვდლიაანი“ სწორედ ეკლესიის მსახურთა სიმრავლის გამო ეწოდა. ბუნებრივი იყო მისი არჩევანიც - თავისი ცხოვრება უფლის სამსახურისათვის მიეძღვნა. მომავალი მოძღვრისათვის ოჯახის გარდა მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდნენ დისეველი მღვდელმთავრები. მის აღზრდას აქტიურად ადევნებდა თვალყურს ოქროპირიძეთა გვარის (დედის მხრიდან) კიდევ ერთი სიამაყე, ეპისკოპოსი კირიონი. მიუხედავად სემინარიებში არსებული მახინჯი სასწავლო სისტემისა, აქ გატარებულმა წლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის აზროვნებით-შემეცნებითი მხარის ჩამოყალიბებაში. სემინარიის შემდეგ წარმატებით დაამთავრა ელიზავეტოპოლის საქალაქო სასწავლებელი. 1899-1903 წლებში იგი ასწავლიდა გალობას კავკასიის სასწავლო სემინარიასა და საგარეჯოს სამინისტრო სკოლაში. 1901 წელს დაქორწინდა გერმანელი მეწარმის, ჰენრიხ მალკეს ასულ ოლგაზე. 1903 წელს აკურთხეს დიაკვნად, შემდეგ მღვდლად და დისევის მეზობელი სოფლის, ჭარების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარად დანიშნეს. 10-იან წლებში მოღვაწეობდა ქართლის ეკლესიებში, სტეფანწმინდაში. 1917 წლიდან საკუთარ სოფელში - ძელიცხოვლის ტაძარში მღვდელმოქმედებს. იმავე ხანებში აირჩიეს გორის მაზრის IX ოლქის მთავარხუცესად. მონაწილებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში. 1920

წლის 27 ივნისს გამართულ საქართველოს ეკლესიის მეორე კრებას მან მოხსენებითი ბარათი გაუგზვნა, სადაც დაუფარავად ამხილა მთავრობის ანტიეკლესიური პოლიტიკა: „დღეს სკოლებიდან გამოდევნილ იქნა საღვთო სჯული, რომელიც სულიერად ახეირებდა ჩვენს ახალ თაობას... იტაცებენ ჩვენი შრომით შეძენილ ქონებასაც... სირცხვილი ჩვენთვის...“ („საპატრიარქოს უწყებანი“ 2011, №2 გვ. 18).

საშა მღვდელმა, როგორც მრევლი უწოდებდა მას, სხვა ოქროპირიძეებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოსთა შორის განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელებაში. მამა ალექსანდრე უპოვართა დამხმარე და ქომაგი, ნამდვილი მისიონერი და განმანათლებელი იყო. ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ნამდვილად ამშვენებს მღვდელ ალექსანდრე ოქროპირიძისა და ობოლი ოსი ბავშვის ისტორია. სტეფანწმინდაში მოღვაწეობის დროს მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა მიუსაფარმა, ობოლმა ყმაწვილმა. მას წლების მანძილზე პატრონობდა. დაწყებითი განათლებაც მიაღებინა. ეს ადამიანი შემდგომში საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი, ვასილ აბაევი (1899-2001) გახლდათ. მათ შორის ახლო ურთიერთობა მოძღვრის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ალექსანდრე ოქროპირიძის არქივში დღესაცაა დაცული ოსი მეცნიერის სამადლობელი წერილები ფოტოებით. 1959 წელს მოძღვარი გარდაიცვალა. თვითმხილველთა (მამაჩემის, გურამ ოქროპირიძის მონათხრობი ზ.ო.) თქმით, აბაევი შუბლზე ეამბორა და ასე გამოემშვიდობა მის ცხედარს: „მშვიდობით განისვენე ჩემო დიდო მოამაგევ და მასწავლებელო.“ 1987 წელს ჩვენთან, ცხინვალის პედინსტიტუტის იმჟამინდელ სტუდენტებთან შეხვედრაზე ღრმად მოხუცებულმა პროფესორმა თქვა: მახსოვს ერთი ქართველი მღვდელი, რომელმაც მე გზაზე დამაყენაო. უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ აბაევი თითქმის ერთადერთი

იყო ოს სწავლულთაგან, რომელმაც მოუწოდა თანამემამულეებს ხელი აეღოთ ქართული მიწის მიტაცების მცდელებაზე.

1921-22 წლებში უკვე გაბოლშევიკებულ საქართველოში ოსთა მარბიელი რაზმები ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს შეესივნენ. მამა ალექსანდრე, ოს-ქართველთა სიყვარულის მქადაგებელი, იძულებული გახდა სოფლების დაცვისთვის ეხელმძღვანელა. დიდი ავტორიტეტისა და ნაცნობ-მეგობართა წყალობით თბილისიდან იარაღი ჩამოიტანა და დისევსა და მეზობელ სოფლებში სანდო ადამიანებს დაურიგა. იმ წლებში ბევრი ქართული და ოსური სოფელი გადარჩა რბევა-აწიოკებას, რაშიც დიდია მამა ალექსანდრეს როლი. კომუნისტები არ ასვენებდნენ მოძღვარს. აიძულებდნენ უარი ეთქვა მღვდლობაზე. ხუთი შვილის მამას სხვა გზა არ დაუტოვეს. იგი დისევის ეკლესიის პედაგოგი გახდა. გავიდა დრო. 30-იან წლებში მას მღვდლობა გაუხსენეს. ბრალი დასდეს 20-იან წლებში ქართველთა და ოსთა ურთიერთწაკიდებაში. ფაქტიურად, დასახვრეტად იყო განწირული. უფლის წყალობით მოხდა იშვიათი გამონაკლისი - ტყვიავისა და მერეთის რევკომების ყოფილმა ბოლშევიკმა თავმჯდომარეებმა, სამადაშვილმა და მეცხვარიშვილმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ საშა მღვდელს, იგი გადაარჩინეს. მათ მიერ გაცემული ცნობების მიხედვით, ალექსანდრე ოქროპირიძე მათი მითითებით მოქმედებდა. თავისი რაზმებით ქართველ-ოსთა „შუაში ჩადგა და გადაარჩინა ბევრი ქართული და ოსური სოფელი დაწიოკებაოხრებისგან... მან ყოველი მოვალეობა პირნათლად შეასრულა...“[1] ყოფილი მოძღვარი სიცოცხლის ბოლომდე იყო დისევის სკოლის პედაგოგი. იმ უღმერთობის ხანაში მისი გაკვე-

[1]ინახება მღვდელ ალექსანდრე ოქროპირიძის მემკვიდრეთა საოჯახო არქივში.

თილები და საუბრები ერთგვარ სულიერ საზრდოდ ეფინებოდა არა მხოლოდ მოსწავლეებს. სოფლის ჭარმაგი ადამიანები დღესაც მოწიწებით იხსენებენ საშა მღვდლის სახელს.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე. „...ახლა, ამ მოხუცებულობის ჟამს, ღვთის შეწევნით ბედმა მარგუნა ეს ნეტარება. პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც. თავიდანვე ვცდილობდი ჩემი წმინდა მოვალეობანი ზნეობრივი სიწმინდით შემესრულებინა, რასაც ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა“....[1] წერდა სიცოცხლის მიწურულს ვალმოხდილი მოძღვარი. იგი მღვდლის, ბესარიონ ზურაბის ძე ოქროპირიძის ოჯახში დაიბადა. როგორც აღვნიშნეთ, ბესარიონმა პაპიდის, მონაზონ ქრისტინეს მეშვეობით მიიღო განათლება. მღვდლად კურთხევის შემდეგ ნაყოფიერად იღვაწა ქართლის სხვადასხვა ეკლესიებში, ბოლოს ძელიცხოველში - მშობლიურ დისევში, სადაც 1885 წელს აღესრულა. ეკლესიის ეზოში მისი საფლავის ქვაზე წარწერაა: „ესე არს საფლავი მღვდლისა ზურაბის ძე ბესარიონის ოქროპირიძისა ... მაქვს იმედი ახლად ნაკურთხი ჩემის შვილის ირიდიონისა...“ დეკანოზის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ღვაწლი ამ იმედების სრული გამართლებაა... პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლების დამთავრებიდან (1884 წ) ერთი წლის შემდეგ ეკურთხა მღვდლად (იმავე ხანებში დაქორწინდა უკეთილშობილეს გორელ ქალბატონზე - ნინო ბოჭორაძეზე) და არარატის მთის ძირის დაბა იგდირის ეკლესიის წინამძღვრად განმწესდა. 1891 წლის მაისში „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მისიონერის, მღვდელ-მონაზონ ლეონიდის წარდგინებით დაინიშნა სა-

[1] დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე, მემუარები, „საინგილო და იქ ჩემი სამსახური“, ნაწ. I.

ინგილოს ბლაღოჩინად, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარად და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად. ლეონიდემ იგი სამისიონეროდ მრავალთა შორის შეარჩია, როგორც ახალგაზრდა, „მაღალ-ზნეობისა და კეთილი ყოფაქცევის კაცი მაღალი სწავლით აღჭურვილი“. მისი თქმით, მისიონერობა არ უნდა „ჩაჰბარებოდა დაბალი ყოფაქცევის კაცს.“[1] მამა ირიდიონის პირველივე ქადაგებამ იმედი გაუჩინა მუსულმანობაში მომწყვდეულ ერთ მუჭა ქართველებს. როგორც მისიონერი, გაეცნო ინგილოთა ყოფას და ისტორიას, მათ სამეტყველო კილო-კავს... მშობლიურ ენა და რწმენა დავიწყებული ქართველების საკუთარი ფესვებისკენ შემოსაბრუნებლად უპირველესად საჭირო იყო მტერთაგან დანგრეული და ახალი ტაძრების აღდგენა-აგება, სკოლების დაარსება. მათში ეროვნულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენა და სწავლება. მოძღვრის მოზრდილი ჩანაწერებიდან „საინგილო და იქ ჩემი სამსახური“, ირკვევა, რომ 90-იან წლებში მღვდელ-მონაზონ ლეონიდისა და მისი ძალისხმევით აიგო ქურმუხის წმინდა გიორგის, თასმალოს, მეშებაშის, თოქოლთოს, კახისა და სხვა ეკლესიები.... დაარსდა ქალთა და ვაჟთა სკოლები, სადაც რუსი მოხელეების წინააღმდეგობის მიუხედავად, მშობლიურ ენაზე წარმართავდნენ ღვთისმსახურებასა და სასწავლო პროცესს. თავად ასწავლიდა საღვთო სჯულს, ქართულ ენას, მათემატიკას. მრავალშვილიანი მამა (მოძღვარი იქ მეუღლით და ხუთი შვილით ცხოვრობდა, სულ რვა შვილი აღუზარდეს სამშობლოს) ეხმარებოდა გაჭირვებულთ, უფასოდ აძლევდა წიგნებს. მოსახლეობას ასწავლიდა მეურნეობის მოწყობას, დაუზარებლად ასრულებდა ღვთისმსახურებას. მოძღვარს თანაუგრძნობდა მეუღლეც. ნინო ამზადებდა

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №1202.

სხვადასხვა წამლებს. უანგაროდ ემსახურებოდა ავადმყოფებს, ინგილოთა შვილებს ასწავლიდა საოჯახო ხელსაქმეს. მისი ქველმოქმედებისა და ღვაწლის შეასახებ იუწყება გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ („ქართველ ქალთა ღვაწლი საინგილოში“, მემედ გიულმამედოვი, 1990, №100). მემუარისტი დიდი განცდით მოგვითხრობს მცირერიცხოვანი ინგილოების ცრემლიან წარსულსა და აწმყოზე. შაჰ-აბასის ბარბაროსულმა ლაშქრობებმა გააუკაცრიელა ეს მხარე, გაანადგურა მოსახლეობა. XVII-XVIII საუკუნეებში ირანელთა რისხვას თავდაღწეული ინგილოები და მათი სიწმინდეები მოსაზღვრე დაღესტნელთა გაუგონარი ძალადობისა და ნგრევის ობიექტებად იქცნენ. დიდ ომიანობას გადარჩენილმა ჰერელებმა გადამალული წმინდა ჯვარ-ხატები, წიგნები სახლებში განათავსეს და შექმნეს საიდუმლო სამლოცველოები. დეკანოზის თქმით, ყველაზე ცნობილი იყო ხუციშვილების ფარული სამლოცველო კაკში, სადაც დაცული იყო ძველი სახარება, მინანქრის ბარძიმი, სანაწილე...[1] გვანცვიფრებს მოგონებების ავტორის მონათხრობი: ქრიასტიანობის უმკაცრესი დევნის მიუხედავად ისინი ინათლებოდნენ, მარხულობდნენ, ეზიარებოდნენ... ინგილოებს ყანაში მუშაობის დროს ქიზიყელები ეხმარებოდნენ. მათში ერთი მღვდელი ერია, წერს მისიონერი. გვიან ღამით იგი ჩუმად ატარებდა ნათლობას. მარხვის დროს ინგილოები დიდ ქვაბში ხარშავდნენ ფლავს. შიგ ჩაყოლებული სპილენძის თეფშით ორად ყოფდნენ საკვებს: ოჯახი-სთვის, სამარხვოდ და სტუმრებისთვის, უმეტესად მუსლიმ ბეგებ-მოლებისათვის. სტუმარს ეჭვი არ უნდა აეღო ოჯახის წევრების მარხვაზე. მასპინძელი მის დასანახად ქვაბში ერ-

[1] დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე, მემუარები, „საინგილო და იქ ჩემი სამსახური“, ნაწ. I.

ბოს დებდა, საოჯახოში კი მანამდე ასხამდა კაკლის ზეთს.“[1] უმკაცრესი დიქტატისა და უცილობელი სიკვდილის მოლოდინშიც აქაურები მტკიცედ ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლურ მრწამსს. ახალ ვითარებაში ინგილოები ერთად ებრძვიან მუსულმანურ აგრესიასა და რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკას. გაქრისტიანებულ ინგილოებს მაჰმადიანები სიკვდილით ემუქრებოდნენ, რუსი მოხელეები კი ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველების ნაცვლად ანგარებით ლეკებს ნიშნავდნენ. ეგზარქოსმა ვლადიმერმა მამა იროდიონს მადლობის მაგიერ უსაყვედურა - სოფელ მეშებაშში ეკლესია რატომ ააშენეო. მოძღვარი აღაშფოთა რუსი იერარქის უსულგულობამ. 1904 წლის გაზაფხულზე ინგილოები სევდითა და ტკივილით გამოეთხოვნენ მათ მფარველ სულიერ მამას. „ნიშნად დიდი ღვაწლისა“ სამწყსომ მას სხვა ნივთებთან ერთად საგანგებოდ დამზადებული ვერცხლის დიდი, მოოქროვილი ჯვარი მიართვა წარწერით: „მადლიერი ინგილოებისაგან“.

მემუარების მეორე ნაწილში ცხინვალური მოღვაწეობის პერიოდია (1904-1923) აღწერილი, რომელიც კიდევ უფრო ეკლიანი გამოდგა. იგი ცხინვალის ღვთისმშობლის ტაძრის, ლიახვის ხეობის (ოსეთამდე) მართლმადიდებელი მრევლის წინამძღვარად და იქაური სკოლების ზედამხედველად დაინიშნა. სულიერმა მამამ პირველ რიგში ეკლესია შეაკეთა, ეზო გაამშვენიერა, მრევლს ლოცვითი გარემო შეუქმნა. ავტობიოგრაფიულ მოგონებებში „ჩემი ცხოვრება“, საუკუნის წინანდელი ცხინვალის შესახებ იროდიონის ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი მუსიკოსი, ეროვნულ ხალხურ საკრავთა საუკეთესო სპეციალისტი და პედაგოგი ქეთევან ოქროპირიძე (1906-1994) წერს: „იმჟამინდელი დაბა ცხინვალი აყვავე-

[1] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, „საინგილო და იქ ჩემი სამსახური“, ნაწ. I.

ბულ ბაღს ჰგავდა ... წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენდა ... ჩემს მეხსიერებაში იქ მხოლოდ 3-4 ოსი ცხოვრობდა...“[1] მოძღვარმა თავისი სისპეტაკით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ქართველებშიც და ოსებშიც. მას მიუღებლად მიცანდა მრევლთან აქ დამკვიდრებული ანგარებითი ურთიერთობა. მისი თქმით, მღვდელმოქმედება „თხის ხორცი“ არ იყო, რომ ფასი დასდებოდა. მამა ირიდიონმა დააფუძნა სკოლები, მათ შორის ოსთათვის. 1909 წელს ცხინვალში დააარსა „ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების“ ფილიალი, მეორე წელს – სამკითხველო. ორი წლის შემდეგ ერთგულ პირთა თანადგომით შექმნა მღვდლისთვის უჩვეულო – კოოპერატივი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია გაღატაკებულ მოსახლეობას. 1915 წელს მოძღვარს დეკანოზის წოდება მიენიჭა (მანამდე დაჯილდოვდა საგვერდულით (1889), სკუფიით (1897), კამილავკით (1904), წმ. ანას III ხარისხის ორდენით (1905), სამკერდე ოქროს ჯვრით (1908). მოგონებების მიხედვით, მკვეთრი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოზიციის გამო 1905-07 წლებში ღვთის წყალობით ბეწვზე გადაურჩა სიკვდილსა და გაციმბირებას.

მოძღვარი აქტიურად იყო ჩართული ავტოკეფალურ მოძრაობაში. მონაწილეობდა 1905 წლის 31 მაისის ქართველ სასულიერო პირთა კრებაში, რომელმაც ხმამღლა მოითხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. მემუარისტი აღწერს, მათრახის ცემით როგორ დაარბიეს კაზაკებმა მღვდელმსახურები. ამ ფაქტს მოწინავე ქართველთა დიდი პროტესტი და შედეგად ახალი ეგზარქოსის, ნიკონის მოვლინება მოჰყვა. ჩანაწერების მიხედვით, ირიდიონი იყო ერთ-ერთი მესვეური ბოიკოტისა, რომელიც სამღვდელოებამ გამოუცხადა ახალ ეგზა-

[1] ქ. ოქროპირიძე-მეგრელიძისა, „ჩემი ცხოვრება“, მოგონებები, ინახება ავქსენტი მეგრელიძის საოჯახო არქივში.

რქოსს - ნიკოლოზს (ნალიმოვი, 1905-1906). „დეკანოზი რუს ეგზარქოსებს საქართველოს დაუძინებელ მტრებად მიიჩნევს. ნიკონს „სასულიერო ჟანდარმს“, ვლადიმერს (ბოგოიავლენსკი, 1892-1898) - „ბოროტებით სავსეს“, პავლეს (ლებედევი, 1882-1887) - ცეცხლსა და ნავთს.“ ინოკენტის - „მტერსა და მზაკვარს“ უწოდებს.[1] მისი თავმჯდომარეობით გამართულ 1907 და 1916 წლების საეპარქიო კრებებზე ქართველმა სასულიერო პირებმა კვლავ მწვავედ მოსთხოვეს რუსეთის უწმინდეს სინოდს ქართული ეკლესიის გათავისუფლება. იგი ესწრებოდა 1917 წლის მარტის მცხეთის ისტორიულ თავყრილობას. მანამდე, ორი თვით ადრე, მღვდელ ვ. კარბელაშვილთან (შემდგომში ალავერდის ეპისკოპოსი სტეფანე, 1858-1936) ერთად ეგზარქიის პლატონს მოახსენა ქართველი სამღვდელოების გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ავტორი დეტალურად მოგვითხრობს ავტოკეფალიისათვის ბრძოლის პერიპეტიებს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმდინარეობას. მოძღვარი მშვიდი ქადაგება-საუბრებით შეახსენებდა ოსებს „ქართველებთან ათასწლოვან ტკბილ მეზობლობას“, მაგრამ ბოლშევიკურ ეშმას აყოლილებმა 1920 წლის მაისში მათთვის მლოცველი დეკანოზი დააპატიმრეს და ფეხით გაუყენეს ვლადიკავკაზის გზას. გზადაგზა იგი ხვდება თავის ნაგებ ეკლესიებს, სკოლებს, აღნუსხავს ქართულ სიძველეებს. მემუარისტი კეთილშობილ ოსებსაც არ ივიწყებს, რომელთაც რამდენჯერმე დაუპურეს მშიერი ღვთისმსახური. ტყვე მოძღვარი ჩრდილოელ ოსებს არწმუნებდა მათ მიმართ ქართველების კეთილგანწყობაში. უხსნიდა - ქართველი მისიონერები ოსებისა და ქართველების განათლებისათვის სკოლებს აარსებენ (ლეონიდისადმი ოსების მიერ გამოხატულ მადლიერებაზე ზემოთ მოგახსე-

[1] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. I.

ნეთ), „თქვენ კი ზურგში ლახვრის ჩაცემა დაგვიწყეთო“. ღირსეული მწყემსი ღმერთის ჯილდოდ მიიჩნევდა ამ განსაცდელს. არც მაშინ მოუხრია ქედი, როცა მისთვის გათხრილ სამარეს უყურებდა. მოლაპარაკებების შემდეგ იგი სამშობლოში დააბრუნეს. აუტანელი პირობები შეუქმნეს ღვთისმსახურს გასაბჭოებულ საქართველოში. რამდენჯერმე გაძარცვეს, წაიღეს ინგილოების სახსოვარი ჯვარიც. 1922 წელს ამბოხის მზადების ბრალდებით 9 თვე ციხეში ამყოფეს. „უდანაშაულო დევნა-წამებამ ჯანმრთელობა წამართვა - დამბლა დამემართა.“[1] სნეული მოძღვარი 1923 წელს ოჯახით მშობლიურ დისევში გადავიდა. აქაც არ მოასვენეს. 1930 წლის თებერვალში საწოლს მიჯაჭვულ დეკანოზს ბოლშევიკებმა სახლი ჩამოართვეს: „ამწიეს და ლოგინიანად თოვლში გარეთ გამომიტანეს... შვილებისთვისაც საშიში გავხდი...“[2] მართლაც, ერთ-ერთი ქალიშვილი (ქეთევანი) 1929 წელს კონსერვატორიიდან დაითხოვეს (იგი თავისი თვალით ხედავდა თებერვლის ნამქერში როგორ გამოასახლეს დადამბლავებული მამა), მეორეს – ზინას, საცხოვრებელი წაართვეს. მისი მეუღლე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ალექსანდრე ლომთათიძე, (1882-1924) ემიგრაციაში არ წავიდა – აქ უფრო დავჭირდებიო სამშობლოს. 1923 წელს დააპატიმრეს და ტაშკენტში გადაასახლეს. მეორე წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მათ სახლში პროლეტარი პოეტის, კარლო კალაძის ოჯახობა შეასახლეს. სახლი დაულუქეს იმჟამად უკვე სახელმოხვეჭილ ექიმს, იროდიონის უფროს შვილს – ბესარიონს. სიცოცხლეს ერჩივნა საყვარელი შვილები, ხედავდა - მათთვის საფრთხედ იქცა. სთხოვდნენ – გარეგნულად მაინც უარეყო მღვდლობა, მაგრამ ვერ შეძლო: მღვდე-

[1] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. II.
[2] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მემუარები, ნაწ. II.

ლი წვერითა და სამოსით უნდა დაიმარხოსო. მიუხედავად მრავალი გულისტკენისა, მისი გული სიყვარულით იყო სავსე უფლისა და ადამიანებისადმი. მან შეიცნო საკუთარი თავი, მისი ცხოვრების წესად იქცა უკვდავი სულისთვის თავგანწირული ზრუნვა. „...ხორცი მოსპონ, სული ღვთის მოცემულია, მასზე უფლება არა მაქვსო...“[1] შვილებსა და შვილიშვილებს უანდერძა არ გადაეხვიათ წინაპართა ნამემკვიდრევი გზიდან. 1933 წელს უღვთოდ ნატანჯ-ნაგვემმა სპეტაკად დაუბრუნა ღმერთს „მოცემული სული.“ მამა იროდიონი იმ მრისხანე ჟამის შვილი იყო, რომელმაც ადამიანური ყოფიერებისათვის წარმოუდგენელი ტრაგედიები დაატრიალა. შეიწირა ასეულობით ქართველი პატრიოტი, მათ შორის მისი სოფლისა და გვარის შვილები. მან რწმენის საყოველთაო დევნის ჟამს დინების წინააღმდეგ იცურა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლის სახელი დაიმკვიდრა. დეკანოზის ნაფიქრ-ნააზრევი ძალუმად გვაგრძნობინებს და განგვაცდევინებს ამა სოფლის წუთიერებასა და სულიერების მარადისობას.

მამა იროდიონის მემუარები ძვირფას მასალას წარმოადგენს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ამიერკავკასიასა და საქართველოში მიმდინარე რთული პროცესების შესასწავლად. იგი პირუთვნელად გვიხატავს საინგილოსა და ცხინვალის რეგიონის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფასა და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ავტოკეფალიისათვის ბრძოლის სურათებს. როგორც ჩინებული ღვთისმეტყველი ღრმად წვდება მართლმადიდებლობის არსს, ლოცვის აზრსა და მნიშვნელობას. დიდი საეკლესიო მამების აზრთა კონას დაამშვენებდა მოძღვრის მსჯელობები ერის ცხოვრებაში მართლმადიდებელი

[1] დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, ჩემს შვილებსსა და შვილიშვილებს, მემუარები, ნაწ. III.

სარწმუნოების როლის შესახებ: „სარწმუნოება არის ზნეობრივი სარკე კაცთა ცხოვრებისა, მაჩვენებელი ჩვენი ლაქებისა და უწმინდურობისა...“; „ყოველი ერი, რომელიც სარწმუნოებით არ არის შედუღაბებული, უბრალო ქვათა ყორეს წარმოადგენს“ (ბოლშევიზმს იგი ასეთ ყორეს ადარებს); „სარწმუნოება ერისათვის იგივეა, რაც დედა ფუტკარი სკისთვის“; „სარწმუნოება იგივეა, რაც დროშა მებრძოლი რაზმისთვის“ და სხვა. ავტორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბოლშევიკურ იდეოლოგიასა და მის მიმდევრებს – „ორი გოჯის სიღრმის“ ე.წ. მეცნიერებს: ისინი „არ განირჩევიან პირუტყვთაგან, რადგან სულიერი სიფაქიზე და სიწმინდე არა სწამთ.“[1]

მთავარხუცესს დიდად აფასებდნენ ქართველი მწერლები: სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით კასრაძე, ნიკო ლომოური... ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი დიდ მამულიშვილად მიიჩნევს მას, რომელმაც „თავისი კეთილშობილური მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო ინგილოებს...“[2] აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გასული უკუნის 60-იან წლებში თვალსაჩინო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ოთარ ჩხეიძემ ჟურნალში „ლიახვი“ (იგი რედაქტორობდა ლიტერატურულ ალმანახს) გამოაქვეყნა მოძღვრის მემუარების რამდენიმე ნაწილი („საინგილოში“ 1963, გვ. 113-120; „სიო 1905 წლისა“, 1966, გვ. 109-115; „ულელტეხილზე“, 1968, გვ. 131-135) ეს დიდი მოქალაქეობრივი გმირობა იყო რედაქტორის მხრიდან. პირველი პუბლიკაციის მოკლე თავსართში მწერალი აღნიშნავს, რომ „ირიდიონ ოქროპირიძე სიყვარულს, თავისუფლების უკვდავ, მარადიულ აზრებს ქადაგებდა გულში ჩამწვდომად, როგორც

[1] დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე, საღვთისმეტყველო ჩანაწერები.
[2] მ. ჯანაშვილი, „ჟამი ძიებისა და განსჯისა“, თბ., 2006, გვ. 392.

ძველი, დარბაისელი მჭევრმეტყველი... კარგადაც წერდა.“[1] 1969 წელს ოფიციოზის მითითებით „ლიახვი“ აიკრძალა. მკაცრად გაკიცხეს რედაქტორი, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც აღნიშნული პუბლიკაციები გახდა. ცენზურა აღაშფოთა 1918-20 წლებში ცხონვალში ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლების ამსახველი მასალების გამომზეურებამ. მათი თქმით, გაუგებარია, რატომ დასჭირდა რედაქტორს „ამ ნაწყვეტის გამოქვეყნება... ვინ იყო ი. ოქროპირიძე... რის შესახებაა, რითია იგი საინტერესო?!..“[2] ბატონი როსტომ ჩხეიძის თქმით, კომუნისტ მოხელეებს მშვენივრად ესმოდათ რის შესახებ და რით იყო საინტერესო ეს მოგონება. 1989 და 1990 წლებში ჟურნალისტმა გიორგი გოჩიტაშვილმა ჟურნალში „მნათობი“ (1989, №12; 1990, №9) გამოაქვეყნა დეკანოზის მოგონებების ორი, შედარებით ვრცელი ნაწილი: „ქრისტიანობა საინგილოში XIX საუკუნის მიმწუხრსა და XX საუკუნის დასაწყისში“ და „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან“.

დეკანოზის ბიძაშვილები და ამ სტრიქონების ავტორის დიდი პაპები იყვნენ მღვდელი პეტრე (მოღვაწეობდა XVIII ს-ის ბოლოსა და XIX-ის დასაწყისში. იგი იხსენიება 1789 წლის ქართლის „კათალიკოზის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების“ აღწერის დავთარში. „ქართული სამართლის ძეგლები“, III, 1970, გვ. 989-990) და მისი შვილიშვილი - მედავითნე ნიკოლოზი. ნიკოლოზის შვილი იყო დისევის ეკლესიის დიაკვანი ვლადიმერ ოქროპირიძე. იგი 1917 წელს

---

[1] ო. ჩხეიძე, „საინგილო“, ლიტერატურული ალმანახი „ლიახვი“, 1963, გვ. 114.

[2] რ. ჩხეიძე, „ერთი პუბლიკაციის გამო“, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №19, გვ. 11.

აირჩიეს ქართლის საეპარქიო საბჭოს წევრად („საპატრიარქოს უწყებანი“, 2011, №2, გვ. 18). მშობლიური დიესევ-კულბითის გარდა მსახურობდა სოფლების, ბიყარისა და ორტევის სამრევლოებში. ვლადიმერი ახლოს ურთიერთობდა მეუფე პიროსთან. მისი ხელშეწყობით მიუღია სასულიერო განათლება. დიაკვნის მახვილსიტყვაობასა და განათლებას განცვიფრებაში მოჰყავდა თანამედროვენი. ბრწყინვალედ ფლობდა მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიას, რუსულ ენას. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის სხვადასხვა ეკლესიებში (გრემისხევის წმინდა მარინეს, ხვედურეთის ღვთისმშობლის) ნაყოფიერად მოღვაწეობდა დეკანოზი იასონ ოქროპირიძე. როგორც სანიმუშო მოძღვარი, 900-იან წლებში აირჩიეს გორის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესად. ოქროპირიძეების სასულიერო დასის ღირსეული წევრები იყვნენ იმავე ხანებში მოღვაწე მღვდლები: ნოშრევანი, რომანოზი, გიორგი, ზაქარია, გრიგოლი, ნიკოლოზი, იაკობი, თომა, კონსტანტინე, ისაია (დიაკვანი სვიმონი) და სხვები. მედავითნეობდნენ: ლაზარე, დავითი, ივანე, შალვა, ზაქარია, პეტრე, ზურაბი... მათში გენეტიკურად, ორგანულად იყო ნაერთი რელიგიური და ეროვნული განცდები. 2008 წლის ომმა ფერფლად აქცია ოქროპირის ძეთა ისტორიული სოფელი. აგვისტოს ხვატში ერთბაშად აბრიალებული ცეცხლის კვამლი ზანტად მიიწევდა ცისკენ, თითქოს უნდა მიახლებოდა იქ, ზეცაში დავანებულ ოქროპირ წინაპართა სულებს, მიესამძიმრებინა დიდი აღმაშენებლისაგან ნაბოძები მამულის რბევა-განადგურება. ოქროპირიძეების უფლისადმი უწყვეტი მსახურება ღვთის მადლად და კურთხევად მიაჩნდა პატრიარქ ლეონიდეს: „...იმედია არც ჩვენ გამოგველევიან წამბაძავნი გვარშიო...“ ჭეშმარიტად, წი-

ნაპართა ტრადიციებს დღეს ღირსეულად აგრძელებენ წყნეთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი, იღუმენი იოანე, ქართის წმინდა ათანასე ალექსანდრიელის სახელობის მონასტრის წინამძღვარი სქიმიღუმენი ისიდორე, ბიწმენდის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძრის მონაზონი დედა ნინო, ბათუმის სამების დედათა მონასტრის მონაზონი დედა ბარბარე. ,,კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი" პირნათელნი არიან უფლისა და სამშობლოს წინაშე. ისინი ბრძოლის წინა რიგებში მიუძღოდნენ მრევლს და თავგანწირვის იშვიათ მაგალითებს უტოვდნენ შთამომავლობას.

დამოწმებანი:

1. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
2. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
3. ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967.
4. ჟორდანია თედო, ქრონიკები, I, თბ., 2004.
5. ჟორდანია თედო, ქრონიკები, II, ტფ., 1897.
6. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.
7. ჭიჭინაძე ზაქარია, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები, ტფ., 1903.
8. ჭიჭინაძე ზაქარია, სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, თბ., 1908.
9. ჭავჭავაძე ილია, საარქივო გამოცემა, ლექსები, პოემები, თარგმანები, ჩანაწერები, შემდგენელ-გამომცემელი თ. თვალავაძე, თბ., 2010.

10. ნებოძირელი ილია, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, თბ., 1902.
11. ერისთავი დავით, „სამშობლო“, ს. გერსამიას რედაქციით, თბ., 1947.
12. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, სიტყვანი და მოძღვრებანი, I, ფოთი, 1914.
13. მანსვეტაშვილი იაკობ, მოგონებები, თბ., 1985.
14. ხელაშვილი მიხა, სიტყვა ლექსებად ნაქარგი, თბ., 2013.
15. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013.
16. მეგრელიძე იოსებ, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997.
17. გამახარია ჯემალ, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, თბ., 2006.
18. ვარდოსანიძე სერგო, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010.
19. ვარდოსანიძე, სერგო, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921წ), თბ., 2000.
20. გურგენიძე ვახტანგ, წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, II, თბ., 1997.
21. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, „არტანუჯი“, თბ., 2004.
22. პავლიაშვილი ქეთევან, ბესარიონ ფავლენიშვილი, კულტურის ისტორიის საკითხები, III, თბ., 1997.
23. ალიმბარაშვილი იოსებ, ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწერის შესახებ, გორის ს.ს. უნივერსიტეტში წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 1915.
24. საითიძე გელა, სული დასდეს ცხოვართა თვისთათვის, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2003, №2(6)

25. გაგოშიძე გიორგი, ქვემო წყლულეთის დარბაზული ეკ-
ლესია, საქართველოს სიძველენი, 2008, №12.
26. სქიმიღუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ოქროპირიძე ზუ-
რაბ, ოქროპირიძე უჩა, ოქროპირიძეების საგვარეულო სოფ-
ლის მოკლე ისტორია, თბ., 2012.
27. ოქროპირიძე ზურაბ, ქართველი მისიონერები (ოქროპირი-
ძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერ-
თობები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვ-
ნილი საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები, თბ., 2011.
28. ოქროპირიძე ზურაბ, დავით აღმაშენებელი და შიდა ქარ-
თლი, გორის ს.ს. უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლო-
გიის ცენტრის შრომათა კრებული, 2014, №7.
29. ლაპიდარული წარწერების კორპუსი, I, თბ., 1980.
30. ბოჭორიძე გიორგი, ქართლის ეკლესია მონასტრები, თბ.,
2011.
31. გოჩიტაშვილი გიორგი, დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე,
მოგონებები, „მნათობი“, 1989, №12, 1990, №9.
32. ჩხეიძე ოთარ, „საინგილოში“, ლიტერატურული ალმანა-
ხი „ლიახვი”, 1963; „სიო 1905 წლისა“, 1966, „უღელტე-
ხილზე“, 1968.
33. ბუბულაშვილი ელდარი, ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირი-
ძის მიმართვა ათონის მთაზე მოღვაწე ბერებს, გელათის მეც-
ნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №1-2, 2014.
34. დეკანოზი ირიდიონი (ოქროპირიძე), მემუარები, (ინახება
პროფ. ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში).
35. ოქროპირიძე ქეთევან, ჩემი ცხოვრება, მოგონებები, ინა-
ხება ავქსენტი მეგრელიძის საოჯახო არქივში.
36. მღვდელ ალექსანდრე ოქროპირიძის მემკვიდრეთა საოჯა-
ხო არქივი.

37. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსისა და კათოლოკოს-პატრიარქ კირიონის ფონდები.
38. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, არქიმანდრიტ ისე სუხიშვილის ფონდი.
39. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3.
40. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №19
41. საპატრიარქოს უწყებანი, 2010, №11; 2011, №2; 2016, №13.
42. „ივერია”, 1890, №210; 1898, №103; 1903, №38, 1905, №19.
43. „სახალხო გაზეთი“, 1912, №5.
44. „საქართველო“ 1919, №42; 1920, 10, XII.
45. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, №100.

Zurab Okropiridze
Gori State Teaching University

THE CLERICAL ORDER OF OKROPIRIDZES
RESUME

According to the royal deeds the clerical order of “Noble Surname of Okropiridzes~ living in Village Disevi of Patara Liakhvi Valley (currently occupied) has a special place in the history of the Georgian Orthodox Church. This surname has as a crown of Great Church and Public Figure, Saint Ilia the Righteous’s Confessor Saint Chief Priest Aleksandre (1824-1907) and also Catholicos-Patriarch of Georgia

Leonidi's (1861-1921) names. Bishop Pirosi (1874-1922) and Archpriest Ilarioni martyrized for the God and Country. The famous missionary priests were: Daviti, Besarioni, Gabrieli, Aleksandre, Archpriest Iridioni etc. Not one person from the surname of Okropiridzes does activities on the clerical arena today too.

უჩა ოქროპირიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა

დღიდან სამშობლოსაგან ჩამოშორებისა აჭარა ყოველთვის იყო სამეფო–სამთავროებად დაქუცმაცებული, მაგრამ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა შენარჩუნებული ქართველი მოღვაწეების ყურადღების ცენტრში. მასზე განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართული ეკლესია და როდესაც მოძალადე მტერმა XVIII საუკუნეში ქედაში, დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, ჭახათში, გონიოში სახრჩობელები და თავსაკვეთლები აღმართა ღვთის მოშიში ქრისტიანების წინააღმდეგ[1], საქართველოს ამ რეგიონის ტერიტორიაზე ქრისტიანული საეპისკოპოსოები თანდათანობით გაუქმდა, ხოლო ეკლესია–მონასტრები განადგურდა; ქართულ ეკლესიას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მცდელობა, როგორმე ისტორიულ მეხსიერებაში მაინც შეენარჩუნებინა აჭარაში მოქმედი ქრისტიანული ცენტრები და მათ ასაღორძინებლად საჭირო დროს დალოდებოდა. სწორედ ამიტომაც 1804 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მოვალეობის შემსრულებელმა მიტროპოლიტმა დოსითეოს ქუთათელმა აღადგინა ხინოწმინდის საეპისკოპოსო, რომლის ნომინალურ მმართ-

[1] ბუბულაშვილი ე., აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ., 2001, გვ. 198-209); (თთვენი, ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997, გვ. 395).

ველად დანიშნა იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ვაჟი დავითი,[1] თუმცა იგი მისთვის განკუთვნილ სამწყოსში არასდროს ჩასულა.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთანავე რუსეთის ცარიზმმა თავისი კოლონიური პოლიტიკით ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მუჰაჯირად აქცია და სამშობლოდან გადახვეწა. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი თანამოძმეების მიერ მათდამი, და განსაკუთრებით მათი სარწმუნოებრივი გრძნობებისადმი გამოვლენილ პოზიციას. 1878 წლის ნოემბერში თბილისში ჩასულ ქართველ მაჰმადიანთა 12 კაციან დელეგაციას დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვდა ქართული საზოგადოება, რომელთა წარმომადგენლები „ფიცით პასუხს აძლევდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ მათ სჯულსა და საოჯახო წესებს და ადათებს არასდროს არავინ შეეხებოდა“[2].

აჭარის დელეგაციას საგანგებოდ შეხვდა მაშინ გორის ეპისკოპოსი, წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე, რომელმაც მისალმებისა და დიდი სიყვარულით მოკითხვის შემდეგ მათ მიმართა მეტად მოზომილი და შორსგამიზნული სიტყვით: „ღმერთმა აკურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გააძლიეროს თქვენი ოჯახი და თქვენი სარწმუნოება ისლამი... ჩვენ ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენა სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი. იქონიეთ იმედი, რომ არცერთი ჩვენთაგანი თქვენს სჯულსა და ადათ–წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხება ავად... ღმერთმა აკურთხოს თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლშვილი, შინ მშვიდობით დაბრუნდით და თქვენს სჯულზედაც იყავით ფრთხილად და

---

[1] თავამაიშვილი გ., ხინოწმინდა, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1998, გვ. 97.

[2] ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები, გაზ. „მიწა“, № 10, 1920.

ამსრულებელი ისევე, როგორც თქვენი ისლამის წესია, და ვალდებულებანი“.[1] ეს იყო ქართველი მღვდელმთავრის მომენტის სრული შეგნებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც კმაყოფილების გრძნობით აღავსო და თანაც დაამშვიდა მაჰმადიანი ქართველები, რომელთა ადაპტირება ქართულ გარემოში მხოლოდ იწყებოდა.

თბილისიდან უკან დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ქუთაისსაც ესტუმრა, სადაც სტუმრებს სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ, რომელშიც აღნიშნა: „...თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენს სჯულს ვინმე ჩვენთაგანი შეეხოს და ავად ახსენოს, არა, ეს არასდროს არ იქნება, რადგან ქართველ ერს ამის სურვილი და წადილი არა აქვს. აი, მე მღვდელმთავარი ვარ და არა ვარ ამის მოსურვე... შეგიძლიათ შინ მშვიდობით წაბრძანდეთ და დაარწმუნოთ თქვენი ძმებიც, ნათესავები და მეზობლები, რომ მათი სჯულის შემხებელს ერთ კაცსაც ვერ ნახავენ“, რაზედაც აჭარის დეპუტაციის მეთაურმა შერიფ ხიმშიაშვილმა უპასუხა: „მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხის ნატვრაც ეს გახლავთ და ჩვენ სულ ამის დარდში ვიყავით, ახლა ამის დარდი გაგვიქრაო“[2].

მეტად შთამბეჭდავი და გულის შემძვრელია ამ ახლად შემოერთებულ მხარეში ახალგაზრდა ლონგინოზ ოქროპირიძის (შემდგომში საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი ლეონიდე) ქობულეთში მოგზაურობისას, წარმოქმნილი შტაბეჭდილებანი, რომელსაც იგი თავის ბიძას, ეპისკოპოს ალექსანდრეს წერილში შემდეგნაირად უზიარებს: „ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ მე თქვენთან ერთად ვიყავი ქობულეთში... ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევები „თეთროსანი“!!! ის დრო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება და არის კი-

[1] ჭიჭინაძე ზ., იქვე.

[2] ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები, გაზ. „მიწა“, № 10, 1920.

დეც. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი, მაშინვე ვიგრძენი ქობულეთლების სიახლოვე და გეფიცებით ღმერთსა, მასუკან ჩემი გული და სული იქ დარჩა, – ამბობს ახალგაზრდა ბერ-მონაზონი და განაგრძობს, – თანახმად თქვენი რჩევისა, ჩემი სურვილიც ისაა, რომ საინგილო და ქობულეთში მოვყვე. პირველად იმიტომ, რომ... ხელი უფლისა პირველად ვცან ქობულეთში და ჩემი გული მას უკან იქ არის; მეორეთ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ქართული ენაა და ქართულად შეიძლება სწავლა–განათლება.[1] აქ უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ბერ-მონაზონის გრძნობის სიღრმე და სიწრფელე, ამასთან ისიც, რომ თუ რა უკეთილშობილესი მისწრაფებების აღძვრა შეუძლია კეთილმორწმუნე პიროვნებაში წინაპართა სალოცავების ნანგრევთა ნახვასაც კი, რაც მათ მიერ უდიდესი ღვთიური მადლის მატარებლობის უტყუარი ნიშანია და ამიტომაც დღესაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე შემორჩენილ ამ ქართულ, უდიდეს სულიერების საყრდენ რელიქვიებს.

ასეთი გულისხმიერი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულების შედეგად თანდათან აჭარაშიც მომძლავრდა ეროვნული თვითშეგნება, ქართული სულიერების აღორძინების საფუძვლები და მალე ის თვითონაც ახერხებდა აჭარის გულითად მოამაგეებზე მადლიერების გრძნობის უშურველ გამოხატვას, რისი ერთ-ერთი დასტურიცაა წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრეს გარდაცვალების გამო ბათუმის ქალაქის სათათბიროს 1907 წლის 26 ნოემბრის სხდომის გამოხმაურება, რომელშიც აღნიშნულია: „ქართულმა ეკლესიამ განიცადა მძიმე დანაკლისი სულიერი მწყემსის, ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების გამო. ეპისკოპოსი ალექსანდრე იყო გამოჩენი-

[1] ვარდოსანიძე ს., სრულად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861–1921), თბ., 2014, გვ. 13–15.

ლი საზოგადო მოღვაწე, გულუხვი, ასევე მოკრძალებული ქველმოქმედი, განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების და კონკრეტულად ქართული ეკლესია–მონასტრების დაცვას...[1].

უნდა ითქვას, რომ ბათუმში პირველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აშენებასა და მასში ღვთისმსახურების აღსრულების დაწყებისათვის დიდი ღვაწლი დაუდვიათ ეპისკოპოსებს ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებს...

1912 წელს დასრულებული ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის კურთხევის შესახებ ერთ–ერთ იმდროინდელ გაზეთში ვკითხულობთ: „გუშინ დილით მატარებლით ბათუმში ჩამოვიდა ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე. ოთხშაბათს, 7 მაისს, ეპისკოპოსი ლეონიდე აკურთხებს ახალშენში ბერძნების ეკლესიას[2].

ქართველი მაჰმადიანებისადმი ეპისკოპოს ლეონიდეს უგულითადესი დამოკიდებულების მაგალითია მისი წერილი ალექსი ჭიჭინაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ამ ბარათის მომრთმევი გახლავთ ქობულეთელი მაჰმადიანი ისმაილ კაიკაციშვილი. ეს კაცი წარმოგიდგენთ თქვენ ორ ბავშვს, რომლებიც, როგორც ბ. ყაზბეგმა მაცნობა მიღებულები არიან თქვენს გიმნაზიაში. გთხოვთ გულით და სულით, ამათ, როგორც ხამებს, გამოუცდელებსა და ყველასგან დაშინებულებს, მოეფეროთ, დაუყვავოთ და გაამხნევოთ, რომ პირველსავე ნაბიჯზე არ იგრძნონ სულიერი ობლობა. მე ვგრძნობ, ამ ბავშვების მიღებით თქვენს სასწავლებელში საძირკველი ედგმის დიდს ეროვნულ საკითხს და ამ საქმეს სწორედ თქვენისთანა მამა სჭირია... თქვენთვის, როგორც ნამდვილი

---

[1] აცსა, ფ.ი. 7, აღ. 1, საქმე 443, ფურც. 4,5.

[2] ნაირა ტაბატაძე-მიქანაძე, საიდან იწყება სამშობლო..., გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2005, გვ. 129.

ქართველისათვის დიდად საჭიროა სწორი ცნობა გქონდეს ქობულეთლებზე. თუ ჩვენ გვსურს ჩვენი თანამოძმე ქართველი მაჰმადიანების პოვნა და შეძენა, ... ეს უნდა დავიწყოთ ქობულეთიდან. ქობულეთში უნდა მოვიკიდოთ ფეხი, იქ უნდა ავანთოთ ქართული მწიგნობრობის ლამპარი, იქ უნდა გაიხსნას წერა-კითხვის საზოგადოების ხელმძღვანელობით და მეთაურობით პირველი სასწავლებელი.

კარგს იზამთ, თუ ამ წერილის მომტანს გაეცნობით და საფუძვლიანად გამოჰკითხავთ ქართველი მაჰმადიანების ავსა და კარგსა.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ეპისკოპოსი ლეონიდი. 15.X, 1914[1].

ასევე სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი ლეონიდე იყო სწორედ პირველი, რომელმაც 1918 წლის 4 ივნისის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება გააპროტესტა და ბათუმისა თუ სხვა ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული რეგიონების ძველი ყოფილი მართლმადიდებლური ეპარქიების ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადაცემა მოითხოვა. ხოლო ჯერ ოსმალების და გერმანელების, შემდეგ კი ინგლისური ოკუპაციისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად, საქართველოს საეკლესიო კრების სხდომის ბოლოს მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ „ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოზე დაბრუნების შესახებ“ წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც კრება დიდი სიამოვნებით შეხვდა. კათალიკოს–პატრიარქის წინადადებით გადაწყდა მეორე დღეს, თბილისში თავისუფლების მოედანზე დღის 12 საათზე ამ სასიხარულო ფაქტთან დაკავშირებით პარაკლისი გადაეხადათ და შემდგომ პანაშვიდიც აღე-

[1] გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხ. №9662.

სრულებინათ ფრონტზე დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენებლად.[1] მეორე დღეს სამღვდელოებას დიდძალი ხალხი მიყვებოდა... გადახდილ იქნა საქართველოს მთლიანობისათვის და სხვა ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილთა სულთა საოხი პანაშვიდი და ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნებისადმი სამადლობელო პარაკლისი.

უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს–პატრიარქმა ლეონიდემ თავისუფლების მოედანზე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იგი აღნიშნავდა იმ დიდ სიხარულს, რაც ბათუმისა და საერთოდ აჭარის დაბრუნებით იყო გამოწვეული. თავისი სიტყვა უწმინდესმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „... სამღვდელოება ესე, როგორც წარსულში და აწმყოში, ისე მომავალშიდაც თავდადებული თანამშრომელია მთელი ქართველი ერისა და ღვთის წინაშე მავედრებელი მისი სამშობლო ქვეყნისა და ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის“.[2] აქ, ეჭვს გარეშეა, უწმინდესი და უნეტარესი მაშინდელი აჭარის ქართველ მაჰმადიანურ მოსახლეობასაც გულისხმობს, რითაც აგრძელებს ქართველ მღვდელმთავართა იმ შორსმჭვრეტელურ და ტოლერანტულ ტრადიციას, რომელსაც აჭარის შემოერთების პირველ ხანებში წმინდა მღვდელმთავრებმა ალექსანდრე ოქროპირიძემ და გაბრიელ ქიქოძემ ჩაუყარეს საფუძველი.

ქართულ ეკლესიასა და ქართველ მღვდელმთავრებს ყოველთვის აწუხებდათ სამუსლიმანო საქართველოს და კერძოდ, აჭარის გარშემო შექმნილი პრობლემები და მათი შორსმჭვრეტელური, დროისა და ისტორიული მომენტის ღრმა გაგებით წარმოებული ქმედებებით თავიანთი წვლილი შეჰ-

---

[1] ვარდოსანიძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[2] იქვე, გვ. 133 (საქართველოს II საეკლესიო კრება (სტენოგრამა), 1920 წ. 27 ივნისი.

ქონდათ არა მარტო ამ ქართულ ისტორიულ მხარეში ეროვ-ნული თვითშეგნების აღორძინებაში, არამედ დიდად ზრუნავდ-ნენ მათი ზოგადქართული საქმისათვის მხარში ამოყენებაზეც.

დამოწმებანი:

1. ბუბულაშვილი ე., აჭარის შემოერთება და ქართველი სამ-ღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ., 2001.

2. თავამაიშვილი გ., ხინოწმინდა, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, № 1, 1998.

3. ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები გაზ. „მიწა“,№ 10, 1920.

4. ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861–1921), თბ., 2014.

5. აცსა, ფ.ი. – 7, აღ. 1, საქმე 443, ფურც. 4,5.

6. ტაბატაძე-მიქანაძე ნ., საიდან იწყება სამშობლო..., გამომც. „ალიონი“, ბათ., 2005.

7. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხ. №9662.

8. თთვენი, ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდ., 1997.

Ucha Okropiridze
Batumi Shota Rustaveli State University,
Institute of Niko Berdzenishvili

GEORGIAN BISHOPS AND ADJARA

RESUME

The present work includes information about meetings between Adjarian society and Georgian bishops in Tbilisi, Bishop Aleksandre and Bishop Gabriel Kikodze in Kutaisi in 1878 after annexation of Adjara.

The words/speeches of bishops at the mentioned meetings and the replies of Sherip Prince Khimshiashvili as well as the comment of Batumi Sakrebulo (representative body of self-government)26-th meeting in 1907about the death of bishop Aleksandre.In such speeches the caring for Kobuletian Mohammedans and sanctifying Akhalsheni church of transfiguration hereby the indelible impressions of Longinoz Okropiridze's (afterwards patriarch Leonide) visit in Kobuleti church which gave him stimulus to start monastery life.

The work includes excerpts from the Minutes of Meeting of Patriarchate of Georgia dated June 27-th, 1920 about the public prayer b because of Batumi and Batumi District annexation to Georgia and the word of Catholicos patriarch of Georgia Leonide, etc.

ქეთევან პავლიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კატაკომბური ეკლესია და მეუდაბნოების ინსტიტუტი აფხაზეთში (XIX ს-ის II ნახ. - XX ს-ის 80-იანი წწ.)

თანამედროვე საეკლესიო ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოქმედებს კატაკომბური ეკლესია, რომლის ორგანიზატორად სახელდება არქიმანდრიტი ანტონ ტავრიელი (აბაშიძე) და რომელიც 1920-1943 წლებში იყო კიევის ქართველი მრევლის წინამძღოლი. ნიშანდობლივია, რომ საისტორიო საბუთებით ვერ ხერხდება არქიმანდრიტ ანტონის მიერ კატაკომბური იერარქიის ცენტრალიზებული ორგანოს დადგენა. როგორც უახლესი საისტორიო წყაროები იუწყებიან, საქართველოს ე.წ. კატაკომბური ეკლესიის უფლებამოსილება არ გასცილებია სასულიერო პირთა ხელდასხმას, ხოლო ანტონ ტავრიელის მოღვაწეობა კი ე.წ. „მოხეტიალე სამღვდელოების“ ინსტიტუტის ფორმირებით შემოიფარგლა. აღნიშნული სამღვდელოების მოქმედების ასპარეზი კი ყირიმი, კავკასიის მთები და მისი მიმდებარე რეგიონები იყო.[1]

საქართველოს კატაკომბური ეკლესიის კანონიკურობის საკითხი ღრმად პრობლემატურია. როგორც ცნობილია, 1917

[1] Архимандрит Лазарь (Абашидзе), „Мучение Любьви (келейные записки)” , Саратов, 2005, с. 14

წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არ აღიარა რუსეთის ეკლესიამ.[1] ამ ფაქტის საპროტესტო მოძრაობაში რუსეთში მოღვაწე ქართული ეთნოსის სამღვდელოებაც მონაწილეობდა, რომელთა რეალური ინტერესები იყო რუსული საბჭოური სისტემის სამსახურში ჩამდგარი არქიელთა დასის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო არქიმანდრიტი ანტონ აბაშიძეც, რომელიც არ ირიცხებოდა ქართულ სასულიერო კრებულში. ის 1941 წლიდან კიევის ავტონომიური ეკლესიის სამღვდელო დასს შეუერთდა და მოსკოვის საპატრიარქოსთან ანტაგონისტურ პოზიციაში ჩადგა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება აისახებოდა საქართველოს კატაკომბურ ეკლესიაზეც[2].

საქართველოს კატაკომბური ეკლესიის წევრ სამღვდელოებაზე, მათი გასაიდუმლოებული მოღვაწეობის გამო, ფაქტობრივად, ისტორიული საბუთები არ მოიძებნება. ცნობილია მხოლოდ, რომ მათ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ კავკასიელ კატაკომბელებთან, თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ზოგიერთ სასულიერო პირთან, დახმარებას უწევდნენ ფარულად იატაკქვეშეთში მოღვაწე ბერ-მონაზვნებს და ა.შ. და მაინც, საქართველოს კატაკომბური ეკლესიის სამოქმედო ასპარეზი იმთავითვე კავკასიის უკიდურესი მთიანეთი და, განსაკუთრებით, აფხაზეთი იყო. აღნიშნულის მიზეზი კი ისტორიულ წარსულშია საძიებელი. საისტორიო წყაროების თანახმად, აფხაზეთის მეუდაბნოე ცხოვრების წესსა და შესა-

---

[1] პავლიაშვილი ქ., საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია, თბ., 2008, გვ. 3

[2] Невагинский С., Церковное подполье, Воронеж, 1929, с.8

ბამისი ინსტიტუტის არსებობას მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია.[1]

აფხაზეთის მთიან მასივში მეუდაბნოება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ამ მოვლენის ირგვლივ ძირითადად XIX საუკუნის ისტორიული საბუთები მეტყველებენ. აღნიშ-ნულმა ეპოქამ, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, უაღრესად საინტერესო ძველი საბუთები გამოავლინა, თუმც ყველაზე მრავლისმეტყველი წყაროები XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენებს ჰფენს ნათელს და ის უკავშირდება რუ-სეთის პოლიტიკურ-საეკლესიო ინტერესებს საქართველოსა და, კონკრეტულად, აფხაზეთის მიმართ.[2]

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთმა გააააქტიუ-რა აფხაზეთის საეკლესიო ათვისების პოლიტიკა ამ რეგი-ონის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გამო. სწორედ 70-იან წლებს უკავშირდება აფხაზეთში ე.წ. ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის დაარსების ისტორია. აღნიშნული მონასტერი ათონის წმინდა მთაზე წმინდა პანტელეიმონის მონასტრის, იგივე „რუსიკის“ ტიპიკონით მოქმედებდა. ამ უკანასკნელს ექვემდებარებოდა და, შესაბამისად, მისი სამღვდელო დასიც ეთნიკურად რუსებით იყო დაკომპლექტებული. „ახალი ათო-ნი“ აფხაზეთის რუსიფიკაციის ცენტრად ჩამოყალიბდა, სა-

---

[1] Андреев И., Заметки о Катакомбной Церкви в СССР., М., 2000, с. 1

Архимандрит Лазарь (Абашидзе), „Мучение Любьви (келейные записки)”, Саратов, 2005, с. 12

[2] Панаетис Цаканидис, Афон и русский Пантелеймоновский Монастырь, Салоники, 1997, с. 14-15

დაც აქტიურ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ მონასტრის ბერ-მონაზვნები.[1]

ათონის წმინდა მთაზე მიმდინარე საღვთისმეტყველო დავების („სახელმადიდებლობის“ პოლემიკა - ქ. პ.) დროს, ათონიდან დევნილი სახელმადიდებელი ბერები რუსეთის იმპერიას მოეფინნენ, რომელთა შორის განსაკუთრებულად რეაქციულმა ნაწილმა კავკასიას შეაფარა თავი; კერძოდ, ისინი კომპაქტურად ჩასახლდნენ ტუაფსეში, სოჭში, კრასნაია პოლიანაში და ფსხოუს ხეობაში. სწორედ ეს უკანასკნელი გადაიქცა რუსეთის იმპერიის სახელმადიდებელთა დაჯგუფების ცენტრად.[2]

„სახელმადიდებლობა“, ანუ „სახელგაღმერთება“ – წარმოადგენს საეკლესიო-საღვთისმეტყველო დავებს „იესოს ლოცვაზე“ („უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალენ მე ცოდვილი“), რომელსაც ადგილი ჰქონდა ათონის წმინდა მთის ბერ-მონაზვნობაში და, რომლის საფუძველიც იყო პოლიტიკურ-საეკლესიო დაპირისპირება ათონის მთაზე ბერძენ და რუს ბერებს შორის.

1914 წლის 18 მაისს კატაკომბელი ბერების ჯგუფმა თხოვნის წერილით მიმართა მოსკოვის მიტროპოლიტს მაკარ ნევსკის: „ათონიდან დევნილი ბერები შევიკრიბეთ კავკასიაში, ბიჭვინთის სავანეში და ვითხოვთ უფლებას ახალი ათონის მონასტრის ტიპიკონით სარგებლობაზე“. ამ თხოვნას უარყოფითად შეხვდა ახალი ათონის არქიმანდრიტი ილარიონი და მოითხოვა სოხუმის ეპისკოპოსის სერგისგან არ დაეშვა სახელმადიდებელი ბერების შეშვება ახალი ათონის მონასტერში. ბერების თხოვნა რუსეთის საერო და სასულიერო ხელი-

---

[1] პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945 წლებში, თბ., 2008, გვ 13

[2] Половинкин С., Имяславцы Кавказа, М., 2005, с. 15

სუფლებამ არ დააკმაყოფილა. პირიქით, ბერების შევიწროვების მიზნით, გააქტიურა საეკლესიო პოლიტიკა კავკასიაში.[1]

კავკასიის ათონურ-რუსული მონასტრები რუსეთის ისტორიასა და სულიერ ცხოვრებაში უნიკალური მოვლენა იყო. ათონიდან ლტოლვილმა ბერებმა კავკასიის მთებში ოთხი მონასტერი დააარსეს,სადაც ცხოვრობდნენ და იღწვოდნენ ბერძნულ-აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციების დაცვითა და ასკეტური ცხოვრების წესით. ამავდროულად, ამ მონასტრებმა მნიშვნელოვანი ისტორიული წვლილი შეიტანეს კავკასიის კულტურულ ცხოვრებაში.

კავკასიის ათონურ-რუსულ მონასტრებს შორის განსაკუთრებული ღვაწლით გამოირჩეოდა ყუბანის რაიონის მიქაელ ათონელის მონასტერი, რომელიც კავკასიის ერთ-ერთ მსხვილ მამათა სავანედ მოიაზრებოდა. მონასტრის მშენებლობა მიმდინარეობდა 1878-1885 წლებში და ის უკავშირდება დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის სახელს. მოგვიანებით დაარსდა ალექსანდრე ათონელის მონასტერი არხიზში 1889 წელს და, რომლის ქტიტორიც იყო თავად იმპერატორი ალექსანდრე III. 1904 წელს პიატიგორსკთან, ბეშთაუს მთაზე აიგო ათონის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი დიმიტრი რომანოვის ქტიტორობით.[2]

წმინდა მიხეილ ათონელის ყუბანის უდაბნო IX-X საუკუნეებში ბიზანტიელი ბერების ძალისხმევით დაარსდა. მონასტერი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე უმძიმესი ისტორიული პროცესების გამო გაუდაბურდა. ლტოლვილი სა-

---

[1] Чениколова Е., Создание Афонских монастырей на Кавказе и их роль в просвещении региона, М., 2003, с. 17, 13

[2] Половинкин С., Имяславцы Кавказа, М., 2005, с. 15

ხელმადიდებელი ბერების ინიციატორობით მონასტერი აღდგა და ათონის ტიპიკონით ამოქმედდა[1].

აფხაზეთში დედათა მეუდაბნოობის ინსტიტუტიც ჩამოყალიბდა, რომლის ცენტრებად მოიაზრებოდა: მოქვის ღვთისმშობლის მიძინებისა და კომანის იოანე ოქროპირის სახელობის მონასტრები[2].

აფხაზეთისაკენ მეუდაბნოეთა ლტოლვას ხელს უწყობდა რეგიონის სახარბიელო ბუნებრივი გარემო, რაც მონაზვნური კოლონიზაციისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ჰქმნიდა. გარდა ამისა, აფხაზეთის ბუნებრივი კლიმატი და მცენარული საფარი ერთობ მსგავსი იყო ათონის წმინდა მთის ლანდშაფტისა. აფხაზეთის მაღალმთიანი რეგიონებიც კი მიწათმოქმედების განვითარებისათვის ვარგისიანი იყო, რაც განდეგილებს სარჩოს მოპოვების საშუალებას აძლევდა.საისტორიო დოკუმენტების თანახმად, XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში 500-მდე მეუდაბნოე ცხოვრობდა, რომელთა შორის მხოლოდ 2 იყო ეროვნებით აფხაზი, დანარჩენები კი რუსი ეთნოსის ბერები იყვნენ[3].

აფხაზეთის მეუდაბნოელთადმი რუსეთის საიმპერატორო ყურადღება მას შემდეგ გაიზარდა,როდესაც 1907 წელს გამოქვეყნდა სქიმმონაზონ ილარიონ დოლმაჩევის წიგნი – „კავკასიის მთებში". წიგნმა სათავე დაუდო ღვთის სახელის ირგვლივ საღვთისმეტყველო დავებს და სამონასტრო შფოთის დაწყებას ათონის წმინდა მთაზე, რომელმაც აფხაზეთის ახალ ათონზე ჰპოვა გაგრძელება. 1913 წელს რუსეთის ხე-

---

[1] იქვე.

[2] იქვე.

[3] Невагинский С., Церковное подполье, Воронеж, 1929, с.9

Боголемов А., Церковь под властью коььунизма, Мюнхен, 1958, с. 6

ლისუფლებამ დაგმო სახელმადიდებლობის მიმართულება და უწმინდესი სინოდის ეპისტოლეთი მას მწვალებლობის კვალიფიკაცია მიანიჭა. შესაბამისად დაიწყო სახელმადიდებლების დევნაც[1].

1915 წელს ვ. სვენციცკიმ კავკასიელ სახელმადიდებლებზე გამოაქვეყნა პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომი – „ზეცის მოქალაქენი“. ავტორი წიგნში პოპულარული ენით აღწერდა თავის მოგზაურობას კავკასიაში, შეხვედრებს მეუდაბნოელებთან, ახასიათებდა მათი ცხოვრების წესს და გადმოსცემდა მათ შეხედულებებს რწმენასა თუ მატერიალურ ცხოვრებაზე. ავტორმა შეგნებულად აარიდა თავი საღვთისმეტყველო სადაო საკითხებზე მსჯელობას და განდეგილური ცხოვრების წესს მხოლოდ დადებითი კუთხით მიუდგა. ნიშანდობლივია, რომ იმ დროის საზოგადოების ინტელექტუალური ფენა რელიგიური ძიების პროცესს მწვავედ განიცდიდა, გაძლიერებული იყო ინტერესი ძველი საეკლესიო სწავლებისადმი, მონაზვნურ-ასკეტური ცხოვრებისადმი. შესაბამისად, ვ. სვენციცკის წიგნმა ერთგვარად აპოლოგეტიკური ზემოქმედება იქონია საზოგადოებაზე და კიდევ უფრო გაუმძაფრა კატაკომბელებისადმი ინტერესი. აქედან გამომდინარე, რუსეთის რევოლუციის წინა წლებში აფხაზეთის მონასტრებსა და მაღალმთიან კელიებში ბერ-მონაზონთა რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა. შესაბამისად, ამ რეგიონში დაჩქარდა მეუდაბნოების აღმავლობის ტემპიც. კავკასიის კატაკომბური ეკლესიის ისტორიაშიც წინარევოლუციური პერიოდი, მეუდაბნოების ახალი ეტაპით არის ცნობილი[2].

1917 წლის რევოლუციის შემდგომ, აფხაზეთის მეუდაბნოებში გაიზარდა მართლმადიდებლობის დაცვისა და რუსე-

---

[1] Схимонах Иларион,На Горах Кавказа,СПб., 1998.

[2] Схимонах Иларион, На Горах Кавказа,СПб., 1998, с. 10, 13

თის ანტისაეკლესიო პოლიტიკის საწინააღმდეგო განწყობა. აფხაზეთის კატაკომბებში არ შეჩერებულა თავისუფალი ქრისტიანული ცხოვრების წესი კომუნისტური მმართველობის არსებობის მთელს მანძილზე, თუმც, საბჭოთა იმპერიის პირობებში ზოგადად სახელმადიდებელთა მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული და რთული იყო[1].

აფხაზეთის კატაკომბელები, ისევე, როგორც იმპერიის სხვა რეგიონების სახელმადიდებელი ბერები ოფიციალური ეკლესიისაგან (მოსკოვის საპატრიარქო – ქ.პ.) განდგომილები იყვნენ და ბერ-მონაზვნებში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ კატაკომბურ ეკლესიაში გადაბირების მიზნით. აღნიშნულის გამო კავკასიელ სახელმადიდებლებს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ ადგილობრივი ოფიციალური მონასტრების სამღვდელოებისგან. ხშირი იყო ურთიერთდაპირისპირების, შერიგების, კომპრომისების შემთხვევები. ისტორიამ შემოინახა პ. ფლორენსკის წერილი კავკასიელ სახელმადიდებლებზე, რომლის ადრესატიც არის კატაკომბელი არქიმანდრიტი დავით მუხრანოვი: „თქვენ მეკითხებით-როგორ მიდის სახელმადიდებლობის საქმე? მძიმედ, მაგრამ უწყვეტ რეჟიმში. ჭეშმარიტება იზეიმებს, სულ უფრო მეტი ადამიანისათვის ხდება ცნობილი სახელმგმობელთა დაბნეულობა საკითხში, თუმც, ამ საქმის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სიფრთხილით მიუდგებით საქმეს“ – აღნიშნავდა პ. ფლორენსკი.[2]

1920 წელს მოსკოვში დაარსდა ე.წ. „სახელმადიდებელთა წრე“, რომელიც სისტემატურ რეჟიმში იხილავდა სახელმადიდებლობის პრობლემას; შეკრებებში მონაწილეობდნენ აფხაზეთის და, ზოგადად კავკასიის სახელმადიდებელი, კატა-

---

[1] Панаетис Цаканидис, Афон и русский Пантелеймоновский Монастырь, Салоники, 1997, с. 14

[2] Флоренский П., У водоразделов мысли, М., 1990

კომბელი ბერები. სათანადო მოკვლევების საფუძველზე, სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურმა მოსკოვის „სახელმადიდებელთა წრე“ კავკასიის სახელმადიდებელთა განშტოებად მიიჩნია და აფხაზეთის კატაკომბელ ბერებში უმკაცრესი რეპრესიები გაატარა. 1929 წელს დაიხურა ტემნიე ბუკის სავანე; 1928-1929 წლებში კავკასიელ კატაკომბელთა დიდი ჯგუფი დახვრიტეს. დაიხურა კავკასიის სახელმადიდებელ დედათა მონასტერი. რეპრესიებს გადარჩენილებმა თავი შეაფარეს აფხაზეთის უკიდურესი მაღალმთიანი მასივის უკაცრიელ ადგილებს.[1]

აფხაზეთში, მდ. ფსხოუს ხეობა „სახელმადიდებელთა დედაქალაქის“ სახელით იხსენიება. როგორც აღინიშნა, საისტორიო დოკუმენტების თანახმად, სახელმადიდებლები ფსხოუს ხეობაში ჯერ კიდევ რევოლუციამდე დამკვიდრდნენ. რევოლუციის შემდგომ, ხეობაში ბერების რაოდენობამ ერთიორად იმატა. მათი ავტორიტეტი სათანადოდ მაღალი იყო არაქართველ, უმეტესწილად, რუსული ეთნოსის მრევლში. აფხაზეთის კატაკომბური ეკლესია გაძლიერდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც 1924 წელს ხელისუფლების ბრძანებულებით დაიხურა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის სამღვდელოებამ თავი ჯერ მრევლის ოჯახებს შეაფარა, მოგვიანებით კი აფხაზეთის კატაკომბელთა ჯგუფს შეუერთდა. XX საუკუნის 20-იანი წლების რეპრესიებს აფხაზეთის კატაკომბელების დიდი რიცხვი შეეწირა. ისტორიული საბუთების თანახმად, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ფსხოუს ხეობის კელიებში 214 ბერიდან

[1] Схимонах Иларион, На Горах Кавказа,СПб., 1998, с.14

100 ბერი გადაურჩა სიკვდილით დასჯას. იმ დროს აფხაზეთში მოქმედებდა 12 კელია და ამდენივე სამლოცველო.[1]

აფხაზეთის კატაკომბელი ბერები ე.წ. „ტიქონოველები“ იყვნენ, რომლებიც მოსკოვის საპატრიარქოს საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში მოიაზრებდნენ და ცდილობდნენ ოფიციალური ეკლესიის გათავისუფლებას სახელმწიფო ზეწოლისაგან. „ტიქონოველებად“ მიჩნეულები იყვნენ რუსი სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც სრულიად რუსეთის პატრიარქის ტიხონის ორიენტაციის დამცველები იყვნენ. ეს ორიენტაცია კი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფი საეკლესიო იერარქიის ოპოზიციურ ფრთას წარმოადგენდა; შესაბამისად, როგორც ხელისუფლება, ისე ოფიციალური საეკლესიო იერარქიისათვის კატაკომბელი ბერები მიუღებელნი იყვნენ, მათ დევნიდნენ და ხელისუფლებისათვის საშიშ ძალად მოიაზრებდნენ[2].

სახელისუფლებო რეპრესიებმა 1936-1937 წლებში კულმინაციას მიაღწია. სახელმწიფო სტრუქტურებში საგანგებოდ შექმნილმა კომიტეტებმა აქტიური სამძებრო სამუშაოები ჩაატარეს კავკასიის რეგიონში და საქართველოს ქალაქ-დასახლებებში გამოავლინეს ფარული მონაზვნური დაჯგუფებები. მათი წევრების ნაწილი დახვრიტეს, ნაწილიც კონტრრევოლუციაში მონაწილეობის ბრალდებით გადაასახლეს. გადასახლებულთა მცირე ნაწილმა „სასჯელის“ მოხდის შემდეგ,

[1] Панаетис Цацанидис, Афон и русский Пантелеймоновский Монастырь, Салоники, 1997, с. 14

[2] Панаетис Цацанидис, Афон и русский Пантелеймоновский Монастырь, Салоники, 1997, с. 19

ისევ აფხაზეთის მთებს მიაშურა და მონაზვნური ცხოვრება განაგრძო.[1]

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა; დაიწყო მორწმუნე მრევლისა და სამღვდელოების დევნის ახალი ტალღა; მასიურად უქმდებოდა და იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, საეკლესიო და სამონასტრო საშტატო ერთეულები. სავანეებისა და ეკლესიების მიღმა დარჩენილი სამღვდელოება დ ბერ-მონაზვნები არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ეღვაწათ ერში არალეგალურად, დევნილობაში, თუ უკაცრიელ ადგილებში ფარულად განეგრძოთ სულიერი მოღვაწეობა. ამ მხრივ, კავკასიის და კონკრეტულად აფხაზეთის მიუვალი ადგილები, ბუნებრივი გარემო და კლიმატი საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა მონასტრული, მეუდაბნოე ცხოვრებისათვის. გამომდინარე აქედან, კავკასიის მთებში სწრაფად აღმოცენდა სავანეები და კელიები. მონაზვნური თემები გაჩნდა წებელდაში, ამტკელში, ფსხოუში, აზანტში, შუამდინარეთში. აფხაზეთი გადაიქცა „სულიერების დედაქალაქად“, სულიერი ცხოვრების გაფურჩქვნის ადგილად, მთელი საბჭოთა იმპერიული სივრცის მორწმუნეთა და სამღვდელოთა ძლიერი მიზიდულობის ცენტრად. თბილისი და სოხუმი გადაიქცა საბჭოთა სახელმწიფოში გაუქმებული მონასტრების ბერთა თავშესაფრად. 70-80-იან წლებში თბილისში ცხოვრობდნენ და წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში მსახურებდნენ გლინის უდაბნოსა და კიევ-პეჩორის ლავრის გამოცდილი ბერები: სქიმარქიმანდრიტი სერაფიმე რომანცოვი, სქიმარქიმანდრიტი ანდრონიკე ლუკაში და ეპისკოპოსი ზინობი მაჟუგა, რომელიც მოგვიანებით იღწ-

[1] Архимандрит Лазарь (Абашидзе), ,,Мучение Любьви (келейные записки), Саратов, 2005, с. 7-9, 12, 16.

ვოდა მიტროპოლიტის ხარისხით საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში.

ამრიგად, აფხაზეთის მეუდაბნოების ინსტიტუტმა უდიდესი როლი შეასრულა ჯერ ცარიზმული რუსეთის ზეწოლისაგან ეკლესიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, შემდგომ, საბჭოთა იმპერიის ათეისტურ რეჟიმში მყოფი საეკლესიო ცხოვრების განვითარებაში. მეუდაბნოე ბერები ბედნიერი მომავლის რწმენას უსახავდნენ სასოწარკვეთილ მრევლს და ეს უკანასკნელიც, კავშირს არ წყვეტდა მეუდაბნოე ბერებთან. მორწმუნე საზოგადოება, თავის მხრივ, ცდილობდა კატაკომბელი ბერების მძიმე ყოფის შემსუბუქებას. აწვდიდა მათ საზრდოს, სამოსელს, მედიკამენტებს..

აფხაზეთის უდაბნოებში მოღვაწე სასულიერო კრებულიდან არაერთი ამაღლდა რუსეთის ეკლესიის არქიელის ხარისხში, მონასტრის წინამძღვარი, ღვთისმეტყველ-მეცნიერი, საეკლესიო სკოლის პედაგოგი და სხვ. მათ ისტორიას შემოუნახეს მრავალი ისტორიული დოკუმენტი წერილების, ეპისტოლეების, ქადაგებებისა თუ მემუარების სახით. მათ შორის ყველაზე მდიდარ საისტორიო ცნობებს იძლევა დაყუდებული ბერის, მერკური პოპოვის წიგნი – „განდეგილის ჩანაწერები“, სადაც აღწერილია XX საუკუნის 50-60-იანი წლების აფხაზეთის მეუდაბნოების ინსტიტუტის აღორძინების ხანა. ნიშანდობლივია, რომ ამ თხზულებაში იხსენიება ვინმე „სნეული ძმა“, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილი სქიმარქიმანდრიტი ვიტალი სიდორენკო (+1993 წ.).

დამოწმებანი:

1. არქიმანდრიტი ლაზარე, თანამედროვე ბერ-მონაზვნობის შესახებ, თბ., 2005.

2. პავლიაშვილი ქ., საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია, თბ., 2008.
3. პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945 წლებში, თბ., 2008.
4. პავლიაშვილი ქ., ქრისტიანობის ისტორია, თბ., 2010.
5. Андреев И., Заметки о Катакомбной Церкви в СССР., М., 2000.
6. Архимандрит Лазарь (Абашидзе), ,,Мучение Любьви (келейные записки)", Саратов, 2005.
7. Боголемов А., Церковь под властью коььунизма, Мюнхен, 1958.
8. Волков С. А., Возле монастырских стен. Мемуары. Дневники. Письма, М., 2000.
9. За Христа пострадавшие. Гонения на Русскую Церковь 1917-1956 гг., кн. 1, М., 1977.
10. Монах Меркурий. В Горах Кавказа. Записки современного пустинножителья, М., 1996.
11. На горах Кавказа, Баталпашинск, 1907.
12. Невагинский С., Церковное подполье, Воронеж, 1929.
13. Панаетис Цаканидис, Афон и русский Пантелеймоновский Монастырь, Салоники, 1997.
14. Половинкин С., Имяславцы Кавказа, М., 2005.
15. Половнев Л., Страна Псху.Очерки,Сухуми, 1931.
16. Регельсон Л., О канонических основаниях Катакомбной Церкви, М., 2008.
17. Схимонах Иларион, На Горах Кавказа, СПб., 1998.
18. Флоренский П., У водоразделов мысли, М., 1990.
19. Чениколова Е., Создание Афонских монастырей на Кавказе и их роль в просвещении региона, М., 2003.

Ketevan Pavliashvili
Ivene Javakhishvili Tbilisi State University;
Georgian Technical University

CATACOMB CHURCH AND ASCETIC INSTITUTE IN ABKHAZIA (XIX C.II PART-80-TH YEARS OF XX C.)

RESUME

In modern church historiography there is the consideration, that in Georgia was founded Catacomb church in the 20-th year's jf XX-th century. The reason of this fact was in the nonlegal activity in the mountains of Abkhazia, that's why there are no historical documents about Catacomb Church in Georgia.

Asketism in Abkhazia takes part from the 70-th of XIX century, when the New Athon's monastery was the part of St. Panteleimon Russian monastery in St. Athon.

In St. Athon there was currenting the disputes about Christ's Name between Greek and Russian monks. Persecuted monks were settled in Abkhazian mountains. They were persecuted from Russian Imperia and than from Soviet Power.

საბა სალუაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გასული დროითი მიჯნები

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები არაერთ, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ თარიღზე მინიშნებებს იძლევა. თითოეული ეს თარიღი, თავის მხრივ, სხვადასხვა ათვლის კუთხით გამოკვეთს ჩვენთვის საძიებელ - ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს. ჩვენის აზრით, საძიებელ საკითხში გარკვევა სწორედ ამ - ათვლის წერტილთა ზუსტად გამოკვეთის შემთხვევაშია შესაძლებელი. მოდით მივყვეთ თანამიმდევრობას.

1) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე. წ. „ქრონიკებისეული“ მინიშნება

ქართული ისტორიოგრაფიის ამ უძველეს წყაროში ვკითხულობთ - „...ხოლო ნინო... იყო **სამ წელს** ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ღმრთისა მიერ ადგილსა ერთსა მაყულითა შებურვილსა... და **მეოთხესა წელსა** იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ... და **მეექუსესა წელსა** არწმუნა ნანა დედოფალსა, ცოლსა მეფისასა, სენსა შინა

მისსა. და **მეშვიდესა წელსა** არწმუნა მირიან მეფესა სასწაულითა ქრისტესმიერითა...“ [1].

ჩვენის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემული თხრობის საწყისი წერტილი - ლტოლვილობის დაწყების **322 წელია** [2].

საუბრის გაგრძელებამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრონოლოგიურ თარიღთა გამოთვლებში, ჩვენს მიერ წარმოებული კვლევა სამ ათვლის წერტილზე იქნება დამყარებული. ესენია:

1) წმ. ნინოს ლტოლვილობის თარიღი - **322 წ. 15 მარტი**;

2) წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლის დღე - **323 წ. 28 ივნისი** და

3) წმ. ნინოს მიერ მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე ყოფნის „ცხრა თვე“ ანუ - ქართველთა განმანათლებლის მისიის აღსრულებისაკენ სვლა გეზის დაწყებამდე ე.წ. „სულიერი შობისთვის“ საჭირო დროითი მიჯნა - **324 წ. 15 მაისი**.

ჩვენის აზრით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში დაფიქსირებული ესა თუ ის თარიღი, სწორედ აქ გამოკვეთილი სამი მიჯნიდან ერთ-ერთზე აგებულ ათვლაზეა დამყარებული. მოდით, ზემოთ მოხმობილი ციტატა ცალ-ცალკე აბზაცებად განვიხილოთ:

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, თბ. 2010 წ., გვ. 13; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), თბ. 1963 წ., გვ. 84.

[2] ვრცლად იხ. ს. სალუაშვილი, ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული საისტორიო ძიებები, თბ. 2010 წ.;

- „იყო სამ წელ ეგრეთ ილოცვიდა ფარულად“[1]. აღნიშნული - 322 წლიდან ათვლით, აქ მოცემული - „სამი წელი“, უკვე კონკრეტულ - 323, 324, 325 წლებს გამოკვეთს;

- „და მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ“, ერთის მხრივ ისევ და ისევ, ათვლის წერტილად მიღებულ - 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325 წ.წ.), მითითებული - „მეოთხესა წელსა“, ზოგადად - **325 წელზე** მიგვანიშნებს;

მეორეს მხრივ, აღნიშნულით - 322 წლის 15 მარტიდან ათვლით, 325 წლის 15 მარტს დამთავრებული სამწლიანი დროითი მიჯნიდან დაწყებული - „მეოთხესა წელსა“ მიგვანიშნება;

- „და მეექუსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფალსა ცოლსა მეფისასა“. და მართლაც, ათვლის - 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325, 326, 327 წ.წ.) მემატიანეს მიერ აღნიშნული - „მეექუსესა წელსა“, **327 წელზე** მოდის;

- „და მეშვიდესა წელსა არწმუნა მირიან მეფესა სასწაულითა ქრისტესმიერითა“. აქაც, ათვლის - 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325, 326, 327, 328 წ.წ.). - მითითებული - „მეშვიდესა წელსა“, **328 წელზე** მიგვანიშნებს.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ - ათვლის წერტილად წმ. ნინოს მიერ ლტოლვილობის დაწყების 322 წლის 15 მარტის აღების შე-

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, გვ. 13; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), გვ. 84.

მთხვევაში, ზემოთ წარმოდგენილი ტექსტის დროითი მინიშნებები შემდეგ კონკრეტულ წლებს გამოკვეთენ:

1) ფარულად ლოცვად ყოფნის სამი წელი: 323, 324 და 325 წლის 15 მარტამდე დროს მოიცავს; 2) 325 წლის 15 მარტიდან ათვლას იწყებს წმ. ნინოს მიერ ქრისტეს სჯულის ღიად ქადაგების დაწყების - მეოთხე წელი; 3) ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარების მეექვსე წელი - 327 წელზე მოდის; ხოლო 4) მირიან მეფის გაქრისტიანების, მითითებული - მეშვიდე წლით, ქართლში - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კონკრეტულ - 328 წელზე მინიშნებაა დაფიქსირებული.

2) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე.წ. მეორე ნაწილისეული მინიშნებანი

აღნიშნულ ქართულ წყაროში ვკითხულობთ - „...რომელი-იგი ვიცით სმენით და წიგნთაგან ევანგილეთგან საღმრთოთა. გარდაჴდეს ქრისტეს მოსლვამდე წელნი ხუთი-ათას ხუთასი, და ქრისტეს ჯუარცუმითგან ვიდრე კოსტანტინეს მეფობამდის და ბერძენთა მონათლვამდე სამას და ათერთმეტი წელიწადი; და ათოთხმეტისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ამას ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტი ნინო დედოფალი...“[1].

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, გვ. 76; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), გვ. 125 – ჭელიშური რედაქცია.

აღნიშნული მონაკვეთის განხილვას უკვე თავისი ათვლის წერტილები გააჩნია, რომელთა გათვალისწინების გარეშე, ერთი შეხედვით აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, აღნიშნულის პარალელური შატბერდული რედაქცია გვაუწყებს - „...გარდაჴდეს ქრისტწს მოსლვამდე წელნი :ჴფ: (აქ: ჴ=5000, ხოლო ფ=500, ანუ 5500 წ. - ს.ს.), შობითგან ქრისტწსით ვიდრე ჯუარცუმამდე :ლგ: (აქ: ლ-30, ხოლო გ=3, ანუ 33 წ. - ს.ს.), და ჯუარცუმითგან ქრისტწსით ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფისა მონათლვამდე :ტია: (აქ: ტ=300, ი=10, ხოლო ა=1, ანუ 311 წ. - ს.ს.)...“[1] (სალუაშვილი 2010ა: 76; აბულაძე 1963: 125).

აქ მოცემული თარიღების პირდაპირ გაგების შემთხვევაში, თითქოსდა გვეუწყება, რომ - ქრისტეს დაბადებიდან ჯვარცმამდე გასული 33 წლიდან ათვლით 311 წლის შემდეგ მომხდარიყოს კონსტანტინეს მონათვლა. აღნიშნული: 311 + 33-ით კი, გვიფიქსირდება - 344 წელი. არადა, ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ - კონსტანტინე მეფე 337 წელსაა გარდაცვლილი. მაშ, რაში უნდა იყოს საქმე?

როგორც ცნობილია, დაფიქსირებულ ათვლაში: „ქრისტეს ჯუარცმითგან“, ანდა: „ქრისტეს აღმაღლებითგან“, სინამდვილეში - ქრისტეს დაბადებითგან მოყოლებული დროა ნაგულისხმევი[2]. მეორე მხრივ, 311 წლის 30 აპრილს, რომის

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, გვ. 76; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), გვ. 125 – შატბერდული რედაქცია.

[2] იხ. ნ. ლომოური, „ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან“, თბ., 1975, გვ. 71.

იმპერიის თანამმართველების - გალერიუსის, ლიკინიუსის, მაქსიმინესა და კონსტანტინეს ხელმოწერით გამოქვეყნდა ერთობლივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც - აიკრძალა ქრისტიანთა დევნა, ხოლო ქრისტიანებს მიეცათ მათი რჯულის აშკარა ქადაგების უფლება [1].

ჩვენის აზრით, სწორედ ეს მომხდარი მოვლენაა დაფიქსირებული ქართული წყაროს მიერ მითითებულ ინფორმაციაში [2].

როგორც შატბერდული, ასევე ჭელიშური რედაქციები გვაუწყებენ, რომ მითითებულ 311 წლიდან ათვლით - „...ათოთხმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისა ნინო, დედოფალი ჩუენი...“ [3]. მითითებული 311 წ. + 14 წ. გამოკვეთს ზემოთ უკვე აღნიშნულ - 325 წელს, რომელთან მიმართებაშიც, როგორც ვნახეთ, ასეთი მითითებაა მოცემული - „და მეოთხესა წელსა

---

[1] კესარიელი ევსები, „საეკლესიო ისტორია“, საეკლესიო ბიბლიოთეკა VII, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ., 2007, გვ. 370-372, 519.

[2] აღნიშნული საკითხი უფრო ვრცლად იხ. ს. სალუაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული რამდენიმე დროითი მინიშნების თაობაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვლის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფი-ლების კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XV-XVI, თბ., 2013/2014, გვ. 169-175.

[3] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, გვ. 76; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), გვ. 125.

იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ“[1].

როგორც ითქვა, აღნიშნული - „მეოთხესა წელსა“, ლტოლვილობის დაწყების - 322 წლის 15 მარტიდან მოყოლებული 325 წლის 15 მარტიდან იღებს თავის ათვლას, რაც სრულ შესაბამისობაშია 311 წლის 30 აპრილს მომხდარი მოვლენიდან 14 წლის შემდეგ, ანუ 325 წელს მომხდარ იმ ფაქტთან, რასაც მემატიანე წმ. ნინოს მიერ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სჯულის ქადაგების დაწყებას უკავშირებს.

და მართლაც, სამი წლის ფარულად ყოფნის შემდეგ, მეოთხე წელს, ანუ - **325 წლის 15 მარტიდან**, წმ. ნინოს მიერ დაწყებული ღია ქადაგება, დიახაც რომ შეიძლება შეფასდეს, როგორც 311 წლიდან - „ათოთხმეტისა წლისა შემდგომად“ წმ. ნინოს მიერ ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტების ქადაგების დაწყებასთან.

შატბერდულისა და ჭელიშურისაგან განსხვავებული თარიღია დაფიქსირებული 1990 წელს სინას მთაზე აღმოჩენილ ე.წ. „სინ-50“ რედაქციაში, რომელიც „...პალეოგრაფიის მიხედვით... IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს...“[2]. მასში, კერძოდ, ვკითხულობთ: „...ბერძენთა მონათლვამდე სა-

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, გვ. 13; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წ. I (V-X ს.ს.), გვ. 84.

[2] ალექსიძე ზაზა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რედ. ზაზა ალექსიძე, თბ., 2007, გვ. 8.

მას და ათერთმეტი და ათხუთმეტისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტი ნინო დედოფალი...“ [1].

IX-X ს.ს. ხელნაწერის ავტორისეული - „ათხუთმეტისა“, იმავე - 325 წელზე უთითებს, ოღონდ ათვლისათვის საწყის წერტილად უშუალოდ - 311 წელს იღებს. და მართლაც, თუ შატბერდულისა და ჭელიშური რედაქციების - „ათოთხმეტისა“, მითითებულ - 311 წლიდან ათვლას (312, 313 ... 324, 325) ემყარება, ე.წ. „სინ-50“-ისეული“ „ათხუთმეტისა“, უკვე - 311 წელს იღებს პირველ წლად: 311(1) - 312(2) ... 323(13) - 324(14) და 325 წელი უკვე მე-15 წლად აქვს მითითებული.

დამოწმებანი:

1. ალექსიძე ზაზა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რედ. ზაზა ალექსიძე, თბ., 2007.
2. კესარიელი ევსები, „საეკლესიო ისტორია“, საეკლესიო ბიბლიოთეკა VII, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავლი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ. 2007.
3. ლომოური ნოდარ, „ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან“, თბ., 1975.
4. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, თბ., 2010.
5. სალუაშვილი საბა, ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული საისტორიო ძიებები, თბ., 2010.

[1] ალექსიძე ზაზა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რედ. ზაზა ალექსიძე, გვ. 40.

6. სალუაშვილი საბა, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული რამდენიმე დროითი მინიშნების თაობაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვლის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XV-XVI, თბ., 2013/2014.
7. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წ. I (V-X ს.ს.), თბ., 1963.

Saba Saluashvili
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

BOUNDARIES OF TIME WITHIN THE PERIOD FROM ST. NINO'S ARRIVAL TO DECLARING CHRISTIANITY AS A STATE RELIGION

RESUME

Our survey suggests that St. Nino' s secretly beeing period in Mtskheta implicate 323-325 years; the starting date of public preaching of the Christ's law implicate 325 years; Queen Nana confessioned under The Christ's law after Six year St. Nino Came in Kartli, in 327; Recognition of the Christ's law by the King Mirian occurred 328 years.

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საკათალიკოსო მამულები პატარა ლიახვის ხეობაში

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი მამულები ჰქონდა პატარა ლიახვის ხეობაში. ეს იყო როგორც სამეფო ხელისუფლების, ისე წარჩინებულ საგვარეულოთა მიერ შეწირული ქონება. ეკლესიის აქტიურ ურთიერთობას პატარა ლიახვის ხეობის სოფლებთან არაერთი დოკუმენტური წყარო ადასტურებს. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველი დოკუმენტი 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარია, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება: „გორს, რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თჳსითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თჳსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“[1*] 1392 წლის საკათალიკოსო გუჯარში მოხსენი-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177.

[*] აღსანიშნავია, რომ ამ სიგელს თ. ჟორდანია იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ გაცემულად მიიჩნევდა. მკვლევარი წერდა: „ეს სიგე-

ებული სოფლებიდან დღესაც არაერთი არსებობს, ზოგიერთი მათგანი კი უკვე ნასოფლარია.* აქ მოხსენიებული ზოგიერთი

ლი XV საუკუნის პირია ძველის გუჯრისა, 1392 წელს დაწერილისა ალექსანდრე მეფის სახელით. ამავე გუჯრის მე-17 საუკ. პირი ჩართულია ნუსხაში №506 (:სიბ:) პირველი სიგელი (ასლი) დაწერილი ყოფილა მეფის კარის მწიგნობრის იოსებისაგან, რომელიც მართლა სჩანს 1399 წელს (იხ, 1399 წ. ქვეშე), ხოლო მისგან გადაწერილი პირი ეკუთვნის სვიმონ მეფის დროს, როდესაც დაუმტკიცებიათ ეს პირი... რადგან 1392 წ. ქართლში არ მეფობდა ალექსანდრე, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უნდა იყოს იმერთა მეფე ალექსანდრე, რომელიც მეორედ გამეფებულა 1392 წელს, როდესაც მოჰკლეს გიორგი მეფე, ძმა მისი, თუმცა შინაარსი გუჯრისა თითქმის მხოლოდ ქართლ-კახეთ-მესხეთს ეხება და არა იმერეთს". თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფ., 1897, გვ. 195. მწიგნობარი იოსები 1399 წლის დოკუმენტში მართლაც იხსენიება, ეს არის გიორგი მეფის მიერ მცხეთისადმი გაცემული შეწირულობის დოკუმენტი. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993, გვ. 458. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით იოსები გიორგი მეფის მწიგნობარია და არა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები სიგელი, რომელიც მცხეთის მამულების ნუსხას წარმოადგენს, ალექსანდრე I დიდის დროს უნდა იყოს შედგენილი. ცნობილია აღნიშნული მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება სვეტიცხოვლისადმი, რასაც მის მიერ გაცემული არაერთი სიგელი ადასტურებს. სიგელი, რომელსაც ალექსანდრე მეფე ამტკიცებს, იოსებ მწიგნობრის მიერ არის დაწერილი. ალექსანდრეს მიერ გაცემული სიგელებიდან ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი, მათ შორის, ვიგრი ქადაგისძე, კლიმი კაკალაჩასძე, დემეტრე მარკოზისშვილი. იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბ., 2014, გვ. 210, 213, 115. არ არის გამორიცხული, რომ იოსები ალექსანდრეს სამეფო კარის ერთერთი მწიგნობარი ყოფილიყო.

* საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი დღეის მდგომარეობით ოკუპირებულია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად. ასეთია მაგ.: პატარა ლიახვის ხეობაში არსებული რამდენიმე სოფელი: დისევი, სათიხარი, ვანათი, ერედვი, ეს უკანასკნელი 1392 წლის დოკუმენტში იხსენიება ერედის სახელწოდებით. იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 109; შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების

სოფლის მდებარეობა დაზუსტებას საჭიროებს. საკათალიკოსო მამულების ნუსხაში გვხვდება სოფელი „ქვაბნი“. აღნიშნული სოფელი, ჩვენი აზრით, მდებარეობდა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე. იგი, სავარაუდოდ, სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ვანათის აღწერისას წერს: „ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსვრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვსა, და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი.“[1] არ არის გამორიცხული, რომ საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ნახსენები „ქუაბნი“ თავდაპირველად ამ გამოქვაბულების გარშემო არსებულ დასახლებასაც ერქვა. სოფელი ქვაბთა იხსენიება 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების და მამულის ნუსხაში, სვეტიცხოველს ქვაბთაში სამი კომლი გლეხი უკუთვნოდა. დოკუმენტში აღნიშნულია: „ქ. ქვაბთ (?) სამი“.[2] როგორც ჩანს, აკად. ნ. ბერძენიშვილმა სოფლის სახელწოდებას, რაკი ის გაურკვევლად ეწერა ნუსხაში, კითხვის ნიშანი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ ნუსხაში „ქვაბთა“ იხსენიება სოფელ ერედვის შემდეგ. ჩვენი აზრით, 1720 წლის ნუსხაში მოხსენიებული „ქვაბთა“ და 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოხსენიებული სოფელი „ქუაბნი“ერთი და იგი-

---

არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ., 2002, გვ. 94; გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გვ. 139-140.

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. თ. I, თბ., 1940, გვ. 184, №256

ვე სოფელი უნდა იყოს. აღნიშნულ სოფელს იხსენიებს სეხ-ნია ჩხეიძე. მისი გადმოცემით, 1731 წელს, თეიმურაზ II ქართველ-ოსმალთა ჯარით შანშე ქსნის ერისთავის სამფლო-ბელო დაარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, საცხენისი, ქვაბები...“[1]

სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმები: „ქვაბთა“, „ქუაბნი“, „ქვაბები“, ჩვენი აზრით, პატარა ლიახ-ვის ხეობაში არსებული სოფლის აღმნიშვნელი სახელებია. ეს დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო სოფელ ვანათის სიახლოვეს.

ტოპონიმი „ქვაბთა“, რაც, ჩვენი აზრით, ქუაბნის“ შეც-ვლილი ფორმა უნდა იყოს, გვხვდება უფრო მოგვიანებითაც. აღნიშნული ტოპონიმი იხსენიება 1894 წელს გაზეთ ივერია-ში“ გამოქვეყნებულ ვ. მძინარაშვილის კორესპონდენციაში. წერილიდან ირკვევა, რომ ქვაფთა (ქვაფთის ჭალა) მდებარე-ობდა მდინარე დიცურის სათავესთან, სოფელ დიციდან ხუთი ვერსის მანძილზე. წერილში ვკითხულობთ: „ეს ერთი თვე მიდის თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და გაჭირვებუ-ლი, როგორც ჩვენ (იგულისხმება სოფ. დიცის მოსახლეობა – გ.ს.) ვართ, ამ სოფლის მცხოვრებლები, ცალკე შიმშილი გვაწუხებს და ცალკე – წყლის სურვილი. განათუ საჭმელი გვაკლია, ან სასმელი, წყალი არა გვაქვს არც დასალევად და არც საჭმლისათვის სახმარად. ჩვენი სოფლის წყალს უწ-ოდებენ დიცურას და შიგ შუა სოფელში მოდის. ამ წყლის მეტი სხვა არც დასალევი სადმე წყალი გვაქვს მდინარე და არც წყარო. მხოლოდ ხუთ ვერსზედ თუ წავალთ, შეგვიძლია პატარა ლიახვიდგან წყალი ამოვიტანოთ, მაგრამ დიდად ძნე-ლია ამ სიშორიდგან წყლის ზიდვა. დიცურა შიგ შუა სო-

[1] ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ. ტ. II, სპბ., 1854, გვ. 335.

ფელში აბრუნებს ამავე სოფელში ოთხ წისქვილს, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და ამ საფქვავსა ჰფქვავს. წარმოიდგინეთ ეს ერთი თვე სრულდება, რაც ამ წყალს გვიწყვეტენ სათავეში ხუთი ვერსის მანძილზედ, ქვაფთის ჭალასთან; რამდენჯერ იყო შემთხვევა, როდესაც დაწყვეტენ წყალსა და ამ სოფლის გლეხნი წავიდოდნენ და ისევ გადმოუგდებდნენ ხოლმე, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე? საჭიროა რომ ჩვენმა მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს როგორმე ამ საქმეს და ხალხი დაიხსნას გაჭირვებისაგან"[1]. წერილიდან ირკვევა, რო ქვაფთა (ქვაფთის ჭალა) სოფელ დიციდან ხუთი ვერსის მანძილზე, მდებარეობდა, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ ვანათის მისადგომებთან უნდა ყოფილიყო.[2] დიცურა პატარა ლიახვის ერთ ტოტს ერქვა და ის სათავეს სოფელ არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მდ. პატარა ლიახვიდან, იღებდა, როგორც ჩანს, ქვაფთის ჭალა სოფელ არბოსა, ქსუისს და ვანათს შორის არსებულ პატარა ლიახვის ნაპირს ერქვა, არ არის გამორიცხული, აქვე ყოფილიყო აღნიშნული დასახელების სოფელიც. „ქვაბთა ხევა" მდ. ჭარებულას (პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი) ერთ-ერთ შენაკადს ერქვა. ეს ადგილი აღწერილი აქვს ი. მეგრელიძეს. მკვლევარი წერს: „სოფლის (ჭარები – გ.ს.) სამხრეთ-აღმოსავლეთით ს. გოგიაანთ კარში (ჭარებულას პირზე) გამოქვაბულს ასახელებენ და იქვე ჭარებულას შენაკადს „ქვაბთა ხევა" ეწოდებაო. ეს სახელწოდება და ჭარების სამხრეთით მდებარე ს. ნაქალაქევი (აქაც ეკლესიაა) არქეოლოგიურ ინ-

[1] გაზეთი „ივერია" 1894, №226, 26 ოქტომბერი, გვ. 2.

[2] გაზ. ივერია 1894, №226, 26 ოქტომბერი, გვ. 2; იხ. გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 12

ტერესს იქვევენ.“[1] სწორედ ჭარებულას პირზე არსებულ გამოქვაბულებს (ვანათის ციხის უკან)უნდა იხსენიებდეს ვახუშტი ბატონიშვილი. სოფელი ქვაბთა ვანათის სამხრეთ-აღმოსავლეთით არბოს და ქსუისის მიდამოებში უნდა ყოფილიყო.

საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ყურადღებას იპყრობს „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა“. აღსანიშნავია, რომ ვირშის მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც გვხვდება. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს შეწირა. 1431 წლით დათარიღებულ სიგელში ვკითხულობთ: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ეგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზედავება და შევსწირეთ და მოვახსენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი; და მას აქათ, ანუ მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, მზღურითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქუენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოზისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი **ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი** და მას აქათ, რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულნი, ანუ გლეხნი და ზღვარნი,

[1] ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 33.

და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქუ-ილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუალათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალე-ბისათვის არ მოგეშალოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩ-ლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღ-შენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებუ-ლისა დაცილება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცი-ლოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დაღათუ ვის-მე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახი დიდი, გინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყუა-ლა ამა დაწერილითა გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა ***ვირშისა სახლისა*** ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხეთისა მამულნი, შეუვალნი არიან, აგ-რეთვე ესე შეუვალად და თარხნად მოგუიხსენებია და არას-თანა სათხოვარი არაოდეს ეთხოებოდეს.“[1] ზუსტად ძნელია ვირშას მთის და მონასტრის ლოკალიზება, თუმცა, ჩვენი აზ-რით იგი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა, სოფელ ქორდთან ახლოს, რადგან ვირშის „შესავალნი“ იყვნენ სო-ფელი ქორდი და ბადასშვილნი, რომლებიც ვირშასთან ერ-თად სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გა-დაუცია. საკათალიკოსო მამულების 1392 წელის სითარხნის

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 171-172.

გუჯარიდან ჩანს, სოფელი ქორდი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა. ალექსანდრე I ქორდი ვირშის მონასტერთან ერთად კვლავ სვეტიცხოველს გადასცა. ვირშას მონასტერი, როგორც ჩანს, სამეფო კარის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, სწორედ ამაზე მეტყველებს ალექსანდრე I სიგელში არსებული ჩანაწერი „ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი“. სავარაუდოდ, ვირშას მთაზე ძველი დროიდანვე სამონასტრო ცხოვრება წარმოებდა და სამეფო ხელისუფლება ვირშას მთას და იქ არსებულ მონასტერს დახმარებას უწევდა. აღნიშნული საბუთის გარდა, ვირშას მონასტერი სხვა დოკუმენტებშიც იხსენიება, მაგ.: 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით, ალექსანდრე I ძემ, გიორგიმ, სხვა მამულებთან ერთად საპატრიარქოს ხელახლა დაუმტკიცა მამულები, ამ მამულებში მოხსენიებულია ვირშის მონასტერი: „ვირშა მისითა შესავლითა“. დოკუმენტში აღნიშნულია: „ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შე[ე]წირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს. აწ ჩუენ ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან.“[1] 1559 წლის მონაცემებით ვირშას მონასტერი კათალიკოსის საკუთრებას წარმოადგენდა. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში იხსენიება პატარა ლიახვის ხეობაში საპატრიარქოს კუთვნილი ქონება, მათ შორის ვირშაც: „კულბითს სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური, ვირშა მისი შესავლითა, წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწი-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ, III, გვ. 191.

რული არჩვაძე[ე]ბი მათითა მამულითა...“[1] ზემოთ წარმოდგენილ 1431 წლის ალექსანდრე I სიგელში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გვხვდება: „ამა **ვირშისა სახლისა ულუფა** ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან ამოუკუეთილი და გაშუებულ არის“. რას ნიშნავს „ვირშისა სახლისა ულუფა.“ ხომ არ არსებობდა ვირშელთა სახლი, ვირშელთა საგვარეულო, რომელიც უკავშირდებოდა ვირშას მთას, ან სოფელ ვირშას? რაკი წყაროებში ამ საგვარეულოს შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, ძნელია, ვარაუდის გარეშე ვისაუბროთ. საინტერესოა, რომ ქართულ ონომასტიკონში ვირშელი გავრცელებული საკუთარი სახელი იყო. ვირშელი, როგორც საკუთარი სახელი გვხვდება ქსნის საერისთაოში. XIII-XIV საუკუნეში ქსნის ერისთავთა საგვარეულოში რამდენიმე ვირშელია ცნობილი.[2] სახელი ვირშელი გვხვდება ასევე თირის მონასტრის 1432 წლის სიგელში, სადაც იხსენიება ვირშელ იალღუზისშვილი.[3] ვირშელი გავრცელებული სახელი იყო ჯავახიშვილთა საგვარეულოში, 1504-1516 წ.წ. მცხეთის სიგელში იხსენიებიან ჯავახიშვილთა საგვარეულოს წევრები, მათ შორის: ვირშელი, გამრეკელი, ქვეშელი, ეს სახელები სადაურობის აღმნიშვნელი გვარებიდან არის ნაწარმოები. ასეთივე ნაწარმოები საკუთარი სახელია მაჩაბელი, რომელიც საკუთარი სახელის ფორმით გვხვდება თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში.[4] საკუთარი სახელის ვირშელის გავლენით შემდგომში გაჩნდა გვარი –

---

[1] იქვე, გვ. 265.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 26-27.

[3] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, ტ. II, თბ., 2013, გვ. 180.

[4] ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 36.

ვირშელიშვილი.[1] ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან ვირშელაშვილი იხსენიება 1473 წლის სიგელში. ვირშელაშვილები, როგორც ჯავახიშვილთა ყმები, მოხსენიებულნი არიან 1527-1558 წ.წ დათარიღებულ ჯავახიშვილთა გაყრის დოკუმენტში, ისინი ამ დროს ხანდაკში ცხოვრობდნენ.[2] ვირშელაშვილის გარდა ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება ვირშელიშვილის გვარი. ვირშელაშვილებისაგან განსხვავებით ვირშელიშვილების საგვარეულო ქვემო ქართლში, კერძოდ, საბარათიანოს სიახლოვეს ცხოვრობდა და ის ფეოდალურ სახლს წარმოადგენდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 1670 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „განჩინება შაჰნავაზ მეფისა ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების სასისხლო საქმეზე“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ბარათაშვილები და ვირშელიშვილები ერთმანეთს მემულებს ედავებოდნენ. საბოლოოდ, ქართლის მეფემ პაპუნა და შანშე ვირშელიშვილების მამულებიდან რამდენიმე სოფელი, მათ შორის: სოფელი აბანო, ასევე სოფელი სენების თოფრაყალა, ნასოფლარი ბაღჩალარი ყაფლან ბარათაშვილს და მის შვილებს გადასცა.“[3] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ვირშელი“ ძველ ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა, საიდანაც წარმოიქმნა საკუთარი სახელი ვირშელი, ხოლო შემდეგ გაჩნდა გვარები: ვირშელაშვილი და ვირშელიშვილი. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა სხვა ქართულ გვარსახელებშიც გვხვდება. მაგ.: მაჩაბელი მომდინარეობს აჩაბეთიდან. აღნიშნული გვარიდან გაჩნდა საკუთარი სახელი მაჩაბელი, ხოლო შემდეგ წარმოიქმნა გვა-

---

[1] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 194.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 40.

[3] იქვე, გვ. 125-126.

რი მაჩაბელაშვილი.[1] საფიქრებელია, რომ ვირშელთა გვარი შიდა ქართლში ისეთივე ძველი იყო, როგორც ფხუენელნი, ყანჩაელნი და სხვ. ასეთ საგვარეულოებს იცნობს „მატიანე ქართლისა“, სადაც, X საუკუნის ამბების გადმოცემისას, აღნიშნულია: „აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი.“[2] ასეთივე იყო ქართლში არსებული ტბელთა საგვარეულო.[3] ჩვენი აზრით, ვირშელთა საგვარეულოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ალექსანდრე I მიერ მცხეთისადმი ბოძებულ სიგელში არსებული ჩანაწერი. „ამა ***ვირშისა სახლისა*** ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის“. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“, მოხსენიებული „ვირშელი“, აკად. ექვთიმე თაყაიშვილს ქსნის ერისთავთა ერთ-ერთ განშტოებად მიაჩნდა, ისევე როგორც „ლარგველი“ და „ქვენიფნეველი.“ მისი თვალსაზრისით, ვირშელი ქსნის ერისთავთა მესამე განშტოება იყო, რომელიც ვირშას უკავშირდებოდა, ვირშაში მეცნიერის აზრით ციხე-სიმაგრე და მონასტერი არსებობდა, ოღონდ მისი ადგილმდებარეობა უცნობი იყო.[4] ქსნის ერისთავთა წინაპრებს რამდენიმე საგვა-

---

[1] გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 41.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 268.

[3] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 251. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.ს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172.

[4] Э. Такаишвили, Археологические экскурсии, розыскания и заметки, вип. V, тб., 1915. стр. 77-80; ე. თაყაიშვილი, ქსნის ხეობის

რეულოს უკავშირებდა პლატონ იოსელიანი. მისი აზრით, ეს საგვარეულოები იყო: ბიბილურები, ბურსელები, ქვენიფნეველები და ვირშელები.[1] დ. გვრიტიშვილი არ იზიარებდა არც ე. თაყაიშვილის და არც პ. იოსელიანის მოსაზრებებს და „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებულ ლარგველს და ქვენიფნეველს ქსნის ერისთავთა სხვადასხვა შტოებად კი არა, არამედ ერთი და იგივე პირად მიიჩნევდა.[2] ჩვენი აზრით, უდავოა, რომ ვირშელთა ფეოდალური სახლი, მერმინდელ ქსნის ერისთავთა კუთვნილ ტერიტორიაზე არსებობდა. რაკი ალექსანდრე I სიგელში ვირშის „შესავალნი“ ქორდი და ბადაშვილნი იყო, სავარაუდოდ, იგი პატარა ლიახვის ხეობაში, ქორდის სიახლოვეს მდებარეობდა. ალექსანდრე I კათალიკოს თეოდორეს არამარტო ვირშას მთა და მონასტერი უბოძა არამედ „მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი“. როგორც აღვნიშნეთ, ქორდი მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობის შუა წელზე.[3] ქორდში დღემდე ცხოვრობენ სიგელში მოხსენიებული ბადაშვილები. ბადაშვილთა საგვარეულო ჯინჯიხისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობს და, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ჯინჯიხისძე–ბადაშვილები ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის საგანძურის მცველები ყოფილან. ამას ადასტურებს 1453 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...ესე სიგელი მოგახსენეთ თქუენ ვირშის წ~თა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელს, ქართლი-

---

სტატისტიკური აღწერილობა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 4.

[1] P. Ioseliani, Икортский монастырь в Карталинии, საქართველოს სასულიერო მახარებელი, ნოემბერი, 1865, გვ. 69.

[2] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 56.

[3] გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, გვ. 7.

სა პატრიარქს დავითს და თქუენთა მკუიდრთა მეგანძურთა სახლისა თქუენისა უხუცესთა ჯინჯიხისძეთა ბადასშვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა ბადასა და ბევროზს და შენთა ძმისწულთა შალვას და ივანეს... მე უჯარმელმან (ფავნელ-მან?), ჩემმა შვილმან შალვამ მას ჟამსა, ოდეს გაგიცვალეთ ჰჯიკას ძესა(უჯიკასძისა)ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მა-მულსა ზედა მოგუახსენეთ (მოგახსენეთ) ქუბეშური (ქუბებუ-რი) მამული ჩარეხელას შვილითა გერასიმისძისეული მამუ-ლი... სახლითა, კარითა.. ჭურითა... მოგუიხსენებია ჩუენ უჯა-რმელსა ფავანელსა... თქუენ ვირშის თავს წ˜თა მთავარანგე-ლოზთათუის ესე მამული და გლეხნი... არა მოგეშალოს“.[1] აღნიშნული სიგელი გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას მიერ, თუმცა გამოცემულია ამ დოკუმენტის ოდნავ განსხვავებული ვარიანტიც. დოკუმენტი დათარიღებულია 1459 წლის 28 ნო-ემბრით და წარმოადგენს სვეტიცხოვლისადმი ფავნელ უჯარ-მელის შეწირულობის წიგნს.[2] დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებო-ბითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და სიგე-ლი სამკუიდრო, სამამულო, მტკიცე და შეუცვალებელი, რა-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 272.

[2] აღსანიშნავია, რომ ფავნელ-უჯარმელები XVI საუკუნის II ნახე-ვარში თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილებად იწერებოდნენ. 1569 წლით დათარიღებულ დოკუმენტში გვხვდება ნიქოზში დამკვიდრებული თმოგ-ველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები. იხ. ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ის-ტორიისათვის, ტფ., 1913, გვ. 6-7; ჩვენი ვარაუდით, XIV საუკუნის ბო-ლოს ჯავახეთიდან გადმოსახლებული თმოგველები უჯარმაში დამკვიდრ-დნენ და თმოგველთა საგვარეულოში გვარის მეორე ნაწილი-უჯარმელი გაჩნდა. მოგვიანებით, თმოგველ-უჯარმელები ქართლში, კერძოდ, ფავნის-ში გადმოსახლდნენ. მათ ფავნელთა ფეოდალური საგვარეულოს ტერიტო-რია დაიკავეს და თმოგველ-უჯარმელ-ფავნელებად იწოდნენ. იხ. გ. სოსი-აშვილი, საქართველოს წარჩინებულ საგვარეულოთა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 38.

საცა გინდა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა დაგიწერეთ და მოგ[ა]ხსენეთ თქუენ, ვირშისა წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელს და გაბრიელს, და ქ[ა]რთლისა პატრიაქსა დ(ავი)თს, და თქუენთა მკუიდრთა მეგანძურთა, სახლისა თქუენისა უხუცესთა, ჯინჯიხისძეთა: ბადას შვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა, ბადასა და ბევროზს, და შენთა ძმისწულთა შალვასა და ივანეს, და თქუენთა მომავალთა ყოველთავე. მე, უჯარმელმან ფავნელმ(ა)ნ და ჩემმან შვილმან შალვა, მას ჟამსა ოდეს დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა მიქაურსა მამულსა ზედა და მოგ[ა]ხსენეთ ქუბუშური მამული ჩარუხელისაშვილითა, გერასიმისძისეული მ[ა]მული – და - ტალაკაური, ამილბარასშვილი მამაგულა, სადენურნი ნასახლევნი მისითა ჭურითა და ნავენახხევი, მურყნეველთა ზემოთ ხუითსა ქუემოთ, ფოლოცასა აქათ, გვრგვლივ თექუსმეტისა დღისა მიწა; ბროწლეს* ქუბეშური მამული ველითა,** ვენახხითა, წყლითა, წისქუილითა ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბ[ა]რითა, საძებრითა და უძებრითა, საყდრითა წილითა, სასაფლაოთა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე – გერასიმისძისეული მამული მისითა მიმდგომითა ველითა, ვენახხითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბ[ა]რითა, სახხმრითა და უხხმრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ

---

* იგულისხმება სოფელი ბროწლეთი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 181.

** დოკუმენტში ინტერესს იწვევს „ქუბეშური მამული“, შესაძლებელია ქუბეშური გვარის აღმნიშვნელი იყოს. 1432 წლის თირის მონასტრის სიგელში გვხვდება „ლალური“, რაც ცხინვალში მცხოვრებ ლალასძეების კუთვნილ მამულს აღნიშნავდა. იხ. გ. სოსიაშვილი, თირის მონასტრის 1432 წლის სიგელი და თავხელისძეთა საგვარეულო, „ანალები“, №11, 2015, გვ. 168.

უნაკლულოდ. აგრევე სადუნურნი ნას[ა]ხლევნი მისითა [მზღურითა] და ნავენახხევი; აგრევე ბროწლეს თექუსმეტის დღისა მიწა მოგუიხხსენებია, ჩუენ, უჯარმელსა ფავნელსა და ჩემსა შვილსა შალვ[ა],ს, თქუენ, ვირშის თავს წმიდათა მთავარანგელოზთათუის... რხუითს მთავარანგელოზთა მკუიდრი მამული მთავარანგელოზთავე დარჩეს უსარჩლელად ყოვლის ადამის ტომისა კაცის[ა]გან.“[1] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ვირშას მთავარანგელოზის ტაძარი ქართლის კათალიკოსს დავითს ექვემდებარებოდა, მონასტერს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში მამულები ეკუთვნოდა. აქ ნახსენები „მკუიდრთა მეგანძურთა“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯინჯიხისძე-ბადაშვილებს ვირშის მთავარანგელოზის საგანძური ძველი დროიდან ჰქონდათ ჩაბარებული. ბადაშვილები შედარებით გვიანდელ დოკუმენტურ წყაროებში კათალიკოსის ყმები იყვნენ. 1694 წლის დოკუმენტის თანახმად, ნიკოლოზ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული გადასცა.[2] უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტით დასტურდება ადგილის სახელწოდება „ბადაანი.“ ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს უბოძა „ჩვენის ეკლესიის ყმების მოურავობა, ბადაანისა და ხოდელისა.“[3] ამაზე ვრცლად ქვემოდ შევჩერდებით. ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ 1687 წლით დათარიღებული სიგელში, სადაც საუბარია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეულ ღვაწ-

---

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 96-97.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604.

[3] გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

ლზე, აღნიშნულია, რომ „კიდევე ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.[1] როგორც ჩანს, ვირშის მონასტერს ეკუთვნოდა „შესავალნი ქორდი (შესაძლებელია ქორდის შემოგარენი) და ბადასშვილნი“, ანუ ბადასშვილების მამული (სავარაუდოდ მცირე სოფელი),[*] არ არის გამორიცხული, რომ ვირშას მონასტერი დისევ-კულბითთან ახლოს, ორბოძალას მთის ძირში არსებულ „ნაქალაქევთან“ ახლოს მდებარეობდა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აქ სავარაუდოდ, ძველ დროში ქალაქური ტიპის დასახლება იყო. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ადგილის სახელწოდება. „ნაქალაქევთან“ ახლოს არის მთავარანგელოზთა სახელზე აგებული ეკლესია. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს: „ამავე სოფელში (კულბითში – გ.ს.), ქედის გადაღმა, ორბოძალას მთის ძირში, არის ადგილი „ნაქალაქევი“, რომელიც ერისთავს (ქსნის ერისთავს – გ.ს) ეკუთვნოდა, აქვეა ეკლესიაც, სადაც დღეობა „მიქელგაბრიელობა“ იცოდნენ“.[2] 1459 წლის ფავნელ უჯარმელის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელიდან ვიცით, რომ ვირშას მონასტერი გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების სახელობის იყო. ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ „ნაქალაქევის“ ტერიტორიაზე არსებული ეს ეკლესია იყო დოკუმენტებში მოხსენიებული ვირშას მონასტერი, რომელმაც შემდეგ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და იგი პატარა ლიახვის ხეობაში სხვა ფეოდალური საგვარეულოების მიერ აგებულმა სალოცავებმა ჩაანაცვლა. რო-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 592.

[*] სავარაუდოდ, ბადასშვილები ძველი დროიდანვე ემსახურებოდნენ ვირშის მთავარანგელოზის მონასტერს და ამ დამსახურების გამო გადაეცათ მამული მონასტერთან ახლოს. საგანძურის მცველები მონასტრიდან შორს ვერ იცხოვრებდნენ.

[2] ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 67.

გორც ჩანს, აღნიშნულ ტერიტორიაზე პირველობისთვის რამ-დენიმე ფეოდალური სახლი ერთმანეთს ებრძოდა და ვირშე-ლთა სახლი ამ ბრძოლებს შეეწირა, ისინი, სავარაუდოდ, ქვენიფნეველებმა დაამარცხეს და პირველობა ჩამოართვეს. ვირშელთა ქონება სამეფო ხელისუფლების საკუთრება გახდა. ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი“ ჯინჯიხასძე-ბადასშ-ვილნი, მათი დასახლების (ან სოფლის) განადგურების შემ-დეგ ქორდში გადმოსახლდნენ. როგორც აღვნიშნეთ, მოგვია-ნებით ნიკოლოზ კათალიკოსმა „ბადანი“ იგივე ბადაანი ხელ-ახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა.[1] უფრო გვიან, XVIII საუკუნეში, აქ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები და-სახლდნენ. ბადაანში ჩამოსახლებული ოსების მოურავობა ან-ტონ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ჩააბარა. ამას უნდა ადასტურებდეს სიტყვები: „ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა“. გაურკვეველია, სად მდეობარეობდა ხოდელი, სავარაუდოდ, ისიც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელი იყო და ბადაანთან ახლოს მდებარეობდა. ზემოთ წარმოდგენილ დო-კუმენტში, როგორც ვნახეთ, იხსენიება „ვირშის თავი“. არ არის გამორიცხული, რომ ვირშა ორად იყოფოდა არსებობდა სოფელი ვირშა და ასევე ვირშის თავი, სადაც მთავარანგე-ლოზის ტაძარი მდებარეობდა. ისევე, როგორც არსებობდა გერი და გერისთავი.[2] ტოპონიმ ვირშას არსებობას სხვა არა-ერთი დოკუმენტიც ადასტურებს. XVII საუკუნის ერთ-ერთ

---

[1] იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სა-ხელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გვ. 150.

[2] იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 88; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 520.

საბუთში გვხვდება „ვირშას წყალი“, რომელიც ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსმა (რომელმაც ნასოფლარი ბადაანი მოაშენა) გედევანიშვილებს უბოძა.[1] შესაძლებელია ვირშის წყალი მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი იყო, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ასეთივე შენაკადები პატარა ლიახვს სხვებიც ერთვოდა, მაგ.: გერის ხევი, ფოტრისის ხევი, შამბიანის ხევი, ჩაბარუხეთის ხევი.[2] პატარა ლიახვის ხეობაში საეკლესიო მამულების არსებობა არაერთი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება. 1447 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოვლისადმი. საიდანაც ჩანს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში თავისი გლეხები ჰყავდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვეში მისითა მზღვრითა; ჭინჭველისძე მისითა მამულითა; ჭარებელისძე* მისითა მამულითა; კულბითს სამი საგლეხო; გაგელისშვილი-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, თ. II, გვ. 494.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 362-363.

* ჭარებელისძეთა გვარი უნდა უკავშირდებოდეს პატარა ლიახვის ხეობაში სოფელ ქსუისთან ახლოს პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფელ ჭარებს. XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში ჭარებში რამდენიმე კომლი გლეხი ცხოვრობდა, აქ გავრცელებული გვარები იყო: რაზმაძე, ლაფაჩი, შალიკაშვილი, ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 97. ჭარებში შემორჩენილია რამდენიმე ტაძარი, მათ შორის, ღვთისმშობლის ეკლესია (X-XI ს.ს), სამების (დაუთარიღებელი), ასევე ქარქიაანთ ეკლესია(ადრე შუასაუკუნეები), იხ. შიდა ქართლი, I, გვ. 241-245, ასევე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 33.

სა, ლიპარტისშვილი* და მიქლუტაური;** სათიჭარი ნასოფ-ლარი მისითა მზღურითა; ზაკუი მისითა მზღურითა; ვირშა მისითა შესავლითა.“[1] იგივე მამულები მოხსენიებულია 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში.[2] საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ეკ-ლესიისათვის პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში მამულე-ბის გადაცემის ფაქტს უფრო ადრინდელ წყაროებშიც ვხვდე-ბით. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ დისევში მცხოვრებ ოქ-როპირიძეებში შემონახული ყოფილა (მათივე ინფორმაციით მცხეთის სიონის არქივში დაცული სიგელის პირი), რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებელმა სოფელი დისევი და იქ მცხოვრები ოქროპირიძენი სვეტიცხოველს შესწირა. სიგელის ასლი სასულიერო პირმა ალ. ოქროპირიძემ პროფ. ი. მეგ-რელიძეს გააცნო. დოკუმენტი ი. მეგრელიძემ გამოაქვეყნა: „ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმო-სავლ-დასავლამდე მპყრობელ პატრონმა ჭელმწიფემან და-ვით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილებელი შემოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ თქუენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლიანის სამზღვრებით(.) ასე მოგვეხსენება და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურ-

* ლიპარტიშვილთა გვარი პატარა ლიახვის ხეობის სოფელ კარბში იხსენიება XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში. იხ. ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

** მიქლუტაური გვართან დაკავშირებული ტოპონიმი უნდა იყოს, ისევე როგორც ამავე დოკუმენტში მოხსენიებული ტოპონიმები: ქოჩიბაგა-ური, გულიაური და აყუშური.

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 40.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 191.

ბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ ბერიჯვრის წვერამდისინ და სათივის წვერამდისინ საოსო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტილ ქვამდისინ, სასადილო წყალმდისინ, ფურთსადმგომამდისინ, წითელ კოშკამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყლამდისინ(,) მრგვლივ ტყემდისინ და ტბამდისინ, კვირაცხოვლის გზამდისინ და ნაცარყანახევამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ, ეს სოფელი დისევი მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ ხხელშეუშლელად მოგვირთმევია და კაცნი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი დავით და ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მთითა, ბარითა, აბილახტაური* თავის საწისქჯლოთი... დაიწერა ხხელითა მღვდელმონაზვნის ეგნატისათა, თვესა აპრილსა იგ ქკნ [ს] სდ(,) ხელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ(.). ნებისათა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა, მეფის ირაკლის შორის ძემან ანტონი დავით მკვიდრისამან გარდავაწერინე წიგნი ესე წ(ინაშ)ე ჩვენისა სიონის დეკანოზის იოვანეს უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს".[1] დისევისადმი დავით მეფის მიერ შეწირული დოკუმენტი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. დოკუმენტში დავით მეფე და მისი ძე დემეტრე სოფელ დისევს სვეტიცხოველს წირავენ, ოღონდ, ზემოთ წარმოდგენილი სიგელისგან განსხვავებით, ჟორდანიასეულ რედაქციაში იხსენიება კათალიკოსი დოროთეოსი და არა დოსითეოსი. თ. ჟორდანია ამ სიგელს 1516 წლით ათარიღებს. ეს, შესაძლებელია, დოკუმე-

---

* მამულის სახელწოდება აბილახტაური, გვართან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც მაგ.: საღირაული, ბაღვერაული. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 475.

[1] ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 30-31.

ნტის გადაწერის თარიღია და არა სიგელის შექმნის. სიგელის თ. ჟორდანიასეულ რედაქციაში ვკითხულობთ: „ჩუენ მეფეთ-მეფემან... დ˜თ და ძემან ჩ˜ნმან დიმიტრი ესე მტკიცე სიგელი... შემოგწირეთ სოფელი დისევი... თქუენ სუეტსა ცხოველსა და ქ˜ზს დოროთეოს(ს)... თვესა აპრილსა :იგ:ქ˜კს:სდ“[1] არ არის გამორიცხული, რომ სოფელი დისევი სვეტიცხოველს მართლაც დავით აღმაშენებელმა გადასცა. სიგელის ვრცელი ვარიანტის ასლში ბევრი ისეთი ტოპონიმია ნახსენები, რომლებიც უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტურ წყაროებში აღარ გვხვდება, მაგ: ჩხოკურის წყალი, სასადილო წყალი, წურბლის წყარო... სიგელში ნახსენები ოქროპირიძეთა გვარი დისევში ყველაზე გავრცელებული გვარია. აღნიშნულ სოფელში ცხოვრობდნენ ასევე მალიაძეები, ამას ადასტურებს სოფლის აღმოსავლეთით შემორჩენილი სახნავი მინდვრის სახელწოდება „მალიაანთეულები“.[2] თუმცა, ოქროპირიძეთა სიგელში დაინტერესებას იწყვევს ჩანაწერი „საოსო გასაყარ გზამდისინ,“ „საოსო გზა“ ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლის ბარის სოფლებში პატარა ლიახვის და ქსნის ხეობაში მომავალი გზა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ეს სიგელი, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ იქნა გაცემული, შეიძლება XVII-XVIII საუკუნეებშიც გადაიწერა და ზოგიერთი ტოპონიმი გადაწერის დროინდელი ადგილების დასაზუსტებლად ჩაამატეს. დავითის აღმაშენებლის მმართველობის პერიოდში დისევის სიახლოვეს „საოსო გზა“ უნდა გამოვრიცხოთ. აღსანიშნავია, რომ როდესაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღთა ლაშქრის გადმოყვანის ღონისძიება დაგეგმა, ყივჩაღებმა ოსებისაგან მშვიდობიანი გზის მიცემა ითხოვეს.

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 334.

[2] იხ. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 212.

დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „მისთჳსცა ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა და თანაწარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თჳსი... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაღთა, ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი... და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი".[1] დავითის მეფობის პერიოდში, როგორც ვნახეთ, გავრცელებული იყო ტერმინები, „ოვსეთი", „ოვსთა," ზემოთ წარმოდგენილ სიგელში ნახსენები „საოსო," უფრო გვიანდელი უნდა იყოს. საისტორიო წყაროებში პატარა ლიახვის ხეობაში არაერთი გზაა ცნობილი, მათ შორის, ქსნის ხეობასთან დამაკავშირებელი გზა.[2] ერთერთი გზა, რომელიც პატარა ლიახვის ხეობას აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ზახადან სოფელ ედისის გავლით ვანათს უკავშირდებოდა. ამ გზის მეორე განშტოება ედისიდან ერმანდონის ხეობით და ყელის ტბით ჟამურსა და ქსნის ხეობას უერთდებოდა.[3] XVII-XVIII საუკუნეებში, ოსების ჩამოსახლებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, შესაძლებელია „საოსო გზაში" სწორედ ეს გზა იგულისხმებოდეს (ოსების გადაადგილების გამო). XVI საუკუნის I ნახევარში მართლმადიდებელი ეკლესია პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ფლობდა ქონებას, თუმცა, 1529-1530 წ.წ სიგე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 336.

[2] გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 16.

[3] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა, XV-XVIII ს.ს. თბ., 1971, გვ. 50.

ლში (თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტი ბასილი კათალიკოსის დროს არის შედგენილი), პატარა ლიახვის ხეობაში კათალიკოსის კუთვნილი ყმა-გლეხები დაკარგულად იხსენიება: „აქუს რატიშვილს წირი... კორინთელს ველური...* ამილახორს თავჯუაშვილები.., ზემო-ერისთავსა ქუეში და სათივარი** და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოლდი, ფავნელიშვილსა ზაკვ და ერედუს გლეხები... კიდე კუნელთ სამზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა.“[1] XVI საუკუნის I ნახევარში პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთი სოფელი ლევან კახთა მეფემ ქართლის მთავარეპისკოპოს მალაქიას შესწირა. როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ – გიორგი VIII საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს. ქართლის სამეფომ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა, თუმცა კახთა მეფეები XV-XVI საუკუნეებში ქართლის ტერიტორიაზე გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებდნენ, მათ შიდა ქართლში თავიანთი მამულებიც ჰქონდათ. გარდა ამისა, კახეთის მესვეურთა უფლებები ვრცელდებოდა ქართლის საკათალიკოსოს ადმინისტრაციულ აპარატის წარმომადგენლებზე – „მცხეთიშვილებზე“, კერძოდ კი „ქადაგებზე“. კახთა მეფეებს (როგორც ჩანს, მათ ეს პრივილეგია გიორგი VIII გადმოჰყვათ). „სამცხეთისშვილო წილის“ განკარგვა და „ქადაგის“ დანიშვნაც შეეძლოთ. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა 1527-1532 წწ. ლევან I კახთა მეფის მიერ შედგენილი დოკუმენტი: „ქ. სასოო ჩუენო მარკოზ და ყარს-

---

* ამ სახელით სოფელი იხსენიება 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. „ზერტი მისითა მზღურითა, ლეხონი და მამულნი არიან, მათითა მზღურითა, ველური სოფელი მისითა მზღურითა.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265.

** არ არის გამორიცხული, რომ უნდა ეწეროს სათიხარი.

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 373.

ლან! ჩუენ მაგიერად პატრონსა ქართლისა მ˜კზსა (მთავარეპისკოპოსსა) მალაქიას ასრეთ მოაკვსენეთ: მცხეთისა საყდრისა და კ˜ზისა საქმესა ეგენი დახუდეს და, რაც ჩუენისა შვილისა კველთ იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუელა უკლებად მივაბარე და ჩუენი შვილი სამუქფოთა გავიჯერეთ და გარეჯისა უდაბნონი საყდარს მოვახხსენეთ, ასე რომ, კ˜ზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუელითაგან გაჩენილი არა მოაკლდეს და არცა გარეჯით მცხეთას მივიდოდეს: მასზედა აღაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს, და გარეჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბრძანისსავე ზედა მიასვენონ. სხუა ჩუენი ხხელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა(და)მალისა(მეტი?); და თუ გავიაროთ, ძრუენითა დაგუხუდებოდენ. აგრევე სხუანი საღაპონი(სიც) მამულნი მოგვიხსენებია და ტრაპეზსა მისი ნუ მოაკლდების. ამაზედ მომკლებად (მომკვრებად?)საღმრთონი კაცნი უჩინეთ და ჩუენი საუკუნო საქმე ნუ მოგუაკლდების. ამას გარეთ რანიცა მცხეთას მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯუარისა მონასტერი მისითა შესავლითა, მეტეხთ მონასტერი მისითა შესავლითა, ქადაგის მონასტერი მისითა საკველოთა და შესავლითა, სარკისა და ვირშისა მონასტერი მისითა შესავლითა; და **რაც პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ,** იმას ჩუენ მოვიკლებთ და მაზედა მწირველსა დავაყენებთ. ქადაგის საქმე აქაც გაუტყდით, ჩუენი მინდობილი არის და საავკაცოდ არვის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყუან (ე.ი ამ მოხელეს ნე თვთ დავნიშნაო, მცხეთით ნუ მიგზავნიანო და არცა სად გაუშვებთ. და რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საკველო აბარია, არცა იმას წაუღებთ. როგორც მცხეთისა საყდარი არა მოიშლების, აგრევე **ქადაგისა,** მონასტერსა და საკველოსა არ მოვშლი. – სოფელი ახალშენი შემოწირული არის ასრე რომე საყდარსა ემსა-

ხუროს და მისი გამოსავალი ჩუენ გულისთჳს წაიგებოდეს. აბრეშუმი რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შეგვინახონ: კალატოზთათუის მოგუინდების. აგრევე აქაური პური და ღჳნო".[1] შიდა ქართლში, კერძოდ პატარა ლიახვის ხეობაში, რომ კახთა მეფე ლევანს მამულები ჰქონდა, ამას კიდევ ერთი დოკუმენტი ადასტურებს. სიგელი 1532-1548 წლებშია დაწერილი. იგი ლევან კახთა მეფემ კათალიკოს მალაქიას* უბოძა: „კათოლიკე ეკლესიასა და თ˜ქნსა საჭეთმპყრობელსა... კ˜ზსა პატრიარქსა მალაქიას (მოგახსენე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა ხელ-შეუვალად, ქორდს ყანდიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძანი... უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჭარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩ˜ნისა წარსამართებელად... სხუა რაც ჟამთა-ვითარებისაგან ძუელნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თ˜ქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰბოძებო-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 370.

* ქართლის მთავარეპისკოპოსი მალაქია, რომელსაც შეწირულობის სიგელი გადაეცა, შემდეგში ლევან კახთა მეფის დახმარებით ქართლის კათალიკოსი გახდა. თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ 1532 წლის მცხეთის სიგელში აღნიშნულია: „ქ. ჩ˜ნ ღვთივ გვრგვნოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ლევან დედამან ჩ˜ნმან დედოფალთ დედ˜ფლმან ელენე და თანამეცხედრემან ჩ-ნმან დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩ˜ნთა გ˜ი და იესე ესე... წიგნი... მოგაჴჴსენეთ (მცხეთას) და წ˜ა მეუფესა და შესავედრებელსა სულისა ჩ˜ნისასა, ზეცისა კაცსა და ქ˜ყანისა ანგელოზსა, დიდსა მამათმთავართ-მთავარსა ქართლისა კთ-ლიკოზს პატრიარქს მალაქიას მას ჟამსა, ოდეს მცხეთის საქმე შემცირებულ იყო, იპრიანა ღ˜ნ ნებითა და შეწევნითა ღ˜თისათა და კათალიკოსად დაგადგინეთ და მოგაჴჴსენეთ, რაიცა სულ˜კურთხეულთა ღვთივგჳრგვნოსანთა პარონთა პაპათა და მამათა ჩ˜თაგან განთავისუფლებულნი და შემოწირულნი სოფლები და მამულნი იყუნეს მთას ანუ ბარს." თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 375. ხოლო, უფრო მოგვიანებით, 1561 წელს, კათალიკოსის ტახტი ლევანის ძემ ნიკოლოზმა დაიკავა.

დეს ამითა ემსახური(უმსახური), ჩ˜ნ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გაგეყაროს (და სხ.) (არა გეთ-ხოვებოდეს რა) სათათროსა საურსა გარეთ, ეზროშვილი ვირშელი წინუბნით.“[1] საინტერესოა, რა უფლებებით სარგებ-ლობდა ლევან I კახთა მეფე შიდა ქართლში არსებულ მამუ-ლებზე. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1537 წელს შედგენილი „წყალობის წიგნი ბასილ კათალიკო-ზისა გიორგი ჭარმაულისადმი“. ქართლის კათალიკოსმა ბა-სილმა „მცხეთის შვილებს“, ჭარმაულებს, გიორგის, მის შვილს ავთანდილს და მის ძმებს გრიგოლს და აბიათარს სოფელი ხატისწობენი სიგელით დაუმტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია: „და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა, და რა-რიგადცა პატრონმან [მეფემან ლეონ] დაგიმტკიცა და გიბო-ძა“.[2] ხატისწობენი რომ ჭარმაულების საკუთრება იყო, დას-ტურდება 1505 წლის დოკუმენტით, აღნიშნული სოფელი კონსტანტინე მეფემ და შიო კათალიკოსმა ივანე ჭარმაულს უბოძეს.[3] ხატისწობენზე XVI საუკუნის II ნახევარშიც კახთა მეფებს მიუწვდებოდათ ხელი, ეს ჩანს 1579 წლის დოკუმენ-ტით, რომლის თანახმადაც ალექსანდრე II აღნიშნული სო-ფელი სვეტიცხოველს დაუმტკიცა.[4] ლევან კახთა მეფე შიდა ქართლთან მიმართებაში კიდევ ერთ დოკუმენტში იხსენიება.

---

[1] იქვე, გვ. 376.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენი-შვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 253.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14681;

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-464; მასალები საქართვე-ლოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამ-ზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 271.

ეს არის 1562-1565 წ.წ დათარიღებული „წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაძისადმი“. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ნიკოლოზ კათალიკოზმა მაღალასძე გედეონს, მის ძეს – რომანოზს და ძმისწულებს დავითს და ნიკოლოზს სოფელ ნიაბსში* უბოძა კანაჩისძის გივისეული მამული, რომელიც მანამდე მაღალასძეებს სიმონ მეფის მიერ ჰქონდათ ბოძებული. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გედეონ მაღალასძეს თავისი ძის – მომავალი კათალიკოსის, ნიკოლოზის, აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლევან მეფე დიდად სწყალობდა, ამის შესახებ ნიკოლოზ კათალიკოსი წერს: „ხოლო შენ მიერ განსწავლულ ვიქმენ კითხვასა ღმრთივ-სულიერთა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა, რომელ აღწევნულ ვიქმენ თავსა სრულებისასა ვიდრე რიტორობად და ღრ[ა]მატიკოსობად და მამამან ჩემმან დიდმან მეფემან ლეონ დიდად პატივგცა კეთილად აღზრდისა ჩემისათვს და მრავალნი საფასენი მოგანიჭნა ცხორებასა შინა თვსსა.“[1] კათალიკოზ ნიკოლოზის აღზრდაში და მის განსწავლაში ქადაგ გედეონ მაღალასძეს დიდი წვლილი შეუტანია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მოხსენიებული ქადაგის – გედეონ მაღალასძის მამა – რომანოზ მაღალასძეც მცხეთის ქადაგი იყო,[2] რომლისთვისაც 1542 წელს კათალიკოს თეოდოსის მცხეთაში მჭედლისშვილის იოვანესეული სახლკარი და მამული უბოძებია, ხოლო დიღუამში კი მზევასძისეული ვენახი. როგორც ჩანს, „ქადაგობა“ მემკვიდრეობით გადადიოდა, რადგან რომანოზის შემდეგ ქადაგის სახელოს მისი ძე გედეონი დაეუფლა. მაღალასძენი იმდენად დიდი ნდო-

---

* აღნიშნული სოფელი კასპის რაიონში მდებარეობს.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 273.

[2] მაღალასძეთა ოჯახის წევრები ამ დოკუმენტში იხსენიებიან, როგორც „მცხეთის შვილნი.“

ბით სარგებლობდნენ კახთა მეფეების წინაშე, რომ ლევანმა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, თავისი ძის – მომავალი კათოლიკოსის აღზრდა გედეონ მაღალასძეს მიანდო. ლევან კახთა მეფის ძე ნიკოლოზი რომ ქართლის კათალიკოსი იყო, ამას ადასტურებს 1848 წელს მეტეხის ოთხთავზე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მიკვლეული წარწერა: „ქ. ჩვენ ქრისტეს ღვთისა მიერ კურთხეულმან ძემან მეფისამან ლევანისამან ქართლისა კათოლიკოზმან პატრიარხმან ნიკოლოზ შემოგწირე ოთხთავი ესე შენ დიდებულსა და საშინელსა მეტეხთა ღვთისმშობელსა სულისა ჩვენისა სახსრად (?) და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად.“[1] ნიკოლოზ კათალიკოსი, რომ ლევან კახთა მეფის ძე იყო, ჩანს ასევე მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მიკვლეულ ღვთისმშობლის მიძინების ხატზე ამოტვიფრულ ასომთავრულ წარწერაში: „ქ. ჩვენ ქრისტეს ღვთისა კურთხეულმან აპა იანბიკონი რომლითა თავნი იტყვიან მსასოებელი და მვედრებელი შენდობა ევას ცდომითა განძებული სამოთხით ტკბილისა მისგან კეთილსაშვებელისა ექსორება მწარედ დასჯილი პირველ ხის ცნობადისა მგემებელი აწ ბეშავთა თაყვანის გცემ შენ ქალწულ უბიწო ღვთისა ცხებულთაო ტომთაგან აღმოსრული მამით ლეონით ხოლო დედით თინათინ... გევედრები ისმინე კათოლიკო-

[1] H-78; 71 V jpg. დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის პირადი არქივის ერთი ნაწილი, მათ შორის შიდა ქართლის ეკლესია-მონასტრების და სიძველეების აღწერა, ინახებოდა სანკტ-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ცნობილი ქართველოლოგის, მარი ბროსეს, ფონდში, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა ისტორიკოსმა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილმა, ვსარგებლობთ მის მიერ გადმოცემული მასალით, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუხდით.

ზი ნიკოლოზ დაიცე.“[1] XVI საუკუნის II ნახევარში ნიკოლოზის სახელით ორი კათალიკოსია ცნობილი. ნიკოლოზ VI (1561-1584 წწ.) და ნიკოლოზ VII (1584-1589 წწ.)[2] ი. ალიმბარაშვილის აზრით: „ამ ორი ნიკოლოზიდან, პირველი ბარათაშვილია და მისი მეფის ძეობა უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება ნიკოლოზ VII-ს, იგი მართლაც ბაგრატიონი იყო და მისი მშობლები კახთა მეფე ლევანი (1520-1574) და თინათინ გურიელი იყვნენ. ამდენად, კათალიკოს ნიკოლოზ ლეონის ძეს ხატსა (იგულისხმება მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ხატი – გ.ს.) სახარებაზე (იგულისხმება მეტეხის ოთხთავი – გ.ს.) წარწერა 1584-1589 წლებში უნდა გაეკეთებინა.“[3] ჩვენი აზრით, აქ გარკვეული უზუსტობაა, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, 1562-1565 წწ. გედეონ მაღალასძიდამი ბოძებულ წყალობის სიგელში, ნიკოლოზი, რომელიც მამას ლეონსაც იხსენიებს უკვე კათალიკოსია, შესაბამისად, ნიკოლოზ VI, რომელიც ქართლის კათალიკოსი 1561 წელს გახდა ბარათაშვილი ვერ იქნებოდა. ლევან

---

[1] Институт Восточных Рукописей Российской Академии Наук, фонд, Н-78; дело, “Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850, 70. მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრისადმი ნიკოლოზ კათალიკოზის განსაკუთრებული ზრუნვას შესაძლებელია ის მიზეზიც ჰქონდა, რომ კასპის რაიონში არსებული მეტეხის ტაძარი თბილისის მეტეხის მეტოქი იყო, რომელზეც, როგორც ზემოთ მივითითებდით, კახთა მეფეებს გარკვეული უფლებები ჰქონდა.

[2] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ენრიკო გაბიძაშვილისა და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედაქტორობით, თბ., 2007, გვ. 683-684.

[3] იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით), სამეცნიერო კრებული: ელდარ მამისთვალიშვილი - 75, 2015, გვ. 452.

კახთა მეფის ძე იყო არა ნიკოლოზ VII არამედ ნიკოლოზ VI, რომელიც მამის – ლევანის სიცოცხლეში გახდა ქართლის კათალიკოსი. მეტეხის სახარების მინაწერიც და ღვთისმშობლის მიძინების ხატის ასომთავრული წარწერაც 1561-1584 წწ. უნდა დათარიღდეს. დავუბრუნდეთ ლევან კახთა მეფის მიერ მთავარეპისკოპოს მალაქიასადმი 1527-1532 წწ. შეწირულობის სიგელს. დოკუმენტი ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. საყურადღებოა ჩანაწერი: „პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ“. როგორც ჩანს, კახთა მეფეებს ქართლში გარკვეული მამულები ეკუთვნოდათ და ზოგიერთ მონასტერზე მათი უფლებები ვრცელდებოდა. მათ შორის ჯვრის, მეტეხის, ქადაგის და სარკის მონასტრებზე. ინტერესს იწვევს დოკუმენტში ნახსენები „ქადაგი“. „ქადაგი“ კათალიკოსის ადმინისტრაციაში შემავალი თანამდებობა იყო. XIII საუკუნის ძეგლში „კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“ ასეთი ჩანაწერი გვხვდება: „ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოძღუარნი შემოკრბენ მცხეთას, დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად. და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტვრთნენ კეტნი ქუაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი... და რაჟამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყუერელსა ეტვრთოს, და რაჟამს განზაონ, ტაკუკი ქადაგისა ხხელითა დაიბეჭდვოდეს.“[1] მირონის კურთხევის დროს, ქადაგი სომხეთის მიტროპოლიტთან ერთად მონაწილეობას იღებდა სვეტიცხოვლის ტაძარში გამართულ ამ დიდ ცერემონიალში. სხვა დამატებითი ინფორმაცია „ქადაგის“ ფუნქციებთან

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 47.

დაკავშირებით დოკუმენტში არ ჩანს. „ქადაგის“ შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ფშავის აღწერისას აღნიშნავს: „და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელმქნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვს, სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა“.[1] საისტორიო წყაროებში, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, „ქადაგი“ ეკლესიის მსახურთა შორის გვხვდება. აღნიშნული თანამდებობა, მეცნიერის განმარტებით, გიორგი მერჩულეს ტექსტში „შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი, არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა“ იხსენიება.[2] „ქადაგი“ გვხვდება XIII საუკუნის ძეგლში „განგებაი ვაჰანის ქუაბთაი“: „...ვინაიცა გულსვიდგი[ნე აღწერად] და კანოთ[ა] ღმრთივ-ხხმოანთა საღმრთოთა **ქადაგთა** და წ[მიდათა ღმერთშემოს]ილთა მამათაისა განეგებვოდის ყოველივე სახე მოღუაწებრისა ქცე[ვისა, რომელ]ნი მკვდრ იყვნენ მას შინა“[3] სულხან-საბა ორბელიანი „ქადაგს“ ასე განმარტავს: „ქადაგი მაღლა მძახებელი სწავლისა“.[4] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია განმარტებული „ქადაგი“ იმ პიროვნების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელიც ხალხსა და ღმერთს შორის ერთგვარი მოციქულის როლს ასრულებდა და მრევლს

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, გვ. 533.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, გვ. 14.

[3] ქართული სამართილი ძეგლები, ტ. III, გვ. 135.

[4] სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 209.

ღმერთის სახელით ესაუბრებოდა. ქადაგი ასეთი დატვირთვით საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული, მათ შორის შიდა ქართლშიც.[1] „ქადაგი“ გვხდება 1399-1419 წწ. კათალიკოს ელიოზის მიერ ცხეოსნიძეებისადმი ბოძებულ სიგელში. კათალიკოსმა მათ მამულები უწყალობა. სიგელის ბოლოს ვკითხულობთ: „ამას გარდა ქადაგთაგან დაწინდული ექვსის კაცით საბარი ვენახხი თევდორე ცხეოსნიძემან [დაიხხ]სნა“.[2] „ქადაგს“, როგორც ჩანს, ორგვარი დატვირთვა ჰქონდა. ერთი, როგორც აღვნიშნეთ, სოციალური ფუნქცია იყო, „ქადაგები“ ღმერთთან „მოლაპარაკე“ ადამიანები იყვნენ, ამის გარდა „ქადაგი“, სხვა დატვირთვითაც გვხვდება. იგი კათალიკოსის დამხმარე თანამდებობის წარმომადგენელი – „მცხეთისშვილი“ იყო. „მცხეთისშვილობა“ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს: „კათალიკოზის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმო დაწესებულება იყო.“[3] ეს ტერმინი მეცნიერს XI საუკუნის ხელნაწერში ამოუკითხავს.[4] „მცხეთიშვილები“ მცხეთის საკათალიკოსო საყდრის საკუთრებაში არსებული მამულების გარკვეული ნაწილს ფლობდნენ. როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს: „შუა საუკუნეების საქართველოში მცხეთიშვილობა გულისხმობდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილი მამულების წილობრივ ფლობას და მამულთან დაკავშირებული ყველა სხვა ვალდებულების შესრულებას. ამასთანავე მცხეთიშვილობა ნიშნავდა კათალიკოსთან არსებულ ერთგვარ სათათბირო ორგანოში

---

[1] თ. კოშორიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, სადოქტორო დისერტაცია, ხელნ. 2015, გვ. 155-156.

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, თბ., 2013, გვ. 76-77.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 19.

[4] იქვე, გვ. 19.

მონაწილეობას – მცხეთიშვილები კათალიკოსთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას ეკლესიის შიდა ორგანიზაციული, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხების შესახებ... მცხეთიშვილებს უპყრიათ კათალიკოსის კარზე სამცხეთიშვილო წილთან მიბმული ყველა ადმინისტრაციული, საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობა: ჯვარისმტვირთველობა, ქადაგობა, სარდლობა, მეღვინეთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა, მდივანმწიგნობრობა, მოურავობა, პირისმწდეობა, ამირაჯიბობა, და სხვ.“[1] „ქადაგს“ უნდა უკავშირდებოდეს გვარი ქადაგისძე, რომელიც XV საუკუნის ქართულ დოკუმენტებში გვხვდება. ქადაგისძე იხსენიება 1420 წლის საბუთში. ფრიდონა ქადაგისძემ ქვათახევის მონასტერს მამული შესწირა.[2] ქადაგისძე ვიგრი, როგორც ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნის დამწერი, იხსენიება 1439 წლის დოკუმენტში.[3] ალექსანდრე I დიდის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში გვხვდება ავგაროზ ქადაგისძე.[4] ქადაგისძის გარდა, „ქადაგს“ უნდა უკავშირდებოდეს ქადაგიშვილთა გვარიც, რომელიც დოკუმენტებში ოდნავ მოგვიანებით გვხვდება და ის მაღალასძეთა გვარიდან მომდინარეობდა. მაღალასძეები გიორგი VIII და მის მემკვიდრეებთან საკმაოდ დაახლოებულნი იყვნენ. მაღალასძეთა გვარში გიორგი მეფისაგან მათი ქართლში ჩამოსახლების გადმოცემაც არსებობდა, რასაც

---

[1] მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, ჟურნ. „ანალები“, 2008, გვ. 171-179.

[2] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, ტ. IV, თბ., 2007, გვ. 333.

[3] იქვე, გვ. 333.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 245.

1476 წლით დათარიღებული სიგელიც ადასტურებს, რომელიც ალექსანდრე I კახთა მეფის მიერ მაღალაძეებს ებოძათ. სიგელიდან ჩანს, რომ ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეების მამა გიორგი VIII დადეშიდან გადმოუსახლებია მცხეთაში. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს [სოფლისა ვითარებისაგან] პატიოსანი ივანი [ას]ძე გაბრიელ უმკუიდრო იქმნა და მი[სი] სახლი და მამულნი ოჴერი დაშთა, აწე, ბატონს მამა ჩუენს მოეყვანა დადეშით მამა თქუენი და მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა. და ის სოფლით გასულიყო და თქუენ დაშთომილიყვენით. შეგიწყალეთ და შეგიყუანეთ და დაგსუით პატიოსნის ივანი[ას]ძის მამულსა, სახლსა დ ნატამალსა ზედა. და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეს, მეორესა ივანი[ას]ძესა, ამილბარს და დიმიტრის და გიორგის, ქვათაჴევს [სასაფლაო], კარისბჴე, სენაკი და ბაღი და ბოსტანი; იქავ, კავთისჴევს – მონასტერი ყ(ოვლა)დ წმიდისა ბეთლემისა მისის მამულითა, ბაღითა და ბოსტანითა, და სენაკითა და ნატამალითა. იქავ – გლეხი კომლი ხუთი, [ოჩლაურში] სამი კომლი სვ[ანიანები] და გიგაურის მამული, [მცხეთას სენაკი და ჭ]ალა საკოკია. კავთისჴევს ზვარი და ხოდაბუნი; ეზატს საკომლო ერთი, ვენაჴითა და მიწითა; გუდალეთს აქათ, დევისჴევს სამძღვარს აქათ, თქუენი რაც არის: მაღლა სოფელი ვარდიანი, მთა და ბარი, რომელიცა მათ ჰქონებოდეს საჴმარი, შესავალი და გასავალი, მიწა და წყალი, სანადირო [სახ]ლი და სამყოფი. დაბლა სოფელი ნიაბი, კომლი ოთხმოცი, მისის სამართლიანის მზღურითა, მთითა და ბარით{ა}, საჴმარითა და უჴმარითა, საძებრითა და უძებრითა და წყალზედ სათევზითა, სრულად, სამართლიანის მძღვრითა. ქვემო ხანდაკს კომლი კაცი ორი – ვარდანა და გიორგი; მცხეთას სასახლე; და მარანს საკონე საოჩხე; დიღვამს – სამი კომლი მზევაძე, იქავ – ზვარი და სახნავი; მე-

ტეხს – წისქუილი და ორი ხოდაბუნი; მუხრანს – სოფელი კუნელა მთითა და ბარითა და საწყლისპიროთა. ტფილისის ქალაქს მაზიტას სახლი, მამული და ბაღი, ბოსტანი, [წის]ქუილი; თუალზედ, ალევის ქედს, ერთი კომლი სვიანაძე და თეძამზედ, ქვენადრის[ს], პავლეს სახლი და მამული ეკლესიითა, მთითა და ბარითა, წყლითა, წისქუილითა და წყალითა, შესავლით{ა} და გადმოსავლითა. თრიალეთს ეძანისა და თავფარავ[ნ]ის მოურაობა, ქადაგობა სამცხეთოსა მეათორმეტედის წილისგან ერთი შენა. მამათმთვრობა დიღმის წყლს ზემოთ, გორისჯვრის ზემოთ სკრამდი.ეს[ე], რომელ|{ნ}იც მამულნი და [აგა]რაკნი და სახელონი ქონებოდეს გორს ფუშრუკაული დიაკონიძის{ა}, ისე ყუელა უნაკლულებლად გიბოძეთ ყოვლისა კაცისა მიუდევრად და უსარჩელად. გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ სუეტის ცხო[ვლისა] და ჩუენსა სამსახურსა და ერთგულებასა შინა. არავინ გუიბძანებია მშლელი და მქცეველი ამისი. დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს. დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)ს ოთ, ჴელითა წირქუალელის მუშრიბის რატისათა.“[1] იგივე სიგელი, შემოკლებული ფორმით, გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. მკვლევარი დოკუმენტს 1391 წლით ათარიღებდა: „ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმა ალექსანდრე... ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქუენ მაღალაძეს ამილბარს დიმიტრს და გიორგის... *(გიბოძეთ)* უმკუიდრო სახლ-კარი და მამული ივანისძე გაბრიელისა... მამა ჩემს მამა თქუენი მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა... და... *(კვალად გიბოძეთ)* ქვათაჴევს ეკუდერი, კრის ბჭე, სენაკი და ბაღი და ბოსტანი და კუამლი ხუთი გლეხი ეჩილაურში... ზუარი, ხოდაბუნი... *(სხვაც ბევრი სწე-*

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, კორპუსი, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 213.

რია)... კუალად... მამათ-მთავრობა დიღმის წყლის ზემოთ... *(გრძლად ჩამოთვლილია)* სკრამდი... გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოვლის და ჩუენსა სამსახურსა შინა... დაიწერა... ქჭსა :ოთ: ჭელითა წირქვარელის მუშრიბის რატისითა"... *ზედვე ხვეულად: „მეფე ალექსანრე ვამტკიცებ". მერე გაურჩ-ევლად, ხვეულადვე კათალიკოზის ხელი აწერია."*[1] დოკუმენ-ტის სრული ტექსტის გამომცემელი მ. სურგულაძე (რო-გორც ირკვევა დოკუმენტის დედანი დაკარგულია და გამოქ-ვეყნებულია დოკუმენტის 1820 წელს გადაწერილი ასლი) ამ საბუთს 1476 წლით ათარიღებს და ალექსანდრე I კახთა მე-ფეს უკავშირებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გიორგი VIII ალექსანდრე I მამამ დადეშიდან ჩამოსახლებული მაღალასძე-ები ივანიასძის მამულში „დასვა" და სხვადასხვა მამულებთან ერ-თად „უბოძა თავფარავნის მოურაობა და **ქადაგობა**". ამო-წყვეტილი ივანიასძის მამულზე დასმულმა მაღალისძეებმა ივანიასძის გვარიც მიიღეს. ამაზე მიუთითებს დოკუმენტში არსებული ჩანაწერი: „და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეს, მეო-რესა ივანი[ას]ძესა, ამილბარს და დიმიტრის და გიორგის". ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეების მამა სიგელის მიხედვით, დადეშიდან გადასახლების შემდეგ მალე გარდაიც-ვალა და სამეფო ხელისუფლებამ ამოვარდნილი გაბრიელ ივანიასძის მამულები და ასევე ქადაგობა მაღალასძეებს უბო-ძა. მცხეთის ქადაგის სახელო XV საუკუნის 40-იან წლებში მაღალასძეებს ჰქონდათ. ეს დასტურდება არაერთი დოკუმენ-ტით. 1443 წლით დათარიღებულ ვარამ დიასამიძის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელში საბუ-თის გადამწერათ იხსენიება მცხეთის ქადაგი დიმიტრი გაგე-ლისშვილი.[2] მკვლევარ ე. ხაინდრავას აზრით: „სავარაუდოდ

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 191-192.

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 19.

დიმიტრი მაღალაძეს ეწყალობა გაგელიშვილთა მამულები და მათი გვარიც მიიღო."[1] 1446 წლით დათარიღებულ გიორგი VIII მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელში გადამწერად იხსენიება მცხეთის ქადაგი მაღალაძე-გაგელისშვილი დიმიტრი.[2] იგივე პიროვნება, როგორც სიგელის გადამწერი იხსენიება 1449 წლით დათარიღებულ გიორგი VIII სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის წიგნში.[3] ვარამ დიასამიძის სიგელში, ასევე გიორგი VIII სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელებში მოხსენიებული საბუთების გადამწერი მცხეთის ქადაგი დიმიტრი და ალექსანდრე II 1476 წლით დათარიღებულ მაღალაძეებისადმი ბოძებული სიგელში მოხსენიებული დიმიტრი ერთი და იგივე პიროვნებაა. დიმიტრი ქადაგი (მაღალასძე-გაგელისშვილი, რომელიც 1443-1446 წწ. დოკუმენტებში იხსენიება), 1470 წლით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად უკვე გარდაცვლილია. ეს არის: „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი", საბუთში ვკითხულობთ: „...ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო და აქათ უკუნისა გა/ სათავებელი და გათავებული, რასა გინდა ჟამთა გამოცვალებასა და შემო/სრულობასა შიგანცა მტკიცე და საქმით გათავებული და უქცეველი და/გიწერეთ და მოგეცით ჩუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ ქართლისა კ(ათალიკო)ზმან/დავით, ბ(რძანებ)ბითა და ნებადართვითა ღ(მრ)თივ-გუ{ი}რგუინოსნისა მეფეთა-მეფისა ბაგ/რატისათა, და სრულად მცხეთიშვილთა ჩუენგან კითხვითა და დამოწმებითა, //თქუენ, მაღალასძეთა მღრდელსა მახარებელსა და თქუენთა შვილთა: გე/რმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დი-

[1] ე. ხაინდავა, მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან, 2016, ხელნ. გვ. 4.

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 29.

[3] იქვე, გვ. 50.

მიტრის, შვილთა და მომავალთა სახ/ლისა თქუენისათა ყოვე-
ლთავე. ვინათგან ადამისითგან უმდგომო ესე /სოფელი მსწ-
რაფლ წარმავალ და უხანო არის და მისსა ბეგა/რასა არა-
ვისგან დაიკლებს, და ამა ჩუელებისაებრ წესთაგან პი/რვე-
ლად **ივანიასძისა სახლი მოშლილიყო** და უნათესაოდ და
უძეოდ/გარდაევლინა და შედეგად მ{ა}თისა ქადაგისა დიმიტ-
რისთუის მიებოძა და /იგიცა უნათესაოდ დარჩა, რომელ ესე
საქმე ფრიად მძიმედ აღგუი/ჩნდა და მისთანასა სახლისა და
მცხეთიშვილისა გარდავლენა ფრიად/ეძუინებოდა სულსა ჩუე-
ნსა, და, ვინათგან შენ მცხეთას და კ(ათალიკო)ზთა მც/ირე
ყრმა აღეზარდე და თქუენი სახლი და მამული ძუელითგან
სხუა/გნითცა მცხეთისა იყო, ივანიასძეთა და ქადაგისა დი-
მიტრის შედეგად/ მათსა სახლსა და მამულსა ზედა შეგიყვა-
ნეთ და დაგსუით ივანიასძისა და ქადაგის დიმიტრის წესითა,
რიგითა და საქმითა. და მო/გეცით კავთისხხევს სასახლე ეკ-
ლესიითა და მისითა მოწყობილო/ბითა ყუელათა. კავთის-
ხხევს მისითა შესავლითა – საკოკია ჭალითა; ქუაბთა/ხხევს
– სასაფლაო მისითა ბოსტნითა და წალკოტითა, სენაკითა;
და ოჩლა/ურში - ორი კვამლი სვანიანები მამულითა ივანიას-
ძეთა ჰქონებია; /ნიაბს – რაცა ქადაგს დიმიტრის ჰქონებია,
გლეხნი და მამული; მეეტეხ/თა – ვენახხი; და ჩოჩეთს – რა-
ცა ივანიასძეთა და დიმიტრის მამული ჰქო/ნებია; და გორს –
ფუშრუკაული და დიაკონისძენი მათითა მამუ/ლითა. და სხუა,
რაც ქადაგსა დიმიტრის ჰქონებია და სამკუიდრო/დ მიცემუ-
ლი ყოფილა, არა დაგაკლოთ-რა. და ხხელი მათივე, მკუ-
იდ/რად საქონებელი ქადაგობა და სამამთავრო სამწყსო, რა-
ცა და რაგ/უარაცა ივანისძეთა ჰქონებია, მით წესითა: მცხე-
თას სენაკი, სახ/ლი და სამცხეთიშვილო გქონდეს და საქ-
მობდით.“[1] ამ დოკუმენტში მახარებელი მღვდლად იხსენიება

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თინათინ

და, როგორც ჩანს, მას ამოვარდნილი მცხეთისშვილ ივანიასძის და უმემკვიდრეოდ გადაგებული დიმიტრი ქადაგის მამულები ასევე „ჰ ჰ ელი მათივე“ გადაეცა. 1472 წელს, ოქროპირ მაღალაშვილს და მის შვილებს (დოკუმენტში მახარებელი და მისი ძმები იხსენიებიან). წყალობის წიგნი განუახლა დავით კათალიკოსმა: „ქ. თავდებობითა და შუამდგომელითა[ღმრთისათა], ჩუენ, ქრისტეს ღმრისა მიერ ქართლისა კათალიკოზმან დავით, ესე უკუნისამდე გასათავებელი და, რასაგინდავე ჟამთა-გამომოცვალებათა შ[ინა] მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ნებითა ღმთივ გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისათა და კითხვითა და ნებადართვითა ყოველთა მცხეთისშვილთათა თქუენ მცხეთისსავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქუენთა შვილთა: მღდელსა მახარებელსა, ზოსიმესა ალექსისა, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის, და ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლის{ა} თქუენისათა ყოველთავე. შეგიწყალეთ და მოგეცით შეძუ{ე}ლებით მცხეთისა მკუიდრი და მოუდევარი: კავთისხხევს ივანი[ა]სძისეული მამული და სამცხეთისშვილო წილი, რაც ერთს ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამამთავრო მითვე წესითა, როგორც ძველითგან ივანიასძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონებია; ჩოჩეთს რაც ივანი[ა]სძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზერტი, და, [რაც] ქადაგს დიმიტრის მომზღრობით [ქონებია].“[1] მახარებელ მაღალაძეს წყალობის წიგნი უბოძა ასევე ალექსანდრე I კახთა მეფემ. დოკუმენტი გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ, მან სიგელი შეცდომით 1391 წლით დაათარიღა და სიგელის გამცემად ქართლის მეფე ალექსანდრე მიიჩნია: „ქ. ჩუენ ღთივ გვირგვინოსანისა მეფეთ

ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 183.

[1] იქვე, გვ. 206.

მეფისა გიორგისა ძემან პატრონმან მეფემა ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა გიორგი და დიმიტრი ესე წიგნი და ნიშანი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენის საყდრის შვილთა ქადაგს მახარებელსა და თქუენთა შვილთა მარკოზსა და ზაქარია და დავითსა: სულ-კურთხეულს მამა-ჩვენს, მეფეთა მეფეს გიორგის, მცირე ყმა ცხეთას აღეზარდე; სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანის ძეთა საქადაგო სახლი და საჴელო უმკვიდრო ქმნილ იყო და მამას ჩუენსა და ჩუენთა გუართა და კათალიკოზთა მას ზედა ახლადა ივანის ძეთ (ივანიძის ძედ?) და ქადაგად განეჩინე და შეეყვანეთ და რაცა კავთისჴევს და მცხეთისა საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და საჴელო იყო, თქუენთის მოებოძა. აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ მით წესითა, როგორცა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა და ჩუენთა გუართა სანატრელთა მეფეთაგან განჩენილი და გარიგებული არის საღთოთა წესითა და მისითა სამართლიანითა მამულითა და საჴელოთა. გქონდეს და არავინ დაგეცილოს, არა მცხეთის შვილი, არა თქუენის გუარის კაცი, რა გვარცა არავინ ღირსა და არა სხუა ადამის ნათესავი. გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ახალსა ივანის ძესა*) ქადაგსა მახარებელსა, თქვენთა შვილთა მარკოზსა, ზაქარიას და დავითს კავთისჴეობა ივანის ძეთა ნაქონები, ჴელი და მამული და მთა *(მითა)* წესითა, ვითა ძუელითგან საყდრისა კათოლიკოზთა და მეფეთაგან განჩენილი და პატივცემული არის. ესე ასრე გაგითავდეს მცხეთისა საყდრისა და ჩუენსა საუკუნოსა ერთგულსა სამსახურსა შინა. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ`კს: ოთ: ჴელითა კარისა მწიგნობარისა ჩუენისა იოანესითა". ხვეულად: *„ალექსანდრე", „გიორგი" და „დიმიტრი"*[1] ჩვენი აზრით, დოკუმენტი ალექსანდრე I კახთა მეფის მიერ

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 192-193.

არის გაცემული. თუმცა, საინტერესოა, რომ „ქართული საბუთების კორპუსში“ გამოქვეყნებულ 1476 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, ასევე თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ამავე დოკუმენტის შემოკლებულ ვარიანტში ალექსანდრე I გიორგის ძე ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებს აძლევს წყალობის სიგელს, მცხეთიშვილ ივანიასძის მამულებს, ასევე თრიალეთს, ეძანისა, თავფარავნის მოურავობას, ქადაგობას. წყალობის განახლების იმ სიგელში, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა (როგორც აღვნიშნეთ, დოკუმენტს იგი შეცდომით 1391 წლით ათარიღებდა).[1] მახარებელი ალექსანდრე I მამას გიორგი VIII დაუსვამს ამოვარდნილი ივანიასძის ადგილზე. დოკუმენტში მითითებულია, რომ: „სულ-კურთხეულს მამა-ჩვენს, მეფეთ მეფეს გიორგის, მცირე ყმა (იგულისხმება მახარებელი – გ.ს) ცხეთას აღეზარდე“. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალექსანდრე I კახთა მეფის მიერ ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებზე, ასევე მახარებელ მაღალაძეზე ერთი და იგივე შინაარსის წყალობის სიგელია გაცემული. ამ დროს მაღალასძეთა ორი „სახლი“ არსებობდა. ერთი მათგანს მიეკუთვნებოდნენ – ოქროპირ მაღალაშვილი და მისი ძეები: მახარებელი, ზოსიმე, ალექსი, გერმანოზი, დავითი, გრიგოლი და ეგნატი. ხოლო მაღალასძეთა მეორე სახლს კი 1476 წლის სიგელში მოხსენიებული ამილბარი, დიმიტრი და გიორგი. გადაშენებული „მცხეთისშვილის“ ივანიასძის მამულების, ასევე უმემკვიდრეოდ გადაგებულ დიმიტრი ქადაგის ქონების გადანაწილებისთვის ბრძოლა სწორედ ამ ორ ოჯახს შორის იყო. მახარებელ მაღალისძეს და მის შვილებს დავით ეპისკოპოსმა 1470 წელს ბაგრატ მეფის ნებარ-

[1] თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ სიგელში იხსენიება ივანიძე, სხვა დოკუმენტებში იხსენიება ივანიასძე.

თვით: („ნებითა ღრმთივ-გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფეთისა ბაგრატისათა“) ივანიასძის მამულები და ქადაგობა უბოძა, 1472 წელს, ქართლის კათალიკოსმა დავითმა ასევე ბაგრატ მეფის ნებით განუახლა წყალობა ოქროპირ მაღალაშვილს და მის შვილებს, მათ შორის მღვდელ მახარებელს. 1476 წელს ალექსანდრე I მაღალასძეთა მეორე სახლის წარმომადგენლებს ამილბარს, დიმიტრის და გიორგი მაღალისძეებს უბოძა ამოვარდნილი „მცხეთიშვილის“ ივანიასძის მამულები. მაღალისძეებში უპირატესობა მახარებელმა მოიპოვა. „მცხეთის ქადაგი“ სწორედ მახარებელი გახდა. იგი არაერთ დოკუმენტში იხსენიება. 1471 წლის დოკუმენტის მიხედვით მღვდელი მახარებელ ოქროპირის ძე ბაგრატ მეფის სიგელის გადამწერია. 1465 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში „შეწირულობის წიგნი ვამიყ შაბურისძისა სვეტიცხოვლისადმი“ საბუთის გადამწერად იხსენიება მახარებელ ოქროპირისშვილი[1] 1477 წლის დოკუმენტში: შეწირულობის წიგნში დედაბერ ნინოსი ქვათახევისადმი“, გვხვდება საბუთის გადამწერი ქადაგი მახარებელი.[2] მცხეთის ქადაგი მახარებელი იხსენიება 1482 წლის ანდერძის წიგნში „მისრი ედილაშვილსა მღვდელ იოანე წარმეულისადმი“[3] მახარებელი რომ მცხეთის ქადაგი იყო, ჩანს 1491 წლის კონსტანტინე მეფის მიერ აღბუღა ფანიაშვილისადმი ბოძებულ წყალობის სიგელშიც.[4] მცხეთის ქადაგი მახარებელ მაღალასძე იყო ასევე კონსტანტინე მეფისაგან აბრაჰამ კათალიკოსისადმი 1492 წელს ბოძებული შეწირულობის დამტკიცების სიგელის გადამწერი.[5] მახარებლის

[1] იქვე, გვ. 146.
[2] იქვე, გვ. 224;
[3] იქვე, გვ. 257.
[4] იქვე, გვ. 288.
[5] იქვე, გვ. 295.

შემდეგ მისი შვილები ქადაგიშვილებად იწერებოდნენ. ეს დასტურდება 1492 წლის დოკუმენტით: „სააღაპე წიგნი მათე ქულივისძისა პატრონ შაჰყუბათისადმი“, სადაც იხსენიება სიგელის დამწერი გერმანე ქადაგიშვილი.[1] აღნიშნული პიროვნება და 1470 წლის დოკუმენტში მოხსენიებული მახარებელ მაღალასძის შვილი გერმანოზი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. მახარებელის შვილი იყო ასევე 1512 წლის დოკუმენტში მოხსნიებული ქვათახევის სიგელის დამწერი ეგნატე ქადაგიშვილი.[2] მახარებლის ვაჟი იყო, ჩვენი აზრით, ქადაგიშვილი მარკოზიც, რომელსაც ელენე დედოფალმა და უფლისწულმა ლეონმა (ლევან I კახთა მეფე) სოფელ კუნელში შვიდი კომლი გლეხი უბოძეს.[3] მაღალასძე-მაღალაშვილები ძველი დროიდანვე სამეფო კარის მწიგნობრები იყვნენ. XV საუკუნის 40-იან წლებში მცხეთის ქადაგი და მწიგნობარი დიმიტრი მაღალასძე იყო. იგი უძეოდ გადაეგო. მისი მამულების და სახელოს დასაკუთრებისათვის მაღალასძეთა გვარის სხვადასხვა წარმომადგენლები იბრძოდნენ. ამას თან დაერთო „მცხეთისშვილ“ ივანიასძის ოჯახის ამოვარდნა. დავით კათალიკოსისაგან და სამეფო ხელისუფლებისაგან (ქართლში მომძლავრებულ ბაგრატ იმერთა მეფისაგან).* ივანიას-

---

[1] იქვე, გვ. 297. თ. ჟორდანიას განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული შაჰყუბათი უნდა იყოს ბაყუბათ ბარათაშვილი. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 309.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 330.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 330-331. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სოფლის ნახევარი ალექსანდრე I სვეტიცხოველს შესწირა, ხოლო სოფლის ნახევარი კვლავ კახთა მეფის საკუთრება იყო. სწორედ იმ ნაწილში ებოძათ ქადაგიშვილ-მაღალასძეებს შვიდი კომლი გლეხი.

* ცნობილია, რომ ბაგრატი 1466 ქართლში გადავიდა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამას წინ უძღოდა მის მიერ გიორგი VIII დამარცხება ბაგრატთან 1453-1454 წწ.ნ. ბერძენიშვილი, საქართვე-

ძეთა მამული და ქადაგის სახელო 1470 წელს ოქროპირ მაღალასძეთა ოჯახის წევრებმა დაისაკუთრეს და ქადაგი მახარებელი გახდა, რომელიც მანამდე სამეფო კარის მწიგნობარი იყო. 1472 წელს დავით კათალიკოსმა წყალობა მახარებელ მაღალასძეს კვლავ განუახლა. 1476 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე I გახდა, რომელსაც ქართლზეც ჰქონდა პრეტენზიები მან პოლიტიკურად მომხრე ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალასძეებს ივანიასძის მამულები უბოძა. თუმცა, მახარებელ მაღალასძემ უპირატესობა მაინც შეინარჩუნა. როგორც ჩანს, იგი ალექსანდრე I კახთა მეფესაც დაუახლოვდა და ამილბარ, გიორგი და დიმიტრი მაღალასძეებისადმი უკვე ნაწყალობევი ივანიასძის მამულები კახეთის ხელისუფალმა სწორედ მახარებელს დაუმტკიცა. რასაც ადასტურებს თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული სიგელი. მცხეთის ქადაგ მა-

---

ლოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 129. ბაგრატის გამეფებას საბოლოოდ ხელი შეუწყო 1465 წელს ყვარყვარე ათაბაგთან გიორგი VIII დამარცხებამ. მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1462-1810 წწ. თბ., 1989, გვ. 18; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 740. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფეებს XVI საუკუნის დასაწყისშიც ჰქონდათ პრეტენზიები ქართლის სამეფოზე. ცნობილია, ის ფაქტი, რომ 1509 წელს იმერთა მეფემ ალექსანდრე II ქართლი დალაშქრა და გორი აიღო. იმერთა მეფეების გავლენა ქართლზე რამდენიმე წელი გაგრძელდა, ამას ადასტურებს ალექსანდრე II ძის, ბაგრატის, მიერ გაცემული სიგელი ზაქარია, ციცი და თაყა ფანასკერტელებისადმი. რომლითაც დასტურდება იმერეთის მეფის საკუთრება ქართლში არსებულ სოფლებზე. მათ შორის, რუისსა და ტინისხიდზე. იხ. იოსებ (სოსო)ალიმბარაშვილი, ქართლ-იმერეთის ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის XVI ს-ის 10-იან წლებში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2015, გვ. 636-637. XVI საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფე დავითი (1505-1525 წ.წ) ვერც კახეთის მეფის ავ-გიორგის შემოსევებს უწევდა წინააღმდეგობას, რომელმაც ქართლი რამდენჯერმე დაარბია. მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ღალასძეების სახელს უნდა უკავშირდებოდეს დღევანდელ კასპის რაიონში სოფელ საქადაგიანოს დაარსება, რომლის თავდაპირველი სახელი საქადაგო უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ სოფელში XVIII საუკუნემდე ცხოვრობდა ქადაგიშვილთა გვარი, რომელიც მაღალასძეთაგან ცალკე გვარის სახით ჩამოყალიბდა. მაღალაშვილთა გვარი სოფელ მეტეხში დამკვიდრდა. 1848 წელს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი სოფელ მეტეხში აზნაურ მაღალაშვილებს იხსენიებს.[1] XV საუკუნის ბოლოს ეს ტერიტორია კახთა მეფეებს ეკუთვნოდათ. სწორედ სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა (შესაძლოა ახლო ნათესავებმა, სხვანაირად საქადაგიანოს ტაძრის წარწერაში მოხსენიებული კვირიკე ამბა-ალავერდელი ვერ გახდებოდა) სასულიერო პირებმა კახთა მეფეების დახმარებით წმ. დემეტრეს სახელობის ტაძარი ააშენეს. საქადაგიანოში წმ. დემეტრეს ეკლესიის კედელზე ასომთავრულ საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულია მონაზონი დამიანე და მისი შვილები: დიონისე, თეოდორე და კვირიკე ამბა-ალავერდელი.[2] უფრო გვიანდელი ხანის დოკუმენტებში მაღალაძეები სახლთუხუცესის სახელოს ფლობენ, ანტონ I კათალიკოსმა 1780 წელს ამილბარ მაღალაძეს აღაიანის მოუარავობა უბოძა.[3] 1783 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ დავით მაღალაშვილი მცხეთის საკათალიკოსო ჯარის სარდალი იყო. მას სარდლობასთან ერთად ძეგვის მოურავობაც ჰქონდა ბოძებული.[4] ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუ-

---

[1] Институт Восточных Рукописей Российской Академии Наук, фонд, Н-78; дело, “Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850, 69.

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 198-199.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 933.

[4] იქვე, გვ. 945.

ჯარის მიხედვით პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის საკუთრებაში არსებული მამულებია მოხსენიებული: „ტირძნისს გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე და ფილიპაშვილნი მათითა მამულითა, ზემო მეღვრეკის ერთი მრთელი მამული საგლეხო, ცოტა მეღვრეკისი* ნასოფლარი მისითა სამართლიანითა მზღურითა, ერეთს ორი კუამლი კაცი გაბრიელაი და მისი განაყოფი, მათითა მამულითა, სოფელი ქორდი მისითა მზღურითა, ზაკუი მისითა მზღურითა, სათიხარი მისითა მზღურითა, სოფელი დისევი და მონასტერი მისითა შესავლითა და მზღურითა, ფლავს მრუვლისშვილი მისითა მონასტრითა და მამულითა, ჭინჭველიძე მისითა მამულითა, ჭარებელიძე მისითა მამულითა, ცალყუელიძე მისითა მამულითა, კულბითს სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი, და მიქლუტაური, ვირშა მისითა შესავლითა, წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძეები მათი მამულითა“[1] ამ დოკუმენტის მიხედვით პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის მამულები ასეთი სახით იყო: სოფელ ერედვში? ორი კომლი (დოკუმენტში დამახინჯებით წერია ერეთი, ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს ან ერედვი, ან მერეთი), სოფელ ტირძნისში – ოთხი კომლი, სოფელ კულბითში სამი კომლი, ეკლესიას ეკუთვნოდა სოფლები: ქორდი, ზაკვი, სათიხარი, ვირშა. XVII საუკუ-

---

* ზოგიერთ დოკუმენტში გვხვდება „პატარა მეღვრეკისი“. იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გვ. 154.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265. დოკუმენტში გაურკვევლად წერია: „წიასწყალთა“, არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო სოფელ ქორდის ერთი უბანი, ან ქორდთან ახლოს არსებული მცირე დასახლება, სადაც არჩვაძეები ცხოვრობდნენ. წიასწყალზე, რომელიც, შესაძლებელია, პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი იყო სავარაუდოდ ქსნის ერისთავთა უფლებები ვრცელდებოდა.

ნის დასაწყისში ქართლის მეფემ ლუარსაბ II პატარა ლიახ-
ვის ხეობაში არსებულ არბოს წმინდა გიორგის ტაძარს ხუ-
თი კომლი გლეხი შესწირა. თ. ჟორდანიას მოჰყავს ლუარსა-
ბის მეფის კარის მწიგნობრის-ქუმსი რევიშვილის მიერ დაწე-
რილი სიგელის შინაარსი."ქ"კს: სჟზ:მეფე ლუარსაბ სწირავს
სოფ. არბოს* ხუთ კვამლს გლეხს. ქ"კს: სჟზ. მარტის: თ.
ჟორდანია, ქრონიკები, II გვ. 437. ლუარსაბ II ხუთი კომ-
ლი გლეხის გარდა არბოს წმინდა გიორგის სახელობის ეკ-
ლესიას, არამედ ვერცხლით მოჭედილი წმ. გიორგის ხატიც
შესწირა. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი
ხალხოსანი მწერალი, „მწყემსის" კორესპონდენტი ნიკო ლო-
მოური, რომელიც არბოს მკვიდრი იყო. იგი წერს: „არის აქ-
ვე ხატი წმ. გიორგისა ვერცხლის ფურცელზე გამოხატული
ცხენზე მჯდომარე წმიდა მოწამე და ეს ხატი მიკრულია პა-
ტარა ორ მტკაველიან ფიცარზე. სახე წმ. გიორგისა და მოყ-
ვანილობა ცხენისა ვერ არიან ხელოვნურად გაკეთებულნი;
ფიცარი დაფუტურეოებული და კუთხეებ შემოცვეთილია. ეს
გარემოებანი ვგონებ ცხადად აჩვენებენ ხატის სიძველესა.
ბოლოში ამ ხატს აქვს ხუცური ასომთავრულით ვრცელი
წარწერა, რომლიდამ ამივიკითხეთ, სამწუხაროდ, მხოლოდ
შემდეგი: „ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ლუარსაბ ვახ-

---

* არბოში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აგებას XIX საუ-
კუნის II ნახევარში მოღვაწე ალ. გარსევანიშვილი თამარ მეფეს მიაწერს.
იხ. ა. გარსევანოვი, არბოს ანუ წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებისათ-
ვის, „ცისკარი", №9, 1886. პროფ. გ. ჯალაბაძემ არბოს ეკლესიაში
1946 წელს მიაკვლია XIX საუკუნის II ნახევრის დოკუმენტს, რომელ-
შიც არბოს წმინდა გიორგის ტაძრის ამგებად ასევე თამარ მეფეა მოხსე-
ნიებული. გ. სოსიაშვილი, XIX საუკუნის ერთი საბუთი არბოს წმინდა
გიორგის ტაძრის შესახებ, გორის მრავალდარგოვანი მცირე აკადემია, სა-
მეცნიერო ნაშრომთა კრებული თანამედროვე სამეცნიერო აქტუალურ საკ-
ითხებზე, 2008, გვ. 137.

ტანგის ძემან... დანარჩენი სიტყვებიც სჩანან, მაგრამ ვერცხ-ლის ფურცელი ზოგან ჩაჭყლეტილია, ზოგან გაცვეთილი და ამის გამო ძნელი გამოსარკვევნი არიან. თუ ოდესმე ან მე თვით და ან სხვის შემწეობით მოვახერხე ამოკითხვა ამ წა-რწერილისა „მწყემსის“ შუამავლობით ვაცნობებ მის შინა-არსს მკითხველ საზოგადოებას“.[1] ი. მეგრელიძის აზრით, ამ წარწერის სრული და უფრო ზუსტი ვარიანტ მარი ბროსემ შემოგვინახა. თუმცა წარწერა, რომელიც ბროსემ ამოიკითხა ხატზე, სრულიად განსხვავდება ნ. ლომოურის მიერ წაკით-ხული წარწერისგან: „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსნის მეფედ მე-ფისა და მოწამისა ლუარსაბის ძემან ლევან გამოვაჭედვინე ხატი ესე, სალოცველად და მოსახსენებლად სულისა ჩემისა და ძმისა სადღეგრძელოდ.[2] როგორც ერთ-ერთ ნაშრომშიც მივითითებდით, ან ნ. ლომოურმა ამოიკითხა არასწორად წმი-და გიორგის ხატზე არსებული წარწერა (ვინაიდან ბროსეს, უფრო სწორად კი მის კონსულტანტს დიმიტრი მეღვინეთხუ-ცესიშვილს ნ. ლომოურზე ადრე ჰქონდა ეს ხატი ნანახი), ან ი. მეგრელიძე აიგივებს ამ წარწერებს არასწორად და საქმე გვაქვს ორ განსხვავებული წარწერის მქონე ხატთან.[3] 1559

---

[1] ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბ., 2002, გვ. 139.

[2] M. Brosset, Rapports sur un voyage arxeologique dans la Georgie et dans l Armenie II, St-Pet., 1851, p. 64; ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[3] იხ. გ. სოსიაშვილი, არბოს წმინდა გიორგის ხატის ისტორიიდან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეო-ლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო შრომების კრებუ-ლი, №4, 2013, გვ. 46-58. მოგვიანებით არბოს წმინდა გიორგის ტაძარს ბარძიმ-ფეშხუმი შესწირა ერეკლე II. „ქ. ჩვენ, საქართველოს მეფემ ირა-კლი მეორემ შემოგწირეთ შენ, ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმ-კამარა ჩვენი სულისა და ხორცის მტერზე გა-

წელს, სიმონ I სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელი განუ-
ახლა. დოკუმენტში ჩამოთვლილია პატარა ლიახვის ხეობაში
არსებული მცხეთის კუთვნილი მამულებიც, მათ შორის, ვირ-
შა: მისითა შესავლითა წიას-წყლითა ერისთვისგან შეწირუ-
ლი...“[1] 1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის
წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა სო-
ფელ ყურისუბნის სანაცვლოდ ვახტანგ ბატონიშვილს რამდე-
ნიმე სოფელი გადასცა, მათ შორის, ვირშაც. დოკუმენტში
ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, კითხვი-
თა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სუიმეონი-
სითა და დედოფლისა პატრონისა ნესტანდარეჯანისითა ჩუენ,
ქართლის კათალიკოზ-პატრიაქმან ნიკოლაოზ და ყოველთავე
მცხეთისშვილთა მოგახსენეთ და მოგეცით თქუენ, პატრონი-
შვილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცვლოდ: მონას-
ტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რარიგადცა სუ-
ეტიცხოველს შემოსწირვია; წიასწყალს არჩვაძეები ერისთავ-
სა რომ შემოუწირავს, მითვე წესითა; ერეთს გილაშვილი მი-
სითა მამულითა; ზაკუი მისითა მზღურითა; სათიხხარი მისი-
თა სამართლიანითა მზღურითა; ქორდს, რაც სუეტის ცხოვ-
ლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ტ[ი]რძნის[ს] რაც
სუეტის ცხოვლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ცოტა
მელურეკისი მისითა სამართლიანითა; მელურეკის ვენახხი და
სხვა, რაც საჩუენო იყო; ახალდაბას ფალავანდიშვილის შე-
მოწირული საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, მისითა
სამართლიანითა; ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი
რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია; ესე მოგუიბარებია და

სამარჯვებლად. მისხვალი რვა, ქ-ნსა უოვ“. (1786) ი. მეგრელიძე, სიძვე-
ლეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 21.

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 401.

დაგუინებებია ყურისუბნის სანაცვლოდ.“[1*] როგორც ამ დოკუ-მენტიდან ჩანს, ვირშას სახელით არსებობდა როგორც მონას-ტერი, ისე სოფელი. ვირშას მონასტერს თვითონაც გააჩნდა თავისი მამულები. მათ შორის, სოფელ ყელქცეულში „შეწი-რულნი მიწანი“. პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, საპატრიარქომ სამეფო კარისაგან რამ-დენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბა-ნი ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა და სანაცვლოდ სვეტიც-ხოვლის მამულები უკან დაიბრუნა. 1595 წლით დათარიღე-ბულ დოკუმენტში: „წიგნი დომენტი კათალიკოზისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი სოფელ ქორდის სვეტიცხოველისადმი დანებების შესახებ“ ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს თქუე-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 277-278.

[*] აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი ოდნავ განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას. საბუთს თან ახლავს მკვლევრის მი-ნაწერი: 1574 წ. ნუსხა მცხეთისა № :მ სვიმონ მეფე სწერს: „...მონასტე-რი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სვეტი-ცხოველს შემოსწირვია წასწყალს(?) (***სავარაუდოდ, უნდა ეწეროს წიას-წყალს, აღ-ნიშნული ტოპონიმი, როგორც ვნახეთ, იხსენიება 1559 წლის დოკუმენტ-ში).*** არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა, ერეთს გ-ლაშქლი(sic) (უნდა ეწეროს გილაშვილი-გ.ს) მისითა მამულითა, ზაკვ მი-სითა ზღურითა, სათახი...(უნდა ეწეროს სათიხარი-გ.ს) ქორდს... ხომატე, ღუკერისი. „მელუკერის ვენახი... ახალდაბას... საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, ყელქცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვნებებია ყურის უბანის სანაცვლოდ.. ქ–კ:სიბ:თუესა მარტსა:იდ: „თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 415. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენ-ტი უნდა წარმოადგენდეს პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ზე-მოთ დამოწმებული ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის იმ სიგელის ასლს. რომელიც მან ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა და სვეტიცხოვლის მამუ-ლების სანაცვლოდ ყურისუბანი გამოართვა. თ. ჟორდანიამ, ჩვენი აზრით, ამ დოკუმენტის დაზიანებული ასლი ამოიკითხა და სიგელი სიმონ I მი-აწერა.

ნის ძმის მეფის პატრონის სუიმეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ კურთხეულს კათალიკოზს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და **რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო**, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა; ამისთვის, ვითა ყურისუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგხდომოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოველმა იპრიანა. აწე თქუენივე ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ."[1] როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამულები ძველი დროიდანვე ეკლესიის საკუთრებაში იყო, ამიტომ პატრიარქმა ყურუსიბანს კვლავ ძველი მამულები არჩია. XVII საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოველს ეკუთვნოდა სოფლები: გერი, გერისთავი და არბო. როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ეს სოფლები უწინ არაგვის ერისთავთა საკუთრება ყოფილა, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლებას სვეტიცხოვლისთვის გადაუცია. აღნიშნული სოფლები ნუგზარ არაგვის ერისთავმა უკან დაიბრუნა და სანაცვლოდ ეკლესიას ქორდში მცხოვრები თავისი ყმები გადასცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1617 წ. ქ.˜კს:ტე: ქ. ესე წიგნი მოგახსენე... სუეტსა ცხოველსა... მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ-იმ).. ასრე, რომ ჩუენი სამკვდრო გერი და გერისთავი სუეტიცხოვლისათვის შეწირა (შეეწირა) მეფეთა. კიდევ არბო, სგენასმანი (სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვუიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა (და სხვ.)"[2] XVII საუკუნის I ნახევარში ქართლის კათალიკოსმა ზებედემ დავით ელიოზისძეს პატარა

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 348.
[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 441-442.

ლიახვის ხეობაში არსებულ სოფლებში: ერედვსა და სათიხარში რამდენიმე კომლი გლეხი უწყალობა. 1610 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...კათალიკოზმა, პატრონმა ზებედე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ კითხვითა და ნებადართულობითა ღმრთივ-გვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა ლუარსაბისათა, მოგეცით და გიბოძეთ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ჯვარისმტვირთველსა ელიოზისძეთა გედეონის შვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს, ძმათა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე. და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ერედვს გილაშვილი გიორგი, დათუა, მისის მამულითა ყოვლითურთ უნაკლულოდ, მთითა, ბარითა, კარითა, ქვევრით, მარნითა ყოვლით უნაკლულოდ. კიდევე მოგიბოძეთ სათიხხარი მისის მთითა, ბარითა ველითა, ვენახხითა, წყლითა, წისქვილითა, შესათიბითა ყოვლითურთ უნაკლულოდ; საღირაშვილი დათუა, პაპუა, ლომაური დათუა, კიდევ ლომაური ბერუა, ჯერკვალაშვილი ვეფხი და მახა, ჭარებლისაძე მაღრიბა მისითა მამულითა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა საყდრისა და ჩვენსა ერდგულად ნამსახურსა შიგა შენ ჯვარისმტვირთველსა დავითს და როსებს, ქაიხოსროს.“[1] როგორც ზემოთ მივუთითებდით, ჯვარისმტვირთველობას, ისევე როგორც სხვა თანამდებობებს (ქადაგი, მოურავი, სარდალი და სხვ.), „მცხეთიშვილები“ ფლობდნენ. ელიოზიძე-გედევანიშვილები სწორედ ამ პრივილეგიით სარგებლობდნენ და ეკლესიის სამსახურში იდგნენ. დოკუმენტში ნახსენებ სოფელ სათიხარში, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობს, მამულებს გედევანიშვილები XVIII საუკუნის I ნახევარშიც ფლობდნენ. 1728 წლის ერთი დოკუმენტის თანახმად, ქაიხოსრო გედევანიშვილმა თავის ბიძას

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 390.

გედევან გედევანიშვილს სათიხარში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხი მიჰყიდა.[1]

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 225, №322. გედევანიშვილებს რომ კათალიკოსი დიდად სწყალობდა, არაერთი დოკუმენტიდან ჩანს. ისინი, როგორც „მცხეთიშვილები", მცხეთის სარდლებიც იყვნენ. 1738 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ პაატა გედევანიშვილი დომენტი კათალიკოსს კონსტანტინოპოლში თან ახლდა, მათ ორ წელზე მეტი ტყვეობაში დაჰყვეს. ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, „საისტორიო ძიებანი", XII, 2013-2014, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, თბ., 2015, გვ. 29; ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 190, №244. სწორედ ამ თავდადების გამო გაიღო წყალობა დომენტიმ: „გიბოძეთ შენ გედევანისძე გიორგი--სარდლისშვილს პაატას, ძმათა შენთა ზაალსა და გაბრიელსა და ძმისწულსა თქვენსა გიორგისა... გიბოძეთ სომხითს თამრგვალისა და ველკეთილისა და დისვლისა-ამ სამისავე ნაცვლობა და მეღალობა. სხუა შენი ბიძაშვილი, ზაალის შვილი დემეტრე ამოწყვეტილიყო, იმასაც დამ ის ჯალაბსაც შენთვის ანდერძი ექნათ, თავიანთი საკერძო ყოველიფერი და ჩვენც შემოგვეხვეწენით და გიბოძეთ წეროვნის მოურაობა, მისი წილი ჯვარის მტვირთველობა და ყოველი ალაგი და მამული მისი სასახლე შესავალ-გასავლითა..." თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 157. აღსანიშნავია, რომ მოლარეთუხუცესისა და მცხეთის სარდლის პაატა გედევანიშვილის ძე იყო შემდგომში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე მროველი მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, რომელმაც წმინდა მიწაზე იმოგზაურა. დარეჯან დედოფლის მიერ შედგენილ ერთ-ერთი დოკუმენტიდან, რომელიც 1806 წლით არის დათარიღებული და პეტერბურგშია დაწერილი, ირკვევა, რომ გედევანიშვილების, როგორც წარჩინებულთა გვარი, არ იყო შეტანილი „არტიკულში", იმის გამო რომ ერეკლე II იონა გედევანიშვილს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა: „1806, იანვარს 8 ყდ სამღუდელო მოტროპოლიტო, უფალო იონავ! თქუჷნი წიგნი მოგვივიდა, რომელშიც გეთხოვნათ ჩუჷნგან მოწმობა მამის თქუჷნის გედეონისშვილის მოლარეთ-ხუცის პაატასი და თქუჷნის ძმის გედეონისშვილის გიორგის კნიაზობისა; და მე ამით ჭეშმარიტებით მცნობილი ვარ; როდესაც

1616 წელს ქორდში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხი საპატრიარქოს ქსნის ერისთავებმა შესწირეს: „...და მოგახსენეთ ქორდს კაცი[კუა]მლი ექვს[ი]: არჩვაძე შოში[ტა, ბე]რიკასშვილი ნინია, ხხევსური საგინა, მუჭაური გამიხარდ[ი] და ჩუბინასშვილი ფრიდონა და გივ[ი]სშვილის მამული.“[1] როგორც ზემოთ მივუთითებდით, 1559 წლის საკათალიკოსო გუჯარის თანახმად ქსნის ერისთავებს ქორდთან ახლოს, წიასწყალს, მცხოვრები არჩვაძეები ეკლესიისთვის შეუწირავთ. როგორც ჩანს, ერისთავებმა, რომელთა საკუთრებას წარმოადგენდა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები,[2] ქორდზეც გარკვეული უფლებები მოიპოვეს. კათალიკოსმა ზაქარიამ ერისთავების მიერ ბოძებული ყმებიდან რამდენიმე კომლი გედევანიშვილებს უწყალობა. 1616 წლის მამულის წყალობის წიგნში, რომელიც ზაქარია კათალიკოსის მიერ გედევანიშვილებს ებოძათ ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღ[უ]თისა მიერ კურთხეულმან ქართლისა

კურთხეული კათალიკოზი რუსეთში გამოისტუმრეს, მაშინ მოლარეთ-ხუცესი გედეონისშვილი პაატა სანატრელთ მეფეთაგან [ნ] იყო კნიაზად გამოცხადებული; და კულად მეორედ კათალიკოზი რომ გამოისტუმრა სანატრელმან მეფემან ჩუწნმან, მაშინ კიდევ თქუწნი ძმა გედეონისშვილი გიორგი კნიაზად იყო გამოცხადებული. და როდესაც არტიკულები დაიწერა, იმ დროს რომლისამე მიზეზით კურთხეული და ნეტარად სახსოვარი ჩუწნი მეფე უწყრებოდა თქუწნს სახელსა და ამ მიზეზისათჳის დარჩა დაუწერლად კნიაზად გედეონისშვილი არტიკულში. სხუწბრ გთხოვთ თქუწნის ვითარების ცნობით დაუვიწყებელ-მყოთ, რომლისთჳსაცა ფრიად მმადლობელად დავშთები. თქუცნი ყდ უსამღვდელოესობისა სამსახურის მოსურნე საქართველოს დედოფალი დარია [დფალი] [დარეჯან]იანვრის წ დღესა.“ საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 282, №239.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 482-483.

[2] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 68.

კათალიკოზმან პატრო[ნმან ზ[აქ]არია, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ, გედევანისშვილთა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოხუედით კარსა დარბაზისა ჩუენისათა და მამულის წყალობის გუეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ქორდს მამული კუამლი კაცი ათი: ირემა ბექნიაშვილი, გამეხარდი... უჭაური, შალ(ულაძე?)დათი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე გიორგი, არღუნაშვილი გიორგი, აფხაზაშვილი ნადირა, ხევსური საგინა... (შვილი) ჩუბინაშვილი ფრიდონა, გუიბოძებია მკუიდრად და მოუშლელად.“[1] ამ დოკუმენტს 1616 წლით (თუმცა საბუთს კითხვის ნიშანი აქვს)ათარიღებდა ნ. ბერძენიშვილი. იგივე დოკუმენტი გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილი რომელიც აღნიშნულ საბუთს 1626 წელს შედგენილად მიიჩნევდა.[2] ამავე დოკუმენტს 1626 წლით ათარიღებდა პროფ. ი. დოლიძე,[3] ქსნის ერისთავებმა მოგვიანებით კიდევ უწყალობეს სვეტიცხოველს ქორდში არსებული მამული. 1766 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ეჰა შენ ყოველთა ქრისტიანეთა სიქადულო და საქართველოთა ერთა განმანათლებო, სვეტო ღთივ აღმრთებულო, კვართო საუფლო და მირონო ღთ მყოფელო, რომელი კურნებ სულთა და სხეულაღნაგთა კაცთასა, ჩვენ შენ მიერ ცვა ფარვათა მონდობილმან და მსასოებელმან, ქსნის ერისთავმან პატრონმან დავით, და ძმამან ჩვენმამ იოვანმან და იესემან, ბიძაშვილმან ჩვენმან გიორგი ყულარაღასმან, და ძეთა ჩვენთ შალვმ, როსტომ დ ბი-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 16, №18.

[2] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, გვ. 251, №209.

[3] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 393.

ძანამ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ და გიძღვნისმრთმეველთ თქვბენ ცათა მობაძავსა კათოლიკე ეკლესიასა, სვეტსა ცხოველსა და მას ზედა მჯდომარესა **ყდ** სანატრელს უწმიდეს **ვ**ზ-პატრიარქს (სიც), მეფის ძეს ანტონის, ასე რომე სურვილითა და ჩვენის ნებადართვით ძველადვე მამა-პაპათა ჩვენთაგანაც შეწირულობა იყო და სხვა სოფელნი და აგარაკანი და ჩვენც აწე ესე ვინებეთ და შემოგწირეთ იქავე თქვენს სოფელს **ქორდს** ჩვენისავ კაცის ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები, ჩვენ ესენი სხვათა სამოქფოთი შევიჯერეთ და სამკვიდროთ და საბოლოთ შემოგწირეთ და მოგახსენეთ, რომ არს დროსა და ჟამსა არცა ჩვენ და ჩვენი შვილნი და შვილის შვილნი და ნათესავნი არავინ გეცილებოდესთ და, თუ ვინმე ამისად ცილებად ხელყოს ვინმე, შერისხდი შ˜ნ დაუსაბამო **ღ**თო და ყოველნო მისნო წმიდანო და შ˜ნცა, ცათა მობაძო საქართვერლოს განმანათლებელნო სვეტო ცხოველო, და ნურართამცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი **ღ**თნ აკურთხოს. აღიწერა ქრისტესიოგან წელსა **ჩღ**ი**ვ,** ხოლო ქართულს ქორონიკონს უნდ. დაიწერა ხელითა მდივნისა ჩვენის ქარელი თამაზისითა“[1] ინტერესს იწვევს დოკუმენტში ნახსენები „ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები“. სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ ქორდში არსებულ მამულებს პატარა ლიახვის ზემო წელზე არსებულ მცირემიწიან სოფლებში მცხოვრები გლეხები ყიდულობდნენ. ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქორდში ბელოთელ გლეხებს ბერი ჩიფჩიურსა და გიორგი ფისაძეს ჰქონდათ ნაყიდი ვენახები, რომლებსაც გედევანიშვილები ედავებოდნენ.[2] პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 274, №, 224.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ ტ. V, თბ., 1974, გვ. 220.

არსებული სოფლებიდან გლეხთა ბარში ჩამოსახლების ფაქ-ტები არაერთ დოკუმენტში გვხვდება. XVIII საუკუნის II ნა-ხევრის ლიახვის ხეობის აღწერის დავთრების მიხედვით სო-ფელ ფლავში იხსენიება: საური ოთარა საცხენელი, საცხენე-ლი ტატიაშვილი ქრისტესია, ფლავში იხსენიება ასევე აწე-რისხეველი ტატალაშვილი ქრისტესია.[1] 1678 წელს გედევა-ნიშვილებს კათალიკოსმა ნიკოლოზმა (ამილახორი) ვირშას წყალი, ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლა-რი ბადანი უწყალობა: „ქკ˜ნს :ტნივ... ჩუენ... ყოვლისა: სა-ქართველოსა: დიდმან: მამათ მთავარმან ქართლისა კათალი-კოზმან: ამილახორის(იოთამის)ძემან: პატრონმან ნიკოლოზ: ესე... წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ სვეტიცხოვლისა და ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ელიო-ზის ძეთა გედევანის შვილის გიორგის, ძმასა შენსა დავითს, როსებს, ზაალს, და გედევანს... ვირშას წყალი მთავარანგე-ლოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი საყმოთ დაგვეა-ჯენით და გიბოძეთ... დაიწერა მარტსა ოც˜და რვასა ქ˜კსა: ტნივ.“[2] ქორდში ელიოზიძე-გედევანიშვილებს კათალიკოსმა ევდემონმა 1638 წელს წყალობა განუახლა: „პირველადცა გქონებოდა და წიგნიცა გქონდა. აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ელიოზიძეთა გედეონის შვილთა დავითს, გაბ-რიელს, პეტრეს, პაპუნასა და ქაიხოსროს და ყოველთავე მო-მავალთა სახლისა თქუენისათა. მოგეცით ქორდს მამული, აფხაზაშვილის ნაქონი მოზუერაული მამული... ვენახხი ბექ-ნიაშვილის ნაქონი; ამას წინად ეს მამული ბადაშვილს შოში-ტას მივეცით და წიგნიცა ჰქონდა. აწე იმ ჩუენს წყალობას

[1] ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლე-ბის აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 97-99.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ. 493-494.

მამულსა სხუაგან ჰყიდდა. და რაც შოშიტამა ჩუენ ფეშქაში მოგვიტანა, ეს ფეშქაშის ფასი ისრევე მიგაცემინეთ და მამულის წყალობა თქვენ გიყავით.“[1] 1652 წლის დოკუმენტის მიხედვით ქორდი კვლავ სვეტიცხოვლის კუთვნილებას წარმოადგენს და ის როსტომ მეფისაგან კათალიკოსის დაქმემდებარებაში მყოფ „მცხეთიშვილებს“ – გედევანიშვილებს აქვთ გადაცემული: „ვითარმედ წილხვდომილ ვიქმნენით ჩვენ ქართველნი დედოფლისა მის ღთი მშობლისა. ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატონიანმან, შანშა და შირვანშა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელთამან, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ და პირმშომან და სასურველ-საწადელთა ძეთ ჩვენთა, პატრონმან ლუარსაბ, და ძეთა ჩვენთა თანა მეცხედრემან პატრონმან თამარ, და ძემან მათმან პატრონმან გიორგი, შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი ქორდი თქვენ სვეტ-ცხოველსა, კვართსა საუფლოსა და მირონსა ღთ˜მყოფელსა, კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა, მას ჟამსა ოდეს ჩვენთა მამა-პაპათა

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 495-496. ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში მოხსენიებული „მოზუერაული მამული“, სოფელ ქორდში „მოზუერაული“, როგორც ტოპონიმი, შემორჩენილი არ არის. არ არის გამორიცხული, რომ „მოზუერაული“ საკუთარ სახელს, ან მეტსახელს - მოზუერას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებული იყო ასეთი ტიპის საკუთარი სახელები. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს: „კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის ვაჩინაძეს სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წინათ ვაჩინა ქართულში მამაკაცის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ტოტემურობის ნიადაგზე იყო გაზრდილი, დათვას, კურდღელას და ქურციკას მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო“. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1992, გვ. 179.

ლიახვის პირს სოფელი ქორდი შემოეწირა, ყოვლის კაცისა-
გან მოუდევარ-მოუსარჩლელ, მთით ბარამდი, ასრე რომე ძვე-
ლათგანცა შემოგწირვოდა თქვენ სვეტსა ღთივ აღმართებულ-
სა, კვართსა საუფლოსა და მირონსა ღთ მყოფელსა და მას
შინა საჭეთ მპყრობელსა პატრიაქსა კათალიკოზსა პატრონსა
ქრისტეფორეს, ასრე რომე ჩვენის ნება დართულობითა და
ბრძანებითა დიასამიძეს კათალიკოზს გედაონისშვილის გაბრი-
ელისა და მისთა ძმისწულთა პაპუნასათვის და ქაიხოსროსა-
თვის და შვილთა და მომავალთათვი ებოძებინა, ამად რომე
მათის საქონლითადა საფასოთა გრაჯალი ეყიდათ, და ჩვენი-
სავე ბრძანებით ეს ჩვენის სასაფლაოს შეწირული სოფელი
ქორდი მისდა სანაცვლოდ კათალიკოზს ებოძებინა. აწე ავისა
და ცუდის კაცისაგან სხვარიგად გაგჯესინჯვა, რომე ხუთი-
ექვსი კვამლი შეწირული არ არისო და ტყჯილათ უჭირავსო,
და ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და ვჰქენით მო-
კითხული და ბატონის პაპის ჩვენისა და ბატონის ბიძის ჩვე-
ნის შეწირულობის წიგნიც გინახეთ და ჩვენცა ჩვენათ სად-
ღეგრძელოთ და მეფობისა ჩვენისა წარსამარტებლად, და სუ-
ლისა ჩვენისა საოხად, და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ,
ჩვენცა ჭელახლად კადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ
თქუენ ცათა მობაძავს სვეტსა ცხოველსა და მაზედან საჭეთ
მპყრობელს კათალიკოზსა სოფელი ქორდი ერთობით, ასრე
რომე ბადაშვილებს გარდაის ისრევე ჭელშეუალათ და
ყოვლის კაცისაგან უცილებლათ დაგიმკვიდრენ ჩვენგან შემო-
წირული [1]) საყდრის შემოწირული ქორდი და გიბოძეთ თქუ-
ენ ჩვენის სასაფლაოს ჯარის უფროსს გედაონისშვილს ბა-
ტონს გაბრიელსა და ძმისწულსა შენსა პაპუნასა და ქაიხოს-
როს და შვილთა მათთა გიორგის და დავითს და მომავალთა
სახლისა შენისათა, და გიბოძეთ სოფელი ქორდი ყოვლის მი-
სის სამართიანითა მზღურითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წის-

ქვილითა, ველითა, ვენაჭითა, ჭალითა, საწყლისპიროთა, სათიბითა და უთიბრითა, ქვევრ-მარნითა, სასახლითა და ეკლესიითა და ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა: ზემოთ დიცურს რუმდი, იმას ჩამოსწორ ქვაჯირას ფონამდი, ისრე ჩატანებით ტრძნისას რუმდი, თერგუისის სამძურამდი, კიდევ მოკარგულს რუს აქეთ ჩამოტანებით ჭალითა, ველითა და წყლითა, ესე ყოვლითურთ შეგვიწირავს და შენთვი სამკვიდროთ და საბოლოოთ გვიბოძებია საფიცარითა, საწყვეტის წყლითა და ჭალითა. აწე გაგითაოს და გიბედნიეროს ღთ˜ჩვენსა და საყდრისა ერთგულად სამსახურსა შინა.[1] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ქორდი სვეტიცხოვლისათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაგან ძველი დროიდანვე იყო გადაცემული და როსტომმა ის ეკლესიის სამსახურში მყოფ გედევანიშვილებს უწყალობა. როგორც ჩანს, გედევანიშვილებს ქორდი აქ მცხოვრები ბადაშვილების გარდა გაეცათ. შესაძლებელია, ბადაშვილები, როგორც ვირშას მონასტრის საგანძურის მცველები ამ მონასტრის ყმებად რჩებოდნენ. 1694 წელს კათალიკოსმა ნიკოლოზმა მცხეთის ჯარის სარდალს გიორგი გედევანისშვილს ქორდში ბადასშვილის ბახუტას მამული და გლეხი ჯალაბაძე „თვისის უნაკლულოს მამულითა“ უბოძა. ირკვევა, რომ ბახუტა ბადასშვილი ეკლესიის ყმა იყო, თუმცა იგი „ბევრის კაცის კვლ[ა]სა და ტყვის გასყიდვაში გ[ა]ერივა და გათათრდა“.[2] პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის მამულების არსებობა დასტურდება 1720 წლის დოკუმენტითაც. ეს არის სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხა ვახტანგ VI ოქმით, სადაც ვკითხულობთ: „ქ. არის სვეტის - ცხოვლისა და ბატონის კათალიკოზის ყმა თრიალეთზედ. ქ.საბროწლეთს კომლი ხუთი, ბო-

[1] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 337, № 281.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604.

განო ორი. ქ. ერედვს სამი. ქ. ქვაბთ (?) სამი.ქ. მეღვრეკს თაწმინდისა თორმეტი. ქ. ტრძნის სამი.* ქ. რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვონოს, ბოგანომ ფარკმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს. რაც სახლში საბატიოს კაციშვილი და აზნაურშვილია, ვერ დაგვაკლდება. ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოიღოს...“[1] როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისთვის ეკლესიის დაქვემდებარებაში პატარა ლიახვის ხეობაში 31 კომლი გლეხი და 2 კომლი აზნაური ყოფილა. ყველაზე მეტი საეკლესიო გლეხი ცხოვრობდა ქორდში. აღნიშნულ სოფელში ეკლესია ფლობდა 2 კომლ აზნაურსაც, რომელთა ვინაობა არ წერია, თუმცა, ჩვენი აზრით, ისინი გედევანიშვილები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ დროისთვის ისინი ქორდში უკვე სახლობდნენ.** 1736-1744 წ.წ. ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთრის მიხედვით კათალიკოსს პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ დისევში მცხოვრები გლეხი ეკუთვნოდა: „ქ. არის დისევს გლეხი(ამ ადგილზე როგორც პროფ ი. დოლიძესაც აქვს მითითებული ცარიელი ადგილია დატოვილი ტექსტისათვის), ქ. არის მეღვრევის (სავარაუდოდ, უნდა ეწერეოს მეღვრეკისი – გ.ს.)

---

* აღსანიშნავია, რომ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ტირძნისში სვეტიცხოვლის მეტოქი ტაძარი არსებობდა, რომელივ XX საუკუნის 20-წლებამდე მოქმედი იყო. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20-წლებში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 79. ქ. ქორდას თექვსმეტი, აზნაური ორი. ქ. თრგვის ექვსი. *დოკუმენტში უნდა ეწეროს თერგვისი, აღნიშნული სოფელი მდებარეობს სოფელ დიცის სამხრეთით, ქორდის სამხრეთ-დასავლეთით.

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 184.

** დოკუმენტში ქორდის ნაცვლად წერია „ქორდა“.

[აბაზი] ე გლეხი: მამასახლისი მაისურაძე ოთია, კომლი ა, თავი ბ, ფური ა, [აბაზი] დ ქ. ჯანჯალაშვილი ქიტესა, კომლი ა, თავი ა, ფურკამბეჩი ა, [აბაზი[დ ქ. ილარიონის ბერი, კომლი ა, თავი ბ, ფურკამბეჩი ა, [აბაზი] დ ქ. მაისურაძე ივანე, კომლი ა, თავი ა."[1] როგორც ზემოთაც მივუთითებდით, გედევანიშვილები, როგორც „მცხეთიშვილები" საუკუნეების განმავლობაში „მცხეთის სარდლები" იყვნენ. XVII-XVIII საუკუნეებში დოკუმენტების მიხედვით გედევანიშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი „მცხეთის სარდალი", მათ შორის: გიორგი, ზაზა, გაბრიელ, შიოშ და იოანე გედევანიშვილები.[2] „მცხეთის სარდლებს" საკათალიკოსო ჯარის ხელმძღვანელობა ევალებოდათ.[3] ეკლესიის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის მათ პატარა ლიახვის ხეობაში (ქორდში, სათიხარში) ქართლის კათალიკოსის მიერ მამულები ჰქონდათ გადაცემული. გედევანიშვილები იყვნენ ასევე კათალიკოსის მოურავები. 1747 წელს, კათალიკოსმა ანტონ I გედევანიშვილებს* დისევის მოურავობა უბოძა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩუენ, ქრისტეს ღმთისა მიერ მინდობითა დაფარულმან ძირმოდგმობით დავითიან, სოლომონიან, შარავანდიან, პანკრატოვანთა რტოთაგან აღმოცენებულმან, ჩუენ, ყო-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 778-780.

[2] იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ, 76-77; ი. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 139.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 418-419; ა. კლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 109-110.

* დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, რომელ გედევანიშვილზეა საუბარი, ჩამოთვლილია გედევანიშვილთა სახლის რამდენიმე წევრი.

ვლის საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა ყმათა და ჩუენსა მემკვიდრეს და ერთგულობით და თავდადებით ნამსახურთ გედევანიშვილს პეტრეს, ერასტის ძმისწულსა შენსა გიორგის, გედევანს და ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასე, რომე მაღალაშვილს ფირანს თავისი ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზ კათალიკოზს იმისთვის ყმა და მამული წაერთმია საუკუნოდ. მერეთ მოხვედით ჩვენს კარს და წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოჭჭსენება თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლელად. რაც სიგელი ამას იქით გამოჩნდეს, ამა სიგელმა გაამტყუნოს.“[1].* დისევი პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომლის ახლოს სოფელ კულბითთან საკათალიკოსოს ჯერ კიდევ XI საუკუნიდან ჰქონდა ურთიერთობა. 1020 წლით დათარიღებულ მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში, სადაც სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულებია ჩამოთვლილი, აღნიშნულია: „ყინცუისი შესავალითა მისითა და შინდებისა ნახევარი; კურ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 795.

* დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეებში ზემოთ ნახსენები დავით აღმაშენებლის შეწირულობის სიგელის გარდა არსებობდა გადმოცემაც, რომ სოფელი დისევი მათი საკუთრება იყო, ამიტომ დისევის მოურავად კათალიკოსის მიერ გედევანიშვილიბის დანიშნვას მათი უკმაყოფილება გამოუწვევია. ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქემიღუმენი ისიდორე(ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 12.

ბითს: რა: აზნაური, კარგი სოფელი ერთი“...[1] კათალიკოს მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლისადმი კულბითის შეწირვას ადასტურებს „მატიანე ქართლისა“. „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; და შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი.“[2] როგორც ზემოთაც მივუთითებდით, დისევში მცხოვრებ სასულიერო პირს ალ. ოქროპირიძეს პროფ. ი. მეგრელიძისთვის გადაუცია სიგელი, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელს სოფელი დისევი და იქ მცხოვრები ოქროპირიძეები, ასევე მალიაძენი სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს. 1764 წლით დათარიღებულ სიგელში, ანტონ I კათალიკოსი საუბრობს მოლარეთუხუცესისა და ნაზირის პაატა გედევანიშვილის დამსახურებაზე. როგორც სიგელიდან ჩანს, პაატა გედევანიშვილი კათალიკოს დომენტის გაზრდილი იყო და პატრიარქს ის კონსტანტინოპოლშიც თან ახლდა. პაატა ანტონ I ძალზე დაახლოებული იყო. როგორც ჩანს, ანტონ I პაატა რუსეთშიც გაჰყოლია. ანტონ I სიგელის მიხედვით, ვიდრე პაატა გედევანიშვილი ცოცხალი იყო, მოლარეთუხუცესობა და ნაზირობა მას უნდა ჰქონოდა, ხოლო პაატას გარდაცვალების შემდეგ კი შიოშ გედევანიშვილს უნდა გადასცემოდა.[3] კათალიკოსი ანატონ I გედევანიშვილებს დიდად სწყალობდა, 1764 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ მან პეტრე გედევანი-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 33.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 295.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 857.

შვილს მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა.[1] მოგვიანებით გედევანი-შვილებს, კერძოდ გაბრიელ სარდლის შვილებს ურთიერთობა დაეძაბათ ერეკლეს II, რის გამოც მათ მცხეთის სარდლობა დაკარგეს. 1783 წლის დოკუმენტში ანტონ I კათალიკოსი იოანე გედეონისშვილს მიმართავს: „შენის სახლისკაცებს – გაბრიელ სარდლის შვილებს მისი უმაღლესობა (იგულისხმება ერეკლე II – გ. ს)გაუწყრა, მაშინ სარდლობა მაღალას-შვილს დავითს უბოძეთ მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ძმამა და ჩვენა“. ანტონმა გედევანიშვილებს კვლავ დაუბრუნა სარდლობა: „და მოგეცით სარდლობა, ამ მიზეზით, რომ უფრო მართებული და ჯეროვანი საქმე იყო, რომ შენ გქონოდა, რადგან თქვენის სახლისა, დია, სამკვიდრო სახხელო იყო და არას დროს თქვენის სახლიდამ არც გამოსულიყო ეს სახხელო. ეგრეთვე ძეგვის მოურაობა როგორც სარდლობაზე სდები[ა], ისიც შენთვის გვიბოძებია“.[2] მოგვიანებით ანტონ II კათალიკოსმა სარდალ იოანე გედევანიშვილს დისევის მოურავობა განუახლა. 1789 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ კათედრისა ჩუენისა კათოლიკე ეკლესიისა სუეტის წმიდისა მკვდრთა ყმათა აზნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტის და გედეონს, შვილსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; - ასე რომ მოხუეედით კარსა პალატისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენით და ჩუეენ უწულილესის გამოძიებით და ჭ[ეშმარი]ტის სამართლით განსჰსჯით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთვს და ნეტარ ხსენე-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 852.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 944-945.

ბულის ბიძის ჩუენის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა და ჩუენც ვისმინეთ ვედრებით თხოვა თქუენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილობელად და წამოუსარჩლელად."[1] ანტონ I დროს პატარა ლიახვის ხეობაში დისევის გარდა კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული კიდევ ერთი სამოურაო არსებობდა, ეს იყო – ბადაან-ხოდელის სამოურაო. ანტონ I კათალიკოსმა აღნიშნული სამოურაოც მცხეთიშვილ-გედევანიშვილებს ჩაბარა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადეგი მტკიცე და და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების **ოსების მოურავობა ბადაანისა და ხოდელისა,** რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენს ერთგულობასა შინა.[2] დოკუმენტში ნახსენები ბადაანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პატარა ლიახვის ხეობაში ქორდთან ახლოს არსებული სოფელი იყო. ბადაშვილებით დასახლებული სოფელი ბადაანი, როგორც ჩანს, ნასოფლარად იქცა.[3] აღნიშნუ-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 146, №234.

[2] გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

[3] იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, 2016, ხელნ. გვ. 7.

ლი ნასოფლარი ნიკოლოზ კათალიკოზმა კვლავ მოაშენა. ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, სადაც აღნიშნულია: „კიდევე ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.[1] ბადაანიდან ბადაშვილები სოფელ ქორდში გადასახლდნენ, რადგან ისინი XVII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში ქორდში იხსენიებიან. ისინი მცხეთიშვილ გედევანიშვილების ყმები იყვნენ. 1694 წელს ბადაშვილის მამული ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სარდალს-გიორგი გედევანიშვილს გადასცა.[2] კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I გაცემულ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გედევანიშვილს ბადაანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ეკლესიის ყმობაში მყოფი ოსების ზედამხედველობა ევალებოდა. ლიახვის ხეობაში ოსებისათვის სპეციალური მოურავების დანიშვნა სხვა დოკუმენტითაც დასტურდება, 1796 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით“, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმა ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციციშვილს პაატას შვილს გოგიას მისცეს. ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდი, ერთი ჩემი ხაბაზი დამრჩა მახარე მებაღის შვილი, გამოქცეულიყო ერთი ის და ერთი ანასტასია ბატონისშვილის ბიჭი და ნიქოზებში* ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ და ის მეორე ბიჭი კი გაქცეოდათ, წაეყვანათ და თოთხმეტ ხარათ მირზაშვილის **სამოურაო ოსებში** გაეყიდათ. ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ მირ-

---

[1] იქვე, გვ. 592.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, 604.

* ნიქოზებში უნდა იგულისხმებოდეს ქვემო და ზემო ნიქოზი.

ზასშვილ თამაზზედ, რომ ის ბიჭის გამყიდველიც მამიკითხოს, და ის ბიჭიც დახსნით იყოს, თუ რითაც იყოს, ჩამამგვაროს, რომ ის ბიჭი არ დამეკარგოს. იქიდამ შემოეთვალა მეორეთ მყიდიანო. და ღმერთი გადღეგრძელებს, ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ არ დამეკარგოს, თქვენს საყმოში არის. აპრილის ივ, ქორონიკონს უპდ.“ იულონ ბატონიშვილმა მოურავ მირზაშვილს თამაზა ციციშვილის ყმის მოძებნა დაავალა.[1] დოკუმენტში კონკრეტულად არ ჩანს მირზაშვილის სამოურაო ოსებში შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების რომელი ახალშენი იგულისხმება, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დიდი ლიახვის სათავეები, რადგან დოკუმენტში ნახსენებია დიდი ლიახვის ხეობაში არსებული „ნიქოზები“. აღსანიშნავია, რომ მირზაშვილები ზემო ნიქოზში ცხოვრებდნენ. 1573 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება ზემო ნიქოზში არსებული „მირზაული მამული“.[2] თამაზ მირზაშვილის სამოურაოს ტერიტორია ზუსტად არ ვიცით, თუმცა მისი, როგორც მოურავის, უფლებები გარკვეულწილად პატარა ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა. 1778 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში „არზა პაატა იმერელისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით“, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭეშმწიფის ძის გიორგის ჭირი მათს მიწა მტვერს პა[ა]ტა იმერელს მოსცეს. მერმე თავად იმერეთს აზნაურისშვილის ყმა ვიყავ, ახალ-ციხეს გამყიდა, თავი დავიხსენ, ისევ ჩემს მამულს მივ[ე]ტანე. მასუკან შვილის თხოვნა დამიწყო. ავდექ. აქათ თქვენს მიწა მტვერს მოვ[ე]ტანე სურამს. მურვანიშვილმა მითხრა: ჩემთან იყავ, არავის მიქცემო. არჩილ გამოიარა დამაბეზღეს, დამიჭირა. მეო-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 363.

[2] ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფ., 1913, გვ. 7.

რეთ არჩილიდამ დავიხსენ თავი. იქიდამ არბოს ჩამოველ. მირზაშვილმა მითხრა: ბატონის ოქმი მაქვსო, ამყარა, გამატიტვლა და ისევ ჩემს უწინდელს ბატონს მიმცა.“[1] სოფელი არბო პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, როგორც ჩანს, თამაზა მირზაშვილს პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელზეც მიუწვდებოდა ხელი. ოსებისთვის საგანგებო მოურავების დაწესება ხელისუფლებისაგან, თუ ეკლესიისგან შემთხვევითი არ იყო. ახლად ჩამოსახლებული ოს მოახალშენეებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებოდათ, რათა ისინი ბარის ცხოვრებას შეგუებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანად ეურთიერთათ. ცნობილია ის რეციდივები, რაც თან სდევდა ოსთა ჩამოსახლებას. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1621-1650 წწ. შედგენილი მამულის ნასყიდობის წიგნი ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებისადმი, სადაც საუბარია ოსების მიერ ჯავის ქართული მოსახლეობის ამოწყვეტაზე.[2] ჩამოსახლებულ ოსებთან ურთიერთობას სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას ანიჭებდა, ეს კარგად ჩანს გიორგი XII მეფკვიდრის დავით ბატონიშვილის მიერ ბარძიმ მაჩაბლისადმი გაგზავნილი წერილიდან: „თქვენ როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ლიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვისი და კეხვის ციხეც აიღევით, რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძებია.“[3] ჩამოსახლებული ოსების ზედამხედველობისთვის, როგორც ჩანს, სამოურაოები იქმნებოდა, რაც მათთან ურთიერთობის მოწესრიგებას ემსახურებოდა, სავარაუდოდ, მოურავებს ოსებში გადასახადე-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 413.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 364, №510.

[3] სცსსა, ფონდი, № 1450, დავთ. 26, საბ. 162.

ბიც უნდა აეკრიფათ. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ოსებს ეკლესიის კუთვნილ სოფლებში დასახლების შემთხვევაში მოურავს (რომელიც „მცხეთიშვილი“ იყო)კათალიკოსი უნიშნავდა. ძალზე საინტერესოა ანტონ I სიგელში სიტყვები: „რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება.“ როგორც ჩანს, ბადაანში და ხოდელში ჩამოსახლებული ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ მყარად დაქვემდებარებული ეკლესიისადმი და კათალიკოსმა სწორედ ამიტომ დაავალა გიორგი გედევანიშვილს მათი ზედამხედველობა. ანტონ I დროს დისევის, ბადაანისა და ხოდელის სამოურაოებთან ერთად დოკუმენტებში გვხდება ძეგვის და გომის სამოურაოები. ანტონ I როდესაც იოანე გედევანიშვილს მცხეთის სარდლობა დაუბრუნა მას ძეგვის მოურაობაც უბოძა.[1] გომის სამოურაოს არსებობა დასტურდება 1764 წლით დათარიღებულ ანტონ I მიერ იესე თაზისშვილისადმი ბოძებულ წყალობის სიგელით: „ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდმამ მამათმთავარმან ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმა, პატრონმა ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს აზნაურშვილთა თაზისშვილს მგალობელს იესეს, შვილსა შენსა სუფრაჯს ზაზას და ანდრიას, ძმისწულსა შენსა მოსიას და გოგიას. ასე, რომ: გომის მოურავი ამოსწყდა და მემკვიდრე აღარავინ ყუანდა, რადგან ამოწყუეტილის აზნაურშვილის სახელო ბატონისა არის და ვისიც ბატონს ნებავს იმას უზამს წყალობას, ამას ჟამად შენი ბიძაშვილი იოსებ შემოგვეხვეწა გომის მოურა-

[1] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 945;

ობის წყალობას და უბოძეთ გომის მოურაობა სამკუიდროდ და ქონდა რაოდენსამე წელიწადსა. მერმე ჩვენ რომ რუსეთს წავედით, იმ ხანშიდ შენი ბიძაშვილი იოსებ მომკუდარიყო და ჯანდიერის შვილს იოსებ კათალიკოზს გამოერთმევინა შენი ბიძაშვილის სახელო და აღდგომელასთვის მიეცა. ახლა ჩვენ რომ მათის სიმაღლის ჩვენის ძმის მეფის ირაკლის ბრძანებით მოვედით რუსეთიდამ და ჩვენს საყდარზედ ვეგენითვე, თქვენი ბიძაშვილის იოსების სახელო და ყმა ისევ თქვენვე წყალობა გიყავით, რადგან გაყრილნი არ იყავით."[1] კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული სამოურაოები ანტონ I მოღვაწეობის დროს არ შექმნილა. როგორც ჩანს, ასეთი სამოურაოები მანამდეც არსებობდა. ამას ადასტურებს ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ მაღალაძეებისადმი 1624 წელს ბოძებული სიგელი: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათოლიკოზმან პატრონმან ქრისტეფორემ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შაგიწყალეთ და გიბოძ[ე]თ თქუენ მაღალაძეთა ხუციასა და ივანეს და სეხნიასა და ზა[ა]ლს, შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: სახხელოს გ[ვ]იაჯენით. აჯა და მოხსენება თქვენი შაგიწყალე და მოგიბოძეთ გომნი სამოურავოდ. მიწობალიძეს ქონდა გომნი სახხელოდ, ისი სამუქაბოდ შავიჯერეთ; და გომნი სამკვიდროდ სამოურავოდ გიბოძეთ".[2] კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ გაცემული 1618 წლით დათარიღებული ერთ-ერთი სიგელით დასტურდება, რომ შიდა ქართლში არსებობდა ზერტის სამოურავო. დოკუმენტის თანახმად ზერტის სამოურავო კათალიკოსმა გაბრიელის შვილს იესეს უბოძა: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ზერტი სამოურაოდ;

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 850-851.
[2] იქვე, გვ. 483.

პირველად თქვენი იყო სამკ[უი]დრო და აწცა დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ სიგლითა ამით.“[1] შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატარა ლიახვის ხეობაში ქართლის კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული ორი სამოურაო არსებობდა. აქედან ერთი სოფელ დისევს უკავშირდებოდა. მეორე სამოურავო ბადაანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ოსების სამეთვალყურეოდ იყო კათალიკოსისგან შექმნილი, როგორც აღვნიშნეთ, ოსების სამოურაო არსებობდა დიდი ლიახვის ხეობაშიც, რომელიც სამეფო ხელისუფლებას ვინმე თამაზა მირზაშვილისათვის ჰქონდა ჩაბარებული. ამ დროისთვის ეკლესია პატარა ლიახვის ხეობაში 25 კომლ გლეხს ფლობდა, აქედან ქორდში 13 კომლი ეკუთვნოდა, კულბითში - 7, ტირძნისში - 4, ქსუისში - 1, „ქ. ქორდს [ქ.] გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო, ქ. ამისივე მახათაძე მღვდელი იოანე ქ. ამისივე ლომაური ივანე ქ. ამისივე ჯალაბაძე პაპუნა ქ. ამისივე ჯალაბაძე გოგილა ქ. აქავ ქარსიძის გლახას ყმა კახიაშვილი რევაზა ქ. გედევანიშვილის იოსების ყმა არჩვაძე ზაზუნა ქ. გედევანიშვილის სარდლის ბეციას ყმა მარტოყოფელა სვიმონა ქ. ამისივე ლომაური გლახა ქ. ამისივე ლაშაძე გლახა ქ. ამისივე რაზმაძე დავითა ქ. ამისივე სვიმონიკა ქ. ამისივე ხევსური პაპუნა.[*] ქ. კულბითს [ქ.] ოქროპირიძე მღვდელი გიო-

---

[1] იქვე, გვ. 395.

[*] ზემოთ წარმოდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება ქორდში მცხოვრები ხევსური საგინა. ხევსური პაპუნა, ჩვენი აზრით, ხევსურ საგინას შთამომავალი იყო. ხევსურეთიდან ჩამოსახლებული გლეხები დოკუმენტებში გვარით არ არიან მოხსენიებულნი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შიდა ქართლის სოფლებში გლეხთა გადმოსახლება არაერთი დოკუმენტური მასალით დასტურდება. გლეხთა გადმოსახლებას უმთავრესად სოციალური მიზეზები ჰქონდა. როგორც პროფ. გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: „იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული იყო ტერმინი „ნაქართლი“, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა ის კაცი, რომელიც ქართლში

რგი ქ. ოქროპირიძე მღვდელი პეტრე ქ. ოქროპირიძე დავით ღვდლისშვილი ბერი ქ. ოქროპირიძე ქაქუცა ქ. ოქროპირიძე პეტრე ქ. ოქროპირიძე ბერუა ქ. ოქროპირიძე თომა მღვდლის შვილი გაბრიელ ქ ტ[ი]რძნისს [ქ.] ტეტუნაშვილი გოგია ქ. ტეტუნაშვილი მოსე ქ. ტეტუნაშვილი სიო ქ. ტეტუნაშვილი ტეტია ქ. ქსუისს საღირაშვილი ნინია.[1] 1802 წლის აღწერის მიხედვით ეკლესიის კუთვნილი გლეხები გვხვდება პატარა ლიახვის შემდეგ სოფლებში: ქორდში, საცხენისში (საცხენეთი), არბოში, ერედვში.[2] როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოში მოსახლეობის რამდენიმე აღწერა ჩაატარა. ერთ-ერთი აღწერა 1804 წელს კაპინიტან-ისპრავნიკ იანცოვის მიერ განხორციელდა. აღწერის მასალებში პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში საეკლესიო გლეხები და აზნაურებია დაფიქსირებული. ამ დროისთვის ქსუისში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ეკუთვნოდა 1 კომლი აზნაური.[3] 1804 წლის მდგომარეობით ეკლესიას კულბითში ეკუთვნოდა 10 კომლი

სამუშაოდ დაიარებოდა ხოლმე". გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 275; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, (ქორდი), თბ., 2007, გვ. 40; ქორდში ჯავახეთიდან გლეხის ჩამოსახლების ფაქტიც არის დაფიქსირებული. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 340.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 990-991.

[2] Акты, Т. I, стр. 461, №575.

[3] საქართველოს სახელმწიფო ცენტარული საისტორიო არქივი, ფონდი №254, საბ. 58, გვ. 48. მართალია აზნაურის გვარი არ წერია, მოხსენიებულია, მხოლოდ მისი სახელი იოსები, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი გედევანიშვილი უნდა იყოს. რადგან 1818 წლის კამერალურ აღწერაში ქსუისში იხსენიება აზნაური იოსებ გედევანიშვილი და მისი ყმები: შიო საფერაშვილი, შიოს დედა, მეუღლე და შვილები: სიმონი, სოლომონი, ასევე შიოს ძმა გიორგი. გსიემ, 8235, №128, გვ. 53.

გლეხი (აქედან, 27 მამრ. 17 მდედრ.)[1] ამავე აღწერის მიხედ-ვით არბოს წმინდა გიორგის ეკლესიას ქემფერში ეკუთვნოდა 6 კომლი გლეხი(აქედან 18 მამრ. 12 მდედრ.) არბოს ეკლე-სიის გლეხები 125 დღიური მიწით სარგებლობდნენ, ჰქონდათ 4 ვენახი, სადაც მოჰყავდათ 50 კოკა ღვინო.[2]

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University

CATHOLICATE ESTATE IN THE SMALL LIAKHVI GORGE

RESUME

Georgian Orthodox church owned estate in a small Liakhvi Gorge during centuries. Property was donated by Royal authorities as well as by noble families. Active relationship between church and villages of the small Liakhvi Gorge is confirmed by a number of historical sources. According to historical sources Catholicate estate is confirmed as early as in the 11th century. According to the 1020 dated ratification of Catholicos Melkisedek, he owned estate in the village of Kulbiti, the same is also confirmed by 'Matiane Kartlisa' (Chronicles of Kartli). Catholicos owned estate in Kordi, Eredvi, Satikhari, Vanati, Tirdznisi, Tergvisi, etc. Catholikos of kartli also had his own Samouravos (administrative districts) in the small Liakhvi Gorge, - Disevi and Badaan-khodeli Samouravos, - both of them were a gift from the Gedevanishvili family who were in close relations with the church.

---

[1] სცსსა, ფონდი №254, საბ. № 58, გვ. 46.
[2] სცსსა, ფონდი №254, საბ. № 58, გვ. 91.

მაგდა სუხიაშვილი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია

წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და ქართული საეკლესიო გალობა

თუ მაინც სულისშემხუთველ პირობებში ქართული
საეკლესიო გალობა თითქმის ხელშეუხებლად შენახულა,
ეს აიხსნება უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში
თავგამოდებულის, ყოველმხრივ უმწიკვლო პიროვნების
გულშემატკივრობით და ქართული საეკლესიო გალობის
აღდგენის თაოსნობით ყველასგან პატივსაცემი,
აწ განსვენებული ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე,
გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი
ზაქარია ფალიაშვილი

ეგზარქოსობის უმძიმეს ხანაში, როდესაც ქართულ სამგალობლო ტრადიციას გაქრობის საფრთხე დაემუქრა, არაერთი მამულიშვილი თავდაუზოგავად იღვწოდა მის დასაცავად და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

მე-19 საუკუნის ქართული პრესის მასალები და საარქივო დოკუმენტები ცხადყოფენ წმინდა ეპისკოპოს ალექსანდრეს განსაკუთრებულ წვლილს საეკლესიო საგალობლების ჩაწერისა და დაცვის საქმეში. ამავე მასალების საფუძველზე

ირკვევა, რომ მღვდელმთავარი ამ სასიკეთო ისტორიული პროცესების სათავეებთან დგას.

ცნობილია, რომ სამგალობლო ტრადიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლის რთულ და ეკლიან გზაზე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი 1860 და 1878 წლებში თბილისის საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის დაარსება იყო. კომიტეტის შექმნის მოთავე და ინიციატორი სწორედ წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე გახლდათ. მანვე იზრუნა კომიტეტში სამგალობლო ტრადიციების აღდგენის გულშემატკივრთა გაწევრიანებაზე. კომიტეტში იღვწოდნენ არქიმანდრიტი მაკარი (მატათაშვილი), არქიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი), სრული მგალობლის, გრიგოლ კარბელაშვილის ნამოწაფრები, თავადაც შესანიშნავი მგალობლები - მღვდლები ალექსანდრე მოლოდინაშვილი და გრიგოლ მღებრიშვილი, ეგზარქოსის მგალობელთა გუნდის რეგენტი მთავარდიაკონი ვასილ აუშევი და სემინარიის მასწავლებელი მიხეილ მაჭავარიანი (იხ. *დროება,* 1878, *149*; ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ხელნაწერი №99 5v). წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსი კომიტეტს 1879-1884 წლებში ხელმძღვანელობდა.

წმ. ალექსანდრე ოქროპირიძე ჯერ კიდევ კომიტეტის დაარსებამდე ზრუნავდა ქართული სამგალობლო რეპერტუარის საღვთისმსახურო პრაქტიკაში დანერგვაზე და მის საყოველთაო გავრცელებაზე. ეს კი ეგზარქოსობის ხანაში მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული; ევროპეიზებული და რუსული საეკლესიო საგალობლები იმხანად ხომ იძულებით ინერგებოდა.

1877 წელს წმინდა მღვდელმთავარმა თბილისის სემინარიის სამმართველოს მატერიალური გასამრჯელო (500 მანეთი) შესწირა იმ პირისთვის, ვინც ქართული საეკლესიო

საგალობლების ხაზიანი ნოტაციით ჩაწერას შეძლებდა (კარ-ბელაშვილი, 1898: 91). მღვდელთმთავრის სანუკვარი ოცნე-ბა იყო ნოტირებულ საგალობელთა გამოცემა და ნაბეჭდი პარტიტურებით სასულიერო სასწავლებლებისა და სკოლების უზრუნველყოფა. მისი ღრმა რწმენით, ეს შექმნიდა კეთილნა-ყოფიერ ნიადაგს ტრადიციული სამგალობლო რეპერტუარის სასწავლო და საღვთისმსახურო პრაქტიკაში დასანერგად. წმინდა მამამთავრის ეს მიზანდასახულობა მისივე ხელნაწე-რებშია აღბეჭდილი (ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ხელნაწერი №99, 6r).

თბილისის გალობის აღმდგენელი კომიტეტის მრავალმ-ხრივი საქმიანობის გეგმა შემუშავებული იყო მეუფე ალექსა-ნდრეს მიერ. მან ყურადღება გაამახვილა კომიტეტის წინაშე წამოჭრილ უკლებლივ ყველა საკითხზე და ჩვეული სიბრძ-ნით დასახა მათი გადაჭრის გზები. გეგმის თანახმად, პირ-ველ ყოვლისა, საჭირო იყო მატერიალური სახსრების მოპო-ვება, რაც გააიოლებდა შემდეგი საკითხების გადაჭრას:

1. კომიტეტს უნდა გაერკვია საქართველოში არსებული ორი ძირითადი კილოდან (იგულისხმება იმერულ-გურული და ქართლ-კახური კილოები), თუ რომელია უპირატესი, რომელ ნიმუშებშია უკეთ დაცული ძველი სამგალობლო ტრადიცია;
2. საგალობელთა ნოტირებისა და გამოცემის საქმის ორგა-ნიზება;
3. საგალობელთა კრებულის გაგზავნა რუსეთში მისი ავკარ-გიანობის შესაფასებლად. დადებითი შეფასების შემთხვევაში იგი იქნებოდა აღიარებული სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლებსა და სკოლებში. ეს ყოველივე ტრადიციული სამგალობლო რეპერტუარის საღვთისმსახურო პრაქტიკაში დანერგვას შეუწყობდა ხელს.

4. საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა; სამგალობლო სკოლის დაარსება, სადაც იმსახურებდნენ საუკეთესო მგალობლები ახალგაზდა თაობებისთვის ცოდნის გადასაცემად.
5. წირვა-ლოცვის აღვლენა ტრადიციული ქართული გალობით.

დასახული მიზნების მისაღწევად წმინდა ალექსანდრე ძალ-ღონეს არ იშურებდა. მისი ინიციატივით 1878 წელს არქიმანდრიტმა მაკარიმ პრესის საშუალებით გაავრცელა მიმართვა, რომლითაც საზოგადოებას მოუწოდებდა ტრადიციული გალობის აღსადგენად გაეღოთ შეწირულობა („*დროება*“, 1878, №199). შეგროვებული თანხა ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტირებას უნდა მოხმარებოდა (სახელდობრ, მგალობელთა ჯამაგირს). წმინდა ალექსანდრემ შეწირულობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგანაც ითხოვა, რომლის წევრი თავად იყო (ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ხელნაწერი №99, **3r).** შეწირულობის შეგროვება შემდგომშიც გაგრძელდა. 1881 წლის 21 მაისს წმ. მღვდელმთავარმა ეგზარქოსის ნებართვით თავად მოუწოდა საქართველოს ეკლესიის წევრებს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, სასულიერო იერარქიას, გაეღოთ შესაწირი თბილისში სამგალობლო სკოლის დასაარსებლად[1]: „ძენო საქართველოსნო, მამანო, ბლაღოჩინნო, მღუდელნო, პრიჩეტნიკნო და სტარასტნო და მნათენო... იმედი მაქვს, რომ ამ პატივსადებელ საქმეს ყოველნი თანამდებობაში მყოფნი სასულიერო პირნი ერთგულად და გულმხურვალეთ... აღასრულებთ და მით ჩუენ თხოვნას პატივცემულ ჰყოფთ“ (ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ხელნაწერი № 57, **1r).**

[1] თანხის შეგროვება ერთი წლის ვადაში დაევალა შუამთის მონასტრის მღვდელმონაზონს, ილარიონს.

მართლაც, წმ. ალექსანდრეს მიერ შეგროვებული თანხა გონივრულად და მიზნობრივად იხარჯებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა: 1878 წელს წმინდა მღვდელთმთავრის ინიციატივითა და ორგანიზებით შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საუკეთესო მგალობელთა თბილისში მოწვევა. საგალობლების მოსმენის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, თუ რომელი სამგალობლო კილოა უპირატესი, იმერულ-გურული თუ ქართლ-კახური, რომელი „იმსახურებდა“ ხაზიანი ნოტაციით ჩაწერას.

მართლაც, 1878 ივლისის თვეში წმ. ალექსანდრეს შუამდგომლობით ეგზარქომა იოანიკემ გურიის ეპისკოპოს გაბრიელს (ტუსკიას) უბრძანა გურული გალობის საუკეთესო მცოდნეები თბილისში წარმოეგზავნა; დედაქალაქში ჩამოვიდნენ უხუცესი სრული მგალობელი მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და ასევე სრული მგალობლის, ანტონ დუმბაძის სამი ახალგაზრდა ნამოწაფარი – ცნობილი მგალობლები: მელქისედეკ ნაკაშიძე, მღვდელი ნესტორ კონტრიძე და ივენე (ნანე) ხავთასი (ჩხატარაიშვილი, 1990: 256).

წმინდა ალექსანდრეს ინიციატივით შესრულდა რამდენიმე წირვა, რომელშიც ორი გუნდი მონაწილეობდა. დასავლეთ საქართველოს სამგალობლო რეპერტუარს ასრულებდნენ ხსენებული გურული მგალობლები, ხოლო ქართლ-კახურ საგალობლებს – ძმები კარბელაშვილები. მათ ანჩისხატის, სიონის საკათედრო ტაძარსა და ორბელიანების კარის ეკლესიის ღვთისმსახურებაში მიუღიათ მონაწილეობა.

მგალობელთა მოსმენამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა, რაც აისახა კიდეც პრესის ფურცლებზე. ერთნი გურული გალობის ჩაწერას ემხრობოდნენ, ხოლო მეორენი ქართლ-კახური გალობის ნოტირებას გულშემატკივრობდნენ. უაღრესად საინტერესოა წმ. მღვდელმთავარ ალექ-

სანდრეს ბრძნული პოზიცია. იგი მომხრე იყო როგორც ქართულ-კახური, ისე იმერულ-გურული კილოს საგალობლების ჩაწერისა, თუმცა იმხანად მისი არჩევანი ქართულ-კახური გალობის ნოტირებაზე შეჩერდა. მწყემსმთავარს თავისი გადაწყვეტილება შემდეგნაირად განუმარტავს: „არასდროს ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოსი, ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ „გურული კილოს“ გალობა კარგია თავის სამშობლოში, ქართლში და კახეთში გურული გალობა ვერ მოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ“ („*დროება*“, 1881, №11).

წმინდა მღვდელმთავარი დიდი სასოებით შეუდგა საეკლესიო გალობის ჩაწერის ორგანიზებას. ცნობილია, რომ 1870-იანი წლებიდან მოყოლებული, საგალობელთა ნოტირების არაერთი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა[1]. მიუხედავად ამისა, წმ. ალექსანდრე დიდი იმედით განაგრძობდა იმ მცოდნე და გამოცდილი პირის ძიებას, ვინც ქართული საგალობლების ჩაწერას შეძლებდა. საბედნიეროდ ასეთი პიროვნება მოიძებნა.

1884 წელს მეუფე ალექსანდრემ ხელშეკრულება გააფორმა თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან, კომპოზიტორ მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვთან[2]. ცნობილი მუსიკოსი დაუყოვნებლივ შეუდგა ე.წ. „კარბელიანთ კილოს“ ნიმუშების

---

[1]საგალობელთა ნოტირება სათანადოდ ვერ შეძლეს ანდრეა მრევლიშვილმა, მღვდელმა გიგოლ ჭრელაშვილმა და გალობის მასწავლებელმა, მიხეილ მაჭავარიანმა, რის გამოც თბილისის სასულიერო სემინარიის კომისიამ მათი ნამუშევარი დაიწუნა (კარბელაშვილი, 1898: 91).

[2]ალექსანდრე ოქროპირიძისადმი მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის განსაკუთრებული პატივისცემა მისივე სიტყვებშია გამოხატული: „აუწყეთ ყ.უ. ალექსანდრე ეპისკოპოზს, მის ბრძნულის მეთაურის წყალობით ქართული გალობა და სიმღერა მუსიკის ისტორიაში შესამჩნევ ადგილს დაიკავებსო“ („ახალი ამბავი“, „*ივერია*“, 1893, №214, 7 ოქტომბერი).

ნოტირებას ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილებისაგან. მათ დახმარებას უწევდნენ მღვდლები: გრიგოლ მღებრიშვილი და ალექსანდრე მოლოდინაშვილი. ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის წესის ნოტირებული საგალობლები 1899 წელს მეუფე ალექსანდრეს პირადი ხარჯით დაიბეჭდა.

კრებულის დაბეჭდვამდე მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი საგალობლების კრებული წმინდა სინოდში წარადგინეს. 1896 წელს სინოდალური სასწავლებლის გუნდის ხელმძღვანელმა სტეფანე სმოლენსკიმ და სხვა ავტორიტეტულმა მუსიკისმცოდნეებმა იგი დადებითად შეაფასეს. კრებულში შესული საგალობლები თბილისში 1897 წელს სემინარიის ეკლესიაში აღვლენილ წირვაზე შესრულდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ყოველივე ამან ეგზარქოს ვლადიმერს პარტიტურის გამოცემა-გავრცელებისა და სასწავლო პრაქტიკაში დანერგვისკენ უბიძგა (კარბელაშვილი, 1899).

წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსს უნდა ვუმადლოდეთ ასევე ვასილ (შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე) კარბელაშვილის აქტიურ ჩართვას საგალობელთა ნოტირების საქმეში. ცნობილია, რომ მან მოსკოვში სამუსიკო განათლება სწორედ ალექსანდრე ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით მიიღო და იქ მიღებული ცოდნა ქვეყნისა და ეკლესიის სამსახურში ჩააყენა (მაჩურიშვილი, ტოგონიძე, 2012: 18) მეუფე ალექსანდრეს თანადგომით წმინდა სტეფანეს მიერ ჩაწერილი საგალობლების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია, ხოლო ხელნაწერების სახით შემორჩენილი 2000 გვერდი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

საარქივო მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ წმინდა ალექსანდრეს სტეფანე კარბელაშვილისთვის არაერთხელ აღ-

მოუჩენია მატერიალური თანადგომა საგალობელთა ნოტირების საქმის ხელშესაწყობად.

სამგალობლო ტრადიციების აღდგენას წმინდა ალექსანდრე სხვა გზითაც ცდილობდა. ამის ნათელი მაგალითია მისი ინიციატივით თბილისში დაარსებული სამგალობლო სკოლა, სადაც გალობას ასწავლიდნენ მელქისედეკ ნაკაშიძე, ივანე ხავთასი და ნესტორ კონტრიძე. სწავლება ზეპირად (სანოტო კრებულების გარეშე) წარმოებდა. მასწავლებლები ანჩისხატის ეკლესიის სახლში ცხოვრობდნენ და ასწავლიდნენ („*დროება*“, 1880, 115, 179, 239)

წმინდა ალექსანდრეს მიერ მოწვეულმა მელქისედეკ ნაკაშიძემ თბილისში ფართოდ გაშალა შემოქმედებითი მუშაობა. იგი გალობას ნევმების გამოყენებით ასწავლიდა შეგირდებს, მათ შორის, წმ. ექვთიმე აღმსარებელს (კერესელიძის). მანვე თანამგალობლებთან ერთად წირვის წესის საგალობლები ჩაწერინა წმ. ფილიმონ მგალობელს (ქორიძეს). ამ ჩანაწერის მიხედვით შესრულებული საგალობლები 1884 წელს ქუთაისში მოისმინა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ), რამაც ბიძგი მისცა გალობის აღმდგენელი კომიტეტის ქუთაისში დაარსებას და იმერულ-გურული კილოს საგალობლების ჩაწერის საქმის წარმატებულ დაგვირგვინებას. ამდენად, წმ. ალექსანდრეს მიერ აღსრულებული კეთილი საქმეები გამრავლდა და მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა ქართული სამგალობლო ტრადიციის აღდგენის ისტორიულ პროცესში.

წინაპართა სულიერი მემკვიდრეობის დაცვას წმიდა ალექსანდრე შემდგომშიც არ აკლებდა მზრუნველობას. 1898-1903 წლებში, გურია-ოდიშის ეპარქიის მწყემსმთავრობისას, მან საეკლესიო გალობის კაბინეტი დააარსა, სადაც მისივე შეთავაზებით მოღვაწეობდნენ მგალობლები: მელქისედეკ ნაკაშიძე და სიმონ მოლარიშვილი. ისინი გურიის სოფლებში

მღვდელმთავრის ხარჯით დადიოდნენ და გალობას უფასოდ ასწავლიდნენ. მეუფე ალექსანდრეს ლოცვა-კურთხევით გურიასა და სამეგრელოში კიდევ არაერთ სასიკეთო საქმეს დაედგა თავი – 1897 წელს ოზურგეთში დაარსდა გალობის აღმდგენელი კომიტეტი, ჩამოყალიბდა აკეთისა და ლანჩხუთის ეკლესიების მგალობელთა გუნდები, მარტვილის მონასტერში პედაგოგიური კურსები გაიხსნა, სადაც 1898 წელს გალობას სრული მგალობელი დიმიტრი ჭალაგანიძე და ფილიმონ ქორიძე ასწავლიდნენ. ამდენად, სამგალობლო ტრადიციების აღორძინების პროცესმა თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. მეუფე ალექსანდრემ მის მიერვე ინიცირებული საქმეების სასიკეთო შედეგები თავიდანვე განჭვრიტა. ქართული გალობისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში მის წინასწარმეტყველურ სიტყვებს ამოიკითხავთ:

„...ბოლო იტყვის ყველას და დააგვირგვინებს საქმესა. იქნება ბოლოს სთქვან ძეთა ძველის იბერიისათა: გამობრწყინდა ნათელი ქართული ეკლესიის გალობის ჰორიზონტსა ზედა; გადაღებულ იქნა წყობილად ეკკლესიის გალობა ნოტებზედა; და დღეს იხარებს ერი ქართველთა განწყობილად გადაცემისათვის ქართულითა წინაპართა მშვენიერთა გალობათა ქარტასა...“ (ალექსანდრე ოქროპირიძე, ხელნაწერი №99, 6r).

დღეს არაერთ ეკლესია-მონასტერში მოისმენთ ქართულ ტრადიციულ საეკლესიო საგალობლებს, რაშიც წმინდა ეპისკოპოს ალექსანდრეს დამსახურება უთუოდ გამორჩეულია.

დამოწმებანი:

1. ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ქართულ ეკკლესიურ გალობაზედ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდის ხელნაწერი №99.

2. ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე [მიმართვა ქართველი სამღვდელოებისადმი - გაიღონ შეწირულება თბილისში ქართული საეკლესიო გალობის დასაარსებლად], 1881, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდის ხელნაწერი №57.
3. კარბელაშვილი ვასილი, წინასიტყვაობა, ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი), იოანე ოქროპირის წირვის წესი, გამოცემულია ალექსანდრე ეპისკოპოსის წარსაგებლითა. თბილისი, 1899, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
4. კარბელაშვილი პოლიევქტოსი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, ტფილისი, 1898, სტამბა ექვთიმე ხელაძისა.
5. მაჩურიშვილი გიორგი, ტოგონიძე ლუარსაბი, კარბელაშვილების ოჯახი – ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე, „საპატრიარქოს უწყებანი“, 2012, №1, 2-8 იანვარი.
6. ჩხატარაიშვილი ქველი, ქართული გალობის ჩაწერისა და აღდგენის პირველი ცდები XIX საუკუნეში, ჟურნ. „განთიადი“, 1990, №6.

Magda Sukhiashvili
V. Sarajishvili Tbilsi State Conservatoire

HOLLY BISHOP ALEXANDER (OKROPIRIDZE) AND GEORGIAN CHANTS

RESUME

Contribution of Holly Bishop Alexander (Okropiridze) to protection of Georgian chant traditions is indeed great. Committee for Restoration of Georgian Chants, established

with his incentive stimulated creation of similar committees in Kutaisi and Ozurgeti and finally, successful completion of notation of the chants of Georgian monastery schools.

St. Alexander's merit in recording of unique, so called "Karbelaant Mode", maintained among the chant modes of Eastern Georgia could not be overestimated. The contribution of Bishop is not limited to organization of recording and publishing of the chants ofJohn Chrysostom's rule of church service. Blessed by Bishop Alexander, St. Stephan (Karbelashvili) studied at Moscow Conservatory and graduated it and applied gained knowledge for his country and church – by line notation he has written down hundreds of chants.

In the hard times of exarchate, St. Alexander attempted to restore Georgian chant traditions in the other ways as well. Notable example of this is chant school established at the Sioni Cathedral, many successful attempts of introduction of Georgian chants into the church service and education practices etc.

ეკატერინე ფავლენიშვილი
თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია

წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის ქართლში მოღვაწეობის ისტორიიდან

მე-19 საუკუნე, როცა ალექსანდრე ოქროპირიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ისტორიკოსთა დახასიათებით იყო სიცრუის, მლიქვნელობის, ანგარების, ღალატის, ცილისწამების, ზემდგომი პირებისადმი მონური მორჩილების, ბერ-მონაზვნური ცხოვრების გადაგვარების, საუკეთესო ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების დაკნინების საუკუნე. ამ ეპოქის მოღვაწეებს უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდათ, რომ ერს დაეკარგა ენა, მამული, რწმენა. ერთეულნი იდგნენ დიდ ღირებულებათა სადარაჯოზე, მაგრამ იდგნენ შეუდრეკლად და, ასე თუ ისე, გადაარჩინეს კიდეც ქვეყანა.

ბუნებრივია, ქვეყნის შველა მომავალი თაობის განათლების დონის ამაღლებით უნდა დაეწყოთ და ამ მიზნისათვის ბრძოლა გამოკვეთილია წმ. მღვდელმთავრის ბიოგრაფიაში. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მის პირად არქივში არაერთი წერილი მოიპოვება, საიდანაც ვიგებთ რა სისტემატურად ესწრებოდა იგი მოწაფეთა გამოცდებს, როგორ ახალისებდა ბეჯით მოწაფეებს, აწესებდა სტიპენდიებს. იცოდნენ რა მისი დამოკიდებულება ზემოთქმული საკითხისადმი, სასწავლებლების ზედამხედველები მღვდელმთავარს იწვევდნენ მოსწავლეებთან შესახვედრად. წმ. ალექსანდრეს თავის უმთავრეს მოვალეობად გა-

რშემომყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცება და მათთვის სკოლების გახსნა მიაჩნდა. „როდესაც საკითხი დაისვა გახსნილიყო სპეციალური სასულიერო სასწავლებელი ქალთათვის, მან პირველმა დიდი როლი ითამაშა ამ კეთილშობილურ საქმეში, – მისი ფინანსური დახმარებითა და მეცადინეობით 1878 წელს თბილისში დაარსდა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელმაც ჩვენს ერს აღუზარდა რამდენიმე ათასი განათლებული ქალი“ [1].

1869 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე აფხაზეთიდან ქართლ-კახეთის ეპარქიის ეპისკოპოსად გადაიყვანეს, სადაც 25 წლის განმავლობაში იყო მშობლიური მხარის მმართველი მღვდელმთავარი: ორგზის ჩააბარეს ეს კათედრა (1869-1882 და 1886-1898 წწ-ში). აღსანიშნავია, რომ იგი იყო ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ეპისკოპოსი. 1889 წლის 24 სექტემბერს ალექსანდრე ეპისკოპოსმა აკურთხა გორის სასულიერო სასწავლებლის ეკლესია, რაც გორის მოსახლეობის დიდი ხნის სურვილი ყოფილა. იგი საღამოს მატარებლით ჩავიდა გორში. სადგურში გორის სამღვდელოება და სასწავლებლის გამგეობა დახვდა. წმ. მღვდელმთავარი პირდაპირ სასწავლებელში გაემგზავრა და მცირეხნიანი შესვენების შემდეგ დაიწყო ღამისთევით ლოცვა, ხოლო დილის ცხრა საათზე – ეკლესიის კურთხევა გიორგი მთაწმინდელის სახელზე. კურთხევის შემდეგ მღვდელმთავარი, გორის მასწავლებლები და მოსწავლეები, მგალობლები და დიდძალი ხალხი წავიდნენ გორის საკრებულო ეკლესიაში. აქედან წაასვენეს წმინდა ნაწილები, რომლებიც ახალი ეკლესიის ოდიკში მოათავსეს.

---

[1] ვ. გურგენიძე, წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 85.

ქუჩებში ხალხის ტევა არ იყო – ქართლელები პატივით იღებდნენ თავიანთი კუთხის მიერ გამოზრდილ მოღვაწეს.

ეკლესიის კურთხევის მიწურულს ალექსანდრე ოქროპირიძემ სიტყვით მიმართა მოწაფეებს. წარმოთქმულ ქადაგებაში იგი ხაზს უსვამდა უფლისადმი მადლიერების, ლოცვისა და სწავლის შეთავსების აუცილებლობას: „მიჰმართა მასწავლებელთ და მოსწავლეთ, რომ ერთგულად და ერთსულად მოჰკიდონ საქმეს ხელი; ამ ახალს სახლში სარწმუნოება და მეცნიერება ერთად მოთავსებულნი და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა იყვნენო“[1].

ეკლესიის კურთხევის დღე წმ. ალექსანდრეს კიდევ ერთი რამით გაუხდია ღირსსახსოვარი: იმ დღეს დაუწესებია ყოველწლიური სტიპენდია თავის სახელზე ექვსი თუმანი თანხის ოდენობით საუკეთესო და ზნეობით გამორჩეული მოწაფისათვის; აღუთქვამს, რომ ბანკში შეიტანდა 120 თუმანს, რომლის სარგებელიც, წელიწადში 6 თუმანი მიეცემოდა წარჩინებულ სტუდენტს. სასწავლებლის უფროსისათვის იქვე უთხოვია ყველაზე წარჩინებული მოწაფის დასახელება. ზედამხედველს წარუდგენია სოფლის ღარიბი მედავითნის შვილი – მე-4 კლასის მოწაფე მიხეილ ნიკურაძე, რომლისთვისაც მაშინვე გადაუცია ნახევარი წლის სტიპენდია – სამი თუმანი. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვედრია ამ ქველმოქმედებას. იმავე 1889 წელს გარკვეული თანხა შეუწირია გორის ქალთა გიმნაზიისათვის.

წმ. ალექსანდრეს ამაგი ქართველ სტუდენტებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც სწვდებოდა. 1893 წლის ნოემბერში კიევის ქართველი სტუდენტები გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან მადლობას უხდიდნენ ეპისკოპოსს მათი წიგნსაცავისათვის წიგნების შეწირვისთვის და იმედს გამოთქვამდ-

[1] „ივერია“, 1889, №204.

ნენ, რომ მღვდელმთავარს ქველმოქმედებაში სხვანიც მიბაძავ-
დნენ და გაამდიდრებდნენ მათ „ნორჩ წიგნთ-საცავს“[1]. მღვდე-
ლმთავარი, ასევე, რეგულარულად უგზავნიდა წიგნებს კიევში
თავის ძმისწულს, იმხანად კიევის სასულიერო აკადემიის
სტუდენტს ლონგინოზ ოქროპირიძეს (შემდგომში კათალი-
კოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921წწ).

უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს მოკრძალებუ-
ლი დამოკიდებულება ჰქონდათ მღვდელმთავართან. პეტერბუ-
რგის ქართველი სტუდენტები იწვევდნენ ქართულ საღამოებ-
ზე დასასწრებად[2]. მასვე სთხოვდნენ რეკომენდაციებს უცხო-
ეთში სწავლის მიღების მსურველნი.[3]

ჩვენს ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი თვალსაჩინო
ასპარეზი წმ. ალექსანდრეს მოღვაწეობისა, რაც ცნაურდება
ქართული წიგნების ბეჭდვითი საქმიანობით. მკაცრი ცენზუ-
რის მიუხედავად, იგი ახერხებდა არაერთი ქართული წიგნის
გამოცემას. ალ. ეპისკოპოსის ინიციატივითა და ფინანსური
შემწეობით დაიბეჭდა ამბროსი ნეკრესელის „სიტყვანი და
მოძღვრებანი“ (1881 წ), გიორგი ავალიანის „ხმა ცოდვილისა
ღმრთისადმი“ (1884წ), სულხან-საბა ორბელიანის „ქართული
ლექსიკონი“ რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობითა და რედა-
ქტორობით (1884წ), ანტონ I კათალიკოსის „ქართული ღრა-
მატიკა“, ანტონ I კათალიკოსის „მზა-მეტყველება“ (1892წ),
თედო ჟორდანიას „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონა-
სტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა“. 1899 წელს გამოდის
მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული „ქართ-

---

[1] „ივერია“, 1893, №242.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალე-
ქსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №79, №84.

[3] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალე-
ქსანდრე ოქროპირიძის ფონდი საქმე №395.

ული გალობა (ქართლ-კახური კილო), ლიტურღია“, 1900 წელს პოლიევქტოს კარბელაშვილის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“, 1903 წელს თედო ჟორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“. ალ. ეპისკოპოსის მიერ შეწირული თანხით საეკლესიო მუზეუმმა 1901 წელს გამოსცა „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპები“.

„1882 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოზურგეთიდან ზაქარია ჭიჭინაძეს იმასაც სწერდა, რომ მას გადაუწყვეტია პეტრიწის ლექსიკონის გამოცემა, მაგრამ არ ვიცი, ვინ იქნება ისეთი კაცი, რომელსაც მივანდობთ ამ საქმესო... „კაცი უნდა იყოს სწავლული და პატრიოტიო.“ ასევე აპირებდა პლატონ იოსელიანის თხზულებათა გამოცემას“.[1]

მღვდელმთავარი ზოგადად შენიშნავდა, რომ „ყოველივე ქართული ლიტერატურული წიგნის დაბეჭდვა იქნება სასიქადულოდ ეპისკოპოსისა და დაატკბობს მის სულსა და გულსა“.[2] მისი დამოკიდებულება წიგნთან და წიგნიერებასთან შორს იყო ამბად გასული. საინტერესოა, რომ გადასახლებაში მყოფი ქართველი პატიმრები წმ. მღვდელმთავარს ციმბირიდან სწერენ წერილს და სთხოვენ დახმარებას, რომ როგორმე ქართული დავითნი და ლოცვანი იშოვონ. [3]

წმ. მღვდელმთავრის სახელს უკავშირდება ქართლის ორი წამყვანი მონასტრის – შიომღვიმისა და ზედაზნის მონასტრების აღდგენა.

---

[1] ვ. გურგენიძე, წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 82.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №87.

[3] იქვე, №1672

1887 წელს შესრულდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ხარისხში მოღვაწეობის 25 წლისთავი. ეს თარიღი ქართველ საზოგადოებას ორი თვის დაგვიანებით გახსენებია და მრავალი „ადრესი“ მიულია მღვდელმთავარს. იგი არ ყოფილა იუბილეებისა და ქათინაურების მოსმენის მოყვარული. როგორც თანამედროვენი ახასიათებდნენ, „ამაოება ამაოთა“ მის გულს ვერ შეეხებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იგი სინოდისაგან მხოლოდ შიომღვიმის მონასტრის განახლების საქმის დაჩქარებას ითხოვდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი წერილები ეგზარქოს პავლესა და მიტროპოლიტ იოანიკესადმი, რომლებშიც ითხოვს დააჩქარონ უდაბნოს აღდგენის საქმე. დიდად იყო გახარებული იმ ფაქტით, რომ „უწმინდესმა სინოდმა წმინდა შიოს უდაბნო უკვე დაამტკიცა შტატის მონასტრად“.[1]

შიომღვიმე იმ დროს უკაცრიელ და უდაბურ ადგილად იყო ქცეული. ალექსანდრე ეპისკოპოსმა შექმნა მონასტრის აღდგენის ფონდი, რომელსაც 21000 მანეთი შესწირა. ამ ფულის მონაგები უნდა მოხმარებოდა მონასტრის აღდგენას. იგი მიმართავდა „ღვთისმოყვარე ქრისტიანებს“, გაეღოთ შეწირულობები. სამაგიეროდ აღუთქვამდა მათ, რომ მონასტრის საძმო ილოცებდა მათი ჯანმრთელობისა და განსვენებული მშობლების სულისათვის.[2] შეწირულობები ყველა მხრიდან იგზავნებოდა თბილისში ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელზე. მღვდელმთავარი რამდენიმე ფონდს განაგებდა. ეს იყო ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის, ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა თუ სხვ. ფონდები. იგი გაზეთის მეშვეობით

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №321. №380.

[2] იქვე, №71.

მუდმივად აცნობებდა საზოგადოებას თითოეული კაპიკის ხარჯვის შესახებ.

აი, როგორ ახასიათებს იავარქმნილ მონასტერს წმ. მოძღვარი წერილში, რომლის ადრესატი უცნობია, მაგრამ, ჩანს, მღვდელმთავარი უნდა იყოს: „აწ თვალისა და გულისათვის საზარელია დარღვეულის და დაქცეულის წმინდა შიოს სავანეს ხილვა. იქნება მოვიდეს დრო, რომ ძალითა ღუთისათა აღდგეს სავანე და ახლად აღდგენილის სავანეს ხილვა ფრიად სასიამოვნო იყოს“.[1] 1887 წლამდე შიომღვიმის მონასტერი თბილისის ფერისცვალების მონასტერს ეკუთვნოდა. ამავე წლიდან სინოდმა დამოუკიდებელ მონასტრად განაწესა. 1887 წლის თებერვალში უწმინდესი სინოდი მადლობას უხდის ეპისკოპოს ალექსანდრეს „ქართული ბიბლიის გასწორებისა და შიო-მღვიმის მონასტრისათვის 21000 მან. შეწირვის გამო.“ სინოდის ბრძანებით წმ. ალექსანდრე ინიშნება მონასტრის წინამძღვრად. დაწესდა, რომ მისი გარდაცვალების შემდგომაც მონასტრის წინამძღვრად ქართველი ვიკარი, ხოლო საძმოს წევრად რამდენიმე რუსიც ყოფილიყო.

ალექსანდრე ოქროპირიძე თავად განაგებდა აღდგენით სამუშაოებს, ყოველი წვრილმანი ჩინებულად იცოდა და ითხოვდა მატერიალურ თუ ფიზიკურ დახმარებას. ბუნებრივია, საჭირო იყო მუშახელი. იგი წერილით მიმართავდა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავს, მიეშველებინა ძეგველები, რომ მონასტერთან მისასვლელი წვიმებისაგან ჩარეცხილი გზის შესაკეთებლად საჭირო ქვა როგორმე აეზიდათ: „ასი კომლი რომ გამოვიდეს თითო ურმითა ერთ დღესა ჩვენთვის საკმაო ქვას აიტანენ“.[2] ასევე ითხოვდა დახმარებას მტკვრის სანაპი-

---

[1] იქვე, №380.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №321, №354.

როდან ეკლესიის ასაშენებლად საჭირო აგურის ასატანად. თუ არა და ჩვენ მაინც ჩვენი ძალებით ვეცდებითო, – წერდა. ხოლო მათი „ძალები“ სულ 10 კაცი იყო: 4 მღვდელმონაზონი, 2 იეროდიაკონი და 4 მორჩილი.

მღვდელმთავრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა მონასტრის აღდგენაც, რკინიგზის სადგურზე ბაქანის და მტკვარზე ბორანის გამართვაც. „ხსენებული ბორანი თავის ჯაჭვით, რომელიც ინგლისიდამ გამოიწერეს, ას-ორმოც-და-ათ თუმნამდე დაუჯდა ეპისკოპოსს. ურემი, საქონელი და ქვეითი ხალხი დაუბრკოლებლად დაიარება მტკვარზე ბორნით“.[1] სამგზავრო თუ სატვირთო მატარებლები წმ. მღვდელმთავრის თხოვნით ბაქანზე ჩერდებოდნენ, რათა მრევლს მონასტერში მისვლა გაიოლებოდა.

დღის წესრიგში დადგა მონასტერში სამეურნეო საქმის აღდგენაც. უწინ მონასტრის კუთვნილი მამულები და სხვა ქონება თბილისის ფერისცვალების მონასტრის ანგარიშზე ირიცხებოდა. წმ. ალექსანდრემ ეს ქონებაც დაუბრუნა შიომღვიმის მონასტერს და აღადგინა მეურნეობა, ხეხილის ბაღი, ზვრები, მეფუტკრეობა. თვითონ იძლეოდა განკარგულებებს, თუ ვის უნდა განეგო ფინანსები, ვინ უნდა ყოფილიყო მონასტერში, ვინ – ზვარში, როგორ უნდა შეენახათ სანოვაგე. „უთავბოლოდ პურს ნუ ხარჯამენ და ნუ ღუპვენ,“ – სწერს ერთ მორჩილს თბილისიდან.[2] იგი ავალებს ბერებს მონასტრის კუთვნილი ნივთებისა და სამეურნეო დანიშნულების იარაღების დეტალურ აღწერას.

ბუნებრივია, ამდენი კეთილი საქმის კეთებას ალექსანდრე ოქროპირიძე მარტო ვერ შეძლებდა, მის გვერდით იდგნენ

---

[1] „ივერია“, 1889, №46.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №318.

ჩინოსანი თუ უბრალო ადამიანები. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უმადურობით უხდიდნენ სამაგიეროს. მიმდებარე სოფლებიდან ავაზაკებმა რამდენჯერმე გაქურდეს მონასტერი. ერთი ასეთი ფაქტი მოხდა 1894 წელს, როცა სამეურნეო დანიშნულების იარაღები მოიპარეს. მღვდელმთავარი სთხოვდა შესაბამის პირებს, დაეცვათ მონასტერი მათი თავდასხმებისაგან[1].

წმ. მღვდელმთავარს ცილისწამების ატანაც უხდებოდა. ახლომახლო სოფლების მოსახლეობის ერთი ნაწილი ბრალს სდებდა მხცოვან ბერს, თითქოს იგი დიდ გადასახადებს ითხოვდა მათგან და ეგზეკუციის ჩაყენებით ემუქრებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ცილისწამება და ჭორი იყო. პირიქით, მომჩივნები საძოვრების გადასახადის მინიმუმსაც არ იხდიდნენ, ხოლო ალექსანდრე თხოვნით თავს არ აბეზრებდა. „რაც შეეხება ეგზეკუციის ჩაყენებას, ეს ხომ სულ ცილის წამება არის და რას მემართლებიან არ ვიციო,“[2] – გულისტკივილით შენიშნავდა ეპისკოპოსი. რასაკვირველია, ამ ცილისწამებისა და ჭორების ავტორები ისინი იყვნენ, ვისაც ხალხის თვალში ეკლესიისა და სამღვდელოების დამცრობა სურდათ.

ამ უსიამოვნებას ზედ კიდევ ორი შემთხვევა დაერთო. თბილისის გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებიც ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ, ღამისთევით გაჩერებულან მონასტერში. მიუღიათ ყველანაირი პატივი, „სასმელ-საჭმელი, საგებ-სახურავი“ და მადლობის მაგივრად ისეთი სამარცხვინო საქმე ჩაუდენიათ, რომლის მსგავსი „გონება დახშულ ადამიანებს არ ეპატივება“. დაუმტვრევიათ და გაუფუჭებიათ, რაზეც ხელი მიუწვდათ, მაგრამ წმ. ალექსანდრე ზარალს კი არა, ახალგა-

---

[1] იქვე, №317.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №41.

ზრდების სულიერ მდგომარეობას ჩიოდა“.[1] მეორე შემთხვევა, რის შემდეგაც მღვდელმთავარს დიდხანს აღარც უცოცხლია, იყო ბოროტმოქმედთა თავდასხმა. მათ გაძარცვეს მონასტერი, წაიღეს სხვადასხვა ნივთი და 40 ფუთი თაფლი, რომელთა ადგილსამყოფელი საკმაო სიზუსტით იცოდნენ და მთლად უცხონი არ უნდა ყოფილიყვნენ. მძარცველებმა მოკლეს მღვ-დელმთავრის საყვარელი მორჩილი მაქსიმე ჩიგოგიძე, რომე-ლიც წინამძღვართან ერთად ცხოვრობდა საბერო სენაკში. ამ ფაქტის შესახებ წმ. მღვდელმთავარს მთავრობისათვის რომ ეცნობებინა, არ გაჭირდებოდა ბოროტმოქმედთა დადგენა, მით უმეტეს, მან გაიგო თავდამსხმელთა სადაურობა. „მაგრამ ხალხის სიბრალულმა და სიყვარულმა დასძლია და სწორედ მისთვის, რომ ეგზეკუცია არ ჩაეყენებინათ სოფლელებისათ-ვის, სადაც დანაშაულებთან უდანაშაულოც დაისჯებოდა, გა-ჩუმდა და გულში ჩაიკლა ეს ვარამიც“.[2] ეს ფაქტიც საკმა-რისია იმის საჩვენებლად, როგორ უნდა „გიყვარდეს მტერი შენი...“

წმ. მღვდელმთავრის სახელს უკავშირდება ქართლში ერთ-ერთი მთავარი სასულიერო კერის – ზედაზნის მონასტ-რის აღდგენაც. 11700 მანეთი შესწირა ამ საქმეს, რომლის მონაგებიც მონასტრის განკარგულებაში იყო. მის პირად არ-ქივში შემონახულია სიტყვა, წარმოთქმული წმ. იოანე ზედა-ზნელის ხსენების დღეს, სადაც იგი მონასტრის აღდგენის პირობას დებს. „კვალად ვაღვიარებ, რომ უკეთუ ღმერთმა სიცოცხლე მომცა ეს მონასტერი აღვადგინო და შეწირვითა უზრუნველვყო“.[3] აღასრულა კიდეც ეს აღთქმა. უფლის გან-

---

[1] იქვე.

[2] იქვე.

[3] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალე-ქსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №104.

გებით იგი ზედაზნის მონასტრის წინამძღვრადაც დაინიშნა. მოხდა უცნაური და ნიშანდობლივი რამ: სიზმარში უნახავს, რომ ზედაზნის მონასტერს აბარებდნენ და მეორე დღეს გამოუცხადებიათ კიდეც ეს გადაწყვეტილება.[1]

ალექსანდრე ოქროპირიძე შეუპოვარი და მკაცრია, როცა საქმე ეროვნულ საგანძურს ეხება, ლმობიერი და მიმტევებელია, როცა ამას მოყვასთან ურთიერთობა ითხოვს. ერთხელ მის ყურამდე მიუღწევია ცნობას, რომ ზედაზნის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს უდიერად მოქცევიან სიძველეებს და შეხებიან იოანე ზედაზნელის ლუსკუმას. უმკაცრესი ტონი აქვს მღვდელმთავრის განკარგულებას, რომელსაც იგი მღვდელ-მონაზონ ათანასეს უგზავნის: „მოვიწერ მომახსენო, ვის ბძანებით მოისპო ისტორიულნი შენობანი. რაც ძველი ისტორიული და არხეოლოღიულნი ნივთნი არიან, არავისა აქვს ნება შეეხოს და ხელი ახლოს... არ გაბედოთ ხელის შეხება ძველთა ძეგლთა და ნაშთთა... ან ვინ გაკადნიერდა და შეეხო წმიდა იოანე ზედაზნელის საფლავსა... არავინ არ გაბედოს წმიდა იოანე ზედაძნელის საფლავის და ნაწილების შეხება, თორემ კანონისამებრ უმაღლესის მთავრობისაგან სასტიკად დაისჯება“.[2] 1898 წელს, როცა ალექსანდრე ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მიემგზავრებოდა, წმ. ილია მართალმა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ასეთი რამ უთხრა მას: „თქვენ აღგვიდგინეთ ჩვენი დავიწყებული წმინდანი შიო მღვიმელი და იოანე ზედაზნელი...“[3]

1890 წელს ალ. ოქროპირიძემ თხოვნით მიმართა ეგზარქოს პალადის (1887-1892) ჯვრის მონასტრის უკეთ დაცვის მიზნით მისი ზედაზნის მონასტრისათვის გადაცემის

---

[1] იქვე, №119.
[2] იქვე, №321, №304.
[3] „ივერია“, 1898, №103.

თაობაზე[1]. თხოვნა დაკმაყოფილდა. იმავე დღეს, როცა ეს გადაწყდა, მღვდელმთავარმა ალექსანდრემ წირვა აღავლინა ჯვრის მონასტერში და ქადაგებისას მრევლს ახარა ეგზარქოსის გადაწყვეტილება. დაიწყო ჯვრის მონასტრის აღდგენის მძიმე სამუშაო. ალექსანდრე ოქროპირიძე თბილისიდან ადევნებს თვალყურს ყოველ წვრილმანს. მის მიმოწერაში აღდგენითი სამუშაოების უშუალო მეთვალყურესთან – მღვდელმონაზონ დიომიდესთან საუბარია თითოეული კაპიკის განაწილებასა თუ სამშენებლო მასალაზე.[2]ჯვრის მონასტერი ტერიტორიების სიმწირეს განიცდიდა, მღვდელმთავარი ითხოვდა მონასტრისათვის გარკვეული ოდენობის მიწის ფართის გადაცემას. მომლოცველები ვერსად ჩერდებიან და ეს ბევრ უხერხულობას ქმნისო,[3] – წერდა იგი. მაშინაც კი, როცა გარკვეული აღდგენითი სამუშაო ჩატარებული იყო, ჯერ კიდევ ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო ტაძარი, რომ ფანჯრები ჩამტვრეული იყო და „ეკლესიაში სანთელს არ აყენებდა ქარი“[4].

1500 მანეთი შესწირა ალექსანდრე ოქროპირიძემ სვეტიცხოვლის აღდგენით ფონდს. მის მზრუნველ ხელს არც დავით გარეჯის ლავრა გამორჩენია, რომელსაც ათი თუმანი შესწირა 1880 წელს.

წმ. მღვდელმთავარი განაგებდა ქართლის კიდევ ერთი ტაძრის – იკორთის აღმდგენელ კომიტეტს. ტაძრის აღდგენის ნებართვა ეგზარქოსისაგან გამოუთხოვია გორის საკრე-

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №321, №135.

[2] იქვე, №650, №652.

[3] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №360.

[4] იქვე, №650.

ბულო ტაძრის მღვდელს იოელ გამრეკელს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა კიდეც ამ საქმეს. „საქმემ ძლიერ წაიწია წინ მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოს ალექსანდრეს მეოხებით," – იუწყებოდა გაზეთი „ივერია".[1] იკორთა ერისთავების საგვარეულო სამარხი იყო, ამიტომ წმ. ალექსანდრემ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ძირითადად შეძლებული ერისთავები მოიშველია.

ბუნებრივია, მღვდელმთავარს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდა მშობლიურ დისევ-კულბითთან და, ზოგადად, ქართლთან. ამის მაგალითია გორის სოფლებში აღდგენილი ეკლესიები. საინტერესოა, რომ მან საკუთრარი სოფლის, დისევის ეკლესია ჯერ კიდევ აფხაზეთში მოღვაწეობის დროს აღადგინა. 1872 წელს გაანახლა სოფელ დისევში მისასვლელი გზაც.[2] 90-იანი წლების დასაწყისში განაახლა კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის აღდგენითი სამუშაოებისათვის მოიწვია ბერძენი ოსტატები.[3] ამავე ხანებში მისსივე თაოსნობით დასრულდა გორის მაზრის სოფ. არბოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 40 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. არბოს ეკლესიაში მოღვაწე მღვდელი გიორგი გვიმრაძე მღვდელმთავარს მუდმივად აწვდიდა დახარჯული თანხის ანგარიშს.[4] გაზეთის საშუალებით „ეპისკოპოსი ალექსანდრე, ვიკარი საქართველოისა, უცხადებს გულითადს მადლობას და უძღვნის თავის მღვდელმთავრულს ლოცვა-კურთხევას ყველა იმათ, რომელთაც შე-

---

[1] „ივერია", 1891, №188.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №1506

[3] იქვე, საქმე №1437

[4] იქვე, საქმე N1826

მოსწირეს ფული დასასრულებლად აღნიშნულის ეკლესიის".[1] ტაძრის კურთხევის ბედნიერებაც მასვე ხვდა წილად. ეს ორ-მაგი სიხარული იყო მისთვის, რადგან აქ ჯერ კიდევ ყმაწვი-ლი ალექსი მეზობელი სოფლიდან მშობლებთან ერთად მოსა-ლოცად დადიოდა. „მახსოვს მე ჩემი ყმაწვილობის დრო, - მიმართავდა მრევლს წმ. მღვდელმთავარი, – როდესაც აქ არბოს მოვდიოდი ჩემი მშობლებითურთ დღესასწაულში, რო-გორც მეზობელი სალოცავათ. წარმოვიდგენ წარსულს და ფრიად სასიამოვნოთ მირჩება აწმყო. უწინდელ დროში ყველა მლოცველთა თავისუფლად არ შეეძლოთ ელოცათ აქ არბოს ძველ ტაძარში, მის გამო, რომ ძრიელ პატარა იყო ძველი წმ. გიორგის არბოს ეკლესია... მრევლნო და ძმანო ამ საყდ-რისანო, ფრიად სასიხარულოა, რომ დიდის მეცადინეობის შემდეგ ეკურთხა ჩემის ცოდვილის ბაგით და ხელით."[2]

შემორჩენილ ჩანაწერებში ალექსანდრე ოქროპირიძე აღ-წერს ქართლის ტაძრების – წრომის წმ. რაჟდენ პირველმო-წამის, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის, სარკის წმ. გიორგის სა-ხელობის ტაძრების მდგომარეობას.[3]

იგი მეთვალყურეობდა ლარგვისის, ნიქოზის, თიანეთის სოფ. ნოდოკრის წმ. მეფეთა – არჩილისა და ლუარსაბის სა-ხელობის ტაძრების აღდგენით სამუშაოებსაც.

ცნობილია, რომ მღვდელმთავარ ალექსანდრეს მოღვა-წეობის ჟამს ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტი საქართველოში საკმაოდ დაკნინებული იყო. ამგვარ ბედუკუღმართობას მტკი-ვნეულად განიცდიდა წმინდანი. ეს ნათლად ჩანს მისი მიმო-

---

[1] „ივერია", 1890, №143.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალე-ქსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №103.

[3] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალე-ქსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №1088.

წერიდან სხვადასხვა პიროვნებისადმი. მაგალითისათვის დავასახელებთ წერილს, რომელსაც იგი კიევის სასულიერო აკადემიაში სწერს ერთ მღვდელმთავარს თავისი ძმისშვილის – ლონგინოზ ოქროპირიძის შესახებ (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921). ალექსანდრე სთხოვს ადრესატს, რომ მან ლონგინოზს მისცეს თავისი მღვდელმთავრული ლოცვა-კურთხევა ბერად აღკვეცის შესახებ. როგორც წერილიდან ირკვევა, ბიძა-ძმისშვილს შორის ადრევე ყოფილა შეთანხმება ამის თაობაზე და ლონგინოზს ბერობის პირობა მიუცია ბიძისათვის. ბიძა იმედს გამოთქვამს, რომ ლონგინოზი, მისი თავმდაბლობისა და შემგუებლური ბუნების წყალობით კარგი ბერი დადგება. წერილში იგი გულისტკივილით აღნიშნავს: „საქართველოში ბერ-მონაზვნობა დაკნინდა... საქართველოში აკადემიური განათლების მქონე ბერი მხოლოდ ორნი ვართ – მე და იმერეთის, ქუთაისის ეპისკოპოსი გაბრიელი“[1] (რუსულიდან თარგმანი ჩვენია – ე.ფ.). აი, კიდევ ერთი წერილი, რომელსაც იგი თავის ძმისშვილს – მონაზონ ანას სწერს 1885 წლის 18 აგვისტოს: „მოიდრიკე თავი შენი წინაშე მაცხოვრისა, აღიღე ჯვარი ქრისტესი და შეუდექი მოლოზნობასა. დასტუე ცოდვილი ესე სოფელი და ამიერიდგან ადიდე უფალი და წმიდანი მისნი, და მადლი მაღალის გფარვიდეს შენ, თვით განგება ღუთისა გიძღვის შენ მოლოზნობის გზასა ზედა. გზა ესე იქნება შენთვის გზა მყუდროებისა და ცხონებისა. მეცა ვისურვებ, რათა უარჰყო ესე წუთისა სოფელი და დედათა მონასტერსა შინა მარადის ადიდო უფალი და აცხოვნო სული შენი. შენი მყუდრო ცხოვრების და სულის ცხონების მოსურნე ბიძა, ეპისკოპოსი ალექსანდრე. თბილისი.“[2]

---

[1] იქვე, საქმე №386.
[2] იქვე, საქმე №1588.

მრავლისმთქმელად გვეჩვენება მღვდელმთავრის მიერ მიწერილი წერილი სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონ ნინოსადმი, რომელიც უკვე ასაკში მყოფი აღუკვეცია მონაზვნად თავად ალექსანდრე ოქროპირიძეს. წერილი ღრმა სულიერ-ზნეობრივი დარიგებაა, საიდანაც ამონარიდის მოყვანა გაჭირდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი არის მონაზვნური ცხოვრების კრედო.[1]

ბიძის ცხოველმა მოღვაწეობამ აღუძრა ბერობის სურვილი და მისი მეურვეობის ქვეშ გამოიზარდა საქართველოს ეკლესიის კიდევ ერთი დიდი მოღვაწე, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე. ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცულ მათ მიმოწერაში თვალნათლივ ჩანს, თუ რა მზრუნველი დამოკიდებულება ჰქონდა ბიძას ძმისშვილისადმი. ალექსანდრე მშობლის რუდუნებით ინიშნავს ყოველ წვრილმანს, რაც ლონგინოზს უკავშირდება: როდის და რა წიგნები გაუგზავნა კიევის აკადემიაში, როდის აკურთხეს მღვდლად, არქიმანდრიტად, როდის დააჯილოდოვეს ენქერით და ა. შ. როცა თბილისის სასულიერო სემინარიიდან ლონგინოზი კავკასიის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, ალექსანდრე ეპისკოპოსმა წერილი მისწერა არქიმანდრიტ ტიხონს და მზრუნველობით ჩააბარა ძმისშვილი. იგი წერილებში ყოველთვის გამოთქვამდა იმედს, რომ ლონგინოზი ნდობას გაამართლებდა და გაამართლა კიდეც. „მარტოდ ისიც საკმარისია თქვენის მადლობით ხსენებისათვის, – მიმართავდა დიდი ილია მხცოვან მღვდელმთავარს, – რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრულ სიყვარულით გაუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზრდილი, თქვენის მაგალითით გაწურთვნილი, თქვენის

[1] გაზ. „დროება“, 1869, №13.

სულისა და გულის თანამოზიარე განძია, საუნჯეა. ჩვენ შევ-ჰხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოსს სასოებით და იმედითა, იმიტომ, რომ თქვენი გაზრდილია, თქვენი სულიერი შვილია და ყოველი მზგავსი მზგავს ჰშობსო, ნათქვამია“.[1]

1898 წლის მაისში წმ. ალექსანდრე ემშვიდობებოდა ქართლს და მიემგზავრებოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, სადაც შვიდ ათეულ წელს გადაცილებულ მოღვაწეს კიდევ თავდაუზოგავი ბრძოლა ელოდა. 17 მაისს ეპისკოპოსმა ლეონიდემ სიონის საპატრიარქო ტაძარში დიდძალი მრევლის თანდასწრებით პარაკლისი გადაიხადა, რითიც ეთხოვებოდა თბილისი წმ. მოღვაწეს. ყველას უნდოდა ლოცვა-კურთხევა მიეღო საყვარელი მღვდელმთავრისაგან. ალექსანდრე ოქროპირიძეს სამადლობელ სიტყვაზე ბევრი ატირებულა.

მოძღვრის ცხოვრების გაცნობისას გაოცებას იწვევს მისი ცხოვრების ტემპი. უკვე მოხუცებულს, შეეძლო რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ ეტარებინა წირვა-ლოცვები, მათ შორის, ღამისთევით, შუალედში მოენახულებინა სასწავლებლები, დაემოძღვრა მოწაფეები, მიეღო მრევლი საჭიროების შემთხვევაში, გაევლო ასობით კილომეტრი ასეთი დატვირთული მსახურების პირობებში. მოვიტანთ ამონარიდს „მილოცვის ადრესიდან“, რომელიც 1893 წელს გორის მაზრის მცხოვრებთ მიურთმევიათ მღვდელმთავრისათვის: „აღტაცებით შემოსცქერის მთელი ქართველობა თქვენს მოხუცებულობას! წლოვანება, საზოგადოდ, აუძლურებს ადამიანს: უსუსტებს მხნეობას, უკლავს წარმატების სურვილსა! ჩვენდა საბედნიეროდ, ეს კანონი ბუნების ყოვლადმოწყალე მეუფეს თქვენთვის აურიდებია! რავდენიც დრო გადის და წლოვანება გიმრავლ-კეცდებათ, იმდენად თქვენი სული ძლიერდება, თქვენი მხნეობა მტკიცდება, სიტყვა თქვენი მაღლდება და

[1] „ივერია“, 1898, №103.

აწინდელ ქართველის დაჩაგრულს გულს წმიდა აიაზმის წყალად ეპკურება“.[1] ეს სიტყვები იწერება მაშინ, როცა მღვდელმთავარი ისე მძიმედ ყოფილა ავად, რომ დაჩოქილი სხვათა დაუხმარებლად ვეღარ დგებოდა. პირად მხლებელთა გარდა, არავინ უწყოდა, რომ „ღვთის მსახურების დროს, თითქო ფეხებში ნემსებს სჩხვლეტენო, სულ ირყეოდა ერთი მხრიდან მეორეზე,“ ფეხები „კვირისტავიდან კოჭებამდე დაშარტული“ ჰქონდა[2].

1903 წლის მიწურულს მოხუცი მოღვაწე კვლავ მშობლიურ ქართლს და შიომღვიმის მონასტერს დაუბრუნდა.

უმძიმესი ტრაგედია იყო მისთვის თავისი სულიერი შვილისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერის – ილიას მკვლელობა. დაკრძალვის დღეს ალექსანდრე ოქროპირიძე უკანასკნელად გამოვიდა მონასტრიდან, გამოეთხოვა დიდ ქართველს და საუკუნოდ დაუბრუნდა შიომღვიმის მონასტერს. ამის შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია, დაახლოებით ორი თვის თავზე ღვთივგანისვენა წმინდა მღვდელმთავარმა. იგი დაიკრძალა მონასტრის დიდ საკრებულო ტაძარში. მრავლისმთქმელად გვეჩვენება ალ. ეპისკოპოსის არქივში დაცული ერთი უთარიღო ჩანაწერი: „სიზმარი ვნახე, რომ ჩემი სახელი შიომღვიმესთან იყო ქაღალდზედ დაწერილი“[3]. მისი სახელი მართლაც საუკუნოდ დაიწერა შიომღვიმის ლავრის თითოეულ ქვაზე.

დასასრულ, მინდა შევეხო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის მიერ მონათხრობ ერთ სასწაულს, რომელიც

---

[1] „ივერია“, 1893, №143.

[2] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, საქმე №40.

[3] იქვე, საქმე №119.

უშუალოდ უწმინდესისა და უნეტარესის მითითებით დაემატა მოხსენებას. თავად უწმინდესისა და უნეტარესისათვის ეს სასწაული მოუყოლია კათალიკოს – პატრიარქ ეფრემ II (სიდამონიძეს) (1960-1972). ერთ დღეს მღვდელმთავარი ეფრემი საპატრიარქოს შენობის ერთ ოთახში მარტო მჯდარა. უცებ დაუნახავს, რომ ოთახში შემოვიდა სამი ოქროპირიძე – მღვდელმთავარი ალექსანდრე, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე და ეპისკოპოსი პიროსი, რომლებიც დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ და ეპისკოპოს ეფრემისათვის განუცხადებიათ, რომ იგი კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე იყო მოწოდებული. ეს არ იყო სიზმარი, ეს ჩვენება უწმინდეს ეფრემს ცხადში ჰქონია. მეორე დღეს წმინდა სინოდის სხდომაზე გამოუცხადებიათ: ის გამორჩეული იყო კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე. ამ სასწაულის საღვთისმეტყველო ანალიზს ჩვენ არ ვაპირებთ, მაგრამ, ცხადია, უფალი ერთეულთ ირჩევს ასეთი მადლის ჭურჭლად. ასე გამოუცხადეს ოქროპირიძეებმა განგების ნება უწმინდეს ეფრემს.

1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად კანონიზების ფაქტით მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე საუკუნოდ მიიჩნია საქართველოს მეოხად უფლის წინაშე.

დამოწმებანი:

1. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი.
2. გაზეთი „ივერია“, 1889, №46, 204; 1890, №143; 1891, №188; 1893, №143, 242;
3. ვ. გურგენიძე, წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, ტ. II, თბ., 1997.
4. გაზ. „დროება“, 1869, №13.

Ekaterine Pavlenishvili
Tbilisi Theological Academy and Seminary

FROM THE HISTORY OF ALEKSANDRE OKROPIRIDZE'S ACTIVITIES IN KARTLI

RESUME

Saint High Priest Alexandre Okropiridze (1824-1907) was a great national figure of the 19th century. In the epoch, when Georgia had lost its state independence and the Apostolic Church had lost its autocephaly, St Alexandre together with his ideological accomplices was active to protect the interests of the nation and the church. The grateful Georgian people worthily referred to St. Alexandre as "Alexandre the Builder" and "Another Apostle of Abkhazia," and the Holy Synod of the Georgian Church canonized him in 1995.

St. Alexandre was born and grew in the village of Disevi, Gori District. Naturally enough, he was in love with his native Kartli profoundly to whose spiritual reconstruction he made a particular contribution. The paper is an attempt to present the activities of the High Priest in Kartli.

ტარიელ ფუტკარაძე
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თანამედროვე ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები /საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის კონტექსტი/

შესავალი

საუკუნეების მანძილზე კავკასია დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების დაპირისპირების ობიექტია, მიუხედავად ამისა, ქართველთა მიერ დაფუძნებულმა სახელმწიფომ და ქართულმა კულტურამ დიდ წარმატებებს მიაღწია. საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდი იყო 1783 წლიდან ვიდრე 1990 წლამდე, როდესაც კავკასიელთა ნაწილის (მათ შორის ქართველების) ხელშეწყობით რუსეთმა **ფაქტობრივად მიიერთა საქართველო**. ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის მესვეურნი ცდილობდნენ ქართველი ერის **ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებასა** და საქართველოში **დემოგრაფიული სიტუაციის თვისობრივ შეცვლას** ქართველთა გენოციდითა და მოსახლეობის ცნობიერების ტრანსფორმირებით[1]. კერძოდ, **დემოგრაფიული სიმძლავრის**

[1] შდრ.. დემოგრაფიული ექსპანსიის სამი ძირითადი მიმართულება: 1. ავტოქთონი მოსახლეობის გენოციდი. 2. დემოგრაფიული სურათის შეცვლა არაავტოქთონი მოსახლეობის ჩასახლებით. 3. ავტოქთონი მოსახლეობის თვითაღქმის (იდენტობის) შეცვლა. ცნობიერების შეცვლა ხდება საინფორმაციო ზეწოლის მიზნით შექმნილი კვაზიმეცნიერული დებულებებით: ბოლო 200 წელიწადში, როცა მსოფლიოში შთამბეჭდავად გან-

მართვის მიზნით, ბოლო 150 წელია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით პოლიტიზებული ენათმეცნიერები, ეთნოლოგები და ისტორიკოსები[1], ამახინჯებენ რა ქართველი ერის რეალურ ენობრივ-კულტურულ და ეთნიკურ-პოლიტიკურ ისტორიას, ცდილობენ, **ქართველთა დიდი ნაწილი არაქართველებად**, მათი ისტორიული საცხოვრისები კი - არაქართულ მიწებად გამოაცხადონ. **ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დღესაც სამი მიმართულებით მუშაობს:**

1. ფსევდომეცნიერული დებულებების - იდეოლოგემების[2] - პროპაგანდით ცდილობს, რომ ქართველთა ნაწილს მაინც შეუცვალოს ეროვნული მეობა (იდენტობა). **მაგ.**, რუსეთისგან

ვითრდა ჰუმანიტარული მეცნიერებანი, საქართველო ოკუპირებული და ანექსირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას, შესაბამისად, ქართველოლოგია, როგორც ქართული სახელმწიფოს საფუძვლის შემქმნელი მეცნიერება, ძირითადად, იმპერიის ინტერესების შესაბამისად იგეგმებოდა.

[1] არაქართველებად აცხადებდნენ იმერლებს, მეგრელებს და სვანებს საუკუნის წინანდელი ცნობილი რუსი ემისრები:

კირილ პეტრეს ძე იანოვსკი (1822-1902) - რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი 1878-1902 წლებში. აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის (გარდაიცვალა სოხუმში).

ივან ივანის ძე ვოსტორგოვი (1964-1918), რუსი საეკლესიო მწერალი და მისიონერი; ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი; რედაქტორი ჟურნალისა: "Духовный вестник Грузинского Экзархата". აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის. ი. **ვოსტორგოვი რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2000 წელს წმინდანად შერაცხა.**

[2] **იდეოლოგემა** - Fredric Jameson-ის მიერ შექმნილ ტერმინს: „Ideologeme" ვიყენებთ ისეთი კვაზიმეცნიერული თვალსაზრისის (დებულების) აღსანიშნავად, რომელიც იქმნება რაიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკური (როგორც წესი, იმპერიული) გეგმის განხორციელების პროცესში და რომლის მიზანია რეალობის/სინამდვილის/ შენიღბვა ან გაყალბება.

კარგად დაფინანსებული პირები (ი.კორიაკოვი, ვ. ფოიერშტა-ინი, ჯ. ჰიუიტი და სხვები) დღემდე წარუმატებლად ცდი-ლობენ დააჯერონ სვანები, მეგრელები, ლაზები, აჭარლები, მესხები, იმერლები, თუშები, ხევსურები... რომ ისინი ქართ-ველები არ არიან. **უნებურად**, ამგვარ პოზიციას საყრდენს უქმნის ზოგი მეცნიერიც, რომელიც დღესაც არასაკმარისი არგუმენტებით ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ეთნოსების ენე-ბია: ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური, მესხური, ხევსურული[1]...

2. მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდით ცდილობს, დააჯე-როს მთელი მსოფლიო, რომ ქართველები არ არიან: აჭარ-ლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ხევსურები, მესხები, თუშები და ა.შ. მათი მონაცემებით, საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში **ეს „ეთნიკური ჯგუფები“ „იჩაგრებიან“ ქართ-ველებისგან (ქართლელებისგან), რამდენადაც მათ საკუთარი „დედაენების“ მიხედვით არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა.** ამ „ხალხებს“ ე.წ. „ქართიზაციით“ თავს მოხვეული აქვთ „დამპყრობელი“ ქართველების ენა. მსოფლიო უნდა დაეხმა-როს ამ „დაჩაგრულ“ „ეთნოსებს“[2].

---

[1] საკითხის ისტორიისთვის იხ.: ტარიელ ფუტკარაძე, ეკა დადიანი, ლუიზა ხაჭაპურიძე, ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები, ქუთ., 2009 (XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებები) http://www.scribd.com/doc/23255608/putkaradze-dadiani-L-xach-XXIX-Dialekt-Sesiis-Moxsen; იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. და-დიანი, რ. შეროზია, "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო", ქუთ. 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010.

[2] საკითხის ისტორიისთვის: **მიტროპოლიტი ანანია** (ჯაფარიძე), ქა-რთული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1976-2003; **ტ. ფუტკარაძე, ნ. ნაკანი**, სვანები სალიტერატურო ენისა და სვანური

3. **ზოგი უცხოელი ადგილობრივი პირის ავტორიტეტისა და საეჭვო ღირებულების "სამეცნიერო კვლევების" გამოყენებით** ცდილობს, დააჯეროს მსოფლიოს ელიტური წრეები, რომ **არ არსებობს ერთიანი ქართული კულტურა**, რომ საქართველო მცირე იმპერიაა (იხ., ე. ბონერის ცნობილი ფრაზა), რომ **ქართლელებმა თავის დროზე დაიპყრეს და დღესაც ჩაგრავენ** „უმწიგნობრო ენების“ მქონე „ხალხებს“: მესხებს, აჭარლებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს (იხ. ე.წ. ქართიზაციის თეორია).

ამგვარი ფონის შექმნის შემდეგ რუსეთისგან დაფინანსებული პოლიტიკური წრეები ცდილობენ, საქართველოში შექმნან ათამდე ე.წ. კულტურული ავტონომია და ე.წ. ფედერაცია-კონფედერაციის გზით სამუდამოდ დაანაწევრონ საქართველო.

საერთაშორისო ასპარეზზე დღეს ჩვენ ნამდვილად ვაგებთ სამეცნიერო-საინფორმაციო ომს: ქართველობა დაშ-

---

მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვითმიკუთვნებულობის საკითხი), „ქართული“, 2001, №7; **ტ. ფუტკარაძე**, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, 624 გვ., ინგლ. 394-395 გვ., თურქ. 395-492გვ., The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; **მ. ტაბიძე**, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; **თ. გვანცელაძე**, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, 2006; **რ. გუჯეჯიანი**, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007; **ტ. ფუტკარაძე,** საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234.
http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia...

ლილად ვართ წარმოდგენილნი ავტორიტეტულ ენციკლოპედიებსა და ცნობარებში. შესაბამისად, საქართველოს ეთნიკურ-ენობრივი ისტორიის მიმართ არაადეკვატურ შეფასებებს ავრცელებენ ნეიტრალური ექსპერტებიც კი (იხ., მაგ., ჰ. ტალიავინის დასკვნის ისტორიული ნაწილი)[1]. პარალელურად, რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ყველა არალეგიტიმური ხერხით ცდილობს, თავისი **გეოპოლიტიკური ამბიცია** დაიკმაყოფილოს ქართველი ერის გენოციდისა და საქართველოს სტრატეგიული ინტერესების ხარჯზე: საინფორმაციო ომის წაგების შემთხვევაში რუსეთს აქვს რეალური შანსი, გეოპოლიტიკური კონტროლი აღიდგინოს ცენტრალურ კავკასიაზე (ამიერკავკასიაზე)... შესაბამისად, ჩვენი, ქართველი მეცნიერებისა და საქართველოს ხელისუფლების ვალია, სწორი **სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვით** დროულად (თუ უკვე დაგვიანებული არ არის!) მივაწოდოთ ცივილიზებულ მსოფლიოს ქართველი ერის (საქართველოს) აკადემიური ენობრივ-ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორია და ობიექტურად აღწერილი თანამედროვე საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია.

ძირითადად რა სახის ინფორმაციებია ქართველებისა და საქართველოს შესახებ თანამედროვე მსოფლიოში?

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა პერიოდის ინერციით თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-სა-

---

[1] კრიტიკისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ტალიავინის კომისიის დასკვნის კიდევ ერთი „რუსული პასაჟი"; თბ., 2009: http://www.scribd.com/doc/21919401/T-Putkaradze-Taliavni-Komisiis-Daskvnis-Kidev-Erti-Rusuli-Pasaji; http://www.scribd.com/doc/22580484/T-Putkaradze-pirveli-06-11-09).

ინფორმაციო სივრცეში თითქმის უალტერნატივოდ **დღემდეა გაბატონებული** პოლიტიზებული ანტიქართული დებულებები, **რომლებიც რუსულ გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.** სამაგალითოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე კვალიფიკაციას:

1. 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში „საფრანგეთი და სამყარო“ ((La France et le Monde, Atlas) სხვადასხვა ფერით და ეთნიკური სახელით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები.

2. „ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ წიგნში "Europe of the Peoples" სხვადასხვა დროშით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, სვანები და ოსები.

3. **მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2012 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (ეთნოსები):** აზერბაიჯანელები - **308 000**, ასირიელები (აისორები) - **3 000**, **აფხაზები - 101 000**, ბაცბები - **3 420**, ბერძნები - **38 000**, **ლაზები - 2 000, მეგრელები - 500 000, ოსები - 100 000, რუსები - 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000**, სომხები - **448 000**, ურუმები - **97 746, ქართველები - 3 901 380, ქართველი ებრაელები - 20 000, ქურთები - 40 000.** (http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE; Ethnologue report for Georgia http://www.ethnologue.com).

4. ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის თანამედროვე გვერდზე, კერძოდ, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოში მცხოვრებ „ეთნიკურ უმცირესობა-

თა“ განსახლების რუკა, რომლის განმარტებების მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებად მიიჩნევა: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კვალიფიკაციების ჩამოსაყალიბებლად ავტორმა (P.J. Hillery) ცხრა წელი იშრომა (1996-2004); ასევე წლობით აქვს საქართველოში ნაღვაწი საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ ადრიან ბრისკუს
(იხ. http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

5. 2004 წელს ევროპაში შექმნილ ერთ-ერთ ეთნიკურ რუკაზე ცალკე ეთნოსადაა მიჩნეული მეგრელ-სვანები:



საქართველოს შესახებ ამგვარი კვალიფიკაციები თუ რუკები ფართოდაა გავრცელებული. შედარებით ვრცლად წარმოვადგენ ცნობილი რუსი ენათმეცნიერის პროფ. იური კო-

რიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტს: „**მსოფლიოს ენათა რეესტრი**“, სადაც ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად. კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემო სვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი. **ამავე ავტორის მიერ შექმნილ რუკებზე ქართული ენის საზღვარი სამტრედიაში გადის**.

ანალოგიურია ი. გიპერტის მიერ შექმნილი 1993-2003 წლებში შექმნილი რუკაც. მეტიც, ამ რუკის მიხედვით ქართული არ არის ცხინვალის მხარეში, სამეგრელოში, სვანეთში, იმერხევში, ტაოში (http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm):

საერთაშორისო მიმოქცევაში საქართველოს შესახებ არსებობს ი. კორიაკოვის სხვა რუკაც, სადაც თანამედროვე

ენობრივი „რეალობის“ ამსახველ რუკაზე სამეგრელოს სახელად მითითებულია Colkhis:



ამ იდეოლოგემით (**Colkhis = სამეგრელო**), ხაზგასმულია ქართულისა და მეგრულის დაცალკევება-დაშორების თითქოსდა ხანგრძლივი ისტორია: ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელები ენობრივ-კულტურულ-ეთნიკურად სხვა ქართველებისგან გამიჯნულნი არიან სულ მცირე 3 000 წელია. სინამდვილეში მეგრელი, კახელი, მესხი თუ ქართლელი მრავალი საუკუნეა ერთ ეთნოსს წარმოადგენს **ერთი დედაენით, ერთი კულტურითა და ერთი ისტორიული ბედით.**

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობის ისტორიისათვის

საქართველოს ისტორიისა თუ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გაყალბება ი. კორიაკოვის რუკებით არ დაწყებულა.მეცნიერების პოლიტიზების ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესო მსჯელობა აქვს გ. მელიქიშვილს:

„ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ძლიერდება **XIX საუკუნის ბოლოს**. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ფ. ჰომელის ახალი სამეცნიერო თეორია, რომლის მიხედვითაც ქართველების წინაპრებად მიიჩნეოდა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის დიდ ნაწილში განფენილი წინარეინდოევროპული მოსახლეობა - „ხალხთა ალაროდიული ოჯახი: ელამელები, კასიტები, ურარტუელები (მათი შთამომავლები არიან ქართველები), პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები... ფ. ჰომელის სამეცნიერო თეორიამ გააძლიერა ქართველთა კონსოლიდაცია, **მაგრამ ამ დროს ქართველობის წინააღმდეგ ანტაგონისტურად განეწყვნენ რუსეთის იმპერიის მესვეურნი და ამიერკავკასიაში არსებული ძლიერი სომხური ბურჟუაზია“**[1], რომლებიც შეეცადნენ, მთელ მსოფლიოში გაებატონებინათ ქართველთა დეზინტეგრაციის ხელშემწყობი იდეოლოგემები. კერძოდ, მას შემდეგ რაც რუსეთმა იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო, გაანადგურა სამეფო დინასტია, გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიზნით დაიწყო ქართული ენის, როგორც ქართველი ერის სწავლების ენის როლის ნიველირება და ქართული ენის, როგორც ქართველთა დედაენისა და ქართველთა მაკონსოლიდირებელი ენის ფუნქციის მოშლა. 1860 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი მეგრული ანბანის გამოყენებით რუსებმა მეგრულ დიალექტზე გადაიღეს წმინდა წერილის ცალკეული ადგილები. 1864 წელს კი რუსული გრაფიკის გამოყენებით გამოსცეს „ლუშნუ ანბან“ („სვანური ანბანი“) და შეეცადნენ ჯერ სამეგრელოდან და სვანეთიდან განედევნათ ქართული ენა. ამ მცდელობას წინ აღუდგნენ სვანები და მეგრელები და დაიცვეს მათი წინაპრე-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 329.

ბის მიერ შექმნილი ქართული ენა. **მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან** რუსეთი შეეცადა მთელ საქართველოში აეკრძალა ქართულენოვანი სწავლება. რუსეთის იმპერიას შეეწინააღმდეგა მოწინავე ქართული საზოგადოება. **საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ეს მიმართულება** („გათიშე და იბატონე"), რომელიც იწყება **მეფის რუსეთში, პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში. ი. სტალინის წიგნში,** „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (თბ., 1951), ვკითხულობთ:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... **რა ვუყოთ ასეთ ხალხებს**: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვა, **რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები** (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.) **უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142)...** სტალინის ეს კვალიფიკაციები 1913 წელს გამოქვეყნდა.

შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს ის, რომ ცოტა ხნით ადრე, 1912 წელს ნიკო მარი მეცნიერული ტერმინოლოგიით ამყარებს რუსეთის იმპერიის იდეოლოგემას, რომ სხვადასხვა ხალხებია მეგრელები, სვანები, ქართველები და სხვ. ნ. მარს ივ. ჯავახიშვილი პასუხობს (**შდრ., ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", თბ., 1992, 53-54):**

„1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად „ქა-

რთულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართებისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან"-ო (ნ. მარი, 1908, გვ. 1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები", დიალექტები იყო მხოლოდ... ნ. მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: „კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები" იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: „ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ" თქმად, ანუ დიალექტად სთვლიდნენ"-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური" შეხედულება მასაც ჰქონდა და **1905 და 1908 წლებში „მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა...** 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს...".

რუსეთსა თუ ზოგ საზღვარგარეთულ წრეში ქართველთა ისტორიის მიზანმიმართული გაყალბება დღესაც გრძელდება. დღესაც ცდილობენ საქართველოში ენობრივ-ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ და **ამ გზით წინაპრების მიერ შექმნილ დიდ სამწიგნობრო კულტურას მოწყვიტონ: ლაზები,**

მეგრელები, სვანები. ვფიქრობ, ამგვარი „ენობრივ-კულტურული დივერსია“ ზოგს უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის ვერფლობის გამო.
(იხ., http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html);

მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის ვებგვერდზე წარმოდგენილ საქართველოს ისტორიულ რუკებზე ქართული სახელმწიფო - GEORGIA - არ არსებობს მე-13 საუკუნემდე (http://www.euratlas.com/summary.htm.

GEORGIA-ს ნაცვლად რუკებზე ჩანს Iveria, colkhida და Abkhazia. არაქართველი მკითხველისთვის მიწოდებულია ინფორმაცია, რომ სახელმწიფო საქართველო დაპყრობითი ომებით შეიქმნა მხოლოდ მცირე დროით, XIII საუკუნეში; შდრ:

1. **ევროპა III საუკუნეში**
(http://www.euratlas.net/history/europe/300/index.html);

რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოებია: ლაზიკა, კოლხეთი და იბერია:

2. ევროპა IV საუკუნეში (http://www.euratlas.net/history/europe/400/index.html); აქ უკვე მხოლოდ ლაზიკა და იბერიაა დამოუკიდებელი სახელმ-წიფოები:

3. ევროპა XI-XII საუკუნეებში (http://www.euratlas.net/history/europe/1000/index.html); ამ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია დიდი აფხაზეთი და პატარა საქართველო (georgia):

შდრ.: XI-XII საუკუნეების რუკებზე I-X საუკუნეების რუკების ქორონიმ iberia-ს შეცვლა ქორონიმ Georgia-თი შემთხვევითი არ არის: პოლიტიზებულ მეცნიერთა ერთი ნაწილი დღეს ცდილობს დააჯეროს მსოფლიო, რომ ისტორიულად აფხაზეთი სხვაა, საქართველო კი სხვა, რომ აფხაზეთი არ იყო ქართულენოვანი სახელმწიფო (ამგვარი პათოსითაა შექმნილი ეს რუკებიც).

ამგვარი მეთოდოლოგიურად წინააღმდეგობრივი ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ისტორიოგრაფიულად გაყალბებული კვალიფიკაციები თუ რუკები ფართომასშტაბიან საინფორმაციო ომის კონტექსტშია გასააზრებელი. ამ რუკების ავტორებისთვის თითქოსდა უცნობია ისტორიული ფაქტი: მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ქართველთა ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის წინ დაიშალა პატარა საქართველოებად და არა - საკუთარი ენისა და კულტურის სამეფო-სამთავროებად.

დეზინფორმაციული მანქანა კი ადრეულ თუ გვიანდელ საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსებად დანაწევრებულად წარმოადგენს. დამპყრობელს არ სურს, საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი.

სამწუხარო ის უფროა, რომ თანამედროვე საქართველოს სამეცნიერო ცენტრებიც ვერ აღწევენ თავს საბჭოურ ინერციას: მაგ., საერთაშორისო ქსელში წარმოდგენილი კვაზიმეცნიერული რუკებისგან დიდად არ განსხვავდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ახლახან განახლებული რუკაც, რომელის მიხედვით ქართული ენა არ ჩანს სვანეთში, ზემო მაჭახელში, ლივანაში, ტაოში...
http://www.ice.ge/kartuliena/iber_cavk_map.html



ამავე კონტექსტშია განსახილველი ბოლო პერიოდში სამეგრელოსა და სვანეთში გავრცელელებული „კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის“[1]; სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე კითხვას, რომლებსაც ავტორები უსვამდნენ სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობას:

• რა ენაზე გინდათ, რომ განათლება მიიღონ თქვენმა შვილებმა? (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)? რატომ?

• რომელ ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)?

---

[1] კითხვარი შეადგინეს იოსტ გიპერტმა (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი), მანანა თანდაშვილმა (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი) და სხვებმა (პროექტი დააფინანსა „ფორცვაგენის“ ფირმამ, 300 000 ევროთი).

• საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ-სვანურ ენაზე? თუ არა რატომ? იცით თუ არა, რომ გამოდის ჟურნალ-გაზეთები მეგრულ-ლაზურ-სვანურ ენებზე საქართველოში?[1].

ამავე დისკურსშია გასააზრებელი **პროფ. რამაზ ქურდაძის** ხელმძღვანელობით გამოცემული ე.წ. ხუთენოვანი ლექსიკონის პლუს-მინუსები. ყოველი ლექსიკონი ღირებულია, მაგრამ ამ ლექსიკონის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს სახელწოდება, რომლის მიხედვითაც ქართული და ინგლისური ენების დონეზეა წარმოდგენილი ორი ქართველური დიალექტური ჯგუფი (ზანური კილოები და სვანური კილოები)[2].

---

[1] კითხვარის კრიტიკისათვის, იხ.: **როზეტა გუჯეჯიანი, ბეჟან ხორავა**, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან („ერთობილი საქართველოსათვის“), „ქართველური მემკვიდრეობა“, XIII, ქუთ., 2009, გვ. 79-92).; http://www.scribd.com/doc/2273647/Conflict-in-Abkhazia-Cases-of-Cooperation-in-Favour-of-Caucasus-or-againConfederation-of-Caucasus; იხ., ასევე, გუგა მესხიას წერილი, „გინდათ რომ იცხოვროთ გამოყოფილ სამეგრელოს სახელმწიფოში?“, გაზეთი „ქრონიკა“, 6-11 ოქტომბერი, 2008, გვ. 5.

[2] ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სამ „უმწერლობო ენადაა“ წარმოდგენილი ზანური მეტყველების ორი დიალექტი (მეგრული და ლაზური) და ოთხი სვანური კილო; მასალებისათვის იხ., აგრეთვე: ttps://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/news/Or59qBi32d7N2kU__/?p=; https://www.youtube.com/watch?v=HBIdCz_f5B8 (აქცენტი „დამწერლობის არმქონე ქართველური ენების“ შესახებ). რამდენად ლოგიკური იქნება ევროპელი მეგობრებისათვის, გერმანიაში რომ გამოიცეს მათი ხელშეწყობით თბილისში გამოცემული ხუთენოვანი ლექსიკონის მსგავსი რამ, მაგ., **„გერმანულ-ბავარიულ-შვაბურ-სილეზიურ-თურქული“ ლექსიკონი?**



ამგვარ ფონზე გასაკვირი არ არის ზუგდიდში, ბათუმში, თბილისში თუ საზღვარგარეთ არსებული სხვა მცირერიცხოვანი ჯგუფების **„მოღვაწეობა“, რომლებიც ითხოვენ მეგრულ-ლაზურისა და სვანურისთვის**, როგორც უმწერლობო ენებისათვის, **რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას. სამაგალითოდ წარმოვადგენ ე.წ.** „ლაზურ დეკლარაციას“ - ürkiye ve Gürcistan halklarına ve dünya kamuoyuna, **თურქეთისა და საქართველოს ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას, To the Turkish and Georgian People and the General Public (http://tinyurl.com/cf7glgo),** სადაც ვკითხულობთ:

„ლაზები ქართველი ერის ნაწილს არასოდეს წარმოადგენდნენ და არც ახლა არიან მისი ნაწილი. ლაზები ქართველები (ქართველური) არ არიან... ლაზური დედაენის, ქართული ენისა ან **სხვა სამხრეთ კავკასიის ენების** ისტორიულ და გენეტიკურ სიახლოვეს არ ვუარვყოფთ. ეს სიახლოვე ინდოევროპულ ენათა ოჯახის ტევტონური ჯგუფიდან გამოსული გერმანული და ინგლისური ენების სიახლოვისთვის შეიძლება

იყოს შედარებული. ზემოთ მოხსენებული ენები ერთმანეთთან ლაზურსა და ქართულ ენაზე მეტად ახლოს დგანან, მაგრამ როგორც გერმანელებს ინგლისელებს ან ინგლისელებს გერმანელებს არ უწოდებენ, ასევე არ შეიძლება ეწოდოს ამ სიახლოვის გამო ლაზებს ქართველები, ლაზურს ქართული!

...თუ საქართველოს და საქართველოში არსებულ ორგანიზაციებს სურვილი აქვთ ლაზების კეთილგანწყობისა და საქართველოს მიმართ სიმპათიის გაზრდის, მათ ხელი უნდა შეუწყონ მეგრელებისა და სვანების კულტურულ ავტონომიას, მისცენ მათ მშობლიურ ენაზე განათლების საშუალება...“[1]

მსგავსი ჯგუფები არ არის ახალი მოვლენა, ადრეც არსებობდნენ, XX საუკუნის 20-იან წლებში გარეშე ძალებმა სამეგრელოში გააქტიურეს სამი ჯგუფი:

- **მიშო დადიანის ჯგუფი** - სამეგრელოს სახელით ითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას რუსეთის შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას, საქმისწარმოებასა და სწავლებას ამ „ენაზე“.
- **გრიგოლ ახალაიას** ჯგუფი - სამეგრელოს სახელით ითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას, საქმისწარმოებასა და სწავლებას ამ „ენაზე“.
- **ისაკ ჟვანიასა და ისკანდერ ციტაშის** ჯგუფები – ითხოვდნენ სამეგრელოს (ლაზეთის) ავ. „ობლასტს“ საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული (ლაზური) ენის აღიარებას, საქმისწარმოებასა და სწავლებას ამ „ენებზე“.

- სინამდვილეში, სამეგრელოს ქართველობის აზრს გამოხატავდნენ გრიგოლ დადიანის, თედო ჟორდანიას, გრიგოლ

---

[1] ამ პოზიციისგან დიდად არ განსხვავდება ზოგი აქაური ქართველის პოზიციაც;
იხ. http://www.youtube.com/watch?v=gtGIeLyos8A.

მარგიანის, ასევე, „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ (მესუდ ფეილევანოღლი, ბესო ჭყონია, მუსტაფა თიბუკოღლი, ჰაფიზ ბიბინოღლი, შეფიკ-აღა კლარჯიოღლი, ჯელალ გურჯიოღლი...) **წევრთა და სხვა დიდ ქართველთა კურსის გამგრძელებლები:** პეტრე ჭარაია, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია და სხვა. ისინი გასული საუკუნის დასაწყისში ცდილობდნენ, შენარჩუნებულიყო ტრადიციული მიდგომა და მეგრულ-ლაზურ-სვანური ისევ ქართული ენის კილოებად განხილულიყო. სტალინის რეჟიმის პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა[1].

ბუნებრივია, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მოსურნე არ არის და, რაც მთავარია, ქართულ სამწიგნობრო კულტურაზე უარს არ ამბობს სვანთა თუ მეგრელთა აბსოლუტური უმრავლესობა და ლაზთა ნაწილი. **სამეგრელოსა თუ სვანეთის ქართველობა მუდამ იყო და იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის უპირველესი ბურჯი. ამ კუთხეების ქართველობისათვის** მიუღებელია ზემოთ დასახელებული ფსევდოლიბერალებისა და „სეპარატისტების“ (სინამდვილეში - პრორუსული კოლაბორაციონისტების) მიზანმიმართული იდეოლოგემები თუ უნებლიე მადეზინტეგრირებელი ქმედებები. **თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილიც[2] სწორად**

---

[1] დოკუმენტური მასალისა და საკითხის მიმოხილვისათვის იხ. ქართველური მემკვიდრეობა XIV, ქუთა., 2010, სადაც დაბეჭდილია ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის მიერ 1895 წელს შექმნილი კომისიის დასკვნა, ი. ვოსტორგოვის წერილი და სხვა დოკუმენტური მასალა. **იხ., ასევე, თ. სახოკიას ცნობილი ფრაზა:** „ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს“ http://iberiana.wordpress.com/iberiana/vedreba/#7.

[2] ვეჭვობ, რომ ზოგი ჩვენი თანამედროვე ვერ ფლობს სათანადო ინფორმაციას, ანდა, ვერ ერკვევა ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერი-

ხედავს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას. ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის ობიექტურად წარმოჩენას მიეძღვნა ჩემი კოლეგების: ალექსი ჟორდანიას, რევაზ შეროზიას, ეკა დადიანის, თამაზ ბერაძის, ბეჟან ხორავას, მანანა ტაბიძის, თეიმურაზ გვანცელაძის, როზეტა გუჯეჯიანის, ნომადი ბართაიას, ზურაბ თორიას, დაზმირ ჯოჯუას, მაკა სალიას, ლელა ავალიანის, ლელა მარგიანის[1], ზურაბ თორიას, ერეკლე საღლიანის, იაშა თანდილავას, ფიქრი სარაჩის (თურქეთის მოქალაქე ლაზის) და მრავალ სხვათა არაერთი ნაშრომი.

უმების არსში და დღესაც უნებურად უწევს პროპაგანდას ქართველთა ენობრივ დანაწევრებას.

[1] 2010 წელს სვანეთში ჩატარდა ,,სამეცნიერო" კონფერენცია, სადაც სამუშაო ენები იყო **ინგლისური და სვანური**. კონფერენციის ორგანიზატორებს ასე უპასუხა ფილოლოგიის დოქტორმა **ლელა მარგიანმა** (ციტატა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალიდან): ,,ძალიან სამწუხაროა, რომ თანამედროვე სვანეთში ხდება ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ვერ მიაღწიეს რუსებმა და საქართველოს სხვა მტრებმა სვანეთში - ქართულის - როგორც სახელმწიფო ენის უგულებელყოფა! ჩვენს ტერიტორიებდაკარგულ სამშობლოს ესღა აკლდა - სვანებმა ვუარყოთ ქართული და არაკეთილმოსურნე უცხოელების განზრახვა შევასრულოთ!"

ზემოთ ხსენებულ სვანეთის კონფერენციის ფინელ დამფინანსებელსა თუ ორგანიზატორს როცა მიუთითეს, რომ სვანები ქართველები არიან და მათი დედაენა და სალიტერატურო ენა არის ქართული, მან აქეთ დაგვამადლა და თქვა, რომ გვეხმარება, სვანების დედაენა - სვანური – განვითარდეს, ვინაიდან იგი საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენაა. საბუთად გამოაქვეყნა იუნესკოს კვალიფიკაცია, სადაც მართლაც წერია, რომ სვანური არის უმცირესობის ენა, რომელიც საფრთხის ქვეშ არის:

GrandHotelUshba: http://www.unesco.org/culture/languages-atlas/index.php.

უცხოელ ,,გულშემატკივარს" არ ესმის, რომ იუნესკოს მცდარი კვალიფიკაცია არგუნენტად ვერ გამოდგება.

აქვე აღვნიშნავ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში, თურქეთსა თუ საქართველოში ისევ გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობად გამოაცხადონ **მესხებიც და აჭარლებიც**. ასეთი კვალიფიკაცია წარმოდგენილია ზოგ ევროპულ ცნობილ ლექსიკონშიც კი (იხ., მაგ., ლარუსის 2005 წლის გამოცემა). ამგვარ კვალიფიკაციებს ემყარება ბოლო პერიოდში გახმაურებული ინციდენტები სამთაწყაროში, ნიგვზიანსა თუ წინწყაროში. **აჭარელთა თუ მესხთა დიდი ნაწილი ქრისტიანია.** ის, ვინც ლაზთა, მეგრელთა, სვანთა, აჭარელთა თუ მესხთა საშინაო კილოებს უმცირესობების ენებად აცხადებს, თუ **ამ ქართველებს საქართველოში ენობრივ თუ რელიგიურ უმცირესობებად მიიჩნევს, ეფუძნება მცდარ მეთოდოლოგიას და ამავე დროს ინერციით** აგრძელებს ი. სტალინის კვაზიმეცნიერულ მიდგომას და **ამ ქართველებს** (მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, მესხებს...) **უკარგავს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ქმნადობაში მონაწილეობის ისტორიასა და პერსპექტივას**. კერძოდ, ერთ ნაწილს **უკულტურო არაქართველებად - უმწიგნობრო ენების მქონე განუვითარებელ „მცირე ერებად“**[1] **- აცხადებს, მეორე ნაწილს კი, მიუხედავად**

[1] არალოგიკური და შეურაცხმყოფელია, უმწერლობო ენის მქონე საზოგადოებად მოვიხსენიოთ, სულ მცირე, 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველების - იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვილელი იოვანე მინჩხის თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) აღმზრდელი კუთხეების მცხოვრებთა საშინაო მეტყველება და არ გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სამეგრელოს, **ლაზეთისა თუ სვანეთის ქართველობაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა საერთოერვნულ ქართულ სამწიგნობრო კულტურას**. შესაბამისად, ამ კუთხეების მკვიდრი ქართველების ისტორიული სამწიგნობრო დედაენა ქართულია, კუთხური მეტყველება კი ამ ეროვნული ენის სახესხვაობაა, დიალექტია და არა - უმწერლობო ენა

მათი დიდი ნაწილის ქრისტიანობისა, მუსლიმანურ სამყაროს აკუთვნებს.

წარმოდგენილი მასალა, ისტორიული ფაქტები და ჩვენეული მსჯელობა საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ:

საერთაშორისო ქსელში არსებული ინფორმაციები საბჭოთა პერიოდის ქართველოლოგიის პოლიტიზების შედეგია და არა - სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის თუ მესხეთის მკვიდრთა განწყობა... ჩვენმა სახელმწიფომ დღეს დიდი სამუშაო უნდა გასწიოს, რომ წარმოდგენილი კვაზიმეცნიერული ინფორმაციები თუ იდეოლოგემები შეიცვალოს, ან დაბალანსდეს აკადემიური ინფორმაციებით; შდრ., მაგ. ქართული ენის გავრცელების საზღვრებს ასახავს შემდეგი რუკა:



ამ მიმართულებით შემაჯამებელი დასკვნის სახით აღვნიშნავ:

ქართველთა საშინაო (კუთხური) მეტყველებები – საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, აჭარული, მესხური, მოხეუ-

რი...), ვერ შევა „ენის ქარტიის“ რატიფიცირების დოკუ-მენტს დართულ ენების ჩამონათვალში, რამდენადაც ეს ევ-როპული ქარტია არ გულისხმობს სახელმწიფო ენის დიალე-ქტებსა და სახესხვაობებს. **ქართველთა საშინაო მეტყველებე-ბი - საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები** (მეგ-რული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურუ-ლი, ტაოური, ლივანური, ფერეიდნული, ხევსურული, მოხე-ური...) **გაქრობის საფრთხის ქვეშ მართლაც არის და მათ დასაცავად ჩვენმა სახელმწიფომ კარგად გააზრებული სტრა-ტეგია უნდა შეიმუშავოს.**

როგორ ხდება დღეს „გათიშე და იბატონეს“ რუსული გეგმის ევროპულად „შეფუთვა“?

1999 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი, შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ **ერთი წლის ვადაში** მოეხდინა ევროკონვენციების რატი-ფიცირება. ევროკონვენციათაგან საქართველოს ხელისუფლე-ბას დღემდე არ დაუდასტურებია **„რეგიონული ან უმცირესო-ბის ენების შესახებ ევროპული ქარტია“**, რომლის მიზანია მოცემული სახელმწიფოს არაძირითადი, მაგრამ ისტორიული **(ავტოქთონი) ეთნოსის** ენობრივ-კულტურული დაცვა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთი ნაწილი ჯერჯერობით „ქარტიას“ ხელს არ აწერს (თურქეთი, ალბა-ნეთი, ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, პორტუგალია...).. მეორე ნაწილი (რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, აზერბაიჯანი, პო-ლონეთი...) კი რატიფიკაციას აყოვნებს[1].

---

[1] http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=148&CM=8&DF=12/18/2008&CL=ENG;

მიზეზი პრობლემურია: ისტორიული (ავტოქთონი) და ახალი უმცირესობების (ეთნიკური ჯგუფების) ენების გამიჯვნა. გარდა ამისა, ჩანს, მთავრობები **უფრთხიან დეზინტეგრაციულ პროცესებს**.

ამგვარივე შიშით შეიძლება აიხსნას საქართველოს ხელისუფლების სიფრთხილეც. საშიშროება მართლაც არსებობს, მაგრამ არა საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, არამედ **„რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“** დებულებების არასწორი, საქართველოსთვის სახიფათო ინტერპრეტაციების გამო. პრობლემას ქმნის ისიც, რომ საქართველოს შესაბამისი ინსტიტუტების მიერ დღემდე **ვერ ჩამოყალიბდა ის კრიტერიუმები**, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს რეგიონული თუ უმცირესობის ენების სიის შედგენა (არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობს კონსენსუსი იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვით უნდა აღიწეროს ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივი სიტუაცია). ასევე, **არც იმ კრიტერიუმების შესახებაა თანხმობა, რომელთა მიხედვით უნდა გაიმიჯნოს ენა და კილო**[1].

---

[1] შდრ., ჩანს ზოგისთვის, მაგ., ვ. ახალაიასათვის უცნობია (მისი წერილი დაიბეჭდა გორის უნივერსიტეტის ჟურნალში 2015 წელს), რომ, როგორც წესი, **მთელ მსოფლიოში** ენისა და კილოს გამიჯვნა ხდება სოციოლინგვისტური კრიტერიუმით: **თანამედროვე მეცნიერთა დასკვნით,** ე.წ. „საკუთრივ ლინგვისტური“ კრიტერიუმებით (ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური... მოვლენებით), **მაგ., ბგერათშესატყვისობებით**, არ დგინდება ენისა და კილოს სტატუსი; **ბგერათშესატყვისობა ადგენს ენათა ნათესაობას ენებს (დიალექტებს) შორის და არა - ენის სტატუსს.** მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის რომელიმეს პრესტიჟულობას (სტატუსს) განსაზღვრავს მისი გამოყენების ველი. ქართველურ ენობრივ სამყაროში ამ მხრივ ყველაფერი ნათელია: მრავალი საუკუნეა ყველა კუთხის ქართველის სამწიგნობრო ენაა ისტორიული დედაენიდან – საერთო-

ასეთ ფონზე ექსპერტთა თუ დაინტერესებულ ჯგუფთა ინიციატივებით ფართო საზოგადოებასა თუ საერთაშორისო ქსელში განიხილება ურთიერთგამომრიცხავი კვალიფიკაციები საქართველოს ენობრივი სიტუაციის შესახებ. **იმ ენების** ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა გავრცელდეს **„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“** მერყეობს რამდენიმე ერთეულიდან 12-მდე. დავის საგანია როგორც საკუთრივ ქართველთა კუთხური მეტყველებების ერთი ნაწილის, ისე საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მიგრირებული ეთნიკური ჯგუფების ენების სტატუსი. წარმოვადგენთ ორ ძირითად მოსაზრებას:

I. საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულებების აღების შემდეგ მალევე გამოითქვა მოსაზრება, რომ **დამოუკიდებელ** თუ **რეგიონულ (უმცირესობის) ენად** არ

ქართველური ენიდან (და არა - ქართლური კილოდან!) - მომდინარე საზესხვაობა, რომელიც პირველად ფიქსირდება ხანმეტ ძეგლებში. **ზოგადად თუ ვიტყვით**, ენა არის ერის (ეთნოსის) კულტურის საერთო, ეროვნული მეტყველება: **ენა აქვს ეთნოსს, დიალექტი კი ეთნოსის ნაწილს. აქვე მოკლედ „უმწერლობო ენის“ შესახებ: სამწიგნობრო ენა აქვს კულტურულ საზოგადოებას, უმწერლობო ენა კი - განუვითარებელ საზოგადოებას**. მრავალი საუკუნეა ქართველ ერს (აჭარლებს, გურულებს, მეგრელებს, სვანებს, რაჭველებს, ლეჩხუმლებს, მესხებს, ქართლელებს, კახელებს, თუშებს, ინგილოებს თუ ფხოველებს...) აქვს **ერთიანი სამწიგნობრო კულტურა საეკლესიო თუ საერო მწერლობის ენის სახით** (შდრ., არაბების „ყურანის" ენა). შესაბამისად, ლაზ-მეგრელებისა თუ სვანების უმწიგნობრო ხალხებად გამოცხადება რეალური ისტორიის გაყალბებაა.

არაიშვიათად, მეტყველების სტატუსს განსაზღვრავს რელიგია და პოლიტიკა; მაგ.:

- რუსეთმა ენებად გამოაცხადა რუმინული ენის მოლდოვური კილო და თურქული ენის აზერბაიჯანული კილო;

- რელიგიის გამო დღეს დამოუკიდებელ ენებად ითვლება ინდური და პაკისტანური, სერბიული, ხორვატიული და ბოსნიური...

უნდა ჩაითვალოს **საქართველოს სახელმწიფო ენის ადგილობრივი ვარიანტები (დიალექტები)**: ლაზური, მეგრული, სვანური, წოვა-თუშური... ასევე, **180-300 წლის წინ საქართველოში შემოხიზნული და დღეს უკვე კომპაქტურად მცხოვრები არაავტოქთონი ეთნიკური ჯგუფების** ენები, რომლებიც მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ენებია[1].

II. **ტომაშ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის მომზადებული** რეკომენდაციების მიხედვით, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს **სომხურსა და აზერბაიჯანულს** (გვ. 35). ასევე, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს „ტერიტორიის არმქო-

---

[1] მსჯელობისათვის იხ: ტ. ფუტკარაძე, **ღვთისმსახურების ენა - „ყოველთა ქართველთა" ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (ოფიციალური ენისა და დიალექტების მიმართების საკითხისათვის);** ქუთაისური საუბრები - VII, ქუთ. 2000; ტ. ფუტკარაძე, **საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით;** XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000; ტ. ფუტკარაძე, ნ. ნაკანი, **„სვანების სალიტერატურო ენისა და სვანური მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვითმიკუთვნებულობის საკითხი)",** გაზ. „ქართული", 2001, №7, გვ. 2; ტ. ფუტკარაძე, **მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის**, ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთ. 2003; ტ. ფუტკარაძე, **ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, 2005 (Ethnolinguistic Terms and European Charter for Regional or Minority Languages),** „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2005.

http://www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/abxaztauflebebi.htm; www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/tariel%20putkaradze/etnolingvisturi%20terminebi.htm

ნე ენების“: **რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის (იეზიდურის), უკრაინულის, ჩეჩნურის (ქისტურის), ასირიულის, ავარიულის** და „უმწერლობო ენების“: **მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ** (გვ. 36-37)[1]. თვისობრივად მსგავსი პოზიციაა ჩამოყალიბებული ჯონათან უითლის **(Jonathan Wheatley)** ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც 2009 წლის ივნისში ინგლისურად, ქართულად და რუსულად გამოქვეყნდა „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის“ სახელით. ცნობილი ექსპერტი ჯონათან უითლი საქართველოს „რეგიონული და უმცირესობათა ენების ცხრილში“ 29 ენას წარმოადგენს (გვ. 10-12). მისი აზრით, ამ ენათა დიდი ნაწილი საქართველოში დაცული უნდა იყოს „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ მიხედვით[2].

---

[1] პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საელჩოს მიერ. ავტორები: „ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (YRI), სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრი (ხელმძღვანელი: კახა გაბუნია, სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი), „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია, მარიკა ოძელი, ჭაბუკი ქირია...). პოლონური მხარე: პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკისა და უმცირესობათა კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, **დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი** (ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით).

[2] **Jonathan Wheatley - RELATED PROFESSIONAL EXPERIENCE: January 2006 – February 2006: European Centre for Minority Issues, Regional Office, Tbilisi, GEORGIA**. Conducted a feasibility study on the possibility of granting local administrative status to minority languages in Georgia in the context of Georgia’s recent ratification of the Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities and the planned ratification of the European Charter for Regional or Minority Languages.

საქართველოსთვის „ისტორიული ენების“ ამ ვრცელი სიის შექმნა, მით უმეტეს, ქართველურ დიალექტთა ერთი ნაწილის შეტანა უმცირესობების ენებში, **განპირობებულია რუსული იმპერიული ხედვის ინერციითა და საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერის საბჭოური ტრადიციით**. სწორედ ამ ტრადიციის გავლენით საერთაშორისო ქსელში დამკვიდრებულია „საქართველოს უმცირესობათა ენების“ **არაადეკვატური ჩამონათვალი**. ვფიქრობ, რატიფიკაციის დოკუმენტისათვის ასეთი ვრცელი ჩამონათვალის დართვა დანაშაულებრივი შეცდომა იქნება[1], რამდენადაც **ამგვარ თემებზე მსჯელობისას გათვალისწინებული არ არის ისტორიული სინამდვილე:**

აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები თუ საქართველოს სხვა ეთნიკური უმცირესობები არ არიან საქართველოს ავტოქთონები და არც მათ ენებს ემუქრებათ გაქრობის საფრთხე (შდრ.: ეს ევროპული ქარტია იცავს იმ უმცირესობის ენას, რომელსაც გაქრობის საფრთხე ემუქრება). რაც შეეხება ქართველურ იდიომებს:

ქართველური ზეპირმეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, სვანურის...) **„მცირე ერების“ ენებად კვალიფიცირებით** ამ კილოებს არაფერი მოემატებათ, სამაგიეროდ, ევროპული მასშტაბით საფუძველი ჩაეყრება ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ შეუქცევად დანაწევრებას. კერძოდ, „ენის ქარტიის“ პრინციპების გვერდის ავლით საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად თუ აღიწერება ე.წ. სამი-ოთხი

---

[1] შდრ., ასევე: **არტურ ცუციევის** კვალიფიკაციების მიხედვითაც, **მეგრელები, აჭარლები, სვანები**... არაქართული ეთნიკური ჯგუფებია („კავკასიის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ატლასი“; 1774-2004); კრიტიკისათვის იხ.: რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, „თეორიული ეთნოლოგია“, თბ., 2009.

ქართველური ენის თეორიის მიხედვით, „რეგიონული და უმ-ცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკა-ციის შემდეგ საქართველოს ენათა ჩამონათვალში დაფიქსირ-დება 2-3 „უმწიგნობრო ქართველური ენა“, ხელოვნურად წა-ხალისდება ქართველთა ეთნიკური პარციაცია და სეპარაცია, **ძირფესვიანად შეირყევა ქართველი ერის (ეთნოსის) მრავალსაუკუნოვანი ენობრივ-ეთნიკური და ფსიქიკური** ერთი-ანობა... ასეთ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნება რეა-ლური ისტორია:

მრავალი საუკუნეა საქართველოს ყველა კუთხის ქართ-ველობა ძერწავს ერთიან სამწიგნობრო ენას. ისტორიულად ეს ერთიანი **სამწიგნობრო ენა** საზრდოობდა ყველა ქართვე-ლური ენაკავიდან თუ დიალექტიდან (მეგრულიდან, სვანური-დან, იმერულიდან, კახურიდან, ქართლურიდან, მესხური-დან...); შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა, **თანამედროვე ქა-რთული სალიტერატურო ენის საბაზო ლექსიკონში** (ქართუ-ლი ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში) თავიდა-ნვე შესულიყო მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკაც. ეს დიდ როლს ითამაშებდა ქართველთა დედაენის გამდიდრებისა ქართველი ერის ერთიანობის ურღვევობის თვალსაზრისით.

დღეს მაინც აუცილებელია, მომზადდეს ქართული ენის **განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია**, რომელშიც უხ-ვად შევა არა მხოლოდ ქართლური თუ ფშავ-ხევსურული, არამედ მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკა. სწორედ ამას ითვალისწინებდა **კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია:**

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგენ-ლებს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექციათ ხალხური მეტ-ყველებისათვის. ეს მომენტი მთლად იგნორირებული არაა, მაგრამ სასურველი იქნებოდა, ქართული დიალექტებიდან,

თვით **ჭანურ-მეგრულ-სვანურიდანაც** უფრო ჭარბად შემოეშ-ვათ სიტყვიერი მასალა. ქართული ენის სხვადასხვა განშტო-ებანი, ე.ი. მისი დიალექტები ულევი და ჯერაც აღუნუსხ-ველი მასალაა როგორც მწერლისთვის, ისე ენათმეცნიერის-თვის...“ (კ. გამსახურდია, ათტომეული, ტ. IX, გვ. 470-471). „მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტ-ყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევ-სურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და **მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები...** მე საჭიროდ და-ვინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკ-რების **ლოზუნგი გადამესროლა** და ეს პირველად ვცადე კი-დევაც „დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკერძ **ძველი ქართუ-ლის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენა-კავების წიაღიდან,** რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო... ქართულ ენას არ გააჩ-ნია მონათესავე ენათა ოჯახი, როგორც თუნდაც ფრანგულს - რომანული ენები, გერმანულსა და ინგლისურს - გერმანთა ენებისა და რუსულს - სლავური ენებისა და ენაკავების ოჯახი. ამიტომაც სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შე-იძლება მარტოოდენ გარეგან სესხს - ბარბარიზმებს – დაეყ-რდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“, **ქართული ენაკავე-ბიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან** ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...“ (კ. გამსახურდია, თხზულებათა რვატომეული, 1980, ტ. V, გვ. 955-956). „მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მოწადინებული ვარ გავ-დევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩალეკილა ქართულ ენაში. პარალე-ლურად, ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს **ენის რეპარაცია ად-**

გილობრივ დიალექტების ლექსიკის საშუალებით. უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც **მეგრულ-სვანურ დიალექტების** სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“ (კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტომი, VII, ახალი სიტყვები, გვ. 411)... „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე. ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, **მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების** სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული...“ (იქვე, გვ. 499) „ის მარაგი სიტყვებისა და ფორმებისა, რომელთა გაცოცხლება ახალ ქართულში ჩემს თვალწინ ხდება, მე ფრიად საპატიო საქმედ მიმაჩნია და ყოველდღე უნდა მოიხვეჭოს მწერალმა უმძიმესი შრომით, პირველწყაროების, სიგელების, ჰაგიოგრაფიული ძეგლების, კარაბადინების, სამთვარიოების და **ქართველური დიალექტების**, ქართული ფოლკლორის, ქართული ბიბლიის თარგმანების შესწავლით“[1]...

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ასევე **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სიმპოზიუმის მემორანდუმი** (მიღებულ იქნა ქუთაისში 2002 წელს. ფაქსიმილეებითურთ პირველად გამოქვეყნდა კრებულში: **ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** (1993-2003 წლები), ქუთ., 2003, გვ. 178). „მრავალსა-

[1] იხ. ასევე: კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, VIII, ისევ სალიტერატურო ქართულისათვის, გვ. 54; აქვეა ანალოგიური თემატიკის სხვა სტატიები: „სალიტერატურო ქართულისათვის“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „ისევ ქართული მართლწერის გამო“, „არქაიზმი და პროვინციალიზმი“, „თარგმანი და ენის სიწმინდე“ და სხვ.

უკუნოვანი ქართველური წერილობითი კულტურის, საერთოდ, ქართველური კულტურული მემკვიდრეობის შექმნაში ერთნაირი მონაწილეობა აქვს მიღებული ქართველთა ყველა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფს: ლაზებს, მეგრელებს, ქართლელებს, სვანებს, კახელებს, ინგილოებს (ჰერებს), თუშებს, ხევსურებს, ფშაველებს, მოხევეებს, რაჭველებს, იმერლებს, ლეჩხუმელებს, გურულებს, ისტორიული მესხეთის ქართველობას: აჭარლებს, ლივანელებს, ტაოელებს, კლარჯელებს, ჯავახებს, სამცხელებს... ამ ფონზე ქართველთა კუთხური ენობრივი ვარიანტების გამოცხადება „უმწერლობო ენებად", პირველ რიგში, თვით ამ ქართველებს დაუკარგავს დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტსაუკუნოვან წარსულს, რომელიც იოანე ლაზისა და პეტრე იბერის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს. გარდა ამისა, ქართველთა კუთხური მეტყველებების ცალკე ენებად გამოცხადებით იქმნება სერიოზული საფუძველი ქართველთა ენობრივი და ეთნო-კულტურული ერთიანობის დაშლისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად ისტორიული განვითარების გზების სხვადასხვაობისა, ზემოთ ჩამოთვლილ ქართველურ ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ ჯგუფთა კილოების ფონოლოგიური სტრუქტურა, გრამატიკული მოდელი და ლექსიკური ფონდი ერთნაირია".

2002 წელს შექმნილ ამ დოკუნენტს ხელს აწერენ: ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნათელა ქუთელია, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ამირან ლომთაძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რევაზ შეროზია, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თედო უთურგაიძე, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. როლანდ თოფჩიშვილი, ისტ.

მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნანა ხაზარაძე, ისტ. მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან კაშია, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. იულონ გაგოშიძე, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ჯულიეტა რუხაძე, თსუ მასწავლებელი რევაზ აბაშია, აკად. ქეთევან ლომთათიძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დამანა მელიქიშვილი, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. მანანა ტაბიძე, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვახტანგ ჯაფარიძე, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი თინათინ ღვინაძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ალექსი ჭინჭარაული, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ოტია კახაძე, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი ნომადი ბართაია, ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მაია ნათაძე, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი ზაალ კიკვიძე, დოცენტი ზაურ მჟავანაძე, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მარინე ქაცარავა, ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ლელა ავალიანი, თსუ დოცენტი დარეჯან სირია.

ქართველოლოგიური კვლევების დაგეგმვა და ქართული ენის ნაციონალური კორპუსი

(რისკფაქტორები და საინფორმაციო თავდაცვის რამდენიმე არსებითი საკითხი)

თანამედროვე პირობებში ნორმალური სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ სწორი ორიენტირების ჩამოყალიბება, ასევე, საინფორმაციო შეტევა თუ თავდაცვა, მეცნიერული კვლევების შედეგებს ეფუძნება... ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობენ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები. თანამედროვე თურქეთშიც, რუსეთშიც, სომხეთშიც და ირანშიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მომრავლდა სახელმწიფოს მიერ

დაფინანსებული უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ორიენტირებულია კავკასიის ისტორიის, აწმყოსა და პერსპექტივების შესწავლაზე.

ჩვენი მეზობლები განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლიან ცენტრალური კავკასიის - საქართველოს – ენობრივ-ეთნიკურ სიტუაციას. ამ დროს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, **საქართველოში სახელმწიფო დონეზე არ არსებობს სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული და საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ელიტასთან შეჯერებული ერთიანი სტრატეგია** არც საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციის, არც ქართულ-ირანული, ქართულ-რუსული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევების დაგეგმვის მიმართულებით...

ამგვარი სტრატეგიის შეუმუშავებლობა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, ერთ-ერთია მძიმე უახლესი ისტორია, კერძოდ: ბოლო 200 წელიწადში, როცა მსოფლიოში შთამბეჭდავად განვითრდა ჰუმანიტარული მეცნიერებანი, საქართველო ოკუპირებული და ანექსირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას, შესაბამისად, ქართველოლოგია, როგორც ქართული სახელმწიფოს საფუძვლის შემქმნელი მეცნიერება, ძირითადად, იმპერიის ინტერესების შესაბამისად იგეგმებოდა. იმპერიის მიზანი კი იყო და არის საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნება ქართველი ერის ენობრივი და ეთნიკური დანაწევრების გზით **(„გათიშე და იბატონეს“ პრინციპი).** სწორედ ამის გამოა, რომ საქართველოს შესახებ მსოფლიოში გავრცელებულია ბევრი არასწორი ქართველოლოგიური დებულება (იდეოლოგემა), მცდარი ეთნოლინგვისტური კვალიფიკაცია თუ რუკა.

სახელმწიფოს ინტერესებზე ორიენტირებული მეცნიერულად გაანალიზებული სტრატეგიის არ არსებობის გამო,

საქართველო ბოლო საუკუნეებში პირწმინდად აგებს საინფორმაციო ომს სამეცნიერო ველში, შესაბამისად, ქართველი ერის ისტორია თუ აწმყო სრულიად არაადეკვატურადაა აღქმული არამხოლოდ მეზობლების, არამედ, ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოს მიერ.

ამ ყოველივეს გამო ნატოსა და „ევრაზიული კავშირის“ გასაყარზე არსებული საქართველო დღეს სერიოზული რისკების წინაშეა. მიმდინარე ეტაპზე არსებითია გავიაზროთ, რომ საქართველოსთვის მეტად სახიფათოა:

- რელიგიური დაპირისპირების ესკალაცია და პოლიტიკური კონფლიქტების სახელდება ეთნოკონფლიქტებად;
- დაუსაბუთებელი ლინგვისტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრება რამდენიმე ქართველურ ენად;
- არაადეკვატური ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციებისა და რუკების ტირაჟირება მთელ მსოფლიოში;
- „ევროპული ქარტიის“ არსის გაყალბებით საქართველოს ხელისუფლებისათვის 12-დან 19-მდე რეგიონული ენის აღიარების მოთხოვნა;
- მეგრულის, ლაზურის და სვანურის გატანა ქართული ენის დიალექტური კორპუსიდან[1]. საბოლოო ჯამში, ისეთი

---

[1] იხ., მაგ.; http://geocorpus.blogspot.com/p/blog-page.html: **არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტი: „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, რომლის ავტორთა (მ. ბერიძე და სხვ.) ხედვით, ქართველური ენობრივი სამყარო** „წარმოდგენილია **სამი ქართველური ენითა (ქართული, სვანური, ზანური)** და მათი მრავალრიცხოვანი **დიალექტებით“; იხ., ასევე,** http://www.mygeorgia.ge/gdc/About.aspx; http://radio1.ge/media-view/11180 (მე-20 წუთიდან). მსგავს მიზანს ისახავს **ფრანკფურტის უნივერსიტეტისა** და **ილიაუნის პროფესორთა ჯგუფიც (ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი, ნ. დობორჯგინიძე...);** ამ კონცეფციაში **ქართველური ენობრივი სამყარო** წარმოდგენილია **ოთხი ქართვე-**

ქართული ენის ნაციონალურ კორპუსზე ორიენტირება, სადაც დიალექტურ ნაწილში წარმოდგენილი არ იქნება ქართველურ კილოთა ნაწილი და საფუძველი შეექმნება დასახელებული ქართველური კილოების ბაზაზე ე.წ. „უმწერლობო“ თუ ახალი ენების კორპუსებს[1] და სხვ.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ხუთივე რისკ-ფაქტორი ერთ მიზანს ემსახურება: მომზადდეს ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლები და საქართველო, როგორც უნიტარული სახელმწიფო, ჩამოყალიბდეს კონფედერაციული ტიპის მყიფე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს სამეცნიერო თუ პოლიტიკური ელიტისათვის მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს სამი აქტუალური მიმართულება:

1. ქართულენოვანი განათლების დაგეგმვა და ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის - ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის,

---

ლური ენით: ქართულით, სვანურით, ლაზურით და მეგრულით (მასალებისათვის იხ.: http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ssgg/ssgg01.htm#gProjekt). ილიაუნში შეიქმნა ქართული ენის კორპუსის საკოორდინაციო საბჭო, რომლის უპირველეს წევრად გიგი თევზაძემ დაასახელა პროფესორი ი. გიპერტი https://docs.google.com/document/d/1rLGJre602doVvkprGLk5KUU7G3XmgKrS2Cjhejbd2f0/edit?hl=en_US.

შდრ., რუსთაველის ფონდის დაფინანსებით უკვე განხორციელდა პროექტი: „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსი“ - გრანტი - №A - 43-09.

[1] ხელისუფლების ორგანიზებით უნდა მომზადდეს **ისეთი „ქართული ენის ნაციონალური კორპუსი”**, სადაც შევა როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის, ასევე, ყველა ქართველური დიალექტური მასლა (მათ შორის: მეგრულ-ლაზური დიალექტებისა და სვანური დიალექტების მონაცემები).

ლაზურის, ხევსურულის, ტაოურის, თუშურის...) - შენარჩუ-ნებისათვის ზრუნვა; ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება და ყველა სახის უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმ-წიფო ენის სწავლებით ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა. მთლიანობაში, ენობრივი პოლიტიკის სიღრმისეული გააზრება.

2. ქართველოლოგიური კვლევების სტრატეგიის შემუ-შავება და კვლევების ორგანიზება სახელმწიფოს მიერ. პირ-ველ რიგში - ქართული ენის ტექნოლოგიზება, „ქართული ენის ნაციონალური კორპუსის“ შექმნა და აკადემიური ტექ-ნიკური თარგმანის განხორციელება. ასევე: ქართველოლოგი-ური და ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-ირანული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-თურქული, ქართულ-რუსული... ურთიერთობების კვლევების ორგანიზება.

3. საქართველოსა თუ საქართველოს ამჟამინდელ საზღ-ვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი; შდრ: ცენტ-რალური კავკასია - საქართველოს ამჟამინდელი ტერიტო-რია) მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ენობრივ-ეთნიკუ-რი იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეო-ბისათვის ზრუნვა (ამ რეგიონში მეტია ქართული ენისა და მეობის გაქრობის საფრთხე).

საქართველოს საინფორმაციო თავდაცვის სწორად ორ-განიზების მიზნით აუცილებელია სწორი ქართველოლოგიური (ენობრივი და რელიგიური სიტუაციის ამსახავი, ისტორიოგ-რაფიული...) **დებულებების** მიწოდება ფართო საზოგადოებისა-თვის და სახელმწიფოს მზაობა ახალი კულტურულ-ტექნო-ლოგიური გამოწვევებისათვის. ამ მიმართულებით **საგანგებოდ**

შევჩერდები „ქართული ენის ნაციონალური კორპუსისა“ და ენის ტექნოლოგიზების თემაზე:

თანამედროვე მსოფლიო გადავიდა **კომუნიკაციისა და ცოდნის შენახვის ახალ ფორმაზე** - ელექტრონულ პლატ-ფორმაზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს:

- **საყოფაცხოვრებო ველში გამოყენებულ ყველა სახის კომ-პიუტერიზებულ მანქანასთან** (ავტომანქანა, მაცივარი...) **ბუნე-ბრივ დიალოგს** (და არა ჩაწერილი ფრაზების აღქმას კომპი-უტერული პროგრამის მიერ), **თანამედროვე მანქანას შეუძ-ლია ადამიანის საუბრის გაგება, პასუხი და დავალების შეს-რულება;**
- **ზეპირი ტექსტის ავტომატურ, უსწრაფეს მანქანურ აკადე-მიურ თარგმნას** მოცემულ ენაზე სხვა ცივილიზებული ენები-დან და პირიქით. ეს აქტივობა პირველ რიგში გულისხმობს ძალიან რთულ პროცესს - **ხმის ქცევას ტექსტად** (ეს ტექ-ნოლოგია სრულიად შეცვლის წერის ხელოვნებას);
- **დედაენისა თუ უცხო ენის ელექტრონულ ინტერაქტიულ სწავლებას...**

უახლოეს მომავალში მოცემული ენით სამივე სახის ეს აქტივობა თუ არ განხორციელდა, ეს ენა მოკვდება. ამგვარი კომპიუტერული პროგრამების განხორციელება, ანუ ენის ტე-ქნოლოგიზება შეუძლებელია დიდი მოცულობის ელექტრო-ნული ტექსტების ერთიანი სისტემური ბაზის - ე.წ. ლინგ-ვისტური კორპუსის გარეშე.

ქართულ ენის ტექნოლოგიზების ერთი მიმართულება -
ხმის ქცევა ტექსტად:



ქართულ ენის ტექნოლოგიზების მეორე მიმართულება -
ელექტრონული ტექსტის თარგმნა და მეტყველების სინთეზი



როგორც ვხედავთ, ,,ტექსტების კორპუსის" - **,,ქართული ენის ნაციონალური კორპუსის"** - გარეშე შეუძლებელია რომელიმე არსებითი ოპერაციის შესრულება. ვფიქრობ, აშკარაა, რომ ,,ტექსტების კორპუსი" მალე იქცევა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს უმთავრეს სტრატეგიულ ღირებულებად და ერის ეროვნულ საგანძურად, კულტურის გამოხატულებად და ერის იდენტობის უმთავრეს განმსაზღვრელ ნიშნად.

უახლოეს მომავალში - ელექტრონული კომუნიკაციების ეპოქაში - ერების, ეთნოსების მეობა (იდენტობა) ავტომატურად განისაზღვრება ეროვნული ენის კორპუსების მიხედვით. რამდენადაც ადამიანი ენობრივი არსებაა და **მთელ მსოფლიოში ეროვნული თუ ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია ენის მიხედვით ხდება,** მომავალში ეროვნულ იდენტობას ვერ შეინარჩუნებს ერი, რომლის ენით ვერ განხორციელდება ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები: ავტომატური თარგმნა, ხმის ქცევა ტექსტად, ტექსტის გახმოვანება... შესაბამისად, ,,ტექსტების ეროვნული კორპუსი" გახდება მოცემული ცივილიზებული საზოგადოების ეროვნულ-კულტურული სტაბილურობის საფუძველი. აქვე აღვნიშნავ, რომ **ეს სტრატეგიული განძი** არ შეიძლება იყოს კონკრეტული პირის თუ უცხო სახელმწიფოს ხელში. ამერიკაში ლინგვისტური კორპუსის შექმნას ხელმძღვანელობდა პენტაგონი, რუსეთში კი მას ისეთივე სტრატეგიულ მნიშვნელობის მქონედ თვლიან, როგორიც იყო ატომური ბომბი გასული საუკუნის 40-იან წლებში. ...საქართველოს მსგავსმა ქვეყანამ უნდა შექმნას სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც **კოორდინაციას გაუწევს ძალიან შრომატევად საქმეს - ქართული ენის ელექტრონული ტექსტების საფუძველზე სრულფასოვანი, მომცველობითი ეროვნული კორპუსის შექმნას** და ქართული ენის

ტექნოლოგიზებას - ავტომატური თარგმანების, მოლაპარაკე და ლაპარაკის აღმქმელი (გამგები) კომპიუტერული პროგრამების შექმნას[1].

ამრიგად:

რუსეთის იმპერია ბოლო 150 წლის მანძილზე ცდილობს, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევროს ქართველი ერი. ამ მიზნით შეიქმნა ბევრი იდეოლოგემა, რომელთა დაბალანსება ქართველი ერის სასიცოხლო ინტერესია. კერძოდ, ყველა წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ ვიფიქროთ:

ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრება რამდენიმე ქართველურ ენად, არაადეკვატური ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციებისა და რუკების ტირაჟირება მთელ მსოფლიოში, ,,ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით საქართველოს ხელისუფლებისათვის 12-დან 19-მდე რეგიონული ენის აღიარების მოთხოვნა, ქართული ენის ლინგვისტური კორპუსიდან მეგრულის, ლაზური და სვანური მეტყველებების გამიჯვნა და სხვა, დღესაც ერთ საერთო მიზანს ემსახურება: **სა-**

---

[1] ელექტრონული ტექსტების ბაზის შექმნის ერთ-ერთი პიონერია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი ვიყავი 1992 წლიდან 2010 წლის ჩათვლით. ამ პერიოდში აქ შეიქმნა დიდი მოცულობის ტექსტების ბაზა. ასევე, სერიოზული სამუშაოებია ჩატარებული საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრში, რომელსაც ვხელმძღვანელობ ბოლო 3 წლის მანძილზე. **ამ სამეცნიერო ცენტრებში მომზადებულია ბაზა ქართული ენის ისეთი ეროვნული კორპუსისთვის, რომელიც ორიენტირებულია ერთ ქართულ სამწიგნობრო ენასა და 30-მდე ქართველურ დიალექტზე. დიალექტების რიგში შევა მეგრულ-ლაზური და სვანური კილოებიც**. აქვეა დაწყებული ელექტრონული სწავლების პორტალისა და მეტყველების აღმქმელი კომპიუტერული პროგრამების მომზადება.

ბოლოოდ განხორციელდეს ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება და მომზადდეს საქართველოს, როგორც უნიტარული სახელმწიფოს ტრანსფორმირება კონფედერაციული ტიპის არამდგრად წარმონაქმნად. რუსეთის იმპერიის სტრატეგია დღესაც იგივეა: საერთაშორისო საზოგადოებისა თუ საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტირებით საქართველოს ტერიტორიის თანდათანობითი ოკუპაცია და ანექსია, პარალელურად, ქართველობის ენობრივ-ეთნიკური დაშლით ამ ტერიტორიის ისტორიული მფლობელი ერის სრული ასიმილაცია.

უცვლელია მცირერიცხოვანი ქართველი ერის, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის მრავალსაუკონოვანი მიზანიც: საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენით ეროვნული იდენტობისა და კულტურის გადარჩენა... ეს კი შეუძლებელია მეცნიერული ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების დროული პასუხის გარეშე.

Tariel Putkaradze
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ACTUAL PROBLEMS OF CONTEMPORARY KARTVELOLOGY

/WITHIN THE CONTEXT OF THE CURRENT INFORMATION WAR AGAINST GEORGIA/

For the last 150 years, the Russian Empire has been trying to divide Georgian nation both linguistically and ethnically; there have been developed numerous ideologies balancing of which represents an issue of fundamental

importance for the Georgian nation; numerous facts give us the reason to consider the following:

Division of the Georgian linguistic world into several Kartvelian languages, circulation of inadequate ethno-linguistic qualifications and maps across the world, demanding recognition of around 19 regional languages by falsifying the essence of the European Charter, separating Megrelian, Laz and Svan from the Georgian language linguistic corpus, etc. serve the following common purpose even today: **final implementation of linguistic and ethnic division of the Georgian nation and transformation of Georgia as a unitary state into a fragile confederation. The strategy of the Russian Empire is still the same:** gradual occupation and annexation of the Georgian territories by the act of disorientating international society as well as Georgian citizens and complete assimilation of the historic owner nation of this territory.

The goal of the Georgian people and the Georgian nation, in general, is the same: surviving national and cultural identity by rescuing their own statehood which is impossible without providing immediate responses to the contemporary scientific Kartvelological challenges.

თეა ქართველიშვილი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თამარ ქორიძე
საქართველოს უნივერსიტეტი

ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ეპოქაში

XVI საუკუნის დამდეგისთვის ერთიანი საქართველოს დაშლა უკვე იურიდიულად იყო გაფორმებული და ახლად წარმოქმნილი სამეფოებიც ერთმანეთის საზღვრებს აღიარებდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, საზღვრების კორექტირების სურვილი მაინც არსებობდა. იმერეთის მეფე ალექსანდრე II (1484-1510) ქართლის სამეფოს ნაწილის დაკავებას ბრძოლით ცდილობდა. ვითარება დარეგულირდა მისი მემკვიდრის ბაგრატ III-ის (1510-1565) ზეობისას. იგი დაეხმარა ლუარსაბ I (1527-1556) ქართლის ტახტის დაკავებაში, რის სანაცვლოდაც „მისცეს ბაგრატს ქართლი... არადეთის წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა“[1] (ქართლის დასავლეთი

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959. გვ. 493; „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897, გვ. 369; თეიმურაზ ბაგრატიონი, „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 7.

ნაწილი მდ. ფრონემდე). ბაგრატისა და ლუარსაბის კავშირი დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა. ლუარსაბ I-მა ცოლად შეირთო ბაგრატის ასული თამარი. იმერეთისა და ქართლის მეფეები მთელ რიგ საკითხებში ერთობლივად მოქმედებდნენ და შეთანხმებულ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ბაგრატ III-მ მნიშვნელოვანი საეკლესიო პოლიტიკა გაატარა. ამ პოლიტიკის ნაწილია ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების ურთიერთმიმართების საკითხი. ამ დროს აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები გარკვეულ შემთხვევებში თანხვდებოდა ერთმანეთს: 1. დასავლეთ საქართველოში მოწვეულ საეკლესიო კრებას, რომლის კანონებიც აისახა ძეგლში „სამართალი კათალიკოზთა“, ესწრებოდა ქართლის კათოლიკოსი მალაქია. 2. 1535 წელს მურჯახეთის ბრძოლაში გამარჯვებისა და სამცხის შემოერთების შემდეგ მეფე ბაგრატმა სამცხის საეპიკოპოსო კათედრებზე, რომელიც ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, დასვა თავისთვის სასურველი კანდიდატები. 3. საისტორიო აქტების ბრძანებულებით ნაწილში აფხაზეთის კათოლიკოსი ყოველთვის ქართლის კათოლიკოსთან ერთად იყო დამოწმებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. XV-XVI სს. დასავლეთ საქართველოში, ზნეობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ვითარებაა. მრავალგვარი დანაშაულობანია გავრცელებული, რომელთა შესახებაც საუბარია - „მცნება სასჯულო“-ში (XV ს.), „სამართალი კათალიკოზთა“ და „ბიჭვინტის დიდ იადგარი“-ში (XVI ს. შუა ხანებში).

ცხადია, ეკლესია ვალდებული იყო სამწყსოს სულიერ მდგომარეობაზე ეზრუნა. ამ მიზნით მოიწვიეს საეკლესიო კრება. აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდმა მიიღო კანონები, რომელიც ჩვენთვის „სამართალი კათალიკოზთა“-ს სახელი-

თაა ცნობილი. ძეგლი ეკლესიისა და სამეფო ხელისუფლების თანამშრომლობის ამსახველია. მასში საეკლესიო დანაშაულთა გვერდით განხილულია სისხლის სამართლის დანაშაულობანი. ძეგლი სპეციფიკურია საერო და საეკლესიო დანაშაულების ერთად განხილვის თვალსაზრისით. ჩანს, მეფის ძალაუფლება არ იყო საკმარისი დანაშაულთა აღმოსაფხვრელად და საჭირო გამხდარა ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენება.[1]

კრების მოწვევის ინიციატორი და ორგანიზატორი აფხაზეთის კათოლიკოს ევდემონ I ჩხეტიძესთან ერთად იყო ქართლის კათოლიკოსი მალაქია. ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ როდის გაიმართა კრება და შესაბამისად როდინდელია „სამართალი კათალიკოზთა“.[2] კრების მონაწილე აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ I ჩხეტიძე 1557-1578 წლებში განაგებდა საკათალიკოსოს, ქართლის კათოლიკოსი მალაქია კი - 1532-1534 წლებში. კრების დამამტკიცებელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიის შეჯერებისას შეგვიძლია კრების მოწვევის თარიღის ქვედა ზღვრად ავიღოთ ევდემონ ჩხეტიძის ზეობის საწყისი - 1557 წელი, ხოლო ზედა ზღვრად - 1559 წელი, როდესაც კრების მონაწილე იოვაკიმე ნიკორწმინდის კათედრაზე შეცვ-

---

[1] ბ. ლომინაძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ მიღებული კანონები (XVI ს.), ჟურნ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, ქუთაისი, 1996, №2, გვ. 61.

[2] საკითხის ისტორიოგრაფია მოცემულია გ. არახამიას ნაშრომში – კვლავ „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის. იხ. წელიწდეული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სამხარეო სამეცნიერო ცენტრი, I თბ., 2005, გვ. 64-68.

ლა დავით საყვარელიძემ[1] (თუმცა ცალმხრივად ამ თარიღის გაზიარება არ შეგვიძლია, რადგან დავით საყვარელიძეს XVII საუკუნის (1659 წ.) მოღვაწედ მიიჩნევს ს. კაკაბაძე, მისი აზრი გაიმეორა მ. მურუსიძემ).

ყურადღებას იქცევს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში დაცული ხელნაწერი (გრაგნილი) №657 „გელათური ილიტარიონი“ კონდაკი, რომლის X კეფის მარცხენა აშიაზე, ცოცხალთა მოსახსენებელი დიპტიქას გასწვრივ არის მინაწერი. მასში სხვა უცხოელ სასულიერო იერარქებთან ერთად იხსენიებიან ქართლის მეფე ლუარსაბ I, ქართლის კათოლიკოსი მალაქია და აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე: „დიაკონმან დიპტიქაᲘ ცოცხალთა. დიაკონმან დიპტიქა: მალაქიასათჳს, წმიდისა პატრიარქისა ჩუენისა და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზისა, დიდისა მამათმთავრისა; ... ევდემოს წმიდისა პატრიარქისა და ყოვლისა აფხაზეთისა კათალიკოზისა, ... ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შარვანელთა მეფისა“.[2] ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლა ნ. ქაჯაიამ. მან ცოცხალთა დიპტიქაში ამ პირთა ერთობლივად მოხსენიება დაუკავშირა დასავლეთ საქართველოში მოწვეულ საეკლესიო კრებას და კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს, ე.წ. „კათალიკოზთა სამართალს“. მკვლევარმა „კათალიკოზთა სამართლის“ შედგენის დრო 1557-1558 წლებით განსაზღვრა, მიიჩნია რა ქვედა ზღვრად აფხაზეთის კათოლი-

---

[1] ბ. გაფრინდაშვილი, „რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები” (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 80.

[2] ნ. ქაჯაია, „გელათური ილიტარიონისა“ და „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის“, ჟურნ. „მრავალთავი“, XVIII, თბ., 1999, გვ. 337.

კოს ევდემონ ჩხეტიძის აღსაყდრება, ხოლო ზედა ზღვრად ქართლის მეფე ლუარსაბ I გარდაცვალება (იგი იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ლუარსაბ I გარდაიცვალა არა 1556 წელს, არამედ 1558 წელს).[1] მალაქია ამ დროისთვის უკვე აღარ არის ქართლის კათოლიკოსი. იგი, როგორც გადამდგარი კათოლიკოსი მხოლოდდამხოლოდ ინარჩუნებს თავის ტიტულს. მართალია, მალაქია, როგორც უკვე ვთქვით, კრების მოწვევის ინიციატორი და ორგანიზატორია, მაგრამ მას ხელი არ მოუწერია კრების მიერ მიღებული დადგენილებებისთვის. „კათალიკოზთა სამართალს“ მხოლოდ აფხაზთა კათოლიკოსი და დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები ურთავენ ხელს. საფიქრებელია, რომ მალაქია, როგორც კათოლიკოსყოფილი არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს და ამდენად უფლება არ ჰქონდა ხელი მოეწერა ამ კანონებისთვის[2]. მალაქია იმდენად მცირე ხნის განმავლობაში ჩანს ქართლის კათოლიკოსად, რომ სავარაუდოა, იგი უფრო დიდხანს კათოლიკოსყოფილის ამპლუაში აგრძელებდა მოღვაწეობას. მალაქიასა და ევდემონ ჩხეტიძის თანამშრომლობა, განპირობებული იყო ბაგრატ III-ისა და ლუარსაბ I-ის პოლიტიკური მოკავშირეობით.

საინტერესოა დიპტიქში დაცული იერარქიულობაც. პირველ ადგილზე მალაქია იხსენიება და იგი „ყოვლისა საქართველოს“ კათოლიკოს-პატრიარქია, ხოლო მას შემდეგ არის აფხაზთა კათოლიკოს-პატრიარქ ევდემონის მოსახსენებელი. ჩანს, ქართული საზოგადოების ცნობიერება ინარჩუნებდა და ინერციით განაგრძობდა საქართველოს ეკლესიის ერთიანობის

---

[1] ნ. ქაჯაია, „გელათური ილიტარიონისა“ და „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის“, ჟურნ. „მრავალთავი“, XVIII, თბ., 1999, გვ. 342.

[2] იქვე გვ. 341

პერიოდში მიღებული წესების დაცვას[1]. (ეს დასკვნა მისაღებია, თუკი ხელნაწერი აღმოსავლეთ საქართველოში არ არის შექმნილი).

ჩვენთვის უცნობია, რატომ მოუწია კათოლიკოს მალაქიას სამღვდელმთავრო ტახტის დატოვება, ან რა მიზეზით მოხვდა იმერეთში. ფაქტია, მას მცხეთის საყდარზე ვითარება გაურთულდა და შესაძლოა, სწორედ ამის გამო, გადაიხვეწა დასავლეთ საქართველოში ან ლუარსაბ I-ს გადაჰყვა შაჰ თამაზის მეოთხე შემოსევის დროს (1554 წ.), როდესაც მეფემ იმერეთს შეაფარა თავი. შაჰ თამაზმა კი ველარ გაბედა დასავლეთ საქართველოში გადასვლა, რადგანაც იგი ოსმალეთთან ზავის დადებით იყო დაინტერესებული[2].

2. იმერეთის მეფე ბაგრატ III და ქართლის მეფე ლუარსაბ I სათანადოდ აფასებდნენ სამცხის ათაბაგების პოლიტიკას, რომლებიც საკუთარი სამფლობელოს გადარჩენის ხარჯზე ოსმალებს სხვა ქართულ სამეფოებს არბევინებდნენ და შემოჭრილი მტრის წინამძღვრობასაც არ თაკილობდნენ. ოსმალთა შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით ბაგრატმა დადიანთან და გურიელთან ერთად 1535 წელს სამცხე დალაშქრა. მურჯახეთის ბრძოლაში მეფემ წარმატება მოიპოვა და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III დაატყვევა, ათაბაგობა გააუქმა და სამცხის ძირითადი ნაწილი იმერეთის სამეფოს შეუერთა.

---

[1] თვით „მცნებაΩ სასჯულოც“ კი ვერ ასცდა მიღებული იერარქიულობის დაცვას. (იხ. „მცნებაΩ სასჯულოც“, როგორც ბაგრატ VI-ის პოლიტიკის ინდიკატორი. (მოხსენებათა თეზისები). II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“. თბ., 2013).

[2] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII, თბ., 1971, გვ.74.

მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976, გვ. 42.

ამავე დროს, ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა.[1] ჩანს, ბაგრატი და ლუარსაბი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ლუარსაბ ქართლის მეფე ამ საქმეში ბაგრატის წინააღმდეგ არ გამოსულა. დაპყრობილი სამთავროდან ლიხთიმერეთის მეფემ მას ნაწილი დაუთმო – მტკვრის აღმოსავლეთი მხარე“.[2] აღსანიშნავია, რომ ჯავახეთი, თავის დროზე, ქართლის სამეფოსგან ჰქონდა მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს, ისევე, როგორც აჭარა-ჭანეთი გურიისგან. ეს ტერიტორიები მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ თავის ისტორიულ მფლობელებს: ქართლის სამეფოსა და გურიის საერისთავოს დაუბრუნდათ. მესხეთის შემომტკიცება ბაგრატმა სათანადო საეკლესიო პოლიტიკის გატარებითაც სცადა. მიუხედავად იმისა, რომ სამცხის ეკლესია ქართლის საკათალიკოსოს სამწყსოს წარმოადგენდა, სამცხის უპირველესი საეპისკოპოსო – აწყურის კათედრა დაიკავეს მეფე ბაგრატის სასურველმა კანდიდატებმა. ჩანს, იგი სასულიერო ფენებში შეეცადა საკუთარი დასაყრდენის გაჩენას. ცხადია, ბაგრატი ქართლის კათოლიკოსთან შეთანხმების გარეშე ამას ვერ განახორციელებდა. მით უფრო, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სულ რაღაც ათეული წლით ადრე ქართლის კათოლიკოსს შეურიგებელი ბრძოლა მოუხდა სამცხის ეკლესიის შესანარჩუნებლად. დაახლოებით 1538 წელს აწყურის საეპისკოპოსო ტახტზე ადის მანოელ ჩხეტიძე. მანოელი ბაგრატის დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. 1529 წელს მეფე ბაგრატმა მას ხონის ახლადდაარსებული

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 402.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 173, 179.

საეპისკოპოსო კათედრა ჩააბარა, ხოლო 1544 წელს, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ, რაჭის მწყემსთავრად დაადგინა[1]. არსებობს მოსაზრება, რომ მანოელი ჯერ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო (1534 წლიდან) და ამის შემდეგ მიიღო მაწყვერლობა [2], რასაც ვერ გავიზიარებთ, რადგან ის ერთადერთი წყარო, სადაც მანოელი მაწყვერელად იხსენიება, გახლავთ ნიკორწმინდის ხელნაწერის მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე.[3] ცხადია, ნიკორწმინდაში მან მოღვაწეობა მაწყვერლად ყოფნის შემდეგ გააგრძელა[4]. ვფიქრობთ, მანოელი გამორჩეულად ნიჭიერი და კარგი ორგანიზატორი უნდა ყოფილიყო და მისი დადგინება ახლადდაარსებულ თუ ახლადშემოერთებულ კათედრებზე შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო.

საფიქრებელია, რომ მანოელის შემდეგ აწყურის ეპისკოპოსი ანტონი გახდა[5], რომელმაც მოგვიანებით გენათლობა მიიღო[6]. ჩვენ არ ვიცით ანტონი რომელ სასულიერო წრეს ეკუთვნოდა – სამცხისას თუ იმერეთისას, მაგრამ ფაქტია,

---

[1] „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“ შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897, გვ. 379, 29; ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1912, გვ. 5.

[2] ბ. გაფრინდაშვილი, „რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები“ (გელახონი, ნიკორწმინდა), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 153, 186.

[3] ე. თაყაიშვილი, „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“, პარიზი, 1939, გვ. 5

[4] ილ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 58, სქ. 186.

[5] ნ. გურგენიძე, „მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“, რიგი“, კრ. რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013, გვ. 84-85

[6] ბ. გაფრინდაშვილი, იქვე, გვ. 78-81.

ბაგრატის პოლიტიკის გამტარებელი და მეფისთვის სასურველი პირი იყო. სხვა შემთხვევაში, იგი იმერეთის მთავარ საეპისკოპოსო ტახტს – გენათს ვერ დაეუფლებოდა. სავარაუდოა, რომ 1545 წელს, სოხოისტას ბრძოლაში დამარცხებისა და სამცხე-საათაბაგოს დაკარგვის შემდეგ ანტონმა დატოვა (ან დაკარგა) მაწყვერლობა და ბაგრატთან III-თან ერთად იმერეთში გადაინაცვლა. სამცხეში გამარჯვებული ქაიხოსრო ათაბაგი[1] მაინც არ დაუშვებდა მისი შეურიგებელი მტრის – მეფე ბაგრატის მიერ აწყურის კათედრაზე აღზევებული მღვდელმთავრის დატოვებას.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ ბაგრატ III იშხნის კათედრაზეც თავისი კანდიდატი ჰყავდა დასმული. ძმუსის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (ხატი მთის წმ. გიორგის ტაძრიდან იყო ძმუისში გადასვენებული) იხსენიება მელქისედეკ იშხნელი. თუკი იშხნელი გვარი არ არის (რაც

---

[1] მ. სვანიძე ნაშრომში „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII“ მსჯელობს ვახუშტი ბატონიშვილისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების ცნობაზე, თითქოს სოხოისტას ბრძოლაში მეფეების ბაგრატისა და ლუარსაბის გვერდით, ოსმალთა წინააღმდეგ ქაიხოსრო ათაბაგიც იბრძოდა, თუმცა ოსმალები სწორედ ქაიხოსროს მოწვევით იყვნენ შემოსული სამცხეში და წყაროს შეუსაბამობას ასაბუთებს. (იხ. მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. თბ., 1971. გვ. 59) „ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი მოგვითხრობს: „შეიბნეს სოხოისტას ზედა იმერელი მეფე ბაგრატ, და ქართლის მეფე ლუარსაბ, და ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო, და სრულიად საქართველო იყო, და ორი ფაშა იყო, და მეფენი მეოტ იქმნეს“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 359). ვფიქრობთ, ტექსტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვამტკიცოთ ქაიხოსროს მომხრეობა ბაგრატისა და ლუარსაბისადმი. წყაროში ჩამოთვლილია ომში მონაწილე ყველა პირი, ხოლო მისი ცნობა. რომ „მეფენი მეოტ იქმნეს“, სწორედ, ამ ორი მეფის მოკავშირეობაზე მეტყველებს.

ამ დროისთვის ნაკლებ სავარაუდოა) და წოდებაა, იგი XVI საუკუნეში მოღვაწე გენათელ ეპისკოპოსს მელქისედეკ საყვარელიძეს უნდა დავუკავშიროთ, რომელიც 1529 წლიდან განაგებდა გელათს, 1565 წლიდან კი ნიკორწმინდის კათედრას. ჩანს, ბაგრატის მიერ სამცხის შემოერთების შემდეგ მას იშხნის კათედრა ჩააბარეს, ხოლო სოხოისტას ბრძოლაში დამარცხების შემდეგ სხვა ეპისკოპოსებთან ერთად იმერეთში გადმოინაცვლა, სადაც ნიკორწმინდის საყდარი უბოძეს. სამცხიდან წამობრძანებული წმინდა გიორგის ხატი სწორედ ამ დროს უნდა მოხვედრილიყო მთის წმინდა გიორგის ეკლესიაში[1].

შემთხვევითი არ არის, რომ ბაგრატ III სამცხის საეპისკოპოსო კათედრებზე სწორედ ჩხეტიძეთა და საყვარელიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ნიშნავდა. სწორედ ბაგრატს უკავშირდება ამ საგვარეულოთა წინ წამოწევა და დაწინაურება მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე. მათ წარმომადგენლებს მთელი XVI საუკუნის მანძილზე ეჭირათ სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრები და უმაღლეს საეკლესიო იერარქებს წარმოადგენდნენ[2].

---

[1] ნ. ჟღენტი, ძმუისის ხატის წარწერაში მოხსენიებული მელქისედეკ იშხნელის იდენტიფიკაციისათვის: მელქისედეკ საყვარელიძე – უცნობი იშხნელი ეპისკოპოსი? კრ: III საერთაშორისო კონფერენცია ტაოკლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2014, გვ. 44-46.

[2] 1529 წლიდან ქუთათელი ეპისკოპოსია გერმანე ჩხეტიძე, შემმისი ძმისწული სვიმონ ჩხეტიძე, იგი ბასილ ჩხეტიძემ შეცვალა, ხოლო ბასილი – სვიმონ ჩხეტიძემ; ბედიის საეპისკოპოსო უკავია გერმანე ჩხეტიძეს, 1529 წლიდან ხონის ეპისკოპოსი არის მანოელ ჩხეტიძე, ხოლო შემდეგ ზაქარია ჩხეტიძე და ბასილი ჩხეიძე 1534 წლიდან ნიკორწმინდელი ეპისკოპოსია მანოელ ჩხეტიძე; XVI ს-ის 80-90-იან წლებში გენათელი ეპისკოპოსია დომენტი ჩხეტიძე. 1529 წლიდან გენათელი ეპისკოპოსია მელქისედეკ საყვარელიძე, 1559 წელს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დაიკავა დავით საყვარელიძემ, ხოლო 1565 წლიდან – მელ-

3. „მცნებაჲ სასჯულოს“ შემდეგ შედგენილ საისტორიო დოკუმენტებში, ~~უკლებლივ ყველგან~~, აფხაზეთის კათოლიკოსის გვერდით იხსენიება ქართლის კათოლიკოსიც. ისინი საბუთის ბრძანებულებით ნაწილში იხსენიებიან. მათი რანჟირება – პირველ ადგილზე აფხაზეთის, ხოლო შემდგომ ქართლის კათოლიკოსის დასახელება განსაზღვრავს, როგორც დოკუმენტის შედგენის გეოგრაფიულ არეალს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს, ასევე გამოხატავს მისი შემდგენელის პოზიციას.[1] ქართლის კათოლიკოსი აფხაზეთის კათოლიკოსის წინ იხსენიება მხოლოდ ორ საბუთში და ორივე საბუთი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა იყოს შედგენილი. პირველი

ქისედეკ საყვარელიძემ, XVI ს-ის 50-იანი წლებიდან მოქვის მღვდელმთავრად ჯდება ექვთიმე საყვარელიძე, ხოლო 1578 წლიდან იგი აფხაზეთის კათოლიკოსია. (იხ. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ.206-207; მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976, გვ. 46; ბ. გაფრინდაშვილი რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები, სადისერტაციო მაცნე, თბ., 2014; გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004).

[1]სასისხლო განჩინება ალექსანდრე მეფისა ფალავანდისშვილებისადმი, 1488 წ. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014. გვ. 277); ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგელი მაჭავარიანებისადმი, 1496 წ. (იქვე, გვ. 311); სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა ადამ ფონჯოვაძისადმი, 1497 წ. (იქვე, გვ. 318); სასისხლო სიგელი კონსტანტინე მეფისა ავჟანდაძეებისადმი, XV ს. მიწურული (იქვე, გვ. 325); სასისხლო სიგელი უცნობი მეფისა ქაიმაროზ გუფავასადმი XV ს. II ნახევარი (იქვე, გვ. 329); სასისხლო სიგელი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის 1501.VI.7. (Hd-10150, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 22); სასისხლო სიგელი მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ ხელხელიძე სარმანიშვილ ავთანდილისათვის, 1503 წ. (qd-6935);

ეკუთვნის კახთა მეფე ალექსანდრეს[1] და თავისთავად უკვე გარკვეულია მისი შედგენის არეალი, ხოლო მეორე საბუთში – „სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა თოფურიძეებისადმი“, [1484-1510][2] – მტკიცებით ნაწილში ქართლის კათოლიკოსის შემდეგ დასახელებულია, არა აფხაზეთის, არამედ „ლიხტიმერისა ქათალიკოზი“. დასავლეთ საქართველოს ლიხთიმერად აღქმა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი ადამიანისთვის იყო შესაძლებელი (საპირისპირო ვითარებაა „მცნებაᲘ სასჯულოში“ – დასავლეთ საქართველოს „ლიხთამერი“ ეწოდება და პოლიტიკურ-საეკლესიო ცენტრიც იქ მოიაზრება).

ბაგრატ III დროინდელ საბუთებში კვლავაც გრძელდება ორივე კათოლიკოსის მოხსენიება[3], (გამონაკლისი ერთი სათია „წყალობის წიგნი ბაგრატ მეფისა ცირღილაძეებისადმი“, სადაც ბრძანებულებით ნაწილში მხოლოდ აფხაზეთის კათოლიკოსია დასახელებული),[4] თუმცა, რანჟირება დაცული აღარ არის, გარკვეულ დოკუმენტებში პირველ ადგილზე „ქართლის“, „საქართველოს“ კათოლიკოსია დასახელებული[5],

---

[1] მამულის წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა იოანე ჭარმაულისადმი, 1481 წ. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, გვ. 250-251).

[2] სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა თოფურიძეებისადმი, [1484-1510], ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014. გვ. 264)

[3] ბაგრატ მეფის სასისხლო სიგელი გაბელაძეებისადმი, 1512.IV.13, ქსიმ 1633, (საბუთის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ქ-ნ დარეჯან კლდიაშვილს)

[4] ქსიმ 745. 1545.VII.19 (საბუთის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ქ-ნ დარეჯან კლდიაშვილს)

[5] qd-6937 სასისხლო სიგელი მიცემული ბაგრატ იმერთა მეფის მიერ ბიძისთვალ გირგალაძისათვის, 1510-1565.VIII.10; qd-1317 სასისხ-

საბუთში, „ეკლესიის ნაოხარის მიბარების წიგნი, მიცემული ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათის საყდრიშვილ, ჯვრისმტვირთველ იოსებ ფანჩულიძისადმი,“ სახელდებით იხსენიებიან აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია და ქართლის კათოლიკოსი ბასილიოსი[1]. მალაქია კათოლიკოსის მიერ მელქისედეკ გენათელისათვის ეპისკოპოსად დადგენის სიგელში [1529-1532წწ.][2] აფხაზეთისა და ქართლის კათოლიკოსებს პატრიარქის ტიტულიც ემატებათ. ამავე ამპლუაში, ანუ საბუთის ბრძანებულებით ნაწილში, აფხაზეთისა და ქართლის კათოლიკოსებს ვხვდებით აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში, როგორიცაა „ბიჭვინტის იადგარი“[3]. რადგანაც იადგარში შესულია XVI საუკუნის დოკუმენტების ძირითადი მონაცემები[4], ცხადია დიპლომატიკური ფორმულები მექანიკურადაა გადმოტანილი ამ აქტებიდან.

ყურადღებას იქცევს „შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი“ (1545.VI.12), ბრძანებულებით ნაწილში გამეორებულია იმ პერიოდის დიპლომატიკაში მიღებული ფორმულა აფხაზეთისა და ქართლის კათოლიკოსთა დამოწმებით, თუმცა, საბუთის ბოლო ნაწილში მითითებულია:

ლო სიგელი მიცემული ბაგრატ იმერთა მეფის მიერ ჯაკვა შერგილაძისათვის, 1554.III.29.

[1] Sd-2894 (პირი) ეკლესიის ნაოხარის მიბარების წიგნი, მიცემული ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათის საყდრიშვილ, ჯვრისმტვირთველ იოსებ ფანჩულიძისადმი (1527.IV.27) ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921, გვ.9.

[2] ხეც Sd-2895 (კაკაბაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 10 (შემოკლებით), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 247.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 182.

[4] გ. არახამია, „ბიჭვინთის იადგარი“, თბ., 2009, გვ. 53-54.

„ჩვენ, ქრისტეს მიერ ქართლისა პატრიარქი კანონითა [ვა]მტკიცებთ“[1]. საინტერესოა, რატომ იხსენიება საბუთში მხოლოდ ქართლის პატრიარქი, ისიც, როგორც კანონმდებელი, ვისი იურიდიული სანქციითაც დოკუმენტი ძალაში შედის, მით უფრო, რომ საბუთი გელათის წმინდა გიორგის მონასტერს ეხება, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ცენტრს, მაგრამ აფხაზეთის კათოლიკოსის იურისდიქციაში შედიოდა და ამავე დროს, როგორც თავად სიგელში აღნიშნავს მეფე ბაგრატი, ის იმერეთის მეფეთა საძვალედ აქცია.

საისტორიო აქტებში ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსების ერთად მოხსენიება შეიძლება განპირობებული ყოფილიყო რამდენიმე მიზეზით: 1. ქართლის კათოლიკოსი ვერ ურიგდებოდა მისი იურისდიქციიდან დასავლეთ საქართველოს გასვლას. მან შეძლო და მოახერხა თავისი უფლებების აღდგენა აღნიშნულ რეგიონზე, გარკვეული პერიოდით მაინც. 2. პირიქით, ქართლის კათოლიკოსმა აღიარა „მცნებაჲ სასჯულოს“ შემდგომდროინდელი აფხაზეთის კათოლიკოსის ლეგიტიმურობა და მასთან თანამშრომლობის გზას დაადგა. 3. საისტორიო აქტებში ინერციით გრძელდება ერთიანობის ხანის დიპლომატიკური ფორმულების გადმოტანა.

პირველი მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ XVI საუკუნეში აფხაზეთის კათოლიკოსი დამოუკიდებელი სასულიერო იერარქია, იგი ქართლის კათოლიკოსის გავლენის ქვეშ არსად ჩანს. მით უფრო, ბაგრატ III არ დაუშ-

[1] hd-11201 (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ. 1914; საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფ., 1920, გვ. 16-23; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ ტ. II, თბ., 1965, გვ.189-190).

ვებდა ამ გავლენების დამყარებას დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარზე.

ჩვენ არ ვიცით, ქართლის კათოლიკოსმა ოფიციალურად რამდენად აღიარა აფხაზეთის კათოლიკოსის ლეგიტიმურობა. შესაძლოა, არც დამდგარა ეს საკითხი დღის წესრიგში. ფაქტია, ისინი XVI საუკუნეშიც და შემდგომ პერიოდშიც აქტიურად თანამშრომლობენ, თუმცა უშუალოდ, „მცნებაᲘ სასჯულოს“ შემდეგდროინდელ დოკუმენტებში ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსების ერთად მოხსენიება რეალურ შინაარსს მოკლებულია. საბუთებში, ინერციით გრძელდება საქართველოს ერთიანობის ხანაში დამკვიდრებული დიპლომატიკური წესები, როდესაც, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში გაცემულ აქტებში ჯერ აფხაზეთის, ხოლო შემდგომ ქართლის მღვდელმთავრები სახელდება.[1] ეს წესი მთელი XVI საუკუნის განმავლობაში, ბაგრატ III-ის მემკვიდრეების დროსაც არის დაცული.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მენტალობაში ჯერ კიდევ ძლიერია ერთიანი სახელმწიფოს ხსოვნა. მკვეთრი მიჯნების დადებას ხელს უშლიდა მეფეების ბაგრატ III-ისა და ლუარსაბ I-ის მიერ წარმოებული შეთანმხებული პოლიტიკა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების ურთიერთობა მთლიანად პოლიტიკურ ვითარებაზეა აგებული. ქართლისა და იმერეთის მონარქების ერთობლივი მოღვაწეობა განსაზღვრავდა საკათალიკოსოების ურთიერთობას და რაც შეიძლება, სხვა შემთხვევაში, სხვადასხვა საკათალიკოსოს იურისდიქციაში ჩარევად ჩათვლი-

[1] თ. ქორიძე, დამოკიდებულება „ყოვლისა საქართველოისა“ კათოლიკოს-პატრიარქსა და აფხაზეთის კათოლიკოსს შორის (XI-XVIII სს.), რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013. გვ.171

ლიყო, ამჯერად ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე უმტკივნეულოდ გვარდებოდა.

დიპლომატიკურ ფორმულებთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ალექსანდრე I-ისა და ბაგრატ III-ის პერიოდის გარკვეული საბუთების ბრძანებულებით ნაწილში აფხაზეთის კათოლიკოსთან ერთად იხსნიება „სამცხეს მაწყვერელი და ათორმეტ უდაბნოთა მღვდელმთავარი“. აქვე, საერო მოხელეთა ჩამონათვალში ათაბაგ-ამირსპასალარები იხსენიებიან. ფორმულირების ამ ფორმამ გ. არახამიას აფიქრებინა, რომ ეს საბუთები ეკუთვნის იმ ათწლიან პერიოდს, როდესაც იმერეთის სამეფოს შემოერთებული ჰქონდა სამცხე[1], თუმცა ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ შემდეგი მიზეზების გამო: 1. სამცხის სასულიერო პირები და საერო მოხელეები იხსენიებიან ალექსანდრე I-ის დროს გაცემულ საბუთებშიც[2]. 2. მსგავსი საბუთები, რომლებიც ბაგრატის დროსაა გაცემული თარიღიანია და 1535-1545 წწ. ვერ დავუკავშირებთ[3]. 3. სამცხის შემოერთების შემდეგ საბუთებში ათაბაგის მოხსენიება ალოგიკურია, რადგან ბაგრატმა ეს ტერიტორია უშუალოდ შეუერთა იმერეთის სამეფოს და ათაბაგის სახელო სულაც

---

[1] გ. არახამია, „ბიჭვინტის იადგარი“, თბ., 2009, გვ. 59.

[2] სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა თოფურიძეებისადმი [1484-1510], ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014. გვ. 264; სასისხლო სიგელი უცნობი მეფისა ქაიმაროზ გუფავასადმი XV ს. II ნახევარი (იქვე, გვ. 329); სასისხლო სიგელი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის 1501.VI.7. (Hd-10150, ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909); სასისხლო სიგელი მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ ხელხელიძე სარმანიშვილ ავთანდილისათვის, 1503 წ. (qd-6935);

[3] ბაგრატ მეფის სასისხლო სიგელი გაბელაძეებისადმი. 1512.IV.13, ქსიმ 1633;

გააუქმა[1]. ცხადია, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ერთიანი სამეფოს ხანაში მიღებული ფორმულირებების გამეორებასთან. ზოგადად, ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო დაშლილი საქართველოს საერო თუ სასულიერო იერარქთა ტიტულატურისთვისაც.

ბაგრატ III-ის ეპოქაში ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქები აქტიურად, თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვით თანამშრომლობდნენ. მათ ასეთ ურთიერთობას ქართლისა და იმერეთის სამეფოებს შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური კავშირი განსაზღვრავდა. ორ ნაწილად გაყოფილი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მმართველები არიან, რის გამოც აღნიშნული ხანის საისტორიო საბუთებში მათი ერთად მოხსენიება ძველი ტრადიციის ფორმალური ასახვაა და რეალურ ვითარებას არ შეესაბამება.

დამოწმებანი:

1. ილ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.
2. გ. არახამია, კვლავ „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის. იხ. ჭელიწდეული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სამხარეო სამეცნიერო ცენტრი, I, თბ., 2005. გვ. 64-68.
3. გ. არახამია, „ბიჭვინტის იადგარი“, თბ., 2009.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1973.

[1] ამ გარემოებაზე ყურადღება გაგვამახვილებინა პროფ. თ. ჯოჯუამ, რისთვისაც ვუხდით მადლობას.

5. ბ. გაფრინდაშვილი, რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2014.
6. გაფრინდაშვილი რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები, (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა), სადისერტაციო მაცნე, თბ., 2014
7. ნ. გურგენიძე, მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, კრ. რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013.
8. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
9. ე. თაყაიშვილი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939.
10. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფ., 1920.
11. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909.
12. თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
13. ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914.
14. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ., 1921.
15. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1912.
16. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004.

17. ბ. ლომინაძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ მიღებული კანონები (XVI ს.), ჟურნ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, ქუთაისი, 1996, №2.
18. მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976.
19. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.
20. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII, თბ., 1971.
21. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
22. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 2014.
23. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III. თბ., 1970.
25. თ. ქართველიშვილი, „მცნება სასჯულო“, როგორც ბაგრატ VI-ის პოლიტიკის ინდიკატორი (მოხსენებათა თეზისები), II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“, თბ., 2013).
26. ნ. ქაჯაია, გელათური ილიტარიონისა და „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის, ჟურნ. „მრავალთავი“ XVIII, თბ., 1999.

27. თ. ქორიძე, რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013.
28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.
29. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-11201.
30. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd-6935.
31. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd-6937.
32. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd-1317.
33. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-2894.
34. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-2895.
35. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, 1633.
36. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, 745.

Tea Kartvelishvili
The National Centre of Manuscripts
Tamar Koridze
University of Georgia

ON MUTUAL RELATIONS BETWEEN KARTLI (EASTERN GEORGIA) AND ABKHAZIAN (WESTERN GEORGIA) CATHOLICATES IN THE PERIOD OF REIGN OF BAGRAT III, KING OF IMERETI (1510-1565)

RESUME

In the seventies of 15th century, after dividing of Georgian church into two, western and eastern organizations, the kings of Western Georgia were implementing independent

church policies. Church policies of the kings of Western Georgia (Imereti) was the conditioned by the situation in the country and hence, it was changing with time.

In the period of reign of Bagrat III, catholicates of Abkhazia and Kartli, in certain cases coincide: 1. Malakia, the Catholicos of Kartli, attended the church council held in Western Georgia, the laws whereof are provided in the monument “Law of Catholicoses”. 2. In 1535, after victory in Mujakheti battle and joining of Samtskhe, King Bagrat appointed his candidates to the bishop’s thrones under jurisdiction of Samtskhe.

In the historical deeds, Catholicos of Abkhazia is always mentioned together with Catholicos of Kartli.

In should be noted that the memory of united Georgia still persisted in the society. Clear limits between catholicates of Kartli and Abkhazia were not distinguished due to concerted policies implemented by Bagrat III, King of Imereti and Luarsab I, King of Kartli (1527-1556). It seems that in that period, relations between catholicates of Kartli and Abkhazia was conditioned by political situation and they were determined by the concerted actions of the monarchs of Kartli and Imereti. Therefore, what was regarded as intervention of one catholicos into the jurisdiction of the other, according to the church legislation, in this case, due to mutual cooperation, was realized without any problems.

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხის ერთიანობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ქადაგებებში (საბჭოთა პერიოდი)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან როდესაც მოიშალა იდეოლოგიური მარწუხები და მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ თავისუფლად ეკვლიათ მათთვის საინტერესო საკითხები, დაიწყო მანამდე შეუსწავლელი საკითხების მეცნიერული კვლევაც. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ქართველ მეცნიერთა მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ცალკეულ სასულიერო მოღვაწეთა, განსაკუთრებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ცხოვრებისა და მოღვწეობის შესწავლას. რადგან ხშირ შემთხვევაში, სწორედ ეს უკანასკნელნი განსაზღვრავდნენ და განაპირობებდნენ ეკლესიის დამოკიდებულებასა თუ პოლიტიკას ქვეყანაში მიმდინარე რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებთან.

ამ კუთხით, XX საუკუნის ერთ-ერთ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან პერსონას წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისადმი მეცნიერული

ინტერესიც განსაკუთრებულად დიდია, რასაც თავის მხრივ ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი განაპირობებს[1]. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესწავლაც დღემდე ფრაგმენტულად მიმდინარეობს, არადა მათი გაანალიზება უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. ასეთად, უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ქადაგებების შესწავლა. საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას შევისწავლოთ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას საბჭოთა პერიოდის ქადაგებებში ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხების ურთიერთმიმართება, რაც რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით არ მომხდარა.

ორიოდე სიტყვით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის საბჭოური პერიოდის ქადაგებების გამოცემას ეხება. იგი თავდაპირველად გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ჯემალ გამახარიამ კრებულში, „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი“[2], ხოლო მეორე გამოცემა ეკუთვნის პროფესორ მიხეილ ქავთარიას, რომელმაც წიგნში, „მწიგნობრობა ქართული“, სხვა მასალასთან ერთად დაბეჭდა კათო-

---

[1] ვრცლად ამბროსი ხელაიას შესახებ იხილეთ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა ამბროსი (ხელაია), შეადგინა საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა,
იხ. http://kotealibegashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_46.html?view=classic

[2] წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2006, გვ. 361-382.

ლიკოს-პატრიარქის ქადაგებებიც[1]. ჩვენს კვლევაში სწორედ ამ უკანასკნელ გამოცემას ვეყრდნობით

ამბროსი ხელაიას უაღრესად რთულ პერიოდში მოუწია ეკლესიის მწყემსმთავრობა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ღირსეულად ზიდა მძიმე ტვირთი. იგი აქტიურად ამხელდა საქართველოს გასაბჭოების შედეგად აქ დამკვიდრებულ საოკუპაციო ხელისუფლებას. იმ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა ეკლესია მტრულ, კონტრრევოლუციურ ძალად გამოაცხადა და მის წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრეს ამოცანად დასახა,[2]მღვდელმთავრის ქმედებები გმირობას უდრიდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი და გაანალიზებული მის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით, მხოლოდ დავსძენთ-ეს ფაქტი ქვეყნის სულიერი მესაჭის უტყუარი მამულიშვილობის დასტურია. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი საბჭოთა რეჟიმის ანტიეკლესიურ პოლიტიკას, აგრესიულ ათეისტურ და ანტიეროვნულ, ცრუინტერნაციონალისტურ იდეოლოგიას თავისი ბრწყინვალე ქადაგებებითა და გამოსვლებითაც უპირისპირდებოდა. ამისთვის ის იყენებდა რელიგიურ დღესასწაულებს, განსაკუთრებით გამოჩენილი მამულიშვილებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს[3].

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული ანტიეროვნული და ანტისაეკლესიო პოლიტიკა დროულ რეაგირებას

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13. თბ., 2012, გვ. 64-139.

[2] ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. 1, თბ., 2008, გვ. 443.

[3] ჯემალ გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) 150 წლისთავისათვის, თბ., 2012, გვ. 158.

მოითხოვდა, სწორედ ამიტომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი თემატიკა კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებებში ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა.

1921 წლის 18 სექტემბერს, ამბროსი ხელაიამ ქადაგება წარმოთქვა, რომელიც მიეძღვნა მამულისათვის დახოცილთა ნახევარ წლისთავს, იმ გმირების ხსოვნას, რომლებიც შეეწირნენ წითელ არმიასთან ბრძოლას, მქადაგებელი მათ დაღვრილ სისხლს "წმინდას" უწოდებს და აღნიშნავს: „აი, სისხლიც, რომელსაც დღეს ჩვენ ვიგონებთ, ამნაირის მნიშვნელობისაა, ის არის თავდები მომავალი თაობის სიმხნე-მამაცობისა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ წინაპართა სული მამულის სიყვარულისა, მისთვის თავდადებისა, არ გამქრალა ჩვენს ხალხში და, მაშასადამე, შეგვიძლია იმედით ვუყუროთ მომავალს."[1] ამბროსი ხელაია ხაზს უსვამს სამშობლოსთვის თავგანწირვის მნიშვნელობას და სარწმუნოებრივ სიმტკიცეს მომავალი თაობებისთვის: „დაე, მათი ხსენება იყოს საუკუნო ქართველი მამულისშვილის გულში, ამით ინერგებოდეს ის სულისკვეთება, რომელმაც მომავალშიაც არა ერთხელ უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო, შეანახვინოს მას თავისუფლება და სარწმუნოება"[2].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამბროსი ხელაიას წარმოთქმული სიტყვა მის კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევის დღეს, სადაც პირადაპირაა დაკავშირებული ერთმანეთთან მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნული თვითშეგნება: „საუკეთესო მატარებელი და დამცველი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია, უცვლელია მხოლოდ სარწმუნოებ-

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, თბ., 2012, გვ. 66.

[2] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 66.

რივი ცხოვრების ნორმები, რის გამოც ეკლესიაში ეროვნული იდეაც სამარადისო და შეურყეველია“[1]. აქვე ახლად ნაკურთხი პატრიარქი მკაცრად გმობს საბჭოთა ხელისუფლების ათეისტურ და ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას, რომლის დანერგვასაც მთავრობა ძალიან აქტიურად და საკმაოდ აგრესიული ფორმებითაც ცდილობდა. „ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდა გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია, და უნდა ჩაუყარონ ახალი ინტერნაციონალობის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი, უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა ერთადერთი შედეგი ამისა შეიძლება მხოლოდ ის იქმნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის განვითარებას. აი, რას უნდა ჩაუფიქრდეს არა მარტო ეკლესიის მორწმუნე წევრი, არამედ ყველა, ვისაც თავისი მოღვაწეობის მიზნად დაუსახავს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მისთვის სამსახური”[2]. აქვე მიმართავს საზოგადოებას: “მაშ, მორწმუნენო და მამულის შვილნო, ორივე - ეკლესიაც და სამშობლოც-ტკბილია, ორივე წმინდათა წმინდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალ საუკუნებრივი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიქოლოგია და ის გავსწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ის მოგვცემს ძალას შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება, ეროვნული ეკლესიის თა-

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 71.

[2] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 71-72.

ვისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.“[1] ვფიქრობთ, ამ სიტყვებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა და დღეს არსებულ მეტად რთულ სიტუაციაში სწორედ ეკლესიისა და სახელმწიფოს აქტიური ურთიერთთანამშრომლობის გზით არის შესაძლებელი რთული პრობლემების დაძლევა. ამავე პათოსით არის განმსჭვალული პატრიარქის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა დიმიტრი ყიფიანის პანაშვიდზე 1922 წლის 12 ნოემბერს: „...ვიყოთ მოვალეობის აღმსრულებელნი ჩვენის დედა ეკლესიის წინაშე, რომ სარწმუნოებას ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის არის ღრმად ჩაყრილი საძირკველი, აუცილებლად ჩაყრილი ეროვნული შენობის სიმაგრისათვის, რომ ის არამც თუ არ უნდა გამოვაცალოთ მას, არამედ უნდა ვეცადოთ მისი გამაგრებისათვის, თუკი გვინდა ვემსახუროთ ერის კეთილდღეობას.“[2]

კათოლიკოს-პატრიარქს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადად განათლებას და მათ შორის – სასულიეროს. 1921 წლის 10 ნოემბერს წარმოთქმულ ქადაგებაში მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „სარწმუნოებრივი ცოდნა, როგორც ყველა სხვანაირი ცოდნა, შეიძინება სწავლით, კითხვით და მოძღვრება-ბაასით, ჩვენ კი არ ვსცდილობთ, არ ვსწავლობთ და არ ვასწავლით მომავალ თაობასაც. ჩვენი ცხოვრება უკეთესი იქნებოდა, რომ რიგიანათ ვსწავლობდეთ სარწმუნოებას და ვსცხოვრობდეთ მისი იდეალებისამებრ. სარწმუნოებაში უცოდინარი ბრმაა სულიერათ, ხოლო სულიერი სიბრმავე უფრო მძიმე და საშიშია, ვიდრე

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 72.

[2] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 125.

ფიზიკური სიბრმავე. ეს ჭეშმარიტება ყველასათვის ცხადი უნდა იყოს“.[1]

საინტერესოა ისიც, რომ წმინდა ამბროსი თავის ქადაგებებში დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანების მოვალეობების განხილვას და ხშირად საგანგებოდ ჩერდება მათზე. იგი გამოყოფს ორ მათგანს, რომლებსაც მისი აზრით, ყველა შეგნებული ადამიანი მთელი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ემსახურებოდეს. „ერთი ამ მოვალეობათაგანი არის სარწმუნოების დაცვა, მისი გაძლიერებისათვის ზრუნვა, ხოლო მეორე მოვალეობა, რომელსაც აქ უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება, არის მამულის სიყვარული“.[2] იგი არც ამ შემთხვევაში მიჯნავს ამ ორ საკითხს და მოუწოდებს მრევლს: „გიყვარდეთ დედა ეკლესია, გქონდეთ მტკიცე სარწმუნოება და მამულის სიყვარული“.[3]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, არის ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობის საკითხი. პატრიარქი ყურადღებას ამახვილებდა რა მათ სარწმუნოებრივ-კულტურულ მნიშვნელობაზე, პირდაპირ აცხადებდა: „იმ ხალხს, რომელიც არ ზრუნავს კულტურულ ნაშთების დაცვისათვის, რომელიც არ ამაყობს მათით და გულგრილად შესცქერის მათ განადგურება-დანგრევას, ვიმეორებ, არ ექნება ადგილი კულტურულ ერთა შორის, ნუ გამოვეწირებით, მართლმადიდებელნო ქართველნო, დროა ვიზ-

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 75.

[2] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 118.

[3] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 119

რუნოთ და ღმერთი შეგვეწევა ამ ზრუნვაში. რომელთა აქვთ სარწმუნოება და ეროვნულადაც არ გადაგვარებულან, დაასხენ ყურნი სმენად, ისმინონ.”[1]

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი თავის ქადაგებებში აქტიურად იყენებს ისტორიულ პასაჟებს, თუმცა, იგი წარსულის ცალსახად გაიდეალებისგან შორს დგას და მიაჩნია, რომ ისტორია ობიექტურად უნდა იწერებოდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იქცეს იგი გაკვეთილად მომავალი თაობებისთვის. კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებები გამოირჩევა მარტივი ენით, იგი მაქსიმალურად ცდილობს მისი მონათხრობი გასაგები იყოს მრევლის და ფართო საზოგადოებისთვის, რომ ამ გზით მოახერხოს მათთვის იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რომელიც იმ პერიოდში მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ქადაგებებში უმთავრესია ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხები, მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი. იმ დროს, როდესაც ბოლშევიზმი იძულებით ნერგავდა ანტისაეკლესიო და ყალბ ინტერნაციონალისტურ იდეოლოგიას, წმინდა აღმსარებელ ამბროსის ქადაგებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა ეროვნული სახის შენარჩუნებაში.

დამოწმებანი:

1. ა. ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, თბ., 2012.
2. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ. თბ., 2006.

---

[1] ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, იხ. მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, გვ 122.

3. ჯ. გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), 150 წლისთავისათვის, თბ., 2012.
4. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. 1, თბ., 2008.
5. დ. ბრაგვაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია) საბჭოთა ოკუპაციის რეჟიმის წინააღმდეგ, წიგნში: „XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, თბ., 2008.
6. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927წწ.) [ხელაია], თბ., 2009.
7. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, (სილუეტი), წინათქმა ედიშერ გიორგაძისა, თბ., 1994.

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State Universit

UNITY OF NATIONAL AND RELIGIOUS ISSUES IN SERMONS OF CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA AMBROSI KHELAIA (THE SOVIET PERIOD)

RESUME

After the collapse of the Soviet Union, study of history of the Orthodox Church has a particular importance for Georgian historiography. And it's natural - after termination of the ideological grip, the scientists are able to freely explore scientifically issues of interest previously unstudied.

In the Church's history it is particularly interesting object of research of lives of the clergy and especially the life and deeds of the Catholicos-Patriarchs, because in many cases the latter caused and defined the Church's attitude or policy at quite number of important issues. Perhaps it may be the main reason, why scientists of the post-soviet historiography give consideration to the study of Georgian Church leaders' biographies.

In this regard, a very interesting and important person of 20th century was the Catholicos- Patriarch of All Georgia Ambrosi Khelaia. There are a lot of subjective and objective reasons to understand this big interest towards scientific study of his life and deeds. However, there are some important issues, many of which are still introduced fragmented, but their analysis has great importance. We believe that first of these important and urgent issues to be studied are sermons of the Catholicos-Patriarch Ambrosi.

Present thesis is an attempt to study unity of the national and religious issues in the sermons of the Patriarch in the Soviet period. This is the first attempt in Georgian historiography so far.

ნიკო ჯავახიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი ფურცელი

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა (1675-1737) და მისი ოჯახის რუსეთში გადასახლების (1724 წელი) შემდეგ, თავისი ცოლ-შვილით სამშობლოში დარჩა მისი ნახევარძმა იესე (1681-1727), რომელიც ქართლში გამეფდა და მეფობდა 1714-1716 და 1724-1727 წლებში.

აქვე დავსძენთ, რომ იესე იყო მეფე ვახტანგ V-ის ძის, ლევან ბატონიშვილის ვაჟი მეორე ქორწინებიდან. კერძოდ, მისი დედა იყო ქართლის წარჩინებული თავადის, გიორგი ავალიშვილის ასული – თინათინი. იესეს ღვიძლი ძმები იყვნენ: სვიმონ და თეიმურაზ ბატონიშვილები. მათ გარდა, თინათინ ავალიშვილმა აღზარდა თავისი გერებიც, მომავალი მეფენი: ქაიხოსრო I, ვახტანგ VI და მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი. [1]

1736 წელს, როცა სპარსეთის სამეფო ტახტზე ნადირ-შაჰი ავიდა, ქართლის მეფე იესეს ვაჟთა შორის მეფობის ყველაზე ანგარიშგასაწევ პრეტენდენტად ითვლებოდა უფლი-

---

[1] *დავით ჯავახიშვილი,* ქართლის მეფის იესეს ოჯახური გარემო და მისი პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტომი XIV, თბ., 2014, გვ. 15-16.

სწული თეიმურაზი (მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I), რომელიც უკვე 16 წლის ჭაბუკი იყო. მისი ლეგიტიმური უფლებები განმტკიცებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

ა) იყო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოს წარმომადგენელი პირდაპირი ხაზით (ანუ მამის მხრიდან);

ბ) გახლდათ ძე იმ გვირგვინოსნისა, რომელიც თავისი შტოს წარმომადგენელთაგან უკანასკნელი განაგებდა ქართლის სამეფოს. იმავდროულად, იგი გარდაიცვალა სამეფო ტახტის დაუკარგავად;

გ) დედის – ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის მხრიდან იყო შვილიშვილი მეფე ერეკლე I-ისა (ნაზარალი-ხანისა), რომელიც ქართლში თხუთმეტ წელიწადს (1688-1703 წლები) მეფობდა.[1]

ზემოთქმულის გარდა, უფლისწულ თეიმურაზის პოზიციას აძლიერებდა კიდევ ერთი ფაქტორი. ის დანიშნული იყო თავად გივი ანდუყაფარის ძე ამილახვრის (1689-1754) ასულზე. ვინაიდან გივი ამილახვარი ქართლის ფეოდალთა შორის განსაკუთრებული გავლენითა და ავტორიტეტით გამოირჩეოდა, მის ასულზე ქორწინებას თეიმურაზისათვის ქართლის მეფის გვირგვინი უნდა მოეტანა, მაგრამ ეს გეგმა მოულოდნელად ჩაიშალა.[2]

---

[1] *დავით ჯავახიშვილი,* ეტიუდები ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის ცხოვრებიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XVI, თბ., 2015.

[2] *ნიკო ჯავახიშვილი,* აფშართა დინასტიის წამომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან, „საისტორიო კრებული“, ტომი I, თბ., 2011, გვ. 77.

1736 წელს ნადირ-შაჰთან მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისი მეუღლე, დედოფალი თამარი (ვახტანგ VI-ის ასული). აქვე დავსძენთ, რომ თამარი იყო ბიძაშვილი თეიმურაზ იესეს ძისა.

კახეთის მეფე-დედოფალს, რომელთაც ქართლის დაპატრონების განზრახვა ჰქონდათ, ძალიან აშფოთებდათ თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონის მოსალოდნელი დანათესავება გივი ამილახვართან. ამის ჩასაშლელად, მათ ნადირ-შაჰს მოახსენეს: „ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, ღირსი შაჰის ცოლობისა და გამოითხოვეო“. ამის შემდეგ, ნადირ-შაჰმა დაუყოვნებლივ მოსთხოვა ამილახვარს, რომ ასული მიეთხოვებინა.[1]

აღნიშნულის თაობაზე გერონტი ქიქოძე მოგვითხრობს, რომ ნადირ-შაჰი ამილახვარს „უპატიოდ მოეპყრა, დაიჭირა და აიძულა მისთვის თავისი ასული მიეთხოვებინა. გივი ამილახვრის ქალი ვახტანგ VI-ის ძმისწულ თეიმურაზზე იყო დანიშნული. როგორც ერთი იმდროინდელი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი ცნობიდან ჩანს, ახალგაზრდა დანიშნულნი ნარდს თამაშობდნენ სოფელ ჭალაში, ამილახვრების სასახლეში, როცა მათთან ნადირის მიერ გაგზავნილი ჩაფრები მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. ადვილი წარმოსადგენია, რა შემზარავ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ძალმომრეობა შეყვარებულ ქალ-ვაჟზე“.[2]

მომხდარმა ამბავმა მორალურად გატეხა ჭაბუკი უფლისწული, რომელიც გადასახლდა იმერეთში და ქუთათელი მიტროპოლიტის რჩევით, ანტონის სახელით ბერად შედგა.

---

[1] *კონსტანტინე გაჩეჩილაძე,* ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტომი XI, თბ., 2004, გვ. 508-510.

[2] *გერონტი ქიქოძე,* ერეკლე მეორე, თბ., 1983, გვ. 31.

იმხანად რუსეთში მყოფი დედოფალი ელენე-ბეგუმი შეაშფოთა თავისი ძის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ და ბერად აღკვეცილს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებითა?...

ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიც მეცადინეობენ შეწევნასა განსადევნელად თურქთა“.[1]

ზემოთ მოყვანილი წერილიდან ჩანს, რომ მისი დაწერისას უფლისწულ თეიმურაზის ღვიძლი ძმები უკვე გარდაცვლილნი იყვნენ.

ჩრდილოეთში გადახვეწილი ქვრივი დედოფლის უკმაყოფილება თავისი ვაჟის ბერად შედგომის გამო იმით აიხსნება, რომ ფაქტობრივად ეს ნიშნავდა თეიმურაზ იესეს ძის მიერ ხელის აღებას ქართლის სამეფო ტახტზე და მის დათმობას ბიძის, ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენლის – მეფე თეიმურაზ II-ისა და მისი შთამომავლობისათვის. დედოფლის წერილიდან ირკვევა, რომ მას ერჩია ქართლის სამეფო ტახტი დაეკავებინა მისივე ვაჟს და არა გვირგვინოსან ძმას, რომელიც კახეთში მეფობდა.

1740 წელს ანტონი ხელდასხმულ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად, ხოლო 1743 წლიდან ის მოღვაწეობას შეუდგა დავით გარეჯის უდაბნოში. მომდევნო წელს, თეიმურაზ II-ისა და თამარ დედოფლის ჩარევით, ანტონი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა.

---

[1] *კონსტანტინე გაჩეჩილაძე,* ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტომი XI, თბ., 2004, გვ. 511-512.

სავარაუდოა, რომ თამარ დედოფალს ამით „სურდა ანტონის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ოდნავ შერბილება მაინც... ანტონ კათალიკოსი, თავის მხრივ, ცდილობს ქართლის მეფის ავტორიტეტის ამაღლებას. 1745 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში თეიმურაზ II-ს ქართული საეკლესიო წესით მეფედ აკურთხებს“.[1]

არსებული წესის მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის დაკავება, მხოლოდ 30 წლის მამაკაცს შეეძლო. მართალია, იმხანად ანტონი მხოლოდ 24 წლისა იყო,[2] მაგრამ მეფე-დედოფლის სურვილის შესაბამისად, აღნიშნული წესი დაარღვიეს.

აქვე დავსძენთ, რომ მოგვიანებით, მეფე თეიმურაზ II იძულებული გახდა თავისი ასული ქეთევანი (ღვიძლი და მეფე ერეკლე II-ისა) მიეთხოვებინა ნადირ-შაჰის ძმისწულის – ალი-ყული-მირზასათვის, რომელიც შემდეგ შაჰინშაჰი გახდა და ცნობილია ადილ-შაჰის სახელით (მეფობდა 1747-1748 წლებში).[3]

ამრიგად, სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი, უფლისწული თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი (1720-1788) გახდა ჯერ ბერი, ხოლო შემდეგ – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I.

---

[1] *კონსტანტინე გაჩეჩილაძე,* ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტომი XI, თბ., 2004, გვ. 512-513.

[2] *სერგი ავალიანი,* ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987, გვ. 15.

[3] *ნიკო ჯავახიშვილი,* აფშართა დინასტიის წამომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან, „საისტორიო კრებული“, ტომი I, თბ., 2011, გვ. 79-81.

დამოწმებანი:

1. *სერგი ავალიანი,* ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987.

2. *კონსტანტინე გაჩეჩილაძე,* ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, წელიწდეული „ქართული დიპლომატია", ტომი XI, თბ., 2004.

3. *გერონტი ქიქოძე,* ერეკლე მეორე, თბ., 1983.

4. *დავით ჯავახიშვილი,* ქართლის მეფის იესეს ოჯახური გარემო და მისი პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. XIV, თბ., 2014.

5. *დავით ჯავახიშვილი,* ეტიუდები ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის ცხოვრებიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. XVI, თბ., 2015.

6. *ნიკო ჯავახიშვილი,* აფშართა დინასტიის წამომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან, „საისტორიო კრებული", ტ. I, თბ., 2011.

Niko Javakhishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

LESS KNOWN PAGES OF THE BIOGRAPHY OF THE CATHOLICOS-PATRIARCH ANTON I

RESUME

In 1736, when Nadir-Shah went on Persian throne, among the sons of the Kartli King Iese (rained in 1714-1716 and in 1724-1727) Teimuraz (1720-1788) was the most real aspirant to become a king.

The article tells the story over the event, which caused the prince Teimuraz Bagrationi to become a monk and later – the East Georgia Catholicos-Patriarch Anton I.

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

წმიდა ილია მართალის მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის შესახებ

1. საქართველოს ეკლესია

„საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასოდეს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“[1].

საამაყოა ილიასეული შეფასება საქართველოს ეკლესიის ღვაწლისა -

„ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ“ - წერდა ის[2]. აქ, „ჩვენ“, ცხადია, არის ქართველი ერი და საქართველო.

2. ქართული ეკლესიის ავტორიტეტი

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანი იყო დიდი ილიასათვის, მისი აზრით, **ქართული ეკლესია იყო ქართველი ერის ჭეშმარიტი პატრონი,** ამიტომაც ილია ეკლესიის დალოცვისა და კურთხევის განსაკუთრებული აზრს და მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილია 1888 წლის 12 თებერვალს წერილით მიმართავს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს (1822-1907), რომელიც მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 213.
[2] იქვე, გვ. 216.

და რომლის საფასითაც გამოიცა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, საისტორიო საბუთები[1] და სხვა:

„თქვენო მეუფებავ და ჩვენო სასიქადულო მღვდელთმთავარო!

თქვენი წერილი მივიღე და დიდის სიხარულით ვასრულებ თქვენს სამსახურსა... ღმერთმა ჰქმნას თქვენი სურვილი აღსრულდეს და მეც საბუთი მით მომეცეს ვინუგეშო, რომ თქვენ ჩემის მცირე სამსახურით გასიამოვნეთ.

თქვენი მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული“[2].

იმერეთის ეპისკოპოსს (1825-1896) გაბრიელ ქიქოძეს ილია 1891 წ. 8 თებერვალს წერს: -

„თქვენო ყოვლადუსამღვდელესობავ,

მოწყალეო ბატონო მამათ-მთავარო გაბრიელ!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართლის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და იქვე ერთხმად დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მისთა დანიშნულებისა...

თქვენის ყოვლადუსამღვდელესობის უღრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა“ ილია ჭავჭავაძე.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 511.

[2] იქვე, გვ. 126.

მართალია, საქართველოს ეკლესიას XIX ს-ში მართავდა რუსული სინოდი, მაგრამ თავისი სულისკვეთებით ქართული იყო.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მრევლი, სამღვდელოება და მღვდელმთავრების უმრავლესობაც ეროვნებით ქართველები იყვნენ და საეკლესიო ნამდვილი ცხოვრება ქართულ ენაზე წარმოებდა.

„ათონის ქართული სავანის შესახებ“ ილია 1888 წ. „ივერიაში (№257, 258) ათავსებს წერილს:

„საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმესა“[1].

3. სარწმუნოება

„ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია (ყოვლადუსამღვდელესი ეპისკოპოსი გაბრიელია) მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.“

„იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყოსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო[2].

„პირველად ქრისტიანობამ, იქ სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებით, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრის-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 305.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 252.

ტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს უნდოდა კერპთ-
თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი
ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარ-
ჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო
გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვ-
ლამდე"[1].

4. საქართველოს ისტორია

წმ. დავით აღმაშენებელი:

**„აი ამისთანა კაცის ხსენება გამაცოცხლებელი ერისა
და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა
ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი
გამოზარდა. ჩვენმა <u>დამცველმა ეკლესიამ</u> ეს კარგად იცოდა**
და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთ-
ხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებე-
ლი დიდებული მეფე, დიდებული კაცი"[2].

**„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და
გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებ-
ლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს
იმათგანს წმიდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს,
ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანისცემს
სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა,
იმათი დაუვიწყარობა...** ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებ-
ლია საქართველოს ერისათვის. მისი მიცვალების დღე 26
იანვარია, ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთ-
ვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დი-
დებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და
ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა

---

[1] ილია ჭავჭავაძე, რჩეული I, 1975, გვ.150.
[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ.183.

განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღ-მაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“[1].

„თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა“[2].

„ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელს ქვეშ და ითხოვ-და ჩვენს ლოცვა-კურთხევას“ – ამბობს სასულიერო პირი.

წმ. ლუარსაბ II:

„21-ს ივნისს საქართველოს ეკლესია ადიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწამა შაჰ-აბაზისა-გან“[3].

„...მეფემ ითხოვა, მაცალეთ სიკვდილის წინ ვილოცოო. ნება მისცეს დაისვენა თურმე წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც თანა ჰქონდა. და ესე შეევედრა: „ჰოი დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუ-გეშინის-მცემელი ჩემი. შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის, და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა“.

მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭირო-ება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და სა-კუთარი სიცოცხლე... დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენეთ, იგი გმირი, რომელმაც თქვა: **რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, - წა-ვიდა და წამებულის გვირგვინი შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა** და დღეს ჩვენ სხვა არა

---

[1]. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ.180.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე, გვ. 184.

დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათოლიკოზთან ერთად ქება-დიდებით წარმოვსთქვათ:

„ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ“

წმ. გაბრიელ ქიქოძე:

„სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“

„...იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.“ ...მისის ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა ... ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფას კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწვრთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა“ ... იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად“[1].

„... **დიდი თუ პატარა ერთი ერთმანეთისათვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალვე მაინცა. არა შემიძლიან რაო? კაი კაცობა არ შეგიძლიან? მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ? ღვთის სული რად გიდგა?“**[2].

„საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“

„დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დააარსოს მუზეუმი შესანახად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და **სიონის ჩრდილოეთით, სიონისვე ეზოში, დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის**[3]...“

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4 გვ. 184.

[2] ილია ჭავჭავაძე, რჩეული I, გვ. 164.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 205.

5. ილია სამღვდელოების შესახებ

1881 წლის დეკემბრის „შინაური მიმოხილვა“:

„ჩვენს ერს მღვდელი არ ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ველარ იცლიან[1]...“

„გლახის ნაამბობში“ ეხება სამღვდელოების მადლს:

„როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, მღვდელმა რა უთხრა დედაკაცსა დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ დედაკაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. **მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!.. ოო!... სითბო?... დიდი რამ არის!... დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა!** მაგრამ რა სიტყვა!... ცარიელ სიტყვას ის მღვდელი არ სჯერდებოდა მერე შევიტყე, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა - თითონ ღარიბი – დაგდებულ ქმარსა და ცოლსა“[2].

„მღვდელი, დალოცვილი, მადლით სავსე მღვდელი“[3].

გლახა გაბრიელი ჰყვება: „მღვდელთან გავიქეცი კურთხევის ჩამოსართმევად,

მივედი ლოცვა-კურთხევა ვთხოვე იმან პირჯვარი გადამწერა და მიბრძანა:

- მშვიდობით, ჩემო გაბრიელ!

მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 136.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.5. გვ. 174.

[3] იქვე, გვ. 174.

ესეც იცოდე, ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავის მტერია, მშვიდობით“[1].

გლახა: „...აღსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ ვიტყვი“[2].

„ის დალოცვილი მღვდელი ხშირად გარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო“[3].

გლახას საზიარებლად მოიყვანეს მღვდელი:

„- კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო, მე, მღვდელი მოვსულვარ, რომ წმიდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა.

- მადლი უფალსა მადლი... - დაიწყო გლახამ ... ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია, ეხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები ... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით... აღსარების თქმას სულთა-მხუთავი არ დამაცლის, შემინანია ყოველიფერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მაღირსე ზიარება.

- ...აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

- რაკი შენ შემინდე – წამოიძახა სიხარულით გლახამ, - ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ლაპარაკობდა. თუ ღირსი ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

- შენთვის და მრავალთათვის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმიდა სისხლი მისატევებელად ცოდვათა მიიღე და სჭამე!... – სთქვა დიდებითა და ნუგეშინის ცემით ბლაღოჩინმა.

---

[1] იქვე, გვ. 186.
[2] იქვე, გვ. 195.
[3] იქვე, გვ. 205.

- ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესა! - წარმოსთქვა სასოებით გლახამა, – მაღირსე ახლა ზიარება, მღვდელო!

- ბლაღოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოთქვა ვედრებითა:

- ჰოი, ყოველთვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენე ესე – ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა

მომიხსენე მე, უფალო და დამიფარე!... – შეევედრა გლახა და მერე ბლაღოჩინს უთხრა, - არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მხსნელსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმიდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი“[1].

6. ილია ოჯახის სიმტკიცის შესახებ:

სტატიაში, ,,გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია,“ ილია ლაპარაკობს მტკიცე ოჯახის აუცილებლობაზე, ოჯახის გაუბზარავად შენახვაზე.

ოჯახის სიმტკიცე, ილიას აზრით, დამოკიდებულია ცოლ-ქმრის სიყვარულზე.

შეიძლებაო, ამბობს ილია, ცოლსა და ქმარს ერთმანეთი სძულდეთ, მაგრამ ,,ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელად გასაბედია“[2].

---

[1] იქვე, გვ. 231.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 431.

7. ქრისტიანული წესი:

...,,ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.

მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა? სანანებელი ცოდვაა და არ სანანებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა მაშ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენია მეთქი[1]...“

ოთარაანთ ქვრივი მორწმუნე იყო, ის ჰყვება ქმრის შესახებ:

„მიაბარა ღმერთს ალალი სული“[2].

ქვრივი ეუბნება თავის შვილს:

„ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო: შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო, რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება... აქ ჩემთან რომ ამოხვალ ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, - გაივლი; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.

- მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?...“

გიორგის დაღუპვის წინ ოთარაანთ ქვრივი ითხოვს:

„- მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!

... მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!“

კესო გიორგის დაღუპვის შემდეგ გიორგის სამარესთან:

---

[1] იქვე, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 263.

„... მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაკ-მენდილი ჰლოცულობდა“[1]:

ლელთ ღუნია მორწმუნეა:

- ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, -ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამიწია, - აი სტეფანწმიდის პირდაპირ რა მონას-ტერია?

გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდელთ განძთა საფარი, ერთა საბჭო“ **(მგზავრის წერილები).**

სრულყოფილი ადამიანი.

ლუარსაბი და დარეჯანი - „თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

- ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? – გეტყოდათ გაოცებ-ით ლუარსაბი:

- წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მომიკ-ლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, - რაზედ ვარისხებთ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკ-ლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია – ესეც კარგია: არარაობას ეგა სჯო-ბია მაგრამ ეს უნდა გკითხო: **რაც უნდა გექნა, ის კი გიქ-ნია?**

- დიაღ – მეტყვი შენ, – მიჭამია, არც ერთი დღე მშიე-რი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებო-დიო რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარც-მულის ქრისტეს სიტყვა: „**ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრუ-ლიო. „აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის**

[1] ილია ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი, გვ. 312.

სცდილხარ? არა, შენ მაგისთვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ – რომ სვა ა სჭამო, და არა იმისატვის სჭამ და სვამ რომ იცხოვრო; ესე იგი ეცადო – რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული“. (კაცია-ადამიანი).

ლუარსაბი კიცხვისა საგანი და თითით საჩვენებელი არის თავისი **არასრულობის** გამო.

ლუარსაბი არ არის **სრული კაცი**, მას აკლია ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს სრულყოფილ ადამიანს.

როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ადამიანი?

ამ მარადიული კითხვის პასუხი გვაქვს ჩვენ სახარებაში იესო გვმოძღვრავს – „**ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული**“. ე.ი. ადამიანი უნდა ბაძავდეს, უნდა მიემსგავსოს ღმერთს, რომელმაც შექმნა ადამიანი, შექმნა ის თავის ხატად – და მსგავსად.

ადამიანი, რომელიც არ ცდილობს იყოს სრული, ისევე, როგორც ზეციერი მამა, ასეთი კაცის კაცობა და ადამიანობა ეჭვის ქვეშ დასაყენებელი ხდება, რადგანაც ის ემსგავსება არა ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს, არამედ ცხოველს – თავის არასრულყოფილი ქცევებითა, მიზნებითა და მოქმედებებით. ასეთი ადამიანი მიზანია დაიკმაყოფილოს ვიტალური მოთხოვნილებები, ის არ ფიქრობს სულზე და მის უკვდავებაზე. აქედანვეა მისი ცხოვრების ცხოველური და არასრულყოფილი წესი. ილია პირდაპირ ბრძანებს ამის შესახებ.

„იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ. სჩანს ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არ ყოფილა...“

„მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვის ოფლის სმაა[1]...“

---

[1] ილია ჭავჭავაძე, „ქვათა ღაღადი“, გვ. 139.

8. ეროვნული ერთობა:

„... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსთვის. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა[1]...“

„განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასოასოდ დავიჭერით... დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა... სახელი მთელს ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით... ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა...“

„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმობრუნებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა რომელიც ერთად ტანჯულა[2]...“

---

[1] იქვე, გვ.142.

[2] ილია ჭავჭავაძე, რჩეული წიგნი I, 1975, გვ. 141.

„იმერელი, გურული, მეგრელი, ქართველი, კახელი – ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძოობითად მიღებული განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია“[1].

9. პიროვნების სახელი და ავტორიტეტი:

„შინაური მიმოხილვა“, 1882 წ. სექტემბერი

„იქ, ევროპაში ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითოეულის თანამემამულისაცა ცალკედ.

იქ თვითოეული მამულისშვილი ისე უფრთხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებასა, როგორც საკუთარის თავისას.

იქ იქნება საკუთარის თავისათვის ის არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის ვისაც ერისთვის შრომა გაუწევია...

იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოეული მისი თანამემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი იყოს[2].

„უარმყოფელობა ჩვენში“

...„ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისე თავმოწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში“[3].

...„საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა და არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ,

---

[1] იქვე, გვ.141.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 184.

[3] იქვე, გვ. 298.

გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ[1]...“

...„გმობა“ – ეს სამარცხვინო და ყოვლად საზიზღარი ხელობა ფლიდობისა და დაბალსულობისა[2]...“

10. **სიკვდილით დასჯა:**

ილია წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა - „არა კაც ჰკლა“.

ილია ამზადებდა სიტყვას სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ სახელმწიფო საბჭოში წარმოსათქმელად (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია მუშაობდა 1907 წლის 20 თებერვლიდან 5 ივნისამდე).

შემორჩენილია ამ სიტყვის მოკლე კონსპექტი, სადაც კერძოდ აღნიშნულია: სიკვდილით დასჯა „ეწინაღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე“, (იქვე აღნიშნულია „ხმა ერისა არის ხმა ღვთისა“. „Когда умирает Бог в душе противника смертной казни“[3].

ყოველ ადამიანში სულია ღვთისა, ყოველი ადამიანი ღვთისაგან არის შექმნილი, ამიტომაც სხვა ადამიანის მოკვლა ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. ღმერთმა ინება და შექმნა ადამიანი, ამ კაცის მოკვლა სხვა ადამიანის მიერ ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა, წინააღმდეგობაა ღვთისა, ამიტომაც მოგვეცა ღვთისაგან „არა კაც ჰკლა,“ გაფრთხილება ადამიანისა, პატივისცემა ადამიანისა. ყურადღება ადამიანისადმი დიდ სიქველეთ და სიკეთეთ ითვლება ღვთის წინაშე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. ამიტომაც ძველ საქართველოში ყოველი კაცი, აღზრდი-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 297.
[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 196.
[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 465.

ლი ქრისტეს ჭეშმარიტი მცნებებით, მოყვარული იყო სხვა ადამიანისა. მისთვის კაცის მოკვლა გაუგონარი და ძალზე უსასტიკეს სასჯელად მიიღებოდა, ამიტომაც ვერ დაიჯერა მოხუცმა პეტრემ, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა... მოთხრობაში **„სარჩობელაზედ“** მოხუცმა პეტრემ ვერ დაიჯერა, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა.

„ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო.

...კაცის ჩამოხრჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის აიღო და ჩამოჰკიდო, რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია[1] “

რატომ არ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა – იმიტომ, რომ ადამიანში სულია ღვთისა[2].

11. გულგრილობა:

„...ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ თქვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი და, როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. **ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება“**[3].

---

[1] იქვე, გვ. 241.
[2] იქვე, გვ. 241.
[3] იქვე, გვ. 250.

დამოწმებანი:
1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, II, III, IV, V, VIII, X, თბილისი.
2. ილია ჭავჭავაძე, რჩეული, წიგნი I, თბილისი, 1975.

Metropolitan Anania Japaridze
Georgian Technical University

ST. ILIA'S VIEWS ON THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH

RESUME

Many spheres of activities of this Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch Ilia II are well-known, but there is one I think nobody has mentioned yet. His Holiness Patriarch is a scientist-historian whose teaching will return the Georgian historiographic school to the true way in regard to the formation of the Georgian nation (national unity).

Even St. Ilia the Righteous argued with the leader of the St. Peterburg historical school K. Patkanov over this issue.

Today this issue is even more topical, because, in the Soviet times, the Georgian historical school took a shadow way by its so-called theory of Kartization, while St. Ilia the Righteous's way was abandoned.

This was not in favor of Georgia, and it is dangerous for the nation's future, as the so-called "theory of Kartization" provides the separatists with theoretical grounds for division of Georgia and dominate in its regions.

His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II stated "The objective of the historiographic

theory compiled at St. Peterburg University was to make the historical culture strange for part of Georgians. Even today some contend that Georgian alphabetic knowledge belongs only to the Georgians of Eastern Georgia. They deem that Megrels, Svans, Lasicans etc. are alphabet less peoples. By such falsified history, they attempt to divide the Georgians and to appose them each other. As before, the Georgian society will give them a deserved answer".(His Holiness and Beatitude Ilia II, Christmas Epistle, 2006, pp. 10-11).

St. Ilia the Righteous discussed these issues in many works by blessing of his St. Alexander Okropiridze.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე

ეპისკოპოსები ალექსანდრე და ლეონიდე

ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი. მოწამეობრივად აღესრულა 1922 წელს

ეპისკოპოსები - ალექსანდრე (ოქროპირიძე) და გაბრიელი (ქიქოძე) ეგზარქოს იოანიკესთან (შუაში) ერთად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (საძაგლიშვილი), თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე). მცხეთა, სამთავროს მონასტერი, 1917 წელი

დეკანოზი ირودიონი (ოქროპირიძე) თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით

დეკანოზ გაბრიელის სამღვდელო ოჯახი - შვილები, მღვდლები ბესარიონი და იოანე, მედავითნე დავითი. 1899 წელი

ეპისკოპოსი კირიონი, 1898 წელი

ეპისკოპოს კირიონის სურათის უკანა მხარე - მღვდელმთავარი საკუთარი წარწერით თავის ფოტოს უსახსოვრებს ბიძას, მღვდელ გაბრიელ ოქროპირიძეს

სტავროპოლის სასულიერო სემინარიის სტუდენტი ილარიონი (პატრიარქ ლეონიდის უმცროსი ძმა), შემდგომში დეკანოზი, დახვრიტეს 1936 წელს